თსუ პაატა გუგუშვილის
სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის

სამეცნიერო შრომების კრებული

XIII

თბილისი
2020

სამეცნიერო შრომების კრებული

XIII

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის

სამეცნიერო შრომების კრებული

XIII

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ლ. თოთლაძე, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, თ. ლაზარაშვილი, ვლ. პაპავა, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი 2020

UDC (უაკ) 061.62: 33(479.22)(045)

კ - 121

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

© თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
2020

ISSN 1987 – 6904

PROCEEDINGS OF SCIENTIFIC WORKS

OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU

XIII

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Scientific-Editorial Board

G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, R. Javakhishvili, E. Kakulia, M. Khuskivadze, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava, L. Totladze

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU
TBILISI 2020

UDC (ეროვ) 061.62: 33(479.22)(045)
ე – 121

The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.

The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

© Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
2020

ISSN 1987 - 6904

წინასიტყვაობა

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი 2020 წელს აგრძელებდა მუშაობას სამინისტროს მიერ დამტკიცებულ შვიდწლიან პროგრამაზე (2015-2021):

„ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში“

პროექტის ხელმძღვანელი – ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე

ინსტიტუტის 2020 წლის სამეცნიერო მუშაობის თემა იყო **„საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების არსებული მდგომარეობა ევროკავშირის ინოვაციურ ეკონომიკასთან მიმართებაში“.** იგი შედგებოდა 5 პრობლემისაგან:

1. **საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები** (შემსრულებელი: ეკონომიკური თეორიის განყოფილება, ხელმძღვანელი: ემდ, პროფ. ალფრედ კურატაშვილი);

2. **„საქართველოში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემები“** (შემსრულებელი: სექტორული და რეგიონული პრობლემების განყოფილება, ხელმძღვანელი: ემდ, პროფ. ვახტანგ ბურდული);

3. **„შიგა ინვესტიციების მოზიდვა ინოვაციების დანერგვაზე ბიზნესში: არსებული გარემო და მისი სრულყოფის გზები საქართველოში“** (შემსრულებელი: ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილება, ხელმძღვანელი: ემდ, პროფ. გიორგი ბერულავა);

4. **„საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციების გავრცელების მაკროეკონომიკური, ბუნებისდაცვითი და ფინანსური პრობლემები“** (შემსრულებელი: მაკროეკონომიკის, მდგრადი განვითა-

რებისა და ფინანსების განყოფილება, ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი მამუკა ხუსკივაძე);

5. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის არსებული მდგომარეობა და მისი როლი ინოვაციების გავრცელებაში საქართველოს ეკონომიკაში“ (შემსრულებელი: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილება, ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი რევაზ ჯავახიშვილი).

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ 2020 წელს, გარდა გეგმური თემებისა, შესრულდა შემდეგი მნიშვნელოვანი სამუშაოები:

I. გამოიცა:

1. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალ (ინდექსირებულია **ERIH PLUS**-ში) **„ეკონომისტის“** 4 ნომერი;

2. **„თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომები კრებული“**, ტ. XIII;

3. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები“;

4. **ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ არჩილ თეთრაულის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი** საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის მასალათა კრებული (ონლაინ და ელექტრონული ვერსია: „**თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები**“.

II. ინსტიტუტში 2020 წელს სულ გამოიცა 115 ნაშრომი (9 დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდით, დანარჩენი ISSN ან ISBN კოდით), მათ შორის:

1. მონოგრაფია – 2;
2. სტატიები SCOPUS-ში – 2;
3. სტატიები ERIH PLUS-ში – 11;
4. სტატიები ჟურნალებსა და სამეცნიერო შრომათა კრებულებში – 50 (საქართველოში – 44; საზღვარგარეთ – 6);

5. სტატიები საერთაშორისო კონფერენციათა კრებულებში – 55 (საქართველოში – 40; საზღვარგარეთ – 15).

III. ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა:

1. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები“

2. **ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ არჩილ თეთრაულის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი** საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენცია: **თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები;**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ სექციასა და ევროპის უნივერსიტეტთან ერთად ჩატარდა მეორე ეროვნული კონფერენცია თემაზე – „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“;

3. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა;

4. ინსტიტუტთან არსებული სადისკუსიო დარბაზის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა 2 სამეცნიერო მოხსენება;

5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომები, რომელზედაც მოსმენილი იქნა 30-ზე მეტი სამეცნიერო მოხსენება.

IV. გაძლიერდა ჟურნალ „ეკონომიკის“ სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო უცხოელი წევრებით, მათ შორის არიან მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები: **ჯეფრი საქსი (კოლუმბიის უნივერსიტეტი), რუსლან გრინბერგი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი), ფრენკ არაუჰო (კალიფორნიის უნივერსიტეტი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი), სიმონე გუერჩინი (ფლორენციის უნივერსიტეტი), ვოლფგანგ ვენგი (ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი), ტომას დ. ვილეტი (კლერმონტის უნივერსიტეტი), სტივენ კოენი (კოლუმბიის უნივერსიტეტის), სლავომირ პარტიცკი (იოანე პავლე II-ს**

სახელობის ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი), დაროლ ჯ. სტეინლი (პეპერდაინის უნივერსიტეტი) და სხვ.

V. ჟურნალს მიენიჭა DOI კოდი.

VI. გამოქვეყნდა საგაზეთო სტატიები და ინტერვიუ, ასევე გადაიცა არაერთი სატე¬ლევიზიო ინტერვიუ.

VII. 2020 წელს მუშავდებოდა რუსთაველის ფონდის 1 გრანტი.

VIII. გაგრძელდა მუშაობა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის გამოსაცემად“.

IX. ინსტიტუტის გამომცემლობის მიერ მომზადდა 3 სამეცნიერო შრომათა კრებული, ჟურნალის 4 ნომერი და 1 მონოგრაფია.

X. გაძლიერდა საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობები. ინსტიტუტს კავშირი აქვს ისეთ სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან, როგორიცაა: **კოლუმბიის უნივერსიტეტი** (ნიუ-იორკი, აშშ); **რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეონომიკის ინსტიტუტი** (მოსკოვი, რუსეთი); **ნიუ იორკის უნივერსიტეტი** (ნიუ-იორკი, აშშ); **კალიფორნიის უნივერსიტეტი** (ბერკლი, აშშ); **კალიფორნიის უნივერსიტეტი** (დევისი, აშშ); **კალიფორნიის უნივერსიტეტი** (ლოს ანჯელესი, აშშ); **კალგარის უნივერსიტეტი** (კანადა); **ბერგენის უნივერსიტეტი** (ნორვეგია); **კეპლერის უნივერსიტეტი** (ავსტრია); **ტრინიტის უნივერსიტეტი** (ირლანდია); **ჰერიოტ–ვოტის უნივერსიტეტი** (დიდი ბრიტანეთი); **ლონდონის უნივერსიტეტი** (დიდი ბრიტანეთი); **ლონდონის ეკონომიკის სკოლა** (დიდი ბრიტანეთი); **ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი** (ავსტრია); **გენტის უნივერსიტეტი** (ბელგია); **პოზნანის უნივერსიტეტი** (პოლონეთი); **იოანე პავლე მეორის სახელობის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი** (პოლონეთი); **ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი** (კიევი, უკრაინა); **ტელ-ავივის უნივერსიტეტი** (ისრაელი); **ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტი** (იტალია); **ერასმუსის უნივერსიტეტი** (ნიდერლანდები); **ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტი** (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); **ვილნიუსის უნივერსიტეტი** (ვილნიუსი, ლიეტუვა).

XI. დაარსდა პაატა გუგუშვილის სახელობის მედალი, რომლითაც აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე

წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ ცნობილ მეცნიერები.

XII. 2020 წელს ინსტიტუტი გახდა: 1. გაეროს **“მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებათა ქსელის” (UN Sustainable Development Solutions Network (UN SDSN))** და 2. .ევროკომისიის მიერ დაფუძნებულ 'კვლევისა და ინოვაციის პროგრამის (European Commission Program on Research and Innovation) წევრი,

XIII. ინსტიტუტის თანამშრომლები არიან არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალისა და შრომათა კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრები, სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტები და სხვა.

რამაზ აბესაძე

თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ემდ, პროფესორი

სამეცნიერო ნაშრომები

რამაზ აბესაძე

საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა და სისტემა

ანოტაცია. *ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის ინოვაციური პოლიტიკისა და ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბების არსებული მდგომარეობა და დასახულია მათი გაუმჯობესების გზები. შემოთავაზებულია საქართველოში ინოვაციური პოლიტიკისა და სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები.*

შესავალი

საზოგადოების პროგრესი განუყრელადაა დაკავშირებული ინოვაციებთან. მან განაპირობა არნახული პროგრესი ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროსა და ყოფაცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი, ეს არის ინოვაციათა განხორციელების პროცესი ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტში. ინოვაციური ეკონომიკა ეფუძნება ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, ინსტიტუციების, ადამიანისეული კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური განვითარების გზაზე დაშვებული იქნა არაერთი შეცდომა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ არ იქნა გათვალისწინებული ის გამოცდილება, რომელიც ისტორიულად დაგროვდა მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში. ეს არის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების, ცოდნაზე დაფუძნებული ანუ ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების გზა. პრაქტიკა უჩვენებს, რომ წარმატებას აღწევს ის ქვეყანა, რომელიც ახერხებს პროგრესული თვისებრივი ცვლილებების განხორციელებას ეკონომიკური სისტემაში, მის ყველა ელემენტში: ტექნოლოგიებში, ფიზიკურ და

ადამიანისეულ კაპიტალში, ინსტიტუციებში, საკუთრების ფორმებში, ინფორმაციებსა და სატელეკომუნიკაციო საშუალებებში და ა. შ.

საქართველოში არცერთი წინა მთავრობა არ იხილავდა ინოვაციებს სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულ სფეროდ [შატბერაშვილი ო. 2014], ამიტომაა, რომ ინოვაციების სამართლებრივი ბაზის ფორმირება ძირითადად 2013 წლიდან იწყება, როდესაც ქვეყანაში აღიარებული იქნა ეკონომიკის ინოვაციური განვითარების გზა. თუმცა, შეიძლება დავასახელოთ დოკუმენტები, რომლებიც არაპირდაპირ ან პირდაპირ პასუხობენ ინოვაციური განვითარების მოთხოვნებს და რომლებიც მანამდე იყო მიღებული. მაგრამ, ისინი სრულად ვერ აკმაყოფილებენ ინოვაციური სისტემის შესაქმნელად და გასაძლიერებლად საჭირო საკანონმდებლო ბაზას. ამასთან, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ინოვაციების დანერგვას საქართველოს ეკონომიკაში ადგილი არ ჰქონდა. გარკვეული ნაბიჯები იდგმებოდა საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო და სხვა ტექნოლოგიების დანერგვისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით [Абесадзе Р. 2016; Бурдули В., Абесадзе Р. 2016].

1. საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ფორმალური ინსტიტუციების ყველაზე აქტიური ნაწილის - საკანონმდებლო ბაზის (კანონები, ნორმატიული აქტები, დადგენილებები) ფორმირება, რაც მიმართულია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და საბაზრო მექანიზმის მაქსიმალური ეფექტიანობით ფუნქციონირებისაკენ. ისინი ხელს უწყობენ: ინოვაციურ პროცესებს; მეწარმეობის განვითარებას; მომხმარებელთა ინტერესების დაცვას; არეგულირებენ მწარმოებელს, რესურსების მფლობელსა და მომხმარებელს შორის დამოკიდებულებას; განსაზღვრავენ საკუთრებით ურთიერთობებს და სხვ. ეკონომიკური ხასიათის ასეთი კანონებიდან შეიძლება გამოიყოს კანონები: "მეწარმეობის შესახებ", "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ",

“დაზღვევის შესახებ“, “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, “რეკლამის შესახებ“, “მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, “პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, “ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“; “საგადასახადო კოდექსი“, “საბაჟო კოდექსი“ და მრავალი სხვ.

გარდა ეკონომიკური ხასიათის კანონებისა, ეკონომიკური განვითარების საკანონმდებლო ბაზას ავსებს აგრეთვე არაეკონომიკური ხასიათის კანონებიც. უპირველეს ყოვლისა, ესაა ქვეყნის “კონსტიტუცია“, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის ძირითად მიმართულებებს, საკუთრების ფორმებს და იცავს მათ ხელშეუხებლობას. კონსტიტუციით ასევე დაცულია ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები, შრომის თავისუფლება და შრომითი უფლებები, შრომის სამართლიანი ანაზღაურება, თავისუფალი მეწარმეობა და კონკურენციის განვითარება. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა და ა. შ.

კონსტიტუციის გარდა შეიძლება გამოიყოს: “სისხლის სამართლის კოდექსი“, “სამოქალაქო სამართლის კოდექსი“, “ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, “საარბიტრაჟო სამართალი“ და მრავალი სხვა. სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს დანაშაულს საკუთრების, სამეწარმეო, ფულად-საკრედიტო და სხვა სფეროში. იგი კორუფციული დანაშაულებების აღმოფხვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია. სამოქალაქო სამართლის კოდექსი უშუალოდ არეგულირებს ისეთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ურთიერთობებს, როგორიცაა ქონებრივი, ვალდებულებითი, სახელშეკრულებო (ნარდობა, ლიზინგი, ფრანჩაიზინგი, იჯარა) და სხვ. ურთიერთობები.

საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობის მთელ მანძილზე უშუალოდ ინოვაციურ პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტი 2016 წლამდე არ არსებობდა. 2016 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი **„ინოვაციების შესახებ“**[1],

[1] საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ. 2016. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328?publication=

რომლის მოქმედებაც ვრცელდება: ინოვაციური საქმიანობების სუბიექტებზე, ინოვაციური საქმიანობების ხელშემწყობ ინფრასტრუქტურაზე, ინოვაციური საქმიანობების დაფინანსებასა და ინოვაციების კომერციალიზაციაზე.

კანონის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ანუ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში გამოყენების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

კანონის მოქმედება ვრცელდება ინოვაციური საქმიანობების სუბიექტებზე, ინოვაციური საქმიანობების ხელშემწყობ ინფრასტრუქტურაზე, ინოვაციური საქმიანობების დაფინანსებასა და ინოვაციების კომერციალიზაციაზე, ინოვაციების ეკოსისტემის ჩამოყალიბებაზე.

ამ კანონის მიხედვით **ინოვაციების ეკოსისტემა** არის ეროვნული და რეგიონული ინოვაციური სისტემების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს, საგანმანათლებლო, სამრეწველო, სამეცნიერო და კერძო სექტორების თანამშრომლობას და მიმართულია სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნის შექმნის, განვითარების, გავრცელებისა და გამოყენებისაკენ, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. **ინოვაციური საქმიანობის ინფრასტრუქტურა** კი არის გარემო, რომელიც მიმართულია საგანმანათლებლო, სამრეწველო, სამეცნიერო და კერძო სექტორების დაკავშირების მათ შორის, თანამშრომლობისა და ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისაკენ.

კანონის მიხედვით ინოვაციების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს – კვლევებისა და ინოვა-

ციების საბჭოს წარდგინებით, რომლის ფუნქციებია: ინოვაციების სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების კოორდინაცია და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა; ეროვნული და რეგიონალური ინოვაციების ეკოსისტემების განვითარების კოორდინაცია, როგორც სახელმწიფო უწყებებს, ისე სახელმწიფო, კერძო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სექტორებს შორის; ინოვაციური საქმიანობების შესახებ ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ხელს უწყობს ინოვაციების კომერციალიზაციას და ახდენს ინოვაციების გამოყენების სტიმულირებას.

ინოვაციური საქმიანობის ხელშესაწყობად სახელმწიფო ორგანო ან სხვა პირი ქმნის შემდეგ ინფრასტრუქტურას: სამეცნიერო/ტექნოლოგიურ პარკს; ბიზნესინკუბატორს; ბიზნეს-ამაჩქარებელს; ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრს; სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიას (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორიას (ILab); ინოვაციების ცენტრს; სხვა ინფრასტრუქტურას.

მუნიციპალიტეტი ინოვაციური განვითარების მხარდაჭერას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად.

კვლევებისა და ინოვაციების საბჭო საქართველოს მთავრობას ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე ინოვაციური საქმიანობების და ამ მიზნით გამოყენებული ფინანსური რესურსების შესახებ წლიურ ანგარიშს.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების საკანონმდებლო ბაზას ასევე შეიძლება მივაკუთნოთ შემდეგი კანონები:

საქართველოს კანონი **“მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ”** (1994)[2]. იგი ქმნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო

[2] საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ. 1994. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28426?publication=21

პოლიტიკის სამართლებრივ საფუძველს, რაც ქვეყნის პროგრესისა და კეთილდღეობის ამაღლების საწინდარია. კანონის მიხედვით სახელმწიფო აღიარებს, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი საზოგადოების განვითარების, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სულიერი აღმავლობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენას და ეკონომიკის წინსვლას. იგი უზრუნველყოფს ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა, როგორც ეროვნული კულტურისა და განათლების განუყოფელ ნაწილთა, განვითარებას და სამეცნიერო კვლევა შემოქმედებითი საქმიანობის ფორმად მიაჩნია. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში საქმიანობა მოიცავს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებსა და დამუშავებას, მათი შედეგების გამოყენებას, არსებულ ტექნოლოგიათა და ტექნიკის სრულყოფას წარმოების დონის ამაღლების და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით. კანონი განსაზღვრავს მეცნიერის შემოქმედებით თავისუფლებას და პასუხისმგებლობას, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის სამართლებრივ ნორმებსა და გარანტიებს. **სახელმწიფო აღიარებს, რომ მეცნიერების დაფინანსების ზრდა მისი ვალდებულებაა.** სახელმწიფო პოლიტიკა უზრუნველყოფს: მეცნიერების განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების შექმნას და გარედან მოზიდვას, მათი გამოყენებით ახალ წარმოებათა შექმნას და არსებულ წარმოებათა ტექნიკურ განახლებას, აგრეთვე სხვა ინოვაციური საქმიანობის ყოველმხრივ ხელშეწყობას (ტექნოლოგიურ და ტექნიკურ სიახლეთა შექმნა-გამოყენება); საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზებიდან გამომდინარე, მეცნიერების გარკვეული დარგების პრიორიტეტების დადგენას და მათი განვითარების ხელშეწყობას; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროს დემოკრატიულ მართვას, მის დემონოპოლიზაციას, ინოვაციური საქმიანობის თვითრეგულირების ხელშეწყობას, სამეცნიერო მოღვაწეობის თავისუფლებას, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში სამეცნიერო საზოგადოების მონაწილეობას; სამეცნიერო და სამეცნიერო-

სასწავლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის თანდათანობითი ინტეგრაციის ხელშეწყობას; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში მეწარმეობისა და კონკურენციის მხარდაჭერას; საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების თანამშრომლობით ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

"უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი" (2004)[3] აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს. საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია: ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა

და განვითარებისათვის; პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის; სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიე-

[3] საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2004. https://matsne.gov.ge/ka/document/download/32830/85/ge/pdf

რო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს: უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღიაობას, მათ შორის, მსჯავრდებულისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას, მათ შორის, მსჯავრდებულისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში; უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში; უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციას; ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარებას, რაც გულისხმობს ავტორიზაციის სისტემის, აკრედიტაციის სისტემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) მექანიზმების ფუნქციონირებას; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში, აგრეთვე თანამშრომლობის სხვა საერთაშორისო სისტემებში სრულუფლებიან მონაწილეობას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების კონტროლის პროცესში; უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას; სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

“საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ” (2005)[4]; აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგან-მანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.

საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულე-ბებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

სახელმწიფო უზრუნველყოფს: ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში; საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლი-ტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკი-დებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან; ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებისა და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას.

[4] საქართველოს კანონი ზოგზდი განათლების შესახებhttps://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=87

„საქართველოს საპატენტო კანონი“ (1999)[5] აწესრიგებს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შექმნასთან, გამოყენებასთან და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. გამოგონების პატენტის მოქმედების ვადაა 20 წელი საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან. ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს გამომგონებლის მოთხოვნით, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობიდან გამომდინარე პატენტი შეიძლება გასაიდუმლდეს, მაგრამ არა უმეტეს 2 წლისა. გამომგონებელს გამოგონების გასაიდუმლოების შემთხვევაში ეძლევა შესაბამისი კომპენსაცია.

გამოგონება პატენტუნარიანია, თუ ის აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს – სიახლეს, საგამომგონებლო დონესა და სამრეწველო გამოყენებადობას. გამოგონებას აქვს სიახლე, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული დონით. გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ ის პრიორიტეტის (უპირატესობა, რომელიც აქვს განაცხადს მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით) თარიღისთვის სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან. გამოგონება სამრეწველოდ გამოყენებადია, თუ შესაძლებელია მისი დამზადება ან მრეწველობაში ან სოფლის მეურნეობაში გამოყენება.

გამოგონებად არ მიიჩნევა: აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, მათემატიკური მეთოდი; მხატვრული ქმნილება; ალგორითმი, კომპიუტერული პროგრამა; აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდი, თამაშობის, გათამაშების წესები; საქმიანობისა და ორგანიზების მართვის მეთოდი; შენობა-ნაგებობის, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების პროექტები; ინფორმაციის წარდგენა. განაცხადის საპატენტო ექსპერტიზას ატარებს საქპატენტი, რომლის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ.

ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება ასევე შემდეგი კანონები:

[5] საქართველოს საპატენტო კანონი. 1999.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/11470?publication=7

საქართველოს კანონი **"გრანტების შესახებ" (1996)**[6]. კანონი განსაზღვრავს საქართველოში გრანტის გაცემის, მიღებისა და გამოყენების საერთო პრინციპებს. გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. გრანტად ითვლება ასევე „ინოვაციების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გაცემული გრანტი. გრანტად არ ჩაითვლება სამეწარმეო მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები, გარდა იმ იურიდიულ პირზე გაცემული სახსრებისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები. გრანტად ითვლება ასევე პროგრამის „აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში მეწარმე სუბიექტზე ან სუბიექტთა ჯგუფზე გაცემული სახსრები.

საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ (1999)[7] არეგულირებს: იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას (საავტორო უფლებები); შემსრულებლის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებებთან

[6] საქართველოს კანონი გრანტების შესახებ. 1996.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/31510?publication=29
[7] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. 1999
https://matsne.gov.ge/ka/document/download/16198/10/ge/pdf

დაკავშირებულ ურთიერთობებს; მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

კანონი ვრცელდება: მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მონაცემთა ბაზაზე, რომლებზედაც უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე და იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ადგილსამყოფელი საქართველოს, ტერიტორიაზე; მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, მონაცემთა ბაზაზე, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა საქართველოს ტერიტორიაზე. ნაწარმოები, ფონოგრამა და ვიდეოგრამა ასევე ჩაითვლება საქართველოში პირველად გამოქვეყნებულად, თუ უცხო ქვეყანაში პირველი გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში ისინი გამოქვეყნდა საქართველოს ტერიტორიაზე; შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე; შესრულებაზე, რომელიც ჩაწერილია ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად; შესრულებაზე, რომელიც არ არის ჩაწერილი ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე, მაგრამ ჩართულია მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემაში, რომლის დაცვაც ხდება ამ მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად; საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებზე, აგრეთვე სხვა მაუწყებლის გადაცემაზე, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო მაუწყებლობის ლიცენზია ან გაიარა ავტორიზაცია და რომელიც გადასცემს გადაცემას საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემებით, ეთერის, კაბელის ან სხვა, ანალოგიური საშუალების გამოყენებით; არქიტექტურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც ჩართულია შემადგენელ ნაწილად საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ არქიტექტურულ ნაწარმოებში, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა; მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა

ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა; საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა. საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორციშესხმულია ნაწარმოებში.

საავტორო უფლება არ ვრცელდება შემდეგ ნაწარმოებებზე: ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), აგრეთვე მათ ოფიციალურ თარგმანებზე; სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები); ინფორფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში. ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტოროობის უფლების, სახელის უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ. ნაწარმოები, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. ამასთან, დაცული უნდა იყოს ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებები.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კანონი (2017)[8] ადგენს საავტორო და მომიჯნავე უფლებების, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების, დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების, პატენტზე განსაკუთრებული უფლებების, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიაზე განსაკუთრებული უფლებების, სელექციონერის განსაკუთრებული უფლებების, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების ან/და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის, საწყობის, თავისუფალი ზონის, რეექსპორტისა და ექსპორტის სასაქონლო ოპერაციების შესაბამისად გადაადგილებისას (შემდგომ – გადაადგილებისას) სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესს. იგი ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში დადებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების დებულებებს სპეციალური სასაზღვრო ღონისძიებების თაობაზე.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია "საქართველო 2020"(2014)[9]. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ საქართველოში არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განსახორციელებლად. ასევე ქვეყანაში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე.

[8] ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კანონი. 2017.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3936688?publication

[9] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია "საქართველო 2020". 2014.
http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

2. ეროვნული ინოვაციური სისტემა

ინოვაციური სისტემა ძალზედ (ეის) რთული ორგანიზმია იგი უზრუნველყოფს ახალი ცოდნის ინტენსიურ მოდინებას, მის გარდაქმნას სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეებად და მათ კომერციალიზაციას. ეს პროცესი (მათ შორის, ინოვაციების იმპორტი) კი ხორციელდება ინოვაციური ინფრასტრუქტურის მეშვეობით. ინოვაციური სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება ქვეყნებისა და მათ წინაშე მდგომი ამოცანების მიხედვით [**Бурдули** 2016].

ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურა შედგება იმ სუბიექტებისაგან, რომელთა საქმიანობა მიმართულია საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კერძო და სახელმწიფო სექტორის დაკავშირების, თანამშრომლობისა და ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისკენ. სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფო ორგანოთა და კერძო სექტორის გადაწყვეტილებათა გარდაქმნა ინოვაციად ანუ ყველა პროცესი მეცნიერული აღმოჩენებიდან ინოვაციებამდე. ეროვნული ინოვაციური სისტემა მოიცავს: **შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, სამეცნიერო სისტემას, განათლების სისტემასა და ინოვაციურ ინფრასტრუქტურას.**

სწორედ რეგულირების სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირებას. მასში მონაწილეობს ხელისუფლების თითქმის ყველა შტო. დიდია ასევე ეროვნული ბანკის წვლილი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში, ვინაიდან სწორი მონეტარული პოლიტიკა დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე, საერთოდ, და, ბუნებრივია, ინოვაციური პროცესების წარმართვაზე. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტატისტიკის სამსახური, ვინაიდან, საწარმოებში ინოვაციების განხორციელების შესახებ მონაცემთა უქონლობის გარეშე სწორი ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება და ღონისძიებათა დაგეგმვა შეუძლებელი იქნება.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს არაეკონომიკური პროფილის სამინისტროთა საქმიანობასაც, ვინაიდან ეკონომიკურ განვითარებაზე დიდ

გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორები, არამედ არაეკონომიკურიც. ამ მხრივ გამოირჩევა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც ქვეყნის ინოვაციური სისტემის ფუნდამენტის – განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზეა პასუხისმგებელი. დადებით გავლენას ახდენენ სხვა სამინისტროებიც, მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამყარებს რა კარგ ურთიერთობებს მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან, უმჯობესდება საინვესტიციო გარემო, რაც ხელს უწყობს ინოვაციების შემოდინებას ქვეყანაში და ა.შ.

პარლამენტმა უნდა მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები საკუთარი ინიციატივების ან მთავრობის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტების საფუძველზე.

სამართალდამცავი სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე დიდადაა დამოკიდებული ბიზნესგარემო. სამართლიანობის დაცვის შემთხვევაში როგორც შიგა, ისე გარე ინვესტიციები იზრდება და პირიქით.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უფლებამოსილნი არიან, მხარი დაუჭიროონ ინოვაციური პროექტების განხორციელებას, რეგიონული ინოვაციური სისტემების ფორმირებასა და განვითარებას.

სრულყოფილი ინოვაციური სისტემის ფორმირება შეუძლებელია განვითარებული საგანმანათლოებლო და სამეცნიერო სისტემების არსებობის გარეშე. საგანმანათლოებლო სისტემამ უნდა უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური სამეწარმეო და სამეცნიერო კადრების აღზრდა, სამეცნიერო სისტემამ კი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის ახალი ცოდნის (აღმოცენების) გენერირება. ამასთან განათლება და მეცნიერება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი დარგი. მართალია სამეცნიერო კადრებს განათლების სისტემა იძლევა, მაგრამ ახალ ცოდნასა იძლევა არა განათლება, არამედ მეცნერება, რაც საზოგასოების, ისე თვით განათლების პროგრესს განაპირობებს. ამდენად, პრიორიტეტი მეცნიერებას უნდა მიენიჭოს.

ინოვაციური საქმიანობის ხელშესაწყობად სახელმწიფო ორგანოს ან სხვა პირის მიერ შეიძლება შეიქმნას ინოვაციური ინფრასტრუქტურის შემდეგი სუბიექტები: სამეცნიერო ან ტექნოლოგიური პარკები; ბიზნესინკუბატორები; ბიზნესამაჩქა-

რებლები; ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები; სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორიები (ILab); ინოვაციების ცენტრები[10].

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი უზრუნველყოფს განსაზღვრულ სივრცეში ინფრასტრუქტურულ და პროფესიულ მომსახურებებს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ინოვაციური საქმიანობის სხვა სუბიექტებისათვის. იგი ხელს უწყობს აქ ჩამოთვლილი პირების თანამშრომლობას, ახალი ტექნოლოგიების შესაძლო უსწრაფეს გამოყენებას, ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას და ბაზარზე მათ გატანას.

ბიზნესინკუბატორის ძირითადი ფუნქციაა კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებისთვის სამუშაო სივრცის უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული და სხვა სახის ტექნიკური დახმარების გაწევა არაუმეტეს 2 წლის ვადით.

ბიზნესამაჩქარებლის ძირითადი ფუნქციაა, კონკურსის წესით შერჩეული ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებისთვის უზრუნველყოს სამუშაო სივრცე, მათი ბიზნესიდეისა და მოდელის განვითარება და დახვეწა, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს შესაბამისი კონკურსის პირობებით განსაზღვრული ინვესტირება.

ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი უზრუნველყოფს ინოვაციების გადაცემას, რაც მოიცავს ინოვაციის კომერციული პოტენციალის შეფასებას, პარტნიორთა მოძიებას ინოვაციის გადაცემისათვის და კომერციალიზაციის მიზნით ასეთი გადაცემის შეფასებას.

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია განსაზღვრულ სივრცეში ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურულ და პროფესიულ მომსახურებას, რაც გულისხმობს იდეების ტესტირებასა და ნიმუშის დამზადებას.

ინოვაციების ლაბორატორია, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან თანა-

[10] იქვე

მშრომლობის შედეგად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურულ და პროფესიულ მომსახურებებს და ტრენინგებს, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ ბიზნესზე ორიენტირებულ სწავლებას, იდეების ტესტირებასა და ნიმუშის დამზადებას.

ინოვაციების ცენტრი უზრუნველყოფს მოსახლეობის კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამაღლებას, ინოვაციების სფეროში სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას, დისტანციური სწავლებებისა და დასაქმების პლატფორმების დანერგვას.

გარდა ამისა, ინოვაციური ინფრასტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს სხვა სუბიექტთა ფართო სპექტრს: **მცირე ინოვაციურ, ინჟინირინგულ, კონსალტინგურ და ინფორმაციულ სამსახურებს, ტრეინინგ-ცენტრებს, ლიზინგური მომსახურეობის კომპანიებს, ინოვაციური მეწარმეობის მხარდამჭერ სახელმწიფო და არასახელმწიფო ფონდებს. ფინანსური მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად სასურველია ასევე არსებობდეს ინოვაციების ბანკი, რომელიც ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად გასცემს გრძელვადიან კრედიტებს დაბალი საპროცენტო განაკვეთით, დააზღვევს მათ და სხვ.**

3. საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემა

როგორც უკვე სწორედ ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, რამდენად აქტიურად და ეფექტიანად განხორციელდება ეროვნული ინოვაციური სუსტემის ფორმირების პროცესი. საქართველოში ამ ფუნქციებ ახორციელებს მთავრობა (სამინისტროები), პარლამენტი, სამართალდამცავი სისტემა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. მთავრობამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა, ინოვაციური განვითარების სტრატეგია და პროგრამა. ამ პროცესში მონაწილეობს ყველა სამინისტრო. განსაკუთრებული როლს თამაშობენ ეკონომიკური და მასთან დაახლოებული პროფილის სამინისტროები: **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ** უნდა შეიმუშაოს ქვეყანის ინოვაციური განვითარების სტრატეგია და პროგრამა. გარემოსა

და ბუნებრივი რესურსების დაცვის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს ისეთი ინოვაციების განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებაზე გადასვლას, სოფლად სასაქონლო ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებას ინოვაციების დანერგვის გზით. ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრისას, მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს საგადასახადო შეღავათებსა და საბიუჯეტო დახმარებებს ინოვაციების წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. ენერგეტიკის სამინისტრო უნდა ატარებდეს ენერგოდამზოგ და განახლებადი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების პოლიტიკას. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ხელს უნდა უწყობდეს რეგიონული ინოვაციური სისტემის შექმნასა და განვითარებას.

გარდა სამინისტროებისა საქართველოში შეიქმნა ინოვაციური საქმიანობის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებული ერთეულები, ესენია:

მთავრობის სათათბირო ორგანო **საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების საბჭო,** რომელიც შეიქმნა 2015 წელს მეცნიერების განვითარების, კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით[•]. მისი ფუნქციებია: ეროვნული და რეგიონული ინოვაციების ეკოსისტემის განვითარების კოორდინაცია როგორც სახელმწიფო უწყებებს, ასევე სახელმწიფო, კერძო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სექტორებს შორის; საქართველოს მთავრობისთვის საქართველოში ინოვაციური საქმიანობების შესახებ ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და წარდგენა[11].; შემუშავება რეკომენდაციების ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, მეცნიერების დარგების განვითარებისათვის საჭირო რესურსების დაგეგმვის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება; ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის მშენებლობის, საინფორმაციო საზოგადოების განვითარების, ინტელექტუალური

[•] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2712487?publication=0

[11] საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ

პროდუქტების მთავარ საექსპორტო პროდუქტად ქცევის, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პრიორიტეტების და მათზე დაფუძნებული პროგრამების განსაზღვრის და განხორციელების ხელშეწყობა; ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის, ცოდნის კომერციალიზაციის, ტექნოლოგიების ადაპტაციის, ინოვაციური დამწყები კომპანიების განვითარების ხელშეწყობისათვის საბიუჯეტო ფინანსური რესურსების გამოყოფის, ასევე, დონორი ორგანიზაციებიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა; ქვეყანაში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების ხელშეწყობა; ექსპორტზე ორიენტირებული ინოვაციების და ტექნოლოგიების, ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქტების და მომსახურების ხელშეწყობა; ყველა დარგის მეცნიერთაგან საუკეთესოთა შორის საუკეთესოთა მხარდაჭერის ხელშეწყობა; საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად; დამოუკიდებელ წარჩინებულ ლიდერ მკვლევართა საქმის წახალისების ხელშეწყობა; დღევანდელი და ხვალინდელი დღის საუკეთესო ქართველ მკვლევართა სტატუსისა და ხილვადობის გაზრდის ხელშეწყობა[•].

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს **ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო**. სააგენტოს მისიაა საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში, ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნა და ქვეყნის მასშტაბით მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარება[••].

კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტი. მისი ძირითადი ფუნქციაა ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიის, პროგრამების ძირითად

[•] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2712487?publication=0

[••] https://gita.gov.ge

მიმართულებათა შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება•.

საქპატენტი[12] არის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, რომელიც განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება განისაზღვრა, რაც აისახა ქვეყნის კონსტიტუციასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. ნიშანდობლივია ის, რომ საქართველომ 1992 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის პირველმა შექმნა და აამოქმედა ეროვნული საპატენტო სამსახური ,,საქპატენტი", რომელიც შემდგომ გარდაიქმნა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრად. დროთა განმავლობაში საქპატენტში მთლიანად იქნა კონსოლიდირებული ინტელექტუალური საკუთრების ყველა ძირითადი სფერო: სამრეწველო საკუთრება, საავტორო და მომიჯნავე უფლებები, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების გლობალურ სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაცია წარმოადგენს, რაც ასევე იქცა საქპატენტის მთავარ პრიორიტეტად. დღეისათვის საქართველო მიერთებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველა ძირითად კონვენციასა და შეთანხმებას და არის მრავალი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე.

საქართველოს ინნოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურის შმადგენელი ინსტიტუტებია:

უნივერსიტეტები, კოლეჯები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია; ტექნიკური პარკები და ინოვაციების ცენტრები: თბილისის ტექნოპარკი,

• http://www.moesd.gov.ge/?page=departments&dep=9

[12] http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/18/

ზუგდიდის ტექნიკური, თელავის ტექნოპარკი, ახმეტის ინოვაციების ცენტრი, რუხის ინოვაციების ცენტრი. უახლოეს მომავალში ტექნოპარკები გაიხსნება ბათუმში, კასპსა და გურჯაანში. სააგენტოს ხელშეწყობით შეიქმნა ასევე ინოვაციების ცენტრები **ხარაგაულში, ჭოპორტსა და ბაღდათში; ფაბლაბი** საქართველო ამიერკავკასიაში პირველი ქვეყანაა, რომელიც **ფაბლაბების** რუკაზე გაჩნდა. პირველი ფაბლაბი თბილისში, **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის** ბაზაზე **2015** წელს შეიქმნა. ამჟამად თბილისში ფუნქციონირებს **ტექნოპარკის, სამხატვრო აკადემიის**, **სახელმწიფო უნივერსიტეტისა** და **ტექნიკური უნივერსიტეტის**, ხოლო რეგიონებში – **ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის და ზუგდიდის ტექნოპარკის** ფაბლაბები. ფაბლაბები ფუნქციონირებს ასევე **მესტიაში, გურჯაანში, ახალციხეში, ქობულეთში, წალენჯიხაში, ფოთში, ამბროლაურსა და რუსთავში პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე**[13]**; „სილიკონ ველი თბილისი", ბიზნეს კლასტერები. ბიზნეს კლასტერებს** საქართველოში დიდი ხნის ისტორია არ აქვთ. პირველი კლასტერი სულ რაღაც 2,5 წლის წინ ჩამოყალიბდა. ეს **ქართული ავეჯის კლასტერია** იყო, 2017 წლის ზაფხულში შეიქმნა **საქართველოს კინოკლასტერი,** რომელიც დღეისთვის კინოწარმოების სფეროს 40-ზე მეტ პროფესიონალს აერთიანებს. მოგვიანებით კი - **საქართველოს აისიტი კლასტერიც** დაფუძნდა. ეს უკანასკნელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო დარგში მოღვაწე 11 კომპანიას აერთიანებს მიმდინარეობს კლას-ტერების შექმნა ტურიზმის მიმართულებით. პროექტი იმუშავებს იმერეთსა და კახეთში და სამი თემატური კლასტერის შექმნას ისახავს მიზნად: **ადგილობრივი ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის კლასტერი, ავთენტური სასტუმროების კლასტერი და კულტურული მემკვიდრეობის კლასტერი**, სადაც გაერთიანდებიან შესაბამისი პროდუქტებისა და სერვისების მიმწოდებელი მეწარმეები და ორგანიზაციები[14]. კლასტერების ხელშემწყობი პროგრამები ყველაზე ხშირად შემდეგ მიზნებს ემსახურება: თანამშრომლობის გაძლიერება კომპანიებს/ (ინდუსტრიას) და

[13] http://fablab.gov.ge/geo/static/43/saqartvelos-fab

[14] საქართველოში ბიზნეს კლასტერების განვითარება ძალას იკრებს. 2020 http://eugeorgia.info/ka/article/812/saqartveloshi-biznes-klasterebis-ganvitareba-dzalas-ikrebs/

კვლევით ორგანიზაციებს (მეცნიერებას) შორის; მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაზრდა; საერთა-შორისო აქტივობების მხარდაჭერა. ამავე კვლევის თანახმად, პროგრამების სამიზნე სექტორი ყველაზე ხშირად არის განვითარებადი ინდუსტრიები და ტექნოლოგიები[15].

საქართველოს საპარტნიორო ფონდი. იგი შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვი-თარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.). საქართველოს რკინიგზა და ნავთობისა და გაზის კორპორაცია წარმოადგენენ „საპარტნიორო ფონდის" საინვესტიციო საქმია-ნობის დაფინანსების მთავარ წყაროს. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე. ფონდისთვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვი-თარების დიდი პოტენციალით. მათ შორის შემდეგ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა. ფონდის მონაწილეობით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები. მაგალითად: უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი 230 მეგავატის სიმძლავრის გარდაბნის თბოელექტროსადგური ენერგოკომპანიაა, რომლის მშენებლობა 2014 წლის იანვარში დაიწო, 2015 წლის ივლისში კი ის ექსპლუატაციაში შევიდა. იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში; რეზერვუარის ტიპის ჰიდროელექტროსადგური ნენსკრაჰესი სვანეთში. იგი ყოველ-წლიურად 1'200.00 გვტ. სთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც მთლიანად ადგილობრივ ბაზარს მოხმარდება; სასტუმრო „Radisson Collection Tsinandali" პირველი ბრენდირებული

[15] https://eu4georgia.ge/ka/კლასტერები-განვითარების/

ხუთვარსკვლავიანი ტურისტული კომპლექსი კახეთში მეცხრამეტე საუკუნის ისტორიული მუზეუმის ტერიტორიაზე; ლოპოტას სასტუმრო კომპლექსი კახეთის რეგიონში. გაფართოვდა ლოპოტას ტურისტული კომპლექსი. დამატებით აშენდა 84-ნომრიანი სასტუმრო, ადმინისტრაციული შენობა, 600-ადგილიანი ღონისძიებების დარბაზი, რესტორანი, ბუნგალო, ფიტნეს კლუბი, დახურული და ღია საცურაო აუზები. „საპარტნიორო ფონდის“ მიერ განხორციელებული „ლოპოტა სპა რეზორტის“ გაფართოების მესამე ფაზის ფარგლებში კი ტერიტორიაზე „შატო ბუერას“ მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც ღვინის საწარმოს და რესტორანს გააერთიანებს; ამიერკავკასიაში პირველი სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხანა საწარმო საქართველოში კომპოზიტური მასალებისგან სამოქალაქო თვითმფრინავების მაღალი სტანდარტის შესაბამის ნაწილებს, მათ შორის, თვითმფრინავის კარებებს, აეროდინამიკურ ზედაპირებს, საკონტროლო პანელებს სხვა ნაწილებს ამზადებს. საწარმოში დამზადებული პირველი პროდუქცია მსოფლიო ავიაციის უმსხვილესმა ავიაკომპანია „Boeing“-მა შეისყიდა. აღნიშნულ პროდუქციას ქარხანა ასევე მიაწვდის თვითმფრინავების მწარმოებელ ისეთ ცნობილ კომპანიებს, როგორებიცაა: Airbus, Bombardier და სხვა. ამ დროისთვის ქარხანაში 120-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, რომლებმაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად გადამზადება ისრაელის კომპანია „ელბიტ საიკლონის“ სპეციალისტებთან გაიარეს. სწავლება ეტაპობრივად გრძელდება. ქარხნის სრულად დატვირთვის შემდეგ საწარმო 300-მდე ადამიანს დაასაქმებს. ქარხანა ISO-ს სერთიფიკატსა და „Boeing“-ის შესაბამისობის სერტიფიკატს ფლობს; ერთობლივი პროექტი, რომელიც საქართველოში მაღალი ენერგოეფექტური სამშენებლო გაზო-ბლოკების წარმოებას გულისხმობს; კასპში დაიწყო ევროპული სტანდარტებისა და მაღალი ტექნოლოგიების აგურის ქარხნის მშენებლობა. აგურის ქარხანა ყოველწლიურად 120, 000 ტონა აგურს გამოუშვებს. საწარმოში 50-მდე ადგილობრივი დასაქმდება; პროექტი მრავალწლიანი ევროპული გამოცდილებისა და ქართული აგურის წარმოების ტრადიციული მეთოდების შერწყმას, უმაღლესი ხარისხის, კონკურენტუნარიანი ენერგო-ეფექტური სამშენებლო მასალის ადგილობრივი მომავალში კი

საერთაშორისო ბაზრისთვის მიწოდებას გულისხმობს. მეტეხის კერამიკული პროდუქციის ქარხანა აღიჭურვება პარტნიორი ესპანური კომპანიის თანამედროვე საწარმოო ხაზებით, დანადგარებით და ტექნიკით. გამოყენებული იქნება კასპის რაიონში არსებული სააგურე თიხის კარიერები. თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული აგური გაუმჯობესებული თბოიზოლაციით, ნესტგამძლეობით, ხმის იზოლაციითა და შემცირებული წონით გამოირჩევა; სამშენებლო მასალების, ე.წ. სენდვიჩ პანელების საწარმო რუსთავში. კომპანია აწარმოებს კედლისა და სახურავების სენდვიჩ პანელებს, რომლებიც განსაზღვრულია მომხმარებელთა ფართო კატეგორიისთვის: სამშენებლო კომპანიები, კერძო სახლები, არქიტექტორები, დილერები, ინდუსტრიული მშენებლობები. პანელები გამოიყენება ინდუსტრიული მშენებლობისთვის (მაგ: მაცივრები, საწყობები და სხვა). პროექტი იტალიური ექსპორტ-იმპორტის სააგენტო „SACE“-ს ფინანსური ჩართულობით განხრციელდა; სამეგრელოში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ქართული სიმინდის მარცვლის გადამამუშავებელი, ზეთის მიმღები და კომბი-ნირებული საკვების მწარმოებელი ქარხანა. საწარმო თანამედროვე მანქანა-დანადგარებითა და ტექნიკით აღიჭურვა. საწარმო დღეში 50 ტონა სიმინდის მარცვლის გადამუშავებას შეძლებს და სრული წარმადობის შემთხვევაში, თვეში 100 ტონა სიმინდის ზეთს გამოუშვებს. ზეთის წარმოება ადგილობრივი ნედლეულით მოხდება. საწყის ეტაპზე კომპანია სიმინდის ზეთით ადგილობრივ ბაზარს მოამარაგებს. ISO სერტიფიკატის აღების შემდეგ საქართველოში წარმოებული პროდუქტი ექსპორტზე გავა; „ქართული მთის ღორის გადარჩენის პროექტი“. იგი 5-დან 7 წლამდე პერიოდს მოიცავს და 5 ეტაპისგან შედგება. ამჟამად პროექტის პირველი ეტაპი მიმდინარეობს, რომელიც სოფელ ღარში ევროპული ტექნოლოგიებისა და სტანდარტების შესაბამისი მეღორეობის ფერმის მშენებლობას, საქართველოს მასშტაბით ქართული უნიკალური „იბერიკოს“ ჯიშის ანალოგის მთის ღორების მოძიებისა და მათ ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ, სპეციალიზებულ ფერმაში გადაყვანის პროცესს მოიცავს; კომპანია „იმერეთი გრინერი". აწარმოებს ჯანსაღ ქართულ პროდუქციას თანამედროვე

ჰოლანდიური ტექნოლოგიების გამოყენებით. უახლესი ჰოლანდიური დიზაინით, იგი ყველაზე თანამედროვე სათბურია კავკასიაში, რომელიც იყენებს Philips LED განათების სისტემას, რაც განსაკუთრებულად ეფექტიანია ზამთრის პერიოდში. მაღალტექნოლოგიური ჰოლანდიურ-ქართული საწარმო დღეს ბაზარზე ქართული ბოსტნეულის ერთ-ერთ მსხვილი მიმწოდებელია; გურიაში გაშენდა ლურჯი მოცვის პლანტაციები და შეიქმნა პროდუქტის დახარისხება-შენახვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. პროექტი მოიცავს ლურჯი მოცვის მოყვანას, დახარისხებას, შეფუთვასა და შემნახველი ინფრასტრუქტურის მშენელობას ოზურგეთის რაიონში. ამერიკული ლურჯი მოცვი, რომელიც გურიისა და აჭარის მაღალმთიანეთის კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუა, უნიკალური თვისებების გამო, მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს. მოცვის მოსავლის 90 პროცენტი ექსპორტზე გადის, მათ შორის, დიდი ბრიტანეთში, ნიდერლანდებში, პოლონეთში და ა.შ.; ქვემო ქართლში. მეცხოველეობის სანაშენე კომპლექსი აღჭურვილია ცნობილი კომპანია „Big Dutchman“-ის მიერ წარმოებული მანქანა-დანადგარებით; ჩაის რეაბილიტაციის ერთობლივი პროექტი დასავლეთ საქართველოში. პროექტი რამდენიმე საფეხურს მოიცავს. პროექტი „პეკინის ძინფენ ჰანიეს სოფლის მეურნეობის განვითარების კომპანიასთან“ ერთად ხორციელდება; მეღორეობის კომპლექსი “კალანდა“ ერთობლივი პროექტი ქვემო ქართლში. მეცხოველეობის სანაშენე კომპლექსი აღჭურვილია ცნობილი კომპანია „Big Dutchman“-ის მიერ წარმოებული მანქანა-დანადგარებით; სოფელ რუხის მრავალფუნქციური საქვაჭრო ცენტრი, რომელიც რეგიონის მსხვილ სავაჭრო დაწესებულებას წარმოადგენს[16].

2016 წლის საქართველოში ამოქმედდა ვენჩურული საინვესტიციო პროგრამა - "**სტარტაპ საქართველო**“, დამწყები ბიზნესების ინოვაციური იდეების ფინანსური მხარდაჭერის აღმოსაჩენად, ის მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, შესაბამისი განათლების მიღების ხელშეწყობას. პროექტის კოორდინატორები არიან "საპარტნიორო ფონდი“ და

[16] https://www.fund.ge/site/projects

„საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე. დაფინანსება გაიცემა პირადი ქონებით უზრუნველყოფისა და გირაოს გარეშე. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ტრენინგებს, ქოაჩინგს, მენტორინგს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის. ვენჩურული საინვესტიციო პროექტი განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებისთვის, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები და ტელეკომუნიკაცია. "სტარტაპ საქართველოს“ მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვატორების იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას[•].

საინფორმაციო ხელმისაწვდომობის ცენტრი (IAC) და ინტერნეტ სერვისის ცენტრი უსინათლო და მცირედმხედველთა პირებისთვის. საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის შედეგად, 2016 წელს ქ.თბილისში გაიხსნა საქართველოში პირველი **ინტერნეტ სერვის ცენტრი უსინათლოთათვის** (Information Access Center – IAC), რომელიც აღჭურვილია ტექნიკური დანადგარებით, მათ შორის უსინათლოთათვის განკუთვნილი ბრაილის შრიფტის მქონე კლავიატურებით და მათთვის საჭირო ყველა სხვა ტექნიკით[•].

საქართველოში საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მიმდინარეობს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ინფორმაციულ და ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებს: სწრაფად იზრდება როგორც ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების, ასევე მობილური აბონენტებისა და ინტერნეტმომხმარებლების რიცხოვნება; **WiFi**-ით მომსახურება წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად ტექნო-

[•] http://www.moesd.gov.ge/?page=projects&s=29

[•] http://www.economy.ge/index.php?page=projects&s=18

ლოგიას (საჭიროა აღინიშნოს, რომ ის ძალიან სწრაფად ვითარდება იმ რეგიონებში, სადაც საკაბელო ინტერნეტი ნაკლებად მისაწვდომია); მრავალი წლის განმავლობაში იზრდება შემოსავალი, მიღებული სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობიდან; შეიქმნა და ვითარდება საინფორმაციო ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების ბიზნესსექტორი; მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებაში შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს ლოკალური ინფორმაციული ქსელები – **LAN**; საერთაშორისო პროექტების ჩარჩოებში განხორციელდა ცალკეული ICT კომპონენტების შექმნა და გამოყენება; ქუთაისში შეიქმნა მეორე სახელმწიფო უწყებათაშორისი საინფორმაციო ქსელი – **MAN**; იმერეთში რეგიონული უწყებათაშორისი საინფორმაციო ქსელი – **WAN**; საზოგადოების ყველა სოციალური ფენის და ყველა ასაკის ფართო ფენები ღებულობენ კომპიუტერულ განათლებას და სხვა [Абесадзе Р., 2016].

2016 წელს საქართველო გახდა კვლევებისა და ინოვაციების **"Horizon 2020"-**ის პროგრამის სრულუფლებიან წევრი, რამაც საქართველოს მკლევარებსა და ინოვატორებს შესაძლებლობა მისცა პროგრამაში მონაწილეობა მიიღონ იმავე პირობებით, რომლითაც მონაწილეობას ღებულობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

განხორციელდა სახელმწიფო ციფრული მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობის ქსელის ინტეგრაცია. 2016 წელს ამოქმედდა 110 ციფრული რეტრანსლატორი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მაღალმთიან რეგიონებშია განთავსებული. აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შედეგად მიმდინარე პერიოდში საერთო ჯამში ქვეყნის მოსახლეობის 97%-ზე მეტს წვდომა აქვს საზოგადოებრივი მაუწყებლის და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის პროგრამებთან.

დღეისათვის განხორციელების ეტაპზეა სხვადასხვა ინოვაციური პროგრამა: 1. **საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელების** შედეგად, საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა ისარგებლებს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით. უპირველესყოვლისა პროექტის ფარგლებში დაიფარება:

ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყარის ხეობები; 2. **ევროპასა და აზიას შორის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც** მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში საბითუმო ინტერნეტის კონკურენტული ფასების არსებობას და საქართველოს გავლით ევროპა-აზიის სატელეკომუნიკაციო ტრაფიკების გაცვლის დერეფნის ფორმირებას. 3. შავ ზღვაში და კასპიის ზღვაში წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალის მშენებლობა, რაც ევროპასა და აზიას შორის ოპტკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ინფრასტრუქტურა ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრის, ფასების და ხარისხის გაუმჯობესებისა და კატასტროფების წინააღმდეგ ბრძოლის, ციფრულ კონტენტზე გამართივებული დაშვების და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საშუალებას იძლევა. 4. **უსაფრთხო ინტერნეტ სივრცის უზრუნველყოფა** დაიწყო მუშაობა ,,ონლაინ უსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიაზე'', რომლითაც განისაზღვრება ქვეყანაში განსახორციელებელი ღონისძიებები ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებისა და ინტერნეტ სივრცეში მავნე ზეგავლენისგან დასაცავად (განსაკუთრებით არასრულწლოვნების). 4. სატელეკომუნიკაციო სფეროში ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რის ფარგლებში მომზადდება კანონპროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“. 5. "აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM)“ პროექტი, რომლის მიზანია ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა[•].

ხორციელდება ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს. პროგრამის განმახორციელებლები არიან მსოფლიო ბანკი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. პროგრამის ფარგლებში მოხდება დაკავშირება კვლევით ინსტიტუტებთან იმისათვის, რომ შეირჩეს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეები. იგი სხვა

[•] http://www.moesd.gov.ge/?page=projects&s=18

აქტივობებთან ერთად გულისხმობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრებთან თანამშრომლობის განვითარებას, საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებისა და ევროპულ ბაზარზე შესვლის მიზნით[•].

IT Hub პროგრამა. პროგრამის მიზანია: მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა, კვალიფიციური კადრების რაოდენობის გაზრდა, ტექნოლოგიური მეწარმეობის შესაძლებლობების გაძლიერება და ადამიანისეული კაპიტალის განვითარება[•].

4. საქართველოში ინოვაციური პოლიტიკისა და ინოვაციური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები

4.1. ეკონომიკის განვითარების ზოგადი მოთხოვნები

ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ინოვაციური პოლიტიკისა და ინოვაციური სისტემის ძირეული გაძლიერება. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ზოგადი მოთხოვნების მკაცრი დაცვა.

როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება გვარწმუნებს, საბაზრო მექანიზმის მაქსიმალური ეფექტიანობა მიიღწევა მაშინ, როდესაც ეკონომიკაში დომინირებს კერძო საკუთრება, ადგილი აქვს სამეწარმეო თავისუფლებას, კონკურენციას, ჯანსაღ ფინანსურ ურთიერთობებს, ბიუჯეტის დაბალანსებულობას, გადასახადების ოპტიმალურ სიდიდეს და ა.შ. ამისათვის აუცილებელია: ბიზნესის თავისუფლება სახელმწიფოს მხრიდან არაეკონომიკური ჩარევებისაგან; მეწარმეობის, როგორც პრესტიჟული საქმიანობის, ყოველმხრივი რეკლამირება; ბიზნესის გადაქცევა შემოქმედებით, საზოგადოებრივ კიბეზე ყველაზე სწრაფი წინსვლის სფეროდ; კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა საკუთრების ფორმათა სრული პლურალიზაციის პირობებში; კანონიერი სიმდიდრის

[•] https://gita.gov.ge/geo/static/155/ttpp

[•] https://gita.gov.ge/geo/static/147

მოპოვებისა და ინვესტიციების გაწევის ყოველმხრივი წახალისება, რათა ბიზნესმენთა მიერ მიღებული მოგება გამოიყენებოდეს ქვეყანაში ეროვნული კაპიტალის გასაზრდელად; საბაზრო კონკურენციის გაძლიერება, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ცხოვრებაში განუხრელი გატარება; სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების გაძლიერება; ეს მოთხოვნები ამჟამად საქართველოში ძირითადად სრულდება, თუმცა პრობლემები მაინც რჩება, კერძოდ, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია უმუშევროზისა და სიღარიბის დონე, არასაკმაოდაა განვითარებული რეალური სექტორი, მცირე და საშუალო ბიზნესი, საბაზრო ინფრასტრუქტურა, სოფლის ეკონომიკა, მნიშვნელოვნად სჭარბობს იმპორტი ექსპორტს და სხვა. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზა სწორედ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებზე გადის.

ხანგრძლივვადიანი უმუშევრობა ამცირებს ეროვნული ადამიანისეული კპიტალის სიდიდეს, ვინაიდან უმუშევარი ადამიანის კვალიფიკაციის დონე, ფიზიკური და გონებრივი უნარი თანდათან ქვეითდება. უმუშევრობის დროს, ადგილი აქვს რა გამომუშავებული პროდუქციის დანაკარგებს, მცირდება დანაზოგების მოცულობა, რაც ამცირებს ინვესტიციებს, მათ შორის, ინვესტიციებს ინოვაციებზე. ასევე მცირდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც; უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს (ინვესტიციების შემცირებას), რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზრდასთან.

სიღარიბე უშუალო გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, ვინაიდან იგი ფიტავს სამუშაო ძალას და ამით ამცირებს ეროვნულ ადამიანისეულ კაპიტალს და შესაბამისად მწარმოებლურ შესაძლებლობებს.

რეალური სექტორის განუვითარებლობა ზღუდავს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას, ვინაიდან სწორედ მრეწველობა ამარაგებს მათ წარმოების შესაბამისი საშუალებებით.

საბაზრო ინფრასტრუქტურის (ბირჟები (საქონელის, ნედლეულის, საფონდო, ვალუტის); აუქციონები, ბაზრობები შუამავლობის ორგანიზაციული არა საბირჟო ფორმები; საკრედიტო სისტემა და კომერციული ბანკები; ემისიის სისტემა და ემისიური ბანკები; დასაქმების რეგულირების სისტემა და დასაქმების ხელშეწყობი სახელმწიფო და არა სახელმწიფო ცენტრები (შრომის ბირჟები); ინფორმაციული ტექნოლოგიები საქმიანი კომუნიკაციის საშუალებები; საგადასახადო სისტემა და საგადასახადო ინსპექცია; კომერციული სამეურნეო რისკების სადაზღვევო სისტემა და სადაზღვევო კომპანიები; სავაჭრო პალატები, სხვა ზოგადოებრივი, ნებაყოფლობითი და სახელმწიფო საქმიანი წრეების ასოციაციები (ასოციაციები); საბაჟო სისტემა; დასაქმებულთა პროფკავშირები; სავაჭრო და საგამოფენო კომპლექსები; უმაღლესი და საშუალო ეკონომიკური განათლების სისტემა; აუდიტორული კომპანიები; საკონსულტაციო (კონსალტინგური) კომპანიები; საზოგადოებრივი და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც მიზნად ისახავს ბიზნესის საქმიანობის სტიმულირებას; თავისუფალი მეწარმეობის სპეციალური ზონები). განუვითარებლობაც აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, ვინაიდა მისი შემადგენელი ელემენტები წარმოადგენს იმ არხებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საქონლისა და მომსახურების მოძრაობა მწარმოებლიდან მომხმარებლამდე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მათი საზღვარგარეთ გატანის შემთხვევაში. საბაზრო ინფრასტრუქტურის ფუნქციებია: 1) ბაზრის მონაწილეებისთვის მათი ინტერესების რეალიზაციის შემსუბუქება; 2) ბაზრის სუბიექტების ოპერატიულობისა ეფექტიანობის ამაღლება 3) საბაზრო ურთიერთობების ორგანიზაციული გაფორმება; 4) იურიდიული და ეკონომიკური კონტროლის ფორმების, ასევე ბიზნესის სახელმწიფო და საზოგადოებრივი რეგულირების შემსუბუქება[•].

[•]https://sites.google.com/site/economicsinitsina/home/meaning_of_infrastructure

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს: უმუშავროზისა და სიღარიბის შემცირებას; ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც განაპირობებს სოციალურ სტაბილურობას, რაც თავის მხრივ ხელ უწყობდა ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას; ქვეყნის მეწარმეობრივი პოტენციალის გამოვლენასა და გაძლიერებას. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას მისი სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა.

4.2. ინოვაციური პოლიტიკისა და სისტემას გაძლიერების მიმართულები

4.2.1. "ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სტრატეგიის" შემუშავება

სტრატეგიაში განისაზღვრება ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ძირითადი მიმართულებები, რომლის მიზანი იქნება ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა ინოვაციური პოლიტიკისა და ინოვაციური სისტემის ძირეული გაძლიერების საფუძველზე. სტრატეგიაში უნდა გამოიკვეთოს განვითარების პრიორიტეტები და მათი განხორციელების ეტაპები, ღონისძიების შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები. სტრატეგიის შემუშავებაში ხელისუფლების ყველა შტოს გარდა, მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ მეცნიერები (სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები) და ბიზნესის წარმომადგენლები.

სტრატეგიაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა განმტკიცდეს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა, ინოვაციური განვითარების გზა უნდა იყოს შეუქცევადი, მან უნდა მოიცვას საზოგადოების ყველა სფერო. კონცეფციის შემუშავების შემდეგ უნდა შემუშავდეს მისი სამოქმედო გეგმები განსაზღვრული პერიოდების მიხედვით (ჩვეულებრივ 5 ან 7 წლიანი). გეგმები შეიძლება იყოს: "რეალური სექტორის განვითარების სამოქმედო გეგმა", "სოფლის ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმა", "მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სამოქმედო გეგმა", "ქვეყნის ინოვაციური სისტემის განვითარების სამოქმედო გეგმა", „სამეცნიერო-ინოვაციური საქმიანობის განვითარების

სამოქმედო გეგმა“, “ინფორმაციული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სამოქმედო გეგმა”; “სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიღწევათა სამრეწველო წარმოებაში დანერგვის პროგრამა”, “სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია” და სხვა. ასევე შესაძლებელია მიღებული იქნეს შემდეგი კანონები: “განათლებისა და მეცნიერების განვითარების შესახებ”, “ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”, „კანონი მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, „ინოვაციური ინკუბატორისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკის შესახებ“, “სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის შესახებ”, “ინოვაციური მეწარმეობის განვითარების შესახებ” და სხვ.

უარყოფითი სავაჭრო სალდო წარმოშობს პრობლემებს სავალუტო ბაზარზე და საფრთხეს უქმნის ეროვნული ვალუტის სტაბილურობას. დადებითი საგადამხდელო სალდო კი მიიღწევა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შედეგად. კონკურენტუნარიანობის ამაღლება კი პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ინოვაციური სისტემის გამართულ ფუნქციონირებასთან.

4.2.2. ინოვაციური სისტემის გაძლიერება

განათლების სისტემის სრულყოფა. საქართველოში დამოუკიდებლობის წლებში არაერთი ღონისძიება გაატარა განათლების სისტემის რეორგანიზაციისათვის, ევროკავშირის განათლების სისტემასთან შესაბამისობის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, რჩება პრობლემები რომლებიც გადასაჭრელია. მაგალითად: საბაზო დაფინანსების არ არსებობა. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების წყაროა მხოლოდ სტუდენტთა შენატანები, რაც ხელს უწყობს ისეთი სტუდენტების შენარჩუნებას, რომელთაც მოსწრების დაბალი დონე აქვთ; წინა წლებში ქვეყნის განათლების სისტემაში არსებული ტრადიციებისა და ჩვევების გაუთვალისწინებლობა: მაგალითად, თავისუფალი დასწრების პირობებში სტუდენტები არ დადიან ლექციებზე და გარკვეული ქულების დაგროვების შემდეგ აღარ მონაწილეობენ სემინარულ მუშაობაში; სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი

სტუდენტობისა მუშაობს სალექციო საათების დროს; დაბალია სტუდენტთა კავშირი წარმოებასთან, რის გამოც კურსდამთავრებულები კვლავ საჭიროებენ გადამზადებას. აქედან გამომდინარე განათლების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს ხარისხზე და არა რაოდენობაზე. იგი ჯერ კიდევ სრულად არ არის ორიენტირებული ეკონომიკის მოთხოვნაზე. განათლების მიღება ვერ გახდა მომავალში შემოსავლის ზრდის გარანტირებული საშუალება. განუვითარებელი და არაეფექტურია კადრების გადამზადების სისტემა და სხვ.

სამეცნიერო სისტემის სრულყოფა. სამეცნიერო სისტემა სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ მხარდაჭერას საჭიროებს, უპირველესყოვლისა, შემდეგი მიმართულებებით: მეცნიერთა ანაზღაურების მოწესრიგება, რის გარეშეც მეცნიერების მიმართ ახალგაზრდების ინტერესი კვლავ შემცირდება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რომელიც დღეს არასახარბიელო მდგომარეობაშია; მჭიდრო კავშირების დამყარება მეცნიერებას (სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს), ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, რის გარეშეც სრულყოფილი ინოვაციური სისტემა ვერ ჩამოყალიბდება; მეცნიერებისა და ინოვაციური სისტემის სხვა ელემენტებს შორის ორგანული კავშირების ჩამოყალიბება.

1. თავიდან უნდა განხორციელდეს ინოვაციების იმპორტზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემის, ხოლო შემდეგ საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციური სისტემის ფორმირება და განვითარება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვერ გახდება კონკურენტუნარიანი და ყოველთვის იქნება პრობლემები სავაჭრო სალდოსა და ვალუტის სტაბილიზაციასთან დაკავშირებით. უნდა აღმოიფხვრას ინოვაციების იმპორტი დამამუხრუჭებელი ფაქტორები - ცოდნის უქონლობა, ინსტიტუციური მხარდაჭერის დაბალი დონე, ფინანსური რესურსების სიმწირე და სხვ.

საქართველოში უნდა დაინერგოს ინოვაციური სისტემის სამმაგი სპირალის მოდელი.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის სრულყოფა. საქართველოში აღმოსაფხვრელია ინოვაციური ინფრასტრუქტურის არასრულყოფილება, კერძოდ:

1. სუსტი კავშირების აღმოფხვრა მის ელემენტებს - სამეცნიერო ორგანიზაციებს, განათლების დაწესებულებებს, ბიზნესსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის;

2. **სამეცნიერო კვლევების მომსახურებისა და კვლევების შედეგების წარმოებაში გადაცემის სისტემის გაძლიერება. ეს სისტემა მოიცავს:** ბიზნესინკუბატორებს; ტექნოპარკებს; საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრებს; სოფლად ჯიშთა გამოცდისა და საკონსულტაციო სადგურებს; საკონსულტაციო ცენტრებს; ჰიდრომეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ, გეოდეზიურ, მეტროლოგიურ, სეისმოლოგიურ, სამოდელო, ხარისხის მართვის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის, სტანდარტიზაციისა და სხვ. სამსახურებს); ინოვაციური მცირე საწარმოების შექმნა და განვითარება;

სახელმწიფომ უნდა ურუნველყოს:

1. ინოვაციების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების შემუშავება; ინოვაციების განვითარების მასტიმულირებელი სისტემის შექმნა, წამახალისებელი საფინანსო, საგადასახადო და სხვა მექანიზმების გამოყენება;

2. უცხოური კრედიტებისა და დახმარებების გამოყენებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება, რათა ის მიიმართოს ინოვაციების დაჩქარებისაკენ;

3. **ტექნოლოგიების დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმების ამოქმედება;**

4. **ტექნოლოგიების შიგა და საერთაშორისო სატრანსფერო და ინოვაციური ვაუჩერული სისტემების დანერგვა;**

5.**სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემის სრულყოფა;**

6.**რეგიონული საინოვაციო საქმიანობის განვითარება**;

7. **დონორების მიერ განხორციელებული პროექტების დანერგვის მხარდაჭერა**;

8. **კონკურენტუნარიანი მეწარმეობის განვითარება;**

9. **სოფლის ეკონომიკის ინოვაციური განვითარება;**

10. **ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაძლიერება;**

11. **კადრების კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების სისტემის სრულყოფა. მეწარმეთა მომზადების**

სწავლების დანერგვა და სხვ.

12. საბანკო კრედიტების წარმართვა იპოთეკის სფეროდან უპირატესად მატერიალური წარმოების სფეროში;

13. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას;

14. შეღავათების დაწესება ტექნოლოგიების იმპორტზე;

15. კონკურენციის გაძლიერება;

16. შესაბამისი კადრების მომზადება;

17. ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერის ცენტრების შექმნა (ან ხელი შეუწყოს მათ შექმნას);

18. ინოვაციური ვაუჩერების გამოყენება, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ სტიმულს კომპანიების მიერ საერთაშორისო ინოვაციური საკონსულტაციო მომსახურების შესაძენად, რის საფუძველზედაც შეიქმნება ახალი ინოვაციები და სხვ.;

19. სამეცნიერო კვლევებზე და ინოვაციურ პროდუქცაზე ბიზნესის მოთხოვნის სტიმულირება;

20. ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის საფინანსო ინსტრუმენტების, კერძოდ ვენჩურული ფონდებისა და საფონდო ბაზარის გაძლიერება;

21. ინოვაციური მენეჯმენტისა და სიახლის კომერციალიზაციის თანამედროვე ფორმების გამოიყენება;

22. ტექნოლოგიების დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმების - მაღალტექნოლოგიური ეკონომიკური ზონების შექმნა;

23. რეგიონული საინოვაციო საქმიანობის გაძლიერება;

24. დონორების მიერ პროექტების განხორციელების შემდგომი მხარდაჭერა, რის გარეშეც ნულამდე დაიყვანება დონორთა საქმიანობა;

25. საგრანტო სისტემის და მისი მენეჯმენტის განვითარება. გრანტები უნდა არსებობდეს ყველა – უნივერსიტეტის, სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიისა და მუნიციპალიტეტების დონეზე;

26. სახელმწიფოსა და ბიზნესის მხრიდან სამეცნიერო კვლევებზე შეკვეთების მნიშვნელოვანი ზრდა;

27. საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციების განხორციელდების თანდათან ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შატბერაშვილი ო., ქოჩორაძე გ., ცაცანაშვილი მ. 2014. საიანოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას http://eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/Policy%20Paper_WG2_Inovacia.pdf

2. Абдуллаев А.М., Алмурадов А., Хакимов З. ПРИОРИТЕТНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ РЕСПУБЛИКИ УЗБЕКИСТАН В УСЛОВИЯХ МОДЕРНИЗАЦИИ. “Иқтисодиёт ва инновацион технологиялар” илмий электрон журнали. № 2, март-апрель, 2015. http://www.iqtisodiyot.uz/sites/default/files/maqolalar/5_A_M_Abdullayev_A_Almuradov_Z_Xakimov_0.pdf

3. Abesadze R. Economic regress and the reasons of its detection in economy of Georgia**. “**Ekonomisti”, 2016, №1

4. Абесадзе Р. Инновации, инновационные сети и общие направления формирования инновационной экономики в Грузии. XVII МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ *„Предпринимательство, социальная организация в структурах сети. Опыт и перспективы развития в Центральной и Восточной Европе”* (23-25 мая 2016 года, Польша)

5. Абесадзе Р. ИНФОРМАЦИОННЫЕ И ТЕЛЕКОММУНИКАЦИОННЫЕ ТЕХНОЛОГИИ И ПРОБЛЕМЫ ИХ РАЗВИТИЯ В ГРУЗИИ. Международная научно-практическая Интернет-конференция «ЭКОНОМИКА И МЕНЕДЖМЕНТ 2016: ПЕРСПЕКТИВЫ ИНТЕГРАЦИИ И ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ» (г. Днепропетровск · 14–15 апреля 2016 года) http://confcontact.com/node/598

Ramaz Abesadze

INNOVATION POLICY AND SYSTEM OF GEORGIA

Summary

In the work the existing state of innovation policy and innovation system of the forming of an innovation economy of Georgia and the ways of their improving are considered.

The main directions of the development of innovation policy and innovation system of Georgia are suggested.

ვლადიმერ პაპავა

საქართველოს გაკოტრების კანონმდებლობით გათვალისწინებული ეკონომიკური მექანიზმების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების პერსპექტივები

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება ევროკავშირის და საქართველოს გაკოტრების კანონმდებლობით გათვალისწინებული ეკონომიკური მექნიზმების შესწავლას. ნაჩვენებია, რომ უმთავრესი პრინციპი, რომელსაც ემყარება გაკოტრების თანამედროვე კანონმდებლობა არ იძლევა ეკონომიკის გადახდისუუნარო ფირმებისგან გათავისუფლების ქმედითუნარიან საშუალებას. მოცემულია ამ პრინციპის შეცვლის სწორი მიმართულება. გაკოტრების როგორც ევროპული, ისე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებაზე არ არის ორიენტირებული. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული კორონომიკური კრიზისი აჩერებს გაკოტრების მექანიზმის მოქმედებას, რაც ხელს უწყობს ეკონომიაში ზომბირებული სექტორის ზრდას.*

შესავალი

1996 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებას „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ (PCA). ამ შეთანხმების საფუძველზე საფუძველი ჩაეყარა ე.წ. სამართლებრივ დაახლოებას (legal approximation), რამაც არსებითად განაპირობა საქართველოში საკანომდებლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური სახელწოდების ქართული თარგმანია „სამართლებრივი აპროქსიმაცია“, ამ პროცესს სახელად დაერქვა „სამართლებრივი ჰარმონიზაცია“ (მაგალითად, [1, გვ 6]).

როგორც ცნობილია, 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყო ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების თანდათანობითი ძალაში შესვლის პროცესი, რამაც „სამართლებრივ ჰარმონიზაციას“ ახალი დინამიკა შესძინა.

„სამართლებრივი ჰარმონიზაცია“ ეხება საქართველოს მთელ, და მათ შორის ეკონომიკურ, კანონმდებლობას. ეკონომიკური საქმიანობის შესაბამის კანონმდებლობაში კი განსაკუთრებული ადგილი გადახდისუუნარობის, ან გაკოტრების შესახებ კანონმდებლობას უკავია, რომელიც ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან სამართლებრივ დაახლოებას ასევე უნდა დაექვემდებაროს.

კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1996 წლის 25 ივნისს მიიღო, რომელიც ძალაში 1997 წლის 1 იანვრიდან შევიდა. ეს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა მას შემდეგ, რაც 2007 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. მის საფუძველზე რეგულირდება სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების გადახდისუუნარობის პრობლემა. ეს კანონი ძალადაკარგული იქნება 2021 წლის 1 აპრილიდან [2], რადგანაც მას ჩაანაცვლებს 2020 წლის სექტემბერში მიღებული ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ [3].

2020 წელს განვითარებულმა COVID-19-ის პანდემიამ [4] გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია [5]. ამ ვითარებაში კი არაერთი ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემა თვისებრივად ახალ გააზრებას საჭიროებს.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანია შესწავლილ იქნეს COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოს გაკოტრების კანონმდებლობით გათვალისწინებული ეკონომიკური მექანიზმების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების შესაძლებლობები და სირთულეები.

გაკოტრების მთავარი პრინციპი და მისი შეცვლის მიზანშეწონილობა

ეკონომიკის სიჯანსაღისთვის (ანუ მის ისეთ მდგომარეობას, როცა ის თავისუფალი იქნება გადახდისუუნარო ფირმებისგან) გაკოტრების კანონმდებლობას ეფექტიანობას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით ანგა-

რიშგასაწევია ის, თუ გაკოტრების პროცედურები რამდენად ქმედითუნარიანი ხასიათისაა.

მართალია გაკოტრების უნივერსალური კანონონმდებლობა არ არსებობს, მაგრამ მიღწეულია ძალზედ მნიშვნელოვანი შეთანხმება იმ მთავარ პრინციპთან დაკავშირებით, რომელიც გაკოტრების რეჟიმის ხასიათს განაპირობებს. კერძოდ, ეს პრინციპი ეფუძვნება იმ ბალანსის შენარჩუნებას, რომელმაც არა მარტო უნდა უზრუნველყოს კრედიტორების ინტერესების დაცვა, არამედ თავიდან უნდა აიცილოს სიცოცხლისუნარიანი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაციის შესაძლებლობა [6, p. 3].

ჩვენი აზრით, სწორედ გაკოტრების ამ მთავარი პრინციპის გამო მსოფლიოს ეკონომიკა „გადატვირთულია“ ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი რეტროეკონომიკური ფირმებით, რომლებიც რეალურად აფერხებენ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას [7-9].

საქმის არსში გასარკვევად მოკლედ განვიხილოთ ის სირთულეები, რომელთა წინაშეც კარგა ხანია დგანან ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები.

გაკოტრების მთავარი პრინციპი ემყარება ფირმის სიცოცხლისუნარიანობის მეტ-ნაკლებად ობიექტურად შეფასებას. ეს კი ნამდვილად არ არის მარტივი გასაკეთებელი. კერძოდ, ფირმის სიცოცხლისუნარიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრიტერიუმი, რომელიც ემყარება მოცემული კონკრეტული ფირმის ღირებულებისა და სალიკვიდაციო ღირებულების შედარებას, და, თუ ამ ფირმის ღირებულება აღემატება სალიკვიდაციო ღირებულებას, მაშინ ითვლება, რომ მოცემული ფირმა სიცოცხლისუნარიანია. საკითხის სირთულე კი უშუალოდ იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ფირმის ღირებულების განსაზღვრისათვის უნდა მოხდეს მისი მომავალი შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება, რისი გაკეთებაც ჯეროვანი სიზუსტით საკმაოდ რთული ამოცანაა. მისი გადაწყვეტისათვის უნდა მოხდეს ამ ფირმის ბიზნესგეგმის და რეორგანიზაციის გეგმის შემუშავება, რომლის მიმართაც გაკოტრების პროცესში მონაწილე მხარეთა დამოკიდებულება, როგორც წესი, განსხვავებულია. კერძოდ, შესაბამისი ფირმების მესაკუთრეების განწყობის მიხედვით, ამ

გეგმებს აშკარად გამოხატული ოპტიმისტური ხასიათი უნდა ჰქონდეთ, მაშინ როცა კრედიტორების დამოკიდებულება კი ამ ტიპის გეგმების მიმართ ტრადიციულად უფრო კრიტიკული ხასიათისაა.

ფირმის მომავალი შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებასთან შედარებით სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრა უფრო ადვილია. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტას მოითხოვს რამდენიმე არც თუ მარტივი ამოცანა. კერძოდ, აუცილებელია იმ შემოსავლების შეფასება, რომლებიც უნდა იქნეს საწარმოს აქტივების გაყიდვიდან მიღებული [10, pp. 175-176].

ამ სირთულეების გათვალისწინებით და დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე, ფირმის გაკოტრების ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება არა მის ლიკვიდაციას, არამედ რეორგანიზაციას [11, p. 32]. ეს კი სულაც არ არის გასაკვირი, თუ კი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არასიცოცხლისუნარიანი ფირმების უკან, როგორც წესი, დგანან პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობენ ამ ფირმების შენარჩუნებას [10, p. 199].

იმისთვის, რომ მოხდეს ეკონომიკის გაჯანსაღება არასიცოცხლისუნარიანი ფირმების ბაზრიდან გასვლის ხელშეწყობით, ჩვენი აზრით, არსებითად უნდა შეიცვალოს გაკოტრების კანონონმდებლობის მთავარი პრინციპი. კერძოდ, უნდა მოხდეს კრედიტორების ინტერესების დაცვასა და სიცოცხლისუნარიანი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაციის თავიდან აცილებას შორის ბალანსის შენარჩუნების მიზანშეწონილობის ჩანაცვლება კრედიტორების ინტერესების დაცვასა და არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის ბალანსის უზრუნველყოფაზე. გაკოტრებისადმი ამგვარი მიდგომის გამოყენება ხელს შეუწყობს ეკონომიკაში კონკურენტულ გარემოს გაუმჯობესებას.

საყურადღებოა, რომ არასიცოცხლისუნარიანი ფირმებისაგან ბაზრის განთავისუფლება ბიზნესისთვის შექმნის ისეთ გარემოს, როცა პოლიტიკოსებს და სახელმწიფო მოხელეებს

სხვა გზა აღარ დარჩებათ გარდა იმისა, რომ თავისი გადაწყვეტილებებით მხარი დაუჭიროონ სიცოცხლისუნარიან ბიზნესს.

დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით განვითარებად ქვეყნებში გადახდისუუნარო ფირმის სიცოცხლისუნარიანობის საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია შეთანხმების მიღწევა უშუალოდ კრედიტორებსა და ამ ფირმის მესაკუთრეებს, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაც მიზეზთა გამო კრედიტორები და მესაკუთრეები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ აუცილებელია ამ პროცესში სახელმწიფოს ჩარევა გაკოტრების კანონმდებლობის საფუძველზე [10, pp. 176-178].

გასათვალისწინებელია, რომ იმ ამოცანის გადაწყვეტას, რომლის მიზანიცაა სიცოცხლისუნარიანი ფირმების შენარჩუნება-განვითარება მარტო გაკოტრების კანონმდებლობის სრულყოფა ვერ უშველის, თუ ნებისმიერი კონკრეტული ქვეყნის საკანონმდებლო ბაზაში სხვა კანონები არ უწყობენ ხელს ბაზარზე ჯანსაღი სამართლებრივი სივრცის შექმნას [11, p. 43]. არასიცოცხლისუნარიანი ფირმების ბაზარზე შენარჩუნებას ხელს უწყობს, მაგალითად, საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა, რომელიც, სხვა თანაბარ პირობებში, გაკოტრების პროცედურების წამოწყების დასაბლოკად გამოიყენება.

ევროკავშირში გაკოტრების კანონმდებლობის ეკონომიკური მექანიზმების თავისებურებები და საქართველოს გამოცდილება

როგორც ცნობილია, გაკოტრების ოფიციალური პროცედურა პირველად გამოყენებულ იქნა XIX საუკუნეში აშშ-ში, ხოლო ევროპაში ამერიკული გამოცდილება ერთი საუკუნის დაგვიანებით, XX საუკუნეში იქნა გაზიარებული [12]. აღიარებულია, რომ აშშ-ის გაკოტრების სისტემა მსოფლიოში ითვლება წამყვან, მისაბაძ სისტემად, რადგანაც ის ხელს უწყობს კრედიტორთათვის დასაბრუნებელი თანხის არა მარტო მაღალ დონეს, არამედ უზრუნველყოფს ფინანსურად სიცოცხლისუნარიან ფირმათა წარმატებით რესტრუქტურიზაციას.

სწორედ ამიტომ ითვლება, რომ რესტრუქტურიზაციის ევროპული კანონები გაკოტრების ამერიკული მოდელისკენ უნდა ესწრაფოდეს [13-16].

ევროკავშირისთვის გაკოტრების კანონმდებლობის უმთავრესი პრობლემა იყო ის, რომ მის წევრ სახელწიფოებში პარალელურად გამოიყენებოდა განსხვავებული საკანონმდებლო ნორმები და საჭირო იყო მათი ჰარმონიზაცია [17].

ამ საკითხის მოკლე ისტორია კი ასეთია. 1995 წლის 23 ნოემბრიდან დაიწყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ ევროპულ კონვენციაზე ხელმოწერების პროცედურა, რომელიც საბოლოო ჯამში ხელმოწერილ იქნა ყველა წევრი-სახელმწიფოს მიერ, დიდი ბრიტანეთის გარდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა საკითხი, რომელსაც ტრანს-სასაზღვრო გადახდისუუნარობის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი უნდა ჩამოეყალიბებინა. შედეგად, 1999 წლის 7 მაისს ევროკავშირის პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კონვენციის შესახებ. 2000 წლის 2 მარტს კი ევროპარლამენტმა დაამტკიცა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ რეგლამენტი #1346/2000 [18]. ეს რეგლამენტი 2002 წლიდან შევიდა ძალაში. 2015 წლის 20 მაისს კი მიღებულ იქნა ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს რეგლამენტი #2015/848, რომელიც ძალაში 2017 წლის 26 ივნისიდან შევიდა. შედეგად, შემუშავებულ იქნა ზესახელმწიფოებრივი სამართლებრივი მექანიზმი, რომელმაც უზრუნველყო, რომ გაკოტრების შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და სამართალწარმოების ერთი ადგილის (ერთიანი სამართალწარმოების) განსაზღვრის პრობლემები უშუალოდ ევროკავშირის დონეზე გადაწყვეტილიყო [19, c. 40]. ეს გასაგებიცაა, რადგან ევროკავშირისთვის მის სხვადასხვა წევრ-სახელმწიფოებში ბიზნესის რესტრუქტურიზაციის ერთგვაროვანი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია [20].

საყურადღებოა, რომ ევროკავშირი გამოვიდა ინიციატივით გაკოტრების შესახებ ახალი რეფორმის დასწაყებად [21]. მისი ერთ-ერთი მიზანია ის, რომ მეწარმეებს მიეცეთ ე.წ.

„მეორე შანსი“ და პრევენციული რესტრუქტურიზაციის გზით მოხდეს ვალების გადაუხდელობის გამო მათი გაკოტრების მაქსიმუმ სამი წლით გადავადება [22]. საყურადღებოა, რომ, სავარაუდოდ, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი ალბათობით შესაძლოა ევროკავშირში ახალი რეგულაციის მიღების პროცესში გრაკვეული კორექტივები შეიტანოს, რისი მიზანიც სავარაუდოდ იქნება გადახდისუუნარო ფირმების ლიკვიდაციის პროცესის კიდევ უფრო მეტად გართულება.

მბძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა გაკოტრების მექანიზმის ეფექტიანობას, რადგანაც, როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უპირატესობა არის ის, რომ ამა თუ იმ ფირმამ შეიძლება წარუმატებლობა განიცადოს (მაგალითად, [23, p. 459]). სწორედ იმიტომ რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს მემკვიდრეობად ნეკროეკონომიკა [24; 25] ერგოთ, აუცილებელი იყო გაკოტრების კანონის ქმედითი ამუშავება. ეს კი, სამწუხაროდ, პრაქტიკულად ვერ განხორციელდა ამ ქვეყნებში არსებული ინსტუტუციური სისტემის განუვითარებლობისა და ძლიერი სუბიექტური ფაქტორების გამო [23].

ევროკავშირის გამოცდილების გარკვეულ დონეზე გაზიარების შედაგად პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოიყენება გაკოტრების საქმეთა წარმოების მეტ-ნაკლებად მსგავსი მოდელები, რომლებიც, ერთი მხრივ, ითვალისწინებენ მოვალის ინტერესების შესაბამისად ფირმის ვალების რესტრუქტურიზაციას და მისი საქმიანობის გაჯანსაღებისათვის შესაბამისი გეგმის დამტკიცებას, ხოლო, მეორე მხრივ – მევალეთა ინტერესების უზრუნველყოფას, რაც შესაბამისი ვალების დაფარვის მიზნით მოვალის ქონების გაყიდვის გზით მიიღწევა [19, с. 30].

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, 2007 წელს საქართველოში მიღებულ იქნა ახალი კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, რომელიც 2021 წლის 1 აპრილამდეა ძალაში (რადგანაც 2021 წლის 1 აპრილიდან მის ნაცვლად ძალაში შევა 2020 წლის სექტემბერში მიღებული ახალი კანონი

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“).

საყურადღებოა, რომ 2007 წლის კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ უწინარეს ყოვლისა ორიენტირებულია გადახდისუუნარო საწარმოების სწრაფი ლიკვიდაციისაკენ და დარჩენილი აქტივების მევალეთა შორის განაწილებაზე. მოცემული კანონის ცალკეული ნაწილები ხასიათდება ბუნდოვანებით, ხოლო გაკოტრების ზოგიერთი პროცედურა საერთოდ არც კი არის დარეგულირებული. ამის გამო ჩაითვალა, რომ გადახდისუუნარობის შესახებ 2007 წლის კანონი პრინციპულად არ შეესაბამება ე.წ. „საუკეთესო პრაქტიკის“ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს. ამ „საუკეთესო პრაქტიკის“ თანახმად კი ფაქტობრივად გაკოტრებულ ფირმებს უნდა მიეცეთ „მეორე შანსი“ და დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის გზით უნდა ჰქონდეთ საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა [26].

ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით სულაც არ არის გასაკვირი, რომ სწორედ ევროპული ტრადიციის შესაბამისად თანდათანობით ხდებოდა არსობრივად სწორი ტერმინის უფრო „ზომიერი“ ტერმინებით ჩანაცვლება. კერძოდ, ტერმინი – „გაკოტრება“ – შედარებით უფრო „ზომიერმა“ ტერმინმა – „გადახდისუუნარობა“ – ჩაანაცვლა. მოგვიანებით, ამ უკანასკნელის ნაცვლად კი კიდევ უფრო „უწყინარი“ ტერმინი – „რეაბილიტაცია“ იქნა გამოყენებული.

მართლაც, თუ 1996 წელს მიღებულ კანონს ეწოდებოდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, 2007 წელს მიღებულ კანონს შეეცვალა სახელი და ეწოდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ [2], ხოლო 2020 წელს კი მიღებულ კანონს უკვე ეწოდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ [3]. ამ უკანასკნელის მიზანი ფაქტობრივად გაკოტრებული, გადახდისუუნარო ფირმის ბაზარზე შენარჩუნებაა. მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მოცემული ფირმის გაკოტრების რეჟიმზე გადაყვანა, თუ რეაბილიტაციის პროცესში გამოიკვეთება, რომ მოცემული ფირმა ამ რეაბილიტაციის მიუხედავად სიცოცხლისუნარიანი მაინც ვერ გახდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ახლად-მიღებულმა კანონმა, ასე ვთქვათ, „მეორე პლანზე“ გადაანაცვლა სახელმწიფოს ინტერესები. კერძოდ, თუ ამ კანონის მიღებამდე გაკოტრების შესახებ არსებული კანონმდებლობა უპირატესობას ანიჭებდა სახელმწიფოს მიმართ არსებულ საგადასახადო დავალიანებებს, ამ ახალი კანონით სახელმწიფო სხვა კრედიტორთა შორის უკვე ერთ-ერთი რიგითი მევალე ხდება [27].

შეიძლება დავასკვნათ, რომ გაკოტრების შესახებ ახალი კანონის თანახმად საქართველოში კიდევ უფრო გართულდება ბაზრის გათავისუფლება ფაქტობრივად არასიცოცხლიუნარიანი ფირმებისაგან. კერძოდ, ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, ყოველთვის იქნება შესაძლებელი, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პოლიტიკური ლობირების გზით დასაბუთებულ იქნეს, რომ პრაქტიკულად ნებისმიერ გადახდისუუნარო ფირმას აქვს პერსპექტივა, და, რომ მისი გაკოტრება და საბოლოოდ ლიკვიდაცია გაუმართლებელია [10, p. 199]. აქ ის არგუმენტიც დაემატება, რომ მომუშავე თუნდაც გადახდისუუნარო ფირმა ზრდის მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობას, ასაქმებს მოსახლეობას და ა.შ. (მაგალითად, [26]).

სამწუხაროდ, მთლიან სამამულო პროდუქტის და დასაქმების ზრდის მოცემული გზა დადებით ეფექტს იძლევა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მოცემული კონკრეტული ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ქმედითი პროტექციონისტული ზომები გამოიყენება [28]. საერთაშორისო კონკურენციის გათვალისწინებით, კი ეკონომიკაში გადახდისუუნარო და პერსპექტივის არმქონე საწარმოების შენარჩუნებით ზარალდება როგორც მოცემული ქვეყნის მომხმარებლები, ისე მისი საბიუჯეტო სისტემა და საბოლოო ჯამში მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაც [29].

როგორც ევროკავშირის, ისე მის მსგავსად საქართველოს გაკოტრების კანონმდებლობაში, სამწუხაროდ, აშკარად იკვეთება ახალი ტენდენცია, რომლის მიზანიცაა არა ეკონომიკის გაჯანსაღება, არამედ გადახდისუუნარო საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობის ხელოვნურად გახანგრძლივებაა. მოცემულ არასახარბიელო სიტუაციას კი COVID-19-ის პანდემიით

გამოწვეული გლობალური ეკონომიკური კრიზისი უფრო მეტად ამძიმებს.

კორონომიკური კრიზისის არსი და გადახდისუუნარო ფირმების ლიკვიდაციის შეფერხების ობიექტური საფუძველი

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ 2020 წელს განვითარებულმა COVID-19-ის პანდემიამ [4] გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია [5], რაც, ბუნებრივია, ეკონომისტებისთვის უმთავრესი შესწავლის საგანი გახდა. ქართველი ეკონომისტების მხრიდანაც დაიდო კვლევის საყურადღებო შედეგები, როგორც გლობალურ, ისე საქართველოს კონტექსტში [30-43].

კორონავირუსის ადამიანებს შორის სწრაფი გავრცელების გამო, მისი შეჩერების ერთადერთ ქმედითუნარიან მექანიზმად მიჩნეულ იქნა ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტის შეზღუდვა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ეკონომიკის მთელი რიგი დარგების შეჩერება [44]. ამ იძულებითმა ღონისძიებამ როგორც ცალკეულ ქვეყანაში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი [45]. სხვა სიტყვებით, COVID-19-ის პანდემია „ეკონომიკურ პანდემიაში“ გადაიზარდა [46]. აღსანიშნავია, რომ ეს ეკონომიკური კრიზისი თავიდან აიცილა ორმა ქვეყანამ – შვედეთმა და ბელორუსმა, რომლებსაც ეკონომიკის ჩაკეტვის რაიმე ზომებისთვის არ მიუმართავთ.

არავისში ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ 2020 წელს ჩამოყალიბებული ეკონომიკური კრიზისი წარმოიქმნა მედიცინის უძლურების გამო დაამარცხოს კორონავირუსი როგორც მკურნალობის ეფექტიანი მეთოდების, ისე შესაბამისი ქმედითუნარიანი და უსაფრთხო ვაქცინის არარსებობის გამო. შედეგად, ეკონომიკა, როგორც ასეთი, მედიცინის მძევალი გახდა [47].

გასაკვირი არ უნა იყოს, რომ ეკონომიკის ამგვარ მდგომარეობაში მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყოფნამ განაპირობა ის, რომ გაჩნდა ახალი ტერმინი

„კორონომიკსი“, რომელიც მიიღება ორი ტერმინის – „კორონა“ და „ეკონომიკსის“ – გაერთიანებით, და, რომელიც კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ეკონომიკას შეისწავლის [48]. ასევე შეთავაზებულ იქნა მსგავსი ჟღერადობის ტერმინი „კორონანომიკსი“ [49]. ამ ტერმინებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა ტერმინი „კორონომიკური კრიზისი“ [47].

ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, ვერ იკვეთება COVID-19-ის პანდემიის დასრულების მეტ-ნაკლებად რეალისტური ვადები, რის გამოც კორონომიკური კრიზისის დაძლევის პერსპექტივაც პრაქტიკულად ბუნდოვანი რჩება.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კორონავირუსის საწინააღმდეგო ქმედითუნარიანი და უსაფრთხო ვაქცინის შექმნას და მის მასობრივ გავრცელებას. იმავდროულად, ჯერ არშექმნილი ვაქცინის და მისი შემქმნელების შესახებ უარყოფითი ინფორმაციის ხშირმა გავრცელებამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაზარდა ამ ვაქცინის მიმართ უნდობლობა, რის გამოც სულაც არ არის გამორიცხული, რომ COVID-19-ის პანდემიის დასრულებაში თუნდაც საუკეთესო ვაქცინის როლი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი [50]. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოპტიმისტური პროგნოზი კორონომიკური კრიზისის მეტ-ნაკლებად მოკლე დროში დასრულების შესახებ ჯერ-ჯერობით ნაკლებრეალისტურად უნდა ჩაითვალოს.

ამასთან ერთად ისიც საყურადღებოა, რომ ვერ ვართ იმაშიც დარწმუნებული, რომ მსგავსი პანდემია მომავალშიც არ ჩამოყალიბდება. მაშასადამე, არსებული კორონომიკური კრიზისი, თუ მომავალში შესაძლო მსგავსი წარმომავლობის მქონე ეკონომიკური კრიზისი, გვაიძულებს შექმნილი სიტუაციის ახლებურ გააზრებას, როცა გარდაუვალი ხდება ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა ვირუსული პანდემიების პირობებშიც კი [51].

კორონომიკური კრიზისის პირობებში მთავრობათა მიერ გამოყენებული ანტიკრიზისული ღონისძიებები ემყარება 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის გამოცდილებას და მიმართულია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქებასა და ბიზნესის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერაზე [52].

ამ ვითარებაში, როცა სახეზეა კორონომიკური კრიზისი ბუნებრივად იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად რეალისტურია გადახდისუუნარო ფირმების მიმართ გაკოტრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ამოქმედება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კორონომიკური კრიზისი გამოიწვია მთელ რიგ სექტორებში ეკონომიკური საქმიანობის შეჩერებამ, რის გამოც შესაბამის ფირმებს შეექმნათ გადახისუნარიანობის პრობლემა. საუბარია როგორც კორონომიკური კრიზისის დაწყებამდე ფინანსურად სრულიად „ჯანსაღ“, ისე ისეთ ფირმებზეც, რომლებსაც ამ კრიზისის დაწყებამდეც გადახდისუნარიანობის პრობლემა თუნდაც ნაწილობრივ მაინც ჰქონდათ.

კრიზისის პერიოდში გაუმართლებელია და პრაქტიკულად შეუძლებელიცაა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს, თუ რომელ ფირმას არ ჰქონდა კრიზისის დაწყებამდე გადახდისუნარიანობის პრობლემა, და, რომელს კი – ჰქონდა.

აქედან გამომდინარე, კრიზისის პირობებში პრაქტიკულად გაუმართლებელიც კი ხდება გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ამოქმედება. უფრო მეტიც, ხელისუფალთა საზრუნავი ხდება თავიდან იქნეს აცილებულ არასასურველი გაკოტრება, რის გამოც შესაბამისად უნდა გადაისინჯოს შესაბამისი კანონმდებლობა [53]. სხვა სიტყვებით, რადგანაც კორონომიკური კრიზისი თავად იწვევს ფირმების დიდ ნაწილში გადახდისუნარიანობის მკვეთრ შემცირებას, ხოლო არაერთ ფირმაში გადახდისუუნაროზასაც კი, ამიტომ, არა მარტო უშუალოდ კრიზისის, არამედ პოსტკრიზისულ პერიოდშიც პრაქტიკულად გამორიცხულია გაკოტრების მექანიზმის ამოქმედება გადახდისუუნარო ფირმების ლიკვიდაციის მიზნით.

გაკოტრების კანონმდებლობის მოქმედების შეფერხების და ანტიკრიზისული ღონისძიებების ფარგლებში ბიზნესის სახელმწიფოს მხიდან მხარდაჭერა საბოლოო ჯამში იწვევს ეკონომიკის ზომბირებას [54].

ზომბირებული ეწოდება ისეთ ფირმას, რომელიც გადახდისუუნაროა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ახერხებს ფუნქციონირების გაგრძელებას. მსოფლიო ისტორიაში ამგვარი

ტიპის ფირმების ფუნქციონირება დაფიქსირდა იაპონიაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან [55]. ზომბი-ფირმები არსებობენ მათი ფუნქციონირებისთვის არსებული საბანკო კრედიტების ხარჯზე [56], ხოლო ეს კრედიტები შეღავათიანი პირობებით გაიცემა სახელმწიფო გარანტიის ქვეშ [57]. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ბანკების ზომბირებასაც, რადგანაც მათთვის არანაირ საზრუნავს არ შეადგენს გაცემული სესხის დაბრუნების პრობლემა. იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლო ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ გაცემული გარანტიის ხარჯზე ხდება [58, p. 368]. ზომბი-ფირმები და ზომბი-ბანკები კი ერთად ზომბი-ეკონომიკას ქმნიან [59].

იაპონიის გამოცდილების თანამხად ზომბი-ეკონომიკა ჩამოყალიბდა ფინანსური კრიზისის პირობებში, როცა გადახდისუნარიანობის დაქვეითების პრობლემა ბევრი ფირმის წინაშე განსაკუთრებით მწვავე ხდება. ამ ფირმების გადარჩენისთვის კი სახელმწიფო თანახმაა ფინანსურად „შეეხიდოს“ მათ და გაცემული სახელმწიფო გარანტიის ხარჯზე შეინარჩუნონ ისინი, როგორც მოქმედი ფირმები. ამ ვითარების გათვალისწინებით სულაც არ არის გასაკვირი, რომ 2008-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში არაერთი სახელმწიფო იძულებული შეიქმნა, თუნდაც გაუცნობიერებლად, ეკონომიკის ზომბირების იაპონური გამოცდილება გაეზიარებინა [60-63].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში, კორონომიკური კრიზისის გარეშეც, ეკონომიკის ზომბირების პრობლემა სულ უფრო და უფრო მწვავე ხდებოდა [64]. შესაბამისად, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ეკონომიკის ზომბირებული სექტორი კორონომიკური კრიზისის დაწყებამდეც არსებობდა. ამ კრიზისმა კი არა მარტო შეინარჩუნა ზომბი-ფირმები და ზომბი-ბანკები, არამედ მათი სიმრავლე გააფართოვა კიდეც [65].

მაშასადამე, თუ, კორონომიკური კრიზისი, ერთი მხრივ, აფართოებს ეკონომიკის ზომბირებული სექტორის ფარგლებს, მეორე მხრივ – ის ზღუდავს გადახდისუუნარო ფირმების ლიკვიდაციას, ანუ ეკონომიკის არსებით გაჯანსაღებას შეუძლებელს ხდის.

იმის გათვალისწინებით, რომ COVID-19-ის პანდემიის დასრულების ვადები გაურკვეველია, ამიტომ კორონომიკური კრიზისის დაძლევის პერქსპექტივები ბუნდოვანია. ეს კი ზომბი-ეკონომიკის „გაძლიერებას“ აშკარად ხელს უწყობს.

ეკონომიკის ზომბირებული სექტორის პრობლემა პოსტ-კრიზისული პერიოდის ერთ-ერთი უმწვავესი გამოწვევა გახდება. გასათვალისწინებელია, რომ პოსტკრიზისული პერიოდის საწყის ეტაპზე ასევე გამორიცხული იქნება გაკოტრების მექანიზმის ქმედითი ამოქმედება, რადგანაც საკმაოდ ძლიერი იქნება კრიზისული პერიოდის სახლმწიფოთა მხრიდან ბიზნესის დახმარების ტენდენცია.

კორონომიკური კრიზისის თავისებურებებიდან გამომდინარე, აუცილებელია პოსტკრიზისული პერიოდისთვის მიღებულ იქნეს გაკოტრების ბევრად უფრო ქმერედითი კანონმდებლობა, თუმცა მსოფლიოში სადღეისოდ შექმნილი სიტუაცია განსაკუთრებული ოპტიმიზმის საფუძველს, სამწუხაროდ, სულაც არ იძლევა.

დასკვნა

გაკოტრების კანონმდებლობას ქმედითუნარიანობას ეკონომიკის გადახდისუუნარო ფირმებისგან განთავისუფლებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ კანონმდებლობის უმთავრეს პრინციპად აღიარებულია ბალანსის უზრუნველყოფა კრედიტორების ინტერესების დაცვასა და შესაძლო სიცოცხლისუნარიანი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაციის თავიდან აცილებას შორის. სავარაუდოდ გაკოტრების ეს უმთავრესი პრინციპი არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომაცაა მთელი მსოფლიოს ეკონომიკაში ფართოდ წარმოდგენილი ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი რეტროეკონომიკური ფირმები.

არასიცოცხლისუნარიანი ფირმების ბაზრიდან გასვლის ხელშეწყობით ეკონომიკის გასაჯანსაღებლად გაკოტრების კანონმდებლობის მთავარი პრინციპი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. კერძოდ, ეს პრინციპი უნდა იყოს კრედიტორების ინტერესების დაცვასა და არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის ბალანსის დამყარება.

ევროკავშირისათვის გაკოტრების კანონმდებლობის უნიფიცირება იყო ამ სფეროში უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ეს პროცესი დაიწყო 1995 წელს. 2020 წლის დასაწყისში კი ევროკავშირში საფუძველი ჩაეყარა ინიციატივას გაკოტრების არსებული სისტემის რეფორმირების შესახებ, რომლის მიზანიცაა მეწარმეებს მიეცეთ შანსი და ვალების რესტრუქტურიზაციის გზით მოხდეს მათი გაკოტრების მაქსიმუმ სამი წლით გადავადება.

2021 წლის 1 აპრილამდე საქართველოში ძალაშია 2007 წელს მიღებული კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. შემდეგ კი ამოქმედდება 2020 წლის სექტემბერში მიღებული კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“. მისი მიზანი კი ფაქტობრივად გაკოტრებული, გადახდისუუნარო ფირმის ბაზარზე შენარჩუნებაა. შედეგად, ეს კანონი კიდევ უფრო გაართულებს ბაზარზე ჯანსაღი მდგომარეობის ჩამოყალიბებას, რადგანაც ფაქტობრივად არასიცოცხლისუნარიანი ფირმები იქნება შენარჩუნებული.

ჯერ კიდევ 2020 წლის დასაწყისიდან ევროკავშირის და მის მსგავსად საქართველოს გაკოტრების კანონმდებლობაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც არა იმდენად ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, რამდენადაც გადახდისუუნარო საწარმოთა სიცოცხლისუნარიანობის ხელოვნურად გახანგრძლივებაზეა ორიენტირებული.

2020 წელს განვითარებული COVID-19-ის პანდემია და მისით გამოწვეული გლობალური კორონომიკური კრიზისი აუცილებლად აისახება გადახდისუუნარო ფირმების რაოდენობის ზრდაზე.

COVID-19-ის პანდემიის დასრულების განუზღვრელობის გამო, კორონომიკური კრიზისის დაძლევის პერსპექტივა ბუნდოვანია.

კორონომიკური კრიზისის დროს გამოყენებული ანტიკრიზისული ღონისძიებები მიმართულია არა მარტო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქებაზე, არამედ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდაჭერაზეც. ამ ვითარებაში კი სათუო ხდება გადახდისუუნარო ფირმების მიმართ

გაკოტრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ამოქმედება, რადგანაც გადახდისუნარიანობის პრობლემა შეეხო როგორც კრიზისის დაწყებამდე მსგავსი სირთულეების მქონე, ისე ფინანსურად სრულიად „ჯანსაღ“ ფირმებსაც. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ უშუალოდ კრიზისის პერიოდში და პოსტ-კრიზისული პერიოდის საწყისს ეტაპზეც არა მარტო გაუმართლებელია, არამედ შეუძლებელიცაა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ფირმები იმის მიხედვით, თუ კრიზისის დაწყებამდე რომელ მათგანს არ ჰქონია გადახდისუნარიანობის პრობლემა, და, რომელს – ჰქონდა. მაშასადამე, კორონომიკური კრიზისის პირობებში გაუმართლებელია გაკოტრების კანონმდებლობის ამოქმედება, რადგანაც ეს კრიზისი თავად განაპირობებს გადახდისუნარიანობის შემცირებას ფირმების დიდ ნაწილში, უკიდურეს შემთხვავაში კი მათ – გადახდისუუნარობასაც.

გადახდისუუნარო ფირმების ლიკვიდაციის თავიდან აცილების გამო გაკოტრების კანონმდებლობის მოქმედების შეფერხება და მთავრობათა ანტიკრიზისული ღონისძიებები, როგორც ცნობილია, ეკონომიკის ზომბირებას იწვევს.

ზომბი-ეკონომიკა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში კორონომიკური კრიზისის დაწყებამდეც არსებობდა. ხოლო კრიზისმა ისინი არა მარტო შეინარჩუნა, არამედ მათი რაოდენობა გაზარდა კიდეც.

პოსტკრიზისულ პერიოდში მთავრობათათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა შესაბამისი ეროვნული ეკონომიკის ზომბი-ეკონომიკის ფენომენისაგან განთავისუფლება იქნება. ეს კი შესაძლებელი გახდება გაკოტრების ქმედითუნარიანი მექანიზმის გამოყენებით. ამგვარი მექანიზმის შექმნის პერსპექტივა კი დამაიმედებელი დღევანდელი გადასახედიდან, სამწუხაროდ, არ არის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქარდავა ე. *სამართლებრივი დაახლოება. Legal Approximation. სახელმძღვანელო პრინციპები.* თბილისი, „ფაუნტეინ ჯორჯია“, 2017,
<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/83802/%E1%83%A1%E

1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>.

2. „საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*, 2020, 18 სექტემბერი, <https://matsne.gov.ge/document/view/23572?publication=31#!>.

3. „საქართველოს კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“. *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*, 2020, 18 სექტემბერი, <https://matsne.gov.ge/document/view/4993950?publication=0>.

4. “WHO Director-General’s Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 - 11 March 2020.” *World Health Organization*, 2020, March 11, <https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020>.

5. Baldwin R., Mauro B. W. di, eds. *Mitigating the COVID Economic Crisis: Act Fast and Do Whatever It Takes*. London, CEPR Press, 2020, <https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2tO7kRFEGS1_3J88oedtd1G3CARE4S0PFDSmOFJeSzH5tfEi6Odu55Fx8>.

6. Stiglitz J. E. “Bankruptcy Laws: Basic Economic Principles.” In *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Claessens S., Djankov S., Mody A., eds. Washington, D.C., The World Bank, 2001.

7. Papava V. *Technological Backwardness – Global Reality and Expected Challenges for the World’s Economy*. GFSIS Expert Opinion, No. 70. Tbilisi, GFSIS, 2016, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/70-expert-opinion-eng.pdf>.

8. Papava V. “Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy.” *Journal of Reviews on Global Economics*, 2017, Vol. 6, <http://www.lifescienceglobal.com/independent-journals/journal-of-reviews-on-global-economics/volume-6/85-abstract/jrge/2929-abstract-retroeconomics-moving-from-dying-to-brisk-economy>.

9. Папава В. «О ретроэкономике». *Вопросы экономики*, 2017, № 10.

10. Anderson R. E. *Get Out of the Way: How Government Can Help Business in Poor Countries*. Washington, D.C., CATO Institute, 2004.

11. White M. J. "Bankruptcy Procedures in Countries Undergoing Financial Crises." In *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. Claessens S., Djankov S., Mody A., eds. Washington, D.C., The World Bank, 2001.

12. Токарев Д. «Банкротство: как действует процедура в Европе и США». *Национальный центр банкротств*, 2020, <https://bankrotstvo-476.ru/bankrotstvo_kak_deistvuet/>.

13. McCormack G., Keay A., Brown S., Dahlgreen J. *Study on a New Approach to Business Failure and Insolvency Comparative Legal Analysis of the Member States' Relevant Provisions and Practices*. Luxembourg, Publications Office of the European Union, 2016, <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/3eb2f832-47f3-11e6-9c64-01aa75ed71a1/language-en>.

14. Parikh S. D. "Bankruptcy Tourism and the European Union's Corporate Restructuring Quandary: The Cathedral in Another Light." *University of Oxford, The Faculty of Law*, 2020, March 20, <https://www.law.ox.ac.uk/business-law-blog/blog/2020/03/bankruptcy-tourism-and-european-unions-corporate-restructuring>.

15. Pochet C. "Institutional Complementarities within Corporate Governance Systems: A Comparative Study of Bankruptcy Rules." *Journal of Management and Governance*, 2002, Vol. 6.

16. Tilley A. "European Restructuring: Clarifying Trans-Atlantic Misconceptions." *The Journal of Private Equity*, 2005, Vol. 8, No. 2.

17. Тянкова Я. Т. «Европейские правовые нормы о банкротстве регламент европейского парламента о процедурах несостоятельности №1346/2000 от 29.05.2000 г.». *Известия КазУМОиМЯ имени Абылай хана*, 2014, <https://articlekz.com/article/19856>.

18. Кулешов В. «Банкротство по нормам Европейского Союза». *Бизнес-адвокат*, 2001, № 11, <https://www.lawmix.ru/comm/6030>.

19. Сорокин В. А. «Законодательство о банкротстве на пространстве ЕВРАЗЭС: сравнительно-правовой анализ и опыт ЕС». *Таврический научный обозреватель*, 2017, № 6 (23), <https://cyberleninka.ru/article/n/zakonodatelstvo-o-bankrotstve-na-prostranstve-evrazes-sravnitelno-pravovoy-analiz-i-opyt-es/viewer>.

20. Manganelli P. "The Modernization of European Insolvency Law: An Ongoing Process." *Journal of Business & Technology Law*, 2016, Vol. 11, Iss. 2,

<https://digitalcommons.law.umaryland.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1258&context=jbtl>.

21. Malakotipour M., Perotti E., Weijs R. de. "Unfair and Unstable: EU Bankruptcy Reform Requires More Scrutiny." *VOX EU*, 2020, February 24, <https://voxeu.org/article/eu-bankruptcy-reform-requires-more-scrutiny>.

22. Wallace I., Pilkington C. "Restructuring Across Europe – A New Era?" *White & Case*, 2019, January 25, <https://www.whitecase.com/publications/alert/restructuring-across-europe-new-era>.

23. Bufford S. "Bankruptcy Law in European Countries Emerging from Communism: The Special Legal and Economic Challenges." *American Bankruptcy Law Journal*, 2996, Vol. 70, <https://elibrary.law.psu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1166&context=fac_works>.

24. Papava V. "Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy." *International Journal of Social Economics*, 2002, Vol. 29, No. 9-10.

25. Papava V. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse, 2005.

26. Janus H. *Avoiding the insolvency of Georgia's Insolvency Law*. Policy Paper Series [PP/01/2016]. Berlin/Tbilisi, German Economic Team Georgia, 2016, <https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2016/04/PP_01_2016_en.pdf>.

27. მურუსიძე ი. „რა ცვლილებები შედის, ვის შეეხება და რა მიზანი აქვს გაკოტრების შესახებ ახალ კანონმდებლობას?" *Business Media Georgia*, 2020, 6 თებერვალი, <https://bm.ge/ka/article/ra-cvlilebebi-shedis-vis-sheexeba-da-ra-mizani-aqvs-gakotrebis-shesaxeb-axal-kanonmdeblobas/48426>.

28. Papava V., Beridze T. "Industrial Policy and Trade Regime in Georgia." *Eurasian Studies*, 1996/97, Vol., 3, No. 4.

29. Krugman P. R., Obstfeld M., Melitz M. *International Trade: Theory and Policy*. Harlow, UK, Pearson, 2018.

30. აბესაძე რ. „გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები". *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, # 2.

31. არჩვაძე ი. *კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტ-ეკონომიკური ასპექტები)*. თბილისი, „მწიგნობარი", 2020.

32. არჩვაძე ი. „სახელმწიფოს ფუნქციის ტრანსფორმაცია პოსტპანდემიურ პერიოდში“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, № 2.

33. ბენაშვილი გ. „კორონომიკა – ეკონომიკური პოლიტიკის ხელახალი გააზრების აუცილებლობა“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, № 2.

34. კაკულია მ. „კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოსთვის“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, № 2.

35. კოვზანაძე ი. „ეკონომიკის გამოწვევები და პერსპექტივები COVID-19 ინფექციის ფონზე“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, № 2.

36. მექვაბიშვილი ე. „გლობალური კორონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, № 2.

37. პაპავა ვ. „კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, № 2.

38. ღაღანიძე გ. „მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, № 2.

39. შენგელია თ. „გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, № 2.

40. ჭარაია ვ. „კორონომიკა – საფრთხე თუ შესაძლებლობა?!“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, № 2.

41. ჯიბუტი მ. „პოლიტეკონომიის ვირუსული ვარიაციები“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, 2020, ტომი XII, № 2.

42. Papava V., Charaia V. *The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy*. GFSIS Expert Opinion, No. 136. Tbilisi, GFSIS, 2020, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-eng.pdf>.

43. Папава В., Тапладзе Т. «О корономическом кризисе». *აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული “თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური*

პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები" (17-18 ოქტომბერი, 2020). თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020.

44. "Policy Responses to COVID-19." *International Monetary Fund*, 2020, April 10, <https://www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19/Policy-Responses-to-COVID-19#U>.

45. Roach S. S. "When China Sneezes." *Project Syndicate*, 2020, February 24, <https://www.project-syndicate.org/commentary/china-coronavirus-shock-prospects-for-global-recession-by-stephen-s-roach-2020-02>.

46. Riley C. "Coronavirus is Fast Becoming an 'Economic Pandemic'." *CNN Business*, 2020, February 25, <https://edition.cnn.com/2020/02/24/business/coronavirus-global-economy/index.html>.

47. Papava V. "Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine." *Eurasia Review. News & Analysis*, 2020, March 29, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.

48. Alwis A. de. "Coronomics – Plan Your Eggs and the Basket!" *Daily FT*, 2020, February 6, <http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109>.

49. Eichengreen B. "Coronanomics 101." *Project Syndicate*, 2020, March 10, <https://www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0>.

50. Papava V. "Is the Vaccine a Panacea?" *Eurasia Review. News & Analysis*, 2020, September 30, <https://www.eurasiareview.com/30092020-is-the-vaccine-a-panacea-oped/?fbclid=IwAR0A1A6aQRGpC-6SfhcjjtneRU34HGm920joNgHsnZMIO4raEsLWO8l5Jrs>.

51. Gigerenzer G. "Why What Does Not Kill Us Makes Us Panic." *Project Syndicate*, 2020, March 12, <https://www.project-syndicate.org/commentary/greater-risk-literacy-can-reduce-coronavirus-fear-by-gerd-gigerenzer-2020-03>.

52. Hatheway L. "A COVID-19 Emergency Response Plan." *Project Syndicate*, 2020, February 27, <https://www.project-

syndicate.org/commentary/covid-19-economy-response-plan-by-larry-hatheway-2020-02>.

53. Boon G.-J. “Amending Insolvency Legislation in Response to the COVID-19 Crisis.” *Harvard Law School Bankruptcy Roundtable*, 2020, May 12, <https://blogs.harvard.edu/bankruptcyroundtable/2020/05/12/amending-insolvency-legislation-in-response-to-the-covid-19-crisis/>.

54. Stiglitz J. E., Rashid H. “Which Economic Stimulus Works?” *Project Syndicate*, 2020, June 8, <https://www.project-syndicate.org/commentary/stimulus-policies-must-benefit-real-economy-not-financial-speculation-by-joseph-e-stiglitz-and-hamid-rashid-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=c41ee7287a-sunday_newsletter_14_06_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-c41ee7287a-93567601&mc_cid=c41ee7287a&mc_eid=e9fb6cbcc0>.

55. Hoshi T. “Economics of the Living Dead.” *The Japanese Economic Review*, 2006, Vol. 57, No. 1.

56. Smith D. C. “Loans to Japanese Borrowers.” *Japanese International Economies*, 2003, Vol. 17, No. 3.

57. Hoshi T., Kashyap A. “Solutions to Japan’s Banking Problems: What Might Work and What Definitely will Fail.” In *Reviving Japan’s Economy: Problems and Prescriptions*. Ito T., Patrick H., Weinstein D.E., eds. Cambridge, The MIT Press, 2005.

58. Ahearne A. G., Shinada N. “Zombie Firms and Economic Stagnation in Japan.” *International Economics and Economic Policy*, 2005, Vol. 2, No. 4.

59. Kane E. J. “Capital Movements, Banking Insolvency, and Silent Runs in the Asian Financial Crisis.” 2000, *Pacific-Basin Finance Journal*, Vol. 8, No. 2.

60. Desjardins L., Emerson R. *Zombie Economics: A Guide to Personal Finance*. New York, AVERY, 2011.

61. Harman C. *Zombie Capitalism. Global Crisis and the Relevance of Marx*. Chicago, Haymarket Books, 2009.

62. Onaran Y. *Zombie Banks: How Broken Banks and debtor Nations are Crippling the Global Economy*. Hoboken, John Wiley & Sons, 2012.

63. Quiggin J. *Zombie Economics: How Dead Ideas Still Walk Among Us*. Princeton, Princeton University Press, 2010.

64. Krugman P. *Arguing with Zombies: Economics, Politics, and the Fight for a Better Future*. New York, W.W Norton & Company, 2020.

65. Papava V. “Features of the Economic Crisis Under the COVID-19 Pandemic and the Threat of the Zombie-ing of the Economy.” *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 2020, Vol. 14, No. 3.

Vladimer Papava

PROSPECTS FOR THE APPROXIMATION OF ECONOMIC MECHANISMS PROVIDED BY GEORGIAN BANKRUPTCY LEGISLATION TO EU STANDARDS

Summary

The paper is dedicated to the study of the economic mechanisms provided by the EU and Georgian bankruptcy legislation. It has been shown that the key principle underlying modern bankruptcy legislation does not provide an effective means of exempting the economy from insolvent firms. The paper discuss the correct direction for changing this principle. Both European and Georgian bankruptcy legislation is not focused on rapid economic recovery. The chronological crisis caused by the COVID-19 pandemic stops the bankruptcy mechanism, which contributes to the growth of the zombie sector in the economy.

რამაზ აბესაძე
ნანა გიგილაშვილი

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების არსებული მდგომარეობა

ანოტაცია. *ნაშრომში გამოკვლეულია ევროკავშირისა და საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დაახლოების საკითხები გარემოს დაცვის სფეროში.*

შესავალი

“ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის”, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს ავალდებულებს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის

კანონმდებლობასთან, მათ შორის, ბუნების დაცვის სფეროში. ეს ვალდებულებები ძირითადად გადმოცემულია შეთანხმების XXI დანართში – „გარემოს დაცვა“ [ასოცირების..., 2016, გვ.]. მასში მოყვანილია ევროკავშირის დირექტივები და შესაბამისი ვალდებულებები, ასევე ვადები, რომლის განმავლობაშიც საქართველომ უნდა შეასრულოს ეს ვალდებულებები.

* * *

გარემოს დაცვის პოლიტიკაში ინტეგრირების მიმართულებით განიხილება შემდეგი დირექტივები: გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ; გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ; საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ. საზოგადოების გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის შესახებ. ამ დირექტივების მიხედვით საქართველოს მოეთხოვება: შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოების განსაზღვრა; იმ მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომლითაც პროექტები, გეგმები ან პროგრამები დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) და პროცედურების შემუშავებას, რათა გადაწყდეს, რომელი პროექტები საჭიროებს გზშ-ს; იმ ინფორმაციის შემადგენლობის განსაზღვრა, რომლის წარმოდგენაც მოეთხოვება დეველოპერს; გარემოს დაცვის უწყებასთან და საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცედურების განსაზღვრა; ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციების მექანიზმის შემუშავება ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებთან, რომელთა პროექტმა გეგმამ ან პროგრამამ გარემოზე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს; ადმინისტრაციულ და სამართლებრივ დონეზე ეფექტიანი, ხელმისაწვდომი და დროული განხილვის პროცედურების დანერგვა, რომელშიც ჩართული იქნება საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები; პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისთვის გარემოსდაცვით 70 ინფორმაციებზე ხელმისაწვდომობა; სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;

იმ ინფორმაციის შემადგენლობის განსაზღვრა, რომლის წარმოდგენაც მოეთხოვება დეველოპერს; გარემოს დაცვის უწყებასა და საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცედურების განსაზღვრა; ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციების მექანიზმის შემუშავება ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებთან, რომელთა პროექტმა, გეგმამ ან პროგრამამ გარემოზე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს; ადმინისტრაციულ და სამართლებრივ დონეზე ეფექტიანი, ხელმისაწვდომი და დროული განხილვის პროცედურების დანერგვა, რომელშიც ჩართული იქნება საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები; პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და შესაბამისი გამონაკლისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა; პროცედურების შემუშავება იმ გადაწყვეტილებების განსახილველად, რომელთა საფუძველზეც არ მოხდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემა ან მოხდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მხოლოდ ნაწილობრივი გაცემა; საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელების სისტემის დანერგვა; გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის შესახებ; გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეეხება გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას; საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმის შემუშავება; საჯარო კონსულტაციების მექანიზმის შემუშავება; მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მხრიდან შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღებას მათი შემდგომი გათვალისწინების მიზნით; აღნიშნულ პროცედურებში საზოგადოებისათვის ადმინისტრაციულ და სამართლებრივ დონეზე ეფექტიანი, დროული, ასევე მატერიალურად ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების წესებისა და პროცედურების დაწესება, რომლებიც მიზნად ისახავს გარემოზე (წყალი, ხმელეთი, ცხოველებისა და მცენარეების დაცული სახეობები და ბუნებრივი საცხოვრებელი გარემო) ზიანის მიყენების პრევენციასა და

დაზიანებული გარემოს აღდგენას "დამაბინძურებელი იხდის" პრინციპზე დაყრდნობით; მკაცრი პასუხისმგებლობის დაწესება სახიფათო საქმიანობების განმახორციელებელ საწარმოებში; ვალდებულებების დაწესება ოპერატორებისათვის, რათა განახორციელონ პრევენციული და აღდგენითი ღონისძიებები, მათ შორის ზარალის ანაზღაურება კომპეტენტური ორგანოებისაგან რეაგირება, მათ შორის დამოუკიდებელი დასკვნა.

ჰაერის ხარისხის მიმართულებით განიხილება შემდეგი დირექტივები: ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ; ამ დირექტივის მიხედვით განიხილება საქართველოს შემდეგი ვალდებულებები: ზონებისა და აგლომერაციების დადგენა და კლასიფიცირება; ჰაერის დამაბინძურებლებთან მიმართებაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმის დადგენა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით; ჰაერის ხარისხის გეგმების შემუშავება იმ ზონებისა და აგლომერაციებისათვის, სადაც დაბინძურების დონე ზღვრულ/მიზნობრივ მაჩვენებელს აღემატება; მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება იმ ზონებისა და აგლომერაციებისათვის, სადაც არსებობს საგანგაშო ზღვრების გადაჭარბების რისკი; საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება; ჰაერის დამაბინძურებლებთან მიმართებაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმის დადგენა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით; შესაბამის დამაბინძურებლებთან მიმართებაში ჰაერის ხარისხის შენარჩუნების/გაუმჯობესების მიზნით სათანადო ზომების მიღება; სინჯების აღების ეფექტური სისტემის შექმნა და ანალიზისათვის შესაბამისი ანალიტიკური მეთოდების დადგენა; დადგენილ ზღვრებზე მეტი გოგირდის შემცველობის მქონე მძიმე საწვავისა და გაზოილის გამოყენების აკრძალვა; საზღვაო ტრანსპორტის საწვავის სახეობებში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენა; ყველა ტერმინალის იდენტიფიცირება, სადაც ბენზინის შენახვა და ჩატვირთვა ხდება; ტერმინალებისა და ავტოგასამართი სადგურების საცავებიდან და ტერმინალებზე მოძრავი კონტეინერების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დროს ბენზინის დაღვრის შესამცირებლად ტექნიკური ზომების დაწესება; ყველა საგზაო ცისტერნის ჩამტვირთავ მოწყობილობასა და მოძრავი კონტეი-

ნერისთვის მოთხოვნების შესრულების ვალდებულების დაწესება; საღებავებსა და ლაქებში აქროლადი ორგანული ნაერთის (VOC) შემცველობის მაქსიმალური ზღვრული მნიშვნელობის დაწესება; მოთხოვნების დაწესება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბაზარზე არსებული პროდუქციის ეტიკეტირება და ბაზარზე პროდუქტების განთავსება, რომლებიც შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

წყლის ხარისხის და წყლის რესურსების, მათ შორის, საზღვაო გარემოს მართვის მიმართულებით განიხილება შემდეგი დირექტივები: წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ; წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ; ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ; ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ; საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი ქმედებებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ. შესაბამისი ვალდებულებებია: მდინარის აუზის უბნების განსაზღვრა და ადმინისტრაციული მექანიზმების დაწესება საერთაშორისო მდინარეების, ტბებისა და სანაპირო წყლებისათვის; მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზი; წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამების ჩამოყალიბება; მდინარის აუზის მართვის გეგმების მომზადება, საზოგადოებასთან კონსულტაციები და ამ გეგმების გამოქვეყნება; წყალდიდობების შესახებ წინასწარი შეფასების გაკეთება; წყალდიდობის საფრთხეების რუკებისა და წყალდიდობის რისკების რუკების მომზადება; წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების შემუშავება; ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდის მდგომარეობის შეფასება; სენსიტიური არეალებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირება; ტექნიკური და საინვესტიციო პროგრამების მომზადება ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გაწმენდისათვის; სასმელი წყლის სტანდარტების დაწესება; მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება; მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების შემუშავება; დაბინძურებული წყლების ან რისკის ქვეშ მყოფი წყლების იდენტიფიცირება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრა; სამოქმედო გეგმების შემუშავება და ნიტრატების

მიმართ მოწყვლადი ზონებისათვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა; საზღვაო სტრატეგიის შემუშავება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში (ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის შემთხვევაში, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები შესაბამისობაში იქნება იმ ვალდებულებებთან, რომლებიც განსაზღვრულია შავი ზღვის კონვენციით); ზღვის წყლების წინასწარი შეფასება, კარგი გარემოს სტატუსის განსაზღვრა და გარემოსდაცვითი მიზნებისა და ინდიკატორების ჩამოყალიბება; ღონისძიებების პროგრამის მომზადება გარემოს კარგი მდგომარეობის მიღწევის მიზნით.

ნარჩენების მართვის მიმართულებით განიხილება შემდეგი დირექტივები: ნარჩენების შესახებ; დირექტივა ნაგავსაყრელების შესახებ; მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ; მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ. ამ დირექტივების მიხედვით მოითხოვება: ნარჩენების მართვის გეგმების მომზადება ნარჩენების ხუთსაფეხურიანი იერარქიის შესაბამისად და ნარჩენების პრევენციის პროგრამების შემუშავება; ხარჯების ამოღების მექანიზმის შემუშავება "დამაბინძურებელი იხდის" პრინციპზე დაყრდნობით; სანებართვო სისტემის შექმნა ისეთი ობიექტებისათვის, რომლებიც ეწევიან ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის ოპერაციებს და იღებენ სპეციალურ ვალდებულებებს სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით; ნარჩენების შემგროვებელი და გადამზიდავი დაწესებულების და საწარმოების რეგისტრაციის შემოღება; ნაგავსაყრელების კლასიფიკაცია; ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომლითაც შემცირდება ნაგავსაყრელზე ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების მოხვედრა; ნაგავსაყრელებზე ნარჩენების მიღების პროცედურების, განაცხადის შეტანისა და სანებართვო სისტემის ჩამოყალიბება; კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურების, ნაგავსაყრელების ოპერირების, დახურვის და დახურვის შემდგომ ფაზებში მოვლის პროცედურების დადგენა; არსებული ნაგავსაყრელებისათვის პირობათა გეგმების შემუშავება; ხარჯთაღრიცხვის მექანიზმების შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს ნაგავსაყრელის მოწყობასა და ოპერირებას, და რამდენადაც შესაძლებელია,

დახურვასა და დახურვის შემდგომ მოვლა-პატრონობის პროცედურებს; ნაგავსაყრელზე განთავსებამდე გარკვეული ნარჩენების დამუშავების უზრუნველყოფა; ოპერატორების მიერ ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა; ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია; სანებართვო, ინსპექტირებისა და ფინანსური გარანტიების სისტემის ჩამოყალიბება; სამთო-მოპოვებითი სამუშაოების შედეგად დარჩენილი კარიერების მართვისა და მონიტორინგის პროცედურების შემუშავება; სამთო-მოპოვებითი ნარჩენების მოპოვების შედეგად არსებული ადგილების დახურვისა და დახურვის შემდგომი პროცედურების შემუშავება; დახურული სამთო-მოპოვებითი ნარჩენების მომპოვებელი ადგილების ინვენტარიზაცია.

ბუნების დაცვის მიმართულებით განიხილება შემდეგი დირექტივები: გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ; ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ. შესაბამისი ვალდებულებებია: ფრინველთა იმ სახეობების შეფასება, რომლებიც საჭიროებენ კონსერვაციის განსაკუთრებულ ზომებს, ასევე ფრინველთა რეგულარულად მიგრირებადი სახეობების შეფასება; ფრინველთა სახეობებისათვის დაცვის სპეციალური არეალების განსაზღვრა და დაწესება; რეგულარულად მიგრირებადი სახეობების დაცვის მიზნით კონსერვაციის სპეციალური ზომების მიღება (მუხლი); დაცვის ზოგადი სისტემის შექმნა გარეულ ფრინველთა ყველა სახეობისთვის, რომელთაგანაც სანადირო ფრინველები სპეციალურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება და დატყვევების/მოკვლის გარკვეული ხერხების აკრძალვა; ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების ინვენტარიზაცია აღნიშნული ტერიტორიების მითითება და მათი მართვისათვის პრიორიტეტების განსაზღვრა; მსგავსი ტერიტორიების კონსერვაციისათვის საჭირო ზომების შემუშავება; საქართველოში გავრცელებული ჰაბიტატებისა და დაცული სახეობების კონსერვაციის სტატუსის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება; სახეობების დაცვის მკაცრი რეჟიმის დაწესება იმ სახეობებისთვის, რომელთა ჩამონათვალიც განსაზღვრულია საქართველოს მიერ და შეესაბამება ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის

ფარგლებში საქართველოს მიერ ზოგიერთ სახეობაზე დაწესებულ დათქმებს; განათლების ხელშეწყობისა და საზოგადოების ზოგადი ინფორმირების უზრუნველსაყოფად მექანიზმის ჩამოყალიბება.

სამრეწველო დაბინძურებისა და სამრეწველო საფრთხეების მიმართულებით განიხილება შემდეგი დირექტივები; სამრეწველო ემისიების შესახებ; სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების შესახებ. შესაბამისი ვალდებულებებია: სამრეწველო ობიექტების განსაზღვრა, რომლებიც ნებართვას საჭიროებენ; ინტეგრირებული სანებართვო სისტემის განხორციელება; „არსებული საუკეთესო ტექნოლოგიების“ (Best Available Techniques 75 BAT) დანერგვა, „არსებული საუკეთესო ტექნოლოგიების“ (Best Available Techniques Reference Document - BREF) შესახებ დოკუმენტის, დასკვნების გათვალისწინებით; წვის ქარხნებისთვის გაფრქვევის ზღვრული ნორმების ლიმიტების დაწესება; გარდამავალი ეროვნული გეგმების შემუშავება არსებული ქარხნებიდან მთლიანი ყოველწლიური ემისიის შემცირების მიზნით (არსებული ქარხნებისათვის გამონაბოლქვის ლიმიტის დაწესება ნებაყოფლობითია); ობიექტების შესახებ ინფორმაციის შენახვისა და დიდ ავარიებზე მოხსენების წარდგენის ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბება.

ქიმიური ნივთიერებების მართვის მიმართულებით განიხილება შემდეგი რეგულაციები: სახიფათო ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის შესახებ; ნივთიერებებისა და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ; მოითხოვება: პროცედურების დანერგვა სხვა ქვეყნებიდან მიღებულ ექსპორტთან დაკავშირებული შეტყობინებების მართვის მიზნით; პროცედურების დაწესება საბოლოო მარეგულირებელი ქმედების შესახებ შეტყობინებების შემუშავებისა და დაგზავნისათვის; იმპორტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისა და გაგზავნის პროცედურების დაწესება; „წინასწარი ინფორმირებული თანხმობის (Prior Informed Consent - PIC), პროცედურების განხორციელება ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების, კერძოდ როტერდამის კონვენციის III დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებების ექსპორტის მიზნით; ექსპორტისათვის განკუთვნილი ქიმიური ნივთიერებების ეტიკეტირებისა

და შეფუთვის მოთხოვნების შესრულება; ეროვნული ორგანოს განსაზღვრა, რომლებიც გააკონტროლებენ ქიმიური ნივთიერებების იმპორტს და ექსპორტს; ნივთიერებების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის იმპლემენტაცია.

საქართველოში ზემოთ მოყვანილი ვალდებულებების შესრულების მიმართულებით გარკვეული სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ, მომზადებულია შესაბამისი ინსტიტუციური საფუძვლები, მიღებულია:

საქართველოს კანონი **„გარემოს დაცვის შესახებ“** (1996)[17]. კანონის ძირითადი მიზნებია: განსაზღვროს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები და ნორმები; დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები – ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი; უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ქვეყნისთვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის იშვიათი, ენდემური, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების შენარჩუნებას, ზღვის გარემოს დაცვას და ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფას; შეინარჩუნოს და დაიცვას თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემები; სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს დაცვის სფეროში საერთო გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრა; უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობები.

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“[18] (პროექტი, წარდგენილია პარლამენტში). ამ კანონის მიზანია გარემოზე ნებისმიერი სახის ზიანის მიყენების პრევენციისა და შერბილების/აღმოფხვრის სამართლებრივი

[17] https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=29

[18]https://www.google.com/search?client=opera&q=გარემოსდაცვითი+პასუხისმგებლობის+კანონპროექტი&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8

რეგულირება, „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად. იგი არეგულირებს გარემოზე ზიანის მიყენების პრევენციასა და შერბილებასთან/აღმოფხვრასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი[19] (2017). ამ კოდექსის მიზნებია: ხელი შეუწყოს გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე; ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის შესახებ სრული და ობიექტური ინფორმაციის დროულად მიღების საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლების რეალიზაცია, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა; სახელმწიფოსა და საზოგადოების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების თანაზომიერი გათვალისწინება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე; გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის განხორციელებისას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა.

მიღებულია საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა 3 ეროვნული პროგრამა; საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (2017-2021)[20] მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: გარემოსდაცვითი მართველობა; წყლის რესურსების მართვა; ატმოსფერული ჰაერის დაცვა; ქიმიური ნივთიერებების მართვა; ბუნების (ბიომრავალფეროვნების) დაცვა; ტყის მართვა; ნიადაგის დაცვა; კლიმატის ცვლილება; ბუნებრივი საფრთხეების რისკების მართვა; რადიაციული უსაფრთხოება; მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება.

[19] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=2
[20] http://gov.ge/files/495_65924_530178_1124.pdf;

საქართველოს კანონი **"ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ"[21] (2016).** ამ კანონის ძირითადი მიზნებია: ხელი შეუწყოს გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებების – ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი – უზრუნველყოფას; უზრუნველყოს გარემოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის – ატმოსფერული ჰაერის დაცვა საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; სამართლებრივად უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში საერთო გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრა.

საქართველოს კანონი „**წყლის შესახებ"[22] (1997)** ამ კანონის ძირითადი მიზანია: უზრუნველყოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში; წყლის ობიექტების (მათ შორის საქართველოს შავი ზღვის) დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით; სუფთა სასმელ წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილების პირველ რიგში დაკმაყოფილება; წყლის ცხოველთა სამყაროს მდგრადობა და მდგრადი გამოყენება; წყლის მავნე ზემოქმედების აცილება და შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია; საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გარანტირებული დაცვა წყლის დაცვის, გამოყენებისა და წყლით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში; წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოება საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმების დაცვით; ფიზიკური ან იურიდიული პირების კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვა წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში.

საქართველოს **„ტყის კოდექსი[23]" (2020).** ამ კოდექსის მიზნებია: საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების

[21] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16210?publication=18
[22] https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448
[23] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=0

შესასრულებლად მისი თვისებრივი მახასიათებლების, აგრეთვე ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება; თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოს, მათ შორის, მცენარეული საფრისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული ბუნებისა და კულტურის ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება; ტყის რესურსებისა და სხვა ბუნებრივი პოტენციალის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება; ტყის მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს ტყის მდგრადი მართვა.

საქართველოს კანონი **„ნიადაგის დაცვის შესახებ.“**[24] ამ კანონის მიზნებია: უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების ზრდა და შენარჩუნება; განსაზღვროს მიწათმოსარგებლეთა, მიწათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად; აღკვეთოს ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის საშუალებათა გამოყენებისას უარყოფითი შედეგები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის თვით ნიადაგს, ადამიანის ჯანმრთელობას, ფლორასა და ფაუნას; უზრუნველყოს სუბალპური და ალპური მდელოების დაცვის გზით მაღალმთიანი რეგიონების ენდემური მცენარეულობისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნება; მელიორირებული მიწებიდან მაღალი და მყარი მოსავლის მიღების მიზნით ხელი შეუწყოს მელიორაციის სფეროში საქმიანობის კოორდინაციას.

საქართველოს **„ნარჩენების მართვის კოდექსი“**[25]. ამ კოდექსის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას (რაც მოიცავს რეციკლირებას და მეორეული ნედლეულის გამოცალკავებას, ნარჩენებიდან ენერგიის

[24] https://matsne.gov.ge/ka/document/view/93874?publication=8
[25] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=11

აღდგენას, ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას). ამ კოდექსის ამოცანაა გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა: ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით; ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნით; რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით.

„ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“[26]. გეგმა შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირი საქართველოს ასოციირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად. სტრატეგიის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ევროპის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან.

ამ დოკუმენტების გარდა მიღებულია: **საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020)**[27] **(2014); „ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების სახელმწიფო პროგრამა“ (2017-2020);**[28] **„ევროკავშირთან დაახლოების პროცესის საგზაო რუკა გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების საკითხებში“**[29]**; „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცველი ეროვნული სტრატეგია“**[30] **(2014); „ინტეგრირებული ბირთვული დაცულობის მხარდაჭერის გეგმა (2015-2019)“**[31]

[26] http://www.eiec.gov.ge/getattachment/NavMenu/Documents/Action-Plan/ნარჩენების-მართვის-2016-2030-წლების-ეროვნული-სტრატეგია-და-2016-2020-წლების-ეროვნული-სამოქმედო-გეგმა.pdf.aspx

[27] http://www.eiec.gov.ge/getattachment/NavMenu/Documents/Action-Plan/საქართველოს-ბიომრავალფეროვნების-სტრატეგია-და-მოქმედებათა-გეგმა-2014-2020.pdf.aspx

[28] http://www.eiec.gov.ge/getattachment/NavMenu/Documents/Action-Plan/საქართველოს-ბიომრავალფეროვნების-სტრატეგია-და-მოქმედებათა-გეგმა-2014-2020.pdf.aspx

[29] http://www.eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/AA-DCFTA_Roadmap_G

[30] http://www.eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/CBRN

[31] http://www.eiec.gov.ge/getattachment/NavMenu/Documents/Acti

ასევე, საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო კონვენციებში: ბაზელის კონვენცია **„სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“, „სტოკჰოლმის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“, „მინამატას კონვენცია „ვერცხლისწყლის შესახებ“** და სხვ.). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაციის (GIZ) მიერ მომზადდა „**მწვანე ზრდის პოლიტიკის დოკუმენტი“.** ამასთან ერთად, 2016 წლის ნოემბერში საქართველო მიუერთდა **„მწვანე ზრდის დეკლარაციას“**, რომლის შესაბამისად, ქვეყნები აცხადებენ, რომ გააძლიერებენ მწვანე ზრდის სტრატეგიებზე მუშაობის ძალისხმევას იმის გათვალისწინებით, რომ მათში ერთდროულად იყოს გათვალისწინებული „მწვანე“ და „ზრდა“, ასევე ხელს შეუწყობენ მწვანე ინვესტირებას.

„მწვანე“ ეკონომიკის პრინციპები გულისხმობს მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისათვის და მთავრობის ანგარიშვალდებულებისათვის [ქავთარაძე ი., 2018]. შეიძლება გამოიყოს სხვა პოზიტიური აქტივობებიც, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში გარემოს დაცვის მიმართულებით. მაგალითად; მიმდინარეობს მუშაობა **„მწვანე“ ეკონომიკის ზრდის სტრატეგიაზე**. მის შექმნაში მონაწილეობენ ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და შემდეგი დონორი ორგანიზაციები: ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნების ეკონომიკების გამწვანების პროექტი (EaP GREEN), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP); დაიწყება ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტის დანერგვა, უკვე არსებული თანამედროვე ავტომატური მონიტორინგის ქსელი საშუალებას იძლევა, სწორედ ევროპული სტანდარტებით მოხდეს ჰაერის ხარისხის შეფასება; 2018 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესი; ბენზინსა და დიზელში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნორმა დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტს; უპირატესობა მიენიჭება ეკოლოგიურ ტრანსპორტს, მათ შორის მსუბუქ და დაბალი

კუბატურის მქონე ავტომობილებს, დაიწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეცვლა ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტით; დაგეგმილა გადასახადებისგან სრულად გათავისუფლდეს ის სექტორი, რომელიც საქართველოში შეძლებს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას; ქალაქებში შეიქმნება ახალი მწვანე რეკრეაციული სივრცეები, მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება დაცული ტერიტორიებისა და ყველა ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ეკოსისტემების განვითარებაში; გაძლიერდება ტყის დაცვა, მისი სარეკრეაციო და ტურისტული მიზნებისთვის განვითარება, ამისათვის დაგეგმილია ხე-ტყის იმპორტის წახალისება და სხვ.

მიუხედავად გაწეული სამუშაოებისა, საქართველოში გადაუჭრელი რჩება არაერთი მწვავე პრობლემა: მდინარეები დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ზოგიერთი - მძიმე ლითონებით, ნავთობპროდუქტებით, კომუნალური სექტორის ნარჩენებით; არ ხდება ჩამდინარე წყლის სათანადო გაწმენდა, წყლის ბიოლოგიური გაწმენდა და ა. შ.; ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენ მასალათა ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები; უკანონო და უკონტროლო ხე-ტყის მოპოვება; ატმოსფერო დაბინძურდება ავტოტრანსპორტითა და ენერგეტიკით (საერთო მავნე გაფრქვევებში პირველ ადგილზეა ნახშირჟანგი, შემდეგ ნახშირწყალბადები, მეთანი, მყარი ნაწილაკები, აზოტის ოქსიდები და ამიაკი); სერიოზული ნაკლოვანებებია ადამიანთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიმართულებით (სურსათის უვნებლობა, ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენება. ავტომობილების გამონაბოლქვის მავნე ზემოქმედება, საბანაო-სარეკრეაციო წყლების არასაკმარისი სანიტარულ-ჰიგიენური დაცულობა და სხვ.), ნაკლოვანებები არსებობს ბიომრავალფეროვნებათა შენარჩუნების სფეროში (ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია და დეგრადირება, უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება და სხვ. აქტობრივად, დაცული ტერიტორიები არა ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის, არამედ ტურიზმის განვითარების

რესურსად გამოიყენება); აღდგენადი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების დაბალი დონე (საქართველო მდიდარია: ჰიდროენერგორესურსებით, მზის, ქარისა და თერმული წყლების რესურსებით, მაგრამ ყველა ეს რესურსი დღეისათვის მცირედითაა ათვისებული), არასრულყოფილია ნარჩენების მართვის სისტემა, იგი არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს; სრულყოფას საჭიროებს შესაბამისი ინსტიტუციური ბაზა (მაგ., მისაღებია კანონი სამთო გადამუშავების ნარჩენების შესახებ და სხვ.); გასაძლიერებელია გარემოსდაცვითი განათლების სისტემა [Abesadze… 2019] და სხვ.

დასკვნები

1. ეკოლოგიური პოლიტიკის ინსტრუმენტებს წარმოადგენს ისეთი ნორმატიული აქტები და დოკუმენტები, როგორიცაა კონვენციები, დირექტივები და რეგლამენტები. საქართველოს ვალდებულებები ბუნების დაცვის სფეროში განისაზღვრა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელ-შეკრულებით, კანონმდებლობათა დაახლოების შესაბამისად დადგენილი დირექტივების მიხედვით. განიხილება შემდეგი დირექტივები: გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ; გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ; საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდო-მობის შესახებ; ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ; ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელისა და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ; ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირების შესახებ; ბენზინის შენახვითა და მისი ტერმინალებიდან ავტოგასამართ სადგურებში დისტრიბუციით გამოწვეული აქროლადი ორგანული ნაერთის (VOC) გაფრქვევების კონტროლის შესახებ; ზოგიერთ საღებავში, ლაქებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაღებვის პროდუქციაში ორგანული გამხსნელების გამოყენებით გამოწვეული აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) გაფრქვევების შემცირების შესახებ; წყლის პოლიტიკის სფეროში

საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ; წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ; ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ; ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ; საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი ქმედებებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ; ნაგავსაყრელების შესახებ; მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ; გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ; ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ; სამრეწველო ემისიების შესახებ; სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხეების შესახებ; რეგულაციები: სახიფათო ქიმიური ნივთიერებების იმპორტისა და ექსპორტის შესახებ; ნივთიერებებისა და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ; საქართველოს ევალება ამ დირექტივებით განსაზღვრულ სფეროებში შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოების განსაზღვრა, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

2. გარკვეული ვალდებულება საქართველოს მიერ უკვე შესრულებულია, კერძოდ: მიღებულია საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996); საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა სამი ეროვნული პროგრამა; საქართველოს კანონი - „ნარჩენების მართვის კოდექსი“; „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“; გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (2017) და სხვ. თუმცა, ბევრი ვალდებულება ისევ შეუსრულებულია, მაგალითად, „მწვანე“ ეკონომიკის ზრდის სტრატეგიის შემუშავება.

3. ხსენებულ დოკუმენტებში ევროკავშირისა და საქართველოს ასოციირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად, ასახულია საქართველოს გარემოსდაცვითი მიზნები და პრიორიტეტები, განსაზღვრულია სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნები, უახლოეს 5 წელიწადში განსახორციელებელი ამოცანები და კონკრეტული

ქმედებები, რომლებიც აუცილებელია გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გარემოსდაცვითი პოლიტიკის მთავარ მიზნად აღიარებულია ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება, რომლის დროსაც გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები ერთ სიბრტყეში განიხილება. ყურადღება გამახვილებულია, ისეთ სფეროებზე როგორიცაა: გარემოსდაცვითი მმართველობა; წყლის რესურსების მართვა; ატმოსფერული ჰაერის დაცვა; ქიმიური ნივთიერებების მართვა; ბუნების (ბიომრავალფეროვნების) დაცვა; ტყის მართვა; ნიადაგის დაცვა; კლიმატის ცვლილება; ბუნებრივი საფრთხეების რისკების მართვა; რადიაციული უსაფრთხოება; მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება.

4. მიუხედავად გაწეული სამუშაოებისა, საქართველოში გადაუჭრელი რჩება არაერთი მწვავე პრობლემა: მდინარეები დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ზოგიერთი - მძიმე ლითონებით, ნავთობპროდუქტებით, კომუნალური სექტორის ნარჩენებით; არ ხდება ჩამდინარე წყლის სათანადო გაწმენდა, წყლის ბიოლოგიური გაწმენდა და ა. შ.; ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენ მასალათა ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები და სხვ.

5. მომავალში სასურველიa მიღებული იქნეს შემდეგი კანონები: „ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ“; კანონი „ბიომრავალფეროვნების შესახებ“.

6. ასევა მეტად მნიშვნელოვანია:

1. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება;
2. ნარჩენების მართვის განვითარებული სისტემის ჩამოყალიბება;
3. ნარჩენების გადამუშავებისა და განთავსების ეფექტიანი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და განვითარება;
4. ქიმიური ნივთიერებების მართვის განვითარებული სისტემის შექმნა;
5. ბიომრავალფეროვნების მართვის გაუმჯობესება;
6. ტყის მდგრადი მართვის სისტემის გაუმჯობესება;

7. ნიადაგის დეგრადაციის (გაუდაბნოების) შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენა;

8. სათბურის აირების ემისიების შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“. 2016. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

2. ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო. http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf

3. ქავთარაძე ი. 2018. „მწვანე ზრდა“ ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს სტაბილურობას ერთდროულად გულისხმობს. http://www.economy.ge/?page=news&nw=654&s=irmaqavtaradze-mwvane-zrda

4. Abesadze R. “Green”. economiy: essence and challenges. 2019. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჴ “ეკონომიკა ჴ 82 XXI საუკუნე” მასალების კრებული “მწვანე ეკონომიკა” (22-23 ივნისი, 2019). თბ., “თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”.

5. Abesadze R. 2019. Circular Economy: Essence and modern challenges. Ekonomisti, № 1

Ramaz Abesadze
Nana Bibilashvili

THE EXISTING STATE OF APPROXIMATION OF ENVIRONMENTAL PROTECTION LEGISLATION OF GEORGIA TO THE LEGISLATION OF THE EU

Summary

In the work the issues of the approximation of an environmental protection legislation basis of Georgia and the EU are considered.

ალფრედ კურატაშვილი
ქრისტინე (ქეთევან) კურატაშვილი

საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულება და მისი ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პერსპექტივები

ანოტაცია. *სამეცნიერო ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულება და მისი ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პერსპექტივები.*

სამეცნიერო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური კანონმდებლობის მორგებას ადამიანების უფლებების დაცვაზე და მათი ინტერესების რეალიზაციაზე.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების პრობლემების გადასაჭრელად პრინციპულ მნიშვნელობას იძენს მისი ადაპტირება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

თემის აქტუალობა.

ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების პრობლემის გადაჭრის პრინციპული მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს, რადგან კანონი და კანონმდებლობა მთლიანობაში, იქმნება იმისთვის, რომ ემსახუროს ადამიანის ინტერესებს - ემსახუროს ხალხის ინტერესებს და არა პირიქით.

ასევე აქტუალურია საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის ადაპტირების პრობლემა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რადგან ამ პრობლემის გადაჭრა აუცილებელი პირობაა ეკონომიკის, საზოგადოების და მთლიანად სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემების განსაკუთრებული მნიშვნელობით არის განპირობებული საკვლევი თემის აქტუალობა.

არსებული გამოკვლევების ანალიზი.

არსებული გამოკვლევების სიღრმისეული მეცნიერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუმცა სხვადასხვა ასპექტში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების პრობლემების გადაჭრას, მაგრამ თითქმის არ გვხვდება სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც განხილული იქნება საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პერსპექტივები.

პრობლემის კვლევის მიზანი და ამოცანები.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია ადამიანის უფლებების დაცვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე მიმართული ევროკავშირის ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების საფუძვლების იმ პრინციპული მნიშვნელობის ეკონომიკური კანონმდებლობის საერთაშორისო მასშტაბით დანერგვა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა.

რაც შეეხება სამეცნიერო ნაშრომის ამოცანას, აღნიშნულ ამოცანას წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე მიმართული ევროკავშირის ეკონომიკური კანონმდებლობის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება, რომელი კანონმდებლობის გარეშეც მიუღწეველი იქნება ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვაზე და ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე მიმართული ევროკავშირის ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების საფუძვლების იმ პრინციპული მნიშვნელობის ეკონომიკური კანონმდებლობის საერთაშორისო მასშტაბით დანერგვის აუცილებლობის დასაბუთება, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებათა და

ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში, რომლებთან შესაბამისობაშიც მოყვანილი უნდა იქნეს სახელმწიფოთა ეკონომიკური კანონმდებლობები და მთლიანად ეროვნული კანონმდებლობები, და რომელთა გამოყენების გარეშეც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა.

* * *

ძალიან აქტუალურია ეროვნული ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების ევროკავშირის კანონში ადაპტირების პრობლემა, რადგან ამ პრობლემის გადაჭრა აუცილებელი პირობაა ეკონომიკის, საზოგადოების და მთლიანად სახელმწიფოს ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ უცხო სახელმწიფოებთან ეფექტიანი ურთიერთქმედებისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ობიექტური აუცილებლობაა ერთი მხრივ, ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების განვითარება და გაუმჯობესება, და, მეორე მხრივ, მისი ადაპტაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. პრობლემის გადაჭრის გარეშე, სახელმწიფოს პროგრესული განვითარება შეუძლებელია, რაც ნიშნავს, რომ ხალხის ინტერესების განხორციელება შეუძლებელია.

ამავდროულად, ეკონომიკის, საზოგადოების და მთლიანად სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს თეორიული საფუძვლების განსაზღვრას, რის საფუძველზეც უნდა გაიაროს ეროვნული სამართლებრივი სისტემის განვითარების გზა, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვას - ხალხის უფლებები და ინტერესები და რომელიც ადაპტირებული უნდა იყოს ევროკავშირის კანონში.

თეორიული საფუძვლების კვლევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ თანამედროვე საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირება და მართვა შეუძლებელია სათანადო თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობის გარეშე –

შეუძლებელია იმ თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობის გარეშე, რომელ საფუძვლებზეც უნდა განისაზღვროს ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულება.

კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების პრობლემასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კანონი და კანონმდებლობა მთლიანობაში, იქმნება იმისთვის, რომ ემსახუროს ადამიანების ინტერესებს - ემსახუროს ხალხის ინტერესებს, და არა პირიქით.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ, როგორც პროფესორი ალფრედ კურატაშვილი აღნიშნავს: „თუმცა ეკონომიკას ყოველთვის განიხილავდნენ როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების საფუძველს, მაგრამ სათანადო არაეკონომიკური – იდეურ-თეორიული, ინტელექტუალური – საფუძვლების, და, კერძოდ, ავტორის მიერ შექმნილი მეცნიერული საფუძვლების გამოყენების გარეშე, თვითონ ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია“ [1].

სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უმაღლესი განათლების ეფექტიანი ფუნქციონირების თეორიული საფუძვლების კვლევას, რამეთუ, როგორც ლეონარდო და ვინჩი აღნიშნავდა:

„თეორია – მხედართმთავარია, პრაქტიკა – ჯარისკაცები“ [2].

ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების გაუმჯობესება ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობებში, რაც ასახული უნდა იყოს ეროვნულ იურიდიულ სისტემაში და ევროკავშირის სამართალში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის, რადგან ევროკავშირის კანონის მთავარი პრიორიტეტი არის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის დაცვა.

სამართლებრივი ჰარმონიზაცია (legal harmonization) გასული საუკუნის მეორე ნახევარში არსებითი ასპექტი იყო საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში. ეს პროცესი განაპირობა საერთაშორისო ურთიერთობათა ინტენსიფიკაციამ კერძო სუბიექტებს

(არასამთავრობო ორგანიზაციებს, კომპანიებს) შორის, აგრეთვე, - ცალკეული ეროვნული ხელისუფლებების მიერ საერთაშორისო ურთიერთობების მონოპოლიზაციის თანდათანობითმა ეროზიამ. სამართლებრივი ჰარმონიზაცია ევროპული გაერთიანების შექმნის და მისი შემდგომი ისტორიული განვითარება-გაფართოების მთავარ ინსტრუმენტად იქცა. ამიტომაც სახელმწიფოთა კანონების დაახლოება და კონვერგენცია ევროპული კავშირისათვის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი მექანიზმია [3].

ასოცირების შეთანხმების VIII კარის („ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები“) მე-2 თავში განმარტებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ეტაპობრივი დაახლოება (gradual approximation) და დინამიური დაახლოება (dynamic approximation). ეტაპობრივ დაახლოებას ამგვარად განმარტავს ასოცირების შეთანხმების 417-ე მუხლი: „საქართველო განახორციელებს თავისი კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სამართალთან, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმების დანართებში წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების საფუძველზე და ამ დანართების დებულებათა შესაბამისად“. დინამიურ დაახლოებას ასე განსაზღვრავს ასოცირების შეთანხმების 418-ე მუხლი: „საქართველოს მიერ ევროკავშირის სამართალთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნების შესაბამისად, ასოცირების საბჭო პერიოდულად გადახედავს და განაახლებს წინამდებარე შეთანხმების დანართებს, მათ შორის ევროკავშირის სამართლისა და მხარეთა მიერ მართებულად მიჩნეულ საერთაშორისო დოკუმენტებში განმტკიცებული შესაბამისი სტანდარტების განვითარების ასახვის მიზნით, თითოეული მხარის მიერ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში“ [3]..

ცივილიზებული განვითარებისკენ ისწრაფვიან სახელმწიფოები, რომლებსაც ობიექტურად ესაჭიროებათ ამის გათვალისწინება და ასახვა მათ ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც გამოიწვევს ეროვნული სამართლებრივი სისტემის ადაპტირებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

სახელმწიფო ხელისუფლების გააქტიურება ევროინტეგრაციისა და ინოვაციების მიმართულებით უნდა ჩაითვალოს ეკონომიკის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტური ფუნქციონირების აუცილებელ პირობად და ხალხთა ცხოვრების მაღალი ხარისხის მისაღწევად მნიშვნელოვან ფაქტორად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხალხის ინტერესების რეალიზაციის მიზნით, საჭიროდ მიმაჩნია დავეყრდნოთ პროფესორ ალფრედ კურატაშვილის ფუნდამენტურად ახალ თეორიებს - სოციალური მიზნის ფილოსოფიას [4; და სხვები], ხალხის ინტერესთა უზენაესობის თეორიის შესახებ [5; და სხვები] და თანამდებობის პირთა უფლებებისა და მოვალეობების დაბალანსების თეორიის შესახებ [6; და ა.შ.]. ეს არის კომპლექსში ფუნდამენტურად ახალი სამეცნიერო მიმართულებები და ფუნდამენტურად ახალი სამეცნიერო თეორიები.

საზოგადოებაში და სახელმწიფოში დომინირების რადიკალური ალტერნატივაა - ფული, ბაზარი, მოგება, კაპიტალი ადამიანზე, რომლის თეორიული საფუძვლები პროფესორ ალფრედ კურატაშვილის საფუძვლიანი განცხადების თანახმად, ჩაუყარა კლასიკური პოლიტეკონომიის ფუძემდებელმა, მსოფლიოში ცნობილმა ადამ სმიტმა და პირველ რიგში, მისი "ცნობილი" იდეა, რომელსაც მან უწოდა - ბაზრის "უხილავი ხელი". "ამრიგად, ეკონომიკური ფაშიზმის აღმოფხვრის მიღწევა, ადამ სმიტის ე.წ." უხილავი ხელის "იდეის საფუძველზე," როგორც სწორად აღნიშნა ხსენებულმა ავტორმა, "... ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების და სახელმწიფო ადმინისტრაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, თუ სახელმწიფო ხელისუფლება ნამდვილად ემსახურება ყველა ადამიანის ინტერესებს - ხალხის ინტერესებს. "[7].

ამრიგად, ადამიანის უფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სამართლიანობისა და ხალხის უზენაესობის ინტერესებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სამართლებრივი სისტემის შექმნის პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც ემსახურება ყველა ადამიანის ინტერესებს და ამ იურიდიული სისტემის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, საჭიროა დაეყრდნოს პროფესორ ალფრედ კურატაშვილის ზემოხსენებულ სამეცნიერო თეორიებს [4; 5; 6; 7 და ა.შ.].

ევროპული ინტეგრაცია და ინოვაცია, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ზოგადი ეკონომიკური თეორიისა და ზოგადად სოციალურ მეცნიერებათა ფუნდამენტური კვლევის ძირითად მიმართულებას, მაგრამ ევროპული ინტეგრაცია და ინოვაცია, პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მიერ შექმნილი სოციალური მიზნის ფილოსოფიის შესაბამისად. და სხვა], უნდა ჩაითვალოს არა როგორც თვითმიზანი, არამედ აუცილებელი საშუალება, რომელიც მიზნად ისახავს თითოეული ადამიანის ინტერესების რეალიზაციას - ხალხის ინტერესების რეალიზაცის, საზოგადოების თითოეული წევრის ცხოვრების მაღალი ხარისხის მიღწევას. ევროკავშირში ინტეგრაციის განხილვისას, პროფესორი ალფრედ კურატაშვილი აღნიშნავს, რომ "პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისას სახელმწიფოებმა არ უნდა აურიონ ერთმანეთში მიზნები და საშუალებები, რაც ხშირად ხდება; სახელმწიფოს საშუალებები არ უნდა გამოცხადდეს მიზნად და არ გადაიქცეს თავისთავად მიზნად "[8, გვ. 37]. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ "ევროკავშირში ინტეგრაცია არ უნდა იყოს მიზანი, მაგრამ ის მხოლოდ ადამიანის ინტერესების - ხალხის ინტერესების რეალიზაციის აუცილებელ საშუალებად უნდა იქნას განხილული" [8, გვ. 38]. შესაბამისად, ადამიანის ინტერესების პრიორიტეტიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მიზნად უნდა ისახავდეს სწორედ ხალხის ინტერესების რეალიზაციას. უფრო მეტიც, ეს ეხება სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობას ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში [6; და სხვა], ან სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობას, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების და სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, ე.ი. ვგულისხმობ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობას, რომელსაც ხელმძღვანელობს ხალხის ინტერესების უზენაესობა [7; და ა.შ.]. საჭიროდ მიმაჩნია აქ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ევროინტეგრაციისა და ინოვაციების პრობლემების მოგვარება და ზოგადად ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოს და ზოგადად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირება, თითოეული ადამიანის ცხოვრების მაღალი ხარისხის მიღწევა შეუძლებელია პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მიერ შექმნილი თეორიის გამოყენების გარეშე,

თანამდებობის პირთა უფლებებისა და მოვალეობების დაბალანსება [6; და სხვები], რადგან სოციალური სამართლიანობის პრობლემის მოგვარება ეკონომიკაში, საზოგადოებაში და სახელმწიფოში ვერ მიიღწევა თანამდებობის პირთა იურიდიული პასუხისმგებლობის გარეშე, გაწონასწორებული მათი უფლებებით.

ამასთან ერთად მიგვაჩნია რომ, საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პერსპექტივების განხილვისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული, კულტურული და რელიგიური თავისებურებები, რათა არ მოხდეს საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევა და მათი თავისუფლებების შელახვა. აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩვენი ტრადიციული და მრავალეროვნული ქვეყნის თითოეული მოქალაქის ინტერესები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **См. Голованов Я. К.** Этюды об ученых. 3-е издание, дополненное. Москва: «Молодая гвардия», 1983, с. 53.

2. **კურატაშვილი ალფრედ.** პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები. მმართველობითი სამართალი და ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელი თეორიული ბაზისი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003. – გვ. 115.

3. **ეკატერინე ქარდავა.** სამართლებრივი დაახლოება. 2017 წ. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/83802/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D_%E1%83%9E%E1%83%

A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

4. Кураташвили Альфред А. Философия социальной цели. Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 352 с.

5. Кураташвили Альфред А. Теория верховенства интересов народа. ***Принципиально новое научное направление и системообразующая теория управленческого права, правовой системы истинно человеческого общества и социально-экономических наук в целом*** (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 336 с.

6. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება _ ადამიანის ინტერესების დაცვა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა `პროგრესი 2003. _ 256 გვ.

7. Кураташвили Альфред А. Адам Смит – основоположник и «отбеливатель» экономического фашизма (?!). «Невидимая рука» Адама Смита, проявляющаяся в качестве «Видимой руки» экономического фашизма (?!), и её Революционная Альтернатива!!! Международный научный журнал «Прогресс», 2019, № 1-2. Международная Академия социально-экономических наук. Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2019. – с. 5-26.

8. Кураташвили Альфред А. Интеграция в Европейский Союз: цель или средство?! (на грузинском языке). Проблемы науки, общества и государства. *Материалы Международной* XXVII *научной конференции* (22.02.2017). Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2017. – 78 с.

Alfred Kuratashvili
Kristine (Ketevan) Kuratashvili

TARGETING OF ECONOMIC LEGISLATION OF GEORGIA AND THE PERSPECTIVES OF ITS APPROXIMATION TO THE LEGISLATION OF THE EU

Summary

In the work the targeting of economic legislation of Georgia and the perspectives of its approximation to the legislation of the EU are considered

ვახტანგ ბურდული

საქართველოში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემები

ანოტაცია. *ნაშრომში კლასიფიცირებულია ინოვაციის სახეები და სისტემატიზებულია მათი დამუშავების და გავრცელების ხერხები, გამოკვლეულია ინოვაციების გავრცელების სექტორული პრობლემები, გაანალიზებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკა ინოვაციების გავრცელების შესახებ, განხილულია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საქმიანობა ინოვაციების გავრცელების შესახებ, განხილულია საქართველოში "საბაზისო" ინოვაციების რეალიზაციის რამდენიმე მაგალითი და გაშუქებულია ინოვაციების გავრცელების რეგიონული პრობლემები ტექნოპარკების ორგანიზაციის გზით.*

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციის სახეები, ინოვაციების გავრცელება, საბაზისო, გასაუმჯობესებელი და პსევდო-ინოვაციები, ინოვაციების გავრცელების სექტორული პრობლემები, ინოვაციების გავრცელების სტატისტიკა, ინოვაციების გავრცელების რეგიონული პრობლემები.*

შესავალი

იმისათვის, რომ მოვახდინოთ საქართველოში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემების გამოკვლევა, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ინოვაციების სახეე-

ბის კლასიფიკაციის და მათი დამუშავებისა და გავრცელების ხერხების სისტემატიზაციის შესახებ თანამედროვე შეხედულებების შესწავლა, რაც ჩემს მიერ გაკეთებულია ნაშრომის პირველ დანაყოფში. მეორე დანაყოფში სისტემურად იკვლევა ინოვაციების გავრცელების დარგობრივი (სექტორული და ქვესექტორული) პრობლემები, ამასთან ისინი სისტემატიზებულია იმ ინოვაციების ჭრილში, რომელიც ვრცელდება მხოლოდ ცალკეული კონკრეტული დარგების ფარგლებში, და იმ ინოვაციების ჭრილში, რომელიც ვრცელდება მრავალ დარგში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ან უფრო ფართო გაგებით, ციფრული ეკონომიკის), მწვანე ეკონომიკის (მსოფლიოში დასანერგი ინოვაციების 40%-მდე), წრიული ეკონომიკის და კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების ტექნოლოგიების ხაზით. ამის შემდეგ, მესამე დანაყოფში გაანალიზებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკა ინოვაციების გავრცელების შესახებ, რომელშიც ინოვაციურ პროცესში საქართველოს საწარმოების და ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ ზოგადი ხასიათის მონაცემების გარდა, მოცემულია პროცენტული მაჩვენებლები ზოგიერთი ტიპის ინოვაციების გავრცელების შესახებ (სიახლის ტიპის შესაბამისად საწარმოში შესვლისა და ბაზარზე გასვლის მიხედვით, ინოვაციების წარმოების წყაროების (დამმუშავებლის) მიხედვით და სხვა). უფრო ვრცლად სტატისტიკურ ანგარიშგებაში წარდგენილია მხოლოდ სტატისტიკა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ, რომელიც განხილულია ნაშრომის მეოთხე დანაყოფში. ნაშრომის მეხუთე დანაყოფში განხილულია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საქმიანობა ინოციების გავრცელების მიზნით, მათ შორის მოტანილია იმ ინოვაციური სტარტაპების მაგალითები, რომელიც ორგანიზებულია სააგენოს შესაბამისი პროგრამების ჩარჩოებში [ქვეყნის ...]. არ არსებობს ცალკე სტატისტიკა ეგრეთ წოდებული "საბაზისო" ინოვაციების შესახებ (რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია, კერძოდ, ახალი საწარმოო ტექნოლოგიების შესახებ), მაგრამ ნაშრომის მეექვსე დანაყოფში წარდგენილია რამდენიმე ასეთი, საქართველოში რეალიზე-

ბული, ინოვაცია, რომელიც გაშუქებული იყო პრესაში, კერძოდ ინტერნეტში. ნაშრომის უკანასკნელ დანაყოფში განიხილება ინოვაციების გავრცელების რეგიონული პრობლემები ტექნოპარკების ორგანიზაციის გზით.

1. ინოვაციების სახეებისა და მათი დამუშავების და გავრცელების ხერხების კლასიფიკაცია

ინოვაციების კლასიფიკაცია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ინოვაციების კლასიფიკაციის მრავალი ვარიანტი [Пригожин А., 1998; Гонаренко О., 2011; Виды инноваций ...; Мухамедъяров А.; Классификация и виды ...; Классификация инноваций ..., 2016; Тема 3. ...]. მათი შესწავლის საფუძველზე და ინოვაციის ბუნებაზე თანამედროვე წარმოდგენებზე დაყრდნობით, ჩემს მიერ შედგენილია უფრო თანამედროვე კლასიფიკაცია.

უკანასკნელი წარმოდგენების მიხედვით ინოვაციების კლასიფიცირება უნდა ხდებოდეს შემდეგი ნიშნების (კრიტერიუმების) მიხედვით: ა) მნიშვნელოვნობის (ეკონომიკაზე ზემოქმედების დონის) მიხედვით; ბ) ბაზრისა ან საწარმოსათვის სიახლის ხარისხის მიხედვით და თავისი წინამორბედის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით (მემკვიდრეობითობის მიხედვით); გ) დამმუშავებლის (დამუშავების წყაროს) მიხედვით; დ) გამოყენების სფეროს ან სიახლის ტიპის მიხედვით; ე) საგნის და მისი გამოყენების სფეროს მიხედვით; ვ) გავრცელებულობის ნიშნის (მასშტაბის) მიხედვით; ზ) საწარმოს, ფირმის, ორგანიზაციის სისტემაში ადგილის მიხედვით; თ) სიახლის ფორმის მიხედვით; ი) ღირებულების ჯაჭვის ელემენტების მიხედვით; კ) წარმოქმნის მიზეზის მიხედვით; ლ) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხასიათის მიხედვით; მ) ინოვაციის დანერგის შედეგად მიღებული ეფექტის სახეობის მიხედვით.

დაწვრილებით დავახასიათოთ ინოვაციების სახეები ჩამოთვლილი ნიშნების (კრიტერიუმების) ჭრილში.

ა) **მნიშვნელობულობის** (ან ეკონონიკაზე ზემოქმედების დონის) მიხედვით განასხვავებენ საბაზისო (რადიკალურ), გასაუმჯობესებელ და ფსევდო- ინოვაციებს.

საბაზისო (რადიკალური) ინოვაციები შეიძლება იყოს ახალი ან ძირეულად სრულყოფილი პროდუქტი ან მომსახურება, ასევე ახალი ან ძირეულად სრულყოფილი საწარმოო ტექნოლოგია. სხვანაირად ამ ინოვაციებს ეწოდება "რადიკალური". საბაზისო ინოვაციები დაფუძნებულია სამეცნიერო აღმოჩენებზე და ტექნიკის და ტექნოლოგიების ახალი თაობების მსხვილ გამოგონებებზე, მათი დაგროვება იწვევს ახალი ტექნოლოგიური დონის მიღწევას.

გასაუმჯობესებელი ინოვაციები ეწოდება ინოვაციებს, რომელიც უზრუნველყოფენ საბაზისო ტექნოლოგიების არსებით გაუმჯობესებას. გასაუმჯობესებელი ინოვაციები ითვალისწინებენ საშუალო დონის გამოგონებების რეალიზაციას და წარმოადგენენ ტექნიკის მოცემული თაობის იმ ახალი მოდელების და მიდიფიკაციების შექმნის ბაზას, რომელთა მეშვეობით ხდება მოძველებული მოდელების შეცვლა უფრო ეფექტიანებით.

ფსევდოინოვაციები (ზოგიერთ წყაროში მათ ეწოდება მოდიფიკაციური ან კერძო), რომელიც ყველაზე გავრცელებულია, იძლევიან ბაზისური და გასაუმჯობესებელი ინოვაციების მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევის შესაძლებლობას მათი უმნიშვნელო სრულყოფის გზით. ამასთან ფართოვდება ინოვაციების გასაღების ბაზარი და მათი გამოყენების სფერო.

ბ) **ინოვაციები ბაზრისა ან საწარმოსათვის სიახლის ხარისხის მიხედვით და თავისი წინამორბედის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით (მემკვიდრეობითობის მიხედვით).** ბაზრისათვსის სიახლის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ინოვაციებს, რომელიც ახალია დარგისათვის მსოფლიოში, ახალია დარგისათვის ქვეყანაში და ახალია მოცემული საწარმოსათვიას. წინამორბედის მიმართ სამოკიდულების მიხედვით (მემკვიდრეობითობის მიხედვით) განასხვავებენ შენაცვლებად, რაციონალიზებად, გაფართოვებად. გააუქმებად, აღმოჩენებად და რეტროშემოღებებს.

სიახლის ხარისხი ასევე განისაზღვრება ან ახალი აღმოჩენის საფუძველზე, ან ახალი ხერხის გამოყენების საფუძველზე ძველი გამოგონებების მიმართებაში (რეტროშემოღებები).

გაფართოვებადი ინოვაციები მიმართულია საბაზისო ინოვაციების პრონციპებისა და მეთოდების გამოყენებაზე სხვა ეკონომიკურ სფეროებში.

შენაცვლებადი ინოვაციები განკუთვნილია ოპერაციების წარმოებისათვის სხვა, უფრო ეფექტიანი ხერხით. ისინი გულისხმობენ მოძველებული საშუალებების სრულ შეცვლას (განდევნას), რითაც უზრუნველყოფენ შესაბამისი ფუნქციის უფრო ეფექტიან შესრულებას.

გააუქმებადი ინოვაციები გამორიცხავენ რომელიმე ოპერაციის შესრულებას, რომელიმე ნაკეთობის გამოშვებას და არ ცვლიან მათ ახლებით.

შებრუნებადი ინოვაციები ხორციელდება მაშინ, როდესაც რაინე სიახლის გამოყენების დროს გამოვლინდა მისი უსაფუძვლობა ან შეუსაბამებლობა ახალი პირობებისადმი და საჭირო ხდება მისი წინამორბედის დაბრუნება.

აღმოჩენებადი ინოვაციები ქმნიან საშუალებებს, რომელთაც არ გააიჩნიათ შეჯარებადი (მსგავსი) ფუნქციონალური წინამორბედები.

რეტროშემოღებები - ეს არის სიახლეები, რომელიც თანამედროვე დონეზე ყვლავ აწარმოებენ ძველ მეთოდებს, ხელსაწყოებს, მასალებს.

გ) **დამმუშავებლის (ინოვაციის შემუშავების წყაროს) მიხედვით.** ინოვაცია შეიძლება შემუშავებული იყოს ან საწარმოს ძალებით ან გარე წყაროს ძალებით (უფრო ვრცლად ამ დანაყოფის პუნქტში "ინოვაციების დამუშავების და გავრცელების ხერხები").

დ) **გამოყენების სფეროს და სიახლის ტიპის მიხედვით** განასხვავებენ მატერიალურ-ტექნიკურ (ტექნიკა, ტექნოლოგიები, ნედლეული), სოციალურ ინოვაციებს (საორგანიზაციო-მმათვლობითი, სამართლებრივი, პედაგოგიური), ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, მწვანე ეკონომიკის სფეროში, წრიული ეკონომიკის სფეროში და უტილიზაციურ ინოვაციებს, მარკეტინგულ,

საინფორმაციო-საკომუნიკაციო (ამჟამად ძირითადად - ციფრულ) და სხვა ინოვაციებს.

პრაქტიკაში ყველაზე მეტ გამოყენებას პოულობენ **ტექნოლოგიური** ხასიათის ინოვაციები - ინოვაციური **პროდუქტი** ახალი პროდუქტების სახით და ახალი ტექნოლოგიების, მოწყობილობის და მასალების შემოღების **პროცესი. ორგანიზაციულ-მმართველობით** ინოვაციებს მიეკუთვნება საწარმოს მართვის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის დამუშავება და დანერგვა, შრომის ორგანიზაციის ახალი სტრუქტურები და ფორმები, გადაწყვეტილებების შემუშავების და კონტროლის ახალი ფორმები; **ეკონომიკურ** ინოვაციებს მიეკუთვნება ადრე არ არსებული შრომის ანაზღაურების სისტემების და ფორმებისა და საწარმოო დანახარჯების მართვის ახალი მეთოდების გამოყენება, ახალი მატერიალური სტიმულები; **მარკეტინგულს** - ახალი ბაზრების ათვისება და საქონლის წინ წაწევის ახალი ხერხები; **სოციალურ** ინოვაციებს - შრომის მოტივაციის ახალი მეთოდების გამოყენება; **ეკოლოგიურ** ინოვაციებს - ახალი ტექნოლოგიების გამოყენება გარემოს დაცვის სფეროში; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინოვაციებს მიეკUტვნება ახალი საინფორმაციო-კომუნიკაციური და სხვა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება (აქვე აღვნიშნავ, რომ ადრე უფრო ხშირად გამოყენებადი ტერმინი "საინფორმაციო-სა*ტელეკ*ომუნიკაციო ტექნოლოგიები" არ არის ყოვლის მომცველი, "ტელე" ლატინურად ნიშნავს "შორს", მაგრამ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება მოკლე მანძილებზეც, მაგალითად ჩარხების აღჭურვა ციფრულ-პროგრამული მართვით); **სამართლებრივ** ინოვაციებს მიეკუთვნება ცვლილებები კანონმდებლობაში; **პედაგოგიურ** ინოვაციებს _ სწავლების და აღზრდის ახალი მეთოდები.

ე) საგნის დს მისი გამოყენების სფეროს მიხედვით განასხვავებენ **საპროდუქტო ინოვაციებს** (ახალი პროდუქტი, მათ შორის შრომის საშუალებები, და მასალები) და **საპროცესო ინოვაციებს** (ტექნოლოგიები, წარმოების ორგანიზაციული პროცესები, მმართველობის პროცესები), ესე იგი ინოვაციებს პროდუქტის ფორმაში და ინოვაციებს ოპერაციის ფორმაში.

ზოგიერთ წყაროში ამის გარდა გამოიყოფა **საბაზრო ინოვაციები** (ინოვაციები, რომლებიც ხსნიან პროდუქტის გამოყენების ახალ სფეროებს, ინოვაციები, რომლებიც იძლევიან ახალ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობას).

საპროდუქტო ინოვაციები მოიცავენ ტექნოლოგიურად ახალი ან სრულყოფილი (გაუმჯობესებული) პროდუქტების დანერგვას. **ტექნოლოგიურად ახალი პროდუქტი** (რადიკალური საპროდუქტო ინოვაცია) - ეს არის პროდუქტი, რომლის ტექნოლოგიური მახასიათებლები (ფუნქციონალური ნიშნები, საკონსტრუქტორო შესრულება, დამატებითი ოპერაციები, და ასევე გამოსაყენი მასალების და კომპონენტების შემადგენლობა) ან სავარაუდო გამოყენება პრინციპულად ახლებია ან არსებითად განსხვავდება უფრო ადრე წარმოებული პროდუქტების ანალოგიური მახასიათებლებისა და გამოყენებისაგან. ასეთი ინოვაციები შეიძლება დაფუძნებული იყოს ან პრინციპულად ახალ ტექნოლოგიებზე ან ახალი გამოყენების მიზნით არსებული ტექნოლოგიების შეთანაწყობაზე (მათ შორის კვლევების და დამუშავებების შედეგების გამოყენების საფუძველზე). **ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული (სრულყოფილი)** პროდუქტი _ ეს არის არსებული პროდუქტი, რომლის ხარისხობრივი ან ღირებულობითი მახასიათებლები შესამჩნევად გაუმჯობესებულია უფრო ეფექტიანი კომპონენტების და მასალების გამოყენებისა ან (კომპლექსური პროდუქციის შემთხვავაში) ერთი ან რამდენიმე ტექნიკური Qქვესისტემის ნაწილობრივი ცვლილების ხარჯზე [Пригожин А., 1998; Классификация ...].

საპროდუქტო ინოვაციები განმსაზღვრელიბადებია, როგორც საზოგადოებრივი მოთხოვნილებების, უპირველეს ყოვლისა, მატერიალურების, დაკმაყოფილების ხერხები და საშუალებები. საპროდუქტო ინოვაციების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ შრომის საშუალებები. საპროდუქტო ინოვაციები გახდნენ გამსაზღვრელიბადები სხვა ინოვაციების მიმართ იმ მიზეზის გამი, რომ მრავალი საორგანიზაციო-მმართველობითი, სოციალურ ეკონომიკური სიახლეები განპირობებულია პროდუქციის ახალი სახეებისა და მათი მოხმარების ახალი პირობების გაჩენით. უფრო მეტიც, ასეთი ინოვაციების თვით

პრაქტიკული განხორციელება ძირითადად დამოკიდებულია საპროდუქტო ინოვაციების დონეზე და მათი გავრცელების ტემპებზე. მაგალითად, მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა (საორგანიზაციო-მმართველობთი ინოვაცია) ან წყალსატევების გასუფთავება (ეკოლოგიური ინოვაცია) განისაზღვრება ტექნიკური საშუალებების განვითარების დონით _ გამოთვლითი ტექნიკის, გასაწმენდი ნაგებობების და ა. შ. (ესე იგი საპროდუქტო სიახლეების). საპროდუქტო ინოვაციები, მათი გამოყენების სფეროს მიხედვით, იყოფა საწარმოო, სამომხმარებლო და სხვა დანიშნულების (სამეცნიერო, თავდაც-ვითი, სპორტული, ეკოლოგიური) პროდუქციაზე. ყველა ეს სიახლე (ინოვაცია), მიუხედავად მათი დანიშნულების, წარმოადგენს სამრეწველო პროდუქციას. [Мухамедъяров А.].

საპროცესო ინოვაცია _ ეს არის ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული (სრულყოფილი) საწარმოო მეთოდების ათვისება, ცვლილებები მოწყობილობაში ან წარმოების ორგანიზაციაში, ან ერთიც და მეორეც. საპროცესო ინოვაციები მოიცავენ ტექნოლოგიურად ახალი ან ტექნოლოგიურად მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული (სრულყოფილი) საწარმოო მეთოდების დამუშავებას და დანერგვას, პროდუქციის გადაცემის მეთოდების ჩათვლით (მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოო მეთოდები, საქონლის და მომსახურების მიწოდება, საქმიანობის დამხმარე მეთოდები). ასეთი სახის ინოვაციები შეიძლება იყოს დაფუძნებული ახალი საწარმოო მოწყობილობის და/ან პროგრამული უზრუნელყოფის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, არსებით ცვლილებებზე საწარმოო პროცესში ან მათ ერთობლიობაზე. ასეთი ინოვაციები, როგორც წესი, მიზნად ისახავენ წარმოების ან პროდუქციის, მომსაზურების გადაცემის საქმიანიბის დანახარ-ჯების შემცირებას პროდუქციის ერთეულზე, მაგრამ ასევე შეიძლება დანიშნულები იყვნენ ისეთი ტექნოლოგიურად ახალი პროდუქტების, მომსახურების წარმოებისა ან გადაცემისათვის, რომელიც არ შეიძლება წარმოებული ან გადაცემული იყოს არსებული მოწყობილობის ან საწარმოო მეთოდების გამოყენებით.

გადმოცემულიდან ჩანს, რომ ერთი და იგივე ტექნოლოგია ამა თუ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს როგორც საპროდუქტო, ასევე საპროცესო ინოვაცია. მაგალითად საწარმოს მიერ ახალი (ინოვაციური) ჩარხის გამოშვება წარმოადგენს საპროდუქტო ინოვაციას, ასეთი ჩარხის კი დანერგვა საწარმოო პროცესში სხვა საწარმოში წარმოადგენს საპროცესო ინოვაციას.

ვ) **გავრცელებულობის (მასშტაბის)** ნიშნის (კრიტერიუმის) მიხედვით განასხვავებენ განასხვავებენ ცალკეულ (ერთეულ) და დიფუზიურ ინოვაციებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, განხორციელებულს ერთ ობიექტზე, და განმეორებადებს, რომელიც ვრცელდება მრავალ ობიექტზე.

და რაც მთავარია, ისეთების, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ერთ კონკრეტულ გარგში და რომელთა გავრცელება ხდება მრავალ დარგში (მაგალითად, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების.

ზ) **საწარმოს, ფირმის ან ორგანიზაციის სისტემაში ადგილის მიხედვით** განასხვავებენ ინოვაციებს საწარმოს შესასვლელზე (ცვლილებები ნედლეულის, მასალების, მანქანების და მოწყობილობების, ინფორმაციის და ა. შ. არჩევაში და გამოყენებაში); ინოვაციები საწარმოს გასასვლელზე (ნაკეთობები, მომსახურება, ტექნოლოგიები, ინფორმაცია და სხვა); საწარმოს სისტემური სტრუქტურის ინოვაციები (მართვის, საწარმოო, ტექნოლოგიურის), ესე იგი საწარმოს სტრუქტურის ინოვაციები როგორც სტრუქტურის, რომელიც მოიცავს ცალკეულ ელემენტებს და მათ შორის ურთიერთკავშირებს.

თ) **სიახლის ფორმის მიხედვით** _ აღმოჩენა, გამოგონება, რაციონალიზატორული წინადადება, ნოუ-ჰაუ, სავაჭრო ნიშნები და მარკები, ახალი დოკუმენტები, კონსტრუქციები, სტრუქტურები, მეთოდები.

ი) **ღირებულების ჯაჭვის ელემენტების მიხედვით** განასხვავებენ რესურსულ ინოვაციებს, მზა პროდუქციის ინოვაციებს, სერვისის და მომდევნო მომსახურების ინოვაციებს, უტილიზაციის ინოვაციებს.

კ) **წარმოქმნის მიზეზის მიხედვით** განასხვავებენ რეაქტიულ (ადაპტიურ) და სტრატეგიულ ინოვაციებს.

რეაქტიული (ადაპტიური) ინოვაცია - ეს არის ფირმის გადარჩენის უზრუნველმყოფელი ინოვაცია კონკურენტის მიერ შემოღებულ სიახლეებზე რეაქციის სახით, რომელიც აძლევს კომპანიას ბაზარზე ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობას. სტრატეგიული ინოვაცია - ეს არის ინოვაცია, რომლის დანერგვას აქვს გამსწრები ხასიათი, პერსპექტივაში კონკურენტული უპირატესობების მიღების მიზნით. ინოვაციების ეს ორივე ტიპი მიმართულია საქონლის ან მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

ლ) **მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხასიათის მიხედვით** ინოვაციები იყოფა ორიენტირებულებზე არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე (რომლებიც აკმაყოფილებენ არსებულ მოთხოვნილებებს სხვა (ახალი) ხერხით; უფრო ეფექტიანად აკმაყოფილებენ არსებულ მოთხოვნილებებს) და ორიენტირებულებზე ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე (რომლებიც ქმნიან ახალ მოთხოვნილებებს).

მ) ინოვაციების დანერგვის შედეგად მიღებული **ეფექტის სახეობის მიხედვით** განასხვავებენ მეცნიერულ-ტექნიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ (კომერციულ) და ინტეგრალურ ეფექტებს.

ინოვაციების მოყვანილი კლასიფიკაცია შეიძლება გამოყენებული იყოს არა მარტო სტატისტიკური აღრიცხვის მიზნებისათვის (რაც განსაკუთრებით საჭიროა ამ ნაშრომის ამოცანების შესრულებისათვის), არამედ მისცეს საწარმოებს კონკურენტულ ბაზარზე თავისი პროდუქციის პოზიციონირების, საკუთარი კონკურენტუნარიანობის დონის შეფასების, განვითარების სტრატეგიის დამუშავებისა და მენეჯმენტის სრულყოფის ზომების დასაბუთების შესაძლებლობა. ასეთი კლასიფიკაცია ასევე საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის საწარმოებში ინოვაციების დანერგვის საქმიანობის ადეკვატური მხარდაჭერისათვის. ესე იგი მას აქვს არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ინოვაციების დამუშავების და გავრცელების ხერხები.

გარკვეულ წილად ეს საკითხი ჩვენს მიერ გაშუქებულია [Абесадзе Р., Бурдули В., 2017; Abesadze R, Burduli V., 2019]-ში.

გადმოვცემთ აქ ამ საკითხს მოკლედ და სისტემურად, ზემოთ მოყვანილი ინოვაციების სახეების კლასიფიკაციის გათვალისწინებით.

ინოვაციების დამუშავების ხერხები.

როგორც იყო აღნიშნული დამმუშავებლის კრიტერიუმის მიხედვით ინოვაცია შეიძლება იყოს დამუშავებული საწარმოს ან გარე წყაროს ძალებით, მაგრამ უფრო ხშირად, განსაკუთრებით საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციები, მუშავდება გარე დასპეციალიზებული სუბიექტების მიერ.

საბაზისო საპროდუქტო და საპროცესო ინოვაციები (უპირველეს ყოვლისა, ახალი საწარმოო ტექნოლოგიები) მუშავდებიან საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიებს, ან სპეციალიზებულ საკონსტრუქტორო ბიუროებში, რომლებიც შეიძლება შედიოდნენ მსხვილი საწარმოების, მაგალიტად ტრანსეროვნული კორპორაციების, შემადგენლობაშიც.

საბაზისო საპროდუქტო ინოვაციების შემუშავება შეიძლება ხდებოდეს როგორც მსხვილი საწარმოების შიგნით, ასევე იმ საშუალო და მცირე საწარმოებში, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ პროდუქტს, მათ შორის ეგრეტ წოდებულ საინოვაციო საწარმოებში.

საწარმოს სისტემური სტრუქტურის გასაუმჯობესებელი ინოვაციები და გასაუმჯობესებელი ინოვაციები საწარმოს გასასვლელზე უფრო ხშირად მუშავდება საწარმოს ძალებით, ამ მიზნით საპატენტო ლიცენზიების, ნოუ-ჰაუს, ტექნოლოგიური დოკუმენტაციის და ა. შ. შეძენით, ან/და მათი განხორციელებისათვის სპეციალიზებული ორგანიზაციების წარმომადგენლების მოზიდვის საფუძველზე.

ამის გარდა გასაუმჯობესებელი და პსევდო- ინოვაციები იქმნება ინოვაციების ლაბორატორიებში, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიებში, ინოვაციურ ცენტრებში და მცირე საწარმოებში, რომლებიც იქმნება ინოვაციური კლასტერების ან ტექნოპარკების ფარგლრბში.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში ინოვაციების უმეტესი ნაწილი იწარმოება ბიზნეს-სექტორში, მაგრამ ბევრ ასეთ ქვეყანაში არსებობს ინოვაციური პროდუქტების შემქნელი

ისეთი საწარმოებიც, რომლებსაც ნაწილობრივ ან სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში ეროვნული ინოვაციური სისტემების ბირთვს წარმოადგენენ უნივერსიტეტები და სხვა სამეცნიერო ცენტრები, რომლებშიც ფუნდამენტური კვლევების გარდა ხორციელდება გამოყენებითი კვლევები, ზოგიერთი რომელთაგანაც პოულობს განსახიერებას ინოვაციებში.

ინოვაციების გავრცელების ხერხები.

ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, პსევდო-) შიდა (საწარმოს ან ორგანიზაციის შიგნით) შემუშავების შემთხვევაშიც, მათი გავრცელების პირობები მოითხოვენ საპატენტო ლიცენზიების, ტექნოლოგიური დოკუმენტაციის და ა. შ. შესყიდვას. დაფინანსება ამ შემთხვევაში საკუთარია, მაგრამ არაა გამორიცხული სახელმწიფოს მხარდაჭერაც. ტრანსეროვნული და სხვა მსხვილი კორპორაციები დამოუკიდებლად ახდენენ თავისი ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციას, თუმცა ხანდისხან მაგენიც არ ერიდებიან მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან ან სპეციალიზებული პარტნიორების მოზიდვას (განსაკუთრებით საპროცესო ინოვაციების რეალიზაციის დროს).

თუმცა, რაც სავსებით ბუნებრივია, საშუალო და მცირე ორგანიზაციების უმეტესობაში (სპეციალიზებული ინოვაციური საწარმოების გამოკლებით) ინოვაციების გავრცელება ხდება საბაზისო (მათ შორის "კონტრაქტების გასაღების ჩაბარებით" ფორმაში) და სხვადასხვა სახით (მოწყობილობა, დოკუმენტაცია, ლიცენზიები, საკონსულტაციო მომსახურება და ა. შ.) გასაუმჯობესებელი და მოდიფიკაციური ინოვაციების შესყიდვის გზით, ხშირად იმ სპეციალისტების მოწვევით, რომლებიც ხელს უწყობენ მათ დანერგვას.

ბუნებრივია, რომ ინოვაციების წარმოებაში წინ წაწევის (გავრცელების) ძირითად გზას წარმოადგენს როგორც საბაზისო, ასევე გასაუმჯობესებელი, საპროდუქტო და საპროცესო ინოვაციების სესხება (ყველაზე ხშირად იმპორტი) მათი წინ წაწევის ყოველ სტადიაზე.

ჩამოვთვალოთ ძირითადი თანამედროვე მექანიზმები, რომელიც არსებობს განვითარებულ ქვეყნებში წარმოებაში ინოვაციების წინ წაწევისათვის (გავრცელებისათვის) [Абесадзе Р., Бурдули В., 2017; Abesadze R, Burduli V., 2019; Abesadze R., Burduli V., 2018].

ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის უზრუნველყოფა: ა) ინოვაციური პოლიტიკის განმსაზღვრელი სამთავრობო ორგანიზაციები, სამინისტროები, უწყებები, სააგენტოები, ფონდები და სხვა მარეგულირებელი და დამაფინანსებელი ორგანიზაციები; საქართველოში, განვითარებული ქვეყნების მაგალითად, ინოვაციური პოლიტიკის საკითხებს იხილავენ, უპირველეს ყოვლისა, მთავრობა საერთოდ [საქართველოს მთავრობა, 2018], ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო [საქართველოს რეგიონული ..., 2018], საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შექმნილია და აქტიურად მუშაობს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო [ქვეყნის სწრაფი ...], სოფლის განვითარების სააგენტო; ბ) ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგია და პროგრამები; ამ ასპექტში ინოვაციების გავრცელების პროცესში განვითარებულ ქვეყნებში დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა პროგრამა, რომელთა დაფინანსებაში სახელმწიფოც ღებულობს მონაწილეობას, მაგალითად პროგრამები ინოვაციური სტარტაპების ორგანიზაციის შესახებ; გ) ინოვაციური საქმიანობის სფეროში ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, იმ დებულებების ჩათვლით, რომლებიც ურთიერთობების რეგლამენტაციას ახდენს მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის; ამასთან დაკავშირებით საქართველოში მიღებულია "საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ", თუმცა სხვა კანონებშიც არის დებულებები, რომლებიც არეგულირებენ ამ საქმიანობას.

ინოვაციების წარმოება: ა) ბიზნესსექტორი (კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქტს _ ინოვაციების შემმუშავებელი ქვედანაყოფები მსხვილ კორპორაციებში, მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ პროდუქტს); ბ) ინოვაციური პროდუქტის შემმუშავებელი სა-

წარმოები, რომელთა შექმნა მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული იყო სახელმწიფოს მიერ (მაგალითად, სახელმწიფო ვენჩურის პრინციპის მიხედვით).

სამეცნიერო-კვლევითი სექტორი (უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები). განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დიდი ყურადღება ეთმობა სამეცნიერო შემუშავებებს, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციურ კვლევებზე.

ტექნოლოგიების ტრანსფერის (გადაცემის) ორგანიზაციები და ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები (ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, ბიზნეს-აქსელერატორები, ტექნოლოგიების ტრანსფერის და კომერციონალიზაციის ცენტრები, ინოვაციების ლაბორატორიები და ა. შ.). ყველა ამ სტრუქტურამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც სამამულო (რომელთა რაოდენობა პატარა ქვეყანაში მცირეა), ასევე, განსაკუთრებით, იმპორტული ახალი საწარმოო ტექნოლოგიების გამოვლენასა და წარმოებაში დანერგვას. ფაქტობრივად ტრანსფერში, "ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრების" გარდა, პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებიც. მაგალითად, ბიზნესამჩქარებლების (აქსელერატორების) ამოცანა ჩვეულებრივ მდგომარეობს ინოვაციური სტარტაპებისათვის ტექნოლოგიების დანერგვა-ათვისების მხარდაჭერაში (მათ შორის ინვესტიციების სახით), რაც ასევე შეიძლება განიხილოს როგორც ტექნოლოგიების გადაცემის პროცესი.

საერთაშორისო ინოვაციურ გარემოსთან ურთიერთქმედების სისტემა, ესე იგი ურთიერთკავშირები უცხოელ პარტნიორებთან ინოვაციური საქმიანობის სფეროში, როგორც ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების მიწოდებისა (ტრანსფერის), ასევე, ერთობლივი ინოვაციური შემუშავებების ჩატარების სფეროში, მათ შორის უცხოურ პარტნიორებთან ერთობლივი ვენჩურული ინოვაციური საწარმოების შექმნის გზით.

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება: ა) ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო (ცენტრალური და რეგიონული) დაფინანსება; ბ) ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება ბიზნეს-

სექტორის მიერ; გ) ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების სფეროში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა.

ინოვაციური კლასტერები. ტრადიციული სამრეწველო კლასტერისგან განსხვავებით, **ინოვაციური კლასტერი** არის მჭიდრო ურთიერთობის სისტემა არა მხოლოდ ფირმებს, მათ მომწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის, არამედ ასევე ცოდნის ინსტიტუტებს შორის, რომელთა შორის დიდი სამეცნიერო ცენტრები და უნივერსიტეტებია, მსხვილი კორპორაციების ინოვაციური ქვედანაყოფები, ინოვაციური საწარმოები და ა. შ. აღნიშნულ ობიექტებს შორის ურთიერთკავშირების სისტემის მეშვეობით ხდება შემუშავებული ინოვაციების გავრცელება არა მხოლოდ კლასტერის ფარგლებში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

არსებობს საერთოსახელმწიფოებრივი და რეგიონული დონის ინოვაციური კლასტერები. საჭიროა გავითვალსწინოთ, რომ კლასტერები, მიუხედავად მისი ტერიტორიული ზომის, ყალიბდება ძირითადად გარკვეული დარგობრივი სპეციალიზაციის ფარგლებში. სახელგანთქმული კალიფორნიული სილიკონის ველის ინოვაციური საწარმოებიც კი მეთწილად სპეციალიზებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში. NUTS–ის პირველი დონოს რეგიონის ფარგლებში, ბუნებრივია, შეიძლება არსებობდეს რამდენიმე სხვადასხვა დარგის (დარგობრივი სპეციალიზაციის) მომცველი კლასტერი, მაგალითად, ფინეთში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არსებობს, როგორც მინიმუმი, ორი საერთოსახელმწიფოებრივი დონის კლასტერი. მაგრამ ევროკავშირის ქვეყნებში საქმიანობის განსაზღვრულ სახეობაზე სპეციალიზებული კლასტრების უმეტესობა (რომელთა რაოდენობა უკვე 2 ათასზე მეტია) იქმნება NUTS-ის უფრო დაბალი დონის ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში. (დაწვრილებით იხილეთ [Abesadze R., Burduli V., 2018]-ში).

2. ინოვაციების გავრცელების დარგობრივი პრობლემები

სამეურნეო დარგები (დარგები საქმიანობის სახეების ჭრილში ან დარგები მათში წარმოებული პროდუქციისა ან

მომსახურების ჭრილში) ვითარდება მათში ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, ფსევდოინოვაციების) დიფუზიის (გავრცელების) შედეგად, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათში ახალი ტექნოლოგიების დიფუზიის შედეგად. ამასთან ხდება არა მარტო ფიზიკური ტექნოლოგიების განახლება (მოდერნიზაცია), არამედ სოციალურ-ინსტიტუციური ტექნოლოგიების განახლებაც (სახელმწიფო მმართველობის ან ბიზნესტექნოლოგიების, ე. ი. საბაზრო და სხვა საწარმოო ტექნოლოგიების, ასევე, სტრუქტურულ-დარგობრივი განვითარების სახელმწიფო კოორდინაციის ტექნოლოგიების).

დარგების ჭრილში ინოვაციების სტრუქტურირების მიზნით მივმართოთ გრძელვადიანი ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების თეორიას [Глазьев С, 2009; Глазьев С. Возможности ...], რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებში ინოვაციების ტიპების გავრცელების თანამედროვე პროცესების სისტემატიზაცია. ამ თეორიაში "ტექნოლოგიური წყობის" სისტემაში სტრუქტურირებულია როგორც ტექნოლოგიები, ასევე დარგები: განასხვავდება ტექნოლოგიური წყობის საკვანძო ფაქტორის ტექნოლოგიები და ტექნოლოგიური წყობის ბირთვის ტექნოლოგიები, ასევე "მატარებელი" ("несущие") და დანარჩენი დარგები, რომელშიც მათი განვითარების პროცესში ხდება დომინერიბადი ტექნოლოგიური წყობის საჭირო ტექნოლოგიების (ანუ საბაზისო, გასაუმჯობესებელი და ფსევდოინოვაციების) დიფუზია (გავრცელება). არსებულ დარგებში ინოვაციების გავრცელება შეიძლება ხდებოდეს კონკრეტული დარგებისათვის სპეციფიკური ძველი ტექნოლოგიების მოდერნიზაციის საფუძველზეც.

ამ თეირიაში მოცემული დარგებისა და ტექნოლოგიების სისტემატიზაციის პრინციპების დაცვით, შეიძლება განისაზღვროს ეკონომიკის დარგებში ახალი და მოდიფიცირებული ტრადიციული ტექნოლოგიების დიფუზიის ეფექტიანობა. საყურადღებოა, რომ ეს მიდგომა იძლევა ინოვაციური განვითარების პროცესის წარმოჩენისა და მისი ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას საკმაოდ დეტალურ ასპექტში (რაც მნიშვნელოვანია ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტი-

ლებების მიღებისათვის როგორც ბიზნეს-გარემოში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში), როგორც ცალკეული დარგების ჭრილში, ასევე ზოგადად _ ცალკეული ქვეყნების დარგობრივი სტრუქტურის ხარისხის შეფასების კონტექსტში.

თუ ვიმსჯელებთ იმ ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, ფსევდო-) რაოდენობის თვალსაზრისით, რომლებიც ამჟამად ბევრ დარგში ვრცელდება (გავრცელების კრიტერიუმის მიხედვით), მაშინ თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის საკვანძო ფაქტორის ინოვაციებია: ინოვაციები, რომელიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხაზით (ამჟამად უპირატესად ციფრული ტექნოლოგიები) - ინოვაციების საერთო რაოდენობის დაახლოებით 40%; ინოვაციები, რომელიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში მწვანე ეკონომიკის ხაზით - ინოვაციების საერთო რაოდენობის დაახლოებით 40% (თუმცა, ინოვაციები მწვანე ეკონომიკის ხაზით ნაწილობრივ ემთხვევა ინოვაციების, რომლებიც აღირიცხება ცირკულარული ეკონომიკის და ეკოლოგიის ხაზით); ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში ცირკულარული ეკონომიკის და ეკოლოგიის ხაზით; ჯანდაცვის სფეროში გავრცელებადი ბიო-ტექნოლოგიური ინოვაციები (მიკრობიოლოგია, მოლეკულარული და უჯრედის ბიოლოგია, ბიოქიმია, ებრიოლოგია, გენური ინჟინერია, ვირუსოლოგია და ა. შ.).

ინოვაციების გავრცელებას (დიფუზიას) ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში საერთოდ და ცალკეულ სამეურნეო დარგებში აქვს შემდეგი ხასიათი:

- საბაზისო ინოვაციების გავრცელების საფუძველზე იქმნება ახალი საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის საკვანძო ფაქტორთან დაკავშირებულ საწარმოო და სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქტებს და მომსახურებას;

- პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ინოვაციური მოდერნიზაციის საფუძველზე ხდება ზოგიერთი დაკარგული ტექნოლოგიების (დარგების, წარმოებების) რეანიმაცია;

- ამა თუ იმ ხარისხით (დარგების ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე) ხდება საკვანძო ფაქტორის ინო-

ვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, ფსევდო-) დანარჩენ დარგებში დიფუზია და მათში საწარმოო ტექნოლოგიების შესაბამისი მოდერნიზაცია;

- ამასთან, ტრადიციული დარგების ტექნოლოგიური მოდერნიზაცია ხდება არა მხოლოდ მათში საკვანძო ფაქტორის ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე, არამედ მათი მონაწილეობის გარეშე არსებული ტექნოლოგიების "დახვეწის" საფუძველზეც (მაგალითად, სოფლის მეურნეობაში თესლ-ბრუნვის ტრადიციული სქემების, ნიადაგის გაუმჯობესებისა და მისი ეროზიისაგან დაცვის სისტემების მოდერნიზაციის საფუძველზე; მრეწველობის ტრადიციულ დარგებში მექანიკური ტექნოლოგიების "დახვეწა" (მოდერნიზაცია) ხდება მათში საკვანძო ფაქტორის ტექნოლოგიების ელემენტების ჩართვის საფუძველზე ან მათი მონაწილეობის გარეშე).

ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება ციფრული ტექნოლოგიების ხაზით.

სწორედ სწრაფმოქმედებამ და უნივერსალურობამ გახადა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ასეთი მოკით-ხული (პოპულარული) თანამედროვე მეცნიერებაში, წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში. კომპიუტერები, სმართფონები, სატელე-ვიზიო ციფრული ელექტრონიკა და ა. შ. უნიკალური ფენომენია, რომელიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ძირფესვეულად შეცვალა პლანეტის ყველა მკვიდრის ცხოვრება. ამ უკვე არსებული ტექნოლოგიების სფეროში მათი მოდერნიზაცია ხდება ძირითადად გასაუმჯობესებელი და ფსევდი- ინოვაციების რეალიზაციის გზით.

შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების გამოყენების შესაძლებლობებზე გადასვლა საწარმოთა მართვის ავტო-მატიზირებული სისტემების გამოყენებით, რესურსების ეფექ-ტიანი განაწილების, ელექტრონული ბუღალტერიის, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის, აგრეთვე წარმოების, გარემოს მონიტორინგისა და მენეჯერული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მხარდაჭერის სისტემების გათვალის-წინებით, ხარისხობრივი ნახტომის განხორციელებისა და არსებული ეკონომიკური პოტენციალის უფრო ეფექტიანი

გამოყენების საშუალებას იძლევა. ეს გადასვლა უკვე მიმდინარეობს, შესაბამისი საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციების რეალიზაციის გზით. ამასთან, მთელ მსოფლიოში ამ მიმართულებებით იზრდება ახალი ინოვაციური დამუშავებების მოცულობა.

თანამედროვე მკვლევარები და სპეციალისტები გამოყოფენ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ათ ძირითად მიმართულებას (ამ სფეროებში ხორციელდება როგორც საბაზისო, ასევე გასაუმჯობესებელი ინოვაციები, ზოგიერთი მათგანი საპროდუქტოა, მაგრამ უმეტესობა საპროცესოა, თუმცა მომსახურების სფეროში ბევრი მათგანი შეიძლება განისაზღვროს როგორც საპროდუქტო ინოვაცია): 1. ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება (AI and Machine Learning); 2. ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტები (Blockchain and Cryptocurrencies); 3. დიდი მონაცემები (Big Data); 4. ტელემედიცინა (Telemedicine); 5. დამატებული და ვირტუალური რეალობა (AR/VR); 6. ჩათბოტები და ვირტუალური ასისტენტები (Bots and Virtual Assistants); 7. მობილობა და კიბერუსაფრთხოება (Mobile and Cybersecurity); 8. ნივთების ინტერნეტი (IoT – Internet of Things); 9. კომპიუტერული ხედვა (Computer Vision); 10. ხელოვნური ნეირონული ქსელები (Artificial Neural Networks) [Чеботарев А., 2018]. ამ მიმართულებების უმეტესობის მიხედვით შესაბამისი ინოვაციები შეიძლება გავრცელდეს ეკონომიკის ყველა სექტორში.

ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება // AI and Machine Learning . დღეისათვის ხელოვნური ინტელექტი ჯერ კიდევ საკმაოდ არამკაფიო (ბუნდოვანი) ცნებაა, რომელიც მრავალ ტექნიკურ დამუშავებას მოიცავს: ხელოვნური ნერვული ქსელები (ნეიროქსელები), რობოტოტექნიკა, ნიმუშების ამოცნობა, პროცესებისა და მოვლენების ალგორითმიზაცია და ა. შ. ამის მიუხედავად ის უკვე სწორედ ინტელექტის ძირფესვიანი საფუძველია, ესე იგი, ის არის დასწავლებადი გამოთვლითი სტრუქტურა. მისი განსხვავება ადამიანის გონებისგან არის ვიწრო სპეციალიზაცია და ჯერ-ჯეროზით გონებრივი საქმიანიბის პროფილებს შორის თვითნებური (საჭიროების მიხედვით) გადართვა-გადმორთვის შესაძლებლო-

ბის უქონლობა. ამავე დროს ხელოვნურ ინტელექტს გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი და გამოყენების პერსპექტივები ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში.

დიდი მონაცემები // Big Data – მონაცემები, რომლებიც გულისხმობენ უფრო მეტს, ვიდრე ინფორმაციის უზარმაზარი მოცულობის და მონაცემთა ბანკის უბრალო ანალიზს. "დიდი მონაცემების" ცნება გულისხმობს მუშაობას უზარმაზარი მოცოლობისა და მრავალფეროვანი შემადგენლობის ინფორმაციასთან, რომელიც ძალიან ხშირად ახლდება და სხვადასხვა წყაროებსა და სისტემებში მდებარეობს, მათი მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის, საიმედოობის, აბსოლუტურად ახალი პროდუქტების შექმნისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. ჯერჯერობით, გამოყენების ყველაზე თვალნათლივი სფეროა ისეთი პროგრამების შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ადამიანების შრომა ცდების, კვლევებისა და წარმოებების ყველაზე სახიფათო უბნებსა და მონაკვეთებში.

ტელემედიცინა // Telemedicine – თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე სამედიცინო დახმარებისა და თავისდროული ფართო საკონსულტაციო-პროფილაქტიური მომსახურების გაწევის მიზნით. პირველ რიგში, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება მედიცინაში ხელს შეუწყობს უფრო ზუსტად და უფრო სწრაფად სწორი დიაგნოსის დადგენას. მეორეც, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მეშვეობით შეიძლება უფრო სწრაფად და უფრო იაფად საკვლევო ბიოლოგიური მონაცემების ანალიზის გაკეთება: ეს აადვილებს ახალი სამკურნალო პრეპარატებისა და საშუალებების მოძიებას. მესამე, ჩნდება ადამიანის ჯამრთელობის მდგომარეობის აქტიური ანალიზის დამატებითი შესაძლებლობა, მათ შორის ისეთი საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მეშვეობით, როგორიცაა კომპიუტერები, მობილური დევაისები და თუნდაც Wi-Fi-როუტერები.

დამატებული და ვირტუალური რეალობა // AR/VR – ეს არის გლობალური ტრენდები, რომლებსაც აქვთ გავლენა, რომელიც ეთანაბრება ინტერნეტის და სმართფონების გავლენას

ადამიანის ცხოვრებაზე. მთელი დარგები იწყებენ ამ ტექნოლოგიების გამოყენებას სამუშაო პროცესის დასაჩქარებლად და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. დამატებული რეალობის ტექნოლოგია ამდიდრებს ადამიანის ბუნებრივ გარემოს, ვირტუალური რეალობა კი მთლიანად ახდენს ადამიანის ჩაშვებას ნებისმიერ ხელოვნურ გარემოში. ერთად მათ შეუძლიათ ღრმად მოახდინონ ადამიანის ინტეგრირება მონაცემებში, რაც საშუალებას აძლევს მას სიტყვასიტყვით იგრძნოს ისინი მის გარშემო. AR/VR-მა ჯერ ვერ გამოავლინეს თავისი სრული პოტენციალი. ამ დროისთვის ყველაზე პოპულარული გამოყენებაა თამაშებსა და გართობაში. მაგრამ ბოლო დროს სერიოზული პროექტები განხორციელდა. მაგალითად, საცალო ვაჭრობის სფეროში ვირტუალური რეალობის დანართების შემმუშავებელმა კომპანიამ Fibrum-მა (რუსეთი) შექმნა (Россия) AliExpress-ისათვის პლატფორმა, რომელიც გახდა მაღაზიების საფუძველი რუსეთის 11 ქალაქში. გადაწყვეტილება უნიკალურია იმით, რომ იგი აგებულია Web-VR ტექნოლოგიაზე, ანუ მაღაზიის მონახულობისათვის საკმარისია ტელეფონის ბრაუზერი და ინტერნეტზე წვდომა, ვირტუალური რეალობის სათვალეც კი არაა საჭირო [Чеботарев А., 2018]. ვირტუალური რეალობის სფეროში მოქმედი რამდენიმე სტარტაპი უკვე ფუნქციონირებს საქართველოშიც, რაც ნაჩვენებია ამ ნაშრომის მეხუთე განაყოფში.

ჩატ-ბოტები და ვირტუალური ასისტენტები // Bots and Virtual Assistants. ინტელექტუალური ვირტუალური ასისტენტები თანდათანობით ხდებიან ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად. წამყვანი IT კომპანიების უმეტესობა უკვე დიდი ხანია ჩაერთო ჩატ-ბოტების "რბოლაში": ისინი აშენებენ პლატფორმებს, ქმნიან საკუთარ ხმის ასისტენტებს. ინოვაციები და ამ ტექნოლოგიების მოქნილობა ნიშნავს, რომ ისინი მომავალშიც გააგრძელებენ განვითარებას. ბოტი არის პროგრამა, რომელთანაც მოსარგებელს შეუძლია ურთიერთქმედება, კომუნიკაცია რაიმე მიზნის მისაღწევად ან გასართობად. ბოტებს შეუძლიათ მესინჯერებში შეტყობინებების გაშიფრვა და ამ შეტყობინებების საფუძველზე შესაბამისი ქმედებების შესრულება. ჩატ-ბოტები ცვლის მობილურ დანართებსა და

ვებსაიტებს. ასევე ბოტი შეიძლება ინტეგირებული იყოს კომპანიის ან ვებსაიტის სხვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო სერვისებთან. ბიზნესში ჩატ-ბოტმა შეიძლება არსებითად შეამციროს ხარჯები პერსონალის შენახვაზე და მოახდინოს მრავალი რუტინული პროცესის ავტომატიზირება: მას შეიძლება დაევალოს კლიენტებისა ან თანამშრომლებისათვის შეტყობინებების გაგზავნა. ჩატ-ბოტების დახმარებით შეიძლება ინფორმაციის მიწოდება პირდაპირ კლიენტისათვის, რაც მოსახერხებელია არა მხოლოდ პროექტის მფლობელისათვის, არამედ კლიენტისთვისაც. ჩატ-ბოტების მობილურ დანართებთან შედარებისას ვხედავთ, რომ, თუ დანართები ასრულებენ ერთ ამოცანას, ჩატ-ბოტები ერთი პროექტის ფარგლებში შეიძლება შეასრულონ მრავალი ამოცანა. სპეციალისტების აზრით ჩატ-ბოტები აქტიურად დაინერგება ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფულადი გზავნილები, კავშირგაბმულობის არხის ორგანიზება, კოლ-ცენტრების და დისპეტჩერების შეცვლა, პირადი კაბინეტის შეცვლა.

მობილობა და კიბერუსაფრთხოება // Mobile and Cybersecurity. დღეისათვის ჩვენ ცხოვრებაში უკვე შემოვიდა ისეთი მობილური ტექნოლოგიები, რომელიც კარდინალურად გააუმჯობესეს წარმოების პროცესები და ინფორმაციის მოხმარების პროცესები. მობილური ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ მსოფლიოს ყველა მოვლენას, მინიმალური ძალისხმევით. გარდა ამისა, მობილური ტექნოლოგიები გვაძლევენ შესაძლებლობას, რომ შევამციროთ პროდუქციის ღირებულება საბოლოო მომხმარებლისათვის, პროცესების ოპტიმიზაციის, წარმოების და არასაწარმოო ხარჯების შემცირების გზით. არცერთი თანამედროვე საქმიანი ადამიანი ვერ წარმოიდგენს თავის ყოველდღიურ საქმიანობას სმარტფონისა და ინტერნეტის გარეშე. მობილური მოწყობილობები გახდნენ უფრო მცირე, უფრო მძლავრი და ბევრად უფრო სასარგებლო. ყველანაირი სმარტფონის, პლანშეტის, ელექტრონული "მკითხველის", ახლა კიდევ ჭყვიანი საათის და უახლე მომავალში ჭყვიანი სათვალეების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს მათ სწრაფ გავრცელებას მსოფლიოში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგობრივი ტენდეცია, რომელიც დაკავშირე-

ბულია სმარტფონებზე და პლანშეტურ კომპიუტერებზე მოთხოვლის მასობრივ ზრდასთან, არის მობილურ მოწყობილობებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების ზრდა. პროგნოზირებულია მობილური დანართების აქტიური ზრდა და მობილურ და სტაციონარულ მოწყობილობებს შორის ზღვარის შემცირება. ამასთან, სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ უკვე რამდენიმე წელიწადში ყველაზე თანამედროვე პლანშეტური კომპიუტერებიც კი ისტორიის ნაწილი გახდება. ყველას შეეძლება მინიატურული მოწყობილობების თავის ტანზე ტარება. ასეთი გაჯეტებისათვის სახელიც კი გაჩნდა _ "ბოდინეტი", სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ _ "ინტერნეტი ტანზე". ივარაუდება, რომ პროცესორი ოპერატიული მეხსიერებით შეიძლება მოთავსდეს ჯიბეში, ხოლო გარეგნულად ჩვეულებრივი სათვალე გამოიყენოს როგორც დისპლეი. მომავალში ნებისმიერ ინფორმაციულ სისტემას ექნება მობილური შემადგენელი.

ნივთების ინტერნეტ // IoT – Internet of Things. ტერმინი "ნივთების ინტერნეტი" გულისხმობს ერთი შეხედულებით ჩვეულებრივი ხელსაწყოების გაერთიანებას ქსელში, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ელემენტების უბრალო ჯამი. იდეის განსახიერება სულ უფრო ახლოვდება, სულ უფრო ახალი და ახალი მოწყობილობების გაჩენისთანავე, მაგრამ მათი ერთობლივი მუშაობისათვის საჭიროა სპეციალური ინსტრუმენტი - კომუტატორი. "პიონერებათ" IoT-ის გამოყენებაში გახდნენ კომუნალური მეურნეობები, საავტომობილი კონცერნები, მსხვილი სამრეწველო საწარმოები და საწყობები. ეჭვგარეშეა, რომ IoT-ი განვითარდება. IoT-I გახდება საფუძველი, პირველ რიგში, სატრანსპორტო საშუალებების უპილოტო გადაადგილებისათვის, და მეორე, მრეწველობის გლობალური ავტომატიზაციისათვის, საქონლის, პროდუქტების და მომსახურების წარმოებაში, ენერგეტიკაში და ა. შ. აუცილებლად გაჩნდება მაღაზიები, სადაც შესაძლებელი იქნება პროდუქტების შეძენა სალაროში რიგის, ნაღდი ფულისა და საფულეს გარეშე. ნივთების ინტერნეტი გააგრძელებს შეღწევას პრაქტიკულად ყველა ინდუსტრიულ სისტემაში და

ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის ყველა ასპექტში.

კომპიუტერული ხედვა // Computer Vision. გამომთვლელი მანქანები შეიქმნა ციფრებთან მუშაობისათვის. მათი ხედვით დაუფლების საჭიროება შედარებით ცოტა ხნის წინ გაჩნდა. ავტომობილების სანომრე ნიშნების ამოცნობა, საქონელზე შტრიხ-კოდების წაკითხვა, სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ანალიზი, ფოტოებზე სახეების ძებნა, ისეთი რობოტების შექმნა, რომლებსაც შეუძლიად დაბრკოლებები აღმოაჩინონ და აუარონ _ ეს კველაფერი ისეთი ამოცანაა, რომელიც მოითხოვს კომპიუტერისგან "ხედვისა" და დანახულის ინტერპრეტაციის უნარს. სწორედ იმ მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას ასწავლონ მანქანას გამოსახულებიდან ინფორმაციის მოპოვება, კომპიუტერულ ხედვას უწოდებენ. მაგალითად, კომპიუტერული ხედვა დევს იმ ამჟამად შესაქმნელი (დამუშავებადი) ინტელექტუალური სისტემების საფუძველში, რომლებიც აძლევენ ავტომობილს სრულიად ავტონომიური მოძრაობის შესაძლებლობას.

ნეიროქსელები // ArtificialNeuralNetworks. კომპიუტერული ნეირონული ქსელების მუშაობა შეიძლება შედარდეს ადამიანის ტვინის მუშაობასთან. კომპიუტერულ ნეირონულ ქსელში ცალკეული ნეირონის უჯრედების ნაცვლად პაწაწა მათემატიკური ფუნქციებია. მილიონობით და მილიარდებით მათემატიკური ფუნქცია მუშაობს ერთად, და რაც უფრო უკეთესათ არიან ისინი გაწვრთნილი, ურთიერთშეთანხმებული, მით უფრო ძლიერია (უფრო ინტელექტუალურია სისტემა. ეს ტექნოლოგია იძლევა ფოტოების ხელმოწერის, ხელოვნების სინტეზირების, მეტყველების და ტექსტების ამოცნობის შესაძლებლობას. პირველი გამოყენება ნეიროქსელმა ნახა მეტყველების ამოცნობის სიზუსტის გაუმჯობესებაში, მოგვიანებით მისი გამოყენება დაიწყეს ისეთ პროექტებში, როგორიცაა ცალკეული გამოსახულობების ძებნა, გამოსახულობების დამუშავების პროგრამები, საბიბლიოთეკო პროგრამები მანქანური სწავლებისათვის და ა. შ. სამომავლო პროექტების შორისაა: ელექტრონულ წერილებზე პასუხების გაცემის

სისტემის შექმნა; ნეიროქსელების გამოყენება სამედიცინო დიაგნოსტირებისათვის.

ინოვაციები, რომელიც ვრცელდება "მწვანე" ეკონომიკის ხაზით.

"მწვანე" ეკონომიკის განვითარების ყველა მიმართულება მოითხოვს ინოვაციების დანერგვას, როგორც სრულიად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სახით (საბაზისო ინოვაციები), ასევე გასაუმჯობესებელი ინოვაციების დანერგვის სახით, მაგალითად, სამრეწველო მოწყობილობის ენერგოეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ინოვაციები "მწვანე" ეკონომიკის ხაზით ჩემს მიერ დაწვრილებით წარდგენილია სტატიაში [Вурдулы V., 2019]. აქ სისტემურად დავახასიათებთ "მწვანე" ინოვაციებს სახეების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი) და ეკონომიკის იმ სექტორების ჭრილში, სადაც ეს ინოვაციები გამოიყენება.

"დღეისათვის მსოფლიო ინოვაციების 40% მოდის "მწვანე" ეკონომიკაზე, მათგან 50% ენერგოდაზოგვაზე და ენერგოეფექტიანობაზე, რომლებიც მწვანე ეკონომიკაში საკვანძო ფაქტორია", აღინიშნება [Что такое ..., 2017]-ში.

შეიძლება გამოვყოთ "მწვანე" ეკონომიკის განვითარების შემდეგი განზოგადებული საკვანძო მიმართულებები: 1. ეკოსისტემების ზოგადი მართვა _ "ნარჩენების მართვა, ბრძოლა წყლის და ჰაერის დაბინძურებასთან, მიწის (ნიადაგის) აღდგენა და რაციონალური გამოყენება, ტყეების აღდგენა და დარგვა; 2. განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვა; 3. მშპ-ს ენერგოტევადობის შემცირება და ენერგოეფექტიანობის გაზრდა (შენობა-ნაგებობების მშენებლობა და საბინაო-კომუნალური მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა); 4. ელექტროტრანსპორტის განვითარება; 5. ორგანული მიწათ-მოქმედება სოფლის მეურნეობაში; 6. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება.

ნარჩენების მართვა. ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში ვითარდება მრავალბრუნავი (წრიული) ეკონომიკა, რომლის მთავარი ამოცანაა წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების მეორად მიმოქცევაში ჩართვა. ასე, მაგალითად, ფინეთში, რომელიც 2016 წლის ეკონომიკური ეფექტიანობის ინდექსის მიხედვით ყველაზე მწვანე ქვეყანაა მსოფლიოში, ნარჩენების მხოლოდ 11% მიდის ნაგავსაყრელზე, დანარჩენი დაყოფილია

შემდეგ კატეგორიებად: “დახარისხებული ნარჩენები”, “გადამუშავება” და “ენერგიის გენერაცია” [Опыт Финляндии ..., 2017]. ბუნებრივია, რომ ამ ქვესისტემებში საჭიროა თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, რაც უკვე ხდება განვითარებულ ქვეყნებში.

განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება. განახლებადი ენერგიის წყაროები გამოიყენება ჰიდროელექტროსადგურებში, მზის და ქარის ელექტროსადგურებში, ბიოსაწვავის დანადგარებსა და გეოთერმული და ზოგიერთი სხვა სახის სადგურში. მათი დანერგვა წარმოადგენს საბაზისო ინოვაციების რეალიზაციას ეკონომიკის ენერგეტიკის სექტორში. ასევე, ამ ობიექტების მიხედვით განვითარებულ ქვეყნებში ხდება გასაუმჯობესებელი ინოვაციების ინტენსიური შემუშავება მათი მოწყობილობის კომპონენტების მოდერნიზაციის მიზნით, ამ მოწყობილობის ფუნქციონირების ეფექტიანიბის ამაღლებისათვის (მაგალითად, საჭიროა იმ აკუმულატორული ბატარეების გაუმჯობესება, რომლებიც აგროვებენ გამომუშავებელ ენერგიას და, ასევე, სხვა მოწყობილობის, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის სტაბილურ გადაცემას ქსელში, რადგანაც მზის და ქარის ელექტროსადგურებში დღე-ღამის განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა არათანაბარია _ მზის ელექტროსადგურებში, რა თქმა უნდა, ელექტროენერგია ღამით არ გამომუშავდება, ხოლო ქარის ელექტროდადგურებში მისი მოცულობა დამოკიდებულია ქარის სიძლიერეზე).

მშპ-ს ენერგოტევადობის შემცირება და ენერგოეფექტიანობის ამაღლება. ყველა ქვეყანაში ენერგორესურსების მოხმარების გადამეტებული წილი მოდის სამ დარგზე: მრეწველობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა და ტრანსპორტი.

საბინაო-კომუნალურ სექტორში ენერგოეფექტიანობის ამაღლება, უპირველეს ყოვლისა, მიიღწევა ინოვაციური ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენებით სახლების მშენებლობაში და, ასევე, ექსპლუატაციის დროს. ასე, მაგალითად, ენერგოეფექტიანი მშენებლობის განვითარება ითვალისწინებს ექსპლუატაციაში შესაყვანი მრავალსართულიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების

ყოველწლიურ მოცულობაში ენერგოეფექტიანობის მაღალი კლასის მქონე სახლების წილის თანდათანობითი მომატებას, ახალი ტექნიკური, პროექტული და ორგანიზაციული გადაწყვეტილებებისა და საცხოვრებელი სახლებისათვის ენერგოდამზოგი ინჟინერული სისტემების შემუშავებისა და დანერგვის საფუძველზე. ამასთან, ამ სისტემებში გათვალისწინებულია თბური ენერგიის განახლებადი და მეორადი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ობიექტებისა და მიკროკლიმატისა და ენერგომოხმარების მართვის ავტომატიზირებული სისტემების მოცვა. [Национальный ..., 2016: 9]. საჭიროა გადასვლა ინოვაციურ ენერგოდამზოგ დიოდურ განათებაზე, როგორც სახლებში, ასევე ქუჩების განათებაში, რაც ამჟამად ხორციელდება მთელ მსოფლიოში.

მთელ მსოფლიოში ***მრეწველობაში*** ენერგიის დაზოგვა მიიღწევა ინოვაციური ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვით, ასევე, მოქმედ ტექნოლოგიებში ენერგოდაზოგვაზე მიმართული გასაუმჯობესებელი ინოვაციების განხორციელებით.

ტრანსპორტის სექტორში ენერგიის დაზოგვა მიიღწევა მოსახლეობის მიერ საწვავის დამზოგი სატრანსპორტო საშუალებების შეძენის სტიმულირების, საჰაერო ხომალდების და სარკინიგზო ლოკომოტივების პარკის განახლებისა და ინოვაციურ ელექტრომობილურ ტრანსპორტზე გადასვლით.

ელექტროტრანსპორტის განვითარება. ელექტრომობილების წარმოებისათვის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა არ მიმდინარებს საკმარისად სწრაფად. მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება საკმაოდ ბევრი R&D ელექტრომობილებისათვის უფრო ტევადი აკუმულატორების შესაქმნელად, ამ მიმართულებით ჯერ არ არსებობს საკმარისად ხელშესახები პროგრესი და საჭიროა ახალი ინოვაციური დამუშავებების წარმოება, რაც ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს ბევრ განვითარებულ ქვეყანაში.

ელექტროტრანსპორტის დანერგვის მეორე მიმართულება, რომელიც იგეგმება ზოგიერთ ქვეყანაში, ელექტრომობილების გამოყენების გაფართოების გარდა, ეს არის ქალაქებში ტრამვაიებისა და ტროლეიბუსების გამოყენებისაკენ შემობრუ-

ნება, რაც შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც ძველ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაციების დანერგვა. მაგრამ ამის მიღწევა რთულია, რადგან ამ ტრანსპორტის ფუნქციონირება იწვევს სირთულეებს სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის რეგულირების დროს.

ინოვაციები, რომელიც ვრცელდება კომპოზიტური მასალების ხაზით.

ეს საკითხი ჩემს მიერ ფართოდ გაშუქებულია ნაშრომში [ბურდული ვ., 2018]. აქ მხოლოდ სისტემურად ჩამოვთლი ინოვაციურ კომპოზიტურ მასალებს, მათი დამზადებისა და მათგან ნაკეთობების შექმნისათვის საჭირო ინოვაციურ ტექნოლოგიებს და დარგებს, რომლებში ეს ინოვაციური ნაკეთობები ყველაზე ხშირად გამოიყენება ინოვაციური პროდუქტების წარმოებისათვის.

ექსპერტული შეფასებების მიხედვით კომპოზიტებიდან პროდუქციის ძირითადი მომხმარებლებია მანქანათმშენებლობა (უპირველეს ყოვლისა სატრანსპორტო) – დაახლოებით 28%, სამშენებლო ინდუსტრია (საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის მილებისა და საცავების ჩათვლით) – დაახლოებით 24%, ენერგეტიკა და ელექტრონიკა, ქარის ენერგეტიკის ჩათვლით – დაახლოებით 23%, ნავთობ-აირის დარგი – დაახლოებით 10%, სპორტი, მედიცინა, ფერადი მეტალურგია.

კომპოზიტური მასალა, კომპოზიტი ესაა მრავალკომპონენტური მასალა, რომელიც, როგორც წესი, შედგება პლასტიკურ საყრდენისაგან (მატრიცა), რომელიც არმირებულია შემავსებლებით, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი სიმყარე, გამძლეობა, სიმაგრე და ა. შ.

სტრუქტურის მიხედვით კომპოზიტები იყოფა რამდენიმე ძირითად კლასად: ბოჭკოვანი, ფენოვანი, დისპერსიულად გამაგრებული, ნაწილაკებით გამაგრებული და ნანოკომპოზიტები.

მატრიცის კომპონენტების ბუნების მიხედვით^ კომპოზიტური მასალები იყოფა სამ ჯგუფად: პოლიმერული კომპოზიტური მასალები (**პკმ**); კომპოზიტური მასალები

ლითონური მატრიცით; კომპოზიტური მასალები კერამიკის საფუძველზე.

კომპოზიტები, რომლებშიც **მატრიცა შედგება პოლიმერულ მასალიდან (პკმ)** წარმოადგენს კომპოზიტების ყველაზე მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან სახეობას.

ა) *მინაპლასტიკები* - ესაა პოლიმერული კომპოზიტური მასალები, რომლებიც არმირებულია მინის ბოჭკოებით. მინაპლასტიკები საკმაოდ იაფფასიანი მასალებია, ისინი ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში, გემთმშენებლობაში, რადიოელექტრონიკაში, საყოფაცხოვრებო საგნების, ფანჯრის ჩარჩოების, სპორტული ინვენტარისა და ა. შ. წარმოებაში,

ბ) *ნახშირპლასტიკები (კარბონი)* - ამ პოლიმერულ კომპოზიტებში შემავსებლად გამოიყენება ნახშირბადის ბოჭკოები. ნახშირპლასტიკები გამოიყენება ავიაციაში, რაკეტების მშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში, კოსმოსური ტექნიკის წარმოებაში, სამედიცინო ტექნიკის და პროტეზების წარმოებაში, მსუბუქი ველოსიპედებისა და სხვა სპორტული ინვენტარის დამზადებაში.

ნახშირბადის ბოჭკოებისა და ნახშირბადის მატრიცის საფუძველზე ქმნიან კომპოზიტურ ნახშირგრაფიტულ მასალებს - ყველაზე თერმოგამძლე კომპოზიტურ მასალებს (ნახშირ-ნახშირ პლასტიკებს), რომლებსაც შეუძლიათ დიდი ხნის განმავლობაში გაუძლონ ტემპერატურას 3000 გრადუსამდე ინერტულ და აღდგენით გარემოებებში. ნახშირნახშირ პლასტიკებიდან აკეთებენ მაღალტემპერატურულ კვანძებს რაკეტული ტექნიკისა და ჩქაროსნული თვითმფრინავებისათვის, სამუხრუჭო კალაპოტებს და დისკოებს, ელექტრო-თერმულ მოწყობილობას.

გ) *ბოროპლასტიკები* - ესაა კომპოზიტური მასალები, რომლებიც შემავსებლის სახით მოიცავენ ბორის ბოჭკოებს, დანერგილებს თერმორეაქტიულ პოლიმერულ მატრიცაში. ბოროპლასტიკების გამოყენება იზღუდება ბორის ბოჭკოების წარმოების მაღალი ღირებულებით, ამიტომ ისინი გამოიყენება ძირითადად საავიაციო და კოსმოსურ ტექნიკაში იმ დეტალებში, რომლებიც ხანგრძლივ დატვირთვას განიცდიან აგრესიული გარემოს პირობებში.

დ) *ორგანოპლასტიკები* - ესაა კომპოზიტები, რომელთა შემავსებლებად გამოდის ორგანული სინთეთიკური, უფრო იშვიათათ _ ბუნებრივი და ხელოვნური ბოჭკოები, ჩალიჩების, ძაფების, ქსოვილების, ქაღალდის და ა. შ. სახით. კევლარით არმირებული მასალებიდან ამზადებენ ტყვიებისაგან დამცავ ჯავშანჟილეტებს. ორგანოპლასტიკები ფართო გამოყენებას პოულობს ავტო-, გემ- და მანქანათმშენებლობაში, ავია- და კოსმოსურ ტექნიკაში, რადიოელექტრონიკაში, ქიმიურ მანქანათმშენებლობაში, სპორტული ინვენტარის წარმოებაში და ა. შ.

ე) *ტექსტოლიტები* - ფენოვანი პლასტიკებია, არმირებული ქსოვილებით სხვადასხვანაირი ბოჭკოებიდან.

კომპოზიტური მასალები ლითონური მატრიცით. ლითონების საფუძველზე კომპოზიტების შექმნის დროს მატრიცაში იყენებენ ალუმინს, მაგნიუმს, ნიკელს, სპილენძს, ტიტანს, ქრომს და ა.შ. შემავსებლად იყენებენ ან მაღალგამძლე ბოჭკოებს, ან სხვადასხვა დისპერსიულობის ძნელდნობად ნაწილაკებს, რომლებიც არ განზავდება ძირითად მეტალში.

ცალკე კლასად გამოიყოფა **მეტალოპლასტიკები**. მეტალოპლასტიკი არის კომპოზიტური მასალა, რომელიც გამოიყენება მოსაპირკეთებელი პანელების, წყალსადენი მილების და ზოგიერთი სხვა ნაკეთობის წარმოებაში.

კომპოზიტური მასალები კერამიკის საფუძველზე. კერამიკული მასალების არმირება ბოჭკოებით და ასევე ლითონური და კერამიკური დისპერსიული ნაწილაკებით იძლევა მაღალგამძლე კომპოზიტების მიღების შესაძლებლობას. კერამიკის არმირებით დისპერსიული ლითონური ნაწილაკებით ღებულობენ ახალ ინოვაციურ მასალებს (კერლითებს), რომლებსაც ახასიათებს მაღალი მედეგობა, მდგრადობა სითბური დარტყმების მიმართ, მაღალი სითბოგამტაროობა. მაღალტემპერატურულ კერლითებიდან აკეთებეს სააირო ტურბინების დეტალებს, ელექტროღუმელების არმატურას, დეტალებს რაკეტული და რეაქტიული ტექნიკისათვის. მყარ ცვეთაგამძლე კერლითებს იყენებენ საჭრელი ინსტრუმენტებისა და დეტალების დასამზადებლად.

სანამ გადავალთ კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოებისათვის მოწყობილობისა და ტექნოლოგიების შესახებ მასალის სისტემურ გადმოცემაზე, განვმარტოთ, თუ რა არის პრეპრეგები, რომლებიც სულ უფრო ფართოდ გამოიყენება კომპოზიტებიდან ნაკეთობების წარმოების დროს, ამცირებენ რა საწარმოო პროცესის ღირებულებას. **პრეპრეგები** (ინგლ. *pre-preg*, შემოკლებული *pre-impregnated*-დან – წინასწარ გაჟღენთილი) – ესაა კომპოზიტური მასალები-ნახევარფაბრიკატები. წარმოადგენენ ნაქსოვი ან უნაქსოვო ბოჭკოვანი მასალების ფურცლებს, რომლებიც გაჟღენთილია გაუმაგრებელი პოლიმერული გადამბმელებით.

პრეპრეგები გამოიყენება კომპოზიტური ნაკეთობის დასამზადებლად სხვადასხვა დარგში. **ავიამშენებლობაში** პრეპრეგები გამოიყენება თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების კორპუსების, ფრთების, გარსმოვლების, ხრახნების გამზადების დროს. მსგავსი მასალების გამოყენება იძლევა საჰაერო ხომალდების წონის შემცირების, გამძლეობის მახასიათებლებისა და სამსახურის ვადის ზრდის შესაძლებლობას. არანაკლებ პერსპექტიულ ბაზარს წარმოადგენს ლაპოტების დამზადება **ქარენერგეტიკულ** დანადგარებისათვის. **რადიოელექტრონიკაში** პრეპრეგები გამოიყენება ლამინირებული ფენების დაკავშირებისა და მაგარი პლატის წარმოსაქმნელად. **მედიცინაში** პრეპრეგები გამოიყენება ორტეზების, პროტეზების, სამედიცინო ხელსაწყოების გამზადების დროს. ამის გარდა პრეპრეგები გამოიყენება **ავტომობილებისა** და **გემების** მშენებლობაში ხომალდების კორპუსებისა და ავტოძარების არასაყრდენი დეტალების დამზადებისას, **მშენებლობაში**, მათ შორის ბეტონური კონსტრუქციების არმირების დროს, ასევე, სპორტული ინვენტარის დამზადებისას.

კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოებისათვის საჭიროა სპეციალური რთული და ძვირადღირებული ტექნოლოგიების მთელი კომპლექსი. კომპოზიტურ მასალებსა და მათგან ნაკეთობებზე მოთხოვნის გამუდმებულ ზრდასა და მწარმოებლებს შორის კონკურენციის გაძლიერებასთან დაკავშირებით ხდება ამ ტექნოლოგიების

გამუდმებული სრულყოფა, ხდება ახალი ტექნოლოგიების შემუშავება, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის.

ამჟამად კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოებისათვის გამოიყენება მოწყობილობისა და ტექნოლოგიების შემდეგი თანამედროვე ინოვაციური ტიპები [Баркалов Ф.]: მოწყობილობა დახვევისათვის ძაფებისა და ლენტების გამოყენებით, დამხმარე მოწყობილობა (სამართუ-ლების შენახვის სადგურები, სამართულების ამოღების სადგურები, შემკვრელით გაჟღენთის სადგურები, შენახვისა და დოზაციის სადგურები და ა. შ.); ავტომატიზებული ამოლაგება (ამოწყობა) (პორტალური ტიპის სისტემები, სისტემები მრავალფუნქციური რობოტიზებული კომპლექსის ბაზაზე); პოლიმერიზაციის ღუმელები (მოდულარული, სტაციონარული, გვირაბული ტიპის) პოლიმერიზაციის/გამაგრების სადგურები (ზედაპირული გამაგრების სადგურები, ნაწილობრივი და სრული გამაგრების სადგურები); ხაზები პრეპრეგების წარმოებისათვის (ხაზები პრეპრეგების წარმოებისათვის ხსნარული შემკვრელების ბაზაზე, პრეპრეგების წარმოების ხაზები ფისების გამადნობელის გამოყენებით, პრეპრეგების წარმოების ხაზები თერმოპლასტების ბაზაზე); ავტოკლავები; მოწყობილობა უავტოკლავო გამაგრების ტექნოლოგიებისათვის; მოწყობილობა არადამნგრევადი კონტროლისათვის; RTM (Resin Transfer Moulding); საწნეხო მოწყობილობა; კომპოზიტური მასალებიდან დეტალების მექანიკური დამუშავება; პრეპრეგების და მშრალი ქსოვილების დაჭრის სისტემები; დაწვნის ტექნოლოგიები (Braiding); ნახშირბოჭკოს წარმოების ხაზები.

3. ინოვაციების გავრცელების შესახებ სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს ინფორმაციას ზოგიერთი ტიპის ინოვაციების გავრცელების შესახებ ყველა ეკონომიკურად აქტიური საწარმოების და ორგანიზაციების მიხედვით [საწარმოთა ინოვაციური ...].

ამ კვლევების სამიზნე პოპულაცია განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

გეოგრაფიული მდებარეობა – საქართველოს ტერიტორია, კონფლიქტური რეგიონების გარდა;

საწარმოების ზომა – 1-49, 50-99, 100-249, 250+ დაქირავებული მუშა ხელი;

ეკონომიკური აქტივობა – NACE Rev. 2 შემდეგი სექციების მიხედვით:

მრეწველობა;

წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები;

მშენებლობა;

საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი;

ტრანსპორტი და დასაწყობა;

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები;

ინფორმაცია და კომუნიკაცია;

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები;

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები;

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები;

ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები.

ამ სექტორების ყველა საწარმოში (ორგანიზაციაში) იგზავნება რამდენიმე სახის კითხვარები. ყოველი კითხვარის მიხედვით საწარმომ უნდა უპასუხოს დასმულ კითხვებს. თუ საწარმო დადებითად პასუხობს კითხვას ("დიახ"), მაშინ ეს საწარმო შეიტანება შესაბამისი კითხვარის შესაბამისი პუნქტის პროცენტულ მაჩვენებელში.

ცხრილი 3.1. ინოვაციები პროდუქციაში (საქონელი/მომსახურება)

	2016	**2017**	**2018**
	%	**%**	**%**
თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი?	13,1%	13,3%	3,2%

თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება?	13,9%	14,0%	3,2%

ცხრილი 3.1-ის “ინოვაციები პროდუქციაში (საქონელი/ მომსახურება)” პირველ კითხვაზე “თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი?” დადებითად 2016 წელს უპასუხა საწარმოთა 13,1%, 2017 წელს _ 13,3%, ხოლო 2018 წელს _ 3,2%. 2018 წლისა და სხვა წლებს მონაცემთა შორის მნიშვნელოვანი ცვლადობა განპირობებულია შერჩევის მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებების გამო, კერძოდ, 2018 წლიდან გამოკლევაში მონაწილეობს ის საწარმოებიც, რომელშიც დაქირავებული მუშა ხელის რიცხოვნება 10-ია ან ათზე ნაკლები, რომლებიც წინა წლების გამოკვლევებში არ მონაწილეობდნენ.

ცხრილი 3.1-ის მეორე კითხვაზე “თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება?” პასუხი “დიახ” 2016 წელს გასცა საწარმოების 13,9%-მა, 2017 წელს _ 14,0%-მა, ხოლო 2018 წელს _ 3,2%-მა (2018 წელს პროცენტის ასეთი მნიშვნელოვანი დაქვეითება აიხსნება ზემოთ აღნიშნული გარეომებით).

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც განახორციელეს ინოვაცია (საქონლის (საგნობრივი) ან მომსახურების) 2016 და 2017 წელს მერყეობდა 13-14%-ის ფარგლებში (ერთად კი, საქონლისა და მომსახურების – 26-28%-ის ფარგლებში), მაგრამ, როდესაც ათვლაში შეიტანეს მცირე საწარმოების დიდი რაოდენობა, დაეცა 3,2%-მდე (ერთად – 6,4%-მდე). აქედან ჩანს, რომ ინოვაციების უმეტესი ნაწილი ხორციელდება საშუალო და მსხვილ საწარმოებში (10-ზე მეტი დაქირავებული მუშა ხელი).

ცხრილი 3.2. საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული საქონლისა და მომსახურების ინოვაციები (%)

	2016	2016	2017	2017	2018	2018
	საქონლის ინოვაცია	მომსახურების ინოვაცია	საქონლის ინოვაცია	მომსახურების ინოვაცია	საქონლის ინოვაცია	მომსახურების ინოვაცია
უშუალოდ თქვენმა საწარმომ	59,1%	59,4%	54.3%	41,0%	60,1%	45,8%
თქვენმა საწარმომ სხვა საწარმოებთან ან დაწესებულე-ბებთან ერთად	12,6%	16.9%	15,7%	20,1%	10,8%	19,3%
თქვენმა საწარმომ განახორციელა სხვა საწარმო-ების ან დაწესებულე-ბების მიერ შემუშავებული საქონლის/მომ-სახურების ადაპტირება - მოდიფიცირება	11,0%	14,2%	13,9%	19,8%	9,6%	19,1%
სხვა საწარმოების ან დაწესებულების მიერ	17,2%	12,5%	16.1%	19,1%	19,6%	15,8%
სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

ცხრილი 3.2 "საწარმოების ან დაწესებულების მიერ შემუშავებული საქონლისა და მომსახურების ინოვაციები" აჩვენებს პროცენტებში იმ საწარმოთა და დაწესებულებების რიცხვს, რომლებიც ინოვაციები უშუალოდ განახორციელეს, ასევე განახორციელეს ინოვაციები სხვა საწარმოებთან და დაწესებულებებთან ერთად, მოახდინეს თავიანთ საწარმოებში სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული

საქაონლის/მომსახურების ინოვაციების ადაპტაცია (მოდიფიცირება) ან დანერგეს სხვა საწარნოების ან დაწესებულებების დახმარებით ინოვაცია თავიანთ საწარმოებსა ან დაწესებულებებში (იხ. ცხრილი 3.2).

ზემოთ მოტანილი ინოვაციების სახეების კლასიფიკაციის შესაბამისად ამ ცხრილში ხდება საწარმოების დიფერენციაცია შემმუშავებლის (შემუშავების წყაროს) მიხედვით (ეს ასეთი დიფერენციაციის ერთ-ერთი ვარიანტია, სხვა ვარიანტი, უფრო თვალსაჩინო, მოცემულია ქვემოთ, მეხუთე ცხრილში).

ჩვენი აზრით, ეს ცხრილი (მეორე) არც ისე ზუსტია. შეუძლებელია, რომ უშუალოდ (თავისი ძალებით) საწარმომ თვითონ შეიმუშავოს და დანერგოს ამდენი ინოვაცია, რაც ნაჩვენებია ცხრილის პირველ სტრიქონში (ინოვაციური ტექნოლოგიები, უპირველეს ყოვლისა, საბაზისო, უნდა იყოს შესყიდული, მათი დასანერგად (დასამონტაჟებლად) კი საჭიროა კვალიფიცირებული სპეციალისტების მოწვევა). ამიტომ, ჩვენი აზრით ამ ცხრილის პირველი სტრიქონის მონაცემები ნამეტანად აწეულია და ამ ცხრილის აგების მეთოდოლოგია მოითხოვს სრულყოფას.

ცხრილი 3.3. განხორციელებული ინოვაციების დახასიათება

	2016	**2017**	**2018**
	%	**%**	**%**
ახალი თქვენი ბაზრისათვის (ინოვაციური პროდუქცია (საქონელი/მომსახურება) შეტანილი გაქვთ ბაზარზე თქვენს კონკურენტებზე ადრე, თუმცა იგი შეიძლება უკვე წარმოდგენილი იყოს სხვა ბაზრებზეც)	51,8%	57,9%	55,1%
ახალი თქვენი საწარმოსთვის (თქვენმა საწარმომ შემოიტანა ინოვაციური პროდუქცია (საქონელი/მომსახურება), რომელიც თქვენს კონკურენტებს უკვე ჰქონდათ შემოტანილი ბაზარზე)	48,2%	42,1%	44,9%
სულ	100,0%	100,0%	100,0%

ცხრილ 3.3-ში "განხორციელებული ინოვაციების დახასიათება" ფაქტობრივად წარდგენილია (გამიჯნულია) საწარმოები, რომლებიც პირველ ქვედანაყოფში მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით განახორციელეს ინოვაციები საწარმოს შესვლაზე და საწარმოდან გასვლაზე (იხ. ცხრილი 3.3). უკეთესი იქნებოდა, რომ აქ ასევე გამიჯნული ყოფილიყო ბაზისური და გასაუმჯობესებელი ინოვაციები.

ცხრილი 3.4. ინოვაციების შემოტანა ბაზარზე

	2016	2017	2018
	%	%	%
თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული პროცესები საქონლის/მომსახურების წარმოებისათვის?	44,9%	41,6%	46,8%
თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული ლოჯისტიკის, მიწოდების და დისტრიბუციის მეთოდები თქვენი ნედლეულის ან წარმოებული საქონლის მონსახურებისთვის?	22,0%	24,3%	18,2%
თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მხარდამჭერი აქტივობები თქვენი საწარმოო პროცესებისათვის (მაგ., შესყიდვების, საბუღალტრო აღრიცხვის, გამოთვლების მომსახურების სისტემები)?	33,1%	34,1%	35,0%
სულ	100,0%	100,0%	100,0%

ცხრილ 3.4-ში "ინოვაციების შემოტანა ბაზარზე" ფაქტობრივად წარდგენილია საწარმოების პროცენტული დიფერენციაცია, მათ მიერ განხორციელებული პროცესული ინოვაციების სხვადასხვა სახის მიხედვით (აქვე, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საწარმოს მიერ ახალი ჩარხის ან სხვა დანადგარის წარმოება ნიშნავს საგნობრივი ინოვაციის განხორციელებას, ხოლო ახალი ინოვაციური დანადგარის წარმოების პროცესში ჩართვა (ან არსებული ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება) არის პროცესული ინოვაცია).

საწარმოების ჭრილში სხვადასხვა სახის პროცესული ინოვაციების პროცენტული დიფერენიზცია იხ. ცხრილ 3.4-ში.

ცხრილი 3.5. საწარმოს ჩართულობა ინოვაციურ აქტიურობაში

	2016	**2017**	**2018**
	%	**%**	**%**
საკუთარი კვლევები და დამუშავებები	13,1%	14,1%	13,6%
გარე კვლევები და დამუშავებები	5,2%	6,2%	5,1%
მანქანა-დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა	21,5%	22,5%	20,8%
გარე ცოდნის შეძენა	8,6%	9,6%	9,9%
ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებული სწავლება	13,8%	14,8%	15,1%
ინოვაციების შეტანა ბაზარზე	11,8%	12,8%	11,3%
დიზაინი	15,6%	16,6%	13,4%
სხვა	10,4%	3,4%	10,7%
სულ	100,0%	100,0%	100,0%

ინფორმაციულად ყველაზე ტევადია და საყურადღებო ცხრილი 5 "საწარმოების ჩართულობა ინოვაციურ აქტიურობაში, სადაც საწარმოები პროცენტულად სტრუქტურირებულია შემდეგი პოზიციების (შემუშავების წყაროების ანუ გავრცელების წყაროების) მიხედვით: საკუთარი კვლევები და დამუშავებები (13,1-14,1%); გარე კვლევები და დამუშავებები (5,1-6,2%); მანქანა-დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა (20,8-22,5%); ინოვაციურ აქტიურობასთან დაკავშირებული სწავლება (13,8-15,1%); ინოვაციების შეტანა ბაზარზე (13,4-16,6%) დიზაინი (13,4-16,6%). მაგრამ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ აქ აღნიშნული ყოფილიყო ასევე ხარჯები ყოველი პოზიციის მიხედვით.

საერთოდ, საქართველოს სტატისტიკური სამსახურის სტატისტიკა ინოვაციების შესახებ თუმცა კი იძლევა გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ მოითხოვს სერიოზულ სრულყოფას. ჩვენი მოსაზრებებს სრულყოფის შესახებ მოვიტანთ დასკვნებში.

4. ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების და სამეცნიერო საქმიანობის სტატისტიკა

წინა ქვედანაყოფიდან ჩანს, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკა ინოვაციების შესახებ მეტნაკლებად ზედაპირულია და არასრულყოფილი. ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებშიც კი აღინიშნება, რომ "კვლევებისა და განვითარების (R&D), ინოვაციებისა და ტექნოლოგიური პროგრესის სრულყოფილი სტატისტიკა საქართველოში არ იწარმოება", თუმცა "ზოგიერტი მონაცემი ხელმისაწვდომია" [საქართველოს რეგიონული ..., გვ. 37]. ასეთივე მდგომარეობა, როგორც სტატისტიკაში ინოვაციების თაობაზე, არსებობს ამ სამსახურის ინფორმაციულ-კომუნიკაციული ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ სტატისტიკაში, თუმცა ამ მიმართულებებით ირიბი ინფორმაციის გარდა, არის პირდაპირი ინფორმაციაც (მაგალითად, იმ საწარმოების რიცხვზე, რომლებსაც ინტერნეტთან დაკავშირებული სამსახურებრივი კომპიუტერები აქვთ). შესაბამისი სტატისტიკა დაჯგუფებულია ინტერნეტში განთავსებულ სამ მასალაში: [საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში]; [საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში]; [მეცნიერება].

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში.

საწარმოებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გავრცელების მდგომარეობის დემონსტრირების მიზნით მოვიყვანთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ რამდენიმე ინტერნეტში გამოქვეყნებულ ცხრილს.

ცხრილი 4.1. ინტერნეტთან წვდომა და მისი გამოყენება საწარმოებში, პერიოდების მიხედვით (%)

	დიახ	არა
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ინტერნეტთან წვდომა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	97,5%	2,5%

ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ინტერნეტთან წვდომა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	98,4%	1,6%
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ინტერნეტთან წვდომა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	98,5%	1,5%
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ინტერნეტთან წვდომა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	93,0%	7,0%

შენიშვნა: ამ და შემდეგ ცხრილებში მონაცემებს შორის ცვალებადობა რიგ შემთხვევაში განპირობებულია 2018 წელს გამოკვლევის შერჩევის მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებების გამო. კერძოდ, 2018 წლიდან გამოკვლევაში ხვდება ყველა ის საწარმო, სადაც კი ფიქსირდება დაქირავებული მუშახელი. შერჩევის ძველი მეთოდოლოგიის თანახმად, გამოკვლევაში ხვდებოდა ყველა ის საწარმო, სადაც დაქირავებული მუშახელი 10 კაცს და მეტს შეადგენდა.

ცხრილი 4.1-დან ჩანს, რომ საწარმოებში ინტერნეტთან წვდომა და მისი გამოყენება მაღალ დონეზე დგას _ 2015-2017 წლებში ის მერყეობდა 97,5 გა 98,5%-ს შორის, ხოლო 2018 წელს, როდესაც აღრიცხვას დაემატა მცირე საწარმოებიც, ის დაეშვა 93,0-მდე. ღაც სრულად გასაგებია, რადგანაც ბევრ მცირე საწარმოს არ ესაჭიროება წვდომა ინტერნეტთან.

ცხრილი 4.2. ინტერნეტთან კავშირის გამოყენება საწარმოებში, პერიოდების მიხედვით (%)

	01.01.2016	**01.01.2017**	**01.01.2018**	**01.01.2019**
DSL კავშირი (მაგ. ADSL, SDSL, VDSL და ა. შ.)	31,2%	31,8%	31,9%	26,2%
სხვა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერ-ნეტთან კავშირის საშუალებები (მაგ. ოფტიკურ ბოჭკოვანი (FTTH) და საკაბელო ტექნოლოგიები)	**39,7%**	40,2%	40,1%	39,0%
ISDN, Dial-up კავშირი ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზებით	**0,5%**	0,1%	0,0%	0,0%
მობილური	17,2%	17,3%	17,5%	19,5%

ტელეფონების ქსელით ფართოზოლოვანი კავშირი (3G,4G) (მაგ. პორტატული კომპიუტერით ან სხვა გადასატანი საშუალებებით, კერძოდ სმარტფონით)				
სხვა მობილური სატელეფონო კავშირით (მაგ. GSM, GPRS, EDGE და სხვ.)	11,5%	10,6%	10,5%	15,3%
სულ	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

ცხრილი 2 გვიჩვენებს თანაფარდობას საწარმოების მიერ სხვადასხვა სახის ტექნოლოგიებით განხორციელებულ ინტერნეტ კავშირებს შორის. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ 2018 წლისათვის ნულოვან დონემდე შემცირდა ISDN, Dial-up კავშირი ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზებით, ამასთან ძლიერ მატულობს ინტერნეტ კავშირების ოდენობა სხვა უფრო ინოვაციური სტაციონარული და მობილური ტექნოლოგიების მეშვეობით.

ცხრილი 4.3. ინტერნეტთან მობილური კავშირი საწარმოების მიზნებისათვის, წლების მიხედვით (%)

	დიახ	**არა**
სარგებლობდა თუ არა თქვენი რომელიმე თანამშრომელი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწარმოს კუთვნილი პორტატული მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნეტთან მობილურ კავშირს საწარმოს მიზნებისათვის?	43,4%	56,6%
სარგებლობდა თუ არა თქვენი რომელიმე თანამშრომელი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწარმოს კუთვნილი პორტატული მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნეტთან მობილურ კავშირს საწარმოს მიზნებისათვის?	46,5%	53,5%
სარგებლობდა თუ არა თქვენი რომელიმე თანამშრომელი 2018 წლის 1 იანვრის	46,8%	53,2%

მდგომარეობით საწარმოს კუთვნილი პორტატული მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნეტთან მობილურ კავშირს საწარმოს მიზნებისათვის?		
სარგებლობდა თუ არა თქვენი რომელიმე თანამშრომელი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწარმოს კუთვნილი პორტატული მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნეტთან მობილურ კავშირს საწარმოს მიზნებისათვის?	37,5%	62,5%

შენიშვნა: იგულისხმება პორტატული კომპიუტერი ან სხვა მსგავსი მოწყობილობა – კერძოდ სმარტფონი

ცხრილი 4.3 გვიჩვენებს წლების მიხედვით იმ საწარმოების პროცენტულ ოდენობას, რომლებიც ამყარებდნენ საწარმოების მიზნებისათვის ინტერნეტთან მობილურ კავშირს საწარმოს კუთვნილი პორტატული მოწყობილობების მეშვეობით (პორტატული კომპიუტერი, სმარტფონი და სხვა). როგორც ჩანს ცხრილიდან, ასეთი საწარმოების პროცენტული ოდენობა თანდათანობით იზრდება. Pროცენტის დაქვეითება 01.01. 2019 წლისათვის აიხსნება ზემოთ აღნიშნული გარემოებით: საწარმოების მთლიან ოდენობას დაემატა ბევრი მცირე საწარმო, რომელშიც დაქირავებული მუშახელის ოდენობა 10 კაცს არ აღემატება.

ცხრილი 4.4. ვებსაიტის ან ვებგვერდის გამოყენება საწარმოების მიერ, წლების მიხედვით (%)

	დიახ	არა
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ვებსაიტი/ვებგვერდი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	44,3%	55,7%
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ვებსაიტი/ვებგვერდი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	44,7%	55,3%
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ვებსაიტი/ვებგვერდი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	40,3%	59,7%
ჰქონდა თუ არა თქვენს საწარმოს ვებსაიტი/ვებგვერდი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით?	18,4%	81,6%

ინოვაციების გავრცელების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ცხრილი 4.4, რომელშიც ნაჩვენებია ვებსაიტის ან ვებგვერდის გამოყენება საქარმოების მიერ. ღოგორც

ცხრილიდან ჩანს 2015-2017 წლებში საწარმოების 40%-ზე მეტი იყენებდა ვებსაიტებს. რა თქმა უნდა 2018 წელსაც საწარმოთა არა ნაკლები რაოდენობა იყენებდა ვებსაიტებს, მაგრამ ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო (აღრიცხვის სიაში მცირე საწარმოების დამატება) ასეთი საწარმოების რაოდენობა პროცენტულად 18%-მდე დაეშვა.

იმ ოპერაციების შინაარსი, რომელსაც ახორციელებენ საწარმოები ვებსაიტების მეშვეობით, მოცემულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცხრილში "საწარმოთა ვებსაიტის ან ვებგვერდის შესაძლებლობები, პერიოდების მიხედვით (%)". მოვიყვანთ ამ ოპერაციების ნუსხას პროცენტების მითითების გარეშე: ონლაინ შეკვეთები/შეთავაზება/დაჯავშნა (მაგ. საყიდლების კალათა); კონფიდენციალობის პოლიტიკა, კონფიდენციალობის შტამპი ან უსაფრთხოების სერტიფიკატი; საქონლის/მომსახურების კატალოგები ან პრაის-ლისტი; შეკვეთების თვალისდევნების ონლაინ სისტემა; ვიზიტორისთვის პროდუქციის დიზაინის მორგებისა და ცვლილების შესაძლებლობა; ვებ-საიტის პერსონალიზებული სარჩევი მუდმივი ან ხშირი ვიზიტორებისთვის; ონლაინ აპლიკაციები (განცხადებები) სამუშაო ვაკანსიებზე.

მასშტაბურია, ასევე, საწარმოთა მიერ ინტერნეტის გამოყენება ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობებისათვის, რომელსაც გააჩნია შემდეგი ძირითადი მიმართულებები: ელ-ფოსტით მიმოწერა; სახელმწიფო ორგანოების ვებ-საიტებიდან ინფორმაციის მოპოვება; სახელმწიფო ორგანოების ვებ-საიტებიდან ფორმების/ ბლანკების მოპოვება (მაგ. საგადასახადო დეკლარაციების); შევსებული ფორმების/ბლანკების ელექტრონულად წარდგენა (მაგ. დღგ-ს დეკლარაციების); დღგ-ს სრული ელექტრონული დეკლარირება ქაღალდის გამოუყენებლად (შესაძლო ელექტრონული გადახდით); სოციალური გადახდების სრული ელექტრონული დეკლარირება ქაღალდის გამოუყენებლად (შესაძლო ელექტრონული გადახდით).

ცხრილი 4.5. ERP ტიპის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების გამოცდილება საწარმოებში, პერიოდების მიხედვით (%)

	01.01.2016	01.01.2017	01.01.2018	01.01.2019
საწარმოების მიერ ERP ტიპის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების გამოცდილება	9,2%	16,1%	16,2%	9,8%

ERP (საწარმოების რესურსების დაგეგმვის) პროგრამული უზრუნველყოფა არის პროგრამული პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს რესურსების მართვას სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებს (ფინანსები, დაგეგმვა, წარმოება, მარკეტინგი და ა. შ.) შორის ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე.

ცხრილი 4.5 აჩვენებს წლების მიხედვით იმ საწარმოთა პროცენტს, რომლებმაც Dდანერგეს მსგავსი პროგრამები 2016-2018 წლებში. მე-5-ე ქვედანაყოფში "ინოვსციების გავრცელება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხაზით" მოტანილია რიგი იმ ინოვაციური სტარტაპის რეალური მაგალითები, რომლებიც ახორციელებენ ამ მიმართულებით პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში.

განვიხილოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკა შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი წლების მიხედვით საქართველოში გამუდმებით იზრდება: 2016 წლის ივნისში ინტერნეტით უზრუნველყოფლი შინამეურნეობების წილი აღწევდა 70,1%-ს (79,7% - ქალაქში, 57,4% - სოფლად); 2017 წლის ივნისში - 70,7%-ს (81,8% - ქალაქში, 56,2% - სოფლად); 2018 წლის ივლისში 75,6%-ს (84,2% - ქალაქში, 64,8% - სოფლად); 2019 წლის ივლისში - 79,3%-ს (88,1% - ქალაქში, 69,9% - სოფლად).

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეების განაწილებას, ინტერნეტის გამოყენების ძირითადი მიზნების მიხედვით მოვიყვანთ მხოლოდ 2019 წლისათვის:

- სოციალური ქსელების გამოყენება - 96,0%;
- ონლაინ ამბების/გაზეთების/ჟურნალების წაკითხვა - 55,4%;
- ელ ფოსტის მიღება/გაგზავნა - 51,9%;
- ინტერნეტ აუდიო/ვიდეო კავშირი - 85,6%;
- ჯამრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება - 38,0%;
- საქოლის და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება - 38,0%;
- სამუშაოს ძიება ან სამუშაოსათვის აპლიკაციების გაგზავნა - 17,4%;
- ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა - 21,8%;
- პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების (გარდა თამაშებისა) ჩამოტვირთვა – 19,8%.

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი/მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით წლების მიხედვით შემდეგია: 2016 წლის ივნისი – 18,6% (ქალაქი – 23,3%, სოფელი – 7,6%); 2017 წლის ივნისი – 16,7% (ქალაქი – 21,3%, სოფელი –7,8%); 2018 წლის ივლისი – 20,6% (ქალაქი – 25,8%, სოფელი 9,8%); 2019 წლის ივლისი – 20,8% (ქალაქი – 24,7%; სოფელი – 12,9%).

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც გამოიყენა მობილური მოწყობილობები (მობილური ტელეფონი, ლეპტოპი, პლანშეტი და ა.შ.) უსადენო ინტერნეტთან წვდომისათვის ნებისმიერი ადგილიდან (საცხოვრისის და სამსახურის გარდა, ვინც ინტერნეტით ისარგებლა ბოლო სამ თვეში) წლების მიხედვით ასეთია: 2016 წლის ივნისი – 59,1%; 2017 ივნისი – 79,6%; 2018 ივლისი – 91,5%; 2019 ივლისი – 92,8%. ესე იგი ინტერნეტის ასეთი ინოვაციური გამოყენება სულ უფრო ვრცელდება.

კომპიუტერებით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი წლების მიხედვით შეადგენს: 2016, ივნისი - 63,8% (ქალაქი - 76,7%, სოფელი - 46,2%); 2017 წელი, ივნისი - 64,2%

(ქალაქი - 77,9%, სოფელი - 46,2%); 2018, ივლისი - 64,9%, სოფელი - 47,9%).

6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ფლობს მობილურ ტელეფონს, წლების მიხედვით, შეადგენს: 2016, ივნისი - 78,4% (ქალაქი - 85,4%, სოფელი - 69,5%); 2017, ივნისი - 80,1% (ქალაქი - 86,4%, სოფელი - 72,5%); 2018, ივლისი - 82,5% (ქალაქი - 88,5%, სოფელი - 74,9%); 2019, ივლისი - 84,8% (ქალაქი - 88,8%, სოფელი - 78,9%).

მეცნიერება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია მეცნიერების შეახებ არაა ფართო [მეცნიერება].

მოცემულია სამეცნიერო კვლევითი საქმიანობით დაკავებული დაწესებულებების რაოდენობა, რომელიც 2018 წელს შეადგენდა 56 დაწესებულებას, და შესრულებული სამუშაოების მოცულობა ფულად გამოსახულებაში - 128,3 მლნ. ლარი.

კვლევებზე და დამუშავებებზე დასაქმებული პერსონალის რიცხოვნობა 2018 წელს შეადგენდა 15522 ადამიანს, მათ შორის: 11174 მკლევარს; 1841 ტექნიკურ და მასთან დაკავშირებულ პერსონალს; 2491 სხვა დამხმარე პერსონალს; 16 არაიდენტიფიცირებულ პირს.

ამავე წელს 11174 მკლევარს შორის იყო 7330 დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, 3358 მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, 470 ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული პირი.

არის ინფორმაცია პატენტების შესახებ.

ეროვნული პროცედურის მიხედვით 2016 წელს ადგილობრივი რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა 58 იყო, უცხოურების კი 7. 2017 წელს შესაბამისად 37 და 6, 2018 წელს შესაბამისად 36 და 0.

საერთაშორისო პროცედურის მიხედვით 2016 წელს რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა იყო 112, 2017 წელს – 163, 2018 წელს – 97.

5. ინოვაციების გავრცელება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხაზით

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ შემუშავებული ან შექმნილია რიგი ქმედითი მექანიზმი ქვეყანაში ინოვაციების გავრცელებისათვის: პროგრამები, საფინანსო მექანიზმები, ინოვაციების გავრცელების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა. 2017 წელს სააგენტო გახდა სტარტაპების ევროპული რეგიონების ქსელის (Startup Europe Regions Network – SERN) წევრი. SERN არის რეგიონული ქსელი, რომელიც მიმართულია სტარტაპების მხარდასაჭერად.

სააგენტოს პროგრამები.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო თავის საქმიანობაში ფოკუსირებულია შექმნას და განავითაროს ის ინსტრუმენტები, რომელიც ხელს შეუწყოს საქართველოში მდგრადი და ხარისხიანი აქტორებით გაჯერებული სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებას. ამ მიზნით, ორგანიზაცია დაინტერესებულ მხარეებს და პოტენციურ ბენეფიციარებს სთავაზობს პროდუქტების და სერვისების ერთობლიობას, რომელიც ორიენტირებულია დაეხმაროს ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ ანტრეპრენიორებს და სტარტაპებს მანძილი იდეიდან ფუნქციონირებად შემოსავლის მოდელებამდე ჯეროვნად გაიაროს.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო რეგულარულად ცდილობს საკუთარ ბიზნეს ოპერაციებში დანერგოს ისეთი მიმართულებები რომელიც აამაღლებს გამომგონებლებისა და სტარტაპერების პროდუქტიულობას, უზრუნველყოფს მათ წვდომას წარმატებული საქმიანობისთვის აუცილებელი ისეთ საციცოცხლოდ საკვანძო მხარდაჭერის ფორმებზე როგორიცაა ფინანსები, ცოდნა და ინფრასტრუქტურა.

მცირე გრანტების პროგრამა, სტარტაპ მეგობრული, სტარტაპ ბიტსი, ბუთქემფი, საერთო სამუშაო სივრცე, ინკუბატორი, იდეების რეესტრი, ტრენინგების პორტალი და IT მხარდამჭერთა რეესტრი პროდუქტებისა და მომსახურებების იმ

ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც საკვანძო ინსტრუმენტებია განვითარებული სტარტაპ ეკოსისტემის ასაშენებლად.

პროდუქტები ეხმარებიან სტარტაპებს და ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მეწარმეებს როგორც იმაში, რომ იდეიდან ბაზრამდე მიმავალი გზა ნაკლები რისკებით და მეტი თავდაჯერებულობით გაიარონ, ასევე უკვე ჩამოყალიბებული შემოსავლის მოდელის მქონე ერთეულებს მიიღონ ცოდნა, კონტაქტები, ფინანსები და ზოგადი შესაძლებლობები რამაც შესაძლოა რადიკალურად შეცვალოს მათი ზრდის ტემპი და მიმართულების ხაზი.

სააგენტოს პროგრამები შეიძლება დავყოთ განხორციელებულებსა [განხორციელებული] და მიმდინარეებზე [მიმდინარე].

"განხორცილებულებს" შორის მოკლედ განვიხილავთ შემდეგ პროგრამებს:

ბიზნეს ინკუბატორი.

„ბიზნეს ინკუბატორი" არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა შეღავათიან პირობებში, გაიარონ საკუთარი ბიზნეს იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი.

სტარტაპ ბიზნესების ხელშეწყობა და ბაზარზე მათი პოზიციონირება ზრდის ქვეყანაში სტარტაპ ეკოსისტემის წინსვლისა და ფორმირების არეალს. მსგავსი წამოწყებები ქვეყანაში არის მაგალითი, თუ როგორ უნდა აქციოს დამწყებმა ბიზნესმენმა იდეა რეალობად. სტარტაპერებს ბიზნეს ინკუბატორის პროგრამის ფარგლებში აქვთ შანსი სრულიად უფასოდ მიიღონ ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი მომსახურება და სერვისები, რაც მათ სწორი კურსით განვითარებას უზრუნველყოფს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია სტარტაპებს მიეცეთ მეტი სტიმული, რისთვისაც საჭიროა ინვესტორების მაქსიმალური ჩართულობა. დამწყებ ბიზნესმენებს ჭირდებათ შანსი, იდეა აქციონ რეალურ პროდუქტად, გავიდნენ ბაზარზე და შექმნან კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემო.

სტარტაპ მეგობრული.

სტარტაპ მეგობრული არის საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებულ სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (სააგენტო) ახალი პროექტი. პროექტის მიზანია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინოვატორების და სტარტაპების სწრაფი განვითარების ხელშესაწყობად. რაც გულისხმობს, ისეთი კომპანიების მოძიებას, რომელთაც შეუძლია სტარტაპებისთვის სპეც პროდუქტის შეთავაზება, ხოლოდ მეორე მხრივ სტარტაპების გაფილტვრას და იმის უზრუნველყოფას რომ პროგრამას ყავდეს გამიზნული, სწორად შერჩეული ბენეფიციარები.

პროექტის მიზანია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინოვატორების და სტარტაპების სწრაფი განვითარების ხელშესაწყობად.

პროგრამა ისეთი კომპანიების მოძიებას გულისხმობს, რომელთაც შეუძლია სტარტაპებისთვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზება.

კომპანიას შეუძლია გახდეს სტარტაპ მეგობრული იმ შემთხვევაში თუ:

1) აქვს სპეციალური შეთავაზება სტარტაპებისთვის;

2) აფინანსებს სტარტაპებს;

3) თანამშრომლობს სტარტაპებთან საერთო პროექტების/მომსახურების შექმნის მიზნით.

სტარტაპის რეგისტრაციის პირობები: სტარტაპის ვებგვერდზე დარეგისტრირება ხდება მისი დამფუძნებლის მიერ; სტარტაპის პორტალზე დარეგისტრირების შემდგომ მომხმარებელი ხდება სტარტაპ მეგობრული საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, რაც ნიშნავს რომ ის ხდება სტარტაპ მეგობრულის ბენეფიციარი.

უპირატესობები სტარტაპებისთვის: წვდომა შეღავათიან პროდუქტებზე/სერვისებზე; წვდომა პოტენციურ ინვესტორზე; წვდომა მედია გაშუქებაზე, სააგენტოსთვის არსებული რესურსით; საკონფერენციო და სატრენინგო ოთახებით სარგებლობაზე ფასდაკლება; უფასო კონსულტაციები ფინანსური, იურიდიული, და მენეჯმენტის მიმართულებით.

სტარტაპ მეგობრული კომპანიის რეგისტრაციის პირობები: კომპანიას ვებგვერდზე რეგისტრაციის შემდეგ, შეუძლია განათავსოს სპეციალური შეთავაზება სტარტაპებისთვის; კომპანიის მიერ განთავსებული შეთავაზება სტარტაპისთვის მოიცავს თანამშრომლობას 12 თვის განმავლობაში.

უპირატესობა სტარტაპ მეგობრული კომპანიებისათვის: დღეს საქართველოში 200-ზე მეტი სტარტაპია და მათი რაოდენობა მუდმივად იზრდება, სამომავლოდ სტარტაპები შესაძლოა გახდნენ კომპანიების კორპორატიული კლიენტები; კომპანიას აქვს მუდმივი კომუნიკაცია მის ინდუსტრიაში მოღვაწე სტარტაპებთან, რომლებთან ერთადაც შეუძლია საერთო პროექტების განხორციელება; სტატუსი ,,სტარტაპ მეგობრული'' დადებითად აისახება კომპანიის იმიჯზე; სტარტაპ მეგობრულ კომპანიებს ექნებათ ფასდაკლება ტექნოპარკის სერვისებსა და მომსახურებებზე; ვებგვერდზე ბენეფიციარების და სტარტაპ მეგობრული კომპანიების ნახვა შესაძლებელია ნებისმიერი ვიზიტორისთვის.

IT ტრენინგები.

სააგენტო ახორციელებს ტრენინგების ციკლს IT მიმართულებით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს განათლების დონის ამაღლებას აღნიშნულ სფეროში. ტრენინგების დასრულების შემდეგ მონაწილეები შეძლებენ კონკრეტული მიმართულებით დასაქმებას და პროექტების შესრულებას.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიზანია საინფორმაციო საზოგადოებისთის პროექტების ფორმირება და სახელმწიფო პროგრამების ერთიანი პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაკოორდინირება და ყველა სფეროში ინოვაციების შეღწევის ხელშეწყობა და გამოყენების ეფექტურობის ამაღლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სააგენტო ახორციელებს ტრენინგებს IT დისტანციური მხარდაჭერის, VOIP, Front-End, Java, Python, PHP, Android, IOS პროგრამირების, IT პროექტების და მათი ხარისხის მართვის, ასევე კიბერ უსაფრთხოების მიმართულებით [IT ტრენინგები].

ამ პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 191 ტრენერი და 2500 ადამიანი.

სტარტაპ საქართველო.

პროგრამა ,,სტარტაპ საქართველო“ ერთობლივად შემუშავდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და საპარტნიორო ფონდის მიერ, რომელიც დამტკიცდა მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებით.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

პროგრამა შედგება ორი კომპონენტისგან: ინოვაციური კომპონენტის და მაღალტექნოლოგიური კომპონენტისგან. სააგენტო ახორციელებს მაღალტექნოლოგიურ კომპონენტს და აფინანსებს პროექტებს შემდეგი მიმართულებებით: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები.

სტარტაპ საქართველო პროგრამის მაღალტექნოლოგიური კომპონენტის ფარგლებში მიღებული 149 განაცხადიდან, კონკურსის წესით, შეირჩა და დაფინანსდა 100 000 ლარის ოდენობით 20 სტარტაპი. „სტარტაპ საქართველო“-ს პროექტზე სულ 726 განაცხადი შემოვიდა, აქედან, 149 მაღალტექნოლოგიურ კომპონენტზე.

“მიმდინარე” პროგრამებს შორის მეტად მნიშვნელოვანია **ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP).** ინოვაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს. პროგრამის ხანგრძლივობა არის სამი (3) წელი და დაიწყო 2019 წლის აპრილში. პროგრამის განმახორციელებლები არიან მსოფლიო ბანკი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. პროგრამის ფარგლებში მოხდება დაკავშირება კვლევით ინსტიტუტებთან იმისათვის, რომ შეირჩეს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეები.

შეფასებისთვის მიიღება მხოლოდ კვლევითი პროექტები, რომლებიც არიან ტექნოლოგიების მზაობის TRL4 და შემდეგ დონეზე.

მეცნიერებისა და კომერციალიზაციის გუნდის კომპეტენციების განვითარება მოხდება ტრენინგების მეშვეობით შერჩეული პროექტების კომერციალიზაციის ციკლის სხვადასხვა ეტაპზე. შერჩეულ ცალკეულ პროექტებს ექნებათ წვდომა ფინანსურ და ტექნიკურ რესურსებზე, სანამ მათი წარდგენა მოხდება პოტენციური მომხმარებლებისთვის/კლიენტისთვის საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

სააგენტოს მიერ ინიცირებული სტარტაპები.

სხვადასხვა სფეროში და დარგში სააგენტოს მხარდაჭერით ინოვაციური სტარტაპების შექმნა წარმოადგენს საქართველოში საბაზისო ინოვაციების გავრცელების მნიშვნელოვან მიმართულებას. მოვიყვანთ სააგენტოს მიერ ინიცირებულ სტარტაპების შექმნის მაგალითებს, რომელიც მოცემულია სააგენტოს ვებ-საიტზე [ჩვენი სტარტაპები].

VADAC

პროექტი VADAC შექმნილია ხელმისაწვდომი და დაცული ონლაინ სერტიფიცირების ავტომატიზირებული პროცესის შესაქმნელად უნიკალური ვიდეო, აუდიო და ციფრული მონიტორინგის პროცესების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს კეთილსინდისიერების პროცესის დაცვას მინიმალური რესურსებით. (ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამა: 90 000 ლარი. დაარსდა 2019 წელს. 4 დასაქმებული)

Qvevry

პროექტი მიზნად ისახავს ქართული ტრადიციული ღვინის ჭურჭლის - ქვევრის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებას. ქვევრების საბეჭდად სპეციალურად შეიქმნება ახალი კერამიკული 3D პრინტერი, რომლის მეშვეობითაც მზადდება 1000 ლიტრი მოცულობის ქვევრები. (ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამა: 159 000 ლარი. დაარსდა 2019 წელს. 4 დასაქმებული)

Anima Chatbotics

"Chatbotics" ციფრული ასისტენტების, ადამიანის დამხმარე მანქანების და ალგორითმების შექმნის ხელოვნებაა, "Anima" კი "სულს" ნიშნავს. ამ პლატფორმაზე მომხმარებლებს შეუძლიად თავად შექმნან ჩეთბოტები ან დაიქირავონ როგორც ნულიდან შესაქმნელი და მათზე მორგებული, ასევე უკვე შექმნილი ციფრული ასისტენტები, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ხასიათები, საურთიერთო ენა და დაუოკებელი სურვილი, რომ ადამიანებს დაეხმარონ.

(ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამა: 100 000 ლარი. დაარსდა 2018 წელს. 8 დასაქმებული)

LiveCaller

ლაივქოლერი არის საკომუნიკაციო პროგრამა, რომელიც კომპანიებს აძლევს საშუალებას კომუნიკაცია დაამყარონ მათ ვებ-ვიზიტორებთან ვებ-ზარით, ონლაინ ჩატით და კო-ბრაუზინგით. (დაარსდა 2018 წელს. 7 დასაქმებული)

Phubber

ფაბერი არის მობილური აპლიკაცია, მარკეტფლეისისა და სოციალური ქსელის მიქსი. ფაბერი მომხმარებელს საშუალებას აძლევს აქციოს თავისი გარდეროზი ონლაინ მაღაზიად, ჰყავდეს თავისი ერთგული მომხმარებლები, გააკეთოს ფასდაკლებები და აქციები. ფაბერი უზრუნველყოფს თითოეული გაყიდული ნივთის მიტანის სერვისს, ხარისხის კონტროლს, შეფუთვას, მარკეტინგსა და ონლაინ გადახდების სისტემას.

(ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამა: 100 000 ლარი. დაარსდა 2018 წელს. 7 დასაქმებული).

Eventals

„ივენთალს“ არის ონლაინ პლატფორმა ივენთების ორგანიზებისთვის, რომელიც მომხმარებელს დააკავშირებს მათთვის საინტერესო სივრცის, სერვისების და აღჭურვილობის პროვაიდერებთან. მომხმარებელს ფართო არჩევანთან ერთად, სტარტაპი სტავაზობს სასურველი მომსახურების ონლაინ რეჟიმში დაჯავშნას. (თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა: დაფინანსება 100 000 ლარი, დაარსდა 2019 წელს. 4 დასაქმებული).

WELI

კომპანია სთავაზობს მშენებლობის მენეჯმენტის უნიკალურ სისტემებს, მათ ინსტალაციასა და ინტეგრაციას, ღრუბლოვან სისტემებთან ინტეგრაციას, რაც შეამცირებს ხარჯებს. (თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა: 190 000 ლარი. დაარსდა 2017 წელს. 6 დასაქმებული).

Doers

კომპანიის პლატფორმა აკავშირებს სერვისის მიმწოდებელსა და მაძიებელს ერთმანეთთან, რითაც ნერგავს სერვისის მიღებისა და გაწევის ახალ კულტურას.
(თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა: დაფინანსება 250 000 ლარი. დაარსდა 2016 წელს. 5 დასაქმებული).

Traktor

კომპანია მიზნად ისახავს აღმოფხვრას საინფორმაციო ვაკუუმი და გააცნოს ფერმერებს თანამედროვე შესაძლებლობები და პრობლემის გადაჭრის გზები. (დაარსდა 2017 წელს. 9 დასაქმებული).

თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა VR 60 000 2016

TTM

TTM (Total Traffic Management) - ავტომობილის სიჩქარის შემზღუდავი დინამიკური მოწყობილობა, რომელიც ავტომატურად არეგულირებს სიჩქარეს გზაზე დაწესებული შეზღუდვის მიხედვით და აგვარებს სიჩქარის გადაჭარბებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. (თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა. სფერო - Smart მოწყობილობები. დაფინანსება 110 810. დაარსდა 2018 წელს. 4 დასაქმებული)

QuickCash AI

QuickCash AI ღრუბლოვანი ბიზნეს ბანკინგის და კრედიტუნარიანობის შეფასების ალგორითმული პლატფორმა წარმატებით გაშვებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, მცირე და საშუალო კომპანიების კრედიტუნარიანობის შეფასების მიზნით, ამ სერვისით სარგებლობენ მიკროსაფინანსო ორგანოზაციები. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება 2 ბანკთან საქართველოში, 1 ბანკთან სერბეთში, 1 ბანკთან ვარშავაში და 2 ფინანსურ ინსტიტუტთან ყაზახეთში.

2019 კომპანია ნომინირებულია EMERGING EUROPE AWARDS-ზე, ინოვაციის მიმართულებით საქართველოდან.

Wely

სტარტაპი "ველი" 2018 წელს დაარსდა, ხოლო 2019 წელს გაიმარჯვა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 100,000 ლარიანი თანადაფინანსების პროგრამაში და მიიღო 100,000 ლარიანი გრანტი.

სტარტაპი ველი (www.wely.me) ქმნის ინოვაციურ და მაღალტექნოლოგიურ შენობის მართვის სისტემებს, რომლებიც ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის და ეხმარება მათ უკეთ მართონ ყოველდღიური პროცესები, გაზარდონ შემოსავლები და მნიშვნელოვნად შეამცირონ კომუნალური და ოპერაციული ხარჯები. სტარტაპის საქმიანობა მოიცავს როგორც უშუალოდ მოწყობილობების შექმნა-წარმოებას ასევე მათ სამართავ სისტემასა და პროგრამულ უზრუნველყოფას. ბაზარზე არსებული კომპანიებისგან განსხვავებით სტარტაპის მიზანია ჭკვიანი, თანამედროვე და ხელმისაწვდომი სისტემების შექმნა, რომლის დახმარებითაც ნებისმიერი ტიპის მომხმარებელი შეძლებს სარგებლის მყისიერად მიღებას. (თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა: 100 000 ლარი. დაარსდა 2018. 5 დასაქმებული)

Mydoc.chat

Mydoc.chat წარმოადგენს პაციენტზე ორიენტირებული ტელემედიცინის SaaS პლატფორმას სამედიცინო დაწესებულებებისათვის, რომელიც სწრაფად და ეფექტურად ახორციელებს პაციენტის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის პროცესის მართვას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. (თანადაფინანსების გრანტების პროგრამა. სფერო - მედიცინა. დაფინანსება 100 000 ლარი. დაარსდა 2019 წელს 7 დასაქმებული).

Elven Technologies

Elven Technologies ქმნის მეხანძრის ინოვაციურ, სრულიად ცეცხლგაუმტარ კოსტუმს, რომელიც აღჭურვილია შიდა გაგრილების სისტემით. მეხანძრის თანამედროვე უნიფორმები არ არის ცეცხლგაუმტარი, ძალიან მალე ზიანდება პირდაპირ ალში, და არ აქვს მეხანძრის გაგრილების ფუნქცია. Elven-ის კოსტუმი საშუალებას აძლევს მეხანძრეს, კომფორტულად და უსაფრთხოდ იმუშაოს პირდაპირ ალშიც კი. (თანადაფინანსების

საგრანტო პროგრამა: 100 000 ლარი. დაარსდა 2019 წელს 4 დასაქმებული).

IOGH Ltd

ვირტუალური ტექნოლოგიის გამოყენებით პროგრამა მნიშვნელოვნად ვაუმჯობესებს გლობალური ჯანდაცვის დარგში საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს, მათში გამოცდილებაზე დაფუძნებული მეთოდის ინტეგრაციის საშუალებით. შევქმენილი და გამოცდილია ებოლას ვირუსული დაავადების ეპიდემიური აფეთქების VR სიმულაცია, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ საველე პირობებში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. (თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა, სფერო - VR. დაფინანსება 100 000 ლარი. დაარსდა 2018 წელს. 3 დასაქმებული).

Optio Discovery

განსხვავებული ციფრული მობილური საფულე პირადი ფინანსების დაგეგმვისა და მართვისათვის, რომელიც ხელოვნური ინტელექტისა და ე.წ. "ჩათბოტების" საფუძველზე ასრულებს პირადი ასისტენტის როლს და ბუნებრივი ინტერაქციის წყალობით ამარტივებს ფინანსების მართვის პროცესს. (თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა. სფერო - VR. დაფინანსება 570 000 ლარი. დაარსდა 2016 წელს. 7 დასაქმებული)

VRex Immersive

კომპანიის ვირტუალური რეალობის პლატფორმა საშუალებას აძლევს მოგზაურებს და სამთავრობო სტრუქტურებს უკეთ აღწერონ ტურისტული ლოკაციები და გაყიდონ მეტი სამოგზაურო პროდუქტი. პლატფორმა წარმოადგენს პროგრამული და კომპიუტერული შესაძლებლობების ერთობლიობას, რომლის მეშვეობით იქმნება ინტერაქტიური კონტენტი დაფუძნებული სამოგზაურო გამოცდილებაზე. (სტარტაპ საქართველო, სფერო - VR, დაფინანსება 200 000 ლარი. დაარსდა 2016 წელს. 4 დასაქმებული).

Hand 4 Help

Hand4help არის ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს, შექმნას მაღალტექნოლოგიური ხელის პროთეზები და გახადოს ისინი ყველასთვის ხელმისაწვდომი.

Hand4help დაარსდა 2016 წელს საქართველოში.

ამჟამად მიმდინარეობს პროდუქტის განვითარება. იტესტება პროტოტიპები ოპტიმალური გამძლეობისა და სიმსუბუქისთვის. იხვეწება პროდუქტის ფუნქციონალი, რათა მის მომხმარებელს მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს.

Hand4help-მა დააარსა Hand4help საზოგადოება საქართველოში. ეს არის საზოგადოება, რომლის მიზანია გააერთიანოს ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ პროთეზი და ვისაც სურთ, ამ საქმეში წვლილის შეტანა. (სტარტაპ საქართველო, სფერო – VR, დაფინანსება 100 000 ლარი, დაარსდა 2016 წელს. 3 დასაქმებული)

Lingwing.com / ლინგვინგი

სტარტაპი ქმნის უცხო ენების შემსწავლელ ვებ პლატფორმას, რომლის გამოყენებითაც, მომხმარებელს შეეძლება სრულიად დამოუკიდებლად ისწავლოს უცხო ენები ვებ ტექნოლოგიების გამოყენებით. სტარტაპს ჰყავს ისეთი კონკურენტები, როგორებიცაა: Duolingo და Rosetta Stone. მისი კონკურენტებისაგან განსხვავებით, ლინგვინგი ქმნის მომხმარებელზე მეტად მორგებულ, კომფორტულ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროგრამას. (სტარტაპ საქართველო, სფერო - განათლება, დაფინანსება 100 000 ლარი, დაარსდა 2016 წელს. 12 დასაქმებული)

6. საქართველოში საბაზისო ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელების მაგალითები

წიაღისეული ენერგორესურსების შემცირების ფონზე აქტუალური გახდა ქარის, მზის, გეოთერმალური წყლების, ბიოგაზისა და სხვა ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროების გამოყენება ელექტროენერგიის წარმოებისა და სხვა პრაქტიკული დანიშნულებისათვის.

საქართველოში უყვე აშენდა პირველი ქარის და მზის ინოვოვაციური ტექნოლოგიებით აღჭურვილი ელექტოსადგურები. ყველა ასეთი ინოვაცია მიეკუთვნება საბაზისო ინოვაციების კლასს.

გორის მახლობლად, თბილისიდან დაახლოებით 90 კმ-ის დაშორებით, ექვსი ქარის ტურბინა აწარმოებს ელექტრო-

ენერგიას ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. "ქართლის ქარის ელექტროსადგური" არის საქართველოში აგებული პირველი ქარის ელექტროსადგური საპროექტო სიმძლავრით 21,7 მგვტ, საპროექტო გამომუშავება კი არის 84,1 მლნ კვტ/სთ. მისი აგება შესაძლებელი გახდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და ევროკავშირის, ასევე სხვა საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, ორგანიზაციის "ფონდი მწვანე ზრდისათვის" საშუალებით [გორის ქარის ..., 2018]. უკვე მოქმედების პირველ წელს ქარის ელექტროსადგურნმა დაახლოებით 88 მილიონი კილოვატ-საათი ენერგია გამოიმუშავა და პროგნოზირებულ მაჩვენებელს ფაქტიურად 3,8 მილიონი კილოვატ-საათით გადააჭარბა.

2019 წელს უნდა დაწყებულიყო რამდენიმე ახალი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა: 1) თბილისის და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაახლოებით 50 მეგავატი სიმძლავრის; 2) ქალაქ კასპის მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 50 მეგავატი სიმძლავრის; 3) იმერეთის რეგიონში დაახლოებით 100 მეგავატი სიმძლავრის; 4) ხაშურის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე დაახლოებით 20 მეგავატის სიმძლავრის; გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაახლოებით 50 მეგავატი სიმძლავრის ნიგოზას ქარის ელექტროსადგური [2019 წელს ...]. მაგრამ რიგი მიზეზის გამო ამ ელექტროსადგურების მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა.

საქართველოში გაჩნდა პირველი მზის ელექტროსადგურიც. კერძოდ, პროკრედიტ ბანკმა მორიგი ინოვაციური მწვანე პროექტი დანერგა. თბილისის ცენტრში, ალექსანდრ ყაზბეგის #21, ბანკის სათავო ოფისის სახურავზე 500 კვ. მ. ტერიტორიაზე განთავსებულმა მზის პანელებმა ელეკტრო-ენერგიის გამომუშავება უკვე დაიწყო. განხორციელებული მწვანე ინვესტიციის შედეგად, დაგეგმილია წლიურად 130.000 კვტ.სთ. სუფთა ენერგიის გამომუშავება, რითაც მოხმარებული სრული ენერგიის 12%-ის აკტერნატიულით ჩანაცვლებას მოახდენს.

ეკოლოგიური მიმართულება პროკრეტით ბანკის საქმიანობის სტრატეგიული ნაწილია, რაც გამოიხატება როგორც ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში, ასევე მომხმარებლისათვის

მრავალფეროვანი გარემოსადმი მეგობრული სერვისების შეთავაზებაში, რომელთა შორის ამ მცირე მზის ელექტროსადგურის აგების დაფინანსებაა. ამასთან დაკავშირებით პროკრედით ბანკის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა: "მაქსიმალურად ვცდილობთ, გარემოსადმი მეგობრული ინიციატივების საკუთარ საქმიანობაში დანერგვით ხელი შევუწყოთ მის პოპულარიზებას. ენერგიაზე ჩვენი მოთხოვნა დღითიდღე იზრდება, შესაბამისად გადავწყვიტეთ მნიშვნელოვანი და მდგრადი ინვესტიცია გაგვეხორციელებინა მზის ელექტროსადგურში. განსხვავებით წიაღისეული საწვავისგან, განახლებადი ენერგია ამოუწურავია და მეტად უსაფრთხოა გარემოსთვის. ალტერნატიული ენერგია ჩვენი მომავალია და ეს მომავლის ინვესტიცია დღეს უყვე პროკრედიტ ბანკშია წარმატებულ მაგალითად წარმოდგენილი" [პროკრედიტ ბანკმა ...].

როგორც ვხედავთ, იმ ელექტროსადგურების ოდენობა, რომელიც დაფუძნებულია განახლებადი ენერგიის ძირითადი წყაროების გამოყენებაზე, კერძოდ, ქარის და მზის ელექტროსადგურების, საქართველოში უმნიშვნელოა (ჰეს-ების გარდა). არც ბიზნესის წარმომადგენლები, არც შესაბამისი სამთავრობო ინსტიტუტები ვერ ბედავენ ინვესტიციების ჩადებას ასეთი ობიექტების მშენებლობაში. უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ისინი არ გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას სტაბილურად - მზის ელექტროსადგურები აწარმოებენ ელექტროენერგიას მხოლოდ დღის განმავლობაში და გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა დამოკიდებულია მზის გამოსხივების ინტენსიურობაზე, ხოლო ქარის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა დამოკიდებულია ქარის სიძლიერეზე.

საქართველოში მზისა და ქარის ელექტროსადგურების ფართო გავრცელების პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მათთვის ენერგიის შესანახი დანადგარების (ენერგიის დასაგროვებლების) შექმნით.

ტრადიციულ ენერგეტიკაში პრინციპულ როლს თამაშობს ტურბინა, სულ უფრო და უფრო პოპულარული ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარებისათვის კი უკიდურესად

მნიშვნელოვანია ენერგიის შესანახი დანადგარები (ენერგიის დასაგროვებლები): მათ გარეშე ვერ მოგვარდება ქარისა და მზის ელექტროსადგურების ძირითადი პრობლემა _ ამინდის ცვალებადობაზე დამოკიდებულება [Гурков А., 2020].

ენერგიის განახლებადი წყაროებისათვის ენერგიის დასაგროვებლებათ უპირველეს ყოვლისა გამოიყენება შესაბამისი აკუმულატორული ბატარეები (აკუმულატორები ელექტროენერგეტიკის სტაციონარულ დანადგარებისათვის). უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარეობს მათი ინტენსიური ინოვაციური მოდერნიზაცია, რის შედეგადაც მათი ღირებულება 2010 წლიდან 2020 წლამდე 2/3 შემცირდა. მომდევნო სამ წელიწადში მოსალოდნელია მათი უფრო სრულყოფილი ტიპების გაჩენა, ხოლო საბატარეო ტექნოლოგიების ლიდერები არიან იაპონია და სამხრეთ კორეა [Гурков А., 2020].

მსხვილი აკუმულატორული ელექტროსადგურები უკვე მუშაობენ აზიის ქვეყნებში, აშშ-სა და ავსტრალიაში. და, მაგალითად, კარიბის კუნძულ სინტ-ესტატიუსზე (ნიდერლანდების ანტილები) 2014 წლიდან დღის განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობას (დაახლოებით 4 ათასი მაცხოვრებელი) ელექტროენერგიას მზის ელექტროსადგური აწვდის, საღამოს და ღამით კი - მისი აკუმულატორები, რომლებიც დაინსტალირებულია გერმანიის კომპანიის მიერ. სამრეწველო მასშტაბით ქარის გენერატორებისა და მზის პანელების მიერ გამომუშავებული ზედმეტი ელექტროენერგიის შენახვის ტექნოლოგია 2014 წლიდან მუშავდება ფრაუნგოფერის საზოგადოების ინსტიტუტში ქალაქ მაგდებურგში. მეზობლად, შვერინში, ამავე დროს, ამუშავდა ფირმა WEMAG-ის ევროპაში უდიდესი კომერციული აკუმულატორული ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრეა 10 მეგავატი [Гурков А., 2020].

განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის შენახვის კიდევ ერთი მიმართულებაა ჰიდროაკუმულირებელი ელექტროსადგურების აგება. ეს არის ელექტროენერგიის შენახვის უძველესი და კარგად დამუშავებული ტექნოლოგია. როდესაც ელექტროენერგის გამომუშავება ხდება ჭარბი ოდენობით, ელექტროტუმბო წყალს ქვემო რეზერვუარიდან ზედა რეზერვუარში ქაჩავს. როდესაც ელექტროენერგია

საჭიროა, წყალს ქვევით უშვებენ და მოქმედებას იწყებს ელექტროგენერატორი. ასეთი ჰიდროაკუმულირებელი ელექტროსადგური მუშაობს, მაგალითად, ჰერდექში (რურის რეგიონი, გერმანია). ამასთან, ძნელია შესაფერისი წყალსატევისა და სიმაღლეთა საჭირო სხვაობის პოვნა. ჰიდროაკუმულირებელი ელექტროსადგირებისათვის ოპტიმალური პირობები არსებობს ნორვეგიის ფიორდებში. ამიტომ, 2020 წელს გაყვანილია მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზი NordLink-ი, რომლის სიგრძეა 623 კილომეტრი და 1400 მეგავატი სიმძლავრე, რომელიც გადაიტანს ელექტროენერგიის ჭარბ მოცულობას ჩრდილოეთ გერმანიის ქარის პარკებიდან ნორვეგიის კლდოვან სანაპიროზე. და იქ ის შეინახება მანამ, სანამ არ იქნება საჭირო [Гурков А., 2020].

ამრიგად, საქართველოი ქარისა და მზის ელექტროსადგურების შექმნისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს **ენერგიის დასაგროვებლების** შექმნოს აუცილებლობა, **როგორც აკუმულატორული ბატარეების, ასევე ჰიდროაკუმულირებელი ელექტროსადგურების,** რაც უკვე საკმაოდ მისაღებია: შესაბამისი კლასის აკუმულატორული ბატარეების ღირებულება ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა, საქართველოში კი ჰიდროაკუმულირებელი ელექტროსადგურების აგებისათვის ადვილია წყალსატევებისათვის საჭირო სიმაღლეთა სხვაობის ადგილების პოვნა ან, ასევე, შეიძლება ჩვეულებრივი მცირე ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავების გამოყენება.

ახლა განვიხილოთ, თუ რა ინოვაციური საწარმოები შეიქმნა საქართველოში კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების ხაზით.

რამდენიმე წელიწადია საქართველოში მოქმედებს საწარმოო-კომერციული კომპანია შპს **"კომპოზიტ ჯორჯია",** რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს კომპოზიტური მასალები, ასევე თბო- და ჰიდროიზოლაცია კომპოზიტების გამოყენებით. კომპანია ახორციელებს მასალებისა და მოწყობილობების მიწოდებას, აწარმოებს პროდუქციას, ნაწარმის სერვისულ თანხლებას. კომპანიის ძირითადი მიმართულებაა ძირითადად იმპორტირებული კომპოზიტური მასალების საფუძველზე საქონლის წარმოება: არქიტექტურული გადა-

წყვეტილებები, ფასადები, კატერები, მოტორიანი ნავები, RIB ნავები, კატამარანები, კორპუსის დეტალები და ინტერიერის ელემენტები საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტისათვის და ა. შ. ასევე კომპანია ახორციელებს საქართველოში მინაპლასტიკის წარმოებისათვის მასალების მიწოდებას. კომპანიის პარტნიორები არიან კომპოზიტური მასალების უმსხვილესი მსოფლიო მწარმოებლები [kompozit-georgia].

კომპანია **"სი-ემ-ჯი ჯგუფი"** სთავაზობს მომხმარებელს კომპოზიტური მასალების ფართო არჩევანს: პოლიეფირი, ბოჭკოვანი მინა-ქსოვილი, ჯელკოტი (გელკაუტი), კალციუმის კარბონატი, საყალიბე სილიკონი და სხვა. ასევე სთავაზობს ბოჭკოვანი მინისგან პროდუქციის წარმოებას და რემონტს: ნავები, წყლის ველოსიპედები, აუზები, სამელიორაციო არხები, შენობის ფასადები და სხვა [სი-ემ-ჯი ჯგუფი გთავაზობთ].

ყველა სირთულეს, რომელიც დაკავშირებულია კომპოზიტური მასალებიდან ნაკეთობების მწარმოებელი თანამედროვე ქარხნის Aაშენებასა და ექსპლუატაციაში შეყვანასთან, თვალნათლივ დემონსტრირებს თბილისის თვითმფრინავებისათვის კომპოზიტური ნაკეთობების მწარმოებელი ქარხნის (ATC) მშენებლობის პროცესი.

ამ ქარხნის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა 2018 წლის დეკემბერში. Qქარხანა უცხოური კომპანიების დაკვეთით რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის პროდუქციას გამოუშვებს, რომლის მომხმარებლები მსოფლიო ავიაციის უმსხვილესი კომპანიები იქნებიან: Boeing-ი, Airbus-ი და Bombardier-ი.

პროექტს "საპარტნიორო ფონდი" და ისრაელის კომპანია Elbit Cyclone ერთობლივად ახორციელებენ. საწარმოში დამონტაჟდა იტალიური წარმოების დანადგარები. მონტაჟს კი ორი თვის განმავლობაში თავად იტალიური სპეციალისტები ახორციელებდნენ. მათ ასევე დააყენეს ამერიკიდან ჩამოტანილი კალიფორნიაში დამზადებული ორი ავტოკლავი, რომელთა ღირებულება რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენს. თანამედროვე ტექნოლოგიების მწარმოებელ საწარმოში დასასაქმებლად საინჟინრი-ტექნიკური კადრების გადამზადება ისრაელში ხდება, კერძოდ, Elbit Cyclone-ში ამ მიზნით სწავლება

ერთი წლის განმავლობაში 120-მდე სპეციალისტმა გაიარა. სამოქალაქო თვითმფრინავებისათვის კომპოზიტური მასალის ნახევარფაბრიკატები ისრაელიდან ჩამოვა. მაღალი წნევის ქვეშ პროდუქცია იპრესება, ავტოკლავებში მუშავდება და შემდგომ მყარი ნაკეთობები გამოდის. ამ პროდუქციიდან კეთდება თვითმფრინავის კარკასი, ფრთები, გარეთა ნაწილი [ბახუტაშვილი ე.].

ამ მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს, რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული ქვეყაში კომპოზიტებიდან ნაკეთობების თანამედროვე წარმოების ორგანიზაცია: მათი წარმოებისათვის საჭიროა საზღვარგარეთ ტექნოლოგიების შესყიდვა, უცხოელი სპეციალისტების მოწვევა მოწყობილობის მონტაჟისა და გამართვისათვის, საზღვარგარეთ ინჟინერულ-ტექნიკური პერსონალის სწავლება, გამოსაშვები პროდუქციის საგარეო და ადგილობრივი გასაღების წინასწარი განსაზღვრა-დათანხმება.^

უსათუოა, რომ შემდგომში ამ მიზნებისათვის ქვეყანაში საჭიროა ასეთი ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობისათვის სპეციალური ორგანიზაციების შექმნა, ისეთების, როგორიცაა შესაბამისი ტექნოლოგიების ტრანსფერის ხელშეწყობის ცენტრები, შესაბამისი კონსალტინგური ფირმები და ა. შ.

ასე მაგალითად, საფრანგეთში 2005 წლიდან მოქმედებს კონკურენტუნარიანობის პოლუსი (სხვანაირად რომ ვთქვათ კლასტერი) "პლასტიპოლისი". ეს არის დარგობრივი გაერთიანება, რომელიც სარგებლობს სახელმწიფო მხარდაჭერით და აერთიანებს დაახლოებით 1000 ორგანიზაციას და საწარმოს, რომლებიც მუშაობენ კომპოზიტების სფეროში. ამ ცენტრის მიზანია (განლაგებულია რონა-ალპების რეგიონში) პლასტიკების ფრანგული დარგის (plasturgie) წინ წაწევა, ახალ ბაზრებზე გასვლის დახმარების გაწევა, და ასევე კომპოზიტური მასალების გამოყენების ახალი ხერხების ძებნა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების სისტემის მხარდაჭერის საფუძველზე [Производство композиционных ..., 2011].

საქართველოში, რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია ლაპარაკი კომპოზიტური მასალების კლასტერის შექმნაზე (იმის გამო, რომ შესაბამისი საწარმოებისა და დამხმარე ორგანიზაციების

რაოდენობა ჯერ მცირეა), მაგრამ მიზანშეწონილია დავუკავირდეთ რუსეთის კომპანიის DEG Composite გამოცდილებას, რომელიც წარმოადგენს კომპოზიტებიდან ნაკეთობების წარმოებისათვის ტექნოლოგიების შემუშავებაში კომპეტენტურ ინჟინირინგულ ცენტრს. მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია: ტექნოლოგიების შემუშავება და გადაცემა, აღჭურვილობის შერჩევა და მიწოდება, ხელშეწყობა დანერგვაში, პროცესების ათვისების მხარდაჭერა, კონსალტინგი [Баркалов Ф.].

მიმაჩნია, რომ სახელმწიფო და კერძო კაპიტალის მონაწილეობით საჭიროა კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების დარგის მხარდაჭერისათვის სპეციალური ინოვაციური ცენტრის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საზღვარგარეთული ტექნოლოგიების ძებნა და მათი გამოკვლევა, ხელი შეუწყოს საჭირო ტექნოლოგიების ტრანსფერს დაინტერესებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ესე იგი მოწყობილობისა და აღკაზმვის შერჩევას და მიწოდებას, ხელი შეუწყოს ტექნოლოგიური პროცესების ათვისებასა და ინჟინერულ-ტექნიკური პერსონალის მომზადებას, ასევე, მონაწილეობა მიიღოს პროდუქციის გასაღების შესაძლებლობის წინასწარ შეფასებაში, როგორც შიდა ბაზარზე, ასევე საზღვარგარეთ.

ქვეყანაში განსაკუთრებული ყორადღება უნდა დაეთმოს კომპოზიტების წარმოების განვითარებას მშენებლობისათვის, რადგანაც მათზე დიდია მოთხოვნა შინაურ ბაზარზე და ამ მიმართულებით შეიძლება იმპორტის ჩანაცვლებითი საწარმოების მშენებლობა. რიგი სხვა მიმართულებით კი (მაგალითად ავტომობილების მშენებლობა, ავიამშენებლობა) შეუძლებელია ქვეყანაში შესაბამისი კომპოზიტური მასალების წარმოების ორგანიზება მსხვილი ტრანსეროვნული ფირმების მონაწილეობის გარეშე, რადგან მათ გარეშე შეუძლებელი იქნება პროდუქციის ექსპორტული გასაღების უზრუნველყოფა, და, რადგანაც ქვეყანაში ამჟამად არ არსებობს საწარმოები, რომლებიც აშენებენ ავტომობილებს ან თვითმფრინავებს, შიდა ბაზარზე ასეთ პროდუქციაზე მოთხოვნა არ იქნება.

7. საქართველოში ინოვაციების გავრცელების რეგიონული მექანიზმები

თანამედროვე პირობებში ინოვაციების გავრცელებას რეგიონულ დონეზე ხელს უწყობენ საქართველოს ინივაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელმძღვანელობით შექმნილი ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები (ასევე რეგიონული დონის ინოვაციური კლასტერები, მაგრამ ასეთები საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს, ამიტომ მათი დახასიათებისაგან ამ დანაყოფში თავს შევიყავებთ), ასევე ტექნოპარკების შემადგენლობაში არსებული ლაბორატორიები (ფაბლაბები), სასწავლო ცენტრები, საერთო-სამუშაო სივრცეები და სხვა კომპონენტები. განვიხილოდ ეს სისტემები რიგ წყაროებზე დაყრდნობით [ინფრასტრუქტურა; ტექნოპარკები ... ; და სხვა].

ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები ორიენტირებულია განავითარონ საქართველოში ტექნოლოგიების და ინოვაციების ეკოსისტემა, რომელიც მიმართულია ინოვაციების გავრცელებაზე.

ტექნოპარკი წარმოადგენს ფიზიკურ სივრცეს, სადაც აკუმულირებულია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები და მიზნად ისახავს ემსახუროს საქართველოში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.

ტექნოპარკი, თავისი ინფრასტრუქტურის მეშვეობით, ხელს უწყობს მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების ჩასახვასა და ზრდას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზრებზე. აერთიანებს რა ინტელექტუალურ რესურსსა და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას, ტექნოპარკი წარმოადგენს ინოვაციებზე ორიენტირებული სტარტაპ ეკოსისტემის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს. იგი აერთიანებს ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ასევე საოფისე, საერთო-სამუშაო და რეკრეაციულ სივრცეებს. პარკი უზრუნველყოფს წვდომას ტრენინგ-ცენტრებსა და შოურუმებზე.

ინოვაციური ცენტრები თავის მხრივ, წარმოადგენს მინი ტექნოპარკებს და შედარებით მცირე მასშტაბით მომხმარებელს ლოკალურად სთავაზობს იმავე სერვისებს, რასაც ტექნოპარკები.

ინოვაციების ეკოსისტემის შესაქმნელად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი არის თბილისის ტექნოპარკი, რომელიც ოქროყანაში 18 ათას კვ. მ. ტერიტორიაზე მოეწყო და ის 2016 წლის 11 იანვრიდან ფუნქციონირებს. ის ორიენტირებულია ქვეყანაში ინოვაციური წარმოების შექმნასა და განვითარებაზე. ტექნოპარკი არის ფიზიკური სივრცე, სადაც თავმოყრილია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსები და წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების განვითარებისთვის.

2016 წლის ოქტომბერში ქ. ზუგდიდში გაიხსნა მეორე ტექნოპარკი. "ეს არის მეორე ტექნოპარკი საქართველოში, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ტექნოლოგიებით, იმაზე უფრო უახლესით, ვიდრე თბილისის ტექნოპარკში გვაქვს. 700 კვ. მ. ფართის შენობა ნაგებობები დღეს მთლიანათ არის გახსნილი სივრცე, გახსნილი ცოდნისათვის, სიახლეებისათვის, ინოვაციებისათვის" [დიმიტრი კუმსიშვილი ..., 2016].

2018 წლის ნოემბერში, თბილისის და ზუგდიდუს შემდეგ, ტექნოლოგიური პარკი თელავშიც გაიხსნა, რომლის მშენებლობა ეკონონიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტის ფარგკებში განახორციელა, თელავის ტექნოპარკი აღჭურვილია ყველა იმ მომსახურებითა და სერვისებით, რომლითაც საქართველოს სხვა ტექნოპარკების მომხმარებლები სარგებლობენ [თელავის ..., 2018].

ინოვაციური ცენტრები კი დღეისათვის მოქმედებს ხარაგაულში, ჭოპორტში (დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელია), ბაღდათში, ახმეტასა და რუხში.

როგორც ითქვა ტექნოპარკების აუცილებელი კომპონენტებია ფაბლაბები და საერთო სამუშაო სივრცეები, რომლებიც

წარმოადგენენ ინოვაციების გავრცელების მნიშვნელოვან ხელშემწყობ მექანიზმებს.

ფაბლაბი (ფაბრიკაციის ლაბორატორია) არის მაღალტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი სახელოსნო, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ციფრულ ფაბრიკაციას. ფაბლაბის კონცეფცია 2001 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, ბიტების და ატომების ცენტრის დირექტორმა, ნილ გერშენფილდმა წარმოგვიდგინა. მისი იდეა იყო შეექმნა სამრეწველო ლაბორატორიის მცირე ანალოგი, სადაც კომპიუტერით მართვადი დანადგარებით და შესაბამისი ცოდნით, ნებისმიერი მსურველი შეძლებდა საკუთარი იდეის ხორცშესხმას. ფაბლაბის შემადგენლობაში არსებული დანადგარების - 3D პრინტერების, CNC რუტერების, ლაზერული მჭრელების, PCB დანადგარების და ა.შ. მეშვეობით შეიძლება შეიქმნას, როგორც მარტივი, ასევე კომპლექსური და „ჭკვიანი“ ნივთები. მოვახდინოთ პროტოტიპირება, ტესტირება და მცირე წარმოებაც კი. ფაბლაბების განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ახალი სტარტაპ ბიზნესების ჩამოყალიბებისთვის, ასევე მცირე პერსონალური წარმოების ხელშეწყობისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ სასურველი ინდივიდუალური დიზაინისა თუ ფუნქციების მქონე პროდუქტის დასამზადებლად აუცილებელი აღარ იქნება დიდ ქარხნებთან და წარმოებებთან ურთიერთობა და ეს ყველაფერი ლოკალურად, ფაბლაბების ბაზაზე მოხდება [ფაბლაბი].

ტექნოპარკის **საერთო სამუშაო სივრცე** (co-working) არის ღია ტიპის ოფისი, რომელიც ბიზნეს ინკუბატორის გუნდებსა და დამწყებ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას უფასოდ გამოიყენონ სამუშაო საოფისე ფართი, ასევე, აღნიშნულ გარემოში დამწყებ მეწარმეებს აქვთ წვდომა ბიზნეს ინკუბატორის წევრებთან, სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებთან. ხვდებიან ყველაზე წარმატებულ და გამოცდილ მენტორებს, რაც ხელს უწყობს მათი ბიზნესისა და პროფესიონალურ განვითარებას. ტექნოპარკის საერთო სამუშაო სივრცე ქმნის სასწავლო გარემოს და აყალიბებს ძლიერ სამუშაო კულტურას. აღნიშნულ გარემოში, სივრცის წევრების დახმარებით, სტარტაპებს მიეცემათ უდიდესი შესაძლებლობები

ბიზნესის განვითარების მხრივ: ბიზნესის სწრაფი განვითარება; პირადი და პროფესიონალური ქსელის გაზრდა; ახალი კლიენტების მოძიება და შემოსავლის გაზრდა; ნიჭიერი სპეციალისტების დასაქმება; პროდუქტიულობა; პროფესიონალურ გარემოში მუშაობა; იზოლირებული მორგებადი სამუშაო გარემო [საერთო სამუშაო ...]. ეს ყველაფერი ქმნის შესაბამის რეგიონებში სხვადასვა ტიპის (ძირითადად საინფორმაციო-საკომუნიკაციო ანუ ციფრული ხასიათის) ინოვაციების გავრცელებისათვის ხელსაყრელ პირობებს.

დასკვნები

მაშასადამე, ნაშრომში თანამიმდევრულად განიხილება საკითხები, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში ინოვაციების გავრცელებასთან.

პირველ ორ დანაყოფს აქვს დამხმარე ხასიათი. პირველ მათგანში განიხილება თანამედროვე წარმოდგენები ინოვაციების სახეების კლასიფიკაციის შესახებ, ხოლო მეორეში, ინოვაციების გავრცელების თანამედროვე სექტორული პრობლემები.

თანამედროვე წარმოდგენებზე დაყრდნობით, **პირველ დანაყოფში** შედგენილია ინოვაციების კლასიფიკაცია მათი იდენტიფიკაციის რიგი კრიტერიუმების მიხედვით, აგრეთვე სისტემატიზებულია და დახასიათებული ინოვაციების შემუშავების და გავრცელების ხერხები.

ინოვაციების სახეები მოყვანილია და გაშუქებული შემდეგი კრიტერიუმების ჭრილში: მნიშვნელოვნობის მიხედვით (საბაზისო, გასაუმჯობესებელი და ფსევდო- ინოვაციები); ბაზრისა ან საწარმოსათვის სიახლის ხარისხის მიხედვით და თავისი წინამორბედის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით (მემკვიდრეობითობის მიხედვით); დამმუშავებლის (დამუშავების წყაროს) მიხედვით (საწარმოს ძალებით ან გარე წყაროს ძალებით); გამოყენების სფეროს ან სიახლის ტიპის მიხედვით (მატერიალურ-ტექნიკური ან ტექნოლოგიური; სოციალური ინოვაციები, საორგანიზაციო-მმართველობითი, სამართლებრივი და პედაგოგიური ინოვაციების ჩათვლით; ეკონომიკური;

ეკოლოგიური; მწვანე ეკონომიკის სფეროში; წრიული ეკონომიკის სფეროში; მარკეტინგული; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ან ციფრული და სხვა); საგნის და მისი გამოყენების სფეროს მიხედვით (საპროდუქტო და საპროცესო ინოვაციები); გავრცელებულობის ნიშნის (მასშტაბის) მიხედვით (ცალკეული და დიფუზიური ინოვაციები, რომელთა გავრცელება ხდება მრავალ დარგში); საწარმოს, ფირმის, ორგანიზაციის სისტემაში ადგილის მიხედვით (ინოვაციები საწარმოს შესასვლელზე; საწარმოს სისტემური სტრუქტურის ინოვაციები, ინოვაციები საწარმოს გასასვლელზე); სიახლის ფორმის მიხედვით; ი) ღირებულების ჯაჭვის ელემენტების მიხედვით; წარმოქმნის მიზეზის მიხედვით; მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხასიათის მიხედვით; ინოვაციის დანერგის შედეგად მიღებული ეფექტის სახეობის მიხედვით.

შემდეგ სისტემატიზებულია ინოვაციების დამუშავების ხერხები. დამმუშავებლის კრიტერიუმის მიხედვით ინოვაცია შეიძლება შემუშავებული იყოს ან საწარმოს ძალებით ან გარე წყაროს ძალებით, ამასთან ყველაზე ხშირად, ინოვაციები, განსაკუთრებით საბაზისო და გასაუმჯობესებელი, მუშავდება გარე სპეციალიზირებული სუბიექტების მიერ, რომლებიც სისტემატიზებული და აღწერილია პირველი დანაყოფის შესაბამის პუნქტში (ინოვაციების დამუშავების ხერხები).

ვრცლად სისტემატიზებული და დახასიათებულია ინოვაციების გავრცელების ხერხები. ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, პსევდო-) შიდა (საწარმოს ან ორგანიზაციის შიგნით) შემუშავების შემთხვევაშიც, მათი გავრცელების პირობები ხშირად მოითხოვენ საპატენტო ლიცენზიების, ტექნოლოგიური დოკუმენტაციის და ა. შ. შესყიდვას. თუმცა, რაც სავსებით ბუნებრივია, საშუალო და მცირე ორგანიზაციების უმეტესობაში (სპეციალიზებული ინოვაციური საწარმოების გამოკლებით) ინოვაციების გავრცელება ხდება საბაზისო (მათ შორის "კონტრაქტების გასაღების ჩაბარებით" ფორმაში) და სხვადასხვა სახით (მოწყობილობა, დოკუმენტაცია, ლიცენზიები, საკონსულტაციო მომსახურება და ა. შ.) გასაუმჯობესებელი და მოდიფიკაციური ინოვაციების შესყიდვის

გზით, ხშირად იმ სპეციალისტების მოწვევით, რომლებიც ხელს უწყობენ მათ დანერგვას.

ბუნებრივია, რომ ინოვაციების წარმოებაში წინ წაწევის (გავრცელების) ძირითად გზას წარმოადგენს როგორც საბაზისო, ასევე გასაუმჯობესებელი, საპროდუქტო და საპროცესო ინოვაციების სესხება (ყველაზე ხშირად იმპორტი) მათი წინ წაწევის ყოველ სტადიაზე.

პირველი დანაყოფის დასასრულს მოყვანილი და დახასიათებულია განვითარებულ ქვეყნებში არსებული წარმოებაში ინოვაციების წინ წაწევის (გავრცელების) ძიროთადი თანამედროვე მექანიზმები.

ინოვაციების კლასიფიკაციური მახასიათებლებისა და მათი დამუშავების და გავრცელების ხერხების განზოგადება და სისტემეტიზაცია არსებით პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მას აქვს პოტენციური უნარი, რომ მოგვცეს დეტალური წარმოდგენა ამა თუ იმ პროგრესული სიახლის მახასიათებლებზე, იძლევა ინავაციების თავისებურებების იდენტიფიკაციისა და ინოვაციური საქმიანობის წარმატებული მართვის შესაძლებლობას. კერძოდ, ეს საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის საწარმოებში ინოვაციების დანერგვის ადეკვატური მხარდაჭერის განსახორციელებლად.

მეორე დანაყოფში განხილულია ინოვაციების გავრცელების თანამედროვე სექტორული პრობლემები, პირველ დანაყოფში განხორციელებული ინოვაციების სახეების კლასიფიკაციის შედეგების მხედველობაში მიღებით.

როგორც ცნობილია, სამეურნეო დარგები (დარგები საქმიანობის სახეების ჭრილში ან დარგები მათში წარმოებული პროდუქციისა ან მომსახურების ჭრილში) ვითარდება მათში ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, ფსევდოინოვაციების) დიფუზიის (გავრცელების) შედეგად, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათში ახალი ტექნოლოგიების დიფუზიის შედეგად. ამასთან ხდება არა მარტო ფიზიკური ტექნოლოგიების განახლება (მოდერნიზაცია), არამედ სოციალურ-ინსტიტუციური ტექნოლოგიების განახლებაც (სახელმწიფო მმართველობის ან ბიზნესტექნოლოგიების, ე. ი. საბაზრო და სხვა საწარმოო ტექნოლოგიების, ასევე, სტრუქტურულ-

დარგობრივი განვითარების სახელმწიფო კოორდინაციის ტექნოლოგიების).

თუ ვიმსჯელებთ იმ ინოვაციების (საბაზისო, გასაუმჯობესებელი, ფსევდო-) რაოდენობის თვალსაზრისით, რომლებიც ამჟამად ბევრ დარგში ვრცელდება (გავრცელების კრიტერიუმის მიხედვით), მაშინ თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის საკვანძო ფაქტორის ინოვაციებია: ინოვაციები, რომელიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხაზით (ამჟამად უპირატესად ციფრული ტექნოლოგიები) - ინოვაციების საერთო რაოდენობის დაახლოებით 40%; ინოვაციები, რომელიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში მწვანე ეკონომიკის ხაზით - ინოვაციების საერთო რაოდენობის დაახლოებით 40% (თუმცა, ინოვაციები მწვანე ეკონომიკის ხაზით ნაწილობრივ ემთხვევა ინოვაციების, რომლებიც აღირიცხება ცირკულარული ეკონომიკის და ეკოლოგიის ხაზით); ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება სხვადასხვა დარგში ცირკულარული ეკონომიკის და ეკოლოგიის ხაზით; ჯანდაცვის სფეროში გავრცელებადი ბიო-ტექნოლოგიური ინოვაციები (მიკრობიოლოგია, მოლეკულარული და უჯრედის ბიოლოგია, ბიოქიმია, ემბრიოლოგია, გენური ინჟინერია, ვირუსოლოგია და ა. შ.).

ამ დანაყოფში დიდი ყურადღება ექცევა ინოვაციებს, რომელიც ვრცელდება **ციფრული (ან საინფორმაციო-საკომუნიკაციო) ტექნოლოგიების** ხაზით.

სწორედ სწრაფმოქმედებამ და უნივერსალურობამ გახადა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ასეთი მოკითხული (პოპულარული) თანამედროვე მეცნიერებაში, წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში. კომპიუტერები, სმართფონები, სატელევიზიო ციფრული ელექტრონიკა და ა. შ. უნიკალური ფენომენია, რომელიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ძირფესვეულად შეცვალა პლანეტის ყველა მკვიდრის ცხოვრება. ამ უკვე არსებული ტექნოლოგიების სფეროში მათი მოდერნიზაცია ხდება ძირითადად გასაუმჯობესებელი და ფსევდი- ინოვაციების რეალიზაციის გზით.

შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების გამოყენების შესაძლებლობებზე გადასვლა საწარმოთა მართვის ავტომა-

ტიზირებული სისტემების გამოყენებით, რესურსების ეფექტიანი განაწილების, ელექტრონული ბუღალტერიის, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის, აგრეთვე წარმოების, გარემოს მონიტორინგისა და მენეჯერული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მხარდაჭერის სისტემების გათვალისწინებით, ხარისხობრივი ნახტომის განხორციელებისა და არსებული ეკონომიკური პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებას იძლევა. ეს გადასვლა უკვე მიმდინარეობს, შესაბამისი საბაზისო და გასაუმჯობესებელი ინოვაციების რეალიზაციის გზით. ამასთან, მთელ მსოფლიოში ამ მიმართულებებით იზრდება ახალი ინოვაციური დამუშავებების მოცულობა.

თანამედროვე მკლევარები და სპეციალისტები გამოყოფენ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ათ ძირითად მიმართულებას (ამ სფეროებში ხორციელდება როგორც საბაზისო, ასევე გასაუმჯობესებელი ინოვაციები, ზოგიერთი მათგანი საპროდუქტოა, მაგრამ უმეტესობა საპროცესოა, თუმცა მომსახურების სფეროში ბევრი მათგანი შეიძლება განისაზღვროს როგორც საპროდუქტო ინოვაცია): 1. ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება (AI and Machine Learning); 2. ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტები (Blockchain and Cryptocurrencies); 3. დიდი მონაცემები (Big Data); 4. ტელემედიცინა (Telemedicine); 5. დამატებული და ვირტუალური რეალობა (AR/VR); 6. ჩათბოტები და ვირტუალური ასისტენტები (Bots and Virtual Assistants); 7. მობილობა და კიბერუსაფრთხოება (Mobile and Cybersecurity); 8. ნივთების ინტერნეტი (IoT – Internet of Things); 9. კომპიუტერული ხედვა (Computer Vision); 10. ხელოვნური ნეირონული ქსელები (Artificial Neural Networks). ამ მიმართულებების უმეტესობის მიხედვით შესაბამისი ინოვაციები შეიძლება გავრცელდეს ეკონომიკის ყველა სექტორში.

ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ინოვაციებს, რომელიც ვრცელდება **მწვანე ეკონომიკის** ხაზით.

"მწვანე" ეკონომიკის განვითარების ყველა მიმართულება მოითხოვს ინოვაციების დანერგვას, როგორც სრულიად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სახით (საბაზისო ინოვაციები), ასევე გასაუმჯობესებელი ინოვაციების დანერგვის სახით,

მაგალითად, სამრეწველო მოწყობილობის ენერგოეფექტიანობის ამაღლების მიზნით. შეიძლება გამოვყოთ “მწვანე” ეკონომიკის განვითარების შემდეგი განზოგადებული საკვანძო მიმართულებები: 1. ეკოსისტემების ზოგადი მართვა _ “ნარჩენების მართვა, ბრძოლა წყლის და ჰაერის დაბინძურებასთან, მიწის (ნიადაგის) აღდგენა და რაციონალური გამოყენება, ტყეების აღდგენა და დარგვა; 2. განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვა; 3. მშპ-ს ენერგოტევადობის შემცირება და ენერგოეფექტიანობის გაზრდა (შენობა-ნაგებობების მშენებლობა და საბინაო-კომუნალური მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა); 4. ელექტროტრანსპორტის განვითარება; 5. ორგანული მიწათმოქმედება სოფლის მეურნეობაში; 6. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება.

მეორე დანაკოფში ასევე განიხილება ინოვაციები, რომლებიც ვრცელდება **კომპოზიტური მასალების** ხაზით. კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოება თავისთავად წარმოადგენს მრეწველობის დარგს. ინოვაციური ნაკეთობები კი მათგან გამოიყენება მრეწველობის, ენერგეტიკის და მშენებლობის სხვადასხვა დარგში.

ექსპერტული შეფასებების მიხედვით კომპოზიტებიდან პროდუქციის ძირითადი მომხმარებლებია მანქანათმშენებლობა (უპირველეს ყოვლისა სატრანსპორტო) _ დაახლოებით 28%, სამშენებლო ინდუსტრია (საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის მილებისა და საცავების ჩათვლით) _ დაახლოებით 24%, ენერგეტიკა და ელექტრონიკა, ქარის ენერგეტიკის ჩათვლით _ დაახლოებით 23%, ნავთობ-აირის დარგი _ დაახლოებით 10%, სპორტი, მედიცინა, ფერადი მეტალურგია.

კომპოზიტური მასალები იყოფა სამ ჯგუფად: პოლიმერული კომპოზიტური მასალები; კომპოზიტური მასალები ლითონური მატრიცით; კომპოზიტური მასალები კერამიკის საფუძველზე. ნაშრომის მეორე დანაყოფში ჩამოთვლილია და დახასიათებულია ამ ინოვაციური მასალების სახეები, ასევე ჩამოთვლილია ინოვაციური ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობით აწარმოებენ ამ მასალებსა და მათგან ნაკეთობებს, დასახელებულია დარგები, რომლებშიც გამოიყენება

ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინოვაციური ნაკეთობები კომპოზიტური მასალებიდან.

მესამე დანაყოფში გაანალიზებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის **ინფორმაცია საქართველოში ინოვაციების გავრცელების შესახებ.** კერძოდ, აქ მოცემულია იმ საწარმოთა პროცენტული ოდენობა, რომლებიც შემოიტანეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი ან მომსახურება (ცხრილი 3.1). ამ ცხრილში ფაქტობრივად პირველ დანაყოფში მოცემული კლასიფიკაციის შესაბამისად ნაჩვენებია ინოვაციების პროცენტული მაჩვენებლები ბაზრისა ან საწარმოსათვის სიახლის ხარისხის კრიტერიუმის მიხედვით. ცხრილში 3.4 ფაქტობრივად გამოჯნულია პროცენტებში სხვადასხვა სახის პროცესული ინოვაციები. ცხრილ 3.5-ში კი გამოჯნულია საწარმოთა პროცენტული რაოდენობის შესაბამისად ინოვაციები დამმუშავებლის კრიტერიუმისა და, ასევე, გამოყენების ზოგიერთი სფეროს მიხედვით. ჩვენი აზრით, ეს სტატისტიკა მეტნაკლებად ზედაპირულია და მოითხოვს სრულყოფას. კერძოდ, მიზანშეწონილია, რომ გამოჯნული იყოს საბაზისო და გასაუნჯობესებელი ინოვაციები, ნაჩვენები იყოს თუ რა სახის ინოვაციები და რომელ დარგებშია განხორციელებული (მაგალითად, მწვანე ეკონომიკის ხაზით, მატერიალურ-ტექნიკური და ა. შ.), ამასთან მოცემული იყოს განხორციელებული საბაზისო ინოვაციების კონკრეტული ჩამონათვალი.

ამის მცდელობა ნაწილობრივ გაკეთებულია მხოლოდ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართებაში, ინფორმაცია რომელთა შესახებ გაშუქებულია **მეოთხე დანაყოფში** "საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნო-ლოგიების და სამეცნიერო საქმიანობის სტატისტიკა". კერძოდ, მოცემულია (პროცენტებში) **საწარმოთა** წილი, რომელთაც აქვთ წვდომა ინტერნეტთან, პროცენტებშივე მოტანილია საწარმოების მიერ ინტერნეტთან კავშირის ტიპები, მოცემულია ინფორმაცია ინტერნეტთან კავშირის შესახებ სტაციონარული და მობილური მოწყობილობების მეშვეობით, საწარმოების მიერ ERP (საწარმოების რესურსების დაგეგმვის) ტიპის პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტის გამოყენების შესაბ და სხვა.

ასევე, ამ დანაყოფში განიხილება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია **შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების** გამოყენების შესახებ, რომელიც საკმაოდ ფართოა.

ინფორმაცია **მეცნიერების შესახებ** არაა ფართო. მოცემულია კვლევებზე და დამუშავებებზე დასაქმებული პერსონალის რიცხოვნობა, დოქტორების, მაგისტრბის და ა. შ. რიცხოვნობის გამოყოფით, შესრულებული სამუშაოების მოცულობა ლარებში, რეგისტრირებული პატენტების რაოდენობა.

ჩვენი აზრით, განხორციელებული სამუშაოებიდან მიზანშეწონილი იქნებოდა ინოვაციებთან დაკავშირებული სამუშაოების გამოყოფა, ყოველივე მათგანის სახელწოდების ჩვენებით.

მეხუთე დანაყოფში განხილულია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს საქმიანობა ინოვაციების გავრცელების მიზნით. მის მიერ შექმნილია რიგი ქმედითი მექანიზმი ქვეყანაში ინოვაციების გავრცელებისათვის: პროგრამები, საფინანსო მექანიზმები, ინოვაციების გავრცელების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა.

განხორციელებულ პროგრამებს შორის შეიძლება გამოვყოთ პროგრამები "ბიზნეს ინკუბატორი", "სტარტაპ მეგობრული", "IT ტრენინგები" და "სტარტაპ საქართველო", რომლებიც მოკლედ გაშუქებულია ამ დანაყოფში.

"მიმდინარე" პროგრამებს შორის მეტად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს. პროგრამის განმახორციელებლები არიან მსოფლიო ბანკი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. პროგრამის ფარგლებში მოხდება დაკავშირება კვლევით ინსტიტუტებთან იმისათვის, რომ შეირჩეს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეები.

ამავე დანაყოფში მოტანილია ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ინიცირებული სტარტაპები. მათი უმეტესობა სპეციალიზებულია საინოვაციო-საკომუნიკაციო ან უფრო სწორედ ციფრულ ტექნოლოგიებზე, რომელთა გამო-

ყენება შეიძლება სხვადასხვა დარგის საწარმოების ადმინისტრაციული მართვის ან მათი ტექნოლოგიების მართვის პროცესებში (ასეთი სტარტაბების უმეტესობა იყენებს სრულიად ახალ ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რომელიც დახასიათებულია მეორე დანაყოფში, მაგალითად VR-ტექნოლოგიებს, ჩატ-ბოტებს და ვირტუალ დამხმარებლებს, ნივთების ინტერნეტს, ტელე-მედიცინას და სხვ.). თუმცა ზოგიერთი მიეკუთვნება სხვა დარგებს. მაგალითად, სტარტაპი Qvevry ინოვაციურ ტექნო-ლოგიით აწარმოებს 1000 ლიტრიან ქვევრებს, Elven Tecnologies ქმნის ინოვაციურ, სრულად ცეცხლგაუმტარ კოსტუმს, რომელიც აღჭურვილია შიდა გაგრილების სისტემით, სტარტაპი Hand4Help კი არის ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს, შექმნას მაღალტექნოლოგიური ხელის პროტეზი (VR-ტექნოლოგიის გამოყენებით).

სტატისტიკურ ანგარიშგებაში არ წარმოებს აღრიცხვა საბაზისო ინოვაციების კონკრეტული სახეების მიხედვით, მაგრამ ინტერნეტში არსებული მონაცემების თანახმად **მეექვსე დანაყოფში** მე განვიხილე რამდენიმე საბაზისო ინოვაციური პროექტი, რომელიც რეალიზებულია საქართველოში განახლე-ბადი ენერგიის წყაროებზე დაფუძნებული ელექტროსად-გურების აგების სფეროში და, ასევე, კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების სფეროში.

იმ ელექტროსადგურების ოდენობა, რომელიც დაფუძ-ნებულია განახლებადი ენერგიის ძირითადი წყაროების გამოყენებაზე, კერძოდ, ქარის და მზის ელექტროსადგურების, საქართველოში უმნიშვნელოა (ჰეს-ების გარდა). არც ბიზნესის წარმომადგენლები, არც შესაბამისი სამთავრობო ინსტიტუტები ვერ ბედავენ ინვესტიციების ჩადებას ასეთი ობიექტების მშენებლობაში. უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ ისინი არ გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას სტაბილურად.

საქართველოში მზისა და ქარის ელექტროსადგურების ფართო გავრცელების პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მათთვის ენერგიის დასაგროვებლების შექმნით. მათ გარეშე ვერ მოგვარდება ქარისა და მზის ელექტროსადგურების ძირითადი პრობლემა - ამინდის ცვალებადობაზე დამოკიდებულება.

ენერგიის განახლებადი წყაროებისათვის ენერგიის დასაგროვებლებათ უპირველეს ყოვლისა გამოიყენება შესაბამისი აკუმულატორული ბატარეები (აკუმულატორები ელექტრო-ენერგეტიკის სტაციონარულ დანადგარებისათვის). უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარეობს მათი ინტენსიური ინოვაციური მოდერნიზაცია, რის შედეგადაც მათი ღირებულება 2010 წლიდან 2020 წლამდე 2/3 შემცირდა. მომდევნო სამ წელიწადში მოსალოდნელია მათი უფრო სრულყოფილი ტიპების გაჩენა, ხოლო საბატარეო ტექნოლოგიების ლიდერები არიან იაპონია და სამხრეთ კორეა.

ჩემი აზრით, შესაბამისი აკუმულატორული ბატერეების შესწავლისა და მათი შეძენის შესახებ რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, მიზანშეწონილია შეიქმნას შესაბამისი მცირე განყოფილება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, რომელიც ამ საკითხებს გაუმკლავდება.

ენერგიის დასაგროვებლების სახით ასევე შეიძლება ჰიდროაკუმულირებელი ელექტროსადგურების აგება, რომელთა შექმნისათვის საქართველოში ხელსაყრელი პირობები არსებობს.

რაც კი შეეხება კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების სფეროს, შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში უკვე შეიქმნა რამდენიმე შესაბამისი საწარმო, მათ შორის თვითმფრინავებისათვის კომპოზიტური ნაკეთობების წარმოების მსხვილი თბილისის ქარხანა (ATC). ბოლი მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ასეთი ინოვაციური ობიექტის შექმნა. საჭიროა საიმედო ურთიერთობების დამკარება უცხოელ პარტნიორებთან, პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიების მომწოდებლებთან, უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა მოწყობილობის აწყობა-გამართვისათვის, საზღვარგარეთ სპეციალისტების მომზადება საწარმოში მუშაობისათვის.

მეშვიდე დანაყოფში განხილულია საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ დაარსებული ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები და მათ შემადგენლობაში არსებული ლაბორატორიები (ფაბლაბები), სასწავლო ცენტრები, საერთო სამუშაო სივრცეები, ინკუბატორები და

სხვა. ნაჩვენებია, რომ ტექნოპარკი წარმოადგენს ინოვაციებზე ორიენტირებული სტარტაპ ეკოსისტემის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახუტაშვილი ეკატერინე. "საპარტნიორო ფონდის" თანადაფინანსებით, საქართველოში სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების წარმოება იწყება. ჴ ელექტრონული რესურსი: https://www.bpn.ge/article/42369-sapartnioro-pondis-tanadapinansebit-sakartveloshi-samokalako-tvitmprinavebis-kompozituri-nacilebis-carmoeba-icqeba/

2. ბურდული ვ. 2018. ინოვაციური მასალების წარმოება და მათი გამოყენება ეკონომიკაში. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. თომი XI. თბილისი: 2018.

3. განხორციელებული. ჴ ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/145

4. გორის ქარის ელექტროსადგური - განახლებადი ენერგიის წყარო საქართველოში. 2018. - ელექტრონული რესურსი: https://www.euneighbours.eu/ka/east/eu-in-action/stories/goris-karis-elektrosadguri-ganakhlebadi-energiis-cqaro-sakartveloshi

5. დიმიტრი კუმსიშვილმა ზუგდიდში ტექნოლოგიური პარკი ოფიციალურად გახსნა. 2016.10.03. - ელექტრონული რესურსი: https://commersant.ge/ge/post/dimitri-qumsishvilma-zugdidshi-teqnologiuri-parki-oficialurad-gaxsna

6. ეკონომიკური ტენდენციები და პროგნოზები აზიაში: საქართველო. - ელექტრონული რესურსი: file:///C:/Users/PC/Desktop/2020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/GEO%20Chapter.0326.2224%20GEO-UPDATED.pdf

7. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა. 2016-2020 სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში. 2017. _ელექტრონული რესურსი: file:///C:/Users/PC/Desktop/2020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/424_63259_413148_GovernmentProgramReport2017sept4final.pdf

8. თელავში ტექნოპარკი გაიხსნა. 2018.11.24. - ელექტრონული რესურსი:
https://on.ge/story/30613-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%90

9. ინფრასტრუქტურა. - ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/7

10. მეცნიერება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. - ელექტრონული რესურსი:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/194/metsniereba

11. მიმდინარე. _ ელექტრონული რესურსი:
https://gita.gov.ge/geo/static/147

12. პროკრედიტ ბანკმა საკუთარი მზის ელექტროსადგური წარადგინა. - ელექტრონული რესურსი:
https://www.interpressnews.ge/ka/article/607524-prokredit-bankma-sakutari-mzis-elektrosadguri-caradgina

13. საერთო სამუშაო სივრცე. - ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/99

14. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. - ელექტრონული რესურსი:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi

15. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. - ელექტრონული რესურსი:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi

16. საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი). თბილისი, 2018. - ელექტრონული რესურსი: file:///C:/Users/PC/Desktop/2020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/19-22-BDD-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E

1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2018.pdf

17. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა. 2018-2021. - ელექტრონული რესურსი: file:///C:/Users/PC/Desktop/2020-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/2018-2021%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90.pdf

18. საწარმოთა ინოვაციური აქტივობა (2016-2018). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. - ელექტრონული რესურსი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba

19. სი-ემ-ჯი ჯგუფი გთავაზობთ ... ჴ ელექტრონული რესურსი: http://www.composite.ge/ka/14-- და http://www.composite.ge/ka/home/8-polyester-resin.html

20. ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები. - ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/45/teknoparki-tbilisi

21. ფაბლაბი. - ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/53/fablabi

22. ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. _ ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/

23. ჩვენი სტარტაპები. - ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/startups

24. 2019 წელს საქრთველოში 5 ახალი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყება. - ელქტრონული

რესურსი: https://imedinews.ge/ge/ekonomika/99626/2019-tsels-saqartveloshi-5-akhali-qaris-eleqtrosadguris-mshenebloba-daitskeba

25. Abesadze R, Burduli V. Modern State and Priorities for Forming the National Innovation System of Georgia. – ***International Journal of New Economics and Social Sciences № 1(9)2019.*** P. 12-29. – Electronic resource: https://ijoness.com **DOI: 10.5604/01.3001.0013.3013**

26. Abesadze R., Burduli V. National, Regional and Supranational Coordination of the Regional Innovation Policy in the EU Countries. – ***International Journal of New Economics and Social Sciences № 1(7)2018.*** P. 11-38. – Electronic resource: https://ijoness.com/resources/html/article/details?id=175031

27. Burduli V. 2019. Imperatives and Dorections of Development of "Green" Economy and Its Interactions with Innovative Economy. . – ***International Journal of New Economics and Social Sciences № 2(10)2019.*** P. 31-48. – Electronic resource: https://ijoness.com

28. IT ტრენინგები. - ელექტრონული რესურსი: https://gita.gov.ge/geo/static/125/it

29. kompozit-georgia. - Electronic resource: http://bigsale.ge/kompozit-georgia/index.html

30. Абесадзе Р., Бурдули В. Современное состояние и приоритеты формирования национальной инновационной системы Грузии. – Ж.: Ekonomisti, 2017, № 1 (Volume XII).

31. Баркалов Филипп. Оборудование и технологии для производства композитных материалов. – Электронный ресурс: https://docplayer.ru/45788966-Oborudovanie-i-tehnologii-dlya-proizvodstva-kompozitnyh-materialov.html

32. Виды инноваций и их классификация. – Электронный ресурс: http://www.grandars.ru/student/menedzhment/vidy-innovaciy.html

33. Глазьев С. Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. – Вопросы экономики, 2009, №3.

34. Глазьев С. Возможности и ограничения технико-экономического развития России в условиях структурных изменения в мировой экономике. – Электронный ресурс: www. spkurdyumov.narod.ru/glaziev/htm

35. Гонаренко О. И. Менеджмент инвестиций и инноваций. – М. : КНОРУС, 2011. – С. 68, 159.

36. Гурков А. 25.09.2020. Батареи для Tesla и накопителей электроэнергии: кто лидеры инноваций? – Электронный ресурс: https://www.dw.com/ru/batarei-dlja-tesla-i-hranenija-jenergii-kto-lidery-innovacij/a-55030825

37. Классификации инноваций в современной экономике. Предположительно 2016 г. – Электронный ресурс: https://euroasia-science.ru/ekonomicheskie-nauki/%D0%BA%D0%BB%D0%B0%D1%81%D1%81%D0%B8%D1%84%D0%B8%D0%BA%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%B8-%D0%B8%D0%BD%D0%BD%D0%BE%D0%B2%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%B9-%D0%B2-%D1%81%D0%BE%D0%B2%D1%80%D0%B5%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%BD/

38. Классификация и виды инноваций. – Электронный ресурс: http://www.grandars.ru/student/menedzhment/vidy-innovaciy.html

39. Мухамедъяров А. Инновационный менеджмент. 1.3. Классификация инноваций. – Электронный ресурс: https://econ.wikireading.ru/21827

40. Опыт Финляндии в создании «Зеленой Экономики». Инструменты финансирования. 2017. – Электронный ресурс: http://gbpp.org/wp-content/uploads/2017/08/Opyt-Finlyndii-v-sozdanii-Zelenoi-ekonomiki.pdf

41. Пригожин А.И. Нововведение: стимулы и перспективы. М.: Политиздат, 1998.

42. Тема 3. Классификация (типизация) инноваций. – Электронный ресурс: https://moodle.kstu.ru/mod/book/view.php?id=15433&forceview=1

43. Чеботарев А. 2018. Цифровые технологии настоящего и будущего. – АВИА панорама. 2018, №4 (130). – Электронный ресурс: PDF из интернета. Поиск по запросу «виды цифровых технологий».

44. Что такое «зеленая» экономика? 2017. – Электронный ресурс: https://belarus-economy.by/ru/science-ru/view/chto-takoe-zelenaja-ekonomika-460/

Vakhtang Burduli

THE SECTORAL AND REGIONAL PROBLEMS OF THE DISSEMINATION OF INNOVATIONS IN GEORGIA

Summary

In the work the sectoral and regional problems of the dissemination of innovations in georgia are considered.

გიორგი ბერულავა

ინოვაციურ ბიზნესში ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები საქართველოში

ანოტაცია. *R&D[32]-სა და ინოვაციებში ინვესტიციებს აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. ამ კვლევაში ჩვენ შევისწავლეთ ინოვაციებში განსახორციელებელი ინვესტიციების პრობლემა და მათი მოზიდვის გზები საქართველოში. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია მთავრობის განკარგულებაში არსებული საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტის მიმოხილვა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კერძო ბიზნესში R&D-სა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისთვის. საქართველოში R&D-ში ინვესტიციებთან დაკავშირებით არსებული ვითარების მიმოხილვამ აჩვენა, რომ ბოლო წლებში ქვეყანამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა R&D-სა და ინოვაციების განვითარებაში, ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და საჯარო პოლიტიკის ვარიანტების დანერგვით ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მიზნით. ამ ღონისძიებებმა ქვეყნის ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობის რეიტინგების არსებითი გაუმჯობესება გამოიწვია. რეკურსიული CDM მოდელისა და მსოფლიო ბანკის მიერ საწარმოების გამოკვლევების შედეგად მოპოვებულ მრავალმხრივ მონაცემთა ბაზის გამოყენებით, ჩვენ შევისწავლეთ R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების დეტერმინანტები და შედეგები საქართველოში. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ფინანსების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი პრედიქტორია კომპანიის გადაწყვეტილების მიღებაში R&D–ში ინვესტიციის ჩადებისთვის. ასევე, კვლევამ დაადასტურა შუმპეტერიანული ჰიპოთეზა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან შედარებით მსხვილ ფირმებს, როგორც წესი, უფრო მეტი უპირატესობა გააჩნიათ ინოვაციური საქმიანობისთვის საჭირო რესურსების მოპოვებაში.*

[32] **R&D** – Research & Development (**სკსსს** - სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები).

კვლევაში ასევე ნაჩვენებია მენეჯერული საქმიანობის მნიშვნელობა, როგორიცაა უცხოური ტექნოლოგიების გამოყენება, პერსონალის ტრენინგი და ბიზნეს სტრატეგიის შემუშავება. ამასთან ერთად, ჩვენი კვლევით დადასტურდა წინა ემპირიული კვლევების შედეგები, რომ R&D-ში ინვესტიციები ინოვაციების დანერგვის გადამწყვეტი წინაპირობაა და რომ ინოვაცია, თავის მხრივ, არსებითად ზრდის მწარმოებლურობის შედეგიანობას. ჩვენი კვლევის შედეგები ასევე ხაზს უსვამს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა (ICT-ისა) და პირდაპირ საექსპორტო საქმიანობის როლს ინოვაციების სტიმულირების მიზნით. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების სტიმულირების მიმართულებით.

1. შესავალი

მსოფლიო გამოცდილების თანახმად, ინოვაცია ეკონომიკის განვითარების საკვანძო ფაქტორია. "შემოქმედებითი განადგურების" პროცესის ხელშეწყობით, ინოვაცია უზრუნველყოფს ეკონომიკების სტრუქტურულ გარდაქმნას, ინდივიდუალური ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. ამრიგად, ბევრ განვითარებულ და ე.წ. დამწევი ზრდის ეკონომიკის მქონე (catching-up) ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიური ცვლილებების სტიმულირება ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტებს შორისაა წარმოდგენილი. წარმატება ინოვაციებისა და ტექნოლოგიური ცვლილებების განვითარებაში, თავის მხრივ, ფინანსების ხელმისაწვდომობასა და შესაბამის ინვესტიციებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული (Pérez, 2002). ფინანსური და კაპიტალის განუვითარებელი ბაზრების მქონე ქვეყნებში, ფინანსების ნაკლებობა, როგორც წესი, ინოვაციებისა და ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელებაში ბიზნესისთვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს (UNCTAD, 2011). ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ბაზრის ჩავარდნები და ინოვაციებისათვის დამახასიათებელი ე.წ. თანმხლები ეფექტები (spillover effects), რაც ე.წ. 'laissez-faire' ბაზრის პირობებში გამოგონებებსა და

ტექნოლოგიურ ცვლილებებში არასაკმარისი ინვესტიციების დანერგვას იწვევს (Arrow, 1962).

ამ კვლევაში ჩვენ შევისწავლეთ ინოვაციებში ინვესტიციების პრობლემა და მათი მოზიდვის გზები საქართველოში. გარდამავალი პროცესის პერიოდში საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩა რეგიონის სხვა ქვეყნებს R&D-სა და ინოვაციური საქმიანობის თვალსაზრისით (EBRD, 2014). შედეგად, საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორს ახასიათებდა დაბალი მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის დონე, რაც აფერხებდა ქვეყნის ინკლუზიური განვითარების შესაძლებლობას. ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა R&D-სა და ინოვაციების განვითარებაში, ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და საჯარო პოლიტიკის ვარიანტების დანერგვით ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მიზნით. ამ ღონისძიებებმა ქვეყნის ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობის რეიტინგების არსებითი გაუმჯობესება გამოიწვია (USAID, 2017). ამ კვლევის მიზანია საქართველოში კვლევებისა და ინოვაციებში დაფინანსების და ინვესტიციების არსებული პრობლემების შესწავლა და ამ საკითხების გადასაჭრელად შესაბამისი გზების მოძიება.

სტატიის დანარჩენი ნაწილი შემდეგნაირად არის ორგანიზებული. შემდეგ თავში განვიხილავთ ინოვაციებში ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებათა თეორიულ საფუძვლებს, ინოვაციების დაფინანსებაში არსებულ პრობლემებს, აგრეთვე ამ სფეროში არსებულ მთავარ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და საჯარო პოლიტიკის ვარიანტებს. ამის შემდეგ ჩვენ შევისწავლეთ საქართველოში R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების სფეროში არსებული სიტუაცია. მეოთხე თავში ჩვენ ჩამოვაყალიბეთ საქართველოში R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების დეტერმინანტებისა და შედეგების მოდელი, რომელიც ეფუძნება მსოფლიო ბანკის მიერ საწარმოების გამოკვლევების მრავალმხრივი მონაცემების ნაკრებს[33]. ნაშრომის ბოლო თავში წარმოდგენილია დასკვნები და სათანადო პოლიტიკის განსახორციელებლად შესაბამისი რეკომენდაციები.

[33] https://www.enterprisesurveys.org/

2. *R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების განხორციელების ზოგიერთი თეორიული და პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხი*

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ R&D და ინოვაციური საქმიანობა მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალურ ინვესტიციებს. ამრიგად, ტექნოლოგიური ცვლილებებისა და ინოვაციების გადამწყვეტი წინაპირობაა ფინანსური კაპიტალის ხელმისაწვდომობა, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ფინანსური და კაპიტალის ბაზრების ორგანიზაციასა და ქმედითობაზე (efficiency) (Pérez, 2002). საერთოდ, ინოვაციების კერძო დაფინანსების წყაროები შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ტიპების მიხედვით (UNCTAD, 2013):

• ***პირადი სახსრები*** **(*Personal funds*)** - ინოვაციებისთვის პირადი დანაზოგების ან რესურსების გამოყენება, რომელიც ოჯახისა და მეგობრების ან პარტნიორების / თანამშრომლების მიერ არის უზრუნველყოფილი;

• ***გაუნაწილებელი მოგება*** **(*Retained earnings*)** - ინოვაციების დაფინანსება საწარმოების წინა წლებში მიღებული მოგებებიდან, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ ბაზარზე დამკვიდრებული და კარგად განვითარებული კომპანიები;

• ***ბიზნეს ანგელოზების დაფინანსება (Business angel financing)*** – ეს არის მდიდარი პირები, რომლებიც საწყის ეტაპზე აკეთებენ კაპიტალის ინვესტიციებს ახალ ან ახალგაზრდა საწარმოებში და, როგორც წესი, ფინანსებთან ერთად, უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან ტექნიკურ, მენეჯერულ და ბიზნესის საექსპერტო შეფასებას;

• ***ვენჩურული კაპიტალი (Venture capital)*** - არის კაპიტალის დაფინანსება, რომელსაც ვენჩურული კაპიტალისტები ან ინსტიტუციური ინვესტორები ახორციელებენ, როგორც წესი, ზრდის ან გაფართოების ადრეულ ეტაპებზე, მაღალი ზრდის იმ პოტენციურ ფირმებზე უპირატესობის მინიჭების მიზნით, რომლებსაც უკვე დაწყებული აქვთ თავისი საქმიანობა;

• ***კომერციული ბანკის სესხები (Commercial bank loans)*** - ბევრ განვითარებად ქვეყანაში ეს არის ფინანსების ძირითადი მიმწოდებელი ინოვაციებისთვის;

• ***საფონდო ბირჟები (Stock exchanges)*** - ფირმებს საშუალებას აძლევს, შექმნან საჭირო ფინანსური რესურსები საკუთარი კაპიტალის შეთავაზებით;

• ***ობლიგაციები (Bonds)*** - ინოვაციის დაფინანსების ამ წყაროს უფრო მეტად იყენებენ მსხვილი, ვიდრე მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიები.

• ***ფასეულობის ჯაჭვის დაფინანსება (Value chain financing)*** - ფინანსური რესურსების ეს წყარო ხელმისაწვდომია იმ საწარმოებისთვის, რომლებიც მოქმედებენ როგოც ფასეულობის ჯაჭვის შემადგენელი ნაწილები, როგორც ეროვნულ და რეგიონალურ, ისე გლობალურ დონეზე.

• ***მიკროკრედიტი (Microcredit)*** - არის მცირე დავალიანების დაფინანსება იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც, ჩვეულებრივ, არასამთავრობოებს წარმოადგენენ ან მთავრობის მხარდაჭერით არიან დაფუძნებული;

• ***კრაუდფანდინგი (Crowdfunding)*** - ინტერნეტის საშუალებით, ანუ ინტერნეტის ბაზაზე ქსელური სქემების შექმნის საფუძველზე აკავშირებს მეწარმეებს ინვესტორებთან, შესაბამისად, ინვესტორებს იმ საწარმოებს ახვედრებს, რომლებიც საინვესტიციო დაფინანსებას ეძებენ.

შუმპეტერის ფუნდამენტური შრომის გამოქვეყნების შემდეგ (Schumpeter, 1942), ეკონომიკურ ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სრულყოფილი ბაზრის კონკურენციის პირობებში არის რამდენიმე ფუნდამენტური საკითხი R&D-სა და ინოვაციების კერძო დაფინანსებასთან დაკავშირებით (Nelson, 1959; Arrow, 1962). ამ საკითხების მთავარი საფუძველია ის, რომ R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების შედეგს წარმოადგენს ცოდნა, რომელიც არაკონკურენტულია. გასაგებად რომ ვთქვათ, ახალი ცოდნის გამოყენება გამომგონებლის მიერ არ გამორიცხავს სხვა ფირმების მიერ მისი გამოყენების შესაძლებლობას და, ამრიგად, გამომგონებელს არ შეუძლია ცალკე გამოყოს ახალ ცოდნაში ინვესტიციებიდან მიღებული უკუგება. ამრიგად, ფირმებს ნაკლები სტიმული ექნებათ ინვესტიციების ჩასატარებლად R&D და ინოვაციებში, რაც იწვევს შესაბამისი ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობით შეთავაზებას. მაგალითად, *ეროუს*

მოლოდინის მიხედვით (Arrow, 1962, p. 619) "... თავისუფალი საწარმო ეწევა ეკონომიას გამოგონებებსა და კვლევებში ნაკლები ინვესტიციების განსახორციელებლად (იდეალთან შედარებით), ვინაიდან, ჯერ ეს ერთი - ეს არის სარისკო, მეორე - პროდუქტი შესაძლებელია იყოს განაწილებული მხოლოდ შეზღუდული მოცულობით და მესამე - მას გამოყენებაში მზარდი უკუგება ახასიათებს…. ამდენად, რამდენადაც ფირმა აღწევს წარმატებას თავის საგამომგონებლო საქმიანობის ეკონომიკური ღირებულების გადიდებაში, იმდენად არასრულად იქნება გამოყენებული ეს ინფორმაცია, იდეალურ განაწილებასთან შედარებით." რიგი მიკროეკონომეტრიკული კვლევების მიმოხილვაზე დაყრდნობით *კლეტმა და სხვებმა* (Klette et al., 2000) გამოავლინეს, რომ R&D-ში სახელმწიფო ინვესტიციების უკუგების სოციალური მაჩვენებელი (social rate of return for public investments in R&D) უფრო მაღალია, ვიდრე გამომგონებლების კერძო სარგებელი, და რომ, ზოგადად, R&D-ში სახელმწიფო ინვესტიციებს შეუძლია შეამსუბუქოს ეს საბაზრო ნაკლოვანებები.

ინოვაციების დაფინანსების კიდევ ერთი პრობლემა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც გამომგონებელი და ფინანსების პროვაიდერი წარმოადგენენ სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტს (Arrow, 1962). ამ შემთხვევაში სხვაობა, რომელიც არსებობს უკუგების კერძო მაჩვენებელსა და კაპიტალის ღირებულებას შორის შეიძლება გამოიწვიოს R&D-სა და ინოვაციებში დაბალი ინვესტიცია. ჰოლი და ლერნერი (Hall and Learner, 2010) იკვლევენ ინოვაციებში ინვესტიციისთვის "დაფინანსების დეფიციტს" ("funding gap") ფინანსური ბაზრებზე როგორც დაბალი ინვესტიციების მიზეზზე ფოკუსით, რომელიც გარე ფაქტორებით გამოწვეული (externality-induced) დაბალი ინვესტიციების არარსებობის პირობებშიც ხდება. ავტორების აზრით, მცირე და ახალი ინოვაციური ფირმები კაპიტალის მაღალი ხარჯების წინაშე დგანან და ვენჩურულ კაპიტალს მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია შეამციროს ეს ხარჯები. ამავე დროს, კვლევაში ჩამოყალიბებულია R&D-ის კაპიტალის მაღალი ხარჯების არაერთგვაროვანი მტკიცებულება მსხვილი ფირმებისთვის, რომლებიც შიდა სახსრების ხარჯვას ამჯობინებენ R&D-ში ინვესტიციების დასაფინანსებლად. ავტორები ვარაუდობენ, რომ ვენჩურულ

კაპიტალს დაფინანსების დეფიციტის გადაჭრის მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობა აქვს და რომ ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას იმ ქვეყნებში, სადაც ვენჩურული კაპიტალისთვის არასაკმარისად განვითარებული საჯარო საფონდო ბაზრები ფუნქციონირებს.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტების თანახმად, შეიძლება შევაჯამოთ და შემდეგნაირად გამოვყოთ ორი ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომლებიც R&D-სა და ინოვაციების დაფინანსებისთვის დაბრკოლებებს ქმნიან:

• პირველი დაბრკოლება გამოწვეულია ბაზრის არასრულყოფილებით ან ინოვაციების თანმდევი პოზიტიური ეფექტით (positive spillover effect), რაც ზღუდავს მეწარმეებისთვის ახალი ცოდნის ხელმისაწვდომობას და უფრო მეტად ამცირებს მათ კერძო მოგებას, ვიდრე ინოვაციიდან მიღებული სოციალური უკუგება, შემოსავალი (the social returns from innovation). ეს ფაქტორი იწვევს R&D-ში დაბალ ინვესტიციას მხოლოდ სტიმულების დამახინჯებული სტრუქტურის გამო და არ არის დამოკიდებული ფინანსების ხელმისაწვდომობასა და კაპიტალის ბაზრების განვითარებაზე.

• ამის საპირისპიროდ, მეორე ხელისშემშლელი ფაქტორი ეხება ფინანსების ხელმისაწვდომობასა და კაპიტალის ბაზრების განვითარებას, რომელიც უკავშირდება R&D-ში ინვესტიციებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას და არ აქვს კავშირი ინოვაციების პოზიტიურ გარე ფაქტორებს (externality). *პენედერის* (Peneder, 2008) თანახმად, "დაფინანსების დეფიციტი" შეიძლება გამოწვეული იყოს კაპიტალის ბაზრის არასრულყოფილებით, რომელიც გამოწვეულია ორი ფაქტორით. პირველი არის ინფორმაციის არახელსაყრელი შერჩევა (*adverse selection*) ან ასიმეტრია მეწარმესა და ინვესტორს შორის. მაშინ როდესაც მეორე ფაქტორი წარმოადგენს მორალური საფრთხის (*moral hazard*) საკითხს, რომელიც ასახავს წამახალისებელ პრობლემას, როდესაც მეწარმეს აქვს სტიმული, ისარგებლოს უპირატესობით ინვესტორის ხარჯზე.

ინოვაციებში ინვესტიციის დამაბრკოლებელი თითოეული ფაქტორი მოითხოვს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო პოლიტიკის ჩარევას. *პენედერი* (Peneder, 2008) ამუშავებს ინოვაციების

დაფინანსების პოლიტიკის მენტალურ რუქას. ეს რუქა უკავშირებს R&D-სა და ინოვაციებში არასაკმარისი მოცულობით კერძო ინვესტიციების პრობლემას მის მიზეზებსა და დასაბუთებებს, მიზნებსა და ამოცანებს, კრიტიკულ შეზღუდვებთან და ინოვაციური პოლიტიკის ფინანსებთან დაკავშირებულ მთავარ ინსტრუმენტებს. ასეთი პოლიტიკის მენტალური რუქა ნათლად განსაზღვრავს საჯარო პოლიტიკის პრიორიტეტებს და აძლიერებს ინოვაციებში ინვესტიციების ხელშესაწყობად პოლიტიკის შემუშავების ძალისხმევის კოორდინაციასა და ეფექტიანობას. პოლიტიკის მენტალური რუქის თანახმად, საჯარო პოლიტიკის მთავარი მიზანი არის ამ დაბრკოლებების მოხსნა ინოვაციური ინვესტიციების წახალისებისა და აუცილებელი ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის გზით (Peneder, 2008). ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია საჯარო პოლიტიკის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ინსტრუმენტების გამოყენებით.

პირდაპირი დაფინანსება, როგორც საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტი, უფრო მეტ მოქნილობას უქმნის მთავრობას, მეწარმეებისთვის ინოვაციურ ინვესტიციების მიმართულებით მიზნობრივი სტიმულების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით, ასეთი საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი პროექტების მხარდასაჭერად, რომლებსაც ახასიათებს დიდი თანმდევი ეფექტები (high spillovers), მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებისა და სტარტაპების ხელშესაწყობად (Peneder, 2008). საერთოდ, როგორც პოლიტიკის შემუშავების სფეროში, ისე აკადემიურ ლიტერატურაში აღიარებულია პირდაპირი საჯარო დაფინანსების შემდეგი ტიპის ინსტრუმენტები (UNCTAD, 2013):

• ***სასტარტო დაფინანსება (Seed financing)*** გამოიყენება R&D-სა და ინოვაციების პროცესის საწყის ეტაპებზე და ფოკუსირებულია ახალი პროექტის ან იდეის კომერციული (როგორც ტექნიკური, ისე მარკეტინგული) მიზანშეწონილობის იდენტიფიცირებაზე, მათ შორის ინოვაციებისთვის ტექნიკური მიზანშეწონილობისა და საბაზრო პოტენციალის ჩათვლით;

• ***თანაინვესტირების ფონდები (Co-investment funds)*** არის მთავრობის განკარგულებაში არსებული ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს თანადაფინანსებას კერძო სასტარტო კაპიტალისა და ვენჩურული კაპიტალის შესაქმნელად;

• ***ინოვაციური ან ტექნოლოგიური ფონდები (Innovation or technology funds)*** უზრუნველყოფს R&D-სა და ინოვაციური მიმართულებით საწარმოების აქტივობების პირდაპირ დაფინანსებას (გრანტების საშუალებით, როგორც კონკურენტულ, ისე არაკონკურენტულ საფუძველზე), ხშირად საწყის ეტაპზე. ეს ფონდები, როგორც წესი, დაარსებულია მთავრობის მიერ, მაგრამ შესაძლებელია მოხდეს მათი თანადაფინანსება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის მიერ. მთავრობას შეუძლია გამოიყენოს ეს ფონდები, როგორც ინსტრუმენტი ეროვნული სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტების შესაბამისად შერჩეულ ინდუსტრიებში ტექნოლოგიების განვითარებისა და ინოვაციების ხელშესაწყობად.

• ***განვითარების ბანკები (Development banks)*** ჩვეულებრივ იქმნება იმ დარგებისა და საქმიანობის სფეროების დაფინანსებისა და სუბსიდიების გაცემის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე მაღალი ხარისხის პრიორიტეტებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის;

• ***საინოვაციო პრემიები (Innovation prizes)*** - ფულადი ჯილდო, რომელიც გაიცემა პიროვნებაზე ან ფირმაზე გარკვეულ სფეროში ყველაზე სასარგებლო ინოვაციისთვის ან კონკრეტული ტექნიკური გამოწვევის გადაწყვეტისთვის. ზოგადად, წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც დღეისთვის შეზღუდულია როგორც ზომის, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით;

• ***საერთაშორისო განვითარების დახმარებას (International development assistance)*** შეუძლია შეავსოს ინოვაციური საქმიანობის პირდაპირი საჯარო დაფინანსება ე.წ. დამწევი ზრდის (catching-up) ეკონომიკებში ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებისთვის შესაბამისი ფონდების უზრუნველყოფით. მსოფლიო მასშტაბით ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშემწყობი საერთაშორისო დონორის კარგი მაგალითია მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.

საჯარო პოლიტიკის არაპირდაპირი ინსტრუმენტები ჩვეულებრივ ამოქმედებს შესაბამის ფისკალურ სტიმულებს R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების განსახორციელებლად, რომელსაც შეუძლია შემდეგი ფორმები მიიღოს (Klette et al., 2000; Peneder, 2008; UNCTAD, 2013):

• ***საგადასახადო სტიმულები (Tax incentives)*** უზრუნ-ველყოფს ტექნოლოგიის განვითარებისა და ინოვაციის დანერგვის სტიმულს, R&D-ის წახალისების მიზნით, საგადასახადო ვალდებულებებიდან R&D-ზე გაწეული ხარჯების ჩამოჭრის ნებართვის მეშვეობით, როგორც წესი, მთლიანი საგადასახადო ვალდებულებების გარკვეულ მაქსიმალურ პროცენტამდე. გადასახადების შემცირების გარდა, ფისკალური სტიმულები შეიძლება ითვალისწინებდეს *საგადასახადო შეღავათებს (tax allowances),* რომელიც ფირმებს საშუალებას აძლევს, საგადასახადო ბაზიდან ჩამოჭრან ინოვაციებზე გაღებული ხარჯების დამატებითი პროცენტი; *საგადასახადო კრედიტები (tax credits),* რომელიც საშუალებას აძლევს ფირმებს, მათი საგადასახადო ვალდებულებებიდან პირდაპირ გამოქვითონ მიზნობრივი ხარჯების გარკვეული პროცენტი; *ინოვაციის პრემია (innovation premium),* რომელიც გადახდილია კომპანიებისთვის, რომლებმაც არ მიიღეს დადებითი დასაბეგრი შემოსავალი; *ალტერნატიული საგადასახადო ბაზა (alternative tax base),* სადაც R&D-ზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება შეიძლება მოხდეს R&D-სთან დაკავშირებული პერსონალის სახელფასო გადასახადის ნაწილის და სოციალური უზრუნველყოფის შენატანის გამოკლებით.

• ***სახელმწიფო სესხის გარანტიები (Public loan guarantees)*** - ეს არის სესხის გარანტიის სქემა, რომელსაც მთავრობა უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებთან მიმართებაში ბანკების რისკების თავიდან აცილების მიზნით. ისინი ამას აღწევენ სესხების გარანტიით მცირე და საშუალო ბიზნესის იმ შერჩეული საწარმოებისთვის, რომლებიც განიხილება როგორც კარგი პოტენციალის მქონე თუ მოქმედი ბიზნესსუბიექტი იმ სპეციფიკურ დარგსა თუ საქმიანობის სფეროში, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის. ამრიგად, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამრეწველო პოლიტიკის ინსტრუმენტი წამყვანი დარგების დასახმარებლად.

• ***კაპიტალის ბაზრების სტიმულირება / სიმულაცია შესაბამისი მარეგულირებელი რეფორმებისა და კაპიტალის პროგრამების მეშვეობით (The stimulation/simulation of capital markets through regulatory reforms and equity programmes)***

გულისხმობს სარისკო კაპიტალის ბაზრების სტიმულირებას მარეგულირებელი რეფორმების საშუალებით, მაგალითად, ინსტიტუციურ ინვესტორებზე შეზღუდვების გადახედვით (როგორიცაა: საპენსიო ფონდები და სხვ.); ან კერძო ინვესტორების ჩანაცვლების შედეგად კაპიტალის ბაზრის სიმულაცია ახლად შექმნილი კაპიტალის საჯარო პროგრამების საფუძველზე.

საჯარო პოლიტიკის პირდაპირი და არაპირდაპირი ინსტრუმენტების გარდა, მთავრობას შეუძლია განახორციელოს საჯაროდ დაფინანსებული R&D-ი სამეცნიერო-კვლევით საჯარო ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში ან უზრუნველყოს სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების რეალიზაცია, რომლებიც არაფინანსური ხასიათისაა, მაგრამ ხელს უწყობენ საწარმოს ინოვაციებს მათი პროდუქციისთვის ინფრასტრუქტურის, ცოდნის ან გარანტირებული ბაზრის უზრუნველყოფით.

3. საქართველოში *R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციები: მიმდინარე სიტუაცია და ტენდენციები*

ფინანსური რესურსების მიუწვდომლობა წარმოადგენს ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან დაბრკოლებას. USAID Georgia კვლევის (USAID Georgia, 2017) თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემებს განიცდის ფინანსთა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით - მათი ინვესტიციების თითქმის 76% საკუთარი წყაროებიდან მოდის, ხოლო საბანკო სექტორი უზრუნველყოფს მათი ინვესტიციების 11.5% -ს. მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების მხოლოდ 30%-ს აქვს საბანკო სესხი. ფინანსებზე შეზღუდული წვდომა არსებითად ზღუდავს ბიზნესის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობებს, R&D-ში ინვესტიციის ჩასატარებლად და, შესაბამისად, ეს საკითხი წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარებისათვის.

ბოლო დროის პერიოდში საქართველოს მთავრობამ და კერძო სექტორმა განახორციელეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები და აქტივობები ეკონომიკის რეალური სექტორის შედეგიანობის

ამაღლების მიზნით, ინდივიდუალური ბიზნესების R&D-სა და ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის გზით. პირველი, *სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020* მიღებულ იქნა მთავრობის მიერ 2014 წელს. *სტრატეგიის* საკვანძო მიზანი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მიღწევაა შემდეგი საკითხების გადაწყვეტით, როგორიცაა: ბიზნესისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა; ზრდის ხელშემწყობი სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ამოქმედება; ზრდის მამოძრავებელი კერძო სექტორების ხელშეწყობა; ეფექტური მთავრობის, თავისუფალი კონკურენციის და ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა. მთავარი პრინციპი, რომელზედაც *სტრატეგია* ემყარება, წარმოადგენს რეალურ სექტორზე დაფუძნებულ, ინკლუზიურ და ეკოლოგიურად უსაფრთხო ეკონომიკურ ზრდას. ამ მიზნების მისაღწევად, *სტრატეგიაში* ყურადღება გამახვილებულია ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ განვითარებაზე. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სექტორის განვითარების როგორც ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, *სტრატეგია* განიხილავს **R&D-სთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის** საკითხის სრულყოფას და კომერციალიზაციაში მხარდაჭერას.

სტრატეგიის შესაბამისად, სს საპარტნიორო ფონდმა (JSC Partnership Fund) დააფუძნა პროგრამა „Startup Georgia“. ამ პროგრამის მიზანი იყო საქართველოში სტარტაპკომპანიების განვითარების ხელშეწყობა. საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2014 წელს საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან (MOESD) საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) დაფუძნება. ამ ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულება არის ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა ტიპის ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს საქართველოში, და ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფს ჯანსაღ გარემოს ინოვაციებისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ზრდისა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარებისათვის[34]. საქართველოს ინოვაციებისა

[34] წყარო: GITA official website: https://gita.gov.ge/eng/

და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) მონაწილეობს ასევე პროგრამაში „Startup Georgia“, რომელიც უზრუნველყოფს მაღალტექნოლოგიური გლობალური მასშტაბის სტარტაპების დაფინანსებას (USAID Georgia, 2017). USAID Georgia-ს ანგარიშის თანახმად (USAID Georgia, 2017), საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ (GITA-მ) შეიმუშავა ინოვაციური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა: ინოვაციების ცენტრი, სახელოსნო ლაბორატორიები (FabLabs), ინოვაციური ლაბორატორიები, ბიზნესის აქსელერატორი და ინკუბატორი, რეგიონული საკოორდინაციო ცენტრი, ე.წ. ჰაბი (Regional Hub), ე.წ. საერთო სამუშაო სივრცე (Common Working Space), თემატური ინოვაციების ლაბორატორიები (Thematic Innovation Labs), სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკები. ამჟამად საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ახორციელებს ტექნოლოგიის გადაცემის საპილოტე პროგრამას (Technology Transfer Pilot Program - TTPP), რომლის მიზანია სამეცნიერო კვლევის შედეგების ბაზრის კომერციალიზაციის ხელშეწყობა. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) უზრუნველყოფს სამი ტიპის გრანტს ინოვაციური პროექტებისა და სტარტაპებისთვის: 5000 ლარამდე; 100000 ლარამდე; და 650000 ლარამდე. მაგალითად, მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში (5000 ლარამდე) დაფინანსდა 84 საგრანტო პროექტი, ხოლო გაცემული გრანტის ჯამურმა თანხამ შეადგინა 290000 ლარი[35]. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ასევე ახორციელებს ე.წ. „GENIE“ პროექტის მართვას - 40 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი, რომელიც მსოფლიო ბანკმა საქართველოსთვის 2016 წელს დაამტკიცა. ამ პროექტის მთავარი მიზანია საქართველოში ფირმებისა და ფიზიკური პირების ინოვაციური აქტივობების გაზრდა და მათი მონაწილეობა ციფრულ ეკონომიკაში.

სს საპარტნიორო ფონდისა (JSC Partnership Fund) და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) დაარსება და ფუნქციონირება შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს მთავრობის საჯარო პოლიტიკის პირდაპირ

[35] წყარო: GITA official website: https://gita.gov.ge/eng/

ინსტრუმენტად, R&D-სა და ინოვაციების მხარდასაჭერად. ამავე დროს, საქართველოს მთავრობა იყენებს საჯარო პოლიტიკის არაპირდაპირ ინსტრუმენტებს, ინოვაციური საქმიანობის განვითარების სტიმულირების მიზნით. კერძოდ, ქვემოთ მოცემულია შემდეგი ტიპის ფისკალური სტიმულები:

• ახალი კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის კოდექსის თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი მხოლოდ მოგების განაწილებისას ან მსგავსი ხასიათის გადარიცხვებისას (არაეკონომიკური ხარჯები) დასაშვები ხარჯების გაანგარიშების გარეშე.

• 2011 წლიდან, „ინფორმაციული ტექნოლოგიის ზონის შესახებ“ კანონის (the Law on Information Technology Zone) შესაბამისად, არსებობს სპეციალური საგადასახადო შეღავათების სქემა, რომელიც ვირტუალური ზონის პირებს ათავისუფლებს შემდეგი ტიპის გადასახადებისგან: საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებული მოგების გადასახადი; საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებაზე დღგ; საექსპორტო გადასახადები.

• ჩვეულებრივ, საექსპორტო საქმიანობაზე გადასახადებს (დღგ-სა და სხვა საექსპორტო გადასახადებს, აქციზის ჩათვლით) არ იხდიან.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ღონისძიებებში მთავრობის ჩარევასთან ერთად, კერძო სექტორი ინოვაციურ ბიზნესს გარკვეულ შესაძლებლობებს აძლევს. ეს არის დამწყები (ე.წ. სტარტაპ) და ინოვაციური ბიზნესისთვის საკრედიტო პროგრამები, რომელსაც უზრუნველყოფენ საქართველოს საბანკო სექტორის შემდეგი წარმომადგენლები: თიბისი – პროგრამა „Startuper“; საქართველოს ბანკი - პროგრამა „Female Start Upper”; პროკრედიტ ბანკი - პროგრამა „EU Finance for Innovators“ („ევროკავშირის ფინანსები ინოვატორებისთვის“); ლიბერთი ბანკი - პროგრამა „Smartex“; უნისონი - პროგრამა „სტარტაპ დაზღვევა“; კრისტალი - პროგრამა „სტარტაპ პროდუქტი“ (USAID Georgia, 2017).

საქართველოს მთავრობის ინტერვენციის ინტენსიფიკაციამ და კერძო სექტორის საქმიანობის გააქტიურებამ, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური შესაძლებ-

ლობების გაზრდას, ხელი შეუწყო R&D-ის და ინოვაციების ძირითადი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ***ცხრილი 1-ის მიხედვით,*** 2013-2018 წლებში R&D-ზე გაწეული ხარჯების დინამიკის მხრივ საქართველო მნიშვნელოვან პროგრესს აჩვენებს. კერძოდ, ამ პერიოდში R&D-ის ხარჯები 2013 წლის 0,08 პროცენტიდან 2018 წლის 0,30 პროცენტამდე გაიზარდა ანუ ეს მაჩვენებელი თითქმის ოთხჯერ არის გაზრდილი. ***ცხრილ 1-ში*** წარმოდგენილი R&D-ის ხარჯები მოიცავს როგორც კაპიტალურ, ისე მიმდინარე ხარჯებს 4 მთავარი სექტორის მიხედვით: ბიზნესსაწარმო, მთავრობა, უმაღლესი განათლება და კერძო არაკომერციული ორგანიზაცია. ამასთან, აქ R&D-ის ხარჯები ფარავს ფუნდამენტურ კვლევას, გამოყენებით კვლევას და ექსპერიმენტულ განვითარებას. 2013 წელს, R&D-ის ხარჯებთან დაკავშირებით, საქართველო ჩამორჩა არა მხოლოდ OECD-სა ან ECA-ს ქვეყნებს, არამედ მის მეზობლებსაც - სომხეთსა და აზერბაიჯანს. 2018 წელს საქართველო უკეთეს შედეგებს აჩვენებს, ვიდრე მისი მეზობლები, მაგრამ მაინც აქვს უარესი მაჩვენებლები, ECA-ს იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებსაც არ წარმოადგენენ მაღალი შემოსავლის მქონე ერებს. ამრიგად, აშკარა პროგრესის მიუხედავად, საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა უნდა განახორციელოს, რომ დაეწიოს ECA-ს რეგიონის სხვა ქვეყნებს R&D-ში განხორციელებული ინვესტიციების თვალსაზრისით.

ცხრილი 1. R&D-ზე გაწეული ხარჯების დინამიკა, 2013 – 2018 წწ. (მშპ-ის %)

ქვეყანა	წელი					
	2013	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**
საქართველო	0.08	0.18	0.32	0.30	0.29	0.30
სომხეთი	0.22	0.24	0.25	0.23	0.23	0.19
აზერბაიჯანი	0.21	0.21	0.22	0.21	0.18	0.18
ევროპა და ცენტრალური აზია (ECA) (მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების გარდა)	0.85	0.88	0.88	0.89	0.91	0.81
ევროპა და ცენტრალური	1.80	1.84	1.92	1.88	1.97	1.98

აზია (ECA)						
OECD -ის წევრები	2.38	2.41	2.43	2.46	2.51	2.58

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები: https://tradingeconomics.com/georgia/research-and-development-expenditure-percent-of-gdp-wb-data.html

საქართველოში კერძო ბიზნესების რიცხოვნობის დინამიკა, რომლებიც ახორციელებენ პროდუქტის ან პროცესის ინოვაციებში ან R&D-ის საქმიანობაში ინვესტიციებს, აჩვენებს ისეთივე სურათს, როგორც ზემოთ განხილული R&D-ზე გაწეული ხარჯების დინამიკა ***(იხ. ცხრილი 2).***

ცხრილი 2. გარდამავალ ეკონომიკებში ბიზნესების რიცხოვნობის დინამიკა, რომლებიც ახორციელებენ R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციებს, 2013 – 2019 წწ. (%)

№	ქვეყანა და რეგიონი	ახალი პროდუქტის/ მომსახურეობის დანერგვა ბოლო 3 წლის განმავლობაში		ახალი ან გაუმჯობესებული პროცესების დანერგვა ბოლო 3 წლის განმავლობაში		R&D-ში ინვესტიცია ბოლო წლის განმავლობაში	
		2013	***2019***	***2013***	***2019***	***2013***	***2019***
1	საქართველო	6.9	42.9	6.0	16.9	3.1	10.6
2	სომხეთი	12.1	-	7.8	-	3.5	-
3	აზერბაიჯანი	1.4	-	12.0	-	0	-
4	პოსტსაბჭოური (FSU) ქვეყნები	17.8	29.7	18.7	15.9	5.6	8.5
5	ევროკავშირის პოსტ-საბჭოური ქვეყნები	30.3	30.8	23.3	19.9	11.8	9.5
6	**საერთო ჯამი**	25.6	31.9	20.8	17.7	9.5	8.8

წყარო: ავტორის გაანგარიშებები მსოფლიო ბანკის ე.წ. BEEPs-ის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. Available at: https://www.enterprisesurveys.org/.

ცხრილი 2-ის მიხედვით, იმ ბიზნესების წილი, რომლებმაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ახალი პროდუქტი / მომსახურება შემოიტანეს, გაიზარდა 2013 წლის 6,9 პროცენტიდან 2019 წლის 42,9 პროცენტამდე (თითქმის ექვსჯერ). პროცესის ინოვაციებისთვის ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 6 და 16,9 პროცენტია, ხოლო R&D ინვესტიციებისათვის, შესაბამისად, 3,1 და

10,6 პროცენტი. უნდა აღინიშნოს, რომ თუ 2013 წელს საქართველო ჩამორჩებოდა პოსტსაბჭოურ ქვეყნებსა და ევროკავშირის პოსტსაბჭოთა წევრ-ქვეყნებს ყველა ამ მაჩვენებლის გათვალის-წინებით, 2019 წელს საქართველომ რეგიონში საუკეთესო მაჩვენებელი აჩვენა.

ცხრილ 3-ში მოცემულია R&D-სა და ინოვაციების ამჟამინდელი მაჩვენებლები ქართული ბიზნესისთვის. ცხრილის თანახმად, 2019 წლისთვის ბოლო 3 წლის განმავლობაში ბიზნესის 42.7 პროცენტმა წარადგინა ახალი პროდუქტი / მომსახურება, აქედან 72.7 პროცენტმა წარმოადგინა პროდუქტი / მომსახურება, რომელიც ახალი იყო მათი ძირითადი ბაზრისთვის. პროდუქტის ინოვატორი კომპანიების ყველაზე მაღალი წილი მსხვილ ბიზნესებს შორისაა (48,2%), შემდეგ მოდის მცირე (46,3%) და საშუალო (35,9%) ზომის ბიზნესები.

ცხრილი 3. საქართველოში ბიზნესების რიცხოვნობა და პროცენტი, რომლებიც ახორციელებენ R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციებს ბოლო 3 წლის განმავლობაში, 2019 წლისთვის

№	ცვლადი	ჯამი		მცირე ბიზნესი		საშუალო ბიზნესი		მსხვილი ბიზნესი	
		ფირმების რაოდენობა	%	ფირმების რაოდენობა	%	ფირმების რაოდენობა	%	ფირმების რაოდენობა	%
1	ახალი პროდუქტის / მომსახურეობის დანერგვა ბოლო 3 წლის განმავლობაში	2,468	42.9	1,532	46.3	709	35.9	227	48.2
	მათ შორის პროდუქ-ტის / მომსახურეობის, რომელიც ახალია ფირმის ძირითადი ბაზრისთვის	1,794	72.7	1,081	70.6	535	75.4	179	78.8
2	ახალი ან	976	16.9	597	18.1	244	12.4	134	28.5

	გაუმჯობე-სებული პროცესების დანერგვა ბოლო 3 წლის განმავლობაში								
3	ინვესტიცია გარე ცოდნის შეძენაში ბოლო 3 წლის განმავლობაში	1,409	24.5	605	18.3	618	31.2	187	39.6
4	ინვესტიცია R&D-ში, რომელიც შესრულდა ფირმის შიგნით ბოლო 3 წლის განმავლობაში	1,179	20.5	509	15.4	473	23.9	198	41.8
5	ინვესტიცია R&D-ში, რომელიც შესრულდა ფირმის გარეთ და-დებული კონტრაქ-ტების საფუძველზე ბოლო 3 წლის განმავლობაში	693	12.0	186	5.6	377	19.0	131	27.7

წყარო: ავტორის გაანგარიშებები მსოფლიო ბანკის ე.წ. BEEPs-ის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. Available at: https://www.enterprisesurveys.org/.

მთლიანობაში, ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოს ბიზნესის 16.9 პროცენტმა დანერგა ინოვაციები. ანალოგიურად, მსხვილ ბიზნესს წამყვანი პოზიცია აქვს პროცესული ინოვაციების დანერგვაში (28,5%), შემდეგ მოდის მცირე (18,1%) და საშუალო (12,4%) ბიზნესი. ბოლო 3 წლის განმავლობაში ბიზნესის 24.5 პროცენტმა ჩადო ინვესტიცია გარე ცოდნის მიღებაში, 20.5 პროცენტი ფირმის შიგნით R&D-ის განხორციელებაში და 12 პროცენტი - შესაბამისი კონტრაქტების დადების საფუძველზე ფირმის გარეთ R&D-ის განხორციელებაში. გასაკვირი არ არის, რომ მსხვილი ბიზნესი აჩვენებს საუკეთესო შედეგებს R&D-ში ინვესტიციის მაჩვენებლებთან მიმართებაში (შესაბამისად, 39.6%,

41.8% და 27.7%), რომელსაც მოსდევს საშუალო ბიზნესი (შესაბამისად, 31.2%, 23.9% და 19.0%) და მცირე ბიზნესი (შესაბამისად, 18.3%, 15,4% და 5,6%).

ინოვაციებზე ორიენტირებული საჯარო პოლიტიკის ძალისხმევის გააქტიურებამ და ბიზნესის R&D-ის და ინოვაციების მიმართულებით საქმიანობამ გააძლიერა აგრეთვე საქართველოს გლობალური შეფასებების რეიტენგები ისეთი ინდექსების მიხედვით როგორიცაა ინოვაციების გლობალური ინდექსი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ანგარიში(USAID Georgia, 2017; Bakhtadze and Danelia, 2020).

4. საქართველოში R&D-ში ინვესტიციების დეტერმინანტები და შედეგები: ე.წ. CDM მიდგომა

ზოგადი ცნობები (Background)

ამ თავში განვიხილავთ იმ ფაქტორებს, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური კომპანიის არჩევანს, განახორციელოს თუ არა ინვესტიცია R&D-ში და ამ არჩევანის შედეგებს კომპანიის საქმიანობისთვის ინოვაციებისა და მწარმოებლურობის ჭრილში. აკადემიურ ლიტერატურაში ინოვაცია აღიარებულია როგორც მწარმოებლურობის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ფირმის ინოვაციურ საქმიანობასა და მის მწარმოებლურობას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას საფუძვლიანად პირველად მიაქციეს ყურადღება ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან *გრილიჩისი და ფეიქისი* [*Griliches*, 1979; *Pakes and Griliches*, 1980]. მათ სანიმუშო კვლევებში, რომელიც გამიზნული იყო ფირმაში შესრულებული სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (R&D-ის) უკუგების შეფასებაზე, ავტორებმა განახორციელეს ტრადიციული *კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციის* ჩარჩოს მოდიფიკაცია იმით, რომ მოდელში შემოიტანეს *„ცოდნის საწარმოო ფუნქცია“*. ამ მიდგომის მთავარი დაშვება გულისხმობს, რომ ინვესტიციები წარსულ და მიმდინარე ცოდნაში (ანუ R&D-ში) აუცილებელია ახალი ცოდნის (და შესაბამისად, ინოვაციების) წარმოსაქმნელად, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ფირმის შედეგების ზრდაზე.

კვლევის ეს ხაზი შემდგომ გააფართოვეს *ქრეპონმა, დიუგემ და მერესმა* (*Crepon, Duguet, and Mairesse*, 1998). მათ მიერ შემოთავაზებულმა მოდელმა, რომელმაც შემდგომ მიიღო CDM[36]-ის სახელწოდება, ერთმანეთისაგან გამიჯნა ინოვაციური დანახარჯები (სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე განხორციელებული ინვესტიციები) და ინოვაციური შედეგები (მიღებული ცოდნა). CDM-ი, როგორც სტრუქტურული რეკურსიული მოდელი, ხსნის ფირმის მწარმოებლურობას ისეთი ფაქტორით, როგორიცაა ცოდნა, ანუ ინოვაციური შედეგი და, თავის მხრივ, ინოვაციურ შედეგებს - ინოვაციური დანახარჯებით, ანუ ისეთი ფაქტორით, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე განხორციელებული ინვესტიციები.

თავიდან CDM მოდელი შედგებოდა 4 განტოლებისგან: 1. ცოდნაში ინვესტირების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების არჩევანის განტოლება; 2. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში ინვესტირების ინტენსივობის განტოლება; 3. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებსა და ტექნოლოგიურ ინოვაციათა შორის კავშირის განტოლება; 4. ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის კავშირის განტოლება.

ეს განტოლებები ფასდებოდა ერთდროულად და თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ანუ ეტაპობრივად.

ფრანგული საწარმოო ფირმების შერჩევის მიმართ ამ მოდელის გამოყენებით *ქრეპონმა, დიუგემ და მერესმა* აღმოაჩინეს (*Crepon, Duguet, and Mairesse*, 1998), რომ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ინტენსივობა დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინოვაციურ შედეგზე (გაზომილი ისეთი ორი ცვლადით, როგორიცაა პატენტების რაოდენობა და ახალი პროდუქტის ბაზარზე გაყიდვების პროცენტული წილი). გარდა ამისა, ავტორებმა მიაკვლიეს, რომ ინოვაციური შედეგი, თავის მხრივ, არის ფირმის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი (პრედიქტორი).

[36] CDM – C – Crepon, D – Duguet, M – Mairesse.

CDM მოდელზე დაფუძნებულმა ბოლო კვლევებმა[37], რომელიც მიზნად ისახავდა ურთიერთკავშირების დადგენას ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, ინოვაცია და ფირმის მწარმოებლურობა, დაადასტურა *ქრეპონის, დიუგესა და მერესის* (*Crepon, Duguet, and Mairesse*, 1998) მთავარი მიგნებები.

ანალოგიურად, გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისთვის CDM მოდელის გამოყენებით, ევრობანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამ (EBRD, 2014) გამოავლინა ფირმის მწარმოებლურობაზე პროცესული, პროდუქტული და არატექნოლოგიური ინოვაციების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზეგავლენა. თავის მხრივ, კვლევის შედეგების თანახმად, ინოვაციური შედეგის მნიშვნელოვან დეტერმინანტებად გამოვლინდა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა R&D-ში განხორციელებული ინვესტიციები, ფირმის ზომა და ასაკი, ფირმის კაპიტალში უცხოელ მესაკუთრეთა წილი, ფირმაში დასაქმებულთა განათლების დონე, კომუნიკაციების გამოყენება და ფინანსების ხელმისაწვდომობა.

ამასთან ერთად, „R&D-ინოვაცია-მწარმოებლურობის“ კავშირის დასადგენად გარდამავალ ეკონომიკის სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული კვლევების შედეგად გამოვლინდა: ფირმის მწარმოებლურობაზე ტექნოლოგიური ინოვაციის შესაძლო ეფექტი (ესტონეთის მაგალითზე) (Masso and Vahter 2008); „ინოვაცია-მწარმოებლურობის“ ურთიერთკავშირის განსხვავებული ხარისხის სიძლიერე მომსახურების სექტორის სხვადასხვა ქვედარგის მიხედვით (ესტონეთის მაგალითზე) (Masso and Vahter 2012); გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში R&D-სა და ინოვაციური სტრატეგიების კომპლემენტაროობა (Berulava and Gogokhia 2016; Berulava and Gogokhia 2018); ფირმის მწარმოებლურობის დამოკიდებულება ინოვაციებისა და კონკურენციის მიმართ (Friesenbichler and Peneder 2016); ბიზნესგარემოს გავლენა ინოვაციასა და მწარმოებლურობაზე (Gogokhia and Berulava, 2020); R&D-ს, ინოვაციასა და ფირმის მწარმოებლურობას შორის კავშირი გარდამავალი ეკონომიკის

[37] მაგალითად, იხ. *Loof et al.*, 2003; *Janz et al.*, 2004; *Mairesse et al.*, 2005; *Griffith et al.*, 2006; Hall and Mairesse, 2006.

ქვეყნებში, როგორიცაა ბულგარეთი და რუმინეთი, შედარებით ისეთ განვითარებულ ქვეყანასთან, როგორიცაა გერმანია (Tevdovski et al., 2017).

ამ კვლევაში ჩვენ ვიყენებთ CDM მოდელს საქართველოში R&D-ში ინვესტიციების დეტერმინანტებისა და შედეგების შესასწავლად. ამ ქვეყნისთვის ეს არის პირველი სტრუქტურული შეფასება, რომელიც ეხება ინოვაციურ დანახარჯებს, ინოვაციურ შედეგებსა და ფირმის მწარმოებლურობას შორის არსებული კავშირის გამოვლენას. კერძოდ, კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტორების დადგენა, რომელიც ხელს უშლის ან ხელს უწყობს ფირმას გააკეთოს არჩევანი R&D-ში და ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტიციების სასარგებლოდ, აგრეთვე იმის ჩვენება, თუ როგორ მოქმედებს ინოვაციური აქტივობები კომპანიის საქმიანობის შედეგიანობაზე.

შერჩევა

ჩვენი კვლევა ძირითადად დაეყრდნო საქართველოში 2019 წელს მსოფლიო ბანკისა (World Bank) და რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) მიერ ერთობლივად შესრულებული გამოკითვების მონაცემებს[38], რომელიც ეხება ეკონომიკის ფირმის (მიკრო-) დონეს. გენერალური ერთობლიობიდან გაკეთდა შემთხვევითი სტრატიფიცირებული შერჩევა. სტრატიფიცირების სამი დონე იქნა გამოყენებული: დარგი (industry), ორგანიზაციის ზომა (establishment size) და რეგიონი. შერჩევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ გამოცემაში – the Sampling Manual [39]. ამ კვლევაში ვიყენებთ შერჩევას, რომელიც 581 საწარმოს მოიცავს.

მოდელი

R&D-ში ინვესტიციებს, ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის სტრუქტურული ურთიერთკავშირების შესასწავლად ჩვენ ვიყენებთ ზემოთ განხილულ CDM მოდელს. მოდელი მოიცავს

[38] https://www.enterprisesurveys.org/

[39]http://www.enterprisesurveys.org//~/media/GIAWB/EnterpriseSurveys/Documents/Methodology/Sampling_Note.pdf

შემდეგ სამ განტოლებას: R&D-ში ინვესტიციებისათვის (ბინარული პრობიტ მოდელი), ინოვაციებისთვის (ბინარული პრობიტ მოდელი) და შრომის მწარმოებლურობისთვის (OLS რეგრესია). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ცოდნის კაპიტალში ინვესტირება კომპანიებს უბიძგებს, დანერგოს ინოვაციები, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება მის მწარმოებლურობაზე. შემოთავაზებული CDM მოდელი შეფასებულია თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ და ქვემოთ არის წარმოდგენილი:

$$R\&D_dummy_i = 1(x_{1i}\beta_1 + \varepsilon_{i1} > 0) \quad (1)$$

$$Innovation_i = 1(\gamma_2 \widehat{R\&D}_i + x_{2i}\beta_2 + \varepsilon_{i2} > 0) \quad (2)$$

$$Productivity_i = \delta_3 \widehat{Innovation}_i + x_{3i}\beta_3 + \varepsilon_{i3} \quad (3)$$

აქ, i = 1,… .., n არის გამოკითხული ფირმების ინდექსი. *R&D_dummy*, *Innovation*, და *Productivity წარმოადგენენ* ენდოგენურ ცვლადებს. კერძოდ, *R&D_dummy* - *R&D-ს* ექსტენსიური სიდიდე (extensive margin); *Innovation* ნიშნავს ინოვაციის შედეგს, რომელიც ჩანაცვლებულია (is proxied) შესაბამისი ფიქტიური ცვლადით (dummy variable); *Productivity* - შედეგიანობის გამომავალი ცვლადი (performance output variable), რომელიც განისაზღვრება, როგორც შრომის მწარმოებლურობის ლოგარითმი (log of labor productivity). ამხსნელი ცვლადების (explanatory variables) ვექტორები აღინიშნება x_{ki} (k= 1,…,3); β_k (k= 1,…,3) არის პარამეტრების ვექტორი, ხოლო γ2, და δ3 - შესაფასებელი პარამეტრები. შემთხვევითი შეცდომის წევრები (Random error terms), რომლებიც, სავარაუდოთ, მულტივარიაციული ნორმალურია (multivariate normal), განისაზღვრება როგორც ε_{ki} (k = 1,…, 3). პოტენციური, შესაძლო გადახრის გამოსასწორებლად (To correct the potential bias), რომელიც გამოწვეულია ენდოგენური ცვლადებისთვის ფაქტობრივის (actual values) ნაცვლად პრედიქტული მნიშვნელობების (predicted values) გამოყენებით, ჩვენ ვიყენებთ ბუტსტრაპირებულ (Bootstrapped) სტანდარტულ შეცდომებს.

ზემოთ მოყვანილი მოდიფიცირებული CDM მოდელის პირველი განტოლება ითვალისწინებს R&D-ის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებას, ხსნის ალბათობას იმისა, რომ ფირმა გააკეთებს *i-ურ* არჩევანს, R&D-ში განახორციელოს ინვესტიცია.

განტოლება განისაზღვრება როგორც პრობიტ მოდელი (Probit model).

მოდელის მეორე განტოლება განსაზღვრულია როგორც პრობიტ რეგრესია (a probit regression), რომელიც ასახავს, ერთი მხრივ, R&D-ს (ექსტენსიური სიდიდის - extensive margin) პრედიქტული მნიშვნელობის ეფექტებს (აღსანიშნავია, რომ R&D პირველ განტოლებაში დამოკიდებულ ცვლადს წარმოადგენს), ხოლო მეორე მხრივ - ეგზოგენური ცვლადების ერთობლიობას, რომელიც ზეგავლენას ახდენს ფირმის მიერ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობაზე, შემოიღოს პროდუქტული ან პროცესული ინოვაცია.

მესამე განტოლება მოდელირებს, ერთი მხრივ, შრომის მწარმოებლურობის ლოგარითმს, როგორც ინოვაციის (მეორე განტოლებაში დამოკიდებული ცვლადი) პრედიქტული მნიშვნელობის ფუნქციას, ხოლო მეორე მხრივ - ეგზოგენური ცვლადების ერთობლიობას.

კვლევაში გამოყენებული ყველა ენდოგენური და ეგზოგენური ცვლადების ჩამონათვალი და აღწერა მოცემულია ***ცხრილ 4-ში.***

ცხრილი 4. კვლევაში გამოყენებული ცვლადები

ცვლადები	**ცვლადის აღწერა**
ენდოგენური ცვლადები	
R&D-ში ინვესტიციები	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, როდესაც ფირმა ღებულობს გადაწყვეტილებას განახორციელოს ინვესტიცია R&D-ში, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
ინოვაციები	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, როდესაც ფირმა ახორციელებს პროდუქტულ ან პროცესულ ინოვაციას, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
მწარმოებლურობა	გაიზომება როგორც საერთო გაყიდვებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობას შორის თანაფარდობის ლოგარითმი. ამ კვლევაში ჩვენ ვიყენებთ ამ ცვლადს, როგორც ფირმის შედეგიანობის გამზომ მაჩვენებელს
ეგზოგენური ცვლადები	
ფირმის ასაკი	ორგანიზაციის ასაკი, ფიქსირებული წლებში
ფირმის ზომა	ფირმის ზომა, რომელიც შედგება სამი ფიქტიური ცვლადისგან: მცირე (*small*) ზომა (ფირმა, სადაც დასაქმებულია 6-19 ადამიანი), საშუალო (*medium*) ზომა (ფირმა, სადაც დასაქმებულია 20-99 ადამიანი)

	და მსხვილი (*large*) ზომა (ფირმა, სადაც დასაქმებულია 100 და მეტი ადამიანი)
საბრუნავი კაპიტალი, რომელიც ფინანსდება ბანკების მიერ (%)	ეს ცვლადი ასახავს საბრუნავი კაპიტალის პროცენტს, რომელიც დაფინანსებულია ბანკების მიერ და რომელიც გამოიყენება კონტროლისათვის ფინანსური ბაზრების ნაკლოვანებების გამო
სავაჭრო კრედიტი (%)	ეს ცვლადი ასახავს კომპანიის იმ საქონლისა ან მომსახურეობის ყოველწლიურ საერთო გაყიდვების პროცენტს, რომელიც იყიდება კრედიტით და რომელიც გამოიყენება კონტროლისათვის ფინანსური ბაზრების ნაკლოვანებების გამო
უცხოური ლიცენზირებუ-ლი ტექნოლოგიების გამოყენება (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, როდესაც ფირმა უცხოურ ლიცენზირებულ ტექნოლოგიებს იყენებს, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
პერსონალის ტრენინგი (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, როდესაც ფირმის პერსონალი გადის ტრენინგებს, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
ბიზნესსტრატეგიის არსებობა (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, როდესაც ფირმას გააჩნია ბიზნესსტრატეგია, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
უცხოელების წილი კაპიტალში (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, როდესაც ფირმის საკუთრებაში უცხოელების წილი აღემატება ადგილობრივი მოქალაქეების წილს, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
პირდაპირი ექსპორტი (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, როდესაც ფირმა პირდაპირ ექსპორტში არის ჩართული, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
არაფორმალური კონკუ-რენცია (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, როდესაც ფირმა მოქმედებს არაფორმალური კონკურენციის პირობებში, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
ბიზნესგარემო (ინდექსი)	ინდექსი, რომელიც გამოიანგარიშება როგორც ბიზნესის დამაბრკოლებელი ფაქტორების მენეჯერთა სუბიექტური შეფასებების საშუალო მაჩვენებელი იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეზღუდულად აღიქვამენ ისინი (მენეჯერები) თავიანთ საქმიანობას ბიზნესგარემოს ისეთ ფაქტორებისგან, როგორიცაა: ფინანსების ხელმისაწვდომობა; საგადასახადო ტარიფები; საგადასახადო ადმინისტრირება; ბიზნესის ლიცენზირება და ნებართვების გაცემა; საბაჟო და სავაჭრო რეგულაციები; მიწის ხელმისაწვდომობა; შრომითი რეგულაციები; ელექტროენერგია; ტელეკომუნიკაციები; ტრანსპორტი; პოლიტიკური არასტაბილურობა; კორუფცია; სასამართლო და სხვ.

ძირითადი საშუალებების შეძენა (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, თუ ფირმას შარშან აქვს შეძენილი ძირითადი საშუალებები, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
ლიცენზიების შეძენა (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, თუ ფირმას შარშან აქვს შეძენილი ლიცენზიები, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
ვებგვერდი (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, თუ ფირმას აქვს საკუთარი ვებგვერდი, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0; ეს ცვლადი გამოიყენება როგორც ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნო-ლოგიების (ICT-ის) შემცვლელი ცვლადი (proxy)
ძირითადი ბაზარი	სამი ინდიკატორისგან შედგება – *ლოკალური ბაზარი, ეროვნული ბაზარი და საერთაშორისო ბაზარი* – რაც ნიშნავს იმას, რომ ფირმის მთავარი პროდუქტი იყიდება, შესაბამისად, ლოკალურ, ეროვნულ ან საერთაშორისო ბაზარზე
მთავრობასთან დადე-ბული კონტრაქტები (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, თუ ფირმას მთავრობასთან აქვს დადებული კონტრაქტები, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
ბიზნესასოციაციის წევრობა (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, თუ ფირმა არის გაწევრიანებული ბიზნესასოციაციაში, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
ხარისხის სერტიფიკატე-ბის არსებობა (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, თუ ფირმას აქვს ხარისხის სერტიფიკატი, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდება (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, თუ ფირმა ფუნქციონირებდა ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდების რეჟიმში, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
ადგილმდებარეობა დედაქალაქში (ფიქტიური ცვლადი)	ფიქტიური ცვლადი, რომელიც უდრის 1, თუ ფირმის ადგილმდებარეობა არის დედაქალაქი, ხოლო სხვა შემთხვევაში - უდრის 0
ინდუსტრია (დარგი)	ფიქტიური ცვლადები ისეთი დარგებისთვის, როგორიცაა: მრეწველობა, ვაჭრობა, მშენებლობა, მომსახურეობის სექტორი

კვლევის შედეგები

ამ კვლევაში ჩვენ ვახორციელებთ R&D-სი ინვესტიციების, ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის არსებული სტრუქ-ტურული კავშირის რეკურსიული CDM მოდელის შეფასებას. სის-ტემა მოიცავს სამ განტოლებას: R&D-ს, ინოვაციისა და მწარმო-ებლურობის განტოლებები. მოდელის შეფასების შედეგები მოცე-მულია ***ცხრილ 5-ში.***

R&D-ს (ექსტენსიური სიდიდის - extensive margin) განტოლება. R&D-სთან დაკავშირებული არჩევანის განტოლების შეფასებები მყარად და ცალსახად ადასტურებენ შუმპეტერიულ მიდგომას ინოვაციების მიმართ. კერძოდ, ჩვენ აღმოვაჩინეთ ფირმის ზომის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და პოზიტიური გავლენა R&D-ში ინვესტიციის მიდრეკილებაზე. მცირე და საშუალო ბიზნესთან შედარებით, R&D-ში ინვესტიციის ალბათობა 0.10-ით იზრდება მსხვილი ფირმისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, სავაჭრო კრედიტი, რომელსაც ამ კვლევაში ვიყენებთ როგორც ფინანსების ხელმისაწვდომობის შემცვლელი ცვლადი (a proxy), დადებით გავლენას ახდენს R&D–ში ინვესტიციების ალბათობაზე (სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 10% -ის დონეზე). კერძოდ, სავაჭრო კრედიტის ერთი პროცენტით მატება ზრდის R&D ინვესტიციების ალბათობას 0.0012-ით. ამასთან, ფინანსების ხელმისაწვდომობის სხვა შემცვლელი ცვლადი (a proxy), როგორიცაა საბრუნავი კაპიტალი, რომელიც ფინანსდება ბანკების მიერ, არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ამგვარ შედეგს ჩვენ ვხსნით ამ ცვლადის კორელაციით ფირმის ზომასა და ფინანსების ხელმისაწვდომობის სხვა შემცვლელ ცვლადებთან. R&D-ში ინვესტიციის არჩევანზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ფირმის ისეთი მენეჯერული გადაწყვეტილებები, როგორიცაა: უცხოური ტექნოლოგიის გამოყენება, პერსონალის ტრენინგი და ბიზნეს სტრატეგიის ქონა. თითოეული ეს ცვლადი ზრდის R&D-ში ინვესტიციის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების ალბათობას, შესაბამისად, დაახლოებით 0.2, 0.3 და 0.2-ით. R&D-ში ინვესტიციის განხორციელების ალბათობა ასევე მეტია იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც უწევთ მოქმედება არაფორმალური კონკურენციისა და მკაცრი ბიზნესგარემოს პირობებში.

ცხრილი 5. სტრუქტურული CDM მოდელის შეფასება საქართველოსთვის

ცვლადები	R&D-ს განტოლება		ინოვაციის განტოლება		მწარმოებლურობის განტოლება
	კოეფიციენტები (სტანდარტული შეცდომები)	ზღვრული ეფექტები-dy/dx (Delta-method S.E.)	კოეფიციენტები (სტანდარტული შეცდომები)	ზღვრული ეფექტები-dy/dx (Delta-method S.E.)	კოეფიციენტები (სტანდარტული შეცდომები)
R&D (ფიქტიური ცვლადი)	-	-	**1.030*** (0.280)**	**0.3474*** (0.089)**	-
ინოვაცია (ფიქტიური ცვლადი)	-	-	-	-	**1.695*** (0.505)**
ფირმის ზომა	-0.01 (0.007)	-0.0028 (0.001)	-	-	-0.0157** (0.008)
ფირმის ზომა - მსხვილი (ფიქტიური ცვლადი)	0.381** (0.189)	0.1022** (0.050)	-	-	0.072 (0.199)
საბრუნავი კაპიტალი, რომელიც ფინანსდება ბანკების მიერ (%)	-0.0005 (0.0019)	-0.0001 (0.0005)	-	-	-
სავაჭრო კრედიტი (%)	0.0047* (0.0027)	0.0012* (0.0007)	-	-	-
უცხოური ლიცენზირებული ტექნოლოგიების გამოყენება (ფიქტიური ცვლადი)	0.733*** (0.189)	0.1968*** (0.049)	0.339 (0.212)	0.1144 (0.070)	-0.1576 (0.226)
პერსონალის ტრენინგი (ფიქტიური ცვლადი)	1.142*** (0.138)	0.3066*** (0.030)	-	-	0.425** (0.187)
ბიზნესსტრატეგიის არსებობა (ფიქტიური ცვლადი)	0.722*** (0.154)	0.1939*** (0.039)	-	-	-0.165 (0.165)
უცხოელების წილი კაპიტალში (ფიქტიური ცვლადი)	-0.014 (0.242)	-0.004 (0.065)	-	-	-

პირდაპირი ექს-პორტი (ფიქტიური ცვლადი)	0.047 (0.154)	0.0127 (0.041)	0.284** (0.135)	0.0961** (0.045)	0.018 (0.144)
არაფორმალური კონკურენცია (ფიქ-ტიური ცვლადი)	0.294** (0.146)	0.0788** (0.038)	-0.009 (.155)	-0.003 (0.052)	0.036 (0.059)
ბიზნესგარემო (ინდექსი)	0.239** (0.113)	0.0642** (0.030)	-0.003 (0.122)	-0.001 (0.041)	-
ძირითადი საშუა-ლებების შეძენა (ფიქტიური ცვლადი)	-	-	0.444*** (0.119)	0.1499*** (0.039)	-
ლიცენზიების შეძე-ნა (ფიქტიური ცვლადი)	-	-	0.491** (0.239)	0.1659** (0.079)	-
ვებგვერდი (ფიქ-ტიური ცვლადი)	-	-	0.340*** (0.124)	0.1148*** (0.041)	-
ძირითადი ბაზარი - ლოკალური (ფიქ-ტიური ცვლადი)	-	-	-0.1607 (0.144)	0.0542 (0.048)	-
მთავრობასთან და-დებული კონტრაქ-ტები (ფიქტიური ცვლადი)	-	-	-	-	-0.392* (0.204)
ბიზნესასოციაციის წევრობა (ფიქტიუ-რი ცვლადი)	-	-	-	-	0.292 (0.194)
ხარისხის სერტი-ფიკატების არსე-ბობა (ფიქტიური ცვლადი)	-	-	-	-	0.697*** (0.257)
ელექტროენერგიის შეფერხებით მიწო-დება (ფიქტიური ცვლადი)	-	-	-	-	-0.325*** (0.118)
ადგილმდებარეობა დედაქალაქში(ფიქ-ტიური ცვლადი)	-	-	-	-	-0.0362 (0.099)
ინდუსტრია (დარ-გი) (ფიქტიური ცვლადი)	კი		კი		კი
Wald chi-sq. (d.f.)	191.26*** (14)		89.97*** (10)		223.32*** (16)
Pseudo R-sq.	0.273		0.144		-
R-sq.	-		-		0.210

დაკვირვებების რაოდენობა	533	524	432

შენიშვნა: ბუტსტრაპირებული (Bootstrapped) სტანდარტული შეცდომები მოთავსებულია ფრჩხილებში;
*** - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია p<0.01 დონეზე;
** - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია p<0.05 დონეზე;
* - სტატისტიკურად მნიშვნელოვანია p<0.1 დონეზე.

ინოვაციის განტოლება. წინა ემპირიული კვლევების შესაბამისად, ჩვენ გამოვავლინეთ R&D ინვესტიციების (ექსტენსიური სიდიდის - extensive margin) პოზიტიური და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ეფექტი ინოვაციური შედეგის ცვლადზე. კერძოდ, კომპანიებს, რომლებიც ინვესტიციებს ახორციელებენ R&D- ში, ინოვაციების დანერგვის ალბათობა 0.35-ით მეტი აქვთ. ინოვაციის სხვა მნიშვნელოვან პრედიქტორებს წარმოადგენენ ისეთი ცვლადები, როგორიცაა: კომპანიის მონაწილეობა პირდაპირ ექსპორტში, ძირითადი საშუალებების შეძენა (purchasing of fixed assets), ახალი ლიცენზიის შეძენა და ვებსაიტის ხელმისაწვდომობა (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემცვლელი ცვლადი). კერძოდ, ალბათობა იმისა, რომ კომპანია განახორციელებს როგორც პროდუქტულ, ისე პროცესულ ინოვაციას, იზრდება 0.096-ით იმ კომპანიებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ პირდაპირ ექსპორტში, 0.15-ით - იმ კომპანიებისთვის, რომლებმაც შარშან შეიძინეს ძირითადი საშუალებები, 0.17-ით - იმ კომპანიებისთვის, რომლებმაც შარშან შეიძინეს ლიცენზია, და 0.11-ით იმ კომპანიებისთვის, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT-ს).

მწარმოებლურობის განტოლება. როგორც მოსალოდნელი იყო, ინოვაცია, როგორც ჩანს, ფირმის მწარმოებლურობის ერთერთი მთავარი მამოძრავებელია. საშუალოდ, ინოვაციურ კომპანიებს მწარმოებლურობის დონე 165 პროცენტით მაღალი აქვთ, ვიდრე კომპანიებს, რომლებიც ინოვაციებს არ აკეთებენ. ძველი ფირმები, როგორც ჩანს, ნაკლებად მწარმოებლურები არიან, ვიდრე ახალი. ფირმის მწარმოებლურობა ყოველი დამატებითი წლის კვალობაზე 1,5 პროცენტით მცირდება. როგორც მოსალოდნელი იყო, პერსონალის ტრენინგი და ხარისხის სერტიფიკატების არსებობა ზრდის ფირმის მწარმოებლურობას (შესაბამისად, 42.5%-სა და 70%-ით), ხოლო ელექტროენერგიის

შეფერხებით მიწოდება (power outages) უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის მწარმოებლურობაზე (32.5%). ასევე, მთავრობასთან დადებული კონტრაქტების არსებობა ამცირებს კომპანიის მწარმოებლურობას 39.2% -ით.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციებს აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით. ამ კვლევაში ჩვენ შევისწავლეთ ინოვაციებში განსახორციელებელი ინვესტიციების პრობლემა და მათი მოზიდვის გზები საქართველოში. მსოფლიო გამოცდილების მიმოხილვამ აჩვენა, რომ კერძო სექტორების მხრიდანინოვაციებში ინვესტიციების დაბანდება, როგორც წესი, არასაკმარისი მოცულობით ხდება, თანხმლები ეფექტების, მათთან ასოცირებული რისკების მაღალი დონისა და სხვა საბაზრო ხარვეზების. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია მთავრობის განკარგულებაში არსებული საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტის მიმოხილვა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კერძო ბიზნესში R&D-სა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისთვის. საქართველოში R&D-ში ინვესტიციებთან დაკავშირებით არსებული ვითარების მიმოხილვამ აჩვენა, რომ ბოლო წლებში ქვეყანამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა R&D-სა და ინოვაციების განვითარებაში, ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და საჯარო პოლიტიკის ვარიანტების დანერგვით ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მიზნით. ამ ღონისძიებებმა ქვეყნის ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობის რეიტინგების არსებითი გაუმჯობესება გამოიწვია. რეკურსიული CDM მოდელისა და მსოფლიო ბანკის მიერ საწარმოების გამოკვლევების შედეგად მოპოვებულ მრავალმხრივ მონაცემთა ბაზის გამოყენებით, ჩვენ შევისწავლეთ R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების დეტერმინანტები და შედეგები საქართველოში. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ფინანსების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი პრედიქტორია კომპანიის გადაწყვეტილების მიღებაში R&D-ში ინვესტიციის ჩადებისთვის. ასევე, კვლევამ დაადასტურა შუმპეტერიანული ჰიპოთეზა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის

წარმომადგენლებთან შედარებით მსხვილ ფირმებს, როგორც წესი, უფრო მეტი უპირატესობა გააჩნიათ ინოვაციური საქმიანობისთვის საჭირო რესურსების მოპოვებაში. კვლევაში ასევე ნაჩვენებია მენეჯერული საქმიანობის მნიშვნელობა, როგორიცაა უცხოური ტექნოლოგიების გამოყენება, პერსონალის ტრენინგი და ბიზნეს სტრატეგიის შემუშავება. ამასთან ერთად, ჩვენი კვლევით დადასტურდა წინა ემპირიული კვლევების შედეგები, რომ R&D-ში ინვესტიციები ინოვაციების დანერგვის გადამწყვეტი წინაპირობაა და რომ ინოვაცია, თავის მხრივ, არსებითად ზრდის მწარმოებლურობის შედეგიანობას.ჩვენი კვლევის შედეგები ასევე ხაზს უსვამს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა (ICT-ისა) და პირდაპირ საექსპორტო საქმიანობაში მონაწილეობის როლს ინოვაციების სტიმულირების მიზნით.

კვლევის შედეგების საფუძველზე ჩვენ მიერ შემუშავდა რეკომენდაციები როგორც R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების სტიმულირების, ისე კერძო კომპანიების მწარმოებლურობის გაძლიერების მიმართულებით.

პირველი, კერძო ბიზნესისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობა უნდა იყოს სრულყოფილი პირდაპირი (მაგალითად, განვითარების ბანკის ჩამოყალიბებით) და არაპირდაპირი (მაგალითად, საგადასახადო სტიმულების უზრუნველყოფით საგადასახადო შეღავათების, საგადასახადო კრედიტების და საინოვაციო პრემიების სახით; სახელმწიფო სესხის გარანტიების შეთავაზებით; კაპიტალის ბაზრების შესაბამისი რეფორმების განხორციელებით) საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტების მეშვეობით.

მეორე, კვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი უფრო დაუცველია ინოვაციებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზების თვალსაზრისით. ამრიგად, შესაბამისი პოლიტიკის სპეციალური ზომები უნდა იყოს ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსური სტიმულების უზრუნველყოფაზე, რაც წახალისებს მათ განახორციელონ ინვესტიციები R&D-სა და ინოვაციებში.

მესამე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეფექტიანი მენეჯმენტის პრაქტიკების ხელშეწყობას, მათ შორის უცხოური ტექნოლოგიის გამოყენებას, პერსონალის ტრენინგებს,

ბიზნეს სტრატეგიის შემუშავებას, ხარისხის სერტიფიკატების მიღებას და სხვა.

მეოთხე, წახალისებული უნდა იყოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT-ის) განვითარება და წინ წაწევა სხვადასხვა ბიზნესის მიხედვით.

მეხუთე, საჯარო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს უფრო მეტი სტიმულების ფორმირება შიდა ბიზნესისთვის, რომ უკანასკნელმა პირდაპირ ექსპორტში მიიღოს მონაწილეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Arrow K.J. (1962). Economic Welfare and the Allocation of Resources for Invention. In: Richard R. Nelson, ed. *The Rate and Direction of Inventive Activity: Economic and Social Factors*. National Bureau of Economic Research. Special Conference Series Vol. 13. Princeton, NJ: Princeton University Press.

2. Bakhtadze L. and S. Danelia (2020). "The Major Determinants of Innovative Environment Formation in Georgia." Economic Alternatives, 2, pp.243-249

3. Berulava, G., & Gogokhia, T. (2016). On the role of in-house R&D and external knowledge acquisition in firm's choice for innovation strategy: Evidence from transition economies. *Moambe, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*,10 (3), 150-158.

4. Berulava, G., & Gogokhia, T. (2018). "Complementarities of Innovation Strategies: Evidence from Transition Economies." In: Bilgin M., Danis H., Demir E., Can U. (eds) *Eurasian Economic Perspectives. Eurasian Studies in Business and Economics*, vol 8/2. Springer, Cham, 169-192, https://*doi*.org/10.1007/978-3-319-67916-7_11

5. Crepon, B., Duguet, E., and Mairesse, J., (1998). "Research, Innovation and Productivity: An Econometric Analysis at the Firm Level," *Economics of Innovation and New Technology*, 7(2), pp: 115-158.

6. EBRD (2014). *EBRD Transition report 2014: Innovation in transition*. European Bank for Reconstruction and Development. Available at: http://www.ebrd.com/downloads/research/transition/tr14.pdf. Accessed 20 June 2019.

7. Friesenbichler, K., & Peneder, M. R. (2016). Innovation, competition and productivity: Firm-level evidence for Eastern Europe and Central Asia. *Economics of Transition*, 24 (3), 535-580. http://dx.doi.org/10.1111/ecot.12100

8. Gogokhia, T. & Berulava, G. (2020). “Business environment reforms, innovation and firm productivity in transition economies.” *Eurasian Bus Rev*. https://doi.org/10.1007/s40821-020-00167-5

9. Griffith, R., Huergo, E., Mairesse, J., and Peters, B., (2006). “Innovation and Productivity Across Four European Countries,” *Oxford Review of Economic Policy*, 22(4), pp: 483-498.

10. Griliches, Zvi. (1979), “Issues in Assessing the Contribution of Research and Development to Productivity Growth”, *Bell Journal of Economics*, 10(1), pp: 92-116.

11. Hall B and Learner J (2010). The Financing of R&D and Innovation. In: Hall BH and Rosenberg N, eds. *Handbook of the Economics of Innovation*. Elsevier. Amsterdam: 610–638.

12. Hall, B. and J. Mairesse, (2006). “Empirical Studies of Innovation in the Knowledge Driven Economy: An Introduction,” *Economics of Innovation and New Technology*, Vol. 15, Issues 4/5, pp: 289-299.

13. Janz, N., Loof, H., and Peters, B., (2004). “Firm Level Innovation and Productivity – Is There a Common Story Across Countries,” Problems *and Perspectives in Management*, 2, pp: 184-204.

14. Klette T.J., Moen J. and Griliches Z. (2000). “Do Subsidies to Commercial R&D Reduce Market failures? Microeconomic Evaluation Studies.” *Research policy*, 29, pp. 471-495.

15. Loof, H., Heshmati, A., Apslund, R., and Naas, S-O., (2003). “Innovation and Performance in Manufacturing Industries: A Comparison of the Nordic Countries,” *International Journal of Management Research*, 2, pp: 5-36.

16. Mairesse, J., Mohnen, P., and Kremp, E., (2005). “The Importance of R&D and Innovation for Productivity: A Reexamination in Light of the 2000 French Innovation Survey,” *Annales d’Economie et de Statistique*, 79/80, pp: 489-529.

17. Masso, J., & Vahter, P. (2008). Technological innovation and productivity in late-transition Estonia: Econometric evidence from innovation surveys. *European Journal of Development Research*, 20(2), 240–261.

18. Masso, J., & Vahter, P. (2012). The link between innovation and productivity in Estonia’s services sector. *The Service Industries Journal*, 32(16), 2527–2541.

19. Nelson, R.R. (1959). “The simple economics of basic scientific research.” *Journal of Political Economy* 49, pp. 297–306.

20. Pakes, Ariel and Zvi Griliches (1980),"Patents and R and D at the Firm Level: A First Report", *Economics Letter*, No. 5, pp: 377-381.

21. Peneder M. (2008). "The problem of private under-investment in innovation: A policy mind map." Technovation, 28, pp. 518-530.

22. Pérez C (2002). *Technological Revolutions and Financial Capital: the Dynamics of Bubbles and Golden Ages*. Edward Elgar Publishing. Cheltenham, United Kingdom

23. Schumpeter, J. (1942). *Capitalism, Socialism, and Democracy*. Harper and Row (reprinted 1960), New York.

24. UNCTAD (2011). *Science, Technology and Innovation Policy Review of Peru*. United Nations. New York and Geneva.

25. UNCTAD (2013). "Investing in innovation for development." Trade and Development Board Investment, Enterprise and Development Commission, Fifth session, Geneva, 29 April–3 May 2013. Available at: https://unctad.org/system/files/official-document/ciid21_en.pdf. Accessed 20 June 2020.

26. USAID Georgia (2017). Innovation and Technology in Georgia. Annual Report, USAID Governing for Growth (G4G) in Georgia. Available at: https://www.pmo-bc.com/storage/app/uploads/public/5ce/795/dba/5ce795dba596c190438918.pdf. Accessed 20 June 2020.

George Berulava

ON THE ISSUES OF ATTRACTING INVESTMENTS IN INNOVATIVE BUSINESS

Summary

Investments in R&D and innovations have been fundamental to long-term economic growth across countries In this study we explored the problem of investments in innovation and the ways of their enhancing in Georgia. The present work presents an overview of various public policy instruments at the disposal of government that can be used for stimulation of R&D and innovation activities on the side of private business. The review of the current situation with R&D investments in Georgia revealed that recent years, the country has shown a substantial progress in fostering R&D and innovations, introducing new financial instruments and public policy options for promoting innovative activity in the country. These measures led to substantial improvement of country's innovation and competitiveness rankings. Using a recursive CDM model and the World Bank's enterprise survey comprehensive dataset, we examined the determinants and outcomes of investment in R&D and innovation in Georgia. We found that

availability of finances is an important predictor of company's choice to invest in R&D. Also, the study proves Schumpeterian hypothesis that large firms usually are more advantageous over SME businesses in obtaining necessary resources for innovative activities. The study also reveals the importance of such managerial activities as a usage of foreign technology, personnel training and developing a business strategy. We found a strong support for findings from previous empirical studies that R&D investments are crucial prerequisite for innovations and that innovation in turn substantially enhances productivity performance. The study results also emphasize the role of ICT technologies and involvement in direct export activities for stimulating innovations. Based on the research findings a set of recommendation for promotion of R&D and innovation investments were elaborated.

თეა ლაზარაშვილი

საქართველოში ინოვაციების გავრცელების ფინანსური ინსტრუმენტები

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ფინანსური ინოვაციების ადგილი ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ განვითარებაში. გამუქებულია ფინანსური ინოვაციების კლასიფიკაცია, სადაც გამოყოფილია ფინანსური ინსტრუმენტების 6 ტიპი. ყურადღებაა გამახვილებული „ინოვაციის" დეფინიციის ეკონომიკურ გაგებაზე.*

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოხდეს ეკონომიკის ინსტიტუციური სფეროს სრულყოფა, კომერციული პროექტების წარმატებული რეალიზაციისათვის პირობების შექმნა ეკონომიკის კერძო სექტორის მონაწილეობით, აგრეთვე ეკონომიკის ფინანსური სექტორის აქტიურად განვითარება, მ.შ. ფინანსური ინოვაციების მეშვეობით.

ინოვაციები ფინანსურ სფეროში ხელს უწყობენ ტრანსაქციური დანაზოგების მკვეთრად შემცირებას და მსოფლიო ფინანსური ბაზრის შექმნის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ.

ფინანსური ინოვაციების დაყოფა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების სხვადასხვა სახის საქმიანობის სპეციფიკის

მიხედვით, შესაძლებელია შემდეგნაირად: საბანკო ფინანსური ინოვაციები, არასაბანკო ფინანსური ინოვაციები და უნივერსალური ფინანსური ინოვაციები. ინოვაციების დანერგვა საგადასახადო სისტემაში საშუალებას იძლევა შემცირდეს საოპერაციო დანახარჯები, რისკები და ამის ხარჯზე შემცირდეს მომსახურების ხარჯები, რაც დადებითად აისახება ეკონომიკური აგენტების კონკურენტუნარიანობაზე.

ყურადღებაა გამახვილებული ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე. 2014-2020 წლის საბიუჯეტო პერიოდი სწორედ ახალი თაობის ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზებით ხასიათდება. მათი განმასხვავებელი თავისებურებებია ის, რომ: ეს ფინანსური ინსტრუმენტები არ არის დაკონკრეტებული და მათი გამოიყენება მმართველობით ორგანოებს და წევრ ქვეყნებს შეუძლიათ თემატური მიზნების მიხედვით: ფინანსური ინსტრუმენტების მორგების შესაძლებლობა ბაზრის წარუმატებლობასთან, ნაკლებად ოპტიმალურ საინვესტიციო გარიგებებთან და სხვა, აგრეთვე მათი მხარდაჭერა შესაძლებელია კომბინირებული გზით. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები უფრო მეტად მოქნილია და მათი გამოყენებაც უფრო მოსახერხებელი.

გაანალიზებულია საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობები და აგრეთვე ის ორგანიზაციები, რომლებიც სთავაზობენ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებას, ინოვაციური საქმიანობის დასაფინანსებლად. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტზე, ფინანსური ინოვაციების ოფისსა და ვენჩურულ საინვესტიციო პროგრამა „სტარტაპ საქართველოზე“.

საკვანძო სიტყვები. *ინოვაციები, ფინანსური ინოვაციები, ფინანსური ინსტრუმენტები, ინოვაციების გავრცელება.*

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკის განვითრების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლით, რაც დაკავშირებულია მეცნიერებისა და

ტექნიკის ზემოქმედების გაზრდით საზოგადოების ცხოვრების ყველა დონეზე, ფუნდამენტალური ტექნოლოგიების ძვრებით, რომელსაც თავის მხრივ მივყავართ მსხვილმასშტაბური სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული ძვრებისაკენ. ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან წყაროდ გამოდიან მეცნიერული ცოდნა და ინტელექტუალური კაპიტალი, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენტული უპირატესობების ფორმირებას და ეკონომიკური სისტემის მდგრად განვითარებას. ყალიბდება ეკონომიკის ახალი ინოვაციური ტიპი, რომლის დროსაც მშპ-ის ზრდის უზრუნველყოფა ხდება მეცნიერებატევადი პროდუქციისა და მომსახურების გამოშვებისა და რეალიზაციის ხარჯზე.

როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიო განვითარების ახალი ეკონომიკური სისტემა ინოვაციებზეა ორიენტირებული და გულისხმობს სამეცნიერო კვლევების ინტენსიურ გატარებას, უახლესი ტექნოლოგიების შემუშავებას, მსოფლიო ბაზრების ათვისებას და სამეცნიერო-საწარმოოს სფეროში საერთაშორისო ინტეგრაციის გაფართოვებას. ინოვაციური ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლებია: შრომის ინტელექტუალური ხასიათის სიჭარბე, ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისა და დაგროვების მაღალი დონე, მშპ-ის მდგრადი დინამიკა, ინოვაციური საწარმოების და ინოვაციური პროდუქტების მაღალი წილი (60-80%-ზე მეტი), ეკონომიკის ორიენტაცია მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ზრდაზე, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი და სხვა.

* * *

თანამედროვე საერთაშორისო ფინანსების განვითარების განმასხვავებელი თავისებურება ურთიერთქმედების გლობალური ხასიათია, რომლის უზრუნველყოფა მიიღწევა ფინანსური ინოვაციების დანერგვის გზით. ფინანსური ინოვაციების ქვეშ იგულისხმება ახალი ფინანსური პროდუქტების, ტექნოლოგიების ან/და ბიზნესის ორგანიზაციული ფორმების წარმოშობა, რომელიც საშუალებას იძლევა შევამციროთ დანახარჯები ან/და ეკონომიკური აგენტების რისკები. ფინანსურ სამყაროში სიღრმისეულ ცვლილებებს განაპირობებს ახალი ფინანსური ტექნოლოგიების წარმოშობა, რომლებიც კორპორაციების გლობალური ფინანსური

სტრატეგიების, გლობალური ელექტრონული ფინანსური ქსელების, ინფორმაციული უზრუნველყოფის გლობალური სისტემის და სხვა ფორმებს ღებულობენ.

თანამედროვე ფინანსური პროდუქტების წარმოშობის წინაპირობად თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები გვევლინებიან. საზღვარგარეთ ფართოდ გამოიყენება შვეიცარული კომპიუტერული სისტემა „სვიფტი“ რომელიც იშიფრება, როგორც - საერთაშორისო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოება.

შემდგომი ახალი ინოვაცია საერთაშორისო გათვლების ორგანიზაციაში არის საგადასახადო სისტემა CLS (Continuous Linked Settlement), რომელიც წარმოადგენს კონვერსიული სავალუტო ოპერაციების საერთაშორისო სისტემას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში „ინოვაციის“ დეფინიციის ეკონომიკური გაგების შესახებ არ არის მკაფიო მიდგომა. თუმცა შესაძლებელია გამოიყოს მისი 3 ძირითადი მიდგომა: ერთი რომელიც აიგივებს ინოვაციებს სიახლეების დანერგავსთან; მეორე, რომელიც ახასიათებს ინოვაციას, როგორც ახალ პროდუქციას ტექნოლოგიის, ორგანიზაციის, ეკონომიკისა და წარმოების მართვის სფეროში სიახლის შექმნის შემოქმედებით პროცესს; მესამე მიდგომა ახასიათებს ინოვაციას, როგორც ახალი ნაკეთობის, ელემენტების დანერგვის შედეგს.

მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს, ამიტომ მნიშვნელოვანია ინოვაციების განხილვა თითოეული ამ ასპექტის შესაბამისად.

ინოვაციებში მნიშვნელოვანია გამოვყოთ ეკონომიკური ინოვაციების ჯგუფი, რომელიც შესაძლებელია დავყოთ, ტექნოლოგიური, მარკეტინგული, ორგანიზაციული და ფინანსური ინოვაციების ქვეჯგუფად.

ტექნოლოგიური ინოვაციები ახალი პროდუქციის ან ტექნოლოგიის შექმნასთანაა დაკავშირებული. ასეთი ინოვაციები დადებითად ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდასა და მდგრად განვითარებაზე, თუმცა მათი ზეგავლენა არაერთგვაროვანია. მდგრად განვითარებაზე ინოვაციის ნეგატიური ზემოქმედების მაგალითს ტექნოლოგიური ინოვაციების „ბაზრის კრახის“ ეფექტები წარმოადგენს, რომლებსაც შესაბამისი კორექტირების

გარეშე შეუძლიათ შეაფერხონ საზოგადოების მდგრადი განვითარება, გამოიწვიონ გარემოს დაბინძურება, დასაქმების შემცირება და ა.შ. აღნიშნული წინააღმდეგობები ტექნოლოგიური ინვესტიციების პროგრესულს ხასიათს შორის (ერთი მხრივ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და მეორე მხრივ ნეგატიური ზემოქმედება ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროზე), შეიძლება აღმოფხვრილ იქნას ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით და ინოვაციური საქმიანობის სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლების შექმნით.

რაც შეეხება ინოვაციების მარკეტინგულ, ორგანიზაციულ და ფინანსურ სახეებს, ისინი არ ახდენენ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას. მარკეტინგული ინოვაციები დაკავშირებულია წარმოებული პროდუქციის ბაზარზე გატანის საშუალებებში შეტანილ ცვლილებებთან. ორგანიზაციული ინოვაციები გულისხმობს ახალი ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურების დანერგვას. ფინანსური ინოვაციები დაკავშირებულია ახალი ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენასთან.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ კ. პერესის მიერ შემოთავაზებულ ფინანსური ინოვაციების კლასიფიკაციაზე. იგი ფინანსური ინოვაციების 6 ტიპს გამოყოფს:

1. ფინანსური ინსტრუმენტები ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშესაწყობად (ვენჩურული დაფინანსება);

2. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენების გაფართოებას (კორპორაციული ობლიგაციები). კორპორაციულ ობლიგაციებს ეკონომიკის დაფინანსების წყაროს სტრუქტურაში უპირატესი ადგილი უკავია და მათი პრიორიტეტი განპირობებულია საკუთრებით ურთიერთობებში გრძელვადიანობითა და მუდმივობით;

3. ფინანსური ტექნოლოგიების მოდერნიზაცია (ინტერნეტ ბანკინგი, ბანკომატები);

4. ფინანსური ინსტრუმენტები მასობრივი ინვესტირების მოსაზიდად (IPO, ურთიერთ ფონდები);

5. ფინანსური ინსტრუმენტები აქტივების რეფინანსირებისა და მობილიცაზიისათვის (სვოპები, აქციების გამოსასყიდად ობლიგაციების გამოშვება);

6. „საკამათო ინოვაციები“, ბალანსგარეშე ოპერაციები ფინანსური ინსტრუმენტებით, „მაღალი რიგის“ წარმოებული ინსტრუმენტები და სხვა.

ვენჩურული დაფინანსება ფულადი კაპიტალის ნაირსახეობაა, რომელიც წარმოიშვება ინდივიდუალურ პროდუქტებსა და პროგრამებზე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სუბსიდირების სისტემის ზემოქმედებით. ფაქტიურად ვენჩურული სუბსიდირება შეიძლება დავახასიათოდ, როგორც გრძელვადიანი ინვესტიციების წყარო, რომლის შეთავაზება ხდება საწარმოებისათვის 5-7 წლით, რომლებიც იმყოფებიან საწყის სტადიაზე და აგრეთვე მოქმედი საწარმოების გავითრებისა და მოდერნიზაციისთვის.

ფინანსური ინოვაციების ზემოქმედების ხარისხი მდგრად განვითარებაზე საკმაოდ მრავალფეროვანია, აგრეთვე მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს ეკოლოგიური ინოვაციები, რომლებიც მოიცავს ისეთი ტექნოლოგიების შექმნას, რომლებიც მიმართულია პლანეტის ეკოლოგიური რესურსების შენარჩუნებისათვის.

მდგრადი განვითარების სისტემაში აგრეთვე დიდი ადგილი უჭირავს სოციალურ ინოვაციებსაც, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო საზოგადოების სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების განვითარების დინამიკასა და მოხმარების სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევის ინტეგრაციასთან. სოციალური ინტეგრაციის ქვეშ იგულისხმება სოციალური შედეგების მიღწევის ახალი მეთოდები და ხერხები, რომლებიც შესაბამისობაშია საზოგადოების მიზნებთან, ადამიანური რესურსების უფრო სრულად გამოსაყენებლად, სოციალური ინოვაციები ახასიათებენ მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხის გაუმჯობესებას.

ამგვარად, ინოვაციური ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს გლობალური მდგრადობის უზრუნველყოფის და მსოფლიო ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას. თუმცა ეს პროცესი სირთულითა და წინააღმდეგობრიობით ხასიათდება. ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შესაძლებელია ინოვაციურ საქმიანობასა და განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებისათვის ინსტიტუციური პირობების შექმნის გზით. ამისათვის, ეროვნული

ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა ინსტრუმენტების შეხამება. ისინი მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ ინოვაციების გავრცელების მხოლოდ კეთილსასურველი პირობების შექმნისაკენ, არამედ მოქმედების კონსერვატიული მოდელის გამყარებისაკენ, რადგანაც საზოგადოებაში მისმა დაშლამ კრიზისული მოვლენები შეიძლება გამოიწვიოს.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოხდეს ეკონომიკის ინსტიტუციური სფეროს სრულყოფაც, კომერციული პროექტების წარმატებული რეალიზაციისათვის პირობების შექმნა ეკონომიკის კერძო სექტორის მონაწილეობით, აგრეთვე ეკონომიკის ფინანსური სექტორის აქტიურად განვითარება, მ.შ. ფინანსური ინოვაციების მეშვეობით.

მნიშვნელოვანია ფინანსური ინოვაციების როლის განსაზღვრა ეკონომიკის ეფექტური ფინანსური სექტორის ფორმირებაში. ფინანსური სექტორის ქვეშ მოიაზრება ფინანსური ინსტუტუტების ერთობლიობა, რომლებიც ახდენენ ფინანსურ მომსახურებას, პირველ რიგში ფინანსური შუამავლობის სფეროში.

როგორც ცნობილია, ეკონომიკის ფინანსური სექტორის ფუნქცია ფინანსური ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფაა. თავდაპირველად ფინანსური ინოვაციები ინერგებოდა ძირითადად საკრედიტო სფეროში და სწორედ ამის შემდეგ იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების მასობრივი დანერგვა ფინანსურ მომსახურებებს შორის. მათი წყალობით აქტიურად განვითარდა ელექტრონული ვაჭრობა, ინტერნეტ-ბანკინგის სერვისები და სხვა. მსგავსმა ფინანსურმა ინოვაციებმა ერთდროულად გაზარდეს ოპერაციების როგორც სიჩქარე და გამჭვირვალობა, ისე კონკურენცია საკრედიტო ორგანიზაციებს შორის ახალი კრიტერიუმით - დისტანციური საბანკო მომსახურებით.

ინოვაციები ფინანსურ სფეროში ხელს უწყობენ ტრანსაქციური დანაზოგების მკვეთრად შემცირებას და მსოფლიო ფინანსური ბაზრის შექმნის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ. ეფექტიანი ეროვნული ფინანსური სექტორის განვითარება

შეუძლებელია მსოფლიო ფინანსურ ბაზარში შეზღუდული ჩართულობის პირობებში.

როგორც ავღნიშნეთ, ინოვაციები ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რადგანაც თითოეული სიახლე იწვევს ცვლილებას ეკონომიკური აგენტების ქცევაში და ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში შემდგომი ინოვაციური ზრდის ფორმირებას ახდენს.

ზოგიერთი ავტორის აზრით, ფინანსური ინოვაციები ახალი ფინანსური პროდუქტები ან მომსახურებაა, რომლებიც საშუალებას იძლევიან შეამცირონ ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეების რისკები და ხარჯები, მათი განხორციელების შედარებით ეფექტური პროცესის მეშვეობით.

ფინანსური ინოვაციების დაყოფა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების სხვადასხვა სახის საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით, შესაძლებელია შემდეგნაირად: საბანკო ფინანსური ინოვაციები, არასაბანკო ფინანსური ინოვაციები და უნივერსალური ფინანსური ინოვაციები. ინოვაციების დანერგვა საგადასახადო სისტემაში საშუალებას იძლევა შემცირდეს საოპერაციო დანახარჯები, რისკები და ამის ხარჯზე შემცირდეს მომსახურების ხარჯები, რაც დადებითად აისახება ეკონომიკური აგენტების კონკურენტუნარიანობაზე.

ინოვაციების გამოჩენა საფონდო ბაზარზე გამოწვეულია საერთაშორისო ფინანსური და სასაქონლო ბაზრების ლიბერალიზაციითა და გლობალიზაციით, უმეტესობა ქვეყნებში ფინანსური ბაზრის დერეგულაციის კუთხით ეროვნული კანონმდებლობის ცვლილებით, რომელიც ზრდის ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გამოყენების სიჩქარეს და ა.შ.

ფინანსური ინოვაციების შექმნისა და აქტიური გავრცელების წინაპირობად გვევლინება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკური აგენტების მუშაობის ტრანსფორმაციაზე, ეკონომიკის ფინანსური სექტორის ფარგლებში, აგრეთვე არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, რომელიც მოითხოვს არსებული ფინანსური ინსტრუმენტების მოდერნიზაციას ბაზრის კონიუნქტურის ნეგატიური ცვლილების გამო ხეჯირებისათვის.

ზოგიერთი მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ ინოვაციური საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია საშუალებას იძლევა მოხდეს შედარებით მაღალი მოგების ფორმირება და გაძლიერდეს კონკურენტული უპირატესობა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებლების ინდივიდუალური მოთხოვ-ნილებები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას ინოვაციური პროცესების რეალიზაციის გზით. მაშინ ფინანსური ინოვაციების წინწაწევის მიზანი არის კონკურენტული და გამჭვირვალე ფინანსური ბაზრის შექმნა, სადაც ფინანსური მომსახურების გაწევა განხორციელდება უწყვეტად და სრულყოფილი იქნება, როგორც უსაფრთხოების მხრივ, ისე მათი ეფექტიანობის გაზრდის კუთხითაც.

როგორ აღვნიშნეთ, ფინანსური ინოვაციები არის ახალი ფინანსური ინსტრუმენტების, ანდა ფინანსური ტექნოლოგიების შექმნის და შემდგომში მათი გამოყენების პროცესი. თუმცა ეს განმარტება სრულყოფილად ვერ ასახავს „ინოვაციის“ ცნების კომპლექსურობასა და მოცულობას ფინანსური მომსახურების სფეროში, სადაც ახალ პროდუქტს შეიძლება გააჩნდეს შტრიხები თავისი ცალკეული ფუნქციების, მარკეტინგის, სამომხმარებლო სეგმენტის და სხვა სფეროში ანდა დამხმარე ინფრასტრუქტურის კონტექსტში.

ფინანსური ინოვაციების დაყოფა ხშირად ხდება პროდუქტიულ და პროცესულ ინოვაციებად.

ინოვაციური პროდუქტების მაგალითია გარიგებები დერივატივებით, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების, ან სტრუქტურული ინოვაციური პროდუქტების ახალი ფორმები, რომლებიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის პროცესში ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფისათვის ისინი მოიცავენ ტექნიკური სპეციფიკურობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას, კომპონენტებსა და მასალებს, მომხმარებლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და სხვა ფუნქციონალურ მახასიათებლებს. ინოვაციური პროდუქტების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას ახალი ცოდნა და ტექნოლოგიები, ანდა ახალი ფორმები და კომბინაციები, რომლებიც დაფუძნებულია უკვე არსებულ პროდუქტებზე. ინოვაციურ პროცესებს მიეკუთვნება ფასიანი

ქაღალდების გავრცელების ახალი მეთოდების დანერგვა, დამუშავების ტრანსაქციები ან ფასწარმოქმნა.

თვით ინოვაციების ცნება მოიცავს ახალი პროდუქტების შექმნისა და გავრცელების პროცესს. ეს ორი ქმედება უშუალოდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რადგან უმეტესობა ფინანსური ინოვაციებისა წარმოადგენენ წინა პროდუქტების სრულყოფილ ვერსიას.

ითვლება, რომ არასრულყოფილი ფინანსური სისტემა და ფინანსური ბაზარი არის ფინანსური ინოვაციების განვითარების სტიმულირების მიზეზი.

ფინანსური ინოვაციების წარმოშობის მრავალი მიზეზი არსებობს. ფინანსური ინოვაციები წარმოიშვება მაშინ, როდესაც ჩნდება ბაზრის არაეფექტურობის ან მისი არასრულყოფილი ფუნქციონირების ნიშნები: ფინანსური ინოვაციები იქმნება ინსაიდერებსა და აუტსაიდერებს შორის ინფორმაციის ასიმეტრიულობის აღმოსაფხვრელად; მათი შექმნა ხდება ტრანსაქციური ხარჯების შესამცირებლად და მარკეტინგის გასაუმჯობესებლად; იქმნება საგადასახადო რეჟიმისა და ფინანსური რეგულირების გამკაცრებისას. ფინანსური გლობალიზაციის და რისკების ზრდამ გამოიწვია ფინანსურ ბაზრებზე ინოვაციის წარმოშობა და განვითარება. ტექნოლოგიების განვითრებამ სტიმული მისცა ფინანსური ინოვაციების სახეების გაფართოებას.

ევროკავშირი თავისი პროგრამების ხელშეწყობისა და დაფინანსებისათვის მრავალფეროვან ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს. 2014-2020 წლის საბიუჯეტო პერიოდი სწორედ ახალი თაობის ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზებით ხასიათდება. რადგანაც ევროკავშირის მთავარ საზრუნავს ინოვაციები, მდგრადი განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა წარმოადგენს, შესაბამისად მან ფინანსური ინსტრუმენტებიც უფრო მეტად გაამარტივა, დახვეწა, უფრო მოქნილი გახადა დამატებითი ფინანსების მოზიდვის თვალსაზრისით როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორებიდან, მათზე წვდომა გაადვილდა და გრანტებზე დამოკიდებულება მინიმუმამდე შემცირდა.

ევროკავშირი ბიზნესის დაფინანსებას ძირითადად არაპირდაპირი წესით ახორციელებს რეგიონალურ და ეროვნულ ორგანოებთან თანამშრომლობისა და ფინანსური შუამავლების მეშვეობით, სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ თუ ხდება ევროკავშირის სპეციალური პროგრამების დანერგვა და პოლიტიკის განხორციელება, მათი დაფინანსება პირდაპირი წესით ხორციელდება. ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები წარმოადგენენ ძირითად ორგანოს, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ. ევროკავშირის ფინანსების გამოყენებაზე და აგრეთვე ევროკავშირის გარანტიით დამატებით, სახსრების მოზიდვაზე. მათი კომპეტენციის ფარგლებშია დაფინანსების პირობების განსაზღვრაც.

ევროკავშირის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები რიგი თავისებურებით გამოირჩევა: იგი ითვალისწინებს უკან დაბრუნებას, არის განახლებადი, მოხერხებულ და ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი პროექტებისათვის დამატებითი რესურსების მობილიზების საშუალებას იძლევა, ღებულობს სესხის, გარანტიის ან კაპიტალის სახეს და მათი გამოყენება შესაძლებელია კომბინირებულად გრანტებთან ერთად და იმართება როგორც ეროვნულ და ადგილობრივი ბანკების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF)) და ფინანსური შუამავლების და მმართველობითი ორგანოების მხრიდან.

როგორც ავღნიშნეთ ევროკავშირის მიერ 2014-2020 წლების ფინანსური ინსტრუმენტებით სიახლეებითა და უპირატესობებით გამოირჩევა წინა წლების ინსტრუმენტებისაგან. მათი განმასხვავებელი თავისებურებებია ის, რომ: ეს ფინანსური ინსტრუმენტები არ არის დაკონკრეტებული და მათი გამოყენება მმართველობით ორგანოებს და წევრ ქვეყნებს შეუძლიათ თემატური მიზნების მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტების მორგების შესაძლებლობა ბაზრის წარუმატებლობასთან, ნაკლებად ოპტიმალურ საინვესტიციო გარიგებებთან და სხვა, აგრეთვე მათი მხარდაჭერა შესაძლებელია კომბინირებული გზით. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები უფრო მეტად მოქნილია და მათი გამოყენებაც უფრო მოსახერხებელი.

ევროკავშირის ყველაზე მასშტაბურ პროექტს „ჰორიზონტი 2020“ წარმოადგენს, რომელიც 2014-2020 წლებს მოიცავს და ჩარჩო პროგრამაა კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერისათვის, მისი ბიუჯეტი 80 მლრდ ევროს შეადგენს. H2020 ყველასთვის ხელმისწვდომია და მოიცავს 18 თემატურ სექციას, მ.შ. მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტრუმენტებს და სარისკო ფინანსებზე წვდომას. ეს ინსტრუმენტები შექმნილია მაღალი ინოვაციური პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური მხარდაჭერისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტრუმეტები შექმნილია მაღალი ინოვაციური პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური მხარდაჭერისათვის და აქვთ ბაზარზე ორიენტირებული ინოვაციური იდეები. ინსტრუმენტების მიზანია შეავსოს ის გარღვევა ფინანსებში, რაც ახასიათებს მაღალი რისკის ინოვაციური იდეების დანერგვას და ეს დაფინანსება მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი მოიცავს სრულ ინოვაციურ ციკლს, რომელიც სამი ეტაპისაგან შედგება:

1. ბიზნეს იდეის კონცეფცია და დაგეგმვა;
2. ბიზნეს გეგმის განხორციელება და დასაბუთება;
3. კომერციალიზაცია.

აღსანიშნავია, რომ H2020-ის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების კიდევ ერთი ინსტრუმენტი სარისკო ფინანსებზე წვდომაა, ეს ისეთი დაფინანსებაა, რომელიც უკუგების არ მიღების მაღალი რისკით ხასიათდება. ამ დაფინანსების მიზანს წარმოადგენს დახმარება საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი რათა განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები კვლევებისა და ინოვაციების მიმართულების სესხების, გარანტიების კაპიტალის დაფინანსების მეშვეობით. ამ დაფინანსების მიღებაში მონაწილეობენ ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), რომლის კომპეტენციაა ფინანსების გამოყოფა და აგრეთვე ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF). რომელსაც ევალება დაფინანსების პირობებისა და შერჩევის კრიტერიუმების გამოცხადება.

სარისკო ფინანსებზე წვდომის კუთხით შემდეგი ინსტრუმენტები გამოიყენება:

1. სესხები კვლევებისა და ინოვაციებისათვის. მისი მიზანია სარისკო კაპიტალზე წვდომა კვლევითი და ინოვაციური პროექტებისათვის;

2. მცირე და საშუალო ბიზნესისა და მცირე კაპიტალიზაციის საწარმოების სესხები კვლევებისა და ინოვაციებისათვის (საგარანტო საშუალებები);

3. კაპიტალის მხარდაჭერა კვლევებისა და ინოვაციებისათვის (პირობითი სახელწოდება). მისი მიზანია კაპიტალის დაფინანსება კვლევებისა და ინოვაციებისათვის; გამოიყენება COSME პროგრამასთან ერთად კომბინაციაში;

4. ტექნოლოგიების გადაცემის დაფინანსება.

მნიშვნელოვანი ადგილი ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამათა შორის უჭირავს ევროპის სტრუქტურულ და საინვესტიციო ფონდებს (ESIF). მისი დაფინანსებით შექმნილი ინსტრუმენტები ხელს უწყობს ადამიანებისა და ბიზნესის ზრდის და განვითარების დაფინანსებას ევროკავშირის ფარგლებში. ამ ფინანსურ პროდუქტებს მიეკუთვნება: სესხები, გარანტიები, კაპიტალი და სხვადასხვა რისკის მქონე პროექტების დაფინანსება. ამ ფონდების მეშვეობით დაფინანსების მიღება შესაძლებელია ევროკავშირის 5 წყაროდან:

- ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი (ERDF);
- ერთიანი ფონდი (CF);
- ევროპის აგრარული და სოფლის განვითარების ფონდი (EAFRD);
- ევროპის საზღვაო და მეთევზეობის ფონდი (ENFF);
- ევროპის სოციალური ფონდი (ESF).

ამ ფონდების ფინანსური ინსტრუმენტების მექანიზმს დაემატა ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი (EIB და EIF) შემდეგი საქმიანობებით:

- ფინანსური ინსტრუმენტების ტექნიკური დახმარების პლატფორმა;
- ორმხრივ პროგნოზებზე დაფუძნებული დახმარება და საკონსულტაციო მომსახურება;
- შერეული აქტივობა;
- ფონდების მართვა.

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ 2014-2020 წლების ევროკავშირის ერთ-ერთ მასშტაბურ პროექტს COSME - წარმოადგენს, რომელიც არის საწარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამა. მისი მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესისათვის გაადვილდეს წვდომა სესხებსა და საკუთარი კაპიტალის დაფინანსებაზე.

COSME - ს ფარგლებში მოქმედებს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

- სესხების გარანტის საშუალებები, რომელიც ფინანსურ შუამავლებს გარანტიებს აძლევს, მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად; აქ ისეა გათვლები გაკეთებული, რომ გარანტიებზე გაცემულმა 1 ევრომ, 30 ევროს მოცულობის სესხის გაცემის შესაძლებლობა მისცეს. ეს ინსტრუმენტი მოიცავს 330 ათასი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას 21 მლრდ ევროს მოცულობით.

- საკუთარი კაპიტალის დაფინანსება ზრდის მიზნები-სათვის. ეს დაფინანსება გულისხმობს მაღალი ზრდის პოტენ-ციალის მქონე მცირე და საშუალო ბიზნესის, განსაკუთრებით კი ინოვაციებზე ორიენტირებული ფირმების დაფინანსებას, მასში მოიაზრება 500 მცირე და საშუალო საწარმო, 4 მლრდ ევროს ფარგლებში, აგრეთვე სახელმწიფო და კერძო წყაროებიდან დამატებითი ფინანსების მობილიზების პერსპექტივას.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ თუ რა დონეზეა საქართველოში ინოვაციების განვითარება და მათ მიმართ როგორია ქვეყნის პოლიტიკა.

საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში 2014 წლის მარტში შეიქმნა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. მისი მიზანია საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია; ქვეყნის ინოვაციების და ტექნოლოგიების ერთიანი პოლიტიკის და სტრატეგიის განხორციელების პროცესის ხელშეწყობა და კოორდინირება და სხვა. მისი ფუნქციები შესაბამისად არის: ინოვაციებისა და

ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება; ინოვაციური ცენტრების, ტექნოლოგიური პაკეტების, ინოვაციების ლაბორა-ტორიების და სხვა შექმნაში მონაწილეობა და მათი განვითარების ხელშეწყობა; ინოვაციებზე და ცოდნაზე დამყარებული ახალი ბიზნეს-ინიციატივების ხელშეწყობა და დაფინანსება; ინდუსტრიებში ქართული ინოვაციების და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; ინოვაციების და ტექნოლოგიების სექტორში ინვესტორების და ინვესტიციების მოზიდვა; საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიური ბიზნესის, ინოვაციური მეწარმეობის და საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურების განვითარება; ფინანსურ ინსტიტუტებთან და დონორ ორგანიცაზიებთან ურთიერთობა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სექტორში დამატებითი გრანტების და ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზანი და სხვა.

მნიშვნელოვანია გამოვყოთ ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების (IMG) პროგრამა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის (GENIE) პროექტის ნაწილს და მას საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ახორციელებს. ამ პროექტის მიზანია გაზარდოს საქართველოში მოღვაწე ფირმებისა და ინდივიდუალური პირების ინოვაციური აქტივობა და მათი ციფრულ ეკონომიკაში მონაწილეობა - პროექტი ფინანსდება 23,5 მილიონი აშშ დოლარიანი მსოფლიო ბანკის სესხით. მისი მიზანია გააუმჯობესოს საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემა ინტეგრირებული მიდგომების მეშვეობით შემდეგი სამი კომპონენტით: ინოვაციური ინფრასტრუქტურა, ინოვაციური სერვისები და ინოვაციური დაფინანსება.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის კომპონენტმა უნდა განავითაროს ინოვაციების ჰაბებისა და ცენტრების ქსელი საქართველოს მასშტაბით შერჩეულ ქალაქებსა და სოფლებში და დაგეგმოს, საცდელად გაუშვას პროგრამა - ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისათვის, რათა მოხდეს მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენების მასშტაბის გაზრდა განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებზე.

ინოვაციური სერვისების კომპონენტმა უნდა უზრუნველყოს ინოვაციების ცენტრებთან და რეგიონული ინოვაციების ჰაბებთან კოორდინირებით, პროექტის ბენეფიციარებისათვის მომსახურების მიწოდება. აქვე შედის ინოვაციების საზოგადოების ცნობიერების შექმნა საქართველოში და ინოვაციების კონკურსების ორგანიზება, საზოგადოების ასამაღლებლად შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება და ა.შ.

რაც შეეხება ინოვაციური დაფინანსების კომპონენტს აქ უკვე მოიაზრება თანადაფინანსების გრანტების უზრუნველყოფა, საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესატყვისი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების შერჩევა, რათა მოხდეს თანადაფინანსების გრანტების მიღება და მათი ზედამხედველობა, აგრეთვე ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ინოვაციების დაფინანსების ალტერნატიული ფორმების და ციფრულ ეკონომიკაში ინვესტირების სტიმულირებისათვის.

პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციას და შესაბამისად, თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ადმინისტრატორს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო წარმოადგენს. სააგენტო პასუხისმგებელია საქართველოში ინოვაციების პოლიტიკის განხორციელებაზე, აგრეთვე მას ევალება იმ საბაზრო სირთულეებზე მოახდინოს რეაგირება, რაც ზღუდავს ქვეყანაში კვლევებისა და ინოვაციების განვითარებას, ხარისხს და რაშიც შედის ადრეულ ეტაპზე დაფინანსება და ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა.

სააგენტო პასუხისმგებელია საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის (GENIE) პროექტის განხორციელებაზე, რაც გულისხმობს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ადმინისტრირებას, რომელსაც კურირებს სააგენტოში არსებული ინოვაციების და კომერციალიზაციის დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ფუნქციას წარმოადგენს დაგეგმოს, განახორციელოს და მონიტორინგი გაუწიოს პროექტით დაფინანსებულ აქტივობებს და მჭიდრო თანამშრომლობა ქონდეს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართული არიან ამ პროექტში. აგრეთვე ის ანგარიშვალდებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის წინაშე პროექტის პროგრესზე.

ფინანსური ინოვაციების ოფისი

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ინოვაციების ოფისზე, რომლის მიზანია ფინანსური ინოვაციების მქონე პირებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველებს შორის ეფექტური კომუნიკაციის ჩარჩოს შექმნა. ფინანსური ინოვაციების ოფისის მისია მდგომარეობს ფინანსურ სექტორში პასუხისმგებლიანი ინოვაციებისათვის ხელისშეწყობა და ფინტექ ორგანიზაციების/სტარტაპების დახმარება საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების საზედამხედველო მიდგომის გაცნობიერებაში.

2016 წლის ივნისიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ამოქმედდა ვენჩურული საინვესტიციო პროგრამა - „სტარტაპ საქართველო“, რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილს წარმოადგენს. ამ სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა გაუწია დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს და იგი შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება: დაფინანსება, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივება, აგრეთვე შესაბამისი განათლების ხელშეწყობა.

პროექტის კოორდინატორებს „საპარტნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ წარმოადგენენ. საპარტნიორო ფონდი აფინანსებს ინოვაციურ პროექტებს, ხოლო სააგენტო მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებს. საწყის ეტაპზე პროგრამისთვის მთლიანად 11 მილიონი ლარი გამოიყო, ხოლო შემდეგ 35 მილიონ ლარამდე მოხდა ამ თანხის გაზრდა.

ამ პროექტში დაფინანსება 20-მა გამარჯვებულმა სტარტაპმა მიიღო. ბენეფიციარს არ მოეთხოვებოდა პროექტის თანადაფინანსება და მისი წილი კომპანიაში 95%-ს შეადგენს. თავად პროექტი კი დაფინანსდა 15000-დან 100000 ლარამდე.

მაღალტექნოლოგიური პროექტების შემთხვევაში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ერთობლივ საწარმოში პარტნიორად არაუმეტეს 7 წლით რჩება და არ ერევა სტარტაპის მმართველობაში. აღსანიშნავია, რომ ინოვაციურმა და ტექნოლოგიურმა გამარჯვებულმა სტარტაპებმა დაფინანსება მიიღეს პირადი ქონებით უზრუნველყოფისა და გირაოს გარეშე,

მხოლოდ პროექტის ფარგლებში შექმნილი აქტივებით მოხდა უზრუნველყოფა.

როგორც აღვნიშნეთ, სტარტაპ საქართველოს პროგრამის მაღალტექნოლოგიური კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 100000 ლარის ოდენობით 20 სტარტაპი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „სტარტაპ საქართველო“-ს პროექტზე 726 განაცხადი იყო შესული და 149 განეკუთვნებოდა მაღალტექნოლოგიურ კომპონენტებს.

2016 წელს მცირე (5000 ლარამდე) საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 84 საგრანტო პროექტი და ჯამში გაიცა 290000 ლარი.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო პოტენციურ ბენეფიციარებს სთავაზობს იმ პროდუქტებსა და სერვისებს, რომლებიც ორიენტიურებული არიან დაეხმარონ ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სტარტაპებს დაწყებული იდეიიდან მისი განხორციელების ჩათვლით.

სააგენტო მუდმივად ცდილობს საკუთარ ბიზნეს ოპერაციებში ისეთი მიმართულებები დანერგოს, რომელიც გაზრდის გამომგონებლებისა და სტარტაპების პროდუქტიულობას და უზრუნველყოფს მათთვის საჭირო ფინანსებზე, ცოდნასა და ინფრასტრუქტურაზე წვდომას.

სააგენტო თავისი საქმიანობის განსახორციელებლად იყენებს ისეთ საკვანძო ინსტრუმენტებს, როგორიცაა: მცირე გრანტების პროგრამა, სტარტაპ ბიტსი, სტარტაპ მეგობრული, ბუთ ქემფი, საერთო სამუშაო სივრცე, იდეების რეესტრი, ინკუბატორი, ტრენინგების პორტალი და IT მხარდამჭერთა რეესტრი.

ინოვაციების სააგენტოს ინფრასტრუქტურული პროექტების მიზანს ადგილობრივი მოსახლეობის, კერძო კომპანიებისა და თუ ადგილობრივი მთავრობის დახმარება წარმოადგენს ძნელად-ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენებისათვის და ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და სამეწარმეო სფეროში მიიღონ ცოდნა და განავითარონ თავიანთი საქმიანობა.

2016 წლის 11 იანვრიდან ოქროყანაში 18 ათას $მ^2$ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს თბილისის ტექნოპარკი, რომელიც ორიენტირებულია საქართველოში ინოვაციური წარმოების შექმნასა და განვითარებაზე და ინოვაციების ეკოსისტემის

შესაქმნელად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია. დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით უკვე 8 სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაა გახსნილი. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (Fablab) სივრცეში ხდება ახალი წამოწყებების სრულყოფა და ახალგაზრდა ინოვატორების იდეების რეალიზება.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის ტრენინგებს, ქოაჩინგს, მონიტორინგს და საკონსულტაციო მომსახურებას.

რაც შეეხება ვენჩურულ საინვესტიციო პროექტს, იგი განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებისათვის შემდეგ სფეროებში: ავიაკოსმოსური წარმოება, ხელოვნური ინტელექტი, ავტომობილები, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, ნახევარგამტარები, ტელეკომუნიკაცია და სხვა.

მაღალტექნოლოგიური პროექტების შეფასება მოხდა ვენჩურული ინვესტორების მიერ სილიკონ ველიდან. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა პროექტის ინოვაციურობაზე, ბიზნესმდგომარეობასა და პერსპექტიულობაზე. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო საერთაშორისო ინვესტორებისათვის უზრუნველყოფს წარმატებული პროექტების წარდგენას დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველში. ეს პროგრამა მოწოდებულია იმისკენ, რომ ინვესტორმა განახორციელოს თავისი იდეა, შექმნას ინოვაციური პროდუქტი, რომელიც ადგილს დაიმკვიდრებს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ბაზარზე.

„სტარტაპ საქართველოს“ მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში ინოვატორების იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებისა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ხელშეწყობა.

ინოვაციური კორპორაცია „GM Pharma“ ქართული და უცხოური ინვესტიციებით შექმნილი ექსპორტზე ორიენტირებული ინოვაციური საერთაშორისო კომპანიაა, რომელიც საქართველოში და დასავლეთ ევროპაში მედიკამენტებს აწარმოებს. მან 2015 წელს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის

ფარგლებში დამატებითი ინვესტიცია განახორციელა. ინვესტიციის საერთო რაოდენობა 14 მილიონამდე დოლარი იყო, 10 მილიონამდე დოლარი საკუთარი ინვესტიცია, ხოლო 3768000 დოლარი სესხად იქნა აღებული 9%-იანი საპროცენტო განაკვეთით. შეღავათიან პერიოდში სახელმწიფოს თანადაფინანსებამ 472 605 აშშ დოლარი შეადგინა. ინვესტიციის ძირითადი თანხა მოხმარდა ახალი ავტომატური ინოვაციური სამრეწველო ხაზების შეძენას. ინვესტიციებიოს 18% (რამაც 2500000 დოლარი შეადგინა) დამატებითი ღირებულების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში უკან დაბრუნდა.

ინოვაციური კორპორაცია „GM Pharma“-ს ექსპორტი საქართველოდან 2015 წლის შემდგომ 64%-ით გაიზარდა და 20 მილიონ დოლარს მიაღწია. „GM Pharma“ ექსპორტის მოცულობას ყოველწლიურად ზრდის, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

მნიშვნელოვანია გამოვყოთ ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის „ჰორიზონ 2020“-ის ინსტრუმენტი: „ინოვფინი - ევროკავშირის დაფინანსება ნოვატორებისათვის“. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების აღმოსავლეთ ინიციატივის მიზანია ეკონომიკური განვითარების გაძლიერება იმ ქვეყნებში, რომელთაც ასოცირების შეთანხმება აქვთ გაფორმებული ევროკავშირთან. ასეთი ქვეყნებია საქართველო, უკრაინა და მოლდოვა. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს გაეწევათ ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა.

როგორც ავღნიშნეთ „ინოვფინი” (inovfin) არის ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის მიერ შემოთავაზებული დამატებითი ფინანსური ინსტრუმენტია, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ინვესტიციების განხორციელებას.

ევროპის საინვესტიციო ფონდისა და სს პროკრედიტ ბანკ (საქართველოს) მიერ 2017 წლის თებერვალში ხელი იქნა მოწერილი „ინოვფინი”-ს ფარგლებში პირველ ხელშეკრულებაზე, რომელიც საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის გარანტიის ინსტრუმენტია და საშუალებას

მისცემს პროკრედიტ ბანკს 50 მილიონი ევროს სესხი გასცეს ნოვატორ კომპანიებზე 2 წლის განმავლობაში.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების სისტემის მნიშვნელოვანი რესტრუქტურიზაციის შედეგად შეიქმნა შუალედური ორგანოები საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდსა (SRNSFG) და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA), რომლებმაც მიზნობრივი მხარდაჭერის ინსტრუმენტები შეიმუშვეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ასოცირებულია ევრო-კავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამასთან „ჰორიზონტი 2020“ და აგრეთვე ჩართულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავჭრო სივრცის (DCFTA) შექმნაში. აგრეთვე მნიშვნელოვნად გაიზარდა კვლევებსა და ინოვაციებზე ბიუჯეტიდან დაფინანსება.

დასკვნა

შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციები უდიდეს როლს თამაშობენ საზოგადოების განვითარებაში. ინოვაციები ფინანსური მექანიზმის სამი ძირითადი შემადგენელიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ და ურთიერთქმედებენ დანარჩენ ორ შემადგენელთან - ინვესტიციებთან და კონკუ-რენციასთან - ისინი აკმაყოფილებენ საზოგადოების მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს, ზრდიან ფინანსური სისტემის ეფექტიანობას და ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნული ეხება როგორც ფინანსური მომსახურების სექტორს, ისე მთლიანად ეკონომიკას. ე.ი. ინოვაციები ფინანსური მომსახურების სექტორში არა მარტო ზრდიან ამ სექტორის ეფექტიანობას, არამედ ზრდიან კაპიტალის ღირებულებას მთლიანად ეკონომიკაში. მნიშვნელოვანია ავღ-ნიშნოთ, რომ კაპიტალის განაწილების ფუნქციის გარეშე, რომლებსაც ასრულებენ ფინანსური ინსტრუმენტები, უმეტესობა თანამედროვე სამრეწველო დარგები არ იარსებებდნენ იმ ფორმაში, როგორი ფორმითაც დღეს არიან. ამიტომ, ინოვაციები, ფინანსური მომსახურების სფეროში ახდენენ მულტიპლიკატორულ ეფექტს ეკონომიკაზე მთლიანად. თუმცა, თუ არაეფექტურად და

არაპროდუქტიულად გამოვიყენებთ და ვმართავთ ინოვაციებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის რეგრესი.

მიუხედავად ბოლო წლებში აქტიურობისა და დადებითი ტენდენციებისა სამეცნიერო წრეებსა და ბიზნეს გაერთიანებების ინოვაციური იდეების განვითარებაში, მთლიანობაში ამ სფეროში ძალიან დაბალია ხარისხი და შესაბამისად შედეგიც არასახარბიელოა. სიტუაციის გამოსასწორებლად საქართველოს მთავრობამ რეფორმების დასაჩქარებლად მოითხოვა „ჰორიზონტი 2020“-ის პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტების (PSF) დახმარება სამი მიმართულებით:

1. მეცნიერებაში ძლიერი მხარეების გამოვლენა, დარგობრივი, თემატური პრიორიტეტების გამოყოფა;
2. შესრულების ინდიკატორების გამოყენებით მეცნიერების სისტემის დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება;
3. მეცნიერებასა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

ევროკომისიის მიერ გამოყოფილი ექსპერტების მიერ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, ჩატარდა ანალიზი და მომზადდა რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები ეხებოდა დაფინანსების გეგმას. კერძოდ აღნიშნული იყო, რომ დაფინანსების დონე ძალიან დაბალია, რაც არასაკმარის საფუძველს ქმნის ნაყოფიერი სამეცნიერო-ბიზნეს კავშირების ჩამოყალიბებისა და კონსოლიდაციისათვის. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა კვლევით ორგანიზაციებს. კერძოდ საუბარი იყო იმაზე, რომ კვლევითი ინსტიტუტები სრულიად არ არიან ინტეგრირებულნი უნივერსიტეტებში. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა კვლევებისა და ინოვაციების ეროვნული სისტემის მართვას. სადაც აღნიშნულია, რომ პასუხისმგებლობის განაწილება, დაფინანსების გადაწყვეტილებების მიღება და ა.შ. დეცენტრალიზებულია.

ეს სამი გამოწვევა ერთმანეთთან კავშირშია და ხელს უშლის საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების სისტემის ეფექტიან მუშაობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროკავშირი საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დასახმარებლად ფინანსური ინსტრუმენტების ფართო არჩევანს იძლევა.
https://eeas.europa.eu/delegations/georgia/25742/node/25742_sq

2. ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი. https://gita.gov.ge/res/docs/BfD%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D.pdf

3. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. gita.gov.ge

4. საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020.
https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf

5. სპეციალური მხარდაჭერა საქართველოსთვის საქართველოს. კვლევებისა და ინოვაციების სისტემის ეფექტიანობის ამაღლება პრიორიტეტების განსაზღვრის, შერჩევითი დაფინანსებისა და სამეცნიერო და ბიზნეს სფეროების დაკავშირების გზით.
https://rio.jrc.ec.europa.eu/sites/default/files/report/SS%20Georgia_%20Summary.pdf

6. ფინანსური ინოვაციების ოფისი.
https://nbg.gov.ge/index.php?m=742

7. Вагизова В.И. Финансовые инновации в отечественной экономике. Креативная экономика - № 8 (20), Август 2008.

8. Гаврилко Г.Н. Финансовые инновации и колебания деловой активности. Беларусь и мировые экономические процессы : сб. науч. ст. Вып. 11 . − Минск, 2014. – С.124-130.

9. Инновационный менеджмент [Электронный ресурс] // Сберкарт: [сайт]. [2013]. – URL:http://finresult.ru/megdynarodnie-finansi6.html (дата обращения: 14.12.2014).

10. Коптырева, А. В. Финансовые инновации: преимущества, недостатки, перспективы развития в России. Проблемы управления

рыночной экономикой: межрегиональный сборник научных трудов. — Томск : Изд-во ТПУ, 2015. — Т. 2. — [С. 84-87].

11. Финансовые инновации в отечественной экономике [Электронный ресурс] // Креативная экономика: [сайт]. [2014]. – URL:. http://www.creativeconomy.ru/articles/254 8/ (дата обращения: 14.12.2014).

12. Финансовые инновации [Электронный ресурс] // GCF FinInnovacii: [сайт]. [2014]. – URL:http://fininnovacii.ru/fininnovacii.php (дата обращения: 14.12.2014).

13. Восканян Р. О., Ващенко Т.В. Финансовые инновации как элемент развития финансового сектора экономики. Economics and Administration. 2017. Т. 6. № 4(21)

14. http://matsne.gov.ge/ka/document/view/2269957?publication=0

15. horizon2020.ge/?page_id=1758

Tea Lazarashvili

FINANCIAL INSTRUMENTS FOR DISSEMINATING INNOVATIONS IN GEORGIA

Summary

The paper discusses such an important issue as the place of financial innovation in the economic and financial development of the country. The classification of financial innovations is covered, where 6 types of financial instruments are distinguished. The focus is on the economic understanding of the definition of "innovation".

In order to ensure the sustainable economic development of the country, it is necessary to improve the institutional sphere of the economy, create conditions for the successful implementation of commercial projects with the participation of the private sector of the economy, as well as active development of the financial sector of the economy through financial innovation.

Innovations in the financial sector contribute to the drastic reduction of transaction savings and are an important factor in creating the global financial market.

Financial innovations can be divided according to the specifics of different types of activities of financial-credit organizations, as follows: Banking Financial Innovations, Non-Banking Financial Innovations and Universal Financial Innovations. The introduction of innovations in the tax system allows to reduce operating costs, risks and at the same time reduce service costs, which has a positive impact on the competitiveness of economic agents.

The focus is on the financial instruments offered by the EU. The budget period of 2014-2020 is characterized by the offer of a new generation of innovative financial instruments. Their distinguishing features are that these financial instruments are not specified and can be used by governing bodies and member states according to thematic objectives: the ability to adjust financial instruments to market failures, less optimal investment transactions, etc., as well as their support in a combined way. Such financial instruments are more flexible and more convenient to use.

The possibilities of using financial instruments in Georgia are analyzed, as well as the organizations that offer the use of financial instruments to finance innovative activities. Special attention is paid to the project of the Georgian National Innovation Ecosystem, the Financial Innovation Office and the venture investment program "Startup Georgia".

Keywords. *Innovations, financial innovations, financial instruments, dissemination of innovations.*

მურმან კვარაცხელია

განათლების სისტემის არსებული მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები საქართველოში

ანოტაცია. *განათლების სისტემა ყველაზე სენსიტიური და სტრატეგიული დარგია მთელ მსოფლიოში. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი წარმოუდგენელია მის გარეშე, რის კვალობაზე იცვლება მისი მნიშვნელობა და როლი გლობალურ სამყაროში. ისიც ცნობილია, რომ ეს სფერო მუდმივ დინამიკურ პროცესშია. ეს კი მოითხოვს ამ სისტემის პოლიტიკის კვლევას, კრიტიკულ შეფასებასა და მისი პერსპექტივის განსაზღვრას. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ კლასიკურად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში განათლების სისტემა პირველი კატეგორიის პრიორიტეტებში განიხილება. ამ მხრივ მრავალი აპრობირებული მიდგომა არსებობს, რომელიც ცხოვრებითაა აპრობირებული და ქვეყნების ინტერესების სფეროში შედის.*

შესავალი

საგანმანათლებლო სისტემა მსოფლიოს ქვეყნებში ძირეულად განსხვავებულია. ყველას გააჩნია თავისი მიდგომა, მეთოდი და პერსპექტიული მიზანი. ამდენად მის კვლევასაც გააჩნია თავისებურება მისი საბოლოო შედეგებიდან გამომდინარე.

განვითარებულ ქვეყნებში განათლების სისტემა ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ტრადიციებსა და მის ზნეჩვეულებებს. ამასთან ერთად იგი ქვეყნის განვითარებისაკენ აღებული ორიენტაციით გამოირჩევა. ამდენად, ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია იმ ახალი თაობების მისწრაფებებზე, წარსულისადმი პატივისცემასა და ინოვაციებისადმი პროგრესულ მიდგომებზე.

ჩვენს კვლევაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში არსებულ საგანმანათლებლო სისტემის უპირატესობებზე და იმ მეთოდოლოგიაზე, რომელიც ყველასთვის სამაგალითოა მისი ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების მაღალი დონის მიღწევის თვალსაზრისით.

* * *

საგანმანათლებლო სისტემას უამრავი მკვლევარი ჰყავს. ისინი უპირველესად იკვლევენ ამ სფეროში არსებულ მდგომარეობას, ნაკლოვანებებსა და პერსპექტივებს. ამ მკვლევარებს შორის საყურადღებო შედეგებით გამოირჩევა **ჯონ ჰატტის [Hattie J. C. 8]** მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად შეფასებულია განათლების პროცესის გაუმჯობესების სხვადასხვა სასკოლო სისტემები, განსაკუთრებით უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის ეფექტიანობა. მისმა კვლევებმა საბოლოო ჯამში მსოფლიო მასშტაბით 250 მილიონი სტუდენტი მოიცვა.

კვლევის შედეგად ჯ. ჰატტიმ გამოავლინა ხუთი ხშირად გამოყენებადი საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომლებიც, მისი აზრით, მუდმივ განახლებასა და სრულყოფას საჭიროებს, რაც ასევე ბევრ პრობლემებს აჩენს განათლების სფეროში, რომელიც არ მუშაობს. კერძოდ, ესენია:

1. შეფასების მიღწევების სტანდარტები. ჰატტი მიიჩნევს, რომ შეფასებაზე დაფუძნებული სტანდარტების არსებობა

მნიშვნელოვანია სწავლების საწყის საფეხურებზე, ხოლო მაღალ საფეხურებში ეს ცვალებადია. ამის ალტერნატივად მას მიაჩნია აქცენტის გადატანა თითოეული მოსწავლის განვითარებასა და პროგრესზე, მიუხედავად იმისა, თუ როგორი საწყისი პოზიცია აქვს მას სხვებთან შედარებით.

2. მიღწევების შეფასების ტესტები. მაღალშედეგიანი სკოლები და ქვეყნები სტანდარტიზებულ ტესტებს არ იყენებენ. მათ ალტერნატივად ისეთი სისტემა გამოყენება, რომელიც მასწავლებელს მომენტალურ შედეგს აჩვენებს და მისცემს ისეთ უკუკავშირს, რომელსაც სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის გამოიყენებს.

3. სკოლის შერჩევა. განათლების სფეროში ბევრი კერძო ინსტიტუცია ამ ფაქტორს კარგად „ყიდის“, როგორც მშობელთა მეტი ჩართულობის და ერთობლივი ზემოქმედების შედეგად სკოლის ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტს. თუმცა, ჰეტის მიაჩნია, რომ კვლევები, რომელიც მოსწავლეების ეკონომიკურ ფაქტორსაც იღებს მხედველობაში, აჩვენებს, რომ საშუალოდ, კერძო სკოლებს არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი უპირატესობა საჯარო სკოლებთან შედარებით.

4. მცირე ზომის კლასები. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კამპანიები, როგორიცაა მაგალითად „Class Size Matters” („კლასის ზომა მნიშვნელოვანია“), აქტიურად ლობირებენ იდეას, რომ თითო მასწავლებელზე ცოტა რაოდენობის მოსწავლეების დაშვება წარმატების რეცეპტია. ჰატტის აზრით კი, უცნაურია ამის მტკიცება, მაშინ, როცა თუ შევხედავთ მსოფლიოში ორ მაღალშედეგიან საგანმანათლებლო სისტემას, იაპონიისა და კორეის მაგალითებზე, ვნახავთ, რომ ამ ქვეყნებში კლასების საშუალო სიდიდე 33 მოსწავლისგან შედგება.

თავის კვლევებში ჯონ ჰატტი ასკვნის, რომ კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებას შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ეფექტი, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია მასწავლებელს ჰქონდეს ხელშეწყობა და შესაბამისი ტრენინგი გავლილი, რათა კლასის ზომის შესაბამისად, ეფექტურად იმუშაოს მოსწავლეებთან, მეტი ინდივიდუალური უკუკავშირი დაამყაროს მათთან და შეძლოს მოსწავლის წინსვლის რეალური და დეტალური შეფასება.

5.მეტი ფინანსები. უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კორეა და ფინეთი, განათლების სისტემის ორგანიზებულობით, დიდად უსწრებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს საერთაშორისო საგამოცდო სისტემის PISA შედეგებით, რომელიც ზომავს მათემატიკის, სხვა სამეცნიერო საგნებისა და კითხვის უნარ-ჩვევებს. აღნიშნული ორი ქვეყანა თითო მოსწავლეზე, პირველი კლასიდან მოყოლებული სკოლის დასრულებამდე, 60 000 და 75 000 აშშ დოლარს ხარჯავს, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატები ანალოგიურ პერიოდში — 105,000 დოლარს ხარჯავს.

ჰატტის თავის კვლევებში მიაჩნია, რომ სკოლის პერიოდისათვის, თითო მოსწავლეზე 40 000 დოლარის გამოყოფა გონივრული ბიუჯეტია. ამაზე მეტის დახარჯვის შემთხვევაში არ დგინდება პროპორციული კავშირი დახარჯულ ფულსა და მიღებულ შედეგებს შორის, რომელიც ასე მნიშვნელოვანია.

თუ გავითვალისწინებთ და შევადარებთ ანალოგიურ მაჩვენებელს, საქართველოს რეალობასთან, სურათი რადიკალურად განსხვავებულია მისი ჯერ კიდევ ქაოსური მდგომარეობის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯონ ჰატტი თავის წიგნში „Visible Learning Into Action"(ხილული სწავლა მოქმედებაში), გვთავაზობს ალტერნატიულ მეთოდებს, რომელიც მართებულია მსოფლიოს სხვადასხვა სკოლების მაგალითებზე დაყრდნობით. თავის მოსაზრებებს იგი მოკლედ აჯამებს და ამტკიცებს, რომ ყველაზე ეფექტური მეთოდები მასწავლებლებს აძლევს საშუალებას უფრო მჭიდროდ იმუშაონ მოსწავლეებთან და შესაბამისად, შეუწყონ ხელი მოსწავლეების მუდმივ და მდგრად განვითარებას.

საქართველოში არსებული საგანმათლებლო სისტემა საჭიროებს არსებით ძვრებს იმ გამოწვევების შესაჩერებლად, რომელიც დგას საქართველოს წინაშე. ჩვენი აზრით, საჭიროა ამ ხუთი პოლიტიკის თანდათანობით გათვალისწინება მისი სრულყოფის მიზნით. თუმცა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არსებობს ისეთი დახვეწილი და პროგრესული საგანმანათლებლო სისტემები, ასე, მაგალითად, ფინეთის საგანმანათლებლო სისტემა, რომელთა დანერგვა საქართველოში, მართალია გარკვეულ დროსა და ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, მაგრამ განათლების დონის ამაღლებისთვის მყარ წინაპირობას შექმნის.

საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა საბჭოთა კომუნისტური სისტემის დაშლის შემდეგ გადავიდა ევროკავშირის ბოლონიის ფორმატზე. ეს ბუნებრივი პროცესია და სწორი გადაწყვეტილება იყო თავის დროზე. ცხადია, ეს სისტემა ფართო და უნიკალურია. ის ითვალისწინებს მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემასთან მიახლოების ხელშეწყობასა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაციას, პიროვნების კვალიფიკაციის ამაღლების მოთხოვნის მაქსიმალურად დაკმაყოფილებას და მისი პოტენციალის რეალიზებას, ახალი სამეცნიერო კადრების მომზადებასა და მეცნიერებატევადი დარგების განვითარების ხელშეწყობას. აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, რომელიც გულისხმობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სისტემას და ხარისხის მართვის მექანიზმების ფუნქცინირების გაუმჯობესებას. ამასთან, აქ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ახალ სისტემაზე გადასვლას, ისეთ პერსპექტიულ სფეროში, როგორიცაა უმაღლესი განათლება, სჭირდება საკუთარი, ეროვნული ბალავარი, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო ისტორიულ ტრადიციებზე დგას და მისი გათვალისწინება აუცილებელია.

ამასთან ერთად, ეს პროცესი ითვალისწინებს სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში ეტაპობრივ ინტეგრაციასა და თანამშრომლობას სხვა საერთაშორისო სისტემებში თანაბარუფლებიან მონაწილეობას.

ყოველივე ეს მოითხოვს პიროვნების მომზადებას ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც თანამედროვე ინოვაციურ სამეცნიერო ცოდნასა და მაღალ ტექნოლოგიურ მიღწევებზე იქნება ორიენტირებული.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ უკვე დღეისათვის მნიშნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო თანამშრომლობა უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სტუდენტთა და აკადემიური პერსონალი სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას მაღალრეიტინგულ უმაღლეს სასწავლებლებში. ეს კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თანამედროვე

ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებას საქართველოში, რაც მეცნიერული ინტეგრაციისათვის აუცილებელი პირობაა.

საყურადღებოა ევროკავშირის მიერ შემუშავებული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“, რომელშიც დასახულია ხანგრძლივი პერიოდის თანამშრომლობა, რომელიც ეფუძნება საერთო ღირებულებების ერთგულებას და პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების ეფექტიან განხორციელებას. აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სწორედ საქართველოს საგანმანათლებლო კანონმდებლობის დაახლოების პროცესი ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

საგანმანათლებლო სისტემა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში რადიკალურად განსხვავებულია. მისი ამოსავალი საფუძველია ტრადიციები, ზნეჩვეულებები და განათლების დონე. ჩვენს მიერ შესწავლილი საკითხები სხვადასხვა ქვეყნების განათლების სფეროში გვიჩვენებს, რომ მსოფლიოში ყველაზე წარმატებული სისტემის შვიდი პრინციპი არსებობს. ასეთ კვლევას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია სამ წელიწადში ერთხელ ატარებს. განსაკუთრებით საინტერესოა ფინეთის საგანმანათლებლო სისტემა, როგორც ყველაზე მაღალი ცოდნის დონით გამოირჩევა. გარდა ამისა, ფინელი მოსწავლეები არიან პლანეტის ბავშვთა შორის ყველაზე მკითხველი ბავშვები, მათ მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და მეხუთე – მათემატიკაში. პედაგოგიური საზოგადოების გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ფინეთში სასწავლო პროცესი დიდი ხანგრძლივობით არ გამოირჩევა.

ამასთან, საინტერესოა ფინური განათლების შვიდი პრინციპი. ესენია:

1. თანასწორობა. ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ განათლებაში არ არსებობენ ელიტური და სუსტი მოსწავლეები. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე მრავალრიცხოვან სკოლაში 1000-მდე მოსწავლე სწავლობს. ყველას ერთნაირი სასკოლო აღჭურვილობა და დაფინანსება აქვს. თითქმის ყველა სკოლა არის სახელმწიფოს კუთვნილება. მხოლოდ რამდენიმე ნახევრადკერძო სკოლაა, სადაც სწავლა ფასიანია და ეს ხდება მშობლების დაფინანსებით. კერძო სკოლებში სწავლის

პროცესი უცხო ენებზე მიმდინარეობს. თუმცა განათლების მიღება შვედურ ენაზეცაა შესაძლებელი. საინტერესოა ისიც, რომ ფინურ სკოლებში არ არსებობს პრივილეგირებული საგნები. არც ერთი საგანი არაა მნიშვნელოვანი მეორეზე. ამასთან გამონაკლისებიც არსებობს ნიჭიერი ბავშვებისათვის, რომლებისთვისაც იქმნება ცალკე და სხვა.

2. მშობლები. მოსწავლის მშობლების პროფესია კონფიდენციალურ ინფორმაციას განეკუთვნება და მისი გაგება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია შესაძლებელი. გარდა ამისა მოსწავლეები არ იყოფა უნარების ან კარიერული შესაძლებლობების მიხედვით, რადგან მათი შედარება აკრძალულია. ყველა მოსწავლე ერთნაირად ითვლება „განსაკუთრებულად“ და სწავლობენ ერთად. ფინელები ცდილობენ საზოგადოებაში მაქსიმალური ინტეგრირება მოახდინონ, მათთვის, ვისაც განსაკუთრებული დამოკიდებულება სჭირდება.

რაც შეეხებათ მასწავლებლებს, ისინი არ ავლენენ განსაკუთრებულ სიყვარულს ან უარყოფით დამოკიდებულებას რომელიმე მოსწავლისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი კონტრაქტი წყდება. ფინელი მასწავლებლები ერთნაირად ასრულებენ მენტორის მითითებებს. შრომით კოლექტივში ყველა საგნის პედაგოგი თანაბრად მნიშვნელოვანია. პედაგოგს მხოლოდ 1-წლიანი კონტრაქტი უფორმდება (გაგრძელების შესაძლებლობით). ხელფასი მაღალია და 2 500-იდან 5 000 ევრომდე აღწევს.ფინური პრინციპით, მოსწავლეებისადმი პატივისცემა აუცილებელია. პატარებს პირველი კლასიდანვე ეცნობებათ თავიანთი უფლებები, ასევე სოციალურ შრომაში ჩართვის გასაჩივრების შესაძლებლობები. ეს ყველაფერი მშობლებს აჩვენებს, რომ ბავშვი დამოუკიდებელი პიროვნებაა.

3. ინვესტორი სახელმწიფო. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს როლი და ვალდებულება მნიშვნელოვნად იზრდება განათლების სფეროში. ეს ვლინდება უპირატესად იმაში, რომ ფინანსდება კვება, ტრანსპორტი, კულტურული ღონისძიებები, მათი მატერიალური უზრუნველყოფა. ამასთან ნებისმიერი ფინანსური პრობლემისაგან მშობელი განთავისუფლებულია.

4. ინდივიდუალურობა. ყველა ბავშვისთვის განათლებისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმაა შედგენილი. ეს ეხება

სახელმძღვანელოებს, დავალებებს, დროს, ასევე სასწავლო მასალას. გაკვეთილზე ერთსა და იმავე კლასში, ბავშვები სხვადასხვა სირთულის დავალებებს ასრულებენ და მათი შეფასებაც პერსონალურ დონეზე ხდება. ვინც საშუალო დონის დავალებას მაღალ დონეზე შეასრულებს, შემდეგ დღეს უფრო რთულ დავალებას მისცემენ, ხოლო თუ ვერ გაუმკლავდება, კვლავ მსუბუქი დატვირთვით იმუშავებს მომდევნო დღეს.

5. პრაქტიკულობა. ფინურ სკოლებში არსებობს დევიზი: „ან ცხოვრებისთვის ვემზადებით, ან – გამოცდებისთვის“.

აქ ისინი პირველს ირჩევენ. ამიტომაც, ფინური სკოლებში გამოცდები არ ტარდება. არსებობს მხოლოდ აუცილებელი ტესტი საშუალო სკოლის დამთავრებისას. სკოლაში მხოლოდ იმას სთავაზობენ, რაც ცხოვრებაში გამოსადეგია. სამაგიეროდ, ბავშვებმა პატარაობიდანვე იციან, რას ნიშნავს პორტფოლიო, კონტრაქტი, საბანკო ბარათი. იციან პროცენტის გამოთვლა, სავიზიტო საიტის შექმნა ინტერნეტში და ა.შ.

6. ნდობა. სკოლაში მომუშავეთათვის არ არსებობს შემოწმებები, მეთოდისტები. განათლების სისტემა ქვეყანაში ერთიანია, მაგრამ მხოლოდ საერთო რეკომენდაციებს მოიცავს და ყოველი პედაგოგი სწავლების იმ მეთოდს იყენებს, რომელსაც შესაფერისად თვლის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოსწავლეებისადმი ნდობა. მაგალითად, თუკი ლიტერატურის გაკვეთილზე ჩართულია შემეცნებითი ფილმი, მაგრამ მოსწავლეს არ აინტერესებს, შეუძლია იკითხოს წიგნი.

7. ნებაყოფლობითობა. სწავლობს ის, ვისაც უნდა სწავლა. პედაგოგები ცდილობენ მოსწავლის ყურადღება მიიპყრონ, მაგრამ თუ მას ინტერესი და სწავლის სურვილი არ გააჩნია, მოსწავლის ორიენტირება პრაქტიკულ მომავალზე უნდა მოხდეს. ყველას არ შეუძლია ააწყოს თვითმფრინავი, ვიღაცამ ავტობუსი უნდა მართოს.

ფინურ სკოლებში, ტიპიურ სწავლებასთან ერთად, არსებობს ორი უნიკალური საგანმანათლებლო პროცესი:

1.ხელშემწყობი სწავლება „სუსტი“ მოსწავლეებისთვის: რაც ჩვენთან რეპეტიტორებს აკისრიათ, ფინელი მასწავლებლები ნებაყოფლობით ასრულებენ გაკვეთილებს შორის ან მათ შემდეგ.

2.კორექციული სწავლება: მასალის დაუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების დროს, მაგალითად, როცა მოსწავლე არ ფლობს ფინურ ენას; აქვს მახსოვრობასთან ან მათემატიკასთან დაკავშირებული პრობლემები, ტარდება კორექციული სწავლება, რაც მიმდინარეობს მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად.

ფინელები საშუალო სკოლის ამოცანას იმაშიც ხედავენ, აქვს თუ არა აზრი სწავლის გაგრძელებას მაღალ საფეხურზე, თუ სჯობს პროფესიულ სასწავლებელში გადასვლა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ორივე გზა ერთნაირად დაფასებულია. კლასში ჩატოვება კი ფინურ სკოლებში სირცხვილად არ ითვლება, განსაკუთრებით მეცხრე კლასის თითოეული ბავშვის მიდრეკილებების გამოვლენაზე, საუბრისა და ტესტების გზით, მუშაობს სპეციალისტი, რომელსაც „მომავლის მასწავლებელი“ ეწოდება.

საერთო ჯამში, ფინური სწავლების მეთოდი, სკოლებში რბილი და დელიკატურია, მაგრამ სასკოლო რეჟიმის კონტროლი აუცილებელია. გაკვეთილის გაცდენის გამო, შესაძლებელია, მეექვსე კლასის მოსწავლე მეორე კლასის გაკვეთილზე დასვან, მისთვის მოსაწყენ გარემოში, სადაც პატარებისთვის ხელის შეშლა ეკრძალება. დავალებების შეუსრულებლობის და მასწავლებლის შეურაცხყოფისთვის მშობელს არავინ დაიბარებს და არც მოსწავლეს შეურაცხყოფენ. ამისთვის არსებობს დამატებითი (არასავალდებულო) მეათე კლასი.

დამოუკიდებლობა. ფინელების რჩევით, სკოლამ ბავშვს უნდა მისცეს მთავარი – დამოუკიდებელი, წარმატებული ცხოვრება მომავალში. ამიტომ, ისინი ფიქრს და თვითშემეცნებას ასწავლიან. მთავარია არა დაზეპირებული ფორმულები, არამედ სახელმძღვანელოს, ინტერნეტის და სხვა საჭირო რესურსების გამოყენება მომავალი პრობლემების გადასაჭრელად.

მიღებულია ქვეყანაში ათბალიანი სისტემა, მეშვიდე კლასამდე კი სიტყვიერი შეფასება გამოიყენება: საშუალო, დამაკმაყოფილებელი, კარგი და ძალიან კარგი.

ერთი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ ყველა სკოლა ჩართულია სახელმწიფო ელექტრონულ სისტემაში, რომელიც ელექტრონული სასკოლო დღიურივითაა. მშობლები სარგებლობენ პირადი კოდით, რომლითაც მასწავლებლის, ფსიქოლოგის და

სკოლის სხვა თანამშრომლების მიერ დაწერილ შეფასებებს ეცნობიან. ნიშნებს ფინურ სკოლებში დამსჯელი ფუნქცია არ გააჩნია და თავად მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად გამოიყენება. ეს არანაირად არ აისახება მასწავლებლის და სკოლის რეპუტაციაზე.

ასეთია ფინური საშუალო განათლება, რომელიც საფუძველს უყრის პროგრესული სწავლა-განათლების პროცესს. ეს კი მომავალი სპეციალისტებისა და მკვლევარი-მეცნიერების გაზრდის უალტერნატივო შესაძლებლობებს იძლევა. ამ მიმართულებით მიდის მუდმივად ძიებისა და კვლევის პროცესი თუ, რამდენად შეესაბამება სასკოლო სისტემა საზოგადოებრივ ცვლილებებს. ყოველივე ეს ჯანსაღი ახალგაზრდების აღზრდის შესაძლებლობებს იძლევა, რაც აისახება კიდევაც ფინეთის სახელმწიფოს განვითარებასა და ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრების მაღალ დონეში.

დასკვნები

ზემოთ განხილული საკითხები იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას:

განათლების სისტემის მდგომარეობის გაუმჯობესება ყველა ქვეყნისათვის და, განსაკუთრებით საქართველოსთვის, შეუქცევადი პროცესია. იგი მოითხოვს მუდმივ სრულყოფასა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების თანმიმდევრულ დანერგვას ჩვენს განათლების სფეროში, რომელიც დღეის მდგომარეობით საჭიროებს მნიშნელოვან რეფორმირებას.

განათლების სისტემის სრულყოფა თანამედროვეობის მოთხოვნაა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ინოვაციური პროცესების მართვის სრულყოფასთან და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პერსპექტივასთან. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კაცობრიობის მომავლის საწინდარია და მისი რეალიზაცია განვითარებად ქვეყნებში ხელშემწყობი ფაქტორი გახდება მათი წინსვლისა და პროგრესის გზაზე.

განათლების სისტემა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის შეძენის აუცილებელი პირობა, ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესების საფუძველი გახდება.

საქართველოში საგანმანათლებლო სისტემის დაახლოებისათვის ევროპულ პროცესებთან, აუცილებლად მიგვაჩნია ფინური განათლების შვიდი პრინციპის გათვალისწინება და მისი კანონმდებლობით განმტკიცება. ეს სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ძლიერ წინაპირობას შექმნის და პროფესიონალიზმის ხარისხს შესამჩნევად გააუმჯობესებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;

2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;

3. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;

4. ევროკავშირის სტრატეგია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისთვის 2018–2020;

5. ევროკავშირის სტრატეგია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისთვის 2014 – 2017 წწ;

6. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 წწ.(პროექტი);

7. საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

8. Hattie J. C. (2009). Visible Learning: A Synthesis of Over 800 Meta- Analyses Relating to Achievement. London & New York: Routledge, Taylor & Francis Group (пер. с англ. Н. В. Селивановой. М.: Национальное образование, 2017). 496 с.

Murman Kvaratskhelia

THE CURRENT STATE OF THE EDUCATION SYSTEM AND WAYS TO IMPROVE IT IN GEORGIA

Summary

The educational system is the most sensitive and strategic field in the world. Scientific-technological progress is inconceivable without it, as a result of which its importance and role in the global world is changing. It is also known that this field is involved in a constant dynamic process. Therefore, this sphere requires research of the policy system, critical evaluation, and defining its perspective. Practice has proved that in the major classically developed and developing countries educational system is

considered to be a priority in the first category. There are many proven approaches that are proven in life and fall into the interests of countries.

რევაზ ჯავახიშვილი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და გეოგრაფია საქართველოში

ანოტაცია. *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ფორმა, უდიდეს როლს ასრულებს მსოფლიო, ეროვნული და, განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის რეფორმირებასა და აღორძინებაში. ნაშრომში გაანალიზებულია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეკონომიკის რეფორმირებისა და განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის ძირითადი ტენდენციები და მის გეოგრაფიაში მომხდარი ცვლილებები. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული, კორონავირუსის პანდემიის პირობებში, მასთან თანაარსებობისა და თანაცხოვრების, მის მიერ წარმოშობილი ეკონომიკური კრიზისებისა და შოკების დაძლევისა და მართვის მექანიზმების შექმნისა და გამოყენების აუცილებლობაზე.*

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიციები, საინვესტიციო გარემო, საინვესტიციო პროექტები, საინვესტიციო აქტივობა, ეკონომიკური შოკები, სტაბილური ინვესტორები.*

შესავალი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - ეს არის კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ფორმა, რომელიც გულისხმობს უცხოური აქტივების შეძენას მათზე კონტროლის განხორციელების მიზნით. განუზომლად დიდია საზღვარგარეთული ინვესტიციების როლი როგორც მსოფლიო ეკონომიკის, ისე ეროვნულ ეკონომიკათა განვითარებაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდას, თანა-

მედროვე ინოვაციების და უახლესი ტექნოლოგების დანერგვას, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყნის სავალუტო შემოსავლების გადიდებას, საბანკო-საპროცენტო განაკვეთების შემცირებასა და საკრედიტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, სავაჭრო და საგადასამხდელო ბალანსების გაუმჯობესებას, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებასა და ა.შ. ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ რესტრუქტურიზაციაში, რის გამოც ინვესტიციური ნაკადების ზრდა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ელემენტია.

* * *

თანამედროვე ეტაპზე უცხოური ინვესტიციები იქცა როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. მისი როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება გლობალიზაციის ეპოქაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ინოვაციური საქმიანობის გაფართოების პირობებში. ამაზე ნათლად მეტყველებს ის, რომ თუ პირველი მსოფლიო ომის დროს უცხოური ინვესტიციები შეადგენდა მსოფლიო კაპიტალდაბანდებების მხოლოდ 10%-ს, გასული საუკუნის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 3-ჯერ გაიზარდა [9].

ამჟამად, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო საფინანსო რესურსების დიდ ნაწილს ძირითადად განვითარებული ქვეყნები ფლობენ, რომელთა მოძრაობა ინვესტირების გზით ხორციელდება. ბოლო დროს უცხოური ინვესტიციები ძალზე სწრაფი ტემპით იზრდება. ასე მაგალითად, გასული საუკუნის ბოლო 30 წლის განმავლობაში იგი 100 მლრდ დოლარიდან 68 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა, რაც მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებაზე მიგვანიშნებს [4].

პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები დიდ როლს ასრულებს როგორც ინვესტორი, ისე რეციპიენტი

ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციაში. თანამედროვე მსოფლიოში კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყნებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს შემოსავლების მიღებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეალურ საშუალებას, საქონლის წარმოებისა და მომსახურების მოცულობის გაფართოების მნიშვნელოვან წყაროს. კაპიტალმიმღები ქვეყნებისთვის კი უცხოური ინვესტიციები არის ეკონომიკის განვითარების ძირითადი (ზოგჯერ ერთადერთი) წყარო, საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის მთავარი საშუალება. საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ძალზე დიდია განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის მქონე და განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება არსებითადაა დამოკიდებული უცხოური კაპიტალდაბანდებების მოცულობის ზრდასა და მათ ეფექტიან გამოყენებაზე.

საქართველო, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა, არსებითად არის დაინტერესებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. ქვეყანა თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რგოლი, განვითარებული ქვეყნების მხრივ ყოველთვის იყო და არის მუდმივი ყურადღების ცენტრში. საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ინვესტიციების მოზიდვის წახალისებისა და მათი დაცვის მიზნით, საკანონმდებლო ბაზის შექმნის მიმართულებით. კერძოდ, 1991 წლის ივლისში მიღებულ იქნა კანონი "უცხოური ინვესტიციების შესახებ", ხოლო იმავე წლის აგვისტოში _ კანონი "საინვესტიციო საქმიანობის შესახებ".

1995 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო უკვე მეორე კანონი "უცხოური ინვესტიციების შესახებ", რითაც შემდგომში ძალადაკარგულად გამოცხადდა ყველა ზემოთ დასახელებული კანონი თავისი დამატებებით. 1996 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", რომელშიც 1997, 1998 დ 1999 წლებში სამჯერადი ცვლილებების შეტანის შემდეგ,

საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჩვენს ქვეყანაში როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების განხორციელებისა და მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები.

დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინების მოცულობა იყო ძალზე მცირე, რაც განსაზღვრული იყო მისი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და, ზოგადად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში, ფულად-საკრედიტო სისტემის მოშლისა და სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის უქონლობის პირობებში, ქვეყანაში თავი იჩინა ჰიპერინფლაციამ, რამაც, უმძიმესი ენერგეტიკული კრიზისის ფონზე, განაპირობა ეროვნული ეკონომიკის სრული კოლაფსი. 1990-1994 წწ. საქართველოში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 6-ჯერ, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი 3,5-ჯერ შემცირდა [8].

სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ანტიკრიზისული პროგრამის განხორციელების შედეგად, ქვეყანაში შეჩერდა ჰიპერინფლაცია და გარკვეული ზომით მიღწეულ იქნა ფინანსური სტაბილიზაცია. 1996-1997 წწ. ეკონომიკური ზრდის ტემპმა 10-11%-ს მიაღწია. ცხადია, ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებასა და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რაზედაც ნათლად მეტყველებს 1-ლი დიაგრამის მონაცემები.



დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2000-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი) [7]

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 21-ე საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, მისი ზრდა ცალკეული პერიოდების მიხედვით განსხვავებულია, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირების ცალკეულ ეტაპებთან. როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების საწყის ეტაპზე (1995-1998), საქართველოში უცხოური ინვესტიციები ფაქტობრივად არ შემოსულა (გარდა 3753 ათასი დოლარი უკრაინული ინვესტიციისა), შემდგომში კი, ქვეყანაში მათი შემოდინება თანდათან მატულობდა, თუმცა, მომდევნო პერიოდში (2002 წლამდე), მისი დონე კვლავ დაბალი იყო. ეს გარემოება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებით, კორუფციის მაღალი დონით, ქვეყნის არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობითა და ინვესტირების სხვა არახელსაყრელი გარემოებების არსებობით იყო განპირობებული.

შემდგომ პერიოდში კი, განსაკუთრებით 2003 წლიდან, საქართველოში მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და

საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან ერთად, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება კვლავ ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2000-2006 წწ. ეს მაჩვენებელი 8,7-ჯერ გადიდდა და 2006 წელს 1190,4 მლნ დოლარს მიაღწია, რაც 2,5-ჯერ მეტი იყო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ინვესტიციების შემოსვლა კვლავ მაღალი იყო 2007 წელსაც, როცა მან 2 მლრდ დოლარს გადააჭარბა და წინა წელთან შედარებით 69,2%-ით, ხოლო 2000 წელთან მიმართებაში 15,4-ჯერ გაიზარდა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს განპირობებული იყო ბოლო პერიოდში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებით, ქვეყნის გავლით ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობასა და რეაბილიტაციასთან, საპორტო ნაგებობების, აეროპორტებისა და სხვა მსხვილი ობიექტების პრივატიზაციასა და მშენებლობასთან დაკავშირებით, ქვეყანაში მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების შემოსვლით. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსახლეობის დასაქმების ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებასა და, საერთოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გარკვეულ გაუმჯობესებას.

რაც შეეხება მომდევნო 2008 წელს, საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა, წინა წელთან შედარებით, თითქმის ნახევარი მლრდ დოლარით, ანუ 23%-ით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო 2008 წლის აგვისტოს საყოველთაოდ ცნობილი მოვლენებით, კერძოდ, საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიით, რამაც საგრძნობლად გააუარესა ქვეყნის საინვესტიციო იმიჯი და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეამცირა ინვესტიციების შემოსვლის მოცულობა, კერძოდ, 2008 წლის მე-3 კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა 605,4 მლნ დოლარიდან 134,7 მლნ დოლარამდე, ანუ 77,8%-ით შემცირდა. საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევისა და განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2008 წლის მე-4 კვარტალში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის ზრდის მიუხედავად, ასეთი ტენდენცია 2009 წელსაც გაგრძელდა, როცა ქვეყანაში შემოვიდა სულ 658,4 მლნ დოლარის ინვესტიცია, ანუ წინა წელთან შედარებით 2.4-ჯერ, ხოლო 3-ჯერ და უფრო მეტად ნაკლები, ვიდრე 2007 წელს.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდა შეიმჩნევა 2010 წლიდან. იგი განსაკუთრებით დიდი იყო 2011 წელს, როცა მან 1117 მლნ დოლარს გადააჭარბა და 2009 წელთან შედარებით, 458,8 მლნ დოლარით, ანუ 1,7-ჯერ გაიზარდა. 2012, 2013 წლებში მისი გარკვეული შემცირების მიუხედავად, ხელისუფლებაში "ქართული ოცნების" მოსვლისა და ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების შემდეგ, 2013 წლიდან, შეიმჩნევა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ზრდა, კერძოდ, 2014 წელს ამ მაჩვენებელმა 1836,9 მლნ დოლარს მიაღწია, რაც 925,3 მლნ დოლარით, ანუ 2-ჯერ და უფრო მეტი იყო, ვიდრე 2012 წელს. მომდევნო 2015 და 2016 წლებში ქვეყანაში, მიუხედავად მისი შემოდინების უმნიშვნელო შემცირებისა, 2017 წელს მან 1962,6 მლნ დოლარს მიაღწია, რაც 1 მლრდ-ით, ანუ 2,2-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე 2012 წელს. მომდევნო 2018 წელს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზომით (თითქმის 700 მლნ დოლარით) შემცირების მიუხედავად, 2019 წელს უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, კვლავ შეიმჩნევა მისი ზრდის ტენდენცია.

საერთოდ კი, როგორც უკვე აღინიშნა, 2018-2019 წლებში, წინა წლებთან შედარებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა საგრძნობლად შემცირდა, რაც ძირითადად განპირობებულია ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული და საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების (კერძოდ, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი) დასრულებით, აგრეთვე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების ვალდებულებების (საკრედიტო დავალიანების დაფარვით) და რეინვესტიციების მოცულობის შემცირებით. გარდა ამისა, ეს მდგომარეობა უნდა აიხსნას ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებით, ბოლო დროს შიდაპარტიული კინკლაობისა და ბრძოლის გამწვავებით, რამაც საგრძნობლად გააუარესა ქვეყნის საგარეო იმიჯი, მისი საინვესტიციო გარემო და მნიშვნელოვნად განსაზღვრა უცხოური ინვესტიციების შემოსვლის შემცირება.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების შემცირების ტენდენცია 2020 წელსაც გაგრძელდა, კერძოდ, 2020 წლის პირველ კვარტალში საქართველოში შემოვიდა სულ 165,4

მლნ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია, რაც 41,7%-ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მეორე კვარტალში, 2019 წლის ამავე კვარტალთან შედარებით, ინვესტიციების შემოდინების უმნიშვნელო (0,6%-ით) ზრდის მიუხედავად, მთლიანად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა 25,6%-ით შემცირდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციების შემცირება უკავშირდება მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულებასა და რამდენიმე საწარმოს საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში გადასვლას, აგრეთვე, 87,0 მლნ აშშ დოლარით სავალო ვალდებულებების შემცირებას, რაც სესხების გასტუმრებითა და მათი აღების შემცირებითაა განპირობებული.

გარდა ზემოაღნიშნული გარემოებებისა, საქართველოში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის შემცირება განსაზღვრა მსოფლიოს მასშტაბით კორონავირუსის სწრაფად გავრცელებამ. ამ ფონზე, წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) კლებამ 7,7% შეადგინა, ხოლო 2020 წლის პირველი ნახევრის საშუალო მაჩვენებელი 5,8%-ის დონეზე დაფიქსირდა. პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, საგრძნობლად გაზარდა ინფლაციის, უმუშევრობისა და სიღარიბის დონე.

კორონავირუსის ეპიდემიამ რადიკალურად შეარყია ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორის ფუნქციონირება, მაგრამ მან მაინც ყველაზე დიდი დარტყმა, პირველ რიგში, ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს მიაყენა. ამის ნათელი დადასტურებაა 2020 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის საგრძნობი შემცირება, კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში ექსპორტი შემცირდა 16%-ით და 1.503,4 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 19,1%-ით ნაკლებია წინა წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელზე და შეადგენს 3550,5 მლნ დოლარს. სავაჭრო დეფიციტმა კი 2047,0 მლნ დოლარი, ანუ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 40,5% შეადგინა. 2020 წლის

იანვარ-ივნისში ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3,0%-ით შემცირდა და 1078,1 მლნ დოლარს, ანუ მთლიანი ექსპორტის 71,7%-ს გაუტოლდა [7].

კორონავირუსის პანდემიამ განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ტურისტულ მეურნეობას. აღსანიშნავია, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში საქართველოში ტურიზმი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2019 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ქვეყანაში 7,3%-ით გაიზარდა და 7725,8 ათასი შეადგინა, საკუთრივ ტურისტული ვიზიტების რაოდენობა კი 6,8%-ით გადიდდა და 5080,5 ათას მლნ-ს გადააჭარბა. 2019 წელს მოგზაურობიდან შემოსავლებმა 3268,7 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 1,4%-ით (46,6 მლნ დოლარით) აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, კორონავირუსის გავრცელების გამო, მოსალოდნელია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი კლება. ქვეყანაში ამ მოვლენასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2020 წლის მარტის მეორე ნახევრიდან, კერძოდ, 18 მარტიდან სრულიად შეწყდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უცხო ქვეყნების მოქალაქეთა შემოსვლა. 2020 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ, თებერვალში საერთაშორისო მოგზაურობის აკრძალვების შედეგად, ქვეყანაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 5,2%-ით, მარტში - 69,8%-ით, აპრილში - 96,8%-ით და მაისში - 96,6%-ით შემცირდა, და მხოლოდ 9,1 მლნ დოლარი შეადგინა. ეს მაშინ, როცა წინა წლის მაისში აღნიშნული მაჩვენებელი 270 მლნ დოლარს აჭარბებდა [8].

კორონავირუსის პანდემიის გამო საგარეო მოთხოვნის და ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შენელება უარყოფითად მოქმედებს ფულადი გზავნილების მოცულობაზეც, რომელმაც რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია 2019 წელს, როცა იგი წინა წელთან შედარებით 9,7%-ით გაიზარდა და 1733,3 მლნ დოლარს მიაღწია. კორონავირუსის ფონზე კი მიმდინარე წელს ასეთი გზავნილები საგრძნობლად მცირდება.

2020 წლის პირველ ნახევარში წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, იგი 4,6%-ით შემცირდა და შეადგინა მხოლოდ 769,0 მლნ დოლარი. ამ პერიოდში რუსეთიდან გზავნილების მოცულობა შემცირებულია 26,6%-ით, ევროკავშირის ქვეყნებიდან კი იგი 5,5%-ით გადიდდა და 330,7 მლნ დოლარს გაუტოლდა [7].

საერთოდ კი, 2020 წელს, კორონავირუსის ეპიდემიის გამო ტურისტული ნაკადების მნიშვნელოვანი შემცირების, საგარეო ვაჭრობისა და ფულადი გზავნილების შესუსტების ფონზე, მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა. პირველ კვარტალში მისმა დეფიციტმა 417,7 მლნ დოლარი შეადგინა და, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 193,4 მლნ დოლარით (86,2%ით) გაიზარდა. მშპ-სთან მიმართებით ასეთი დეფიციტი 11%-ით გადიდდა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5,2 %-ით გაუარესდა. ყოველივე ეს უკავშირდება ვირუსის გავრცელების შედეგად საგარეო მოთხოვნის შემცირებას, გლობალური საინვესტიციო აქტივობის შესუსტებასა და აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უცხო ქვეყნების მოქალაქეების შემოსვლის აკრძალვას.

ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გამოიყენებოდა მის ცალკეულ რეგიონებში. იმის შესახებ, თუ როგორი იყო ბოლო ათი წლის განმავლობაში (2009-2019) საქართველოში შემოსული ინვესტიციების გამოყენება მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით, ამის ნათელ სურათს გვიქმნის 1-ლი ცხრილის მონაცემები.

ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში შემოვიდა სულ 7486,2 მლნ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. მათი დიდი ნაწილი გამოყენებული იქნა თბილისსა და აჭარაში, სადაც ყველაზე მეტად ხორციელდებოდა საწარმოო, სამშენებლო, საგზაო-სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურული თუ სოციალური დანიშნულების მსხვილმასშტაბიანი პროექტები. 2019 წელს ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 4/5 მოდის სწორედ ამ ორ რეგიონზე _ თბილისსა (64,7%) და აჭარაზე (16,3%). შემდეგ მოდის სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და სამეგრელოს, ზემო სვანეთის

რეგიონები. რაც შეეხება კახეთს, გურიას, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს, აგრეთვე შიდა ქართლს, ამ რეგიონებში ეს მაჩვენებლები შედარებით დაბალია, რაც უნდა აიხსნას აქ 2017-2018წწ. შედარებით მსხვილმასშტაბიანი პროექტების დასრულებით.

სამომავლოდ, პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლის ზრდასთან ერთად, კვლავ გაიზრდება მათი გამოყენების მაჩვენებლები ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში, თუმცა, მათ შორის განსხვავება კვლავაც იარსებებს გამომდინარე იქიდან, თუ როგორი იქნება ამა თუ იმ რეგიონში როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული სამუშაოების მოცულობა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უცხოური ინვესტიციების გამოყენება არა მხოლოდ ქვეყნის ცალკეული რეგიონების, არამედ ეკონომიკის ცალკეული სექტორებისა და დარგების მიხედვითაც. 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაწილი – 261,8 მლნ დოლარი, ანუ მთელი ინვესტიციების 20,6%, საფინანსო სექტორმა მიიღო. შემდეგ მოდის ენერგეტიკა - 193,9 მლნ დოლარი (15,3%), სასტუმროები და რესტორნები - 157,5 მლნ (12,4%), მშენებლობა - 118,5 მლნ (9,3%) და დამამუშავებელი მრეწველობა - 102,2 მლნ (8,1%), ტრანსპორტი – 71,5 მლნ (5,6%), სამთომოპოვებითი მრეწველობა – 68,7 მლნ (5,4%), კავშირგაბმულობა - 45,4 მლნ (3,6%), დანარჩენი სექტორები – 248.2 მლნ (19,6%).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების განაწილება ცალკეული სექტორებისა და დარგების მიხედვით გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება. საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია მათი გამოყენება მატერიალური წარმოების წამყვან დარგებში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვა), განათლებაში (1,3%), პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობაში (0,7%), ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაში (2,6%). ეს მაშინ, როცა მმართველობისა და თავდაცვის სფეროში გამოყენებულია მისი თითქმის მეოთხედი (24,4%) [6].

ცხრილი 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში
ცალკეული რეგიონების მიხედვით 2009-2019წწ. (მლნ დოლ.)

რეგიონები	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2019 %-ით
ინვესტიციები – სულ	666.8	865.6	1134.0	1048.2	1039.2	1837.0	1729.1	1650.3	1962.6	1265.2	1267.7	100.0
1. ქ. თბილისი	351.7	606.7	786.2	772.7	750.3	1343.1	1383.3	1415.4	1514.7	1033.4	820.2	64.7
2. აჭარა	99.4	58.9	95.8	72.2	83.1	169.0	207.8	108.4	209.6	75.6	207.0	16.3
3. კახეთი	4.2	-4.8	2.8	16.6	11.0	15.8	17.5	3.4	12.1	-9.9	6.0	0.5
4. სამცხე-ჯავახეთი	-4.6	23.0	12.2	26.4	51.8	74.3	31.3	30.8	38.9	44.8	62.9	5.0
5. ქვემო ქართლი	49.8	66.7	146.8	41.6	17.17	55.7	21.2	29.1	64.7	87.0	64.7	5.7
6. სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	100.4	25.3	70.1	66.2	66.3	93.4	50.7	34.7	55.9	-10.5	77.1	6.1
აქედან: სამეგრელო-ზემო სვანეთი	-	-	-	-	-	-	-	34.1	54.8	-10.8	74.4	5.9
გურია	-	-	-	-	-	-	-	0.6	1.1	0.3	2.7	0.2
7. იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	61.1	80.1	5.3	40.4	59.1	27.9	25.7	25.4	59.9	26.8	18.1	1.4
აქედან: იმერეთი	-	-	-	-	-	-	-	25.3	57.4	26.3	14.8	1.2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	-	-	-	-	-	-	0.6	2.5	0.5	3.3	0.3
8. შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	0.8	9.5	14.2	12.5	-015	57.6	-8.5	3.0	6.8	18.1	11.8	0.9
აქედან: შიდა ქართლი	-	-	-	-	-	-	-	4.5	1.1	15.2	0.4	0.03
მცხეთა-მთიანეთი	-	-	-	-	-	-	-	-1.5	5.7	2.9	11.4	0.9

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გეოგრაფიას, ანუ მსოფლიოს ცალკეული ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულ ინვესტიციებს, ეს მაჩვენებლები საკმაოდ განსხვავებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკის რეფორმებისა და მისი პოლიტიკური მდგომარეობის ცალკეული ეტაპების მიხედვით. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ეკონომიკის რეფორმირების საწყის ეტაპზე ქვეყანაში უცხოური ინევსტიციების შემოდინება უმნიშვნელო იყო. ამ პერიოდის ძირითადი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: უკრაინა, აზერბაიჯანი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, კორეა, შვეიცარია, რუსეთი, ნორვეგია, ნიდერლანდები, განვითარებისა და რეკონსტრუქციის ევროპული ბანკი და მსოფლიო ბანკი.

ეკონომიკური რეფორმირების შემდგომ ეტაპზე, საინვეს-ტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან ერთად, გარკვეულად იზრდება უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ფართოვდება და იცვლება მისი გეოგრაფია. 2005 წელს საქართველოში შემოვიდა სულ 449,8 მლნ დოლარის უცხოური ინვესტიცია. ძირითადი ინვესტორი ქვეყნები კი იყვნენ: დიდი ბრიტანეთი – 132.9 მლნ, აზერბაიჯანი – 66,9, კვიპროსი - 47,5, რუსეთი – 38.7, ნორვეგია – 23.6, იტალია – 22.8, თურქეთი – 21.8, იაპონია – 16,6, აშშ – 15,0, საფრანგეთი – 14.4 და ჩინეთი – 5.7 მლნ დოლარი.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობის ინვესტიციები შემოვიდა 2007 წელს, როცა მისმა მოცულობამ 2 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. შეიცვალა მისი გეოგრაფიაც, ინვესტორთა შორის ძლიერი პოზიციები დაიკავეს აზიურმა ქვეყნებმაც. ამ წელს ყველაზე დიდი ინვესტორები იყვნენ ნიდერლანდები – 289.3 მლნ, ჩეხეთი – 228.0, დანია – 158.1, კვიპროსი – 148.6, გაერთიანებული სამეფო – 145.5, არა-ბეთის გაერთიანებული ემირატები – 130.9 (მომდევნო წელს მან განახორციელა 306.6 მლნ დოლარის ინვესტიცია), თურქეთი - 93.9, რუსეთი – 89,0, ყაზახეთი – 88.5 მლნ აშშ დოლარი. რაც შეეხება მომდევნო წლებს, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირების ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ,

2008 წელს, წინა წელთან შედარებით, იგი თითქმის ნახევარი მლრდ-ით, ანუ 23%-ით ნაკლები იყო, რაც განაპირობა 2008 წლის აგვისტოს საყოველთაოდ ცნობილმა მოვლენებმა.

საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევისა და დახმარების შედეგად, 2008 წლის მე-4 კვარტალში უცხოური ინვესტიციების ზრდის მიუხედავად, 2009 წელსაც ეს მაჩვენებელი კვლავ შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 2009 წელს, საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტორი ქვეყნები იყო: არაბეთის გაერთიანებული ემირატები – 169.8 მლნ დოლ. (მთლიანი უცხოური ინვესტიციების – 22,4%), ეგვიპტე – 167.5 (22.1%), ნიდერლანდები – 105.7 (13.9%), თურქეთი–89.5 (11.8%), პანამა – 73.4 (9.7%), დიდი ბრიტანეთი – 63.5 (8.4%), ჩეხეთი – 45.7 მლნ დოლარი (6.0%). 2000-2009 წწ. საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 7 მლრდ დოლარს გადააჭარბა, რამაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გათვლით (1 მლნ ინვესტიცია უდრის 50 სამუშაო ადგილს), ქვეყანაში შეიქმნა დაახლოებით 350 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი [8].

ბოლო წლებში საქართველოში პირდაპირი უცხორი ინვესტიციების ყველაზე დიდი რაოდენობით შემომტანი და, აგრეთვე, ყველაზე სტაბილური ინვესტორი ქვეყნების მაჩვენებლები მოყვანილია მე-2 ცხრილში. მონაცემებით დასტურდება, რომ 2019 წელს 10 უმსხვილესი ქვეყნის მიერ შემოტანილმა ინევსტიციებმა შეადგინა 1008,1 მლნ დოლარი, ანუ მთლიანად ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების 77.3%. აქედან პირველმა ხუთეულმა ქვეყანამ (გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, ირლანდია, აშშ და პანამა) განახორციელა 794.5 მლნ დოლარის ინვესტიცია, რაც შეადგენს მთლიანად ქვეყანაში გასულ წელს შემოსული ინვესტიციების 62.8%-ს.

რაც შეეხება ინვესტორი ქვეყნების სტაბილურობის მაჩვენებელს, იგი გაანგარიშებულ იქნა ძირითადი ინვესტორი ქვეყნების მიერ 2014-2019 წწ. განხორციელებული ინვესტიციების საშუალოწლიური მაჩვენებლის საფუძველზე. რა თქმა უნდა, ცხრილში მოყვანილი ძირითადი (ყველაზე დიდი) და სტაბილური ინვესტორი ქვეყნების თანმიმდევრობა (რიგითობა) ერთმანეთს არ ემთხვევა და ზოგჯერ ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამის საუკეთესო მაგალითია

აზერბაიჯანი, რომელიც 2019 წლის მონაცემებით საქართველოს ძირითადი ინვესტორი ქვეყნების ათეულში ბოლო ადგილს იკავებს, სტაბილური ინვესტორი ქვეყნების ჩამონათვალში კი პირველ ადგილზეა. ეს იმიტომ, რომ 2019 წელს მან საქართველოში ძალზე დაბალ დონეზე (სულ რაღაც 38.4 მლნ დოლარი, 84.4% ნაკლები წინა წელთან შედარებით) განახორციელა ინვესტირება, რაც უნდა აიხსნას წინა წლის მაგისტრალური გაზსადენის "შახდენისის" საბადოს ათვისების მეორე ფაზით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებით. მეორე მხრივ, ბოლო ათი წლის განმავლობაში და, განსაკუთრებით კი, 2014-2018 წწ., აზერბაიჯანს ჰქონდა საქართველოში ინვესტირების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები, რის გამოც ის პირველ ადგილზე მოექცა საქართველოს ყველაზე სტაბილური ინვესტორი ქვეყნების ჩამონათვალში.

აღნიშნულ სიაში მეორე ადგილს იკავებს გაერთიანებული სამეფო, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს იგი სათავეში ედგა საქართველოს ყველაზე მსხვილ ინვესტორ ქვეყნებს. აშშ-სა და რუსეთს ორივე ჩამონათვალში ერთი და იგივე (შესაბამისად მე-5 და მე-7) ადგილები უკავიათ. საქართველოს სტაბილური ინვესტორი ქვეყნების ჩამონათვალში მაღალი ადგილები უკავიათ: თურქეთსა (მე-4) და ჩინეთს (მე-6), განსხვავებით ირლანდიისა და პანამასგან, რომელთაც ძირითად ინვესტორ ქვეყნებს შორის უფრო მაღალი ადგილები უკავიათ, ვიდრე სტაბილური ინვესტორი ქვეყნების ჩამონათვალში. სამომავლოდ, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის გეოგრაფიაში მომხდარ მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ცალკეული ქვეყნების მიხედვით ინვესტირების სტაბილურობის მაჩვენებლები კვლავაც შეიცვლება.

ცხრილი 2

საქართველოს ყველაზე დიდი და სტაბილური ინვესტორი ქვეყნები 2014-2019 წწ. (მლნ დოლ.)

ქვეყნები	2014	2015	2016	2017	2018	2019 წ.		ყველაზე სტაბილური ინვესტორები		
						აბს.	%	ქვეყნები	ინვესტიციები 2014-2019 წწ.	საშ. წლიური ინვესტიციები
ინვესტიციები სულ	1837.0	1729.1	1650.3	1962.6	1265.2	1267.7	100.0			
მათ შორის: 1. გაერთიანებული სამეფო	108.8	398.8	85.2	247.5	178.8	247.8	19.6	1. აზერბაიჯანი	2301.0	382.6
2. თურქეთი	72.3	74.9	220.7	256.1	49.6	236.5	18.7	2. გაერთიანებული სამეფო	1266.9	211.2
3. ირლანდია	1.1	0.8	-351	0.2	5.2	132.7	10.5	3. ნიდერლანდები	1225.6	204.3
4. აშშ	184.4	18.9	59.3	79.3	102.6	99.0	7.8	4. თურქეთი	910.1	151.7
5. პანამა	70.7	9.5	75.8	23.8	74.6	78.1	6.2	5. აშშ	544.5	90.8
6. ნიდერლანდები	420.5	164.9	77.3	354.5	208.4	52.9	4.2	6. ჩინეთი	448.0	74.7
7. რუსეთი	87.9	52.4	28.4	51.3	69.6	50.5	4.0	7. რუსეთი	340.1	56.7
8. ჩინეთი	220.1	66.9	25.5	19.4	75.7	40.4	3.2	8. პანამა	332.5	55.4
9. იაპონია	-15.0	-34.6	5.8	18.4	4.8	39.2	3.1	9. ირლანდია	123.0	20.5
10. აზერბაიჯანი	340.5	581.7	555.1	462.0	246.4	38.4	3.0	10. იაპონია	68.4	11.4

საერთოდ კი, როგორც უკვე აღინიშნა, მიმდინარე 2020 წელს როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში, თავისუფალი ფინანსური სახსრების – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობა, კორონავირუსის გავრცელების გამო, საგრძნობლად შეიზღუდა. კორონავირუსის პანდემია გლობალური გამოწვევაა მსოფლიო მასშტაბით, რასაც შედეგად მოჰყვა ეკონომიკური აქტივობის საგრძნობი შენელება. კორონავირუსით განპირობებული კრიზისი და რეცესია თავისი მასშტაბითა და ზომით უფრო მეტია, ვიდრე 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლებით, 2020 წელს მოსალოდნელია ეკონომიკის რეალური 4,9%-ით კლება, რაც 2008-2009 წწ. გლობალურ ფინანსურ კრიზისთან შედარებით უფრო მაღალი ნეგატიური გავლენის მაჩვენებელია. 2021 წელს გლობალური ეკონომიკური ზრდა 5,4% იქნება, 2008 წელს კი იგი 3%-ით გაიზარდა, ხოლო 2009 წელს 0,1%-ით შემცირდა, რაც დღევანდელ კრიზისთან შედარებით უფრო მცირეა. ამასთან, კორონავირუსის კრიზისთან დაკავშირებული გაურკვევლობა გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს იყო 2008-2009 წწ. ფინანსური კრიზისის დროს.

კორონავირუსის პანდემია უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და მისი საინვესტიციო გარემოს ფორმირებაზე როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი არხებით, რაც არსებითადაა დამოკიდებული გლობალურ ეკონომიკურ აქტივობასა და მოლოდინებზე. კლასიკური ეკონომიკური კრიზისებისგან განსხვავებით, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ეკონომიკურ ფაქტორსა თუ სექტორთან, კორონა ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი (შოკი) ზემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე და საფრთხეს უქმნის მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვისა და მთლიანად ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას. იგი უარყოფით გავლენას ახდენს გლობალური და, შესაბამისად, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე, რაც საგრძნობლად ამცირებს მოთხოვნას ქართულ ექსპორტზე. ამ მხრივ, ძალზე საყურადღებოა ნავთობზე ფასების შემცირება, რაც ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების –

რუსეთისა და აზერბაიჯანის შემოსავლებისა და მოთხოვნის შემცირებას განაპირობებს. პანდემია უარყოფით გალენას ახდენს არა მხოლოდ საგარეო, არამედ შიდა მოთხოვნაზეც. ამ დროს, პირველადი მოხმარების საგნებსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირებასთან ერთად, მნიშვნელოვნად სუსტდება საინვესტიციო აქტივობაც. მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური შოკი, მოთხოვნასთან ერთად, გავლენას ახდენს მიწოდებაზე და იწვევს გლობალური მიწოდების ჯაჭვის შეუფერხებელი ფუნქციონირების დარღვევას.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა ვირუსის შემოტევის მეორე ტალღა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი გავრცელების არეალი და გარდაცვლილთა რაოდენობა, საგრძნობლად გააუარესა ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. ამის მთავარი მიზეზია მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ ამ საშიში დაავადების სათანადო შეუფასებლობა, მის მიმართ ზოგჯერ გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, მასთან ბრძოლის საჭირო რეგულაციების შეუსრულებლობა. გარდა ამისა, ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაც მზად არ აღმოჩნდა ასეთი შემოტევის გამკლავებისათვის. გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში ვირუსების გაჩენა-გავრცელება და პანდემია მომავალშიცაა მოსალოდნელი. ჩვენ უნდა სათანადოდ გავაცნობიეროთ და ვისწავლოთ ნებისმიერ ვირუსთან თანაარსებობა და თანაცხოვრება არა მხოლოდ მისი პრევენციის, გავრცელების შეკავებისა და დამარცხების თვალსაზრისით, არამედ მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისებისა და შოკების მართვისა და დაძლევის თვალსაზრისითაც.

საწყის ეტაპზე ვირუსის გავრცელების შეკავების დროული პრევენციის მიუხედავად, მან მაინც უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. 2020 წელს დაგეგმილი ეკონომიკური 4,5%-იანი ზრდის ნაცვლად, მოსალოდნელია მისი 4%-იანი ვარდნა. თუმცა, დაუძლევადი არაფერია. საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების შეფასებით, სტრუქტურული რეფორმების შედეგად, საქართველოს ეკონომიკა სწრაფად გაჯანსაღდება, რასაც, ეკონომიკური საქმიანობის გახსნის ფონზე, დიდად შეუწყობს ხელს.

შემდგომში ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები, რამდენადაც ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის ძირითად წყაროდ მხოლოდ საგარეო მოთხოვნასა და საერთაშორისო ტურიზმზე დამოკიდებული საქმიანობები რჩება. სწორედ ასეთი გაჯანსაღების ფონზეა გათვლილი 2021 წელს ქვეყნის ეკონომიკის 4%-იანი ზრდა, რაზედაც დადებით გავლენას იქონიებს, აგრეთვე, შიდა მოთხოვნის გაფართოება, ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა.

ეკონომიკის გაჯანსაღების გარანტიას იძლევა ასევე ბოლო პერიოდში ქვეყნის მიერ ეკონომიკის განვითარებასა და ბიზნესის კეთებაში მოპოვებული წარმატებები. სადღეისოდ, ბიზნესის კეთების სიმარტივისა და საინვესტიციო მიმზიდველობის თვალსაზრისით, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიო ბანკის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-7 ადგილი დაიკავა. ქვეყანა ამ მხრივ პირველ ადგილზეა ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

საქართველოში მაღალია ეკონომიკური გახსნილობის დონე და უზრუნველყოფილია კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მოძრაობა, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მე-12 ადგილზეა და წარმატებით იკავებს თავის ადგილს თავისუფალი ეკონომიკური სამყაროს ქვეყნებს შორის.

მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, საქართველო არის იმ ქვეყნებს შორის, სადაც ყველაზე დაბალია საგადასახადო ტვირთი. გადახდის ეფექტიანი განაკვეთი ქვეყანაში შეადგენს 9,9%-ს, რაც ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია და ქვეყანა ამ მხრივ იკავებს მე-3 ადგილს მსოფლიოში. ამასთან, მოგების გადასახადის რეფორმა, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლიდან, კიდევ უფრო ამცირებს საგადასახადო ტვირთს ბიზნესის კეთებისთვის. დაბალი საგადასახადო ტვირთი კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად ასტიმულირებს ბიზნესის კეთებას ქვეყანაში და საგრძნობლად ზრდის მის საინვესტიციო მიმზიდველობას,

რაც მომავალში დიდად შეუწყობს ხელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და მისი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

დასკვნა

გლობალიზაციის ეპოქაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იქცა როგორც მსოფლიო, ისე ეროვნული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად, რომლის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ინოვაციური საქმიანობის გაფართოების პირობებში. ასეთი ინვესტიციები დიდ როლს ასრულებს როგორც ინვესტორი, ისე რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს პარლამენტის მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინვესტიციების მოზიდვის წახალისებისა და დაცვის მიზნით, საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნისა და სრულყოფის მიმართულებით, რამაც ქვეყანაში შექმნა ინვესტიციების განხორციელებისა და დაცვის სამართლებრივი გარანტიები.

ნაშრომში სათანადო ლიტერატურული წყაროებისა და სტატისტიკური მასალის შესწავლისა და დამუშავების საფუძველზე გაანალიზებულია, ეკონომიკის რეფორმირებისა და განვითარების ეტაპების შესაბამისად, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის ძირითადი ტენდენციები, რეგიონული და დარგობრივი ჭრილით მათი გამოყენების თავისებურებები და განმსაზღვრელი ფაქტორები. მასში ნაჩვენებია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის უარყოფითი შედეგები, გაკეთებულია დასკვნა, რომ ასეთი პანდემიები მომავალშიცაა მოსალოდნელი და ჩვენ სათანადოდ უნდა გავაცნობიეროთ და ვისწავლოთ მათთან თანაარსებობა და თანაცხოვრება არა მხოლოდ მათი პრევენციის, გავრცელების შეკავებისა და მათთან გამკლავების თვალსაზრისით, არამედ მათ მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისებისა და შოკების მართვისა

და დაძლევისათვის საჭირო მექანიზმების შემუშავებისა და გამოყენების თვალსაზრისითაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2017.
2. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2018.
3. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015.
4. Гриффин И., Пастей М., Международный бизнес, М., 2006.
5. Уильям Ф. и др. Инвестиции, М., 2004.
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2019, თბ., 2020.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წლიური ანგარიშგებითი მასალები. www. geostat.ge
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წლიური ანგარიშგებითი მასალები. www.economy.ge
9. www.geoeconomics.ge.

Revaz Javakhishvili

DYNAMICS AND GEOGRAPHY OF FOREIGN DIRECT INVESTMENT IN GEORGIA

Summary

Foreign direct investments is a form of international capital movement that involves the acquisition of foreign assets for the purpose of exercising control over them. Its role is immeasurable, both in the world and in the national, especially in the reform and revival of the economies of developing countries.

The paper analyzes the main trends in the dynamics of foreign direct investment in Georgia after independence and changes in its geography, according to certain stages of reform and development of the country's

economy. It focuses on the development and practical application of mechanisms to address both global and local problems caused by the Coronavirus pandemic at the present stage. The paper emphasizes that we must properly understand and learn to coexist and cohabitate with any virus not only in terms of its prevention, containment and eventual defeat, but also in terms of managing and overcoming the economic crises and shocks caused by it.

მამუკა ხუსკივაძე

საქართველოს ეკონომიკის რესურსული უზრუნველყოფა თანამედროვე ეტაპზე

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკის რესურსული უზრუნველყოფის პრობლემური საკითხები.*

შესავალი

თანამედროვე პირობებში კაცობრიობის წინაშე არსებულ გლობალურ პრობლემათა შორის აქტუალურია და სულ უფრო მწვავდება ნედლეულით უზრუნველყოფის პრობლემა. ის კიდევ უფრო მეტ დატვირთვას შეიძენს მსოფლიო მოსახლეობის განუხრელი ზრდის პირობებში. ამ ასპექტში იზრდება ყურადღება როგორც მთელი მსოფლიოს, ისე ცალკეული სახელმწიფოების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის პროგნოზული მარაგების შესწავლისა და სარწმუნო მარაგების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების არსებული მოდელის ანალიზის მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულებში მრავალ ქვეყანაში შეინიშნება ინოვაციური ეკონომიკური განვითარების ტრაექტორიაზე გადასვლის ტენდენცია, ხოლო გარკვეულ ნაწილში ის უკვე ჩამოყალიბდა როგორც ტრადიციული ეკონომიკური ზრდის ალტერნატიული მოდელი და ითვალისწინებს რესურსების გამოყენების რაციონალიზაციას და ოპტიმიზაციას. ამან გარკვეული დოზით შეამცირა ბუნებრივი რესურსების ზეგავლენა ეკონომიკის განვითარებაზე. მაგალითად, ტექნოლოგიების სრულყოფით და ინოვაციების ეკონომიკაში ფართოდ დანერგვით

ბუნებრივი რესურსებით ნაკლებად უზრუნველყოფილმა ქვეყნებმა იაპონიამ, სამხრეთ კორეამ, სინგაპურმა და ა.შ. მიაღწიეს ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, ხოლო რესურსებით მდიდარი ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: რუსეთი, ირანი, ჩინეთი და სხვა, ჯერ კიდევ ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოებია. თუმცა, ცხადია, რომ სხვა თანაბარ პირობებში, ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებს გააჩნიათ დამატებითი პრეფერენციები სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის დაჩქარების, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ეროვნული ეკონომიკების განვითარების მიმართულებით.

საქართველო ფლობს სხვადასხვა სახის ბუნებრივ რესურსებს, თუმცა მათი საერთო პოტენციალით არ მიეკუთვნება რესურსებით მდიდარ ქვეყნებს. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის საექსპორტო სტრუქტურაში ნედლეულის, რომელთა დიდი ნაწილი არაგანახლებადია, ექსპორტი სტაბილურად წამყვან ადგილს იკავებს, ამცირებს მის რესურსულ პოტენციალს. ყოველივე აღნიშნული აქტუალურს ხდის საქართველოს ეკონომიკის რესურსული უზრუნველყოფის პრობლემური საკითხების შესწავლას, შეფასებას და სათანადო რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

მიწის რესურსები

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე მიწა შეუცვლელ და განსაკუთრებულ რესურსს წარმოადგენს. ის არის ეკონომიკის დარგების ფუნქციონირების სივრცითი საფუძველი და ძირითადი ფაქტორი სასოფლო და სატყეო მეურნეობებისათვის. მიწა იძლევა წვდომას სურსათზე, წყალზე და ზოგადად სიცოცხლის უზრუნველყოფაზე.

მიწას ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის ნახევარზე მეტი მოდის მიწაზე. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. ბარის ზონა ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 46%-ს მოიცავს (20). საქართველოს მიწის რესურსით უზრუნველყოფა განისაზღვრება მიწის ფონდით, რომელიც შადგენს 7 628,4 ათას ჰექტარს 2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით (ცხრილი1).

ცხრილი 1

(2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ათასი ჰექტარი)

	საერთო ფართობი	არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	სახნავი	მრავალწლოვანი ნარგავები	სათიბი	საძოვარი	საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა-ნაგებობები და ეზოები
საერთო ფართობი*	**7 628.4**	**4 602.6**	**3 025.8**	**801.8**	**263.8**	**143.8**	**1 796.6**	**19.8**
კერძო საკუთრებაში	**948.9**	**181.6**	**767.3**	**438.5**	**180.5**	**44.0**	**84.5**	**19.8**
სახელმწიფო საკუთრებაში	**6 679.5**	**4 421.0**	**2 258.5**	**363.3**	**83.3**	**99.8**	**1 712.1**	**-**
სასოფლო-სამეურნეო პროფილის ორგანიზაციების	2 822.3	650.2	2 172.1	359.8	76.1	92.7	1 644.5	-
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	3 857.2	3 770.8	86.4	4.5	7.2	7.1	67.6	-
დასახლებული პუნქტების	88.4	86.8	1.6	0.4	0.7	-	0.5	-
დაცული ტერიტორიების	300.7	285.1	15.6	0.1	0.1	1.1	14.3	-
ტყის ფონდის	2 456.2	2 400.3	55.9	2.8	6.1	5.1	41.9	-
მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, ენერგეტიკის, თავდაცვის და სხვა ობიექტების	171.9	159.1	12.8	1.2	0.3	0.9	10.4	-
რელიგიური ორგანიზაციების	4.9	4.9	-	-	-	-	-	-
წყლის ფონდის (ტერიტორიული წყლების ჩათვლით)	835.1	834.6	0.5	-	-	-	0.5	-

* აფხაზეთის არ-ის, ცხინვალის რეგიონისა და ტერიტორიული წყლების ჩათვლით.

წყარო: საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი.

საქართველოს მიწის ფონდის სტრუქტურა იძლევა ნათელ წარმოდგენას მიწის რესურსების სხვადასხვა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების შესახებ. ბუნებრივია, რომ ეს ფონდი პერიოდულად განიცდის ცვლილებებს მასზე ორი მიმართულებით ზემოქმედების გამო. პირველი მიმართულება მოიცავს ადამიანთა საზოგადოების მიზანმიმართულ ქმედებებს საცხოვრებელი და სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების გაზრდის მიზნით. კერძოდ, ხდება ჭაობების დაშრობა, მელიორაციისა და ირიგაციის სისტემების აქტიური გამოყენებით გამოუყენებელი და დეგრადირებული მიწის ფართობების ათვისება, მდინარეების მიმდებარე ტერიტორიების გამოყენება და ა.შ. მეორე მიმართულება არის ის, რომ ქვეყანაში მცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მათზე დასახლებული პუნქტების, საწარმოების და სატრანსპორტო ქსელების მშენებლობების გამო.

ასევე, ფაქტობრივად შეუქცევადი ხასიათი მიიღო და კანონზომიერებად იქცა ყოველწლიურად მიწის გარკვეული ფართობების ამოღება ეკონომიკური საქმიანობიდან მისი სასარგებლო თვისებებისა და ხარისხის გაუარესების გამო, რასაც ძირითადად განაპირობებს: ეროზია, დაჭაობება და დამლაშება, გაუდაბნოება. ასევე, ამცირებს სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებს მათი დაცულ ტერიტორიებად გადაქცევა. მეორე მიმართულების დინამიკა უფრო სწრაფია, რის გამოც ღრმავდება საქართველოს მოსახლეობის მიწის რესურსებით უზრუნველ-ყოფის პრობლემები და შემცირების ტენდენციით ხასიათდება ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობები.

მიწის რესურსებით საქართველოს უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოად-გენს ამ რესურსების აღრიცხვიანობის მოწესრიგება და შესაბამისად სანდო მაჩვენებლების მიღება. საქსტატის ოფიციალური ინფორმაცია მიწის ფონდის განაწილების შესახებ (ცხრილი 1) მოცემულია 2004 წლის მონაცემების საფუძველზე, მაშინ როცა 2014 წელს ქვეყანაში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო მიწების აღწერა, თუმცა მაშინ აღწერის გარეშე დარჩა მიწის ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამიტომ მისი შედეგებით მსჯელობა ვერ იძლევა რაციონალური ხედვების ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

საქართველო არ არის მიწის რესურსებით მდიდარი ქვეყანა და ამ ასპექტში საგანგაშოა მისი გამოყენების დონე, რომელიც კატასტროფულად არის შემცირებული 1990 წელთან შედარებით. მე-2 ცხრილში მოცემულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები 1990-2019 წლებში.

ცხრილი 2

ნათესი ფართობი ათასი ჰექტ.	1990	1995	2000	2005	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
	701,9	453,1	610,8	539,8	256,7	262,4	259,6	310,7	274,9	263,7	240,0	220,3	207,1	203

წყარო: geostat.ge

ცხრილიდან ჩანს, რომ ბოლო ექვსი წელია სასოფლო-სამეურნეო ნათესი ფართობები ცალსახად კლების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 2019 წელს ნათესი ფართობები 3,5-ჯერ არის შემცირებული 1990 წელთან შედარებით. საქსტატის მონაცემებით ასევე, საგრძნობლადაა შემცირებული მრავალწლიანი ნარგავების ფართობებიც (დაახლოებით 200 ათასი ჰექტრით). ცხადია, ეს პროცესი მჭიდრო კავშირშია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ეროვნული წარმოების შემცირებასთან, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გამწვავებასთან და იმპორტდამოკიდებულების გაძლიერებასთან.

წყლის რესურსები

ცნობილია, რომ წყალი არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რესურსი დედამიწაზე და ასრულებს შეუცვლელ როლს ცოცხალი სამყაროსათვის აუცილებელი სასიცოცხლო პირობების შექმნაში და ეკონომიკურ საქმიანობაში. ის იყოფა ხმელეთის მტკნარ წყლებად (რომელშიც შედის მიწისზედა წყლები მდინარეების, ტბების და მყინვარების სახით), მიწისქვეშა და ზღვისა და ოკეანეების წყლებად.

წყლის რესურსების მარაგების ზუსტი დადგენა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ის მუდმივ მოძრაობაშია და იცვლის აგრეგატულ მდგომარეობას. თანამედროვე მსოფლიოში მიახლოებითი შეფასებით ჰიდროსფეროს მარაგი შეადგენს 1,386 მლრდ.მ^3-ს, რომლის 97,5% გამოუსადეგარია საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის მასში მარილისა და სხვა მინარევების სიჭარბის გამო. მაშასადამე, მსოფლიო წყლის რესურსების მხოლოდ 2,5%-ია მტკნარი წყალი, რომელიც მეტად არათანაბრად არის განაწილებული კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით. ამასთან, ევროპისა და აზიის კონტინენტებზე, სადაც თავმოყრილია მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 65-70%, მტკნარი წყლის მარაგების მხოლოდ 40%-ია (27).

წყლის მსოფლიო კომისიის მონაცემებით ამჟამად ერთ ადამიანს ყოველდღიურად ესაჭიროება საშუალოდ 20-50 ლიტრი წყალი დასალევად, საჭმლის მოსამზადებლად და პირადი ჰიგიენისათვის. თუმცა, მსოფლიოში მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს რეგიონებში, რომლებიც განიცდიან მტკნარი წყლის მწვავე უკმარისობას. გაეროს მონაცემებით დაბინძურებული წყლის მოხმარების გამო ყოველწლიურად იღუპება მილიონამდე 5 წლამდე ასაკის ბავშვი.

მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობის განუხრელი ზრდის კვალობაზე მტკნარი წყლის მოხმარება იზრდება. კერძოდ, უკანასკნელი 50 წლის მანძილზე მსოფლიოს მოსახლეობა იზრდება ყოველწლიურად საშუალოდ 80 მილიონით, ხოლო მტკნარი წყლის მოხმარება 64 მლრდ.მ^3-ით. წყლის რესურსების გაეროს გლობალური ანგარიშის მიხედვით (Word Water Development Report 2019) პროგნოზული შეფასებებით 2050 წლისათვის მტკნარ წყალზე მოთხოვნა გაიზრდება 6000 კმ^3-მდე და სასმელი წყლის დეფიციტი მიაღწევს 40%-ს. აღნიშნული გარემოება დღითიდღე აქტუალურს ხდის საკითხს იმის შესახებ ემუქრება თუა არა მსოფლიოს და მის ცალკეულ სახელმწიფოებს წყლის კრიზისი, რაც შესაძლებელია გახდეს ახალი მსოფლიო თუ რეგიონული კატაკლიზმებისა და წყლით უზრუნველყოფილ რეგიონებში მასობრივი უკონტროლო მიგრაციის მიზეზი.

საქართველო მტკნარი წყლის რესურსებით მდიდარია და ის ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს

წარმოადგენს. საქართველოს მტკნარი წყლის რესურსები შედგება შემდეგი მდგენელებისაგან: მდინარეების ჩამონადენი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები; მიწისქვეშა წყლები, რომლებიც არ მონაწილეობენ მდინარეების ჩამონადენში და პირდაპირ ჩაედინებიან ზღვაში; მყინვარების, ტბების, ჭაობების და წყალსაცავის წყლებით. მდინარეებიდან რეალური განახლებადი წყლის რესურსებისა და განახლებადი მიწისქვეშა წყლის რესურსების საერთო ოდენობა წელიწადში 61,5 მლრდ.მ^3-ით არსი შეფასებული (7).

მრავალწლიან დაკვირვებათა შედეგად საქართველოში არსებული წყლის რესურსები ობიექტების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული: ზედაპირული ჩამონადენი-31%, ტრანზიტული ჩამონადენი-9%, ტბები-0.7%, მიწისქვეშა ჩამონადენი-22%, წყალსაცავები-3,3%, მყინვარები-30%, ჭაობები-2%, სხვა-2%. მტკნარი წყლის ეს რესურსები წარმოადგენენ განახლებად რესურსებს, რომლებიც ატმოსფერული ნალექების ხარჯზე ფორმირდებიან. მხოლოდ მყინვარებში მოქცეული წყლის მარაგების 96% წარმოადგენს საუკუნოვან მარაგს, რომლებიც არ მონაწილეობენ წყლის ყოველწლიურ ბრუნვაში (8).

საქართველოს ტერიტორიაზე მოედინება 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე შეადგენს 26 ათას კილომეტრს. მათი 99,4% 25 კმ-ზე ნაკლები სიგრძისაა. ამ მდინარეების ჯამური წლიური ჩამონადენი 65 800 მლნ.მ^3-ია, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ჩამონადენი-56 500 მლნ.მ^3.(19).

ჩვენი ქვეყნის მდინარეების გეოგრაფიული განფენილობა ცხადად ადასტურებს წყლის რესურსების არათანაბარ განაწილებას დასავლეთ საქართველოს სასრგებლოდ, სადაც თავმოყრილია 18 109 მდინარე, რომლებიც ქმნიან შავი ზღვის აუზსს. შესაბამისად, დარჩენილი 7951 მდინარე ქმნის კასპიის ზღვის აუზს და მოთავსებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჰიდროლოგიური თვალსაზრისით შესწავლილ მდინარეთა რაოდენობა მხოლოდ 1200-ს აღწევს (მთლიანი რაოდენობის 5%).

საქართველოში 860-მდე ტბაა, რომელთა საერთო ფართობი 170 კმ^2-ს აღწევს (19). ტბების აბსოლუტური უმრავლესობა პატარა ზომისა და მტკნარია.

ჩვენ ქვეყანაში ჭაობების ფართობი საკმაოდ შთამბეჭდავია და შეადგენს 225 ათას ჰექტარს. ისინი ძირითადად მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე (19).

ჰიდროელექტროსადგურებს და ირიგაციულ სისტემებს 43 წყალსაცავი ემსახურება, რომელთაგან 35 აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს და დიდი როლი გააჩნიათ ქვეყნის ეკონომიკაში. დღეისათვის საქართველოში ელექტროენერგიის 75%-ზე მეტს ჰიდროელექტროსადგურები გამოიმუშავებს (19).

საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი მარაგი დაახლოებით 18 000 მლნ.მ^3-შეადგენს (19).

საქართველო მდიდარია მაღალი ხარისხობრივი თვისებების მქონე მინერალური და თერმული წყლის რესურსებითაც, რომელთა გეოგრაფია ასევე მრავალფეროვანია. არსებული სტატისტიკური მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე მინერალური წყლების ორმოცამდე საბადო არის შესწავლილი. მარაგების სახელმწიფო კომისიაში დამტკიცებული მინერალური წყლების სამრეწველო მარაგები 24 საათში აღწევს 43,5 ათას მ^3-ს, რომელიც შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედის სამკურნალო აბაზანებისათვის საჭირო სამკურნალო წყლები, რომელთა დებეტი შეადგენს 25 ათას მ^3-ს დღე-ღამეში და მოიცავს 17 საბადოს (მენჯი, წყალტუბო და სხვა); მეორე ჯგუფი, რომელთა დამტკიცებული მარაგები დღე-ღამეში 7 ათას მ^3-ს შეადგენს, გამოიყენება როგორც ადგილზე მოხამარებისათვის სასმელად და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიზნებით, ისე სამრეწველო მიზნებისათვის (მაგ. ბორჯომი, ნაბეღლავი, ლიკანი, საირმე და ა.შ.); მესამე ჯგუფი მინერალური წყლების გამოიყენება მხოლოდ სამრეწველო დანიშნულებით და მათი დამტკიცებული მარაგები აღემატება 6 ათას მ^3-ს 24 საათში. კერძოდ, ასეთია მაგალითად მიტარბი.

საქართველოში სამრეწველო პოტენციალი გააჩნია თერმული წყლების რესურსებს, რაც გეოთერმული ენერგიის მიღების წყაროა. ამ უკანასკნელის პერსპექტივები კი სიიაფისა და ეკოლოგიურობის გამო თანდათანობით მატულობს. თერმული წყლები, სხვა სახის წყლების მსგავსად, არათანაბრად არის განაწილებული. მისი დიდი ნაწილი რიონისა და მტკვარის აუზებშია თავმოყრილი, ასევე გვხვდება აჭარა-თრიალეთში და

კავკასიონის სამხრეთ ფერდზე. დღეისათვის, საქართველოში გამოვლენილია 250-მდე თერმული წყლის ბუნებრივი წყარო და ხელოვნური ჭაბურღილი. მათი ჯამური დებეტი 24 საათში 160 ათასი $მ^3$-ია, ხოლო თერმოენერგეტიკული პოტენციალი უტოლდება 500 მლნ.$მ^3$ საწვავ აირს წელიწადში.

ზოგადად, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში მტკნარი წყლის რესურსები შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც ბუნებრივად გაზრდის მასზე მოთხოვნას და კიდევ უფრო მეტად გამოკვეთავს მის სტრატეგიულ დანიშნულებას. მტკნარი წყლის რესურსების შემცირებას უპირატესად ორი მნიშვნელოვანი მიზეზი განაპირობებს: 1) აგრარულ სექტორში მისი მოხმარების მოცულობის გაზრდა, რაც ბუნებრივია სამყაროს მოსახლეობის ზრდის პირობებში 2) კლიმატის ცვლილების შეუქცევადი პროცესი, რაც იწვევს მყინვარების დნობას და გაუდაბნოების პროცესის გაძლიერებას. პესიმისტური დასკვნაა მოცემული კლიმატის ცვლილების ექსპერტთა ჯგუფის მე-5 მოხსენებაში, რის მიხედვითაც გლობალური საშუალო ტემპერატურის ერთი გრადუსით მატება გამოიწვევს მსოფლიო მოსახლეობის 7%-თვის მტკნარი წყლის მარაგების 20%-ით შემცირებას.

სპეციალისტების შეხედულებებით საქართველოს მტკნარი წყლები მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებითა და განახლებადობით გამოირჩევა, რის გამოც მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი და წარმატებული საექსპორტო პროდუქტი არის ჩვეულებრივი სასმელი და მინერალური წყლები. 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში მინერალური და მტკნარი წყლები მე-6 ადგილზეა და მისი წილი 3,5%-ს შეადგენს. ფულად გამოხატულებაში ამ წელს ქვეყანამ აღნიშნული პროდუქციის ექსპორტით მიიღო 133,57 მილიონი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 21,2%-ით აღემატება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძალზედ დაბალი მაჩვენებელია ქართული მინერალური და სასმელი წყლის პოტენციალიდან გამომდინარე.

სასმელი წყლის რესურსი უნიკალურია იმითაც, რომ მას განსხვავებით ბევრი სხვა რესურსისაგან ალტერნატივა არ აქვს და შეუძლებელია მისი სხვა რესურსით ჩანაცვლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პროგნოზები აჩვენებს მასზე მოთხოვნის შეუქცევად

ზრდას. ეს პროცესი უკვე დაწყებულია, რის გამოც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მისი ფასი უკვე დიდად არ ჩამოუვარდება ნავთობის ფასს. საქართველო ჯერ კიდევ ეკონომიკური განვითარების ეფექტიანი მოდელის ძიებაშია. ამ მოდელში ინოვაციური ეკონომიკური განვითარების მიმართულებასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს რესურსების, განსაკუთრებით წყლის რესურსების რაციონალური და ოპტიმალური გამოყენების მიმართულებამ.

ტყის რესურსები

ტყის რესურსები ნებისმიერი ცოცხალი სამყაროს არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი ბუნებრივი რესურსია. მათი შეფასება ხდება ტყის ფართობის, მერქნის მარაგებით და გატყიანების ზომებით. ტყე წარმოადგენს ბიოსფეროს მნიშვნელოვან კომპონენტს, ურთიერთქმედებს ტროპოსფეროსთან და განსაზღვრავს ჟანგბადისა და ნახშირბადის გარკვეული პროპორციით თანაფარდობას. მას გააჩნია მრავალგვარი ფუნქციები: კლიმატმარეგულირებელი, წყალბრუნვითი და წყალდაცვითი, აირგამცვლელი, ეროზიის საწინააღმდეგო და რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი.

ტყე ასუფთავებს ჰაერს მტვრისაგან. ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს, შესაბამისად, საქართველოს ტყეები მთლიანად 135-190 მლნ.ტონამდე (20).

გაეროს მონაცემებით ამჟამად მსოფლიო ტყის რესურსების საერთო ფართობი შეადგენს 40 000 000 კმ^2-ს ანუ პლანეტის ფართობის თითქმის მესამედს. საქართველოს ტყის ფართობები 2019 წლის მონაცემებით არის 26 600 კმ^2-ს, რაც მსოფლიო ტყეების 0,00067 %-ია. ცხრილ 3-ში მოცემულია საქართველოს ტყით დაფარული ფართობი 2010-2019 წლებში

ცხრილი 3

წელი	ტყით დაფარული ფართობიმლნ.ჰექტარი	პროცენტულად ქვეყნის საერთო ტერიტორიასთან
2010	2,77	39,9
2011	2,77	39,9
2012	2,82	40,5
2013	2,66	38,5

2014	2,17	31,4
2015	2,36	33,9
2016	2,69	38,6
2017	2,69	38,7
2018	2,68	38,6
2018	2,66	38,3

წყარო: geostat.ge; ავტორი.

ცხრილიდან ჩანს, რომ ბოლო წლებში ტყის ფართობები საქართველოში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც არსებითად გამოწვეულია საზოგადოების მიერ ტყის რესურსების ზეექსპლუატაციით (უკანონო ჭრები, გათბობის მიზნით შეშის მოხმარება, რომლის მასშტაბები ჯერკიდევ დიდია) და სტიქიური უბედურებებით (ძირითადად ხანძრები). მე-4 ცხრილში მოცემულია ინფორმაცია საქართველოში ტყისა და ველების ხანძრების შესახებ 2013-2019 წლებში.

ცხრილი 4

წელი	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**
ხანძრის შემთხვევათა რაოდენობა (ერთეული)	48	69	83	51	87	23	120
ხანძრით მოცული ფართობი (ჰექტარი	2682	1723	216	398	1582	1931	3713

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

როგორც ცხრილიდან ჩანს ამ წლებში 12 245 ჰექტარი ტყე და ველი გადაიწვა ხანძრისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2017 წელს ხანძრები ბორჯომისა და აბასთუმნის ტყეებში, რომელმაც 943 ჰექტარი მოიცვა.

ჩვენი გაანგარიშებით საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ტყით უზრუნველყოფა შეადგენს დაახლოებით 0,72 ჰექტარს, რაც მკვეთრად ჩამორჩება ამ მაჩვენებლით მოწინავე ქვეყნებს, თუმცა

უსწრებს დედამიწის ერთ სულ მოსახლეზე ანალოგიურ პარამეტრს (0,57 ჰა).

ზოგადად, ბოლო საუკუნის მანძილზე მსოფლიოს ტყის ფართობები თითქმის განახევრდა და აგრძელებს შემცირებას წელიწადში დაახლოებით 0,8 %-ით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ტყის ფართობების შემცირების ტენდენცია შეინიშნება ყველა ქვეყანაში. ზოგ სახელმწიფოში რაციონალური სატყეო პოლიტიკისა და ტყის მართვის ეფექტიანი მოდელის გამოყენებით შესაძლებელი ხდება ტყის რესურსების მინიმუმ მარტივი კვლავწარმოების უზრუნველყოფა (მაგალითად, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, აშშ და სხვა). საქართველოს სატყეო სფეროში 2000-2019 წლებში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის შედეგებს ასახავს მე-5 ცხრილში მოცემული ინფორმაცია.

ცხრილი 5

ათასი ჰექტარი

წელი	ტყის აღდგენა და გაშენება	მათ შორის	
		ტყის თესვა და დარგვა	ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობა
2003	0,7	0,1	0,6
2004	0,2	0,1	0,1
2005	0,1	0	0,1
2006	0,03	0,03	0
2007	-	-	-
2008	-	-	-
2009	0,0	0,0	0
2010	165,03	111,03	54
2011	-	-	-
2012	4,1	4,1	0
2013	49	15	34
2014	180	80	100
2015	142	21	121
2016	178	50	128
2017	156	44	112
2018	265	152	113
2019	201	15	186

წყარო: geostat.ge

ცხრილიდან დგინდება, რომ ტყის აღდგენისა და გაშენების საქმეში განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა იყო 2003-2009 წლებში. ამ პერიოდში უმნიშვნელოდ ხდებოდა როგორც ტყის თესვა და რგვა, ისე ბუნებრივი განახლებისათვის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება ტყის მოვლით ჭრებში. ეს უკანასკნელი განაპირობებს ტყეების ბუნებრივ განახლებას და ხელს უწყობს მაღალპროდუქტიული ტყეების ფორმირებას. სიტუაცია სტაბილურად გამოსწორდა 2012 წლიდან, თუმცა არასაკმარისად. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროა ტყის რესურსების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფა უფრო ეფექტიანი ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმებით. ასევე, უცხოური გამოცდილების შესწავლა და საუკეთესო მიდგომების გაზიარება ქართული რეალობის გათვალისწინებით.

მინერალური რესურსები

მინერალური რესურსები წარმოადგენს სამრეწველო ინდუსტრიის ბაზას და ისეთი დარგების ფუნქციონირების საფუძველს, როგორიცაა: ქიმიური, შავი და ფერადი მეტალურგია, სამშენებლო, მანქანათმშენებლობა, კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. აღნიშნული განაპირობებს მინერალურ რესურსებზე მსოფლიო მოთხოვნის განუხრელ ზრდას და სხვადასხვა სახის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კატაკლიზმებს ამგვარი რესურსების მთელ რიგ სახეობებზე შეუზღუდავი წვდომის მისაღწევად.

საქართველო არ მიეკუთვნება მინერალური რესურსების მარაგებით მდიდარ ქვეყნებს, თუმცა გარკვეული მრავალფეროვნება მათი სახეობების მიხედვით ქვეყანაში არსებობს.

საქართველოში მოიპოვება სხვადასხვა სამრეწველო-ეკონომიკური ტიპის მადნეული, სათბობ-ენერგეტიკული და ჰიდრომინერალური სასარგებლო წიაღისეული, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მცირე და საშუალო ზომის საბადოებსა და გამოვლინებებშია თავმოყრილი. აქ მხოლოდ რამდენიმე მსხვილი საბადო გვხვდება (მაგალითად, ჭიათურის მანგანუმის საბადო და ბოლნისის სპილენძისა და ოქროს საბადოები).

ბოლოს განახლებული ინფორმაციით საქართველოში მყარი მინერალურ-სანედლეულო ბაზა აერთიანებს 960 საბადოს, რაც ასახულია მე-6 ცხრილში.

ცხრილი 6

მინერალური რესურსების ფონდში რიცხული საბადოები

მინერალური რესურსის სახეობა	**დამტკიცებული მარაგი**		**მინერალური რესურსის სახეობა**	**დამტკიცებული მარაგი**
ლითონები *(ათასი ტ)*			**სამშენებლო მასალები** *(ათასი მ³)*	
შავი, ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი	419 965			
მყარი, საწვავი რესურსები *(ათასი ტ)*			ღორღი	459 221
ნახშირი	373 934		ქვიშა ხრეში	658 487
ტორფი	47 644		სააგურე თიხები	135 207
მოსაპირკეთებელი ქვები *(ათასი მ³)*			ცარცი	3 962
გაბრო	7 224		საცემენტე თიხები	64 070
გაბრო-დიორიტი	5 952		გაჯი	14 917
სიენიტი	660		სახურავი ფიქლები	11 796
გრანიტი	5 400		მსუბუქი შემავსებლები	220 323
ტუფობრექჩია	14 938		საკედლე ქვები	4 898
დაციტი	2 289		კვარცის ქვიშა	168 804
ტეშენიტი	6 165		პერლიტი	13 500
დიაბაზი	10 741		*(ათასი ტ)*	
ბაზალტი	45 052		საკირე კირქვები	292 173
დოლერიტი	19 579		თაბაშირი	20 342
მარმარილო	4 259		საცემენტე კირქვები	392 014
მარმარილოსებრი კირქვა	78 026		**დამხმარე ნედლეული მეტალურგიისთვის** *(ათასი ტ)*	
ქიმიური მრეწველობის ნედლეული *(ათასი ტ)*			დოლომიტი	44 904
ბარიტი	4 731		საფლუსე კირქვა	1 700
მჟავაგამძლე ანდეზიტი	12 717		*(ათასი მ³)*	

ბენტონიტი	6 418		ცეცხლგამძლე თიხა	91 636
მინერალური პიგმენტი	437		საყალიბე ქვიშა	2 300
ტალკი	2 774		სპონგოლითი	1 957
კალციტი	27 211		**სამრეწველო მასალების მარაგები** *(ათასი მ³)*	
(ათასი მ³)				
მირაბილიტი	1 493		ჩამოსასხმელი ბაზალტი	9 892
დიატომიტი	7 995		ლითოგრაფიული ქვა	120
ნედლეული კერამიკის წარმოებისთვის *(ათასი ტ)*			(ტ)	
			სანაკეთო ქვები	920
თიხიანი თაბაშირი	2 232		**ნედლეული სოფლის მეურნეობისთვის** *(ათასი ტ)*	
(ათასი მ³)			ტორფი	41 880
ტრაქიტი	945		ცეოლითი	30 381
კერამიკული თიხა	2 504		თიხიანი თაბაშირი	3 460

წყარო: 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება

საქართველოს მინერალური რესურსების რამდენიმე სახეობა გამოირჩევა მსოფლიო ბაზარზე მაღალი კონკურენტუნარიანობით და აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ მინერალურ რესურსებს მიეკუთვნება მანგანუმი, ოქრო, სპილენძი და ცეოლითი.

შავი და ძვირფასი ლითონები

რკინის მარაგებით საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა და შესაბამისად არც საბადოებია მრავლად გამოვლენილი. მხოლოდ რამდენიმე ადგილზე ხდება რკინის მოპოვება.

შავი ლითონების კატეგორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი წამყვანი ექსპორტირებადი ნედლეული ჩვენს ქვეყანაში არის ჭიათურის მანგანუმი, რომლის მოპოვება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო და ვიდრე ამ ნედლეულს აღმოაჩენდნენ სამხრეთ აფრიკაში, ინდოეთსა და ბრაზილიაში, მსოფლიო მოთხოვნის დაახლოებით ნახევარს აკმაყოფილებდა. ამჟამად,

საქართველოში მანგანუმის სარწმუნო მარაგები სპეციალისტთა შეფასებებით აღწევს 500 მლნ.ტონას და მისი 90% მოდის ჭიათურის საბადოზე, ხოლო დარჩენილი 10% ნაწილდება ზესტაფონის (7%), თერჯოლის (2%) და ონის ტერიტორიებზე (1%) (1). შეიძლება ითქვას, რომ მანგანუმის სარწმუნო მარაგების გათვალისწინებით მომავალი ათწლეულების განმავლობაში საქართველოს საექსპორტო პროდუქციის სტრუქტურაში ფეროშენადნობები კვლავ წამყვან პოზიციაზე იქნება.

საქრთველოში ძვირფასი ლითონები არ მოიპოვება მასშტაბური რაოდენობით. თუმცა, ოქროს დარიშხანის და ოქრო-სტიბიუმის საბადოები საერთაშორისო მნიშვნელობისაა და გააჩნიათ სამრეწველო პოტენციალი. ამასთან, ამჟამად დარიშხანის მოპოვება შეწყვეტილია.

ოქროს მნიშვნელოვანი საბადო მდებარეობს ბოლნისში, სადაც საერთაშორისო კომპანია „არემჯი“ ახორციელებს ოქროს, სპილენძის, კვარციტებისა და პოლიმეტალების მოპოვებას. ოქროს მოპოვება საქართველოში დაიწყო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ვინაიდან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს ოქროსთან დაკავშირებული გეოლოგიურ-სამძებრო სამუშაოები ჩვენს ქვეყანაში არ ფინანსდებოდა რუსეთთან შედარებით მარაგების უმნიშვნელო რაოდენობის გამო. ჩვენს ქვეყანაში ოქროს მარაგების პროგნოზებთან დაკავშირებით განსხვავებული შეფასებებია. კერძოდ, საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის ორი ათეული წლის წინ გაკეთებული პროგნოზით მარაგები აღწევს 1000 ტონას, ხოლო უფრო გვიანდელი კავკასიის მინერალური რესურსების ინსტიტუტის პროგნოზული შეფასებით ოქროს მარაგები 2500 ტონას აჭარბებს.

ნავთობი

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა რომლებიც აქტიურად ცდილობენ ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებას, თუმცა ჯერ-ჯერობით ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული საწვავი ისევ დომინირებადია და შესაბამისად მას სტრატეგიული დანიშნულება გააჩნია ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო შედის იმ 100 ქვეყნის ჩამონათვალში, სადაც ხორცილედება ნავთობის მოპოვება, ის საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ეწევა მის იმპორტს. ნავთობის სამრეწველო მოპოვება საქართველოში დაიწყო მე-20 საუკუნის 80-იან წლებში და ის ყოველწლიურად დაახლოებით 3,5 მლნ. ტონას აღწევდა. რაც შეეხება გაზს, მისი მოპოვება საქართველოში სამრეწველო მიზნით არასოდეს ხდებოდა, ის მიიღებოდა როგორც მოპოვებული ნავთობის თანამდევი პროდუქტი და მიეწოდებოდა მხოლოდ საგარეჯოს მოსახლეობას. ნავთობის მოპოვებამ სტიქიური ხასიათი მიიღო და კატასტროფულად დაეცა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში. კერძოდ, 1992-1995 წლებში მისი მოპოვება 100 ათას ტონამდე დაეცა.

ამჟამად საქართველოში ნავთობის რესურსებით სარგებლობის გენერალურ ლიცენზიას ფლობს 17 კომპანია. ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მონაცემების მიხედვით 2019 წელს საქართველოში ნავთობის დადასტურებულმა მარაგებმა შეადგინა 2 394 მლნ. ტონა, ხოლო სავარაუდო და შესაძლო მარაგებმა შესაბამისად 5 704 მლნ. ტონა და 32 7715 მლნ. ტონა.

საქართველოში ნავთობის ყოველწლიური მოპოვება 2019 წლამდე შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც ნათლად ჩანს მე-7 ცხრილში.

ცხრილი 7

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2103	2014	2015	2016	2017	2018	2019
ნავთობის მოპოვება (ათასი ტონა)	56 631	52816	53967	51441	49945	48977	47863	42632	40206	38557	31994	30159	35 100

წყარო: საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

2019 წელს წინა წელთან შედარებით 16%-ით მეტი ნავთობი მოიპოვეს, თუმცა მან არსებითად ვერ შეცვალა ბოლო წლებში ნავთობის მოპოვების საშუალო მაჩვენებელი, რაც 43,6 ათას ტონას შეადგენს. ზოგადად, საქართველოში მოპოვებული ნავთობი მხოლოდ მასზე მოთხოვნის 2%-ს აკმაყოფილებს, 98% ნავთობპროდუქტების ბაზარი დამოკიდებულია უცხოეთიდან შემოტანილ საწვავზე, რამაც ღირებულებით გამოხატულებაში 2019 წელს 800 მლნ. ლარს გადააჭარბა. საქსტატის მონაცემებით ამ წელს საქართველომ მოიხმარა 544 ათასი ტონა ბენზინი, 534 ათასი ტონა დიზელი, 104 ათასი ტონა საავიაციო ნავთობი და 170 ათასი ტონა ბიტუმი.

ნახშირი

ნახშირი, მისი სხვა სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებთან შედარებით სიიაფის გამო, აქტიურად გამოიყენება ენერგეტიკის და მეტალურგიის სფეროებში და დიდი ხნის განმავლობაში იყო თითქმის შეუცვლელი რესურსი. ნახშირის მრეწველობა გარემოს გაჭუჭყიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა, რის გამოც წამყვან ქვეყნებში, რომლებმაც განვითარების ვექტორი „მწვანე“ ეკონომიკური ზრდის მოდელის აქტიურ განხორციელებაზე მიმართეს და სულ უფრო მეტად ცდილობენ ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე გადასვლას, მისი მნიშვნელობა საგრძნობლად შემცირდა. მიუხედავად ამისა, თანამდროვე პირობებში ტექნოლოგიების სრულყოფამ ნახშირის მოპოვებისა და გადამუშავების სფეროში შესაძლებელი გახადა ნახშირის მრეწველობის გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირება, რის გამოც ის ჯერ-ჯერობით კვლავ შეუცვლელი რესურსია.

ქვანახშირი საქართველოში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან მოიპოვება და მას ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჩვენს ქვეყანაში ორი ტიპის ნახშირის საბადოა ცნობილი: ქვანახშირის და მურა ნახშირის (ლიგნიტი). ისინი გოეგრაფიულად განლაგებულია ტყიბული-შაორის, ტყვარჩელის და ახალციხის ტერიტორიებზე. ზოგიერთი შეფასებით ნახშირის რესურსების სარწმუნო მარაგები საქართველოში აღწევს 500 მლნ. ტონას.

ქვანახშირის ძირითადი მომხმარებელი საქართველოში მეტალურგიული და ცემენტის მწარმოებელი კომპანიები არიან, თუმცა მათი მოთხოვნა ადგილობრივი მიწოდებით ვერ კმაყოფილდება, რის გამოც აუცილებელი ხდება მისი იმპორტი. მაგალითად, საქსტატის მონაცემებით, 2019 წელს ქვეყანაში იმპორტირებული იქნა 238 ათასი ტონა ბიტუმოვანი ქვანახშირი.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად საქართველოში კერძო სექტორი მნიშვნელოვანი ოდენობით ქვანახშირს მოიხმარს, 2019 წელს წინა წელთან შედარებით მისი მოპოვება კატასტროფულად, 90%-ით დაეცა. უფრო კონკრეტულად კი 2018 წელს მოპოვებული იქნა 137,9 ათასი ტონა, ხოლო 2019 წელს მხოლოდ 15,3 ათასი ტონა ქვანახშირი. ასეთი მკვეთრი ვარდნა უკავშირდება არა ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებას, არამედ ქვეყანაში ყველაზე მსხვილი მომპოვებლის, „საქნახშირის“, სიმძლავრეების შემცირებას, რაც თავის მხრივ განაპირობა ამ კომპანიაში ტრაგიკული შემთხვევების გამო მოპოვების სამუშაოების შეზღუდვამ.

საქართველოში მომავალში ნახშირის მრეწველობის განვითარება არსებითად იქნება დამოკიდებული სათბობ-ენერგეტიკული ბაზრის კონიუნქტურაზე, ტექნოლოგიების სრულყოფაზე, ქვეყნის დამოკიდებულებაზე ეკოლოგიური გამოწვევების მიმართ, განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების მასშტაბების გაფართოებაზე, სხვა სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე ფასების ცვლილებაზე და სხვა.

განახლებადი ენერგეტიკული რესურსები

როგორც ცნობილია, სათბობ-ენეგეტიკული რესურსების ე.წ. დიდი სამეული (ნავთობი, გაზი და ნახშირი) მიეკუთვნება ამოწურვად-აღუდგენელ რესურსებს. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზებით დიდი დრო არ დარჩა, არსებული მოპოვების მაჩვენებლების შენარჩუნების პირობებში, მათი მარაგების ამოწურვამდე. ამასთან, ისეთი გლობალური ეკოლოგიური პრობლემა, როგორიცაა გლობალური დათბობა არსებითად გამოწვეულია სწორედ ნავთობისა და სხვა წიაღისეული სათბობის ინტენსიური გამოყენების შედეგად ატმოსფეროში ნახშირორჟანგის ისეთი რაოდენობის დაგროვებით,

რომლის უდიდესი ნაწილი არ შთაინთქმება ბიოსფეროს მიერ და ილექება ატმოსფეროში, რაც თავის მხრივ იწვევს სათბურის ეფექტს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ წიაღისეული სათბობის შეზღუდული მარაგები და მათი გამოყენების შედეგად ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო აქტუალურს ხდის ენეგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას, ენერგოდამზოგველი ღონისძიებების განხორციელებას და ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების დაჩქარებას. ეს საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, ვინაიდან ქვეყანა დამოკიდებულია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების იმპორტზე და ამ მიზნით ქვეყნიდან ასეულობით მილიონი დოლარი გაედინება.

საქართველოს გააჩნია არატრადიციული/განახლებადი ენერგიის დიდი პოტენციალი მზის, წყლის და გეოთერმული ენერგიის სახით. გარდა უშრეტ-ამოუწურაობისა, მზის ენერგიის გამოყენების დადებით მხარეებს წარმოადგენს ეკოლოგიური სისუფთავე, მზის პანელებთან დაკავშირებული პირველადი კაპიტალური დანახარჯების გაწევის შემდეგ მიღებული ენერგია ფაქტობრივად უფასოა. ამასთან, ამ გზით ენერგიის მიღება დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთანაც. კერძოდ, ჯერ კიდევ მზის პანელების და სხვა მოწყობილობების მაღალი ფასი და ხელსაყრელი ამინდის არსებობა (მზის ნათების ხანგრძივობა). ჩვენი ქვეყნისათვის მზის ენერგიის გამოყენება შესაძლებელია გათბობის და ცხელი წყლით მომარაგების მიზნით ჰელიოსისტემების მეშვეობით. თუმცა, ჯერჯერობით მზის ენერგიის ერთეულის მისაღებად საჭირო დანახარჯების პირობებში ჰელიოსისტემების გამოყენების მასობრიობას არ აქვს ადგილი, რაც ძირითადად განპირობებულია ენერგიის გენერაციის სხვა საშუალებებთან მიმართებაში დაბალი კონკურენტუნა-რიანობით.

ენერგიის ალტერნატიული წყაროებიდან ქარის ენერგიის განვითარებას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება თანამედ-როვე მსოფლიოში. მაგალითისათვის, გერმანია, რომელიც ქარის ენერგიის გამოყენების მიმართულებით აშკარა ლიდერი ქვეყანაა, 2020 წლისათვის ქარის ელექტროსადგურებზე გამოიმუშავებს ჯამურად გენერირებული ენერგიის 20%-ს. ამ სახის ენერგიაზე

ასეთი მაღალი ინტერესი ძირითადად აიხსნება იმით, რომ ის არის ყველაზე იაფი ალტერნატიული ენერგიის წყაროებს შორის და ასევე ეკოლოგიურად სუფთაა.

ექსპერტული გაანგარიშებით საქართველოში ქარის ენერგიის სრული პოტენციალი შეადგენს დაახლოებით 1300 მლრდ. კვტ. სთ-ს, რაც თითქმის 20-ჯერ აღემატება ჩვენი ქვეყნის ჰიდრო რესურსების თეორიულ ენერგოპოტენციალს. ქარის ელექტროსადგური „ქართლი“ პირველი საპილოტე პროექტია, რომელიც სახელმწიფო სახსრებით საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის მიერ იქნა დაფუძნებული და საინვესტიციო ღირებულებამ 31,23 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა(30).

ქარის ენერგიის გამოყენების პერსპექტიულობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მისი ენერგია დიდწილად მოდის ზამთრის თვეებზე, ამ დროს კი, როგორც წესი, ჰიდროელექტროსადგურებში ადგილი აქვს წყლის რესურსების დეფიციტს. ამასთან, ქარის ენერგიის გამოყენებასაც გააჩნია ნეგატიური მხარეები. კერძოდ, ის არარეგულირებად, არასტაბილურ წყაროს მიეკუთვნება, საკმაოდ ხმაურიანია, ახშობს ტელე და რადიოსიგნალებს და ზიანს აყენებს ფლორას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება
2. აბესაძე რ. წრიული ეკონომიკა: არსი და გამოწვევები.ჟ.“ეკონომისტი“,№1
3. თვალჭრელიძე ა., საქართველოს მყარი მინერალური რესურსები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბილისი, 1998
4. მწვანე ალტერნატივა. საქართველოს მინერალური რესურსების მმართველობის აქტუალური საკითხები, 2017
5. ჟორდანია ი. და ავტორთა კოლექტივი. საქართველოს ბუნებრივი რესურსები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. ტომი I,II. თბ., 2015

6. საჰა დ., პეტერსენი ჰ.გ., ფავლენიშვილი ლ., ვალტერი ვ., გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველოში. საქართველოს წიაღის კანონმდებლობის საინვესტიციო დაბრკოლებების აღმოფხვრა. ბერლინი/თბილისი, დეკემბერი, 2015

7. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა (2016-2030) და სამოქმედო გეგმისათვის (2016-2020). თბ; 2015

8. ტრაპაიძე ვ. წყლის რესურსები. თბ; 2102.

9. ჩომახიძე დ., კუბლაშვილი გ. საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსები, თბ., 2017

10. Глобальная оценка лесьных ресурсов 2018. Продовольственной и сельскохозяиственной организации ООН(FAO)

11. Документ ООН рамочная класификация для ископаемых и минеральных ресурсов. 2017

12. Европеиское агентство по окружающей среде (EAOC)

13. Земельные ресурсы: всемирный обзор. United wations convention to combat desertification. 2017; www.uccd.int

14. Минеральные ресурсы мира:размещение, использование и проблемы освоение. http://geograf-stud.ru

15. Природные ресурсы мировой экономики https://mirec.mgimo.ru/

16. Природные ресурсы мира: проблемы и перспективы https://resheba.me/

17. International Energy Agency (MEA) www.iea.org

18. BP Statistical Review of world energy 2019

19. https://mepa.gov.ge/

20. www.geostat.ge

21. https://mepa.gov.ge/

22. www. Bp.com

23. www.Fao.org

24. www.Globalforestwatch.org

25. www.Bgs.ac.uk

26. www. Euracliv.com

27. www.unece.org

28. www.wordbank.org.

29. http://www.cawater-info.net/all_about_water/

30. http://gedf.com.ge „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“.

Mamuka Khuskivadze

RESOURCING OF AN ECONOMY OF GEORGIA AT THE MODERN STAGE

Summary

In the work the problematic issues of the resourcing of an economy of Georgia is considered.

ლინა დათუნაშვილი

ინოვაციების გავრცელების პრობლემები საქართველოს სოფლის მეურნეობაში (მემცენარეობა)

ანოტაცია. *ნაშრომში გაშუქებულია სოფლის მეურნეობაში ინოვაციების გამოყენების მნიშვნელობა და ამ მიმართულებით დარგის განვითარებისთვის კვლევის კომპლექსური მიდგომის აუცილებლობა. ნაჩვენებია სოფლის მეურნეობის წარმოების თავისებურების კავშირი ამ დარგში ინოვაციების გამოყენების მაღალი დონის რისკთან. განხილულია ინოვაციურ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები. გაანალიზებულია ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობები სოფლის მეურნეობაში; ისეთის, როგორიც არის რობოტიზაცია, ვერტიკალური სოფლის მეურნეობა, „ჭკვიანი აპლიკაციის“ და ბლოკჩეინის გამოყენება, მართვის პარალელური და ავტომატური სისტემები, განახლებადი ენერგია: მზე, ქარი და თერმული წყლები, რომელთა წარმატებულ რეალიზაციზე მჭიდროდ არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომავალი.*

შესწავლილია ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით ქვეყანაში განხორციელებული რიგი ღონისძიებები სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით. გაანალიზებულია ბოლო წლების ეკონომიკური მაჩვენებლები სოფლის

მეურნეობაში, რომელმაც აჩვენა: სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის, დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობის, ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობის და წარმოების, მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის ხვედრიწილის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია.

ნაჩვენებია საერთაშორისო ორგანიზაცია USAID-ი ინვესტიციების საშუალებით სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერით როგორ ეხმარება დარგში საქმებულ ადმიანებს გარკვეული წარმატების მიღწევაში და ინოვაციური გზების მოძიებაში, ისეთის, როგორიც არის მობაილ აპლიკაცია „აგრონავტი“, ხილის ჩირის მწარმოებელი კომპანია შპს. „გემუანი“ ზუგდიდში, შპს. „ფონა“ ლაგოდეხის რაიონში, „სამყურა“ დაბა წნორში და სხვა.

გაშუქებულია ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების შექმნის და გამოყენების მიმართულებით ქართველ მეცნიერ აგრარიკოსების საქმიანობა, აკდემიკოს რამაზ გახრკიძის მიერ შექმნილი ბიოენერგოაქტივატორები, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღების საშუალებას იძლევა და ვახტანგ ასლანიკაშვილის მიერ შექმნილი სარწყავი მოწყობილობა „მიწისქვეშა კვანძი“, რომლის გამოყენება შეიძლება ნიადაგში ტენის დასარეგულირებლად, საქართველოს როგორც მთაგორიან, ისე დაბლობ რაიონებში.

ნაჩვენებია 2020 წლის თებერვლიდან ქვეყანაში გავრცელებული, ადამიანის ჯანმრთელობაზე ფრიად უარყოფითად მოქმედი დაავადების კორონავირუსის გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობაზე და ამ სფეროში გასატარებელი ანტიკრიზისული ღონისძიებები, რომლებიც გარკვეული ზომით შეამცირებენ პანდემიით გამოწვეულ შოკს.

დარგის შემდგომი განვითარების მიმართულებით განხილულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიროგი გახარიას განცხადება და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის ვიზიტის შედეგები ბერლინში სურსათისა და სოფლის მეურნეობის ყოველწლიურ გლობალურ ფორუმზე.

დასკვნაში ჩამოყალიბებულია ნაშრომში მოტანილი მასალების ანალიზის შედეგები.

საკვანძო სიტყვები: *სოფლის მეურნეობა, ინოვაცია, ჭკვიანი აპლიკაცია*

შესავალი

ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლლიოში ეკონომიკური პროგრესი ხორციელდება ძირითადად ინოვაციების ხარჯზე. ინოვაცია - ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულებების მქონე გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გამუმჯობესებული პროექტი, პროცესი ან მომსახურებაა, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის [6]. ინოვაციების ეფექტურ გამოყენებას ეკონომიკაში არა ერთი ქვეყანა გამოუყვანია კრიზისიდან და გადაუყვანია განვითარების ახალ დონეზე. დღეისათვის მეცნიერების სხვაასხვა დარგში შექმნილი ახალი ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობას აძლევს აგრარიკოსებს აამაღლონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა დ შესაბამისად მოსავალი, შეამცირონ თესლისა და სასუქებზე დანახარჯები და მინიმუმამდე დაიყვანონ ეკოსისტემაზე მიყენებული ზიანი. სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარება ხელს უწყობს წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მთლიანობაში - შემოსავლების ზრდასა და მოგების გადიდებას.

* * *

გასათვალისწინებელია სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარებისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობა, რაც უპირველესად უნდა შეეხოს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის განკუთვნილი ნიადაგის ქიმიური შემადგენლობის შესწავლის, ნიადაგის ამოშრობასა და მორწყვას, ნიადაგის დამუშავებას, მეცნიერულ-ტეწნიკური პროგრესის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი ტექნიკისა და მოწყობილობების წარმოებას, წარმოებული პროდუქციის აღებას, შენახვას, მის ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას, ასევე სხვა

პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია დარგის შემდგომ განვითარებასთან.

აღსანიშნავია, რომ სოფლისმეურნეობრივი წარმოების სირთულე და თავისებურება მნიშვნელოვან კავშირშია ამ დარგში ინოვაციების გამოყენების მაღალი დონის რისკთან ისეთის, როგორიცაა სამეცნიერო და საწარმოო შედეგების დაფინანსების რისკი, ამ სფეროში დანახარჯებსა და შედეგებს შორის დროის მიხედვით არსებულ წვეტასთან დაკავშირებული რისკი, ინოვაციურ პროდუქციაზე მოთხოვნასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული რისკი და სხვა, რომლებიც ხელს უშლის ინვესტორების დაინტერესებას სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დარგში დააბანდონ თავიანთი კაპიტალი.

ინოვაციურ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებია:

ქვეყანაში პროგრესული ტექნოლოგიების და აუცილებელი ინფრასტრუქტურის, ასევე მატერიალურ-ტექნიკური და მყარი ფინანსური ბაზის არსებობა;

მსოფლიოში აპრობირებული ანტიმონოპოლიური და საგადასახადო კანონმდებლობის გატარება;

ინოვაციურ პროცესში მონაწილეთა მორალური და მატერიალური წახალისება;

მართვის დემოკრატიული სტილი, მოქნილი საორგანი-ზაციო სტრუქტურა და ავტონომია;

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დღეისათვის და ომავალშიც საზოგადოების მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება სურათზე იმ შეზღუდული რესურსების საშუალებით უნდა განხორციელდეს, რომელიც გაგვაჩნია (სახნავი მიწა, სასმელი წყლის რესურსი), ასევე საყურადღებოა არაპროგნოზირებადი ფაქტორები, როგორიცაა: კლიმატის ცვლილება, ახალი დაავადებები მეცხოველეობაში, მავნებლების გავრცელება მემცენარეობაში. აღნიშნულს თან ერთვის რთული ურთიერთობა ფერმერებთან, რასაც საფუძვლად უდევს ამ სფეროში განათლების დაბალი დონე, ინფორმაციის ნაკლებობა და სხვა. აღნიშნული მიზეზები დამატებითი გამოწვევების წინაშე აყენებს სოფლის მეურნეობის მუშაკებს, რის გაოც დღის წესრიგსი დგება დარგში ინოვაციების, ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენების აუცილებლობა, რაც ხელს შეუწყობს

სასურსათო პროდუქციის ზრდას და დარგის შემდგომ განვითარებას.

დაახლოებით გასული საუკუნის დასაწყისში დაიწყო სოფლის მეურნეობაში მექანიზიის, შემდგომ კი ავტომატიზაციის გამოყენება, რამაც იმ პერიოდისთვის მნიშვნელოვანად გაზარდა სასურსათო პროდუქციის წარმოება. დღეისთვის, ამ მიმართულებით ჩამოყალიბებული ახალი ეპოქის პირობებში შესაძლებელი ხდება მონაცემების ფართო სპექტრის ერტიანობის საფუძველზე, რომლის ციფრული და ტექნოლოგიური უნარი ამ დარგში ქმნის სრულიად ახალ შესაძლებლობას იმისათვის, რომ მემცენრეობაში მოსავლის მოყვანის მთლიანი ციკლი ფერმერის გარეშე განხორციელდეს.

საკითხის რეალიზაციას ხელს უწყობს ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სოფლის მეურნეობაში, ისეთის, როგორიც არის რობოტიზაცია.

ბოლო პერიოდში მსოფლიოს რიგი ქვეყანის სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის აგროსექტორში აქტიურად მიმდინარეობს რობოტიზაციის პროცესი, რომლის ბაზარი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება. აგრორობოტებს წარმოადგენს: თვითმავალი ტრაქტორები, ბალახის საკრეჭი რობოტი მანქანები, დრონები და სხვა. საპილოტე ეტაპზე არსებულ სამეურნეო საქმიანობაში ჩართული პროგრამები მზად არიან განახორციელონ სოფლის მეურნეობაში (მემცენარეობაში) სერიოზული საქამიანობა, მაგ. ექვსფეხა რობოტი „პროსპერო“ თვითონ ამხადებს ნიადაგს მარცვლეულის დასათესად და თვითონ თესავს მარცვალს ნიადაგში. საინტერესოა ეგრედწოდებული „ჭკვიანი აპლიკაციის“ გამოყენებით სპეციალური მოწყობილობა როგორ ადგენს პროდუქტის სიმწიფის და ვარგისიანობის ხარისხს. ასევე სოფლად სარწყავი დრონების გამოყენებით ზედმეტი დანახარჯების გარეშე, სახლიდან გაუსვლელად როგორ ხორციელდება რამდენიმე მიწის ნაკვეთის მორწყვა.

როგორც ვხედავთ, რობოტები ადამიანის მიერ შესასრულებელი სამუშაოებს შესრულებას საკუთარ თავზე იღებენ. რობოტიზაცია ტექნოლოგიის მომავალია, რომელიც დიდ ცვლილებებს მოიტანს.

მემცენარეობაში სარეველებთან ბრძოლა ფრიად შრომატევადი პროცესია, რომელიც დიდ დროსა და სათანადო რესურსის ხარჯვასთან არის დაკავშირებული. ამჟამად კომპიუტერული და მექანიკური სწავლება გაერთიანდა და სარეველას კონტროლი, მისი აღმოჩენა და დამუშავება ახალი საზრიანი მანქანების საშუალებით ხორციელდება. ჰერბიციდების საფრქვევი რობოტი, რომელიც სარეველის გასანადგურებლად ჯერბიციდებს აფრქვევს, ასევე ახორციელებს მცენარის შეფასებას და მისი დასამუშავებელი დოზების განსაზღვრასაც. ხელოვნური ინტელექტი ეფექტური, ჩქარი და მოსახერხებელია. ამჟამად მემცენარეობაში იყენებენ რიჩარდ ჰასელისა და მეცნიერთა ჯგუფის მიერ შექმნილ რობოტებით მართვად სისტემას, რომელიც მცენარის დაავადებისადმი გამძლე ფესვებს ნიადაგში ძალიან სწრაფად რგავს.

აღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვან ინოვაციურ მიმართულებას წარმოადგენს ვერტიკალური სოფლის მეურნეობა, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ დახურულ სივრცეში, შენობების სახურავზე და კედლებზეც კი მოვიყვანოთ ხორბლის, სიმინდის, ბოსტნეულის და მემცენარეობის სხვა კულტურების მეტი მოსავალი სასუქების, წყლის და შრომის ნაკლები დანახარჯებით. ვერტიკალური სოფლის მეურნეობის მიმართულების მეთოდს წარმოადგენს:

ა) ჰიდროპონიკა - რომლის გამოყენებისას მცენარეები იზრდებიან წყალში უფრო სწრაფად (16 დღე), ვიდრე ეს პროცესი მიმდინარეობს ჩვეულებრივ ნიადაგში ან სათბურში (30 დღე), ნაკლები წყლისა და სასუქის გამოყენებით.

ბ) აეროპონიკა - მეთოდია, რომლის გამოყენებისას მცენარეების ფესვები ჰაერშია გამოკიდებული და მათ წყალი და საკვები ნივთიერებები წვეთების საშუალებით მიეწოდება. ფესვების მუდმივი აერაცია აჩქარებს მცენარის ზრდას და ამ ტექნოლოგიით წელიწადში მრავალჯერ შეიძლება მივიღოთ მოსავალი.

გ) აკვაპონიკა - არის მეთოდი, რომელიც თევზების და წყალმცენარეების ერტობლივ ზრდას გულისხმობს. ამ მეთოდის გამოყენების დროს მცენარეები ახდენენ წყლის გასუფთავებას და თევზებისთვის ჟანგბადის მიწოდებას, ხოლო თევზების მიერ

გამოყოფილი ნარჩენებით, რომელიც ბევრ მინერალებს შეიცავს, ხდება მცენარეების ზრდა და - განვითარებისთვის სასურველი გარემო-პირობების შექმნა.

ვერტიკალური სოფლი მეურნეობის გასავითარებლად სასოფლო-სამეურნეო მიწებად შეიძლება გამოყენებულ იქნას დიდ ქალაქებში მრავალსართულიანი სახლები, სატრანსპორტო კონტეინერები, მიტოვებული ან მოქმედი საწყობები და სხვა. ამ მიწებზე გარემოს კონტროლი სასათბურე მეურნეობის მსგავსად ხორციელდება, სადაც დიოდური სანათების საშუალებით ხელოვნურ განათებას იყენებენ ბუნებრივის გასაძლიერებლად. აღნიშნული მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს უმართავი ამინდისა და მიწადმოქმედების სხვა პრობლემის მოგვარებას. ვერტიკალური სოფლის მეურნეობის განვითარება ხელს უწყობს ურბანულ რაიონებს იყვნენ ნაკლებად დამოკიდებული ფერმერებზე და მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე. თუ ადრე მცენარის მოყვანისას დიდი დრო იკარგებოდა, როდესააც მორწყვა და სასუქების შეტანა სხვადასხვა დროს ხდებოდა, ახლა უკვე სასუქების შეტანა, ანუ განოყიერება და ხელოვნური მორწყვა ერთდროულად ხორციელდება.

მნიშვნელოვან ინოვაციურ მიმართულებას წარმოადგენს ბლოკჩეინის გამოყენება სოფლის მეურნეობაში. ამ პერსპექტიული ტექნოლოგიით ხდება საწარმოებსა და ინდივიდებს შორის ტრანზაქციების განხორციელება. იგი ციფრულად დაშიფრული ტრანზაქციების „ჰიპერ-რეესტრია“, რომელსაც ამ პროცესში ჩართული მხარეები ნებაყოფლობით აზიარებენ ჯაჭვის მეშვეობით. ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გამოყენების საპილოტე კვლევას ატარებს AgriDigital-ი, რათა შექმნას დაცული და ეფექტიანი აგრომიწოდების ჯაჭვები და ჩართოს მონაწილეები ჯაჭვში ურთიერთნდობის საფუძველზე. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ბლოკჩეინის გამოყენება წაახალისებს ფერმერებს, რომ მათ მეტი კონტროლის საშუალება ჰქონდეთ საკუთარ საქონელზე. ასევე ბლოკჩეინის დანერგვით შეიძლება გადაიჭრას ლოჯისტიკის პრობლემა აგროსექტორში. LLPS-ი Transport Alliance-თან გაერთიანდა, რათა მათ ერთობლივად შექმნან მომავლის ლოჯისტიკის ჭკვიანი ქსელი, რომელიც ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე იქნება დაფუძნებული.

სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მართვის პარალელური სისტემების (ნავიგაციის) გამოყენება, რომლიც ემყარება GPS/GLONASS სატელიტური სიგნალების მიღებას. აღნიშნული სისტემა გამოიყენება ნიადაგის დასამუშავებლად: მარცვლეულის მწკრივადი თესვის, მწკრივის შემდგომი კულტივირების, ნიადაგში სასუქების შეტანისა და დაძაბული სამუშაოს დროს მანქანის ზუსტად ორიენტირების მიზნით. ნავიგატორი დამონტაჟებულია ტრაქტორზე და მონაცემებს იღებს თანამგზავრიდან, ასევე საბაზო სადგურებიდან, რაც საშუალებას აძლევს მანქანას გადაადგილდეს წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით. მართვის პარალელური სისტემა ითვალისწინებს სპეციალური ვიზუალური ეკრანის დაყენებას. მას გააჩნია მიმართულების ინდიკატორი, კონტროლიორი და GPS მიმღები. აღნიშნული საშუალებების გამოყენებით ხდება თესლის, საწვავისა და საცხები მასალის დაზოგვა, ტექნიკის გადაადგილების ოპტიმიზაცია და იზრდება აღჭურვილობის დატვირთვა დაახლოებით 3-ჯერ, რაც ფულად-მატერიალური საშუალებების ეკონომიას იწვევს.

ასევე მნიშვნელოვანია მართვის ავტომატური სისტემა (ავტოპილოტი), რომელიც უზრუნველყოფს მექანიზაციის საშუალებების მაქსიმალური სიზუსტით გადაადგილებას მარშრუტის გაწვრივ ოპერატორის ჩარევის გარეშე. სწორედ მაქსიმალური სიზუსტით მუშაობა განასხვავებს ავტოპილოტის სხვა მართვის სისტემისაგან. მთლიანობაში, მათი გამოყენებით მემცენარეობაში ტექნოლოგიური ოპერაციები ხორციელდება მინიმალური დანახარჯებით, იზოგება სამუშაო დრო, ხდება საწვავისა და საცხები მასალების, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებების მნიშვნელოვანი ეკონომია. სპეციალისტების აზრით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული კერძოდ მემცენარეობაში ამ სისტემების წარმატებულ გამოყენებაზე, რომ ეს სისტემები სოფლის მეურნეობის მომავალია. მხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ მემცენარეობაში მოსავლიანობის და შესაბამისად მოსავლის ზრდას.

ბოლო პერიოდში ქართველი ფერმერების მნიშვნელოვანი ნაწილი ქმნიან სასათბურე მეურნეობებს ბოსტნეული

კულტურების მოსაყვანად, სადაც იყენებენ ტრადიციული ენერგიის წყაროებს, რომელთა გამოყენება ზრდის წარმოებული პროდუქტის თვითღირებულებას. სასათბურე მეურნეობაში ტრადიციული ერეგიის წყაროები გამოყენების ჩანაცვლება განახლებადი ენერგიის საშუალებებით: ქარი, მზე და გეოთერმული წყლები, მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ სექტორში წარმოებული პროდუქტების თვითღირებულებას. ბუნებრივი ენერგიის გამოყენების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ აგროსაწარმოებს, მსხვილ ფერმერულ და კოოპერაციულ მეურნეობებს. გასათვალისწინებელია იმ რეგიონების გამოცდილება, რომლებიც ეფექტურად იყენებენ მზის ბუნებრივ ენერგიას მაგ. ტაჯიკეთში გავრცელებულია მზის სასათბურე მეურნეობები, სადაც ზამთრის პირობებშიც მზის ენერგიის გამოყენებით მოყავთ ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები. საქართველოში მზის ენერგიის გამოყენება სასათბურე მეურნეობებში მოგვცემდა საადრეო და საგვიანო ბოსტნეულის მოყვაის საშუალებას შედარებით დაბალი თვითღირებულებით. მზის ენერგია შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის ჩირის, ასევე საკვებდანამატებისა და მშრალი პროდუქტების (ასკილი, ტყის მოცვი და სხვა) საწარმოებლად - მზის ენერგიის გამოსაყენებლად საუკეთესო პირობებია შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაბლობ და კავკასიონის მაღალმთიან ადგილესი. საქართველოს ქარის ენერგიის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, რომლის მეშვეობით ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება მნიშვნელოვნად მაღალია. გორში ექსპლოატაციაში შევიდა ქართლის კომერციული ქარის ელექტროსაგური ექვსი ტურბინით, რომელიც პირველია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში. იგი სტაბილურად აწარმოებს ელექტროენერგიას. შერჩეულია ქარის ელექტროსადგურების განთავსების საუკეთესო ადგილები, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს [1].

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროლოგიური შესწავლის თანახმად გეოთერმული წყლების პროგნოზული მარაგები 200-250 მლნ, მ³-ს შეადგენს, რომელთა ტემპერატურა 30°-დან 110°-მდე მერყეობს. ამჟამად მაღალი ტემპერატურის მქონე თერმული

წყლების მნიშვნელოვანი რაოდენობა უქმად იღვრება, არადა შეღავათიანი პირობებით მათი გამოყენება კოოპერაციულ მეურნეობებსა და აგროსაწარმოებს მეტ შესაძლებლობას მისცემდა ეწარმოებინათ დაბალი თვითღირებულების სასურსათო პროდუქტები [2].

როგორია ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით ქვეყანაში განხორციელებული ღონისძიებები, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიმართულებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულია და ხორციელდება ერთიანი აგროპროექტი, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფინანსებით, აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა, სანერგე მეურნეობების მოწყობა და მრავალწლიანი კულტურების თანამედროვე ბაღების გაშენების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში აგროდაკრედიტების საერთო მოცულობა (20.06.2019) 2,013,139,276 ლარს (შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი) აჭარბებს. აღნიშნული პერიოდისთვის გაშენებულია 7, 473 ჰა ინტენსიური ტიპის ხეხილის ბაღი, დაფინანსებულია 200 ახალი საწარმო, გაფართოებული და გადაიარაღებულია 940 არსებული საწარმო.

აგროდაზღვევის ხაზით მნიშვნელოვანი სამუშაოებია განხორციელებული: 2014-2018 წლებში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 81,453 პოლისი. სულ დაზღვეულია 71,413 ჰა მიწის ფართობი. აღნიშნულ პერიოდში ანაზღაურებულმა ზარალმა 35,342,381 ლარი შეადგინა.

ქვეყანაში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის პროექტი 2011 წლიდან ხორციელდება. 2018 წლის მდგომარეობით წყლით უზრუნველყოფილი მიწის ფართობი 127 ათას ჰა-ს შეადგენს, ხოლო დაშრობა 38 ათას ჰა-ზე მიმდინარეობს.

ფერმერთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით,

მიმდინარეობს ფერმერთა ექსტენციის სხვადასხვა პროგრამები. სხვადასხვა მიმართულებით შემუშავებულია ექსტენციის სტრატეგია, ფუნქციონირებს მობილური ექსტენციის სისტემა.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANYDA) დაფინანსებით 2018 წლიდან დაიწყო სოფლად ახალგაზრდა მეწარმეები მხარდაჭერის პროგრამა - „ახალგაზრდა მეწარმე“, რომელიც ახალგაზრდებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევის გზით რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, სიღარიბის შემცირებას და კერძო სექტორის განვითარებას, ახალგაზრდების ბიზნესში ჩართულობის ხელშეწყობას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციაში ინვესტიციების დაბანდებას შეუწყობს ხელს.

პროგრამა ითვალისწინებს როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს მიმართულებების დაფინანსებას. 2019 წლის პირველ ნახევარში პრგორამის ფარგლებში გაფორმდა 178 ხელშეკრულება თანხით 18, 931, 868 ლარი, საიდანაც თანადაფინანსებამ შეადგინა 7, 381, 040 ლარი.

განხორციელდა სურსათის უვნებლობის 11 ლაპროატორიის შენობა-ნაგებობის კაპიტალური შეკეთება და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა.

მეხილეობის საცლე-საკოლექციო ნარგაობა გამდიდრდა 120 ადგილობრივი 60 ინტროდუცირებული და კენკროვნების 8 ჯიშით.

ბაზარზე ხარისხიანი სათესლე და სარგავი მასალის დამკვიდრებისათვის, თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემის დანერგვის მიზნით, შეიქმნა საერთაშორისო წესების და სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. ამუშავდა მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ქერი) სავალდებულო დასარგავი მასალის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების სისტემა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა თესლის ხარისხის ლაბორატორია [8].

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა როგორია ბოლო წლების ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკური პუბლიკაციის მიხედვით 2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. 2016 წლიდან გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას, ამასთან გამოკვლევის შერჩევის ზომა 5 ათასიდან 12 ათას მეურნეობამდე გაიზარდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა. ამ ცვლილებებით 2016 წლიდან მონაცემები შესადარი არ იყო წინა წლების მონაცემებთან, რის გამოც განხორციელდა 2014-2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება, ამიტომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა მოიცავს საქართველოს სოფლის მეურნეობის ბოლო ოთხი წლის მასალის ანალიზს (2016-2019 წწ).

აღნიშნულ პერიოდში შემცირდა საქართველოს სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა 38,0 ათასი კაცით (1577,1-დან 1539,1-მდე). სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 5-7 პროცენტი, საქართველოში ამ დარგში დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 41%. სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება სხვა მიზეზებთან ერთად მნიშნელოვან გავლენას ახდენს პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავების რაოდენობრივ მაჩვენებელზე. საანგარიშო პერიოდში 37,9-ათასი ჰა-ით შემცირდა ერთწლიანი კულტურების ნათესის ფართობი. მათ შორის (ათასი ჰა) ხორბლის - 6,5; სიმინდის- 20,8; ლობიოს - 0,6; მზესუმზირის - 1,1; კარტოფილის - 3,8; ბოსტნეულის - 2,8; ბაღჩეულის - 6,3; მრავალწლიანი ბალახების 2,0.

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობის შემცირება უარყოფითად აისახა ამ კულტურების წარმოებაზე, მნიშვნელოვნად იკლო აღნიშნული კულტურების წარმოებამ (ათასი ტ): ხორბალის - 26.0; შვრიის - 3,5; სიმინდის - 36,6; მზესუმზირის -0,6; კარტოფილის - 54,3; მრავალწლიანი ბალახები თივად - 3,5; გაიზარდა ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება შესაბამისად 19,4 და 7,1 ათასი ტ- ით, რაც გამოიწვია კომბოსტოს - 9,5; პომიდვრის - 8,5; კიტრის - 11,7, ჭარხლის 1,9 და საზამთროს წარმოების გადიდებამ 7,6 ათასი ტ-ით.

საანგარიშო პერიოდში მრავალწლოვანი კულტურებიდან ხილის (თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი) წარმოება 42,0 ათასი ტ-ით (186 ათასი ტ-დან 144,4 ათას ტ-მდე) შემცირდა. ასევე შემცირება დაფიქსირდა (ათასი ტ-ით) ჩაისა - 1,0 და ციტრუსის - 1,5 წარმოებაში. გაიზარდა სუბტროპიკული ხილის - 4,5 ათასი ტ-ით და ყურძნის - 134,1 ათასი ტ-ით წარმოება.

საანალიზო პერიოდში შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა (ათასი სულით) – 92,2; ცხვრის - 34,0 ; თხის 10,9; ხოლო ზრდა დაფიქსირდა ღორის - 19,3 (ათასი სული); ფრინველის - 1228,6 (ათასი ფრთა) და ფუტკრის ოჯახის რაოდენობაში - 52,0 (ათასი სკა).

მემცენარეობის კულტურების ნათესი ფართობისა და წარმოების, ასევე მეცხოველეობის ზოგიერთი ქვედარგის: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის რაოდენობის შემცირებამ ნეგატიური გავლენა იქონია სხვა რიგ ეკონომიკურ მაჩვენებელზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ იკლო: მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის ხვედრითმა წილმა 8,3%- დან 7,2%-მდე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლების წილმა შინამეურნეობების ფულად შემოსავალში 6,4%-დან 5,5%-მდე; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებულმა საშუალო თვიურმა შემოსავლებმა ერთ შინამეურნეობაზე 63,0 ლარიდან 60,3 ლარამდე; გამოყენებული ყველა სახის მინერალური სასუქის რაოდენობამ 57,7 ათასი ტ- დან 42, 5 ათას ტ-მდე; 655,2 მლნ ლარით გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება მიმდინარე ფასებში (3882,7 მლნ ლარიდან 4737,9 მლნ ლარამდე).

ზემოთ განხილული ეკონომიკრი მაჩვენებლების შემცირების ფონზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების ზრდა მიმდინარე ფასებში რათქმა უნდა არ გამოუწვევია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას, არამედ იგი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია აღნიშნულ პერიოდში სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასების ზრდასთან, რაც მეტნაკლები ზომით შეეხო ყველა სახის სასურსათო პროდუქტს, რომელმაც მოიმატა (ლარი/კგ): ძროხის ხორცმა - 4,16; ღორის ხორცმა - 2,01; ქათმის ხორცმა 0,72; მოხარშულმა ძეხვმა

0,55; გაყინულმა თევზმა 0,90; თევზის კონსერვმა 0,25; მზესუმზირის ზეთმა 1 ლიტრი 0,18; იმერულმა ყველმა 1,92; კვერცხმა 10 ცალი 0,34; ხორბლის ფქვილმა 0,36; ბრინჯმა 1,07; მაკარონმა 0,44; კარტოფილმა 0,31; კომბოსტომ 0,58; ხახვმა 0,43; ხმელმა ლობიომ 0,42;

სასურსათო პროდუქტების წარმოების რეალურ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, რაც დიდ გავლენას ახდენს ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიც არის ერთწლიანი კულტურების ადგილობრივი წარმოების, იმპორტის, და ექსპორტის წილი, მოსახლეობის ერთ სულზე (კგ წელიწადში) მათ მოხმარებას და ბოლოს, როგორია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლების მხრივ ასეთ რეალობას აქვს ადგილი: ხორბლის ადგილობრივი წარმოება ისედაც მცირე იყო (126,6-100,6 ათასი ტ) და 26,0 ათასი ტ-ით შემცირდა, 552 ათასი ტ-დან 587 ათას ტ-მდე გაიზარდა ხორბლის იმპორტი. ამ პერიოდში მოიმატა მოსახლეობის სასურსათო მოხმარებამ 15-ათასი ტ-ით. ხორბლის ექსპორტი ისედაც მცირე იყო 2016წელს 16 ათასი ტ, ხოლო 2019 წელს მან შეადგინა 4 ათასი ტ. ანუ ეს მაჩვენებელი 12 ათასი ტ-ით შემცირდა. გაიზარდა ხორბლის ფქვილის მოხმარება წელიწადში ერთ სულზე 126კგ-დან 129კგ-მდე.

ხორბლის ადგილობრივი წარმოების დაბალმა დონემ განაპირობა ამ პროდუქტზე მოსახლეობის დაბალი თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი, რომელმაც საანალიზო პერიოდში 19%-დან 15%-მდე იკლო, რაც ფრიად საყურადღებოა.

სიმინდის ადგილობრივი წარმოება 244 ათასი ტ-დან 207 ათას ტ-მდე შემცირდა, გაიზარდა იმპორტი 20 ათასი ტ-ით, იკლო სასურსათო მოხმარებამ 7 ათასი ტ-ით. ესპორტი ისედაც მცირე იყო - 7 ათასი ტ, რაც 2019 წელს 1000 ტ-მდე შემცირდა. სიმინდის ფქვილის მოხმარებამ ერთ სულზე წელიწადში 35კგ-დან 33კგ-მდე იკლო. ქვეყნის მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ამ პროდუქტზე ადგილობრივი წარმოების მაღალი ხვედრითი წილის გამო 2016 წელს 79% შეადგინა, ხოლო 2020 წელს იგი 70%-მდე შემცირდა.

კარტოფილის ადგილობრივმა წარმოებამ აღნიშნულ პერიოდში 249 ათასი ტ-დან 195 ათას ტ-მდე იკლო. შემცირდა კარტოფილის როგორც იმპორტი 18 ათასი ტ-ით, ისე ექსპორტი 12 ათასი ტ-ით. 22 ათასი ტ-ით იკლო სასურსათო მოხმარებამ, აღნიშნულმა მაჩვენებელმა ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 47კგ შეადგინა, რაც 5კგ-ით ნაკლებია 2016 წლის მაჩვენებელზე. კარტოფილით ქვეყნის მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ადგილობრივი წარმოების მაღალი ხვედრითი წილის გამო 2016 წელს 92%, ხოლო 2019 წელს 93% შეადგინა.

ბოსტნეული სხვა სასურსათო პროდუქტებთან ერთად აუცილებელი საკვებია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მისი ადგილობრივი წარმოება საკვლევ პერიოდში 142 ათასი ტ-დან 161 ათას ტ-მდე გაიზარდა, ასევე გადიდდა ბოსტნეული როგორც იმპორტი 90-ათასი ტ-დან 110 ათას ტ-მდე. ისე ექსპორტი 11 ათას ტ-დან 12 ათას ტ-მდე, ხოლო შემცირდა წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე ბოსტნეულის მოხმარება 60 კგ-დან 55 კგ-მდე. ბოსტნეულზე ქვეყნის მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2016 წელს 64%-ია, რომელიც საკვლევ პერიოდში ორი პროცენტით შემცირდა. საკვლევ პერიოდში ყურძნის წარმოება 159 ათასი ტ- დან 294 ათას ტ-მდე გაიზარდა. იმპორტმა 1000 ტონა, ხოლო ექსპორტმა 2019 წელს 101 ათასი ტ შეადგინა. ყურძნის წარმოება საკლევ პერიოდში 135 ათასი ტ-ით გადიდდა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ყურძნის მოხმარება წელიწადში 35კგ-დან 25კგ-მდე შემცირდა. ადგილობრივი წარმოების მაღალი ხვედრითი წილის გამო მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტმა ამ პროდუქტზე 2019 წელს 151% შეადგინა.

მეცხოველეობაში მაღალი იყო ცხვრისა და თხის ხორცზე მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც საანალიზო პერიოდში 100%-დან 158%-მდე გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი ასევე მაღალი იყო რძეზე და რძის პროდუქტებზე და კვერცხზე, რომლებმაც შესაბამისად 82-81 და 100-96 პროცენტი შეადგინა. 2016-2019 წლებში სურსათზე მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ქვეყანაში მთლიანად წარმოებულ ხორცზე დაბალი იყო და 48 და 47 პროცენტი შეადგინა; მათ შორის ღორის ხორცზე 42 და 44 პროცენტი; ფრინველის ხორცზე 35 და 31 პროცენტი, ხოლო

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე აღნიშნულმა მაჩვენებელმა 79 და 74 პროცენტი შეადგინა.

მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ საანალიზო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის უმეტეს ქვედარგებში შემცირდა როგორც მემცენარეობის პროდუქციის წარმოება, ისე მეცხოველეობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის სულადობა, რამაც განაპირობა ამ პროდუქტებით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის არა მარტო დაბალი კოეფიციენტი, არამედ დაფიქსირდა ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია, რაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობას მიაღწია, სოფლად დაიშალა სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობები, რასაც თან მოყვა მათ სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსრი რესურსებისა და უძრავი ქონების დატაცება-განიავება. ამ პერიოდში აგრარულ სფეროში გატარებული რეფორმები არაეფექტური აღმოჩნდა. მიწის პრივატიზაციამ დაანაწევრა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სადაც ტექნიკის გამოყენება თითქმის შეუძლებელი გახდა. გლეხური მეურნეობა დაუბრუნდა ნატურალურს, სადაც წარმოებული სასურსათო პროდუქტები მათ პირადი მოხმარებისთვის ძლივს ყოფნიდა. აღნიშნულ მიზეზებს აგროსექტორში დაბანდებული არასაკმარისი ინვესტიციები და მისი არაეფექტურად გამოყენებაც ემატებოდა. ამ და სხვა მიზეზების გამო საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი რთული იყო. 2012 წლიდან ქვეყნის მთავრობის გაზრდილმა ყურადღებამ, კერძო ინვესტიციებმა, დონორებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერამ გააუმჯობესა დარგის მდგომარეობა.

ბოლო პერიოდში USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამამ ახალი ინოვაციური საგრანტო პროგრამა გამოაცხადა ადგილობრივი სურსათის მწარმოებლების, გადამამუშავებლებისა და დისტრიბუტორების მხარდასაჭერად. გრანტის ვადა 2020 წლის ბოლოს იწურება. ეს გრანტები წარმოადგენს ინოვაციების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის ზრდის, სამუშაო

ადგილების შექმნის, სოფლის მეურნეობის წინსვლისა და ეკონომიკური განვითარებისათვის ახალ შესაძლებლობას.

საქართველოში USAID-ი ინოვაციების მხარდაჭერას ინვესტიციების საშუალებით ახორციელებს. ქვეყნის მთავრობასთან და კერძო სექტორთან ერთად აღნიშნული პროგრამა ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სტიმულირებას, რათა აგრობიზნესის წარმომადგენლებთან ერთად შექმნან და დააფინანსონ ინოვაციები წარმოებაში, გადამუშავებაში, მართვასა და დისტრიბუციაში, ეს ინვესტიციები დაეხმარება საქართველოს აწარმოოს მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, მოამარაგოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზარი აღნიშნული პროდუქციით და მნიშვნელოვნად შეამციროს იმპორტი. ეს მიდგომა USAID-ის მიერ მხარდაჭერილ ინოვაციებს ეხება, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს გარკვეული წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

USAID-ი ქართველ ფერმერებს ინოვაციური გზების ძიებაში ეხმარება, რათა მათ პროდუცია ბაზარზე გაიტანონ. ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით „საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან“, „საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიასთან“ და აჭარა ჯგუფთან თანამშრომლობით აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტმა „ზრდამ“ შექმნა მობაილ აპლიკაცია „აგრონავტი“, რომელიც დარგის ეკონომიკისათვის ფრიად ხელსაყრელია, რამდენადაც ფერმერს მის მიერ წარმოებული პროდუქტის გასაღების ახალ ბაზარზე გასვლის და დაკავშირების საშუალებას აძლევს, აგრეთვე ხელს უწყობს ძვირადღირებული იმპორტის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით ჩანაცვლებას. აპლიკაცია 2018 წელს შეუდგა მუშაობას და ახლა 4180 დარეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავს. საქართველოს ფერმერთა სადისტრიბუციო კომპანიამ, რომელიც 186 ფერმერისგან ყიდულობს სურსათს და მათ რეალიზაციას ახდენს, ბაზარს მიაწოდა 3,7 მლნ. ლარის ღირებულების ბოსტნეული, თაფლი, რძის ნაწარმი და სხვა, რაც ფერმერების მყარი შემოსავლის წყარო გახდა.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის გრანტზე განაცხადის შეტანა 2020წლის 31 დეკემბრამდე შეუძლია იურიდიულად დარეგისტრირებულ, არამომგებიან, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს. ინოვაციებისთვის გრანტები იმ პირობით გაიცემა, რომ შეიქმნება ახალი შესაძლებლობები სექტორის წინსვლისა და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის.

USAID-ის სოფლის მეურნეობის საგრანტო პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რაიონში იქმნება და საქმიანობას იწყებს სხვადასხვა სახის საწარმოები, მაგ. შპს. „გემუანი“ ხილის ჩირის მწარმოებელი კომპანიაა ზუგდიდში, რომელმაც USAID-ისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან თანადაფინანსება მიიღო და გახსნა ყინვით გამოშრობის ქარხანა, შექმნა სამუშაო ადგილები, შევიდა ახალ ბაზრებზე და დაიწყო ხილის ჩირის წარმოება.

ბოლო პერიოდში გარემო პირობების მაღალი დაბინძურების გამო, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში გაჩნდა მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე. საბაზრო ეკონომიკა ხელს უწყობს მოთხოვნა-მიწოდების პროცესის გააქტიურებას, არის მოთხოვნა შესაბამისად ხდება მიწოდებაც. ამ შემთხვევაშიც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ქმნიან ბიომეურნეებებს და ქიმიური საშუალებების გარეშე აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

ბიომეურნეობა აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს მინერალური სასუქების, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, პესტიციდების, ანტიბიოტიკების და ზრდის ჰორმონების გამოყენების გარეშე. ბიომეურნეობებში წარმოებული პროდუქტი მრავალი სასარგებლო თვისებით გამოირჩევა, ჩვეულებრივი მეთოდით წარმოებულ პროდუქტებზე ძვირია და მისი ფასიც შესაბამისად მაღალია. საქართველოში ფუნქციონირებს ბიომეურნეობები, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწვდიან მოსახლეობას. ერთ-ერთი მათგანია ბიომეურნეობა შპს. „ფონა“, რომელიც 2014 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფონაში ჩამოყალიბდა და მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა. მეურნეობაში აწარმოებენ ხილს, ყურძენს, ბოსტნეულსა და თაფლს, ასევე მუშაობს საშრობი საწარმო, სადაც ამზადებენ ჩირს,

მცენარეულ ჩაის და აშრობენ ბოსტნეულს. აქ ასევე ამზადებენ თივას და კომბინირებულ საკვებს მეცხოველეობისთვის.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის დაბა წნორში არსებულმა ბიომეურნეობა „სამყურამ“, რომელსაც ფერმერი ნ,ბაგალიშვილი უძღვება თავიდან ლობიო „თირკმელას“ წარმოებით დაიწყო, შემდგომ საქმიანობა გააფართოვა. ახლა ლობიოსთან ერთად სხვადასხვა სახის ბოსტნეული მოჰყავს. ფერმერის მიერ წარმოებული ლობიოს, ბროკოლს, წიწაკას, პამიდორს და სხვა, ფართო მომხმარებელი ჰყავს ადგილზეც და დედაქალაქშიც.

ბიომეურნეობა „ბარბალე“ 2015 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. აწყურში შექმნა ორმა ქართველმა და ორმა გერმანელმა მეგობარმა. მეურნეობაში მოჰყავთ ეკოლოგიურად სუფთა კარტოფილი, სიმინდი, ლობიო, გოგრა და სხვა კულტურები, აგრეთვე ამზადებენ მცენარეულ ჩაის და აწარმოებენ თაფლს. მთლიანად „ბარბალეს“ მიერ წარმოებული პროდუქცია 50-ს აღემატება, მოიცავს აგრო-ტურებსა და სამუშაო შეხვედრებსაც. გარდა საკუთარი მეურნეობისა, ბიომეურნეობის მფლობელებმა 2015 წლიდან დღემდე 5 ოჯახი ჩართეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოყვანაში, ასევე სოფლის მცხოვრებლებს მათ მიერ წარმოებული ჯანსაღი პროდუქტის რეალიზაციაში ეხმარება. ბიომეურნეობაში წარმოებულ პროდუქტებს ფართო მომხმარებელი ჰყავს როგორც ადგილზე, ისე დედაქალაქში.

სოფლის მეურნეობას თავისი როლითა და მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში. საქართველო აგრარული ქვეყანაა, სწორედ სოფლის მეურნეობა უნდა იყოს უფრო განვითარებული და შესაბამისად შემოსავლიანი დარგი, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების ეფექტურმა გამოყენებამ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მიმართულებით გაკვეული წარმატებებია მიღწეული მსოფლიოს რიგ ქვეყანაში. საქართველოშიც აქტიურად მიმდინარეობს მეცნიერაგრარიკოსების კვლევები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პრობლემის გადასაწყვეტად. აკადმეიკოსმა რამაზ გახოკიძემ საფუძველი ჩაუყარა ახალ სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმართულებას აგრო-სამედიცინო ტექნოლოგიებს, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა,

მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღების საშუალებას იძლევა. თავის წიგნში „უხვი მოსავლის საწინდარი“ ავტორს განხილული აქვს სოფლის მეურნეობაში (მემცენარეობაში) ბიოენერგო-აქტივატორების გამოყენების შესაძლებლობები და მიღებული შედეგები: აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შეიმჩნევა მცენარეთა მაღალი ადაპტაცია სხვადასხვა გარემოპირობებთან, რაც გამოიხატება იმაში, რომ მცენარეები ამინდის არახელსაყრელ პირობებს მწირ ნიადაგზეც იოლად ეგუებიან და საბოლოოდ ვიღებთ ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის მოსავალს. მეცნიერის მიერ შექმნილი ახალი პრეპარატი ბიოენერ-გოაქტივატორი „ბიორაგი“ როგორც ქართულ, ისე მსოფლიო აგრარულ მეცნიერებაში ახალი მეთოდია, რომლის გამოყენებით უხვი და მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღება არის შესაძლებელი. აღნიშნული პრეპარატის საშუალებით ხდება მცენარეთა დაცვა დაავადებებისაგან. „ბიორაგი“ ზემოქმედებს სხვადსხვა სისტემაზე: გარემოდან მინერალური ნივთიერებების შეთვისებაზე, ფოტო სინთეზზე, ცილის სინთეზზე და სხვა, რომელთა საშუალებით, ნივთიერებათა ცვლის გააქტიურების ხარჯზე მცენარე იოლად უმკლავდება როგორც დაავადებებს, ისე არახელსაყრელ გარემოპირობებს. „ბიორაგი“ მიიღება წყალ-მცენარეებისაგან, რაც განაპირობებს მის უვნებლობას და მისი გამოყენებით იზრდება ნიადაგის ნაყოფიერება. პრეპარატის ბიოლოგიური თვისებები ხელსაყრელ პრიობებს ქმნის იმისთვის, რომ იგი გამოყენებულ იქნეს სოფლის მეურნეობის დარგებისა და ქვედარგების შემდგომი განვითარებისთვის.

მცენარეთა ზრდა-განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მათი ფესვთა სისტემის საშუალებით ნიადაგიდან როგორც საკვები ნივთიერებების, ისე ტენის ნორმალური მიწოდება. ბიოენერ-გოსტიმულატორების გამოყენების დროს იზრდება მცენარის მიერ წყლის გამოყენების მაჩვენებელი, რამაც განაპირობა ქართველი მეცნიერების კვლევების გააქტიურება ამ მიმართულებით, შეექმნათ ეფექტური სარწყავი მოწყობილობა, რომელიც მცენარისთვის წყლის საჭირო რაოდენობით მიწოდებას დაარეგულირებდა. რამდენიმე წლის წინ ბატონმა ვახტანგ ასლანიკაშვილმა შექმნა სარწყავი მოწყობილობა „მისიწქვეშა კვანძი“, რომლის გამოყენება შეიძლება საქართველოს როგორც

მთა-გორიან, ისე დაბლობ რაიონებში ნიადაგში ტენის დასარეგულირებლად. „მიწისქვეშა კვანძი“ ნიადაგის მორწყვის ახალი მეთოდია, რომელიც არსებულ მეთოდებთან შედარებით მაღალეფექტური და ეკონომიურია. იგი სრულად აკმაყოფილებს ნიადაგში ფესვთა სისტემისათვის წყლის ოპტიმალური რაოდენობით მიწოდებას. სარწყავი მოწყობილობა „მიწისქვეშა კვანძი“ შედგება სათავო ნაგებობის, გამანაწილებელი დანადგარებისა და შიდა ქსელისაგან. მისი კონსტრუქცია მარტივია და არ ითხოვს ზამთარში შესანახად დაშლას. არ ჭირდება მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალი, შედარებით ძვირია, მაგრამ მცირე დროში დიდ მოგებას იძლევა. სარწყავი მოწყობილობის ექსპლოატაცია რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს. იგი სეზონურად ნიადაგის მორწყვის გარდა მეურნეობაში შეიძლება სარმეწველო დანიშნულებისთვის იქნეს გამოყენებული.

ქართველი მკვლევარების მიერ შექმნილი ბიოენერგო-აქტივატორების და საწრყავი მოწყობილობის- „მიწისქვეშა კვანძის“ გამოყენებით შესაძლებელია როგორც ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის სასურსათო პროდუქტების მიღება, ისე მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების ნაყოფიერებისა და მდგრადობის ზრდა, ასევე გარემოს დაბინძურების შემცირება [10].

მოტანილი მასალა მოწმობს- სურვილს, ცოდნასა და სიახლის ძიებისადმი სწრაფვას ბევრი კარგი საქმის წარმატებით განხორციელება შეუძლია. მართალია ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოს სოფლის მეურნეობაში მცირე რაოდენობის პროდუქცია იწარმოება, მაგრამ ბოლო პერიოდში ხელისუფლების მხირდან გამოჩენილი ყურადღება და დასახული ღონისძიებები იმედის მომცემია.

საქართველოს პრემიერმინისტრის, გიორგი გახარიას განცხადებით სოფლის მეურნეობაზე ზრუნვა დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია და ფერმერების როლიც უფრო აშკარაა, რათა მათ დააკმაყოფილონ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნა ელემენტარულ სასურსათო პროდუქტებზე, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი წარმოების განვითარებით მიკრო საგრანტო პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა დაიწყო 5 ათასი ლარიდან, შემდეგ გახდა 15-20 ათასი ლარი. 2020 წლიდან ეს ზღვარი აიწევს 30 ათას ლარამდე, რაც არის პირდაპირი გრანტის

სახით რეალური ფინანსური დახმარება სოფლის მოსახლეობისთვის, მათთვის, ვინც გადაწყვეტს მცირე ბიზნესის წამოწყებას. მისივე თქმით დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სასურსათო პროდუქტების წარმოება, ანუ მოსახლეობისთვის სასურსათო ბაზის შექმნა, რისთვისაც სახელმწიფომ გამოყო 50 მლნ ლარი ერთწლიანი კულტურების დაფინანსებისთვის, რამდენადაც აღნიშნული კულტურები არის სწრაფი ეკონომიკური ეფექტის მქონე. ამ თანხით სარგებლობას 5 ათასი ფერმერი შეძლებს[11].

ცნობილი ფაქტია, რომ კაცობრიობის უდიდესი გამოწვევა იყო და რჩება ბრძოლა შიმშილის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ხუთი ათწლეულის განმავლობაში რამდენჯერმე გაიზარდა სურსათის წარმოება, რაც მიღწეულ იქნა ტექნოლოგიური, ქიმიური, მექანიკური, ბიოლოგიური დასხვა საშუალების მეშვეობით, მაინც მსოფლიოში დაახლოებით მილიარდამდე ადამიანი შიმშილის ზღვარზეა. ამიტომ სურსათზე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობის განვითარებას გადამწყვეტი მნიშნელობა ენიჭება.

აღნიშნული საკითხი აწუხებს მსოფლიოს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს. პრობლემის შერბილების მიზნით ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში სხვდასხვა ქვეყანაში ტარდება სურსათისა და სოფლის მეურნეობის გლობალური ფორუმი, რომელსაც 2019 წელს გერმანიის დედაქალქმა ბერლინმა უმასპინძლა, სადაც განსახილველი თემა იყო „ციფრული სოფლის მეურნეობა, გონივრული გადაწყვეტილება მომავლის ფერმერებისთვის“.

ფორუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, რომელმაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 80-მდე სოფლის მეურნეობის მინისტრთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ყურადღება გაამახვილა როგორც სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, ისე არსებული გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემების დაძლევის საკითხებზე, რადგან მსოფლიოში დიდ გამოწვევად რჩება ნიადაგის ნაყოფიერების, სასმელი წყლისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებლობა. მინისტრმა

აღნიშნა, რომ ციფრული ტრანსფორმაცია შეუქცევადი პროცესია, რომ ქვეყნის მთავრობამ საჯარო სფეროში სერვისების გაციფრულება უკვე განახორციელა, ასევე საქრთველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა ფერმერთა და ფერმების რეესტრი, რომლის საფუძველზეც მოახდენს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების რეალიზაციას და ხელს შეუწყობს სოფლად სიღარიბის დაძლევასა და ფერმერებისთვის შემოსავლების ზრდას. ფორუმის ფარგლებში ასევე განხილული იქნა ოთხი ძირითადი საკითხი: ციფრული ტექნოლოგიების პოტენციალის გამოყენება სოფლის მეურნეობაში, ფერმერების წვდომა ამ ტექნოლოგიებზე, ინფორმაციის უსაფრთხოება და ინფორმაციის სუვერენიტეტი და სტრუქ-ტურული ცხვლილებები სოფლის მეურნეობის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში [12].

აღნიშნულის გარდა დღეისათვის ფრიად მნიშნელოვანია, რომ მსოფლიოში გავრცელებული დაავადების - კორონავირუსის (COVID-19) გლობალური პანდემიის ფონზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორიც სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. პანდემიით გამოწვეული საფრთხე, როგორც მთლიანად მსოფლიოში, ისე საქართველოში ნამდვილად მასშტაბურია, რის გამოც ქვეყნის მთავრობა აგროსექტორის სტიმულირების პროგრამაზე მუშაობს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ევროკავშირთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით 50 ბენეფიციარისთვის 2,2 მლნ. ლარის სასოფლო-სამეურნეო გრანტი გასცა, რაც საშუალებას აძლევს ფერმერებს, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმო-მადგენლებს ისეთი კაპიტალური ინვესტიციები განახორციელონ, როგორც არის ტრაქტორის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა და სათბურის მოწყობა. დამტკიცებული ინვესტიციების მოცულობა მთლიანად 5 მლნ. ლარს აღემატება. „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში სოფლად მცირე გრანტების პროექტების დაფინანსების ბიუჯეტი გაიზრდება ერთ საგრანტო განაცხადზე 30000 ლარამდე.

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა ქვეყანაში 2020წლის 20 მაისიდან ამოქმედდა და მისი დახმარებით 200 ათასი ბენეფიციარი ისარგებლებს. დახმარების ბიუჯეტი 300 მლნ ლარი

იქნება. აღნიშნული წლის განმავლობაში 42 ათასი ფერმერი სრულად განთავისუფლდება საირიგაციო საფასურისაგან. მცირემიწიანი ფერმერები 0,25-დან - 10 ჰექტარამდე მიწაზე მიიღებენ პირდაპირ ფულად დახმარებას 200- დან 1000 ლარამდე თანხას. ასევე ამ ფერმერებისთვის იგეგმება დიზელის ტიპის საწვავის გაიაფება რომ მათ ერთ ჰექტარზე 150 ლიტრამდე საწყვავი 1 ლარით იაფად შეიძინონ. ასევე ფულადი დახმარებით ისარგებლებენ მიწის ნაკვეთის მფლობელი ფერმერებიც, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 200 ათასია. ამ ღონისძიებისთვის ბიუჯეტიდან 37 მლნ. ლარი დაიხარჯება. იგეგმება აგრომეწარმეებისთვის აგროკრედიტის ფარგლებში 50 ათასი-დან 100 ათას ლარამდე სესხების საპროცენტო განაკვეთის განულება. 50 მლნ. ლარამდე იზრდება აგროკრედიტი ერთწლიანი კულტურების დაფინანსების ნაწილში. აგროდაზღვევის პაკეტის შეძენა ფერმერებისთვის გახდა 3 წლიანი, ნაცვლად ერთწლიანისა და სხვა ღონისძიებები, რომელთა განხორციელება პანდემიის შემდგომ პერიოდისთვის განსაკუთრებით იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნებისთვის უნდა იქცეს ადგილობრივი აგროსამრეწველო სფეროს განვითარების საწყის პერიოდად, რათა მომავალში დარგი დაცული იყოს მსგავსი კრიზისებისაგან და თავის გადარჩენის შანსთან ერთად, წარმატებით ფუნქციონირების რეალური შესაძლებლობა გაუჩნდეს.

მოტანილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების, ისეთის, როგორიც არის რობოტიზაციის, ჭკვიანი აპლიკაციის, ბლოკჩეინის და სხვათა ეფექტური გამოყენება შესაძლებლობას იძლევა სოფლის მეურნეობაში მივიღოთ მაღალი მოსავალი, შევამციროთ თესლსა და სასუქებზე დანახარჯები და მინიმუმამდე დავიყვანოთ ეკოსისტემაზე მიყენებული ზიანი. ქვეყანაში შეიმჩნევა სოფლის მეურნეობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირების და კორონავირუსით გამოწვეული უარყოფითი ტენდენციები. აღნიშნული პრობლემების შერბილების მიმართულებით დასახულია ანტიკრიზისული ღონისძიებები, რომელთა ეფექტური რეალიზაცია გარკვეული ზომით გააუმჯობესებს დარგის ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ალტერნატიული ენერგეტიკა. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული XI. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი 2018

2. ბარათაშვილი მ. ადგილობრივი საინოვაციო გამოცდილება საქართველოში. სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერგიის გამოყენების პერსპექტივები

3. გახოკიძე რ. უხვი მოსავლის საწინდარი. გამომცემლობა ჯისიაი. თბილისი 2008

4. დათუნაშვილი ლ. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული XI. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი 2018

5. დათუნაშვილი ლ. სოფლის მეურნეობა და ეკონომიკური გამოწვევები პანდემიის პირობებში. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები. . თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი 2020

6. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328?publication=0

7. www.ttimes.ge>archives

8. www.mepa.gov.ge

9. www.usaid.gov>georgia>news>g...

10. http://www.resonancedaily.com/index.php?idrub?11...

11. www.interpressnews.ge>article>59

12. commersant.ge>post>levan-davitas…

13. https://www.tbcbusiness.ge/ka/business/blogerebi/tegnologiuri-revolucia-soflismeurneobahi?fb-comment-id...

14. http://www.geostat.ge

15. www.entrepreneur.com>article

Lina Datunashvili

PROBLEMS OF DISSEMINATION OF INNOVATIONS IN AGRICULTURE OF GEORGIA

Summary

The paper covers the importance of using innovation in agriculture and the need for a comprehensive research approach to the development of the field in this direction. The peculiarity of agricultural production with the high level of risk of using innovations in this field is shown. Factors affecting innovation development are discussed. Opportunities for effective use of innovations and new technologies in agriculture are analyzed, such as robotics, vertical agriculture, use of "smart application" and blockchain, parallel and automated management systems, renewable energy: sun, wind and thermal waters, which are successfully released. The future of related agricultural production.

A number of recent measures implemented in the country with the support of the Government of Georgia in the field of agricultural development have been studied. The economic indicators of recent years in agriculture have been analyzed, which have shown: reduction of rural population, area of cultivated agricultural land, area of annual crops and production, share of rural, forestry and fisheries in the structure of GDP and other economic indicators.

It shows how the international organization USAID investments, with the support of the Agriculture Program, helps people in the field to achieve some success and find innovative ways, such as the mobile app "Agronaut", dried fruit company. "Gemuani" in Zugdidi, Ltd. "Fona" in Lagodekhi district "Samkura", "Clover" in Tsnori and others.

The activities of Georgian agrarian scientists in the field of innovation and creation and application of new technologies are covered, bioenergetics created by Academician Ramaz Gakhokidze, which enables the production of ecologically clean, high quality products, and "underground" irrigation equipment created by Vakhtang Aslanikashvili the use of which can regulate humidity in the soil in both mountainous and lowland regions of Georgia.

The impact of the coronavirus, which has spread throughout the country since February 2020 and has a very negative impact on human health, on Georgia's agriculture and anti-crisis measures in this area, which to some extent will reduce the shock caused by the pandemic, is shown.

The statement of the Prime Minister of Georgia Giorogi Gakharia and the results of the visit of the Minister of Environment and Agriculture Levan Davitashvili to the Annual Global Forum on Food and Agriculture in Berlin are discussed in the direction of further development of the sector.

The conclusion sets out the results of the analysis of the materials presented in the paper.

თენგიზ ქავთარაძე

საქართველოს მეცხვარეობაში ინოვაციების გავრცელების პრობლემები

ანოტაცია. *ნაშრომში ინოვაციური თვალსაზრისით შესწავლილია მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით მეცხვარეობის განვითარების მდგომარეობა, საუბარია საქართველოში დაწყებულ აგრარულ რეფორმებზე. შესწავლილია ჯავახეთში მოქმედი განძისა და ოკამის მეცხვარეობის სამრეწველო კომლექსები და მოცემულია მათი ინოვაციური განვითარების პერსექტივები.*

მოცემულია ჩვენი მეცხვარეობის ინოვაციური განვითარების ჩამორჩენის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, მათი დაძლევის ეკონომიკური და მეურნეობრივი ღონისძიებები და განხორციელების კონკრეტული გზები.

საკვანძო სიტყვები: *მეცხვარეობის საკვები ბაზა, მომთაბარე და სტაციონალური მეცხვარეობა, ცოდნის გავრცელების ინოვაცია.*

აგრარული რეფორმა და მეცხვარეობის განვითარების ინოვაციური პრობლემები საქართველოში – ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს ქვეყნის განვითარების იმ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის წარმატებულმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა და ბაზრის შევსება საკუთარი წარმოების სხვა და სხვა სახის კონკურენტუნარიანი პროდუქციით.

ინოვაცია მეცნიერული ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების გამოყენებაზე დამყარებული სიახლეებია ტექნიკაში, ტექნოლოგიაში, შრომის ორგანიზაციასა და მართვაში. მეცნიერულ და ტექნოლოგიურ სიახლეთა გამოყენება ეხება ადამიანთა ყველა საქმიანობას, მათ შორის აგრარულ სფეროს.

ინოვაციებს ადგილი აქვს ნებისმიერი წყობილების დროს, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ინოვაციები ღებულობენ უწყვეტ ხასიათს და ხდებიან განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.

* * *

ინოვაციური თვალსაზრისით საქართველოში დაწყებულმა აგრარულმა რეფორმამ დააჩქარა სოფლად საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბება, გადამამუშავებელი საწარმოების განსახელმწიფოებრიობის პროცესი, მოსახლეობისათვის დამატებით საკარმიდამო, საბაღე და საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფა. ინტენსიური სავარგულების მთლიანი ფართობიდან 613500 ჰა, ანუ (58%) პრივატიზებულია. შეიძლება ითქვას, რომ მიწის რეფორმა რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ სწრაფად წარიმართა, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით, შედეგები არადამაკმაყოფილებელია.

მიწის რეფორმისა და პრივატიზაციის შედეგად საქართველოში მოხდა მიწის დანაწევრება. დაირღვა საყოველთაოდ მიღებული ნაკვეთის დაუნაწევრობის, განუყოფლობის პრინციპი; 1,25 ჰა საკარმიდამო ნაკვეთი ძალზე მცირეა ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობისათვის მაშინ, როდესაც აშშ ერთ ფერმერულ მეურნეობაზე საშუალოდ მოდის 190 ჰა მიწის ფართობი; 900 ათასი ფერმიდან საქართველოში, რომლებმაც თითო ჰა მიწის ნაკვეთი მიიღეს მხოლოდ 10%-ს შეუძლია მცირე ტექნიკის შეძენა, როგორიცაა, მაგალითად 17-ლარიანი შესასხურებელი, რაც მთავარია აღნიშნული ფართობი ხელს არ უწყობს კომერციულ წარმოებას. ხშირად მეურნეობა დაყოფილია რამდენიმე ნაკვეთად, რაც კიდევ უფრო ამცირებს წარმოების ეფექტიანობას. მწარმოებლისათვის ამჟამად

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ტექნიკა, სათესლე მასალა; ტექნიკის იჯარა (თუნდაც სამი წლით) ძვირია; საბანკო სისტემა ამ საკითხის მიმართ ჯერჯერობით ინტერესს არ იჩენს, რადგან კანონით იკრძალება სახელმწიფო გარანტიების გაცემა, ხოლო ფერმერებს არ გააჩნიათ გირაო. ასეთ ვითარებაში ევროკომისიის სასურსათო უზრუნველყოფის ექსპერტების თვალსაზრისით, სახელმწიფოს ძირითად სტრატეგიულ მიზანს საშუალო ვადიანი პერსპექტივისათვის მიწის ბაზრის ჩამოყალიბება უნდა წარმოადგენდეს, რათა მან ხელი შეუწყოს მეურნეობების კონსოლიდაციის პროცესს.

ჩვენი აზრით მეურნეობების კონსოლიდაციის პროცესის მიღწევის მიზნით, მიწის ბაზრის შექმნა და გაიგივება მიწების ყიდვა გაყიდვასთან (სპეკულაციასთან) უხეში შეცდომაა. სპეციალისტების აზრით, მიწის ბაზრის ფორმირება იწყება მაშინ, როდესაც ქვეყანაში კომერციული ბანკების ქსელი განვითარდება იმ დონემდე, რომ ისინი შეძლებენ 20-25 წლის ვადით სესხის გაცემას ფერმერულ მეურნეობებზე.

საქართველოს ტერიტორიის 1061700 ჰა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია (ეს მაჩვენებელი არ მოიცავს სათიბებსა და საძოვრებს). ინტენსიური სავარგულების მთლიანი ფართობიდან 613500 ჰა (ანუ 58%) პრივატიზებულია, 293700 ჰა ჰექტარი (27,6%) გაცემულია იჯარით. იჯარით გაცემული ფართობებიდან ფიქრობდნენ, რომ კერძო საკუთრებაში შეიძლება გადავიდეს 181,1 ათასი ჰა (51,7%) ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგული. გამოდის, რომ იჯარას დაეთმობა მხოლოდ 14%.

ქვეყნის გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ისრაელისა და რიგი სხვა ქვეყნების მსგავსად ყიდვა-გაყიდვა (განსაკუთრებით უცხოელებზე) უნდა შეიცვალოს მიწის ხანგრძლივი დროით იჯარით გაცემით. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამჟამად თითქმის იგნორირებულია სოფლად საიჯარო ურთიერთობების ფუნქციონირება, მაშინ, როდესაც აშშ-ში იჯარით მუშავდება სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების 43%, ჰოლანდიაში შესაბამისად 95%, ხოლო ისრაელში 91%, [5].

სოფლად დუხჭირი ცხოვრების გამო ადგილი აქვს ჩალის ფასად მიწების უცხოელებზე გასხვისებას და მათზე მრავალრიცხოვანი ოჯახების ჩამოსახლებას. შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დროულად შეიქმნას (ქვეყნის ხელმძღვანელობის ინიციატივით) ილიას სათავადაზნაურო ბანკის მსგავსი დაწესებულება, რომელიც შეისყიდიდა გასაყიდად გამზადებულ მიწის ფართობებს და შთამომავლობას შემოუნახავდა.

მეტად საინტერესოა საფრანგეთის გამოცდილება საიჯარო ურთიერთობათა განვითარების საუკუნენახევრიანი ისტორიით, რამაც დასავლეთ ევროპაში სასოფლო-სამეურნეო იჯარის ყველაზე მოქნილი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმი შექმნა. საქართველოში ფერმერული იჯარა მიგვაჩნია სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდობის ჩართვის კარგ საშუალებად. იჯარა სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმის გარანტიას აძლევს მათ, ვისაც პირველდაწყებითი კაპიტალი არ აქვთ.

აგრარულ სფეროში მოქნილი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის ფუნქციონირების თვალსაზრისით (მიწის კადასრტის გარდა), საჭიროა მიწის აგრარული კოდექსის შემოღება, მაგალითად ფრანგულ აგრარულ კოდექსში, რომელიც 1337 მუხლს მოიცავს, მარტო სასოფლი-სამეურნეო იჯარას ეხება 168 მუხლი, აქედან საქონლის იჯარას – 32, მონახევრეობისას – 7, მონახევრეობის გადაქცევას ფერმერულ იჯარად -5 მუხლი. ამას გარდა, მე-17 მუხლი, რომლებიც აგრარული მეურნეობების სტრუქტურათა კონტროლს ეძღვნება, პირდაპირ ან ირიბად ეხებათ მოიჯარეებს. კოდექსს თან ერთვის 1958 წლის დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო იჯარის პარიტეტული სასამართლოების შესახებ, რომელიც 33 მუხლს მოიცავს.

სოფლად რეფორმები როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში განხორციელდა ზედაპირულად, ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების საზოგადოებრივი მენტალიტეტის გაუთვალისწინებლად, რის გამოც ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების განვლილ პერიოდში წარმოება კატასტროფულად დაეცა. პრივატიზაციის პირველი ეტაპი დასრულებულად გამოცხადდა 1997 წლის 1 აპრილს. რაც შეეხება ნორმატიულ ბაზას, იგი

დიდი დაგვიანებით, თითქმის პრივატიზაციის პირველი ეტაპის დასრულების ბოლოს შეიქმნა. მაგალითად, 1996 წლის 22 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", 1996 წლის 28 ივნისს გამოქვეყნდა კანონი "სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ", 1997 წლის 7 აპრილს გამოქვეყნდა "აგრარული პოლიტიკის კონცეფცია" და ა.შ.

რეფორმის პირველ პერიოდში პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა 25-30 წლის წინანდელ დონემდე დაეცა, დაირღვა ჯოგის გენეტიკური სტრუქტურა. პრაქტიკულად განადგურდა ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანილი წარმოება მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. მაგალითად 2000 წელს 1990 წელთან შედარებით ცხვრის სულადობა შემცირდა 1618,1 ათასი სულიდან 627,6 ათას სულამდე, ანუ 991 ათასი სულით (2,7-ჯერ).

საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლამ მიწების საერთო სახალხო საკუთრებად გამოცხადებამ, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლა, ასევე კასპიისპირეთში 200 ათასი ჰექტარი საზამთრო საძოვრების დაკარგვა, შირაქის, ელდარისა და ალაზნის ზამთრის საძოვრების მასობრივმა პრივატიზებამ ასევე გამოიწვია მეცხვარეობის დარგის დიდი დაქვეითება. ვინაიდან მეცხვარეობა დიდად რენტაბელური და მოთხოვნადი დარგია. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სტაციონალური მეცხოველეობის განვითარებას განძის (ნინოწმინდის რაიონი) და ოკამის (ახალქალაქის რაიონი) მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსებში. აქ მთელი წლის მანძილზე ცხვარი ერთი რაიონის ფარგლებში იმყოფება – ზამთარში ბაგაზე ხოლო ზაფხულში საძოვარზე. ახალი ფერმების დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი ბუნებრივი პირობები, მეცხვარეობის ორგანიზაციული ფორმები და წარმოების ტექნოლოგია. მეცხვარების განვითარების ინდუსტრიული ტექნოლოგიის ამოცანა მდგომარეობს შრომის წარმადობის მაქსიმალურ გადიდებაში, პროდუქციის წარმოების ზრდაში და ხარისხის გაუმჯობესებაში, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების მაქსიმალურ შემცირებაში. ეს ამოცანები უნდა განხორციელდეს წარმოების სპეციალიზაციისა და

კონცენტრაციის საფუძველზე. რაციონალური ცხვრის სადგომების მშენებლობის დანერგვით; კომპლექსური მექანიზაციისა და წარმოების რაციონალური ტექნოლოგიის გამოყენებით; მწყემსის შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურებისა და შრომისა და ყოფის პირობების ძირეული გაუმჯობესების საფუძველზე.

სპეციალისტების აზრით ჯავახეთში განძისა და ოკამის მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსებში გასათვალისწინებელია ცხვრის შემდეგი პროდუქტიულობა: დედაცხვრის ცოცხალი წონა – 70 კილოგრამი, პირველი კლასის 70% სუფთა მატყლის გამოსავლიანობით (წლიური ნაპარსი – 5,0 კგ, ნაყოფიანობა – 125%, სასაქონლო რძის რაოდენობა - 40კგ. 7,4% ცხიმით); დადაცხვარზე ხორცის წარმოება - 56 კგ. ცოცხალი წონით, მიმდინარე წლის მოზარდის ცოცხალი წონა 7 თვის ასაკში - 40კგ, მისი ნაპარსი – 2კგ 80% სუფთა მატყლის გამოსავლიანობით, ყოჩი მწარმოებლის ნაპარსი – 6 კგ. დედალი თოხლის ნაპარსი 2,3 კგ, მამალი თოხლის ნაპარსი 2,5 კგ. [2]

ცხვრის პროდუქტიულობის აღნიშნული მონაცემების მიხედვით კომპლექსის ცხვრის საერთო სულადობაში 1 იანვრის მდგომარეობით ფარის სტრუქტურაში უნდა იყოს: დედა ცხვარი 5000 სული ანუ 85,35%, ყოჩი მწარმოებელი – 20 ანუ 0,85%, საყოლი დედა თოხლი 800 ანუ 13,66%, მამალი თოხლი – 8 ანუ 0,14%. სათანადო გაანგარიშებით მეცხვარეობის თითოეულ სამრეწველო კომპლექსში მატყლის საერთო წარმოება იქნება 39,66 ტონა ანუ დედა ცხვარზე დაახლოებით 8 კილოგრამამდე; შესაბამისად ხორცის საერთო წარმოება იქნება 282,5 ტონა ანუ დედა ცხვარზე 56 კილოგრამი, სასაქონლო რძის რაოდენობა კი 200 ტონა (ანუ 40 ტონა ცხვრის ყველი).

ჩვენი მოსაზრებით, კომპლექსის სრული შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მის ფარგლებში მოწყობილი იქნება, როგორც მეცხვარეობის წარმოება, ისე მისი მომსახურე პერსონალის ყოფა-ცხოვრება. ამიტომ მეცხვარეობის კომპლექსში ვითვალისწინებთ: მეცხვარეობის საწარმოო სექტორს, საძოვრებისა და მემინდვრეობის საკვებმოპოვების სექტორსა და საცხოვრებელ სექტორს. პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია კომპლექსის მოსახლეობა, ანუ შტატები

და მოსამსახურე პერსონალის ოჯახები. კომპლექსის შტატებში გათვალისწინებული უნდა იქნეს: კომპლექსის გამგე-ზოოტექნიკოსი, ვეტფერშალი, მოანგარიშე, საწყობის გამგე, მექანიკოსი, სანიტარი, მეხანძრე, 31 მწყემსი, მათ შორის 24 ექვსი სადედე ფარისათვის, თითოში ოთხ-ოთხი – ორი მოზარდის ფარისათვის, ხოლო 5 შემცვლელი და ა.შ. სულ 46 საშტატო ერთეულით. კომპლექსის მოსახლეობამ უნდა შეადგინოს 230 კაცი. კომპლექსში გათვალისწინებული უნდა იქნას ოჯახების ინდივიდუალური დასახლება, რათა ყველა ოჯახმა ბინასთან გამართოს ბაღი, ბოსტანი: მოაშენოს პირუტყვი და ფრინველი მოაწყოს საწყობი, გარაჟი და სხვა. ამიტომ კომპლექსში ინდივიდიალური მაცხოვრებლებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას მოსახლეზე 0,25, ხოლო სულ 15 ჰექტრამდე მიწის ფართობი. საცხოვრებელ სექტორშო მოსახლე უზრუნველყოფილი უნდა იქნას: გათბობით, განა-თებით, გაზით, ტელეფონით, რადიო ტელევიზიით. ამ სექტორში უნდა მოეწყოს კლუბი, უნივერსალური მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, წყალსადენი, კანალიზაცია, გარეთა განათება, კეთილმოწყობილი გზები და სხვა. საცხოვრებელი სექტორის დამპროექტებლებმა საჭიროა იხელმძღვანელონ იმ მოსაზრებით, რომ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნეს კომუნალური, კულტურული, ჰიგიე-ნური და ესთეტიკური პირობებით ქალაქის მაცხოვრებლების დონეზე.

ჯავახეთში, როგორც ვიცით, ცივი დიდთოვლიანი და მკაცრი ხანგრძლივი ზამთარია. ნოემბრიდან აპრილამდე ჩათვლით მინდვრებსა და საძოვრებზე ღრმა თოვლი დევს. ყინვა აქ მყარია ოც გრადუსამდე და უფრო დაბლაც ეცემა. ცხადია ასეთ პირობებში ყველა სახის პირუტყვს, მათ შორის ცხვარს, ბაგაზე ინახავენ და ნოემბერ აპრილის ჩათვლით, ექვსი თვის მანძილზე კვებავენ. ყველა სახის პირუტყვისათვის, მათ შორის ცხვრისათვის, თბილსა და კაპიტალურ ბინებს აშენებდნენ ქვისაგან, მათ შორის იატაკზე ფილაქანს აგებდნენ. აქ შემოღებულია ზამთრის განმავლობაში დედისა და ბატკნის ერთად შენახვის წესი დაბადებიდან ვიდრე საძოვარზე გასვლამდე. მაისში მთელი სულადობა გაჰყავთ საძოვარზე, ჯერ

სოფლის ახლოს, ხოლო შემდეგ, დაახლოებით ივნისის ბოლოს ალპურ საძოვრებზე. პირველი ივლისიდან დედა ცხვრის ფარები უნდა მოთავსდნენ ძირითად საძოვრებზე, სადაც მოძრავი აგრეგატებით ცხვრის წველა პირველ აგვისტომდე გაგრძელდება. სექტემბერსა და ოქტომბერში ცხვარს კვლავ სასოფლო საძოვარზე ამყოფებენ, ხოლო ნოემბერში კვლავ ბაგურ შენახვაზე აყენებენ. სამხრეთ მთიანეთში ჯავახეთის ცხვრის სახელწოდებით გავრცელებული ცხვარი მომთაბარე მეცხვარეობის ცხვართან შედარებით, მეტი წონით, მეტი სამატყლე პროდუქტიულობითა და ნაყოფიანობით, მითუმეტეს მეტი მერძეულობით გამოირჩეოდა. ამგვარად, სამხრეთ მთიანეთის სტაციონალურ მეცხვარეობაში ბაგურ-საძოვრული შენახვის სისტემა იყო გამოყენებული და მას მეხორცულ-სამატყლე-მერძეული მიმართულება ჰქონდა.

დღეს გარემოება საგრძნობლად შეიცვალა, ცხვრის დოლი აქ, ალბათ, საერთო ტენდენციის გამო ადრე ვადაზეა გადატანილი –ჰ თებერვალში, ხოლო ზოგჯერ იანვარშიც. ამიტომ ამჟამად ბატკანს სადგომში სამსა და მეტ თვეს ამყოფებენ, რის გამოც, საწარმოებში აღინიშნება მასობრივი ხასიათის ბატკნის მიკრობული დაავადებანი მაღალი სიკვდილიანობით. ამასთან, ამ რაიონებში შემოიღეს ცხვრის დიდ გაბარიტიანი სადგომები შეთავსებული სახურავით, რის გამო ფარეხები ცივია და ამ მეურნეობებში გაძლიერებულია დედისა და ბატკნის გაციებით გამოწვეული დაავადებანი და სიკვდილიანობა, რასაც აქ აგრეთვე მასობრივი ხასიათი აქვს. ყველა ამ პირობათა გამო ცხვრის პროდუქტიულობის იმ უპირატესობას, რაც წარსულში ჰქონდა ჯავახეთის ცხვარს, მომთაბარე მეცხვარეობის ცხვართან შედარებით, დღეს უკვე ადგილი აღარ აქვს. პირიქით, ამ რაიონებში აღინიშნება ცხვრის დაწვრილება, განუვითარებლობა და პროდუქტიულობის მკვეთრი დაცემა. ამიტომ განძისა და ოკამის მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსების მშენებლობაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა აქ აღნიშნული როგორც ბუნებრივი, ისე წარმოების ტექნოლოგიის თავისებურებანი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჯავახეთში ინდუსტრიული მეცხვარეობის კომპლექსებისათვის შემდეგ ტექნოლოგიას

ვთავაზობთ. ჯერჯერობით საჭიროა შევინარჩუნოთ ცხვრის მოგების ერთი ვადა და იგი აპრილში გავითვალისწინოთ, რათა უზრუნველვყოთ ბატკნის სადგომში რაც შეიძლება მოკლევადიანი შენახვა და ამით ბატკანს ავარიდოთ მიკრობული დაავადებანი, ხოლო საერთოდ უზრუნველვყოთ ჯამრთელი ბატკნის გამოზრდა. ცხვარი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თბილი სადგომებით, ეს კი უნდა გადაწყდეს სადგომების გაბარიტების შემცირებით. ასე, მაგალითად, ფარეხის შიგნით სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2 მეტრს, თანაც აუცილებლად უნდა გაუკეთდეს დათბუნებული ჭერი და არავითარ შემთხვევაში შეთავსებული სახურავი, რამაც ამ რაიონებში ფართო გავრცელება მიიღო და სიცივის გამო მეცხვარეობას დიდი ზარალი მიაყენა.

ახლა კომპლექსის საკვები ბაზის შესახებ. ცხვრის მთელი სულადობის საკვებზე წლიური მოთხოვნილება, რაც გაანგარიშებულია მეცხვარეობის საკავშირო ინსტიტუტის ცხვრის კვების ნორმების მიხედვით შეადგენს – 4769 ტონა საკვებ ერთეულს. აქედან მთელი ზამთრის მოთხოვნილება ოქტომბრიდან მაისამდე ჩათვლით შეადგენს 2700 ტონა საკვებ ერთეულს და მომარაგებული საკვებით ბაგური კვების სახით უნდა იქნეს გახარჯული. მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსის საწარმოო სექტორში ზამთრისათვის, საკვების მომარაგების მიზნით უნდა მოეწყოს: ნაკელსაცავი 5000 ტონის მოცულობით, სასილოსე – 350 ტონის ტევადობით, სასენაჟე კოშკები – 500 ტონის, უხეში საკვებისა და ქვეშსაფენის მოედანი – 3000 ტონისათვის და სხვა.

მეცხვარეობის სამრეწველო კომპლექსის საკვებით უზრუნველყოფისათვის უპირველეს ყოვლისა მხედველობაში საკვებწარმოებისათვის არსებული პირობები უნდა ვიქონიოთ. პირველ რიგში აუცილებელია მთლიანად გამოვიყენოთ ბუნებრივი სავარგულების შესაძლებლობა, რომლის თავისებურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ნაკლები დანახარჯებით შეიძლება იაფი საკვების დიდი რაოდენობით მიღება. მით უმეტეს, რომ ჯავახეთის მეცხვარეობაში ბუნებრივ საძოვრულ საკვებს საერთოდ დახარჯული საკვების სტრუქტურაში 80-90 პროცენტამდე ხვედრითი წილი უკავია.

საქართველოს მდებარეობა, მისი რთული რელიეფი, კლიმატური და ნიადაგური სიჭრელე და მრავალფეროვნება, მიწის ფონდის სტრუქტურა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არასრულყოფილი ტრანსფორმაცია აგრარული რეფორმის გატარების პირობებში ბევრი აქტუალური საკითხის დაუყოვნებლად გადაჭრის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელი მიწის ფონდის 54% მთებს უკავია, 33% მთისწინებს და მხოლოდ 13% დაბლობს. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან სახნავი შეადგენს 23%, მრავალწლიანი ნარგავები შესაბამისად 8,2%, ნასვენი 0,2%, სათიბი 5,3% ხოლო საძოვარი 63,3% (აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო და გარდამავალი საძოვრების საერთო ფართობი 427401 ჰექტარს შეადგენს). ამასთან, საძოვრების უმეტესი ნაწილი მაღალმთიანი საზაფხულოა და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ცხვრის საძოვრებად შეიძლება მათი გამოყენება. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ეროზირებულია 500 ათასი ჰექტარამდე საძოვარი; დიდი ფართობებია მეწყერებით, ხრამებითა და სხვა ბუნებრივი მოვლენებით დაზიანებული, რომელთა უდიდესი ნაწილი მთის რეგიონებზე მოდის.

ამდენად, უმნიშვნელოვანეს და უპირველეს ამოცანას შეადგენს მიწების დაცვა, რაც თავის მხრივ ისეთი ეკონომიკური და სოციალური საკითხის გადაჭრას მოითხოვს, როგორიცაა საადგილმამულო ურთიერთობათა სრულყოფა, სავარგულების გაუბჯობესებისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩასატარებლად მეცნიერულად დასაბუთებული და კონკრეტული პირობებისათვის გამოსაყენებელი რეკომენდაციების დამუშავება და ა.შ. ეს პრობლემები აქტუალური და რთულია მთიანი რაიონებისათვის, სადაც მოსახლეობის მიგრაცია გაძლიერებულია. მაგალითად, ხევსურეთში მეურნეობრივი ტრადიციული ფორმების მოშლის შედეგად იძულებითმა მიგრაციამ კუთხე დაცარიელების ზღვარზე მიიყვანა. 1991 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ხევსურეთის სათემო საბჭოში ცხოვრობდა 921 მოსახლე, აქედან ბარისახოს თემში 443, გუდანში 256 და შატილში 222.

მთიან რეგიონებში ამ უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრის მნიშვნელოვან პირობას აგრარული რეფორმების გატარების პირობებში წარმოადგენს მიწების სოფლების მიხედვით ისტორიულ საზღვრებში განაწილებისა და ადგილობრივ მმართელობაზე გადაცემის უზრუნველყოფა; იქ სადაც ისტორიული საკუთრების ფორმები მოსახლეობის ტრადიციებიდან არ წაშლილა, მიწები ყოფილ მფლობელთა მემკვიდრეებს უნდა დაუბრუნდეს, სხვა შემთხვევებში კი შეიქმნას კოოპერაციები და ასოციაციები. ასეთი მმართველობის ფორმების საწყისები უკვე ჩამოყალიბდა რიგ რეგიონებში, სათემო საბჭოსა და გლეხთა ასოციაციების სახით. მაგალითად, 1990 წლის სექტემბერში, ხევსურეთში ისტორიულად არსებული თემები ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა ხევსურეთის თემთა საბჭო [13].

მისი ძირითადი მიზანია ხევსურეთის აღორძინება-განახლება. იგი მტკიცედ უჭერს მხარს ისტორიულად ნაცადი ეკონომიკური სტრუქტურის აღდგენას; არეგულირებს ხევსურეთის სათემო მფლობელობაში გადაცემულ მიწის საკითხებს, მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებს; იცავს და პატრონობს ბუნებრივ სიმდიდრეებს; განაგებს თემთა საბჭოს საკუთრებაში არსებულ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, იხილავს და წყვეტს ხევსურეთის ყოფა-ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკიხებს. იგი არის იურიდიული პირი, აქვს შტამპი, ბეჭედი და ემბლემა, საკუთარი ანგარიში სახელმწიფო ბანკში, ბეჭვდითი ორგანო "გუშაგი". მისი ადგილსამყოფელია დუშეთის რაიონი, სოფელი ბარისახო. იგი შედის დუშეთის რაიონის შემადგენლობაში და ანგარიშვალდებულია გამგებლობისა და სრულიად ხევსურეთის მოსახლეობის ყრილობის წინაშე.

ხევსურეთის თემთა საბჭო არეგულირებს ურთიერთობებს თემთა შორის, იცავს კუთხისა ერის ინტერესებს. სათემო საბჭოსთან შეთანხმებით ხელშეკრულების საფუძველზე აქირავებს ხევსურეთის საძოვრებს სოფლის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. განსაზღვრავს საბალახე გადასახადის ფორმებს, მათ შორის საზამთრო-საზაფხულო საძოვრების გაცვლის, ფულადი თუ ნატურით გადახდის

საკითხებს, ახორციელებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს, აკონტროლებს ყოველგვარ მშენებლობებს მის ტერიტორიაზე და სხვა. თემთა საბჭო თავის სახსრებს იყენებს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც აისახება საფინანსო გეგმაში (ბიუჯეტში) და რომელსაც ამტკიცებს თემთა საბჭო. ძირითადი საქმიანობის გარდა თემთა საბჭოს სახსრები ხმარდება მრავალშვილიანობის წახალისებას, ბარიდან ახლად ჩამოსახლებული და ახლად შექმნილი ოჯახების დახმარებასა და სამეურნეო მოწყობას; მათთვის შენობა ნაგებობათა მშენებლობას, პირუტყვისა და ფუტკრის შეძენას, მოსახლეობის კულტურულ საყოფაცხოვრებო და სხვა საჭირო ღონისძიებებს; თავისი კარგი საქმიანობით გამორჩეულთა წახალისებას, საშუალო-სპეციალური და უმაღლეს სასწავლებლებში კადრების მომზადებას, უმეურვეოდ დარჩენილი მოხუცებისა და ინვალიდების, დაობლებული ბავშვებისათვის დახმარების გაწევას, ძველი სოფლების აღდგენას და სხვა. სახსრების ხარჯვისათვის თემთა საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია თემთა საბჭოს წინაშე, რომელსაც ანგარიშს აბარებს საბჭოს სხდომებზე.

ხევსურეთის თემთა საბჭოს უფლება აქვს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად შექმნას მისი საქმიანობის შესატყვისი დაწესებულებები, საზოგადოებები, ასოციაციები, ერთობლივი საწარმოები, მათ შორის საზღვარგარეთის ფირმებთან ჩამოაყალიბოს კოოპერატივები, გამოსცეს საკუთარი გაზეთი. რაც შეეხება ხევსურეთი სათემო მიწათმფლობელობას, აქ პრივატიზაცია არ განხორციელებულა. მიწები ოდითგან თემთა საკუთრებაში იყო: ტყე, გზა, საძოვარი, სახნავ-სათესი და ა.შ.

ფშავში პრივატიზებას დაექვემდებარა სათიბ-საძოვარი და მეცხოველეობა. აქ 1991 წლის სექტემბრის თვეში დაიშალა ფხოვის 300 არაგველის სახელობის კოლმეურნეობა და კოლმეურნეობაში არსებული ცხვარი, სულ 3397 სული გაიცა მოსახლეობაზე, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით (თითო წევრს მიეცა 18 სული). განაწილება მოხდა გვიან შემოდგომით, ზამთრის დასაწყისში. მოსახლეობა მოუმზადებელი აღმოჩნდა ცხვარი საკვებითა და სადგომი ბინებით მოემარაგებინა.

ამიტომ, იძულებულნი გახდნენ გაეყიდათ ან დაეკლათ პირუტყვი. არ გასულა 3-4 თვე, მოხდა ფულის ინფლაცია და ზოგმა ოჯახმა ვერც კი მოასწრო ცხვრის რეალიზაციიდან მიღებული ფულის გამოყენება. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა მოსახლეობა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რეალიზაციის შედეგად.

შუაფხოს საკრებულოსათვის შემოსავლის ძირითადი წყაროა საზაფხულო საძოვრების გაქირავება; მათ აქვთ 15000 ჰა საზაფხულო საძოვარი და ყავდათ 5000 სული ცხვარი. მოსახლეობა 70 კომლია. 5000 სულ ცხვარს ნორმით ჭირდება (1 ჰა _ 3-4 ცხვარი) 2000 ჰა, დანარჩენი 13000 ჰა შეიძლება გაქირავდეს 32500 სულზე, რომლის სავარაუდო შემოსავალი იქნება 10-ის თავი ანუ 3250 სული ცხვარი ყოველ წელს, თვითონ, რომ არ იმუშაონ საკრებულოსათვის ეს შემოსავალი სტაბილურია.

ფშავის ტერიტორია დაკავებულია საძოვრებითა და ტყეებით. ფშავში მაპროფილებელია მეცხვარეობა, ხოლო დამხმარეა მეფუტკრეობა და მერძეული მეცხოველეობა. ყველაზე მძიმე სამუშაო მთის სოფლებში – საკვების დამზადებაა. აქ პირუტყვი ძნელად მარაგდება უხეში საკვებით. ვინაიდან ეს ყველაფერი ალპურ ზონაშია დასამზადებელი, რასაც საბაგირო გზების უქონლობა ძალზე აძნელებს თივით მომარაგების საქმეს.

ჩვენი აზრით მიწათსარგებლობის სათემო ფორმა უნდა დაინერგოს პირველ რიგში მთიულეთ გუდამაყარში, ყაზბეგის რაიონში და ა.შ. დღეს მთის აღორძინება მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რომ თავისუფალმა ხალხმა წინაპართა კუთვნილ მიწაზე უნდა იცხოვროს, თავისი კერძო მეურნეობით. ფშავ-ხევსურეთში აგრარული რეფორმის გატარების პირობებში მიწების სათემო საბჭოსათვის გადაცემა უდაოდ დადებითი მოვლენაა. ეს პროცესი დასახვეწია, იმდენად, რამდენადაც მან ვერ გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში პირუტყვის სულადობისა და ადგილობრივი მცხოვრებლების მატება, საძოვრების ცხვრით მასიური დატვირთვა. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სათიბ-საძოვრების სათემო საბჭოსათვის გადაცემასთან ერთად ტრადიციული

საკომლო – საოჯახო მეურნეობების აღდგენა და თანამედროვე ინფრასტრუქტურისათვის მისადაგება. მაგალითად, მთისა და ბარის სამეურნეო რესურსების თანმიმდევრული ათვისების მიზნით, ოდითგანვე ერთ სამეურნეო ერთეულად წარმოდგებოდა ივრის, არაგვის და ილტო-ალაზნის ხეობები, სადაც ყოველი ხეობა ვერტიკალური ზონალობის მიხედვით იყო დაყოფილი და ყოველ ზონას თავისი სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. უფრო მეტიც, აღნიშნულ პერიოდში დადასტურებულია პირუტყვის მოძრაობა დიდ მანძილზე – შიდა ქართლიდან ჯავახეთის მაღალმთიან საძოვრებამდე. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მემატიანის ცნობა, თუ როგორ შეხვდა წმინდა ნინო ფარავნის ტბის მიდამოებში მცხეთელ მწყემსებს [5]. ჩანს ეკონომიკის სფეროში ცენტრალური ხელისუფლების მიერ თავის დროზე გატარებულმა ქმედითმა ღონისძიებებმა ნაყოფი გამოიღო. მაღალმთიან ალპურ საძოვრებთან ერთად, ზამთრის საძოვრებად ათვისებული ჩანს ბარის რაიონებიც, რაც მთისა და ბარის შერწყმის აუცილებელი პირობაა.

მ. მაჩაბლის ცნობით, 1882 წლის 21 მაისს მთელი თუშეთის საერთო კრებაზე დადგინეს, რომ ალვანის ველი ოთხთვალის ტყით სამუდამოდ დარჩენილიყო თუშების საერთო სარგებლობაში. ყველა თუშს ეძლეოდა უფლება ცხვრის საშემოდგომო ძოვებისათვის ესარგებლა ამ ველით ან დამკვიდრებულიყო ალვანში [5]. ამ შემთხვევაში ალვანის ველი იყო მისთვის ისეთი ადგილი საიდანაც ადვილად მისწვდებოდნენ, ერთი მხრივ ბარის საზამთრო საძოვრებს და მეორე მხრივ ალპურ იალაღებს; თავიანთ ნასოფლარებს, რომლებიც უკვე საზაფხულო საძოვრების ფუნქციებს ასრულებდნენ. რაც შეეხება ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა პატრონობით იყვნენ დაკავებულნი, ზაფხულობით კვლავ უბრუნდებოდნენ თავიანთ ნასოფლარებს, ხოლო ნაწილი ტბათანაზე ადიოდა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზამთრება ალვანში ხდებოდა, ცხვრისა კი შირაქში კასრის წყალზე.

მთის რესურსების ათვისების მიზნით, მიზანშეწონილათ მიგვაჩნია ტრადიციული საკომლო ოჯახების აღდგენა

განვითარება [5]. მაგალითად, მთიულეთში საკომლო მეურნეობის ის ფორმა, რომელსაც ოჯახი აწარმოებდა ერთდროულად სოფელშიც და სამეურნეო ბაზებზეც, ორხელაობის სახელითაა ცნობილი. იმისათვის, რომ ზუსტათ გავერკვეთ მეურნეობრიობის ამ ფორმაში მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. მთიულეთის სოფელ წინამხარში მცხოვრებ იოსებ მელიქიშვილის ოჯახს 20-მდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 100 სული ცხვარი ჰყავდა. მამულები ჰქონდათ სოფელში და სოფლიდან დაახლოებით 3 კმ-ზე – ჯავიათში. ოჯახი ძირითადად ცხოვრობდა წინამხარში და ჯავიათშიც ჰქონდათ მეორე სახლი. თუ სოფელში მდებარე მამულებს ხნავდნენ, ჯავიათს ასვენებდნენ, ამიტომ ოჯახის წევრთა გარკვეული ნაწილი ჯავიათში საძოვარზე გადადიოდა და საქონელიც თან მიჰყავდა. სოფელში რჩებოდნენ ისინი ვინც სამიწათმოქმედო სამუშაოებზე იყვნენ გაპირობებული. ამით სოფელში მამულებს იცავდნენ, ხოლო ჯავიათი საძოვრების ფუნქციას ასრულებდა. მეორე წელს პირიქით ხდებოდა. ჯავიათს ხნავდნენ ხოლო სოფელში მდებარე ნაკვეთებს ასვენებდნენ. მის შესაბამისად პირუტყვი მისი მომსახურე პერსონალით სოფელში გადმოდიოდა, ხოლო ხვნა-თესვაზე გაპიროვნებული წევრები ჯავიათში ინაცვლებდნენ.

ხევსურებს იმდენად ახლოს ჰქონდათ მთები, რომ შესაძლებელი ხდებოდა აქედან სოფელში ყოველდღიურად ჩამოსულიყვნენ. ქალი რომელიც მორიგედ იყო გამოყოფილი, დილით ავიდოდა ძროხებთან, გამოწველიდა, რძეს გადაამუშავებდა დამზადებულ პროდუქტებს წამოიღებდა და სოფელში ბრუნდებოდა. აქ საოჯახო საქმეს მიხედავდა და საღამოს კვლავ მთაზე ავიდოდა საქონლის მოსაწველად და დასაბინავებლად. ქალებს მთაზე წასვლის რიგი ჰქონდათ დაწესებული. ერთ დღეს, რომ ერთი წავიდოდა, მეორე დღეს მეორე შეენაცვლებოდა. ცხადია, ეს ოჯახის შემადგენლობაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, მთიულეთის სოფელ გვიდაქეს მკვიდრის მიხა ბუჩუკურის გადმოცემით, თიბვის დროს მთაში მათი კომლიდან 19 მთიბავი გადიოდა.

ორხელაობა მნიშვნელოვნად აფართოებდა ოჯახურ მეურნეობას. ოჯახი ურთიერთკავშირში ანვითარებდა მთის

მიწათმოქმედებასა და ალპური მეცხოველეობის ინტენსიური ფორმების შეთანაწყობას. ამან განაპირობა დიდი ოჯახის, კომლის ხანგრძლივი შემონახულობა და ფუნქციონირება სასოფლო თემის ტრადიციების არსებობის პირობებში. სპეციალისტები ორხელაობას ალპური მეურნეობის ერთ-ერთ შერმადგენელ ნაწილად მიიჩნევენ, მეორე მხრივ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამომთაბარო მეცხოველეობასთან.

ყველაზე დიდი პრობლემა მთაში არის პირუტყვისათვის საკვების დამზადება. გამოცდილებიდან ვიცით, რომ ერთ ძროხას 5700 კგ თივა სჭირდება საკვებად ერთ წელიწადში (ე.ი. 285 ცალი დაწნეხილი თივა). მთაში როცა თიბავენ, საბაგირო გზების უქონლობის გამო, თივას ადგილზე, იქვე ზვინავენ. ზამთრის პერიოდში თივა გაყინულ თოვლზე მთიდან ჩამოაქვთ დაცურებით, რაც მეტად შრომატევადი სამუშაოა. მთის მცხოვრებლები აღჭურვილნი არ არიან მცირე მაქანიზაციის საშუალებებით. ტექნიკის გარეშე დარჩენილია მოსახლეობის დიდი ნაწილი. ისინი მათზე გაპიროვნებულ მცირე ნაკვეთებსაც ვეღარ ამუშავებენ. ამ პრობლემის გადასაწვეტად აუცილებელია მექანიზაციის საწარმოო გაერთიანების შექმნა ან მცირე საწარმოების ან კოოპერატივების ან ადრე არსებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურების აღდგენა, რომელიც გლეხურ მეურნეობებს უზრუნველყოფდა (ფასით) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებას. ასევე აუცილებელია სოფლად ცოცხალი გამწევი ძალის, ხარების სულადობის ზრდა.

მეცხვარეობაში მთისა და ბარის რეგიონების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული, დაყოფის ინოვაციური მართვის აუცილებლობის შესახებ

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკურ მექანიზმში სხვა გარდაქმნების, სისტემური ცვლილებების განხორციელებასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალი საბაზრო ეკონომიკის პირობებისადმი შესატყვისი ტერიტორიული მართვის სისტემების ჩამოყალიბება სავადასხვა დონის ტერიტორიული წარმონაქმნების მიხედვით

და ეკონომიკური კოორდინაციის მიზნით მათი ორგანული ჩაშენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მექანიზმში განუყოფელ ნაწილად. საბაზრო ფაქტორების სისტემამ ასახვა უნდა პოვოს რაიონირების ფუძემდებლურ პრინციპებში – ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურსა და ორგანიზაციულში – როგორც მაკრო (სახელმწიფო), ასევე მეზო (რეგიონალურ) და მიკრო (ადგილობრივ) დონეებზე. ამიტომ სოციალურ ეკონომიკური განვითარების ეკონომიკური რეგულირების მექანიზმის რეგიონული და ადგილობრივი ბლოკების აგებისას მეტად მნიშვნელოვანია რეგიონის და ადგილობრივი მართვის სტრუქტურებისა და მათ წინაშე მდგარ ამოცანებსა და შესასრულებელ ფუნქციებს შორის ადეკვატურობის მიღწევა. თანამედროვე პირობებში, მართვის ტერიტორიულ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს უნარი უნდა ჰქონდეთ უზრუნველყონ ქვეყნის, რეგიონებისა და ადგილობრივი ეკონომიკური ინტერესების ერთიანობა, რაზეც უნდა აშენდეს ცენტრალური რეგიონული და ადგილობრივი სახელისუფლო ურთიერთობები.

აქედან ჩანს, რა მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტერიტორიების სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურების და მათი განვითარების კოორდინაციის ტერიტორიული მექანიზმის შექმნის მეცნიერული კვლევა, ჩამოყალიბებული სტრუქტურების და ურთიერთობების გაანალიზება, მათი სრულყოფის გზების განსაზღვრა. ამ მხრივ საინტერესოა მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონის მეცხოველეობა მეცხვარეობის ისტორიული ტრადიციული ტერიტორიული რეგიონული ურთიერთობების აღდგენა განვითარების პერსპექტივა. ეს საკითხი ძალზე პრობლემატურია როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ მთასა და ბარს შორის მეცხვარეობის განვითარებისათვის კავშირი არ გვექნა, მოსახლეობისაგან დაიცლება თუშეთი, ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ფშავ-ხევსურეთი. ასევე საფრთხე დაემუქრებათ შირაქისა და ელდარის ზამთრის საძოვრებსაც (მეზობლები მიიტაცებენ).

დღეს ქართული მთა დიდ ნაწილში დაცარიელებულია და იქ დარჩენილებიც გაუსაძლის პირობებსა და სიდუხჭირეში არიან მიტოვებული, ხელისუფლებამ ქართულ ტრადიციებსა და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით უნდა შეიმუშაოს მთის მეცხოველეობის აღორძინება, განვითარების 15 წლიანი პროგრამა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, დაეფუძნებოდა საქართველოს ბუნებრივი რესურსების, მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებას. გეგმა, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა მოიცავდეს მთისა და ბარის ტრადიციულ მომთაბარე და სტაციონალური მეცხიველეობის ზონების გამოკვეთას, შესაბამისი რეკომენდაციებითა და ხელშემწყობი ღონისძიებებით. ამ მხრივ საინტერესოა ერწო-თიანეთის ეთნოგრაფიული მასალის დღევანდელობასთან მისადაგების კვლევა. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით ერწო-თიანეთის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოში, პირველ რიგში, განაპირობა მისმა გეოგრაფიულმა მდგომარეობამ. ეს კუთხე, წარმოადგენდა რა არაგვის, ივრისა და ილტო-ალაზნის ხეობების მთიანი ნაწილების ბუნებრივ ცენტრს, მთისა და ბარის დამაკავშირებელ ხიდს, შეიძლება მივიჩნიოთ მთისა და ბარის შერწყმის იშვიათ მაგალითად. მთის ხალხი და არამარტო მთის ხალხი, მტკიცედ იყვნენ დამოკიდებულნი იმაზე, თუ ვის ხელში იმყოფებოდა თიანეთი. საამისოდ ისინი ვერ გავიდოდნენ კახეთის ზამთრის საძოვრებზე, რითაც მათ ეკონომიკას, მათი მეურნეობის წამყვან დარგს-მეცხვარეობას საფუძველი ეცლებოდა [5].

დასკვნა

მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონებისა და ადგილობრივი მართვის სტრუქტურების წინაშე მდგარ მეცხვარეობის განვითარების ამოცანებს შორის ადეკვატურობის მიღწევის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თიანეთის სოფლის მეურნეობის სამმართველოში შეიქმნას მეცხვარეობის განვითარების რეგიონული მართვის ინოვაციური ცენტრი. მართვის ცენტრში უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონული და ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირების თანამედროვე

ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმის განიყოფელ ნაწილად მოგვევლინება.

ასეთი მექანიზმის შექმნისა და ამოქმედებისათვის საჭიროა:

– აღნიშნული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების სისტემის შექმნა, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს რეგიონული ეკონომიკის თავისებურებანი და ამის საფუძველზე დასახოს პრიორიტეტული მიმართულებების განვითარების გზები, განსაზღვროს თიანეთის მეცხვარეობის განვითარების რეგიონალ-ტერიტორიული მართვის ცენტრში სტრატეგიის რეალიზაციისათვის საჭირო საფინანსო სახსრების მობილიზაციის წყაროები.

– მოწესრიგებული საბიუჯეტო საგადასახადო სისტემა, როგორც რეგიონულ ასევე ადგილობრივ თიანეთის მეცხვარეობის განვითარების რეგიონალ-ტერიტორიული მართვის ცენტრის დონეზე, რომელშიც მკვეთრად იქნება განსაზღვრული ბიუჯეტის ფორმირების წყაროები და შესაბამისი სახსრების განკარგვისა და გამოყენების მექანიზმები, გათვალისწინებული იქნება მიმდინარე ხარჯების და ინვესტიციების ბიუჯეტები.

– რეგიონული პროექტების განსახორციელებლად რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობების ინსტიტუცირება. მაგალითად, საგეგმო ხელშეკრულების საფუძველზე ცენტრიდან სპეციალური სუბსიდიების მიღება მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებისათვის.

– რეგიონთაშორისო და რეგიონს და ქვედა რგოლებს შორის კერძოდ მეცხვარეობის განვითარების ტერიტორიული მართვის ცენტრში ურთიერთობების რეგლამენტირება კერძოდ, აღნიშნულ საწარმოში საერთო პროდუქტებისა და სამუშაოებისათვის სახსრების მობილიზაციის და განკარგვის წესების განსაზღვრა, საერთო გამოყენებისათვის განკუთვნილი ერთობლივი ორგანიზაციების, დაწესებულებების, ინფრასტრუქტურის ობიექტების, მართვის, სამეცნიერო, საკონსულტაციო და სხვა ცენტრების შექმნის და ფუნქციონირების წესების განსაზღვრა;

– მეცხვარეობის განვითარების რეგიონალ-ტერიტორიული მართვის ცენტრში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების

სტიმულირების სისტემის შექმნა ადგილობრივი საგადასახადო, საკრედიტო ფასწარმოქმნის ბერკეტების მეშვეობით, აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების დახმარების საფუძველზე.

– ტერიტორიული მართვის ცენტრში სპეციალური საფინანსო ფონდების და ორგანიზაციების შექმნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის. ასეთ საფინანსო ფონდებში სახსრების მოზიდვა შეიძლება ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა სახელმწიფო სპეციალური სუბსიდიები, ანარიცხები რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების საინვესტიციო ნაწილიდან, დაინტერესებული კერძო მეწარმეების, განსაკუთრებით მსხვილი კორპორაციების შენატანები. აგრეთვე, მსოფლიოში ამჟამად ფართოდ გავრცელდა საფინანსო დახმარების გაწევა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან სხვადასხვა აქტუალური პროექტის დასაფინანსებლად. რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ორგანიზაციების შექმნას – ესაა ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული ბიზნეს "ინკუბატორები", საკონსულტაციო, სამეცნიერო კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და სხვა კერძო მეწარმეობის ხელშემწყობი ცენტრები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან, როგორც ინდუსტრიის ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერაზე, ეხმარებიან კერძო მეწარმეებს ახალი და უახლესი ტერქნოლოგიების დანერგვასა და ეფექტიან გამოყენებაში რეგიონის პირობების, ქვეყნის და რეგიონის მოთხოვნების და საექსპორტო შესაძლებლობების გათვალისწინებით.

თიანეთის მეცხვარეობის განვითარების რეგიონალ-ტერიტორიული მართვის ინოვაციურმა ცენტრმა უნდა აღრიცხოს და დაადგინოს საქართველოს საზამთრო და გარდამავალი ტიპის საძოვრების საერთო ფართობი, მათი ინფრასტრუქტურის მდგომარეობა. დღეს მეცხვარეობა იმდენად არის დეგრადიზებული, აბსოლუტურად მოშლილი ინფრასტრუქტურით რომ მეწარმეთა ძალისხმევით, თუნდაც იდეალურ სამეწარმეო გარემოში შეუძლებლად ან დროში უზომოდ გაწელილად გვესახება დარგის აღორძინება. წარმოუდგენელია სახელმწიფო რაიმე სახის ეკონომიკურ

პოლიტიკას ატარებდეს გამართული სტატისტიკური სამსახურის გარეშე, სტატისტიკის დღევანდელი მდგომარეობა, ანუ მისი ფაქტობრივი არარსებობა, ანგრევს სამეურნეო ურთიერთობებს. მაგალითად, ზამთრის საძოვრებზე არ გაიგება თუ ვისი და რამდენი სული ცხვარი იზამთრებს; როგორია მათი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა, როგორია ცხვრის სადგომებისა და საკვებით უზრუნველყოფის მდგომარეობა? ახლა თითქმის ყველგან ცხვრის დოლი 20-30 დღით ადრე იწყება, ვიდრე ძველად. დოლი გაჭიანურებული გამოდის. სიცივის გამო ბატკანი იხოცება. მაგალითად, 2011-2012 წლის, ხანგრძლივი ყინვიან თოვლიანი ზამთრის პირობებში სიცივისა და საკვების ნაკლებობის გამო შირაქისა და ელდარის ზამთრის საზოვრებზე გაწყდა ცხვრის სულადობის 25 პროცენტი, 10 პროცენტი კი – სხვა დანარჩენ ზამთრის საძოვრებზე. აღნიშნული მდგომარეობა ძირითადად გამოწვეულია გამოსაზამთრებლად ცხვრის თბილი სადგომების უკმარისობით. დღემდე არ არსებობს სტატისტიკა ზამთრის საძოვრებზე ცხვრის ფარების გამოზამთრების მიმდინარეობის შესახებ. როგორია საკვების სახეობების მიხედვით ზამთრის საძოვრებზე მომარაგებული საკვების ოდენობა; როგორია ცხვრის სულადობის მიწური ან კაპიტალური სადგომებით უზრუნველყოფა; ზაფხულობით ვინ უვლის ცხვრის ბინებსა და ინფრასტრუქტურას ან ვინ დარაჯობს დამზადებულ საკვებს? ამ საქმეში სახელმწიფოს რა ფუნქცია გააჩნია. სანაშენო საქმიანობის იგნორირების შედეგად საქართველოში შეიცვალა ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობა. ზუსტად არავინ იცის რამდენი სულია წმინდა მატყლიანი, ნახევრად წმინდა მატყლიანი, უხეშ მატყლიანი, ნახევრად უხეშ მატყლიანი ცხვარი. საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ ქართველი მეცნიერების მიერ გამოყვანილი ქართული წმინდა მატყლიანი ცხიმკუდიანი და ნახევრად წმინდა მატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრის სულადობა მხოლოდ უდაბნოს მეცხვარეობის სანაშენო მეურნეობაში 100 სულამდე შემორჩა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორები და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მიდგომები საქართველოში. თბილისი "მეცნიერება", 2004.

2. ბეღელაური გ. მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივა დავით გარეჯში. რეცენზ. ელექტრ. სამეცნ. ჟურნალი, 2010, # 25.

3. ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონალ და ლოკალურ დონეზე. "მერიდიან", თბილისი, 2006.

4. ვაჯა-ფშაველა ხევსურები, თხზ. სრული კრებული ტ. IX თბილისი, 1964.

5. გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა. "მეცნიერება" 1982.

6. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. "მეცნიერება", თბილისი, 2003.

7. საქართველოს კანონი (საქართველოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ) საქართველოს საკანონმდებლო მაცნე # 42, 2005.

8. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. "მეცნიერება", თბილისი, 2003.

9. ქუმსიშვილი ვ. მომთაბარე მეცხვარეობის ტექნოლოგია ინტენსიფიკაციის საფუძველზე "განათლება", თბილისი, 1983.

10. ქუმსიშვილი ვ. მატყლმცოდნეობა. "ცოდნა". თბილისი, 1961.

11. ქათამაძე დ. ცოტაძე მ. მეცხვარის ცნობარი, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1974.

12. ყამარაული ს. საქართველოს სსრ მეცხვარეობის ინტენსიფიკაციის საკითხები. "საბჭოთქა საქართველო", თბილისი, 1979.

13. წიკლაური ქ. მეცხოველეობა და ბიზნესი საქართველოს მაღალმთიანეთში. თბილისი, 2002.

14. ჯანიაშვილი ი. მეცხოველეობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1974.

Tengiz Kavtaradze

PROBLEMS OF INNOVATION SPREADING IN GEORGIAN SHEEPBREADING

Summary

This article is dedicated to the most importment field of Agriculte – problems of the sheepbreading inovations ascentions. Result of research figure outs collapse of social economy and declearing lands to private property, demolition of rural social infrastructure, aslo loss of 200 thounsand Ha winter pasture in Caspian coast, Shiraqi, Eldari and Alazani winter pasture mass privatization also caused great reduction of sheepbreading field reduction. Whereas Sheepbreading is higly profitable field. Huge attention have to give development of stationary livestock of Gandza (Nino Tsminda Area) and Okami (Akhalqalaqi Area) in industrial sheepbreading complex. Here during a whole year sheep is within one area – in the winter on nursery, but in the sprint on pasture. During new farms projecting have to be provided local natural conditions, organized sheepbreading forms and manufacturing technology. Task of inductrial development sheepbreading technology provides work productivity maximal enlagdment, in magificion of production manufacturing and in quality improving. This tasks have to be providing by manufacturing on specialization and concentraciont bases. By implanting rational sheep parking space; complex mechanization and by using manufactuiring rational technology; Orgnaze of sheperd work, rendering and being conditions on basic improvemnt bases.

ეთერ კაკულია

შიგა ინვესტიციების მოზიდვის არსებული გარემო და მისი სრულყოფის გზები საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციების დასანერგად

ანოტაცია. *ნაშრომში შესწავლილია ინვესტიციის არსი და სახეობები. განხილულია ინვესტიციური გარემოს მარეგულირებელი ფაქტორები; გამოყოფილია ამ გარემოზე მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები. საუბარია მცირე და საშუალო ბიზ- ნესში ინოვაციების დასანერგად და მათი ინოვაციურობის უზრუნველსაყოფად ინვეს ტიციების მოზიდვის მიზნით საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს შესახებ.*

საუბარია ასევე შიგა (ადგილობრივი და უცხოური) ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმის და ინვესტორთა დაინტერესების მექანიზმში საქართველოს უპირატესი მხარეების შესახებ; მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციების შეტანის, ნოუ-ჰაუს, დამწყები მეწარმეებისათვის ფინანსური წვდომის ხელშეწყობის მექანიზმზე. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ფინანსური წვდომის გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოში გატარებულ ღონისძიებებზე.

განხილულია „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“(GITA), სსიპ "აწარმოე საქართველოში", "სტარტაპ საქართველო“-ს, „ჰორიზონტი 2020–ის (კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო-პროგრამა 2014–2020“, EU4BUSINESS საქართველოში, აუთსორს მომსახურების და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი სახელმწიფო თუ კერძო ინსტიტუტების როლი მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციების შემოტანის და ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო რესურსების მოზიდვის მექანიზმის ფორმირებაში. გამოთქმულია მოსაზრება ამ მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიცია, ინვესტიციური გარემო, ინოვაცია, ადგილობრივი ინვესტიციები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, აუთსორსინგი.*

შესავალი

დღეს ევროპასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ცოდნა, მაღალი ტექნოლოგიები და ინოვაციები აღიარებულია ნაციონალური ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. ინოვაციური მოღვაწეობის შედეგების კომერციალიზაციის ხარჯზე ფორმირდება ევროპული ქვეყნების ბიუჯეტის 70-დან 80%-მდე, ამერიკის ბიუჯეტის 90%-მდე, იაპონიის ბიუჯეტის 100%-მდე. [ე. შილაკაძე ინოვაციური... 2017] . საქართველოს ინოვაციური საქმიანობის განხორციელების გარკვეული პოტენციური შესაძლებლობები აქვს. დღევანდელ პირობებში, როცა მსოფლიო ეკონომიკის სულ უფრო მეტი სექტორი ხდება მაღალტექნოლოგიური, ქვეყნის განვითარება უკვე შეუძლებელია მხოლოდ „ტრადიციულ“ დარგებზე ორიენტაცით, რაც ქვეყანას მომავალში განვითარების იმედს უკარგავს. მაგალითად, საქართველოში ყოველწლიურად ჩამოსული ტურისტების რაოდენობამ მოსახლეობის სამმაგ ოდენობასაც რომ მიაღწიოს, ამ სექტორის წვლილი ერთ სულზე შემოსავალში იქნება დაახლოებით 3 ათასი აშშ დოლარი წელიწადში, ანუ მდიდარი ქვეყნისთვის დამახასიათებელი მაჩვენებლის 10%-ზე ნაკლები. ასეთ შეფასებებს სხვა დარგების მიმართაც თუ ჩავატარებთ, აღმოვაჩენთ, რომ საქართველოზე, როგორც მდიდარ ქვეყანაზე, საუბრის საფუძველი ნამდვილად ვერ გვექნება, თუ საინოვაციო მიდგომებს არ განვავითარებთ[შატბერაშვილი, ... 2013]. ქვეყნისთვის აქტუალურია ისეთი საინვესტიციო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოებში ინოვაციების შეტანას და ეკონომიკაში ინოვაციების სიმრავლეს.

ეკონომიკის განვითარება და აღწარმოების პროცესი შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე. ინვესტიცია ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა, მხოლოდ ინვესტიციების გამოყენებით ხდება ეკონომიკის წინსვლა. მეწარმე მოგების ნაწილს (დანაზოგს) თუ არ მოახმარს ინვესტიციებს, წარმოების გაფართოებას, მაშინ ეკონომიკა ერთ ადგილზე გაიყინება. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს შექმნას, რითაც სახელმწიფო სათანადოდ უწყობს ხელს როგორც ადგილობრივ ისე გარედან შემოსულ ინვესტორს.

ინვესტიცია, ინვესტიციური გარემო. ინვესტიცია [ლათინური წარმოშობისაა investio -შემოსვლა (შემოსავალი] ეწოდება კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით [https://ka.wikipedia.org...]. ასევე გვხვდება ინვესტიციის სხვადასხვა განმარტება; სამოქალაქო განათლების ლექსიკონში ინვესტიცია - ნებისმიერი სახის ფულადი, ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობის ან უფლების გრძელვადიანი დაბანდებაა საკუთარ ან უცხო ქვეყანაში სამეწარმეო და სხვა ობიექტებში, რომელიც გამოიყენება შესაძლო მოგების ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით **[http://www.nplg.....].**

საქართველოს კანონით -„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ„ (მუხლი 1) - კი ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექ-ტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს: ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; ბ) უძრავი და მოძრავი ქონება - მიწა, შენობა–ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა; გ) მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კონცესია), პატენტი, ლიცენზია, „ნოუ–ჰაუ“, გამოცდი-ლება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა; დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნება ინვესტიციები სხვადა-სხვა მნიშვნელობით გამოიყენება: სამომხმარებლო ინვესტი-ციები; ინვესტიციები ბიზნესში (ეკონომიკური ინვესტიციები); ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში (საფინანსო ინვესტიციები).

ინვესტიციურ პროცესებში ინვესტორის მონაწილეობის ხასიათის მიხედვით ინვესტიციები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ ინვესტიციებად.

პირდაპირ ინვესტიციებად თვლიან ინვესტორის უშუალო

მონაწილეობას ობიექტებისა და ინვესტირების ინსტრუმენტების, ასევე კაპიტალის დაბანდების შერჩევაში.

არაპირდაპირ ინვესტიციებად მიიჩნევენ ინვესტირებას სხვა პირების მეშვეობით, ე.ი. ინვესტიციური ან ფინანსური შუამავლების დახმარებით.

ინვესტირების პერიოდის მიხედვით ასხვავებენ გრძელვადიან ან მოკლევადიან ინვესტიციებს. გრძელვადიანი ინვესტიციებია კაპიტალის დაბანდება სამი და მეტი წლის ვადით, საშუალოვადიანი ინვესტიციები – დაბანდებები ერთიდან სამ წლამდე და მოკლევადიანი ინვესტიციები – დაბანდებები ერთ წლამდე ვადით.

რეგიონული ნიშნის მიხედვით, გამოყოფენ შიგა (სამამულო) და გარე (საზღვარგარეთულ) ინვესტიციებს. **შიგა ინვესტიციები ხორციელდება ქვეყნის შიგნით ინვესტიციების ობიექტებში,** ხოლო გარე ინვესტიციები კი მის ფარგლებს გარეთ არსებული ინვესტიციების ობიექტებში. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების შეძენა: საზღვარგარეთული კომპანიების აქციები ან სხვა სახელმწიფოების ობლიგაციები.

დაბანდების ობიექტების მიხედვით გამოყოფენ რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებს. რეალური ინვესტიციები (კაპიტალდაბანდებები) ფულის დაბანდებაა მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებში. პრაქტიკაში რეალურ ინვესტიციებთან დაკავშირებულია ცნება ერთობლივი ინვესტიციები და წმინდა ინვესტიციები.

ფინანსური ინვესტიციები საშუალებების დაბანდებაა ფასიან ქაღალდებში - აქციები და ობლიგაციები.

საკუთრების ფორმის მიხედვით არსებობს კერძო, სახელმწიფო, ერთობლივი და უცხოური ინვესტიციები

თუ შევაჯამებთ, მივიღებთ ინვესტიციების შემდეგ კლასიფიკაციას: ინვესტიციები ობიექტების მიხედვით, ინვესტიციები ძირითადი მიზნების მიხედვით, დაბანდების ვადების მიხედვით, საინვესტიციო რესურსებზე საკუთრების ფორმის მიხედვით, ინვესტიციები მონაწილეობის მიხედვით, ინვესტიციები რეგიონული ნიშნის მიხედვით. ინვესტიციები იყოფა აგრეთვე რისკის მიხედვით: დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის ინვესტიციებად.

ინვესტიციები ხასიათდება ორი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრით: რისკით და მომგებიანობით. როგორც წესი რაც უფრო მაღალია ინვესტიციის რისკი, მით უფრო მეტი უნდა იყოს მოსალოდნელი მოგება.

სახელმწიფოს ეკონომიკის ფუნქციონირება წარმოუდგენელია ინვესტიციების გარეშე. ინვესტიციები უზრუნველყოფს კვლავწარმოების უწყვეტობას. ხელს უწყობს საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებაში. აქედან ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციების დანერგვის მიზნით შიგა ინვესტიციების მოზიდვის არსებული გარემო და მჯზანს კი მისი სრულყოფის გზების გამოვლენა.

ინვესტორის მიერ ინვესტიციების განხორციელების სტიმულს აძლიერებს ქვეყაში არსებული საინვესტიციო გარემო.

საინვესტიციო გარემო მოიცავს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც ითვალისწინებს ინვესტორი კაპიტალდაბანდებების განხორციელებამდე და რომელიც, საბოლოო ჯამში, აისახება ისეთ კომპლექსურ მაჩვენებელზე, როგორიცაა საინვესტიციო რისკი.

საწარმოს ინვესტიციების განხორციელება მხოლოდ საკუთარი ძალებით ხშირად შეუძლებელია. ის ინვესტირებას ახორციელებს ასევე ქვეყანაში არსებული საინვესტიციო რესურსების (ადგილობრივი, უცხოური) მოზიდვით. დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს შექმნას, რითაც სახელმწიფო სათანადოდ უწყობს ხელს ადგილობრივ (რეზიდენტ) თუ გარედან შემოსულ (არარეზიდენტ) ინვესტორს.

საინვესტიციო გარემო არის იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ინვესტორების მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენს გავლენას. ამ ფაქტორების ქვეშ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკა, ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაცია და კორუფციის დონე, საკანონმდებლო ბაზა და თავისუფალი სასამართლო ხელისუფლება, ბიზნესის კეთების სიმარტივე და სხვა. აღნიშნული ფაქტორების პარალელურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი

მაკროეკონომიკური (პოლიტიკური) მაჩვენებლების მდგომარეობას, როგორებიცაა: მთლიანი შიგა პროდუქტი, ინფლაცია, შიგა დანაზოგის მაჩვენებელი, დასაქმების მაჩვენებელი, საგადასახდელო ბალანსი და სხვა. თითოეული ჩამოთვლილთაგანი სხვა, ნაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად ქვეყანაში ქმნის იმ გარემოს, რომელშიც ფუნქციონირება უწევს როგორც მოქმედ ადგილობრივ ისე უცხოურ ბიზნესს (რეზიდენტ და არარეზიდენტ სუბიექტებს). საქართველოში ინვესტიციური გარემოს შესაფასებლად აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობის, ფინანსური რესურსების, სოციალური სფეროს, პოლიტიკური გარემოს, მეურნეობის ზოგადი სტრუქტურის შესწავლა და სხვა.

საქართველოში დღეს ხაზს უსვამენ ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივეს ბიზნესის დაწყებად, რაც ძირითადად კონპანიის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის და საბანკო ანგარიშის გახსნის სიმარტივესა და პროცედურების მოკლე ვადებში განხორციელებაში გამოიხატება.

საქართველოში საინვესტიციო გარემოს სამართლებრივად არეგულირებს კანონთა პაკეტი რომელთა შორის გამოსაყოფია: საქართველოს "კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ "– კანონი განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს.

საქართველოს "კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ"– კანონის მიზნებია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომლებიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე.

ამ კანონით დგინდება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის. კანონით

გათვალისწინებული უფლებები ვრცელდება ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირზე.

საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ [https://matsne.gov.ge ...] – კანონის მიზანია, შეიქმნას მიმზიდველი გარემო ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხელი შეეწყოს კაპიტალისა და ტექნოლოგიების შემოსვლას. ადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებისათვის დამატებით პირობებს, საგადასახადო შეღავათებს და ამ ზონების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. საქართველოს “კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ” – კანონის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს [საინვესტიციო პოლიტიკა და ...], რითაც მიმზიდველს ხდის ინვესტორებისთვის განახორციელონ ინვესტიციები ეკონომიკის თავისუფალ ზონაში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში საუბარია იმაზე, რომ არსებული საინვესტიციო კანონმდებლობა მოითხოვს შემდგომ დახვეწას და სრულყოფას. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მიხედვით კი უნდა მოხდეს ამ და სხვა კანონთა ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის მონაწილეობა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში, რომლებიც იცავს ინვესტორთა ინტერესებს და მათ უფლებებს.

საქართველოს, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, რიგ ქვეყნებთან მიმართებაში გააჩნია კონკურენტული უპირატესობანი, კერძოდ, ეს უპირატესობებია: 2.3 მლიარდი მომხმარებლის ბაზრებზე წვდომა საბაჟო გადასახადის გარეშე; დაბალი გადასახადები; დაბალი კომუნალური ხარჯები და იაფი სამუშაო ძალა; კორუფციის შედარებით დაბალი დონე; ხელსაყრელი ბიზნესგარემო; თავისუფალი ინდუსტრიული ზონები; სტრატეგიული მდებარეობა.

საქართველოს შიგა ინვესტიციებში დიდ ადგილს იკავებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მსოფლიო მიწოდების ჯაჭვის დივერსიფიკაციისა და საქართველოს კონკურენტული უპირატესობის გათვალისწინებით, **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI)** მოზიდვა უპირატესად გათვალისწინებულია შემდეგი სექტორებისთვის**:** ტექსტილის, ტანსაცმლისა და ტყავის წარმოება; ავტომობილების/ავტონაწილების წარმოება; მედიკამენტების და სხვა ქიმიური წარმოება; ელექტრონული პროდუქტების წარმოება; ტრანსპორტი და დასაწყობება; ბიზნესპროცესების აუთსორსინგი. ე.ი. **FDI** -ის წარმართვა აღნიშნულ სექტორებზე მეტი ეფექტიანობის მომტანი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის

საინვესტიციო შეთავაზების შეღავათიანი პაკეტი მოიცავს შეღავათებს შემდეგი მიმართულებით: მიწა/უძრავი ქონება, საგადასახადო შეღავათები, სექტორული ინდუსტრიული ზონები/ინფრასტრუქტურა, მიზნობრივი გრანტები/თანამშრომლების გადამზადება [https://galtandtaggart.com/upload/reports/....].

საქართველოში ინვესტირების არსებული მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ დღეს საინვესტიციო გარემოსთვის ხელშეწყობა აუცილებელია, ამ მხრივ გადაუდებელი ამოცანაა: ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა, რაც უსათუოდ განამტკიცებს უმრავლეს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას და მათ ინვესტიციურ აქტიურობას შეუწყობს ხელს. ამასთან, ეს ღონისძიება დადებითად იმოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზეც. აუცილებელია საინვესტიციო პროექტების დაზღვევის სისტემის შემუშავება.

დღეისათვის საქართველოში სადაზღვევო კომპანიებში მხოლოდ ფიზიკურ პირებისათვის შეიძლება მოხდეს ხელსაყრელი რისკების დაზღვევა, ისეთის, როგორიცაა მაგალითად სიცოცხლე, ქონება, ავტომანქანა. მაგრამ, რაც შეეხება იურიდიული თუ ფიზიკური პირების კომერციული ან საწარმოო საქმიანობის საინვესტიციო რისკებს, ხშირად პრობლემა ხდება მათთვის მისაღებ პირობებში გაუზიარონ მზღვეველებს.

ამასთან ერთად აუცილებელია საქართველოს საქპატენტის საქმიანობის გაუმჯობესება.

საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ ადგილობრივი (რეზიდენტი, ადგილობრივი ხელისუფლება) ინვესტიციების მაჩვენებელი დაბალია და ქვეყანა მთლიანად უცხოურ (არარეზიდენტ, უცხო სახელმწიფოს) ინვესტიციებზე მიჯაჭვული რჩება.

ადგილობრივი ინვესტიციების სიმწირის ძირითად მიზეზად შეიძლება დასახელდეს:

1. საპროცენტო განაკვეთები კრედიტებზე კვლავ მაღალია მაშინ, როცა დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთები ბოლო წლებში მცირდება. როგორც ცნობილია, კრედიტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბიზნესის დაწყების, გაფართოების და განვითარებისათვის. დეპოზიტებზე თანხის განთავსება მოსახლეობისათვის დანაზოგების ინვესტირების პრაქტიკულად ერთადერთი გზაა, რადგან ქვეყანაში ფაქტობრიად არ არსებობს საფონდო ბირჟა, რომელიც ხელს შეუწყობდა თავისუფალი რესურსების მობილიზებას და საჭიროებისამებრ გადანაწილებას. დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთის სიმცირის გამო მოსახლეობას ურჩევნია მთლიანად მოიხმაროს შემოსავლები, ვიდრე დეპოზიტებში მოახდინოს ინვესტირება.

2. ადგილობრივი დანაზოგების დაბალი მაჩვენებელი. ამის დაძლევის მიზნით „საქართველო 2020“ -ში ქვეყნის ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთ წინაპირობად სწორედ ადგილობრივი დანაზოგების ზრდა განიხილებოდა.

3. არ არის დანერგილი გრძელვადიანი ინვესტიციების წახალისება და დანაზოგების ინსტრუმენტების ჩამოყალიბება.

4. კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობა. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო რესურსების ზრდაში.

5. საინვესტიციო კანონმდებლობის შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნებთან. ამან ასახვა პოვა „საქართველო-2020“-შიც სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობა მოძველებულია და აღარ შეესაბამება არსებულ რეალობას. ამის დაძლევა შესაძლებელია არსებული კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ინტეგრირებით. განსაკუთრებით ყურადღება უნდა დაეთმოს ინოვაციური მცირე ბიზნესის, „ნოუ-ჰაუს“-სთვის ინვესტიციების მოზიდვის და ინვესტორთა სტიმულირების სამართლებრივ რეგულირებას.

6. საინვესტიციო რესურსების შემაფერხებელ ფაქტორთა შორის მოიაზრება აგრეთვე უმუშევრობის დონის მაღალი მაჩვენებელი, რომელმაც 2019 წლის მონაცემებით 17.6% შეადგინა [https:// www. geostat.ge/ ka/modu...]. ეს უკანასკნელი გადაულახავ ბარიერად რჩება სიღარიბის პრობლემის დაძლევის გზაზე. თავის მხრივ ხალხის ცხოვრების დაბალი დონე წარმოების ასამოქმედებლად საკუთარი დანაზოგების (ინვესტიციების) პრაქტიკულად უქონლობას ნიშნავს.

მძაფრი გლობალური კონკურენციის და დინამიკური ეკონომიკური პროცესების გამო სწრაფად იცვლება ბიზნესის მოთხოვნები. შესაბამისად, აუცილებელია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა. გეოპოლიტიკური მდებარეობით საქართველო, ისტორიულად, სხვადასხვა რეგიონებისა და ეკონომიკების გზაჯვარედინს წარმოადგენს, იყო და არის ერთგვარი ჯაჭვის რგოლი ევროპასა და აზიას შორის.

საქართველოს მთავრობის საგადასახადო პოლიტიკამ კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ასევე, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის უნდა უზრუნველყოს, მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნა.
„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები, კერძოდ, საბაჟო კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, ხელს უწყობს ინვესტორთა დაინტერესებას და ინვესტიციებისათვის ქვეყნის მიმზიდველობის ზრდას.

აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა შორის ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთადერთია, რომელზედაც სახელმწიფო გავლენას ვერ მოახდენს. იგი ყალიბდება გეოგრაფიული და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ზეგავლენით, მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია შესაბამისი პირობების შექმნა რათა უცხოელმა ინვესტორმა ყველა პოტენციური ვარიანტიდან მოცემული ქვეყანა აირჩიოს კაპიტალდაბანდებებისათვ.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს ქვეყნის სამეწარმეო და

საინვესტიციო გარემო, რაც წაახალისებს ბიზნესის წამოწყებას, არსებული ბიზნესის გაფართოებასა და დივერსიფიკაციას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდას, მწარმოებლურობის დონის ამაღლებას, ასევე, შესაბამის საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში ქვეყნის პოზიციების გაუმჯობესებას.

ბოლო წლებში განვითარებული, განსაკუთრებით პოსტინდუსტრიული ქვეყნების (აშშ, იაპონია, ინგლისი და ევროკავშირის სხვა სახელმწიფოები) ეკონომიკაში ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება ეკონომიკის ინოვაციურობაზე, ცოდნაზე, ამ ქვეყნების ეკონომიკა აღიარებულია როგორც ინოვაციებისა და ცოდნის ეკონომიკა. მეცნიერება და მაღალი ტექნოლოგიები მიჩნეულია ნაციონალური ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. ინოვაციური მოღვაწეობის შედეგების კომერციალიზაციის ხარჯზე ფორმირდება ევროპული ქვეყნების ბიუჯეტის 70-დან 80%-მდე, ამერიკის ბიუჯეტის 90%-მდე, იაპონიის ბიუჯეტის 100%-მდე [შილაკაძე ე. ინოვაციური...], მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დიდია მცირე ბიზნესის როლი ინოვაციურ საქმიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების დონე სხვადასხვაა ამ ქვეყნებში, იგი აღიარებულია, როგორც ეკონომიკაში ინოვაციების უპირობო ფაქტორი. ამ ქვეყნების ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის ინოვაციების მეტი წილი. აშშ-ში ახალი ნაწარმის მნიშვნელოვანი შემუშავების 98% განხორციელებულია მცირე ბიზნესის მიერ., მაშინ, როდესაც ქვეყანაში კვლევებსა და დამუშავებაზე გამოყოფილი საშუალებებიდან მცირე საწარმოები ხარჯავენ 5%-ზე ნაკლებს [რ. აბესაძე, ე. კაკულია, მცირე ბიზნესის...]. დანახარჯების ეფექტიანობა სკსსს მცირე ინოვაციურ ფირმებში აშშ-ში 4-ჯერ მეტია ვიდრე მსხვილ კორპორაციებში. მცირე ინოვაციური ბიზნესი ქმნის ინოვაციებს 1 დასაქმებულზე 2,5-ჯერ მეტს და ნერგავს მათ ერთი წლით ადრე, ვიდრე მსხვილი ბიზნესი. [Зарубежный опыт ...].

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები, მნიშვნელოვან სახსრებს აბანდებენ სკსსს-ში. მაგალითად, ამერიკა გამოგონებასა და დანერგვაზე წელიწადში ხარჯავს $280

მილიარდს, იაპონია - $100 მილიარდს, ევროკავშირის ძირითადი ქვეყნები კი - $50-$60 მილიარდს, ჩინეთმა ეს დანახარჯები 1995-დან 2002 წლამდე 4-ჯერ გაზარდა $18-დან $72 მილიარდამდე, ხოლო 2010 წელს გამოყო $220 მილიარდი.

საინვესტიციო/ინოვაციური ინფრასტრუქტურა. საკითხის შესწავლიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული ქვეყნების გამოცდილების მიხედვით, სწრაფად მზარდი მეწარმეობის და ინოვაციის ფინანსურ მხარდაჭერას (ინვესტირებას) უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სამუშაო ადგილებისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. საქართველოს გადაყვანა ინოვაციური ეკონომიკის რელსებზე ნამდვილად შეუძლია მცირე და საშუალო საწარმოებს, განსაკუთრებით მცირე ბიზნესს, როგორც შინაგანად, თავისი თვისებით ინოვაციურს. მსოფლიო ბანკის 2013 წლის კვლევის - „მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში" - მიხედვით, ქართული ინოვაციური საწარმოები 30%-ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან და ისინი როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზრებზე არაინოვაციურ საწარმოებთან შედარებით გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანები არიან. აქედან გამომდინარე, ინოვაციური და უფრო პროდუქტიული ფირმების განვითარებისა და სწრაფად ზრდისთვის საინვესტი-ციო/საინოვაციო ხელსაყრელი გარემოს შექმნა ქვეყნის წინსვლასთან დაკავშირებული მიზნების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს. ამდენად, ქვეყანაში უნდა გაძლიერდეს ინოვაციურ მცირე და საშუალო ბიზნესსა და საერთოდ ბიზნესში ინოვაციების დანერგვის ინვესტირება. ამ მიმართულებით მუდმივად უნდა გაუმჯობესდეს საინვესტიციო/ საინოვაციო გარემო.

დღეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში არსებული სხვა სახელმწიფოებისგან (სომხეთი და აზერბაიჯანი) განსხვავებით, ისეთი მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შეიქმნას, რომელიც მას კონკურენტუნარიანს გახდის ინვესტიციების მოზიდად.

დღეს ობიექტური მოთხოვნილება არსებობს მოზიდული ინვესტიციებით ეკონომიკის ინოვაციებით „შევსებაზე"/"გაჯე-რებაზე". ინვესტიციების შერწყმა განვითარების ინო-ვაციურ

ფაქტორებთან განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ინოვაციურ მეწარმეობაში. საქართველოს ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად დავყოთ - ერთი, რომლებიც ითხოვენ გაფართოება - გადაიარაღებას, ინოვაციების დანერგვას, არსებულის შევსებას უახლოესი ტექნოლოგიებით კადრების კვალიფიკაციის ამაღლებით (მოთხოვნის შესაბამისი კადრების გადამზადება (ტრენინგი), საკონსულტაციო მომსახურება და მოზიდვა), ინოვაციური მენეჯმენტით და ა.შ. მეორე, საწარმოები, რომლებიც ეკონომიკაში ქმნიან ახალ მომხმარებელს და ბაზარს. ორივე ტიპის საწარმოები ინოვაციებს ახორციელებენ ეკონომიკაში. თუმცა, მეორე ტიპის - უფრო მეტად რადიკლურ ინოვაციებს.

ტრადიციულად, სახელმწიფოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით, როგორც პირდაპირი (მაგალითად, კვლევები კოსმოსისა და თავდაცვის მიმართულებით და ა.შ.), ისე არაპირდაპირი ხელშეწყობის გზით (შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფით, სხვადასხვა შეღავათების დაწესებითა და სხვა წამახალისებელი ღონისძიებებით - მაგალითად, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ან კერძო ორგანოები ქმნიან სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურას. მათ შორის, მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკები, ბიზნესინკუბატორები, ინოვაციური სამუშაო სივრცეები (Innovation Workspace), სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები (FabLab ან ILab), თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და სხვ.) [**ქინქლაძე რ.**, **ჩიტალაძე ქ.** ინოვაციური ...] .

საქართველოში ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები ჩატარდა 21-ე საუკუნის განვლილ პერიოდში, განსაკუთრებით **EaP (**აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა (EaP) 2008 წელს შეიქმნა და მიზნად ისახავს 6 პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ბელარუსის ევროინტეგრაციის ხელშეწყობას) .**აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის,** ასოცირების და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA)

ძალაში შესვლის შემდგომ (DCFTA არის ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილი IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც დაჩქარებული წესით იქნა მიღებული 2014 წლის 1 სექტემბერს) საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა ქმედებები ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის საინვესტიციო/საინოვაციო გარემოს ფორმირებისა და განვითარებისათვის. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდა, რაც ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - „საქართველო 2020“ (ივნისი, 2014) აგრეთვე, სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი დემოკრატიული ერთიანი საქართველოსთვის“(რომელიც პერიოდულად ახლდება).

სტრატეგია „საქართველო 2020“ ითვალისწინებს მსს-ის სექტორის განვითარებას და ახდენს სამი მთავარი პრიორიტეტული სივრცის იდენტიფიცირებას: 1. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა: საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობა, ექსპორტის ზრდის უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის სრულად გააზრება 2. ადამიანური რესურსების განვითარება: ქვეყნის სამუშაო ძალის პოტენციალის შექმნა იმგვარად, რომ იგი შეესაბამებოდეს სამუშაო ძალის ბაზრის მოთხოვნებს; სოციალური დაცულობის გამყარება; ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაზე წვდომისა და მისი ხარისხის ზრდა 3. ფინანსებზე წვდომა: ინვესტიციების მობი- ლიზება; ფინანსური საშუამავლო სისტემის შექმნა [**საქართველოში მცირე და საშუალო...**]

2014 წელს შეიქმნა პირველი სახელმწიფო უწყება ეკონომიკისა და მდგრადი გავნითარების სამინისტროში სსიპ - **„აწარმოე საქართველოში“**, ის ერთ-ერთი პირველი სახელწიფო უწყებაა საქართველოში, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს:

ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს [http://www.enterprise...]. ამ ინსტიტუტის ფარგლებში ფუნქციონირებს რამდენიმე პროგრამა: აწარმოე ინვესტიციები, აწარმოე ექსპორტი, უმასპინძლე საქართველოში, გადაიღე საქართველოში, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა და ა.შ

აწარმოე საქართველოში - ინვესტიცია (ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა). ამ პროგრამის მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში. პროგრამა მორგებულია ბიზნესის განვითარების დონესა და დაფინანსების საჭიროებაზე. პროგრამა გამიზნულია ახალი ბიზნესის წამოსაწყებად - „სტარტაპის“ და არსებული ბიზნესის გაფართოება - გადაიარაღებისთვის.

პროგრამა აწარმოე საქართველოში - ინვესტიცია საკმაოდ პოპულარული გახდა.

2015 წლისთვის განხორციელდა 133 პროექტი, მოსალოდნელმა ჯამურმა ინვესტიციამ შეადგინა 355.6 მლნ ლარი და შეიქმნა 6 759 ახალი სამუშაო ადგილი [წლიური ანგარიში 2015,]. 2016 წლისათვის განხორციელებული ინვესტიცია წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 385 მლნ ლარი შეადგინა, გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც და 15 ათასს გადააჭარბა [წლიური ანგარიში 2016,..]. 2017 წლის შედეგებით კი განხორციელდა 323 პროექტი, მთლიანმა ინვესტიციამ შეადგინა 786 მლნ ლარი და შეიქმნა 13 ათასი ახალი სამუშაო ადგილი [წლიური ანგარიში 2017 ...]. **სულ 2015-2018 წლების მონაცემებით, მიკრო და მცირე ბიზნესში მხარდაჭერილია 5 313 პროექტი,** მათი ჯამური ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 50 მლნ ლარამდე, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაცემულია 22 949 474 ლარი, სადაც 8 412 ბენეფიციარი/მოსარგებლეა. პროექტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა. [https://agora.ge/new/24535-mikro ...].

2014 წლის ივნისში მიღებულ იქნა სტრატეგია-დოკუმენტი **პროგრამა "უმასპინძლე საქართველოში“**, რომელიც მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავი- თარონ სასტუმრო ბიზნესი. ეს პროგრამა მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებს და საკონსულტაციო მომსახურებას, ამასთანავე ხდება წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ე.წ. „ფრენჩაიზინგის" ხელშეკრულებით გათვალისწინე- ბული გადასახადების თანადაფინანსებით. პროგრამა არ მოიცავს თბილისსა და ქუთაისს.

პროგრამა "გადაიღე საქართველოში“, რომელიც ქვეყანაში გადაღებებზე გაწეული კვალიფიციური ხარჯების 20%-დან 25%-მდე ანაზღაურებას გულისხმობს. ასევე კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტს. კინოინდუსტრიის განვითარების კომპონენტი ხელს უწყობს საქართველოს პოპულარიზაციას საერთაშორისო მასშტაბით და იზიდავს უცხოელ პროდიუსერებს, გადაიღონ ახალი ფილმები საქართველოს ლოკაციებზე.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პრო- გრამა გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარ- დაჭერის გზით. პროგრამა გამიზნულია როგორც ახალი ბიზნესის წამოსაწყებად, ასევე არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაია- რაღებისთვის. პროგრამა ხორციელდება საქართველოს რეგიო- ნებში.

„**ინოვაციური საქართველო 2020“** [www.facebook.com/GITA..]. იგი არის დოკუმენტი, რომელიც ემსახურება ინოვაციების სფეროში სახელმწიფოს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებასა და კონკრეტული ამოცანების დასახვას, ეფექტური ინოვაციების ეკოსისტემისა და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნას, რაც განაპირობებს საქართველოს ეკონომიკურ წინსვლას.

2015 წელს მთავრობასთან შეიქმნა „კვლევებისა და ინოვაციების საბჭო“, როგორც მაღალი დონის პოლიტიკური დიალოგის პლატფორმა. საბჭოს თავჯდომარეა პრემიერ მინისტრი, ხოლო საბჭოს წევრები არიან მინისტრები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და მეცნიერები [2015 წლის 3 თებერვალი საქ. ....].

2016 წელს მიღებული **კანონი „ინოვაციების შესახებ“** იძლევა ინოვაციებთან დაკავშირებულ რიგ ტერმინთა განმარტებებს. რომლის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექ-ტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით [საქართველოს „კანონი ინოვაციების ...].

ამ კანონით არის განსაზღვრული საქართველოს მთავრო-ბასთან შექმნილი „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს“ ფუნქციები; აქვეა განსაზღვრული სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ამოცანები. კანონით ნებადართულია ინოვაციური საქმიანობის ხელშესაწყობად სახელმწიფო ორგანომ ან სხვა პირმა საინვესტიციო/საინოვაციო ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბების მიზნით შექმნას ინფრა-სტრუქტურა: ა) სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი; ბ) ბიზნეს-ინკუბატორი; გ) ბიზნესამაჩქარებელი; დ) ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი; ე) სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორია (ILab); ვ) ინოვაციების ცენტრი; ზ) სხვა ინფსრასტრუქტურა (მუხლი 6)[საქართველოს „კანონი ინოვა....].

2016 წლის იანვრის თვიდან საქართველოში, თბილისში, გაიხსნა პირველი **ტექნოპარკი.** ორი წლის განმავლობაში, 2018 წლისათვის ქვეყნის მასშტაბით 22 სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (ფაბლაბი, ტექნოლოგიური პარკი) იყო გახსნილი.

ინოვაციების სააგენტომ ტექნოპარკში განათავსა საკონ-სულტაციო კომპანიების - „საქპატენტი“, „დელოიტი“, „მართვის აკადემია“, ოფისები, რომლებიც სტარტაპებს უწევენ მომსახურებას სხვადასხვა მიმართულებით: **„საქპატენტი“** - უზრუნველყოფს სტარტაპების კონსულტაციებს საკუთრების დაცვაში; **„დელოტი“** - ინოვატორებს ეხმარება ფინანსური საკითხების დაგეგმვასა და

სამუშაო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში; **მართვის აკადემია -** სტარტაპებს კონსულტაციას უწევს მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულებით; **მენტორთა ქსელი** - ინოვაციების სააგენტომ შექმნა მენტორთა ქსელი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგის გამოცდილ, კვალიფიციურ პროფესიონალებს. მენტორები ყოველთვიურად უზიარებენ გამოცდილებას დამწყები ინოვაციური ბიზნესების წარმომადგენლებს. მენტორთა ქსელის ეფექტურად მუშაობის მიზნით სააგენტომ სპეციალურად შექმნა გვერდი: gita.gov.ge/mentors/index/html, სადაც განთავსებულია მენტორების საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდის საშუალებით, ერთი მხრივ სტარტაპებს შეუძლიათ აირჩიონ მენტორი, რომელთანაც კონსულტაციის გავლის სურვილი აქვთ, ხოლო მეორე მხრივ, დარგის პროფესიონალებსა და გამოცდილ ადამიანებს შეუძლიათ, მენტორთა ქსელში დარეგისტრირდნენ და თავისი ცოდნა და გამოცდილება ინოვატორებს გაუზიარონ.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა **„საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020“.** რომელიც შეიმუშავა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ OECD-თან და GIZ-თან მჭიდრო თანამშრომლობით და ევროკავშირის მხარდაჭერით. სტრატეგია ეფუძნება „ევროპული მცირე ბიზნესის აქტს“ და მის ძირითად პრინციპს „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First) [საქართველოს მცირე და საშუალო ... სტრატეგია 2016-2020].

იგი შეიცავს 5 სტრატეგიულ მიმართულებას:

1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია
5. ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა.

2016 წლის ივნისიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩერული საინვესტიციო პროგრამა - **„სტარტაპ საქართველო“.** სახელმწიფო პროგრამა

მხარს უჭერს დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას. ამჟამად პროექტის კოორდინატორები არიან „საპატრნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“.

„სტარტაპ საქართველო“ პროგრამის მონაწილე შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე პირი ან პირთა ჯგუფი, ვისაც აქვს სიახლეზე ორიენტირებული, პერსპექტიული და მდგრადი ბიზნესწინადადება და მისი განხორციელებისთვის ესაჭიროება საწყისი დაფინანსება. საპარტნიორო ფონდის მიერ სპეციალურად შექმნილი შვილობილი კომპანია „სტარტაპ საქართველო“ თითოეულ დაფინანსებულ ბენეფიციართან ერთად ქმნის ახალ კომპანიას (სტარტაპს), რომელშიც ფონდი კაპიტალის სახით შეიტანს 15 000 ლარიდან 100 000 ლარამდე. ამ მოდელით, პროგრამის ბენეფიციარს თანამონაწილეობის სახით მხოლოდ პროექტის ჯამური ღირებულების მინიმუმ 10%-ის ოდენობის თანხის შეტანა მოუწევს, ხოლო მისი ბიზნესიდეა ავტომატურად შეფასდება, როგორც ერთობლივი კომპანიის კაპიტალში სულ მცირე 40%-ანი შენატანი. შესაბამისად, მხოლოდ 10%-ანი თანხობრივი თანამონაწილოების პირობებში პროგრამის ბენეფიციარი ხდება 50%-ანი ან მეტი წილის მფლობელი ახალ კომპანიაში. ამასთან, შემდგომში ბენეფიციარს მიეცემა შესაძლებლობა, გამოისყიდოს ფონდის წილი ერთობლივ კომპანიაში შეღავათიანი პირობებით ან მოიძიოს სხვა ინვესტორები.

„სტარტაპ საქართველომ“ სამ წელიწადში ინოვაციური კომპონენტის ფარგლებში 3.1 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა; - „სტარტაპ საქართველოს“ ინოვაციური კომპონენტის ფარგლებში არაერთი მასშტაბური პროექტი არის დაფინანსებული. „სტარტაპ საქართველო“ სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას. პროექტის კოორდინატორები არიან „საპარტნიორო ფონდი“ და

„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდი - ინოვაციურ პროექტებზე.

კვლევებისა და ინოვაციების კუთხით მნიშვნელოვანია ის. რომ 2016 წლიდან საქართველო ჩაერთო ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების წამყვან პროგრამაში „**ჰორიზონტი 2020“**, **რომლის ფარგლებში ხორციელდება მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი,** რომელიც მკვლევარებს და ნოვატორებს საქართველოდან და მათ პარტნიორებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან, პროგრამაში თანაბარი პირო- ბებით მონაწილეობის საშუალებას აძლევს ამ პროგრამით კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერა არის ინვესტიცია საერთო ევროპული მომავლისათვის.

2017 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეიქმნა სსიპ **„საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიები სააგენტო“ (GITA).** მისი მისიაა საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში, ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნა. GITA ახორციელებს სტარტაპების დაფინანსებისა და ბიზნესის განვითარებისკენ მიმართულ სხვადასხვა პროგრამებს, ასევე სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტებს. ინოვაციების სააგენტო დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა უფასო მომსახურებას სთავაზობს. სააგენტო ტექნოპარკთან ერთად მოიცავს როგორც საერთო სამუშაო სივრცეს, ასევე სამრეწველო ინოვაციების უნივერსალურ ლაბორატორიას FABLAB-ს, საკონფერენციო დარბაზს, შეხვედრების ოთახებსა და სარეკრეაციო ზონას. არსებული ფაბლაბები როგორც თბილისის, ისე რეგიონების მასშტაბით, აღჭურვილია ზუსტად იმ აპარატურული ციკლით, რომლის ანალოგები მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში - MIT - შია.

უნიკალური ინოვაციური იდეის შემთხვევაში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო მაქსიმუმ 100 000 ლარის ოდენობით დააფინანსებს მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპს, რაც მოიცავს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, კომპიუტერულ ინჟინერიას, კომპიუტერულ მეცნიერებას, ტელეკომუნიკაციას და სხვა მიმართულებებს. ასეთ დროს ბენეფიციარს აღარ მოეთხოვება პროექტის თანადაფინანსება და მისი წილი კომპანიაში 95% იქნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიური პროექტების მსოფლიო ბაზარზე გატანას, ამასთან, დაეხმარება წარმატებულ კომპანიებს შემდგომი დაფინანსების მოსაპოვებლად და განსავითარებლად აწარმოონ აქტიური კომუნიკაცია ინვესტორებსა და დაინტერესებულ პირებთან. გარდა ამისა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ტრენინგებს, ქოუჩინგს, მენტორინგს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის.

2018 წელს ამოქმედდა სამთავრობო პროგრამა **„თავისუფლება, სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა“**, რომელიც მსს-ის მხარდაჭერას ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებს. თემატური მიმდინარეობების მიხედვით გათვალისწინებულია ბიზნესისთვის სტარტაპების და ინოვაციების დაფინანსება [http://www.gov.ge/files/].

პარტნიორ და თანამეგობრობის ქვეყნების ფარგლებში, მათი ინიციატივით მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური თუ სხვა ტიპის მხარდაჭერის მიზნით, ქვეყანაში მოქმედებს სხვადასხვა პროგრამები:

EU4Business-EBRD საკრედიტო ხაზი არის რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) და ევროკავშირის ერთობლივი ინიციატივა, რომელიც შექმნილია საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. სამივე ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას და ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცით სარგებლობას. საკრედიტო ხაზი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ხელშესაწყობად არის განკუთვნილი. ძირითადი აქცენტი საქართველოში წარმოებული პროდუქტის ევროსტანდარტების შესაბამისობაში მოყვანაზე კეთდება. EU4BUSINSS-EBRD Credit Line

ამ ხაზით ხდება საქართველოში ევროკავშირიდან საგრანტო ფინანსების შემოდინება, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო (S&M) ზომის ბიზნესების ფინანსურ და ტექნიკურ გაძლიერებაზე. თითოეული პროექტისთვის საგრანტო მხარდაჭერა 10-15% მერყეობს, ხოლო მაქსიმალური სესხის ოდენობა 3 მლნ ევროა. ამ ეტაპზე ამ პროექტის ფინანსურ პარტნიორად საქართველოს ბანკია, რომელიც პოტენციურ ბენეფიციარებს ორწლიან საშეღავათო პერიოდს სთავაზობს ძირ თანხაზე და ბიზნესსესხის ნომინალური განაკვეთი 10-12%-ია. შევნიშნავთ, რომ სესხებზე განაკვეთი - 10-12% - მცირე/ინოვაციურ ბიზნესზე ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში მაღალია.

საქართველოში EBRD და ევროკავშირი თანამშრომლობს თიბისი ბანკთან და საქართველოს ბანკთან.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში ევროკავშირის დახმარება ძირითადად საქართველოს სოფლის მეურნეობას ითვალისწინებს 2014-2022 წლებისთვის, ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 179.5 მილიონი ევროა, რომელიც განაწილებულია შემდეგ ფაზებად: I ფაზა - 52 მლნ ევრო, 2014-2017; II ფაზა - 50 მლნ ევრო, 2016-2019; III ფაზა - 77.5 მლნ ევრო, 2018-2022 [https://www.enpard.ge]. პროგრამის მიზნებია: სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება; მცირე ფერმერთა თანამშრომლობის გაძლიერება; მცირე ფერმერების ქმედუნარიანობის ამაღლება; სოფლად დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლება.

საქართველოში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა **InnovFin SME Guarantee (InnovFin)** (**"ინოვფინი – ევროკავშირის დაფინანსება ნოვატორებისთვის"**), პროგრამის ფარგლებში 2020 წელს საქართველოს ბანკმა ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფთან („EIB ჯგუფი“) 60 მილიონი ევროს მოცულობის საგარანტიო ხელშეკრულება გააფორმა. ამ ხელშეკრულებით InnovFin-ი საქართველოს ბანკის მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული თითოეული სესხის 50%-ს დააზღვევს და მიმართულია ისეთი მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების და საშუალო კაპიტალიზაციის კომპანიებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ინვესტიციებს და საბრუნავ კაპი-

ტალს, ასევე განვითარებისთვის საჭირო კვლევებისა და ინოვაციების დაფინანსებისთვის. პროგრამის ფარგლებში, EIB ჯგუფი 80%-ით დააზღვევს საქართველოს ბანკის მიერ გაცემულ სესხებს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად იმ მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებსა და საშუალო კაპიტალიზაციის კომპანიებზე, რომელთა საქმიანობაზეც COVID-19 პანდემიამ ნეგატიური ეკონომიკური გავლენა იქონია.

ეს პარტნიორობა ბანკს მისცემს შესაძლებლობას, შესთავაზოს ფინანსური სერვისები ისეთ მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებს და საშუალო კაპიტალიზაციის კომპანიებს, რომლებიც ინოვაციებზე ორიენტირებულნი არიან და ინვესტიციებს მიმართავენ კვლევებისა და დიჯიტალიზაციისაკენ. მცირე და საშუალო ზომის ბიზნესი საქართველოს ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა. ამ კომპანიების უმრავლესობა დაზარალდა COVID-19-ის კრიზისის გამო. ამ დროს ევროკავშირმა, ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის მეშვეობით, შეძლო ბიზნესებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც მათ დაეხმარება, დაძლიონ არსებული გამოწვევები და სამომავლო განვითარებისთვის ინოვაციებში ინვესტიციები განახორციელონ [https://www.ambebi.ge/article/246184-sakartvelo...].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია **(OECD**). 2016 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასების ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი, რომლის თანახმად, 2016 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით საქართველო რეგიონში საუკეთესოა. ამ ორგანიზაციის შეფასებითვე ამავე პარამეტრებით 2020 წელსაც საქართველო რეგიონში მოწინავე პოზიციას იკავებს. [https://imedinews.ge / ge/ ekonomika/132271/....19 მარტი 2020, 11:35 /].

კარგია, რომ რეგიონულ დონეზე (აღმოსავლეთ პარტნორობის ექვს ქვეყანას შორის) საქართველო ზემოთ აღნიშნული მიმართულებით ლიდერობს, მაგრამ GCI-ის რეიტინგის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის

„გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენების“ („The Global Competitiveness Report“) მონაცემებით, 144 ქვეყანას შორის,. იმ ინდიკატორებში, რომლებიც ზომავს ტექნოლოგიების და ინოვაციების დონეს ქვეყანაში, საქართველოს პოზიციები არასახარბიელოა, ინოვაციებში – 121-ე ადგილი [საქართველოს მცირე და საშუალო... სტრატეგია 2016- 2020 წლებისთვის]. დიდად არც 2017-2018 წლებში გაუმჯობესებულა. კონკურენტ-უნარიანობის ინდექსის (CI) მაჩვენებლებს შორის ყველაზე ცუდი ინოვაციების მაჩვენებელია, 137 ქვეყნიდან საქართველოს რეიტინგი უდრის 118 (ე.ი. 118-ე ადგილზეა). OECD ანგარიშში დადებითად ფასდება საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შექმნა, თუმცა ნათქვამია, რომ საჭიროა მათი შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების განხორციელება, რათა მათი პოტენციალი მაქსიმუმამდე გაიზარდოს.

აშკარაა, რომ ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთ-რებული წინსვლა აღინიშნა ბიზნესის ინფრასტრუქტურის, დაფინანსების ხელმისაწვდომობის, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერის გაუქმებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ინსტიტუციონალიზაციის კუთხით.

საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროკავშირის და სხვა განვითარებული ქვეყნების მიერ, EaP-ს და ასოცირების შეთანხმების ფარგლებში მოქმედებს პროექტი **„ევროკავშირი ბიზნესისთვის“.** პროექტის მეშვეობით, საქართველოში კრეატიულ ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიებს, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ COVID-19-ის პანდემიის შედეგად, შესაძლებლობა ეძლევათ მოიზიდონ ინვესტიციები. მათთვის მოეწყობა და დაფინანსდება ასევე ორმხრივი შეხვედრები, ტრენინგები და თვინინგი. მისი ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა დაეხმარონ ქართულ კომპანიებს, შევიდნენ ევროკავშირის ბაზარზე. აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას, ინვესტიციების მოზიდვასა და კომპანიებს შორის ბიზნესკავშირების დამყარებას. პროექტის საერთო ბიუჯეტი 6.5 მილიონი ევროა და თითოეულ მონაწილე ბიზნესს მაქსიმუმ 60

000 ევროს ოდენობის გრანტის მიღების შესაძლებლობა ექნება. პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით 20 თვის განმავლობაში გაგრძელდება, მისი პრეზენტაცია 2020 წლის 12-13 ნოემბერს შედგება. აღნიშნულ პროექტს საქართველოში სავაჭრო პალატა განახორციელებს [https://report.ge/economics/evrokavshiri...].

აუთსორსინგი. აუთსორსინგის პოპულარობა ბოლო წლებში უფრო და უფრო იზრდება იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიებს სპეციფიკურ მომსახურებებზე უჩნდებათ მოთხოვნა, რომლის შესაბამისი კადრის მოძებნას ურჩევნიათ გარე პირი დაიხმარონ.

აუთსორსინგი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, არსებული აუთსორ ინდივიდუალური პირის ან კომპანიის დაქირავების პროცესია გარკვეული ბიზნეს საქმიანობების შესასრულებლად. ეს არის გარკვეულ საფასურად ბიზნესზე მომსახურების გაწევა აუთსორების მიერ (აუთსორ ინდივიდუალური პირი ან აუთსორ კომპანია). ეს პროცესი უკვე ჩვეულებრივ ბიზნესპრაქტიკად იქცა, რაც საშუალებას აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესებს, მიიღონ მომსახურება და უნარები, რომელთა განვითარება ჩვეულებრივ უჭირთ ფინანსური, ადამიანური რესურსების ან ორივეს ნაკლებობის გამო. აუსთორმომსახურება ბიზნესს აძლევს შესაძლებლობას, დანაზოგები გაზრდოს და წარმართოს ინვესტიციებზე. რაც ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ გაზარდონ საკუთარი ბიზნესი გარედან დიდი ინვესტიციების მოზიდვის გარეშეც.

აუთსორსინგი საშუალებას აძლევს კომპანიას ფოკუსირდეს ძირითად ბიზნეს პროცესებზე და, რაც მთავარია, შეამციროს ხარჯები და გაზარდოს ეფექტურობა. სპეციალიზებულ კომპანიას, რომელიც აუთსორმომსახურებას ეწევა, ჩვეულებრივ მაღალი დონის უნარ-ჩვევები და ახალ ტექნოლოგიებზე წვდომა აქვს, რომელზეც მზარდ კომპანიას ხშირად ხელი არ მიუწვდება.

აუთსორსინგზე მრავალი საქმიანობის გატანა შეიძლება, როგორიცაა საბუღალტრო აღრიცხვა, გაყიდვები, მარკეტინგი, დიზაინი, წარმოება, პრომოუშენი, ადმინისტრაციული მხარდაჭერა, ვებპროგრამირება და სხვა. [რა არის აუთსორსინგი...].
საქართველოს აუთსორსინგის სექტორი ახალია, მიუხედავად ამისა მან კარგად მოიკიდა ფეხი და ბოლო 2-3 წლის მანძილზე

3500 სამუშაო ადგილი შეიქმნა. საქართველოში პირველი აუთსორ ქოლ ცენტრი იყო **K•Call.**

აშკარაა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდგომ, 2014 წლიდან სრულყოფილი ხდება შიგა საინვესტიციო გარემო და საინვესტიციო/ინოვაციური ინფრასტრუქტურა. თუმცა, 2016-2020 წლების მონაცემებით, როგორც 1 ცხრილიდან, ჩანს არც ისე კარგი შედეგები გვაქვს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საწარმოთა ზომების მიხედვით სტაბილურად ზრდადი ტენდენციით ინვესტირების თვალსაზრისით. მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2020 წელს 2019 - თან მიმართებაში პირველ და მესამე კვარტალში შემცირდა, ხოლო მეორე კვარტალში გაიზარდა: თუ იყო 236 571,3 ათასი აშშ დოლარი 2019 წლის მეორე კვარტალში, იმავე პერიოდში 2020 წელს უდრიდა 246 634,7 ათასი აშშ დოლარს. ე.ი. კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში გაიზარდა.

ცხრილი 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში საწარმოთა ზომების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

წლები	სულ	მსხვილი	საშუალო	მცირე
2016	1 652 577,3	1 136 016 ,0	457 491, 2	69 070,1
2017	1 978 281,5	1 208 663,2	659 565,4	110 052,8
2018	1 306 290,0	848 198 ,2	416 758,2	41 333,6
2019	1 310 773,7	822 351,1	404 635,1	83 787,5
1 კვ	313 695,5	207 634,3	89 075,6	16 985, 6
2 კვ	236 571,3	153 294,6	92 844,6	-9 567,4
3 კვ	396 035,5	300 496,0	60 468,4	35 071,1
4 კვ	364 471,4	160 926,0	162 247,0	41 298,1
2020	-	-	-	-
1 კვ	174 695,8	69 122,5	73 091,1	32 482,3
2 კვ	241 634,7	105 429,1	97 696,5	38 509,1
3 კვ	302 620,3	208 014,3	56 521,5	38 084,5

წყარო: საქსტატი

საინტერესო სურათი იკვეთება საწარმოთა (ბიზნესის) ზომების მიხედვითაც, მსხვილ ბიზნესში (საწარმოებში) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2020 წლის პირველ სამ კვარტალში კლებულობს, 2019 წლის ამავე პერიოდთან მიმართებაში, საშუალო ბიზნესში კი შესაბამისად პირველ და

მესამე კვარტალში კლებულობს, მეორე კვარტალში იზრდება: 92 844,6 - დან (2019), 97 696,5 ათას აშშ დოლარამდე (2020), ხოლო მცირე ბიზნესში (საწარმოებში) 2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2019 წელთან მიმართებაში თითქმის ორჯერ და მეტად იზრდება პირველ და მეორე კვარტალში, მესამე კვარტალშიც ასეთი მასშტაბებით არა, მაგრამ ზრდასთან გვაქვს საქმე.

დღეს საქსტატის მონაცემები ვერ იძლევა შესაძლებლობას, განისაზღვროს ინვესტიციების როლი მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციებში. უშუალოდ ინოვაციურ პროცესებსა და ინოვაციებში პირდაპირი უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების რა წილი მოდის.

2013 წლიდან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სწავლობს საწარმოთა ინოვაციურ აქტივობას. 2018 წლამდე გამოკვლევაში ხვდება ყველა ის საწარმო, სადაც დაქირავებულთა რაოდენობა ათის ტოლი და მეტია, 2018 წლიდან კი, სადაც ფიქ- სირდება დაქირავებული მუშახელი. მე-2 ცხრილიში მოცემულია, 2016-2019 წლებში საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული საქონლის და მომსახურების ინოვაციები. როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2016-2019 წლებში საქონლის და მომსახურების ინოვაცია შესაბამისად შეადგენს: 59,1და 56,4%(2016); 54,3% და 41% (2017); 60,1და 45,8 % (2018); 58,2 და 41,7% (2019). საქონლისა და მომსახურების ინოვაციები უმეტეს შემთხვევაში საწარმოების მიერ დამოუკიდებლად იყო შემუშავებული სხვა შემთხვევებში ამ კუთხით მათ მხარდაჭერა მიიღეს სხვა საწარმოებისგან ან დაწესებულებებისაგან (იხ. ცხრილი 2).

2019 წელს, საწარმოთა 3,0%-მა შემოიტანა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი, ხოლო იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში დანერგეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება, განისაზღვრა 3,2%-ით. მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა: 2016 წელს 13.1 და 13,9%; 2017 წელს კი 13,3 და 14,0 % (იხ.ცხრილი 3).

ცხრილი 2

საწარმოების ან დაწესებულებების[40] მიერ შემუშავებული საქონლისა და მომსახურების ინოვაციები (%)

	2016		2017		2018		2019	
	საქონლის ინოვაცია	მომსახურების ინოვაცია	საქონლის ინოვაცია	მომსახურების ინოვაცია	საქონლის ინოვაცია	მომსახურების ინოვაცია	საქონლის ინოვაცია	მომსახურების ინოვაცია
უშუალოდ თქვენმა საწარმომ	59,1	56,4	54,3	41,0	60,1	45,8	58,2	41,7
თქვენმა საწარმომ სხვა საწარმოებთან ან დაწესებულებებთან ერთად	12,6	16,9	15,7	20,1	10,8	19,3	12,8	16,9%
თქვენმა საწარმომ განახორციელა სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული საქონლის/მომსახურების ადაპტირება - მოდიფიცირება	11,0	14,2	13,9	19,8	9,6	19,1	13,5	27,7
სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ	17,2	12,5	16,1	19,1	19,6	15,8	15,5	13,7
სულ	**100,0**	**100,0**	**100,0**	**100,0**	**100,0**	**100,0**	**100,0**	**100,0**

წყარო: საქსტატი. საწარმოთა ინოვაციური აქტივობა (2016-2019).

[40] დაწესებულებების ქვეშ იგულისხმება - უნივერსიტეტები, კვლევა-შემმუშავებელი დაწესებულებები, არამომგებიანი ორგანიზაციები და ა.შ

ცხრილი 3

ინოვაციები პროდუქციაში (საქონელი/მომსახურება), %

	2016	2017	2018	2019
თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი?	13,1%	13,3%	3,2%	3,0%
თქვენმა საწარმომ შემოიტანა თუ არა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება?	13,9%	14,0%	3,2%	3,2%
შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის შესაბამისად				

წყარო: საქსტატი. საწარმოთა ინოვაციური აქტივობა (2016-2019).

2019 წლის მონაცემებით განხორციელებული ინოვაციების 51,9% ახალი იყო საწარმოებისთვის, ხოლო 48,1% - სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის (იხ. ცხრ. 4). საწარმოთა ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში შედარებით მაღალი წილითაა გამოხატული ისეთ სფეროში, როგორიცაა მანქანა-დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა - 19,3%. საკმაოდ მაღალი წილი ჰქონდა აგრეთვე დიზაინს (14,6%), ინოვაციურ აქტივობასთან დაკავში- რებულ სწავლებას (13,1%) და საკუთარ კვლევებსა და დამუშავებებს (12,5%) (იხ.ცხრ. 5).

საქსტატის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2019 წლის განმავლობაში საწარმოთა 36,0%-მა შეიმუშავა საქონლის/ მომსახურების ფასდადების ახალი სისტემა, 23,9%-მა განახორ- ციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები პროდუქციის ესთეტიკურ დიზაინსა და შეფუთვაში, 22,8%-მა შეძლო ახალი მედიის შემოყვანა ან ტექნოლოგიის შემოტანა პროდუქციის პოპულა- რიზაციისთვის. [საქსტატი საწარმოთა ... (2016-2019)].

ცხრილი 4

განხორციელებული ინოვაციის დახასიათება (%)

	2016	2017	2018	2019
ახალი თქვენი ბაზრისთვის (ინოვაციური პროდუქცია	51,8%	57,9%	55,1%	48,1%

(საქონელი/ მომსახურება) შეტანილი გაქვთ ბაზარზე თქვენს კონკურენტებზე ადრე, თუმცა იგი შეიძლება უკვე წარმოდგენილი იყოს სხვა ბაზრებზეც)				
ახალი თქვენი საწარმოსთვის (თქვენმა საწარმომ შემოიტანა ინოვაციური პროდუქცია (საქონელი/მომსახურება), რომელიც თქვენს კონკურენტებს უკვე ჰქონ დათ შემოტანილი ბაზარზე)	48,2%	42,1%	44,9%	51,9%
სულ	**100,0%**	**100,0%**	**100,0%**	**100,0%**
შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მხოლოდ "დიახ"პასუხის შესაბამისად				

წყარო: საქსტატი საწარმოთა ინოვაციური აქტივობა (2016-2019).

ცხრილი 5

საწარმოს ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში, (%)

	2016	**2017**	**2018**	**2019**
საკუთარი კვლევები და დამუშავებები	13,1%	14,1%	13,6%	12,5%
გარე კვლევები და დამუშავებები	5,2%	6,2%	5,1%	6,9%
მანქანა - დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა	21,5%	22,5%	20,8%	19,3%
გარე ცოდნის შეძენა	8,6%	9,6%	9,9%	10,1%
ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებული სწავლება	13,8%	14,8%	15,1%	13,1%
ინოვაციების შეტანა ბაზარზე	11,8%	12,8%	11,3%	12,8%
დიზაინი	15,6%	16,6%	13,4%	14,6%
სხვა	10,4%	3,4%	10,7%	10,7%
სულ	**100,0%**	**100,0%**	**100,0%**	**100,0%**
შენიშვნა: პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მხოლოდ "დიახ" პასუხის შესაბამისად				

წყარო: საქსტატი საწარმოთა ინოვაციური აქტივობა (2016-2019).

საქსტატის განმარტებით, საწარმოთა ინოვაციური აქტივობის კვლევის მიზანს წარმოადგენს ბიზნესსექტორში ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შესწავლა.

ეს უკანასკნელი კი შეიძლება დაედოს საფუძვლად ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებული საჭირო ინვესტიციების დადგენას.

დასკვნა

როგორც ჩანს, ეკონომიკასა და საწარმოებში ინოვაციების დანერგვის ბაზარი, შეიძლება ითქვას, ვაკანსურია („ცარიელია“). ე.ი ქართულ საწარმოებსა და ეკონომიკაში ინოვაციების ტემპი არასახარბიელოა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, ინვესტიციები ინოვაციური ეკონომიკის და ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებში უნდა განხორციელდეს.

ევროკავშირთან ინტეგრირების თანამედროვე ეტაპზე, ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ინვესტიციების მოსაზიდად, ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ფორმირების სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად, კარგია საქართველოში ინსტიტუტების ჩამოყალიბება, თუმცა პოტენციალის მაქსიმუმამდე გასაზარდელად საჭიროა მათი შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს საინვესტიციო გარემო შეიძლება შეფასდეს, როგორც მიმზიდველი, რომელიც განვითარების ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული განვითარების დინამიკა წარმოდგენილია გლობალური გამოწვევების, პოლიტიკური გაურკვევლობის, საინვესტიციო ბაზრის არამდგრადობის ფონზე.

საინვესტიციო გარემოს შემდგომი სრულყოფა უნდა წარიმართოს ისეთი წამახალისებელი და საკანონმდებლო მექანიზმებით, რომლებიც განაპირობებს ქართველი ინვესტორების უფრო დიდ სასარგებლო აქტიურობას მცირე და საშუალო საწარმოებში (ბიზნესში) ინოვაციების შეტანის და ბიზნესსექტორში ინოვაციების გაზრდის კუთხით.

საქართველოში, სადაც დღეისათვის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია, საზოგადოებას სჭირდება ადგილობრივი (ქართული) ინვესტიციებით (კაპიტალით) გამყარებული ნებისმიერი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. არც ადგილობრივი და უმეტესად უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საშეღავათო ღონისძიებების სიაში არ უდა შედიოდეს საქართველოს „მიწა“. ე. ი. ინვესტორების მოზიდვის მიზნით მიწაზე შეღავათები არ უნდა წესდებოდეს, საინვესტიციო გარემოს სრულყოფა უნდა მოხდეს იმ კუთხით, რომ ხელი შეეწყოს იმ ადგილობრივ ინვესტორებს, რომლებიც ინვესტიციებს განახორციელებენ განათლებაზე, ინოვაციებსა და მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებაზე.

ინვესტიციების ობიექტური შეზღუდულობის პირობებში აუცილებელია საინვესტიციო პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავება, საინვესტიციო გარემოს იმ ინსტიტუტების ამოქმედება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შატბერაშვილი ო., ქოჩორაძე გ., ცაცანაშვილი მ., „საინოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკას”. აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმა, მეორე სამუშაო ჯგუფი – „ეკონომიკური ინტეგრაცია“, თბ., 2013“.

2. შილაკაძე ე., ინოვაციური მენეჯმენტის განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდისათვის. ავტორეფერატი, სტუ-ს ბიბლიოთეკა, 2017.

3. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=18066.

4. https://ka.wikipedia.org/wiki/

5. https://matsne.gov.ge/ka/document/view/21994?publication=9

6. საინვესტიციო პოლიტიკა და ინვესტიციების ხელშეწყობა http://www.economy.ge/?page=ecoleg&s=13.

7. https://report.ge/economics/2020-25-tslebshi-sakartveloshi-20-25-mlrd-sainvestitsio/ წყარო : ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია , ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, გალტ & თაგარტი.

8. სანთელაძე ნ. მაკროეკონომიკური რეგულირების სტრატეგია და სამრეწველო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში. იხ. „სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში“ (საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები). თბილისი, 13-14 ნოემბერი, 1997, გვ.54.

9. https:// www. geostat.ge/ ka/modules/categories/683/ddu.

10. რ. აბესაძე, ე. კაკულია, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, თბილისი, 2009.

11. Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д. Современный бизнес в 2 т., М., «Республика», 1995.

12. Зарубежный опыт государственной поддержки инновационных малых и средних предприятий https://kfpp.ru/analytics/material/innovation.php.

13. ქინქლაძე რ., ჩიტალაძე ქ., ინოვაციური პროცესები საქართველოში - ანალიზი და ტენდენციები http://eprints.tsu.ge/1285/1/Innovative%20processes%20in%20Georgia%20-%20analysis%20and%20trends.pdf.

14. https://www.Enterprisegeorgia.gov.ge

15. საქართველოში მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების წვდომა მწვანე ფინანსებზე https://www.oecdilibrary.org/sites/943e0535ka/1/4/2/index.html?itemId=/content/publication/943e0535ka&_csp_=1746b11101d21bc08fb9c6fa09a867aa&itemIGO=oecd&itemContentType=book

16. საქართველოს მთავრობის დადგენილება №365, 2014 წლის 30 მაისი. „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

17. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/ - აწარმოე საქართველოში.

18. წლიური ანგარიში 2015, მეწარმეობის გავნითარების სააგენტო (იგივე „ აწარმოე საქ - ში“).

19. წლიური ანგარიში 2016, მეწარმეობის გავნითარების სააგენტო (იგივე „ აწარმოე საქ - ში“).

20. წლიური ანგარიში 2017 მეწარმეობის გავნითარების სააგენტო (იგივე „ აწარმოე საქ - ში“).

21. https://agora.ge/new/24535-mikro-da-mcire-metsarmeobis-khelshetsyobis-komponentze-biznesideebis-migheba-itsyeba

22. https://www.facebook.com/GITA.gov.ge/posts/

23. 2015 წლის 3 თებერვალი, საქართველოს მთავრობის დადგენილება №32 კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877210?publication=0.

24. http://www.gov.ge/files/68_66651_781779_2018-2020_programa.pdf.

25. https://www.enpard.ge.

26. https://www.ambebi.ge/article/246184-sakartvelos-bankma-mcire-da-sashualo-biznesis-mxard/ 15:46 / 07-07-2020.

27. https://imedinews.ge/ge/ekonomika/132271/sme-policy-index--2020is-mikhedvit-saqartvelos-mtsire-da-sashualo-metsarmeobis-politika-sauketesod-dasakheldaimedi / 19მ 2020.

28. https://report.ge/economics/evrokavshiri-biznesistvis-itsqeba.

29. რა არის აუთსორსინგი და რატომ არის კარგი ბიზნესისთვის https://pragma.ge/

30. რა უშლის ხელს საქართველოში ინვესტიციების მოზიდვას? – მიმოხილვა https://bm.ge/ka/article/ra-ushlis-xels-saqartveloshi-investiciebis-mozidvas--mimoxilva/60960.

31. აბულაძე რ., ქვეყანას სჭირდება ადგილობრივი ინვესტირების ხელშემწყობი გარემო, ეკონომიკა, მთავარი, ოქტომბერი 2, 2017.

32. https://www.enpard.ge.

33. საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“ თბ., 2016 .

34. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წწ.

35. საქსტატი, საწარმოთა ინოვაციური აქტივობა (2016-2019).

36. საქსტატი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში საწარმოთა ზომების მიხედვით (2016-2020).

37. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“.

38. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”.

39. საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“.

40. საქართველოს კანონი “ თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ”.

Eter Kakulia

EXISTING ENVIRONMENT FOR ATTRACTING INTERNAL INVESTMENTS AND WAYS TO IMPROVE IT TO INTRODUCE INNOVATION IN SMALL AND MEDIUM BUSINESSES IN GEORGIA

Summary

The essence and types of investment are studied in the paper. Investment environment regulatory factors are discussed; The positive and negative factors affecting this environment are separated. The paper discusses the investment environment in Georgia in order to introduce innovations in small and medium businesses and ensure their innovation in order to attract investments;

The paper also discusses the mechanism of attracting domestic (local and foreign) investments and the advantages of Georgia in the mechanism of investor interest; On the mechanism of facilitating innovation in small and medium business, know-how, financial access for start-up entrepreneurs. Measures taken by local and international organizations to improve financial access to Georgia.

The paper refers to the Georgian Agency for Innovation and Technology (GITA), LEPL "Produce in Georgia", "Startup Georgia", "Horizon 2020 (Research and Innovation Framework Program 2014-2020", EU4BUSINESS in Georgia, outsourcing services and others The role of international and local public or private institutions in introducing innovation in small and medium business and in forming a mechanism for attracting investment resources of innovative small and medium business.

Keywords: *investment, investment environment, innovation, local.*

ნატა დავლაშერიძე

ციფრული ეკონომიკის არსებული მდგომარეობა და საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის დაახლოების პერსპექტივები ევროკავშირის კანონმდებლობასთან

ანოტაცია. *ნაშრომში შესწავლილია ციფრული ეკონომიკის განვითარება საქართველოში და მისი მარეგულირებელი ნორმატულ-სამართლებრივი ბაზა, ასევე მოცემულია შედარებითი ანალიზი ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ევროკავშირში IT ნორმატიული რეგულირების სამი მთავარი საკითხი, რომლებზეც საქართველომ თავისი პოზიცია უნდა ჩამოაყალიბოს ბოლო წლებში, ეს არის: კონფიდენციალურობის დაცვა და მონაცემთა უსაფრთხოება (ამ სამუშაოს შედეგად, 2020 წლის ივნისში მიღებულ იქნა ცვლილებები "ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში);*

*მთავრობის გრძელვადიანი სტრატეგია; ციფრული ვალუტა. წარმოდგენილია საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ძირითადი პროგრამები: მიმდინარე **EaP Connect** პროგრამა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მთელი რეგიონის კვლევით და საგანმანათლებლო საზოგადოებებს და მათ ევროპელ პარტნიორებს მაღალი სიმძლავრის ფართოზოლიანი ინტერნეტის ქსელის მეშვეობით.*

*ახალი **EU4Digital** პროგრამა ორიენტირებულია როუმინგის ჰარმონიზაციაზე, მაღალსიჩქარიანი ფართოზოლიანი ინტერნეტის ხელშეწყობაზე ეკონომიკის გასაძლიერებლად და ელექტრონული მომსახურების გასაფართოებლად, ასევე მეტი სამუშაო ადგილის შექმნაზე ციფრულ ინდუსტრიაში.*

*ევროკავშირის მომავალი პროგრამა **CYBER** (ორიენტირებულია **General Data Protection Regulation** პაკეტზე) კიბერუსაფრთხოების გასაძლიერებლად პარტნიორ ქვეყნებში და ციფრული სერვისების გამოყენების მიმართ ნდობის ასამაღლებლად მოქალაქეთა და ბიზნესის სასარგებლოდ. აღნიშნულია, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა ბიზნესის ციფრული სერვისების განვითარებაში და მდგრადი კონკუ-*

რენტუნარიანობის გლობალური ინდექსით 2020 წელს 180 ქვეყანას შორის 37-ე ადგილი დაიკავა, გაუსწრო ისეთ წამყვან ეკონომიკებს, როგორიცაა ჩინეთი, სინგაპური, ავსტრალია, ისრაელი, საბერძნეთი, მალტა. ჩილე, კვიპროსი და ა.შ. ამ მაჩვენებლის მიხედვით ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა რეიტინგის შვიდწლიანი გაუმჯობესებით.

* * *

ციფრული ეკონომიკის და მისი მარეგულირებელი ნორმატულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება ევროკავშირში ქვეყნების პოლიტიკური ელიტის მიერ შეიძლება შეფასდეს სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში ციფრული ტექნოლოგიების კონტროლირებადი ინტეგრაციის აუცილებლობის აღიარებად.

ევროკავშირის ერთიანი ბაზრის შესაბამისობა ციფრულ ერასთან მოითხოვს უსარგებლო სარეგულაციო ბარიერების მოშლას და ცალკეული ეროვნული ბაზრებიდან ევროკავშირის მასშტაბის ერთიან წესებზე გადასვლას.

ამ ნაბიჯებით შესაძლებელია ევროკავშირში ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნის, კონკურენციის, ინვესტირების და ინოვაციების მხარდაჭერა წელიწადში 415 მილიარდი ევროთი.

ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის სტრატეგიას სამი დასაყრდენი აქვს:

1. მომხმარებლებისა და ბიზნესისთვის ციფრული საქონლის და მომსახურების უკეთესი ხელმისაწვდომობა ევროპის მასშტაბით;

2. სათანადო გარემოს და ერთნაირი პირობების უზრუნველყოფა ციფრული ქსელებისა და ინოვაციური სერვისების სწრაფი განვითარების მიზნით;

3. ციფრული ეკონომიკის პოტენციალის მაქსიმუმამდე გაზრდა.

ამ მიზნით შემუშავებულია ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის სპეციალური საბაზისო პროგრამები:

მიმდინარე **EaP Connect** პროგრამა (13 მილიონი ევრო), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მთელი რეგიონის კვლევით და საგანმანათლებლო საზოგადოებებს და მათ ევროპელ პარტნიორებს მაღალი სიმძლავრის ფართოზოლიანი ინტერნეტის ქსელის მეშვეობით.

ახალი **EU4Digital** პროგრამა (12 მილიონი ევრო) ორიენტირებული იქნება როუმინგის ჰარმონიზაციაზე, მაღალსიჩქარიანი ფართოზოლიანი ინტერნეტის ხელშეწყობაზე ეკონომიკის გასაძლიერებლად და ელექტრონული მომსახურების გასაფართოებლად, ასევე მეტი სამუშაო ადგილის შექმნაზე ციფრულ ინდუსტრიაში.

ევროკავშირის მომავალი პროგრამა **CYBER** (7 მილიონი ევრო) კიბერუსაფრთხოების გასაძლიერებლად პარტნიორ ქვეყნებში და ციფრული სერვისების გამოყენების მიმართ ნდობის ასამაღლებლად მოქალაქეთა და ბიზნესის სასარგებლოდ.

სამწლიანი EU4Digital[41] პროექტი ევროკავშირმა 2019 წელს დაიწყო, ანუ ფაქტობრივად განაგრძო EaP Connect პროგრამა (13 მილიონი ევრო) და 2017 წლის თვინინგ-პროექტი ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დახმარება (GNCC)“, რომლის მიზანი იყო საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ბაზის და ოპერატიული შესაძლებლობების შემუშავება ევროკავშირის მარეგულირებელი ბაზის შესაბამისად, აგრეთვე კონკურენტული გარემოს შექმნა ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის ყველა მონაწილისთვის საქართველოში.[42]

2019 წელს თბილისში ჩატარდა ,,თვინინგ“-პროექტის დასკვნითი კონფერენცია. განხორციელდა ევროკავშირის 190-ზე მეტი საექსპერტო მისია, რომელთა ხანგრძლივობა 800 სამუშაო დღეს აღემატებოდა და ჩატარდა 6 სასწავლო ტური პრაქტიკული გამოცდილების გაცვლის მიზნით. ყველა ეს ღონისძიება განხორციელდა საქართველოში ტელეკომუნიკაციების სფეროში

[41] https://on.ge/story/51260-eu4digital

[42] https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/tenders/twinning_en; https://eufordigital.eu/discover-eu/supporting-the-georgian-national-communications-commission-gncc-in-development-of-its-electronic-communications-regulatory-framework-and-operational-capacities-in-line-with-eu-regulatory-framework/

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის მხარდაჭერის მიზნით, ევროკავშირის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შესაბამისად.

თვინინგ-პროექტმა ხელი შეუწყო ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის შესაბამისად ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს მეორად კანონმდებლობაში ცვლილებების პაკეტის შემუშავებას, მათ შორის:

- მომსახურების გაწევის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესები;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მონაწილეობის ზოგადი ნებართვის მიღება;
- ზოგადი ნებართვით რადიოსიხშირეების გამოყენების წესები;
- საჯარო კონსულტაციის წესები და წინადადებები უნივერსალური მომსახურების მარეგულირებელი ბაზის შესახებ.

ეს არის დამატებითი ნაბიჯი საქართველოსა და ბენეფიციარი ორგანიზაცია GNCC-ის მხრიდან ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებისკენ. შემოთავაზებული გაუმჯობესებები შემუშავებულია ევროკავშირის კომუნიკაციების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის რეგულირების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, აგრეთვე საქართველოში ეროვნული პირობების გათვალისწინებით, რამაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი მიახლოება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან.

ამ სამუშაოს შედეგების საფუძველზე, აგრეთვე ევროკავშირის CYBER (7 მილიონი ევრო) პროექტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2020 წლის ივნისში საქართველოს კანონში ,,ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ“ მიღებული იქნა ცვლილებები.[43]

კანონით დადგენილია, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს (კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის კრიტიკულობის კლასიფიცირების გათ-

[43] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19.06.2012, სარეგისტრაციო კოდი: 140000000.05.001.016807

ვალისწინებით). ამ მოთხოვნებს, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) და ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაციის (ISACA) მიერ დადგენილი სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრავს ციფრული მმართველობის სააგენტო.

საქართველო ასევე მუშაობს ეროვნული ფართოზოლიანი სტრატეგიის განვითარებასა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, ელექტრონული კომერციის კანონპროექტზე.

პროგრამის ამოცანაა ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის უპირატესობების გავრცელება საქართველოსა და სხვა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში და ევროკავშირის დახმარების გამოყენება ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების პოტენციალის განვითარებაზე ეკონომიკური ზრდის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების და ბიზნესის დახმარების მიზნით.

კერძოდ, პროგრამის EU4Digital საშუალებით ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს როუმინგის ტარიფების შემცირებაში, მაღალსიჩქარიანი ფართოზოლიანი სტრატეგიების დანერგვაში ეკონომიკის და ელექტრონული სერვისების განვითარებისთვის; ციფრული ჩარჩოების ჰარმონიზაციაში საზოგადოების მასშტაბით, დაწყებული ლოგისტიკიდან, დამთავრებული ჯანმრთელობით და კიბერუსაფრთხოებით, და ციფრული უნარების ათვისებაში.

ევროკავშირი იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობისთვის გაწეული აღნიშნული მხარდაჭერის შედეგი იქნება არა მარტო უფრო ძლიერი ციფრული ეკონომიკა, არამედ ასევე იმ დარგების სწრაფი განვითარება, რომლებშიც საქართველოს აქვს ზრდის პოტენციალი, მაგ,. ბიზნესი, მეწარმეობა, ტურიზმი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ინოვაციები. ევროკავშირის მხარდაჭერა ასევე უკავშირდება და ავსებს იმ მიმდინარე სამუშაოს, რომელსაც მთავრობა აწარმოებს ფართოზოლიანი სტრატეგიების განსახორციელებლად.

ინიციატივა EU4Digital საქართველოში წარმოადგენს უფრო მასშტაბური ციფრული გეგმის ნაწილს, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხარდაჭერა **მისი ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის** და საოპერაციო პოტენციალის განვითარებაში ევროკავშირის მარეგულირებელი საკანონმდებლობის შესაბამისად („თვინინგი“).
- EU4Security, ანგარიშვალდებულება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში (პროექტი SAFE).
- ნდობისა და უსაფრთხოების პროექტი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ფარგლებში („თვინინგი“- twinning).
- ელექტრონული სერვისები სამოქალაქო მომსახურების ბიუროსთვის („თვინინგი“).
- ელექტრონული მმართველობის მხარდაჭერა.

ევროკავშირის 2019 წლის ასოცირების პროგრამის განხორციელების ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების სფეროში ეკონომიკის და ბიზნესის შესაძლებლობების მხარდაჭერის, ციფრული კომპეტენციების გაუმჯობესების და ელექტრონული ვაჭრობის განვითარების კუთხით. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მხარდაჭერის ვალდებულება და ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის განვითარება ეროვნულ პრიორიტეტად არის აღიარებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ და მთავრობის 2018-2020 წლების ეკონომიკურ პროგრამაში. ამჟამად ქვეყანა მუშაობს ეროვნული ფართოზოლიანი სტრატეგიის განვითარებასა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შექმნაზე. საქართველოს კანონპროექტი ელექტრონული კომერციის შესახებ ევროკავშირის ელექტრონული კომერციის დირექტივის შესაბამისად ჯერ კიდევ კონსულტაციების გავლის პროცესშია. საქართველოს კანონმდებლობა (კანონი ელექტრონულ დოკუმენტებზე და ელექტრონული ნდობის სამსახურებზე) შესაბამისობაშია მოყვანილი eIDAS რეგულაციებთან 2018 წლის ივლისში.

EU4Digital გაითვალისწინებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საკანონმდებლო ხარვეზების ანალიზს პრიორიტეტულ სფეროებში.

პროგრამამ - EU4Digital - დაიწყო ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის საკანონმდებლო ხარვეზების ანალიზი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოლიტიკის პრიორიტეტულ სფეროებში, რომლებიც შეირჩა აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების მიერ. ხარვეზების ანალიზის დასრულების შემდეგ დაიწყება რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიურ ინოვაციებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

აღნიშნული მოიცავს შემდეგს[44]:

1. ახალი ორგანიზაციული ფორმები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინოვაციების მხარდასაჭერად

- ევროკავშირმა ჩამოაყალიბა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობები (PPP) ისეთი სფეროებისთვის, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება, ფოტოელექტრონიკა, მაღალმწაროებლური გამოთვლები, რობოტექნიკა, მომავლის ინტერნეტი (5G), ECSEL (ელექტრონული კომპონენტები და ჩართული პროგრამული უზრუნველყოფა) და მომავლის ქარხნები.
- კლასტერები, ფაბლაბები, აქსელერატორები, კომპეტენციის ცენტრები, ციფრული ინოვაციის ჰაბები. ევროკავშირში არსებობს ინოვაციების მხარდამჭერი ორგანიზაციების ორგანიზაციული მოდელების მთელი სპექტრი.

ეს მოდელები არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული რეგულირებად დონეზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და ხშირად მათ შორის არ არის ძლიერი და სტაბილური კავშირები. პროგრამის EU4Digital მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიზანია ამ ხარვეზების გამოსწორება.

2. **ინტელექტუალური საკუთრების უფლების მართვა ციფრული ინოვაციებისთვის**

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (IPR) დაცულია რეგულაციებით, რომლებიც უზრუნველყოფს ნოვატორებს მონოპოლისტური უფლებებით დროის კონკრეტული პერიოდისთვის კონკრეტულ ტერიტორიაზე.

[44] https://eufordigital.eu/geo/supporting-digital-innovation-how-european-ict-ecosystems-can-spark-a-new-impetus-in-the-eastern-neighbourhood/

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მართვა ნიშნავს არა იმას, თუ როგორ მიიღო პატენტი, არამედ თუ როგორ უნდა მოხდეს ინტელექტუალური საკუთრების აქტივების გამოყენება ბიზნესსტრატეგიაში, რაც რთულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

ამჟამად აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანა არის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) წევრი. ამდენად, საკანონმდებლო ბაზის პატენტების მიღების და საპატენტო უფლებების უზრუნველყოფის, ასევე საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების პროცედურებისთვის ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობას შორის, უკვე ჰარმონიზებულია.

3. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელმისაწვდომი დაფინანსება ციფრული ინოვაციებისთვის

ევროკავშირი მხარს უჭერს მცირე და საშუალო საწარმოებს დაფინანსების მიღებაში მათი სასიცოცხლო ციკლის ყველა ფაზაში. აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანამ მოითხოვა, რომ მისთვის ხელმისაწვდომი იყოს ევროკავშირის არსებული დაფინანსების ინსტრუმენტები და პროგრამები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

ინიციატივის EU4Digital რეკომენდაციები დაეხმარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს ფინანსური ინსტრუმენტების და პროგრამების შექმნაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის, ასევე იმაში, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ევროკავშირის დაფინანსება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის.

4. **ეკოსისტემები სტარტაპებისა და საწარმოო მასშტაბების ათვისებისთვის** (ნოვატორების და ეკოსისტემის მონაწილეთა ქსელური კავშირი)

პროგრამის EU4Digital მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ამოცანაა სტარტაპის ეკოსისტემის გაძლიერება ინოვაციური კლასტერების, ქსელების და საზოგადოებების განვითარების მხარდაჭერით ეროვნული ინოვაციის პოლიტიკის ან ციფრული პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში.

5. მრეწველობის ციფრული განვითარება (მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაცია ტრადიციულ სექტორებში)

ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულია ციფრული ინოვაციის ჰაბები (DIH), როგორც ძირითადი საშუალება არსებული განსხვავებების აღმოსაფხვრელად მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში სხვადასხვა სექტორსა და რეგიონში.

პროგრამა EU4Digital გამოიყენებს ევროკავშირის გამოცდილებას იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს თანამშრომლობის მთავრობის, ბიზნესის, აკადემიურ წრეების და საზოგადოებას შორის მრეწველობის ციფრული ტრანსფორმაციის სფეროში.

6. სამართლებრივ-ნორმატული რეგულირება

კვლევის და ინოვაციის წასახალისებლად ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება (TFEU) მოიცავს ორ მუხლს, რომლებიც გამოყენებული იქნა საკანონმდებლო საფუძვლად სახელმწიფო-კერძო და სახელმწიფო-საზოგადოებრივი პარტნიორობების ჩამოსაყალიბებლად კვლევის და ინოვაციის სფეროში.

• ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 187-ე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას, რომლებშიც ჩვეულებრივ გაერთიანებულია ევროკავშირი, დარგობრივი ასოციაციები და სხვა პარტნიორები. ამ ურთიერთობებს მართავენ იურიდიული პირები, პასუხისმგებლები არიან კვლევის მიზნების განხორციელებაზე მათ მიერ მოცულ სფეროში.

• ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 185-ე მუხლი მოიცავს სახელმწიფო-საზოგადოებრივ პარტნიორობებს ევროკავშირის მონაწილეობით კვლევისა და განვითარების პროგრამებში, რომლებიც ხორციელდება ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში.

ყველა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა აწესებს ხარისხს, რადგან ისინი ფუნქციონირებენ ევროკავშირის ხელშეკრულების ფარგლებში, როგორც სახელმწიფო კონტრაქტები ან კონცესიები. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობების და სათემო კანონის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების და კონცესიების შესახებ

არსებობს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობების ორი მთავარი ტიპი:

• ინსტიტუციონალიზებული სახელმწიფო-კერძო პარტნიორობები, რომლებიც იმართება სახელმწიფო და კერძო პარტნიორის მიერ სახელმწიფო სერვისების განსახორციელებლად.

• კონცესიების მინიჭება – საკონტრაქტო სახელმწიფო-კერძო პარტნიორობები – საკონტრაქტო გარიგების საფუძველზე ევროკომისიას და დარგობრივ პარტნიორებს შორის.

მთლიანობაში, საერთო საკანონმდებლო ბაზა საშუალებას მისცემს საქართველოს ისარგებლოს ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრით და გაცვალოს და შეიმუშაოს ახალი ინოვაციური იდეები პარტნიორებთან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან.

ამ პრინციპების შესაბამისად, საქართველომ აუცილებლად უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია IT ნორმატიული რეგულირების მთავარ საკითხებზე, რომელთა ძირითადი მიმართულებებია:

• კონფიდენციალურობის დაცვა და მონაცემთა უსაფრთხოება;

• გრძელვადიანი სამთავრობო სტრატეგია;

• ციფრული ვალუტა.

ეროვნული სუვერენიტეტი შეუძლებელია მონაცემთა სუვერენიტეტის გარეშე. მსოფლიოს წამყვანმა მოთამაშეებმა ნაბიჯები გადადგმეს ამ მიმართულებით. ევროკავშირმა მიიღო კანონთა პაკეტი **"პერსონალური მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია" (General Data Protection Regulation, GDPR[45])** და პრაქტიკულად შეაჩერა ევროპული ციფრული ეკონომიკის კომპანიების იმედები გლობალურ ექსპანსიასა და გლობალურ ზრდაზე.

პრობლემა ისაა, რომ აქ მნიშვნელოვანია უსაფრთხო გავლა ორ უკიდურესობას შორის მუდმივად ცვალებად მარეგულირებელ გარემოში, ეს სფერო რომ არ დარჩეს დაურეგულირებელი, მეორე მხრივ, შეიქმნას შესაძლებლობები, შენარჩუნდეს განვითარების დინამიკა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2018 წლის მაისში

[45] https://www.echr.coe.int/Documents/Handbook_data_protection_KAT.pdf

ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში GDPR დირექტივის მიღებამ რეალურად შეაჩერა ხელოვნური ინტელექტის განვითარება. დღეს ყველა კომპანია ცდილობს თავისი კვლევითი ცენტრების ევროპიდან გატანას, რადგან ჯარიმა კომპანიის ბრუნვის 10% -ს შეადგენს და არავის სურს თავის თავზე გამოსცადოს ამ რეგულაციის ძალა, ამიტომ უფრო ადვილია ცენტრების შექმნა ევროკავშირის გარეთ.

ევროკავშირი ცდილობს, მსოფლიო ლიდერი გახდეს უსაფრთხო ციფრული ეკონომიკის სფეროში, უზრუნველყოფს რა მთავრობების, ბიზნესის და კერძო პირებისათვის საიმედო ICT ქსელის შექმნას. მისი მიზანია უზრუნველყოს ევროპული ინფრასტრუქტურის, პროდუქტების და მომსახურების შესაბამისობა (მაგ. NIS, eIDAS, GDPR, ელექტრონული კონფიდენციალურობის რეგულირების წინადადება[46]) შესაბამის დირექტივებთან, წესებსა და სტანდარტებთან, რაც ხელს შეუწყობს ევროპელი მომხმარებლებისა და მომწოდებლების ნდობას და შექმნის საიმედო და კონკურენტულ ციფრულ ერთიან ბაზარს.

ამის მაგალითს წარმოადგენს 2013 წელს Facebook–თან დავა ირლანდიაში, რომელიც არის ევროკავშირში მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ოფიციალური მთავარი მცველი. ირლანდიის მონაცემთა დაცვის კომისიამ გამოძიება დაიწყო თითქმის ერთდროულად ამერიკულ FTC–თან: Facebook–მა აღიარა, რომ ინტერნეტ ჰაკერების ჯგუფმა მოახერხა სოციალური ქსელის 50 მილიონი მომხმარებლის პირადი მონაცემების კონტროლი პროგრამის კოდის რამდენიმე სერიოზული ხარვეზის გამო. ირლანდიის მონაცემთა დაცვის კომისიის მიერ კონტროლირებული პანევროპული საქმის გარდა, რიგმა ეროვნულმა ზედამხედველმა ორგანოებმა აღძრა საქმეები Facebook–ის წინააღმდეგ (კერძოდ, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში).

საკუთარი გრძელვადიანი სამთავრობო ციფრული სტრატეგიის განხორციელებისას საქართველომ მნიშვნელოვან

[46] Horizon 2020/Work Programme 2018-2020/5.i. Information and Communication Technologies https://ec.europa.eu/research/participants/data/ref/h2020/wp/2018-2020/main/h2020-wp1820-intro_en.pdf

პროგრესს მიაღწია ბიზნესის განვითარებისათვის მომსახურების შემუშავებაში. თუმცა ეს შემოიფარგლება შეზღუდული ფართოზოლიანი მობილური დაფარვითა და ინტერნეტით, განსაკუთრებით სოფლად.

საქართველომ 2020 წლის გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ქულათა ისტორიული მაქსიმუმი აიღო - მსოფლიოში 37-ე ადგილზეა. ამ მაჩვენებლით ქვეყანა რეიტინგის 7 წლიანი გაუმჯობესების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის 2020 წლის ინდექსი (GSC index 2020) ტრანსეროვნულმა ორგანიზაციამ SolAbility[47] გამოაქვეყნა. ანგარიში მსოფლიოს 180 ეკონომიკის მდგრად კონკურენტუნარიანობას აფასებს.

GSC index 2020-ის რეიტინგში საქართველო 37-ე ადგილზე გავიდა, შეფასების ქულა წინა წელთან შედარებით გაიუმჯობესა და 51.2 ქულით საუკეთესო ისტორიული შედეგი დააფიქსირა.

საქართველო რეიტინგში უსწრებს ისეთ მოწინავე ეკონომიკებს, როგორიცაა ჩინეთი, სინგაპური, ავსტრალია, ისრაელი, საბერძნეთი, მალტა, ჩილე, კვიპროსი და ა.შ. რეიტინგში საქართველო ყველა მეზობელ ქვეყანას უსწრებს, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი მხოლოდ ბალტიის ქვეყნებს ჩამორჩება.

2012 წელთან შედარებით საქართველო სარეიტინგო პოზიციის გაუმჯობესების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ცნობისათვის GSC index 2013-ის მიხედვით, რომელიც 2013 წლამდე პერიოდს ასახავს, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ჩამორჩენილ, 95-ე ადგილზე იყო პაპუა ახალ გვინეასა (94-ე) და ნეპალს (96-ე) შორის, დღეისთვის კი სარეიტინგო პოზიცია 58 ადგილით აქვს გაუმჯობესებული.

მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი აერთიანებს 5 აგრეგატში გაერთიანებულ 127 ინდიკატორს და ეფუძნება გაეროს, მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, OECD-ის და მსოფლიოს სხვადასხვა კვლევითი ცენტრების პროფილურ გამოკვლევებს (World Bank Indicator database, various UN agencies (UNDP, UNEP,

[47]http://solability.com/solability/sustainability-publications/the-global-sustainable-competitiveness-index-2

UNICEF, FAO, WHO, WMO, www.data.un.org), the International Monetary Fund (IMF), and other nongovernmental organizations (including Transparency International, Reporters without Borders, The New Economics Foundation, The Institute for Economics and Peace, The Fund For Peace, the Joint Global Change Research Institute).

შეფასების ხუთი აგრეგატიდან ყველაზე მაღალი შედეგი საქართველომ მთავრობის ეფექტიანობის მიმართულებით აჩვენა. კერძოდ, მთავრობის ეფექტიანობის ინდექსის მიხედვით საქართველომ ახალი ისტორული მაქსიმუმი 59.3 ქულა მოიპოვა, მსოფლიოს 30 საუკეთესო ქვეყანას შორის 29-ე პოზიციაზე დასახელდა და გაუსწრო ისეთ მოწინავე ქვეყნებს, როგორიცაა ესპანეთი, იტალია, სინგაპური საფრანგეთი, საბერძნეთი, სამხრეთ კორეა, ნორვეგია, უნგრეთი, კვიპროსი, იაპონია, შვედეთი, აშშ, კანადა, ავსტრალია და ა.შ.

მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი აერთიანებს 5 აგრეგატში გაერთიანებულ 127 ინდიკატორს და ეფუძნება გაეროს, მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, OECD-ის და მსოფლიოს სხვადასხვა კვლევითი ცენტრების პროფილურ გამოკვლევებს.

127 ინდიკატორი დაჯგუფებულია ხუთ ქვეინდექსში, რომელშიც საქართველომ დააგროვა:

ბუნებრივი კაპიტალი - 52.6;

რესურსების ეფექტურობა და ინტენსივობა - 49.6;

ინტელექტუალური კაპიტალი - 47.3;

მთავრობის ეფექტურობა - 59.3;

სოციალური ერთობა - 35.7.

საქართველოში გაუმჯობესდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) დანერგვა, რაც მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის 2019 წლის გლობალური კონკურენტუნლობის ინდექსის (რომლის მიხედვითაც საქართველო 141 ქვეყნიდან 55-ე ადგილს იკავებს) ხელშემწყობი გარემო კომპონენტის მესამე ელემენტად დასახელდა. თუმცა საქართველომ მცირე წინსვლა განიცადა ფირმების ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით და ინოვაციური შესაძლებლობების მხრივ 91-ე, ხოლო სამეწარმეო კულტურის მხრივ 93-ე ადგილი დაიკავა. ანგარიშში დასახელებული იყო წინსვლის ნელი ტემპი უნივერსიტეტებსა და კერძო სექტორს შორის

თანამშრომლობის თვალსაზრისით კვლევისა და მუშახელის ციფრული უნარების განვითარების მხრივ, სადაც კვლევისა და განვითარების დანახარჯები მშპ-ის 0,3%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს - 1,8%-ს.[48]

ევროკომისიის და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით შემუშავებული ფართოზოლიანი ქსელების განვითარების სტრატეგიის პროექტის დამტკიცების შემდეგ დაიწყება მუშაობა მისი განხორციელების პროცედურებზე. მათ შორის, სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროექტზე, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტქსელების მშენებლობის გამარტივების, ინვესტიციების მოზიდვის, კონკურენციის ზრდის, მოსახლეობაში ინტერნეტის და ტექნოლოგიების გამოყენების უნარების ამაღლების და სხვა ღონისძიებებზე.[49]

სუვერენულ ქვეყნებს შორის კონკურენციის კიდევ ერთი "ახალი ბრძოლის ველი" გახდება ციფრული ვალუტის გამოშვებისა და კონტროლის უფლება.[50]

ევროპა, თუ ეს საჭირო იქნება, მზად უნდა იყოს ციფრული ევროს გამოსაშვებად, აღნიშნულია ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) ანგარიშში ევროზონის კრიპტოვალუტის შესახებ, რომელიც 2 ოქტომბერს გამოქვეყნდა[51]. ახალი აქტივი შეიძლება სასარგებლო იყოს იმ პირობებში, როდესაც ხალხს არ გააჩნია ფულადი სახსრები ან საგანგებო სიტუაციებში, მაგალითად კორონავირუსის პანდემიის დროს. ECB-მა ხაზი გაუსვა, რომ ციფრული ევროს საკითხზე კონკრეტული გადაწყვეტილებები ჯერ მიღებული არ არის. ეს არ გახდება ფულის ალტერნატივა ან შემცვლელი, არამედ შეავსებს მას. ცენტრალური ბანკის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა,

[48]https://www.adb.org/sites/default/files/related/175076/GEO%20Chapter.0326.2224%20GEO-UPDATED.pdf

[49] მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს საქართველოს ციფრული ეკონომიკის და საინფორმაციო საზოგადოების განვითარება წარმოადგენს. https://commersant.ge/ge/post/mtavrobis-ert-ert-prioritets-saqartvelos-cifruli-ekonomikis-da-sainformacio-sazogadoebis-ganvitareba-warmoadgens

[50] იხილეთ, მაგალითად, სტატია China Finance- ში (ჩინეთის სახალხო ბანკის ჟურნალი) https://asiatimes.com/2020/09/chinas-digital-currency-must-be-first-in-world/

[51] https://www.ecb.europa.eu/euro/html/digitaleuro.en.html

რომ კრიპტოვალუტა მიზნად ისახავს მოქალაქეების უფასო წვდომას მარტივ, უნივერსალურ, უსაფრთხო და საიმედო გადახდის საშუალებებთან. ციფრული ევრო უნდა გახდეს ევროპის მზაობის სიმბოლო ცვლილებების მისაღებად და ხელი შეუწყოს ევროპული ეკონომიკის ციფრულ განვითარებას.

ევროკომისიამ წარადგინა კრიპტოვალუტებისა და სტაბილკოინების (stablekoins) რეგულირების წესები. ასევე, ევროკომისია გეგმავს მარეგულირებელი ქვიშის ყუთის (sandbox-computer security) ამოქმედებას, სადაც ფირმებს შეეძლებათ შეამოწმონ სმარტ-კონტრაქტები და ბლოკჩეინზე დაფუძნებული პროდუქტები. გაუმჯობესებულ რეგულაციებთან ერთად, ეს ხელს შეუწყობს უკეთესი ფინანსური პროდუქტების განვითარებას და დაფინანსების ახალი არხების გახსნას. კომისია მიზნად ისახავს ევროკავშირის ფინანსურ სექტორში ინოვაციების სტიმულირებას, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური ციფრული სტარტაპების-თვის, ასევე ყველა პოტენციური რისკის შემსუბუქებას. ამავე დროს, ციფრული ევრო საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, შეაგროვონ დანაზოგი უშუალოდ ECB-ში. ამ მომენტში ეს შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ საკრედიტო ინსტიტუტებს, როგორიცაა მთავრობები, ცენტრალური და კომერციული ბანკები. სწორედ ეს იწვევს ზოგიერთი ექსპერტის შეშფოთებას, რომ ყოველივე ამის შემდეგ, მორიგი კრიზისის შემთხვევაში, მოსახლეობას შეეძლება კომერციული ბანკებიდან აიღოს დაგროვილი თანხები, გადარიცხოს ECB-ში და ამით გააუარესოს მდგომარეობა.

შემუშაველული იქნა ოთხი სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ციფრული ევროს გამოშვება[52]:

- გაზრდილი მოთხოვნა ელექტრონულ გადასახადებზე;
- ფულადი სახსრების მოთხოვნის მნიშვნელოვანი ვარდნა;
- კერძო ციფრული ვალუტების ჩაშვება;
- ეროვნული ვალუტის ციფრული ფორმით სხვა ცენტრალური ბანკების მიერ მასობრივი გამოშვება.

[52] Report on a digital euro. October 2020.
https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/Report_on_a_digital_euro~4d7268b458.en.pdf

ECB შეიტანა განცხადება ციფრული სავაჭრო ნიშნის რეგისტრაციისთვის. ციფრული ევროს გამოშვების ან ამ პროექტის უარის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოდ მიიღება 2021 წლის შუა პერიოდში.

ზოგადად, ახლა იდეალური პირობებია ეროვნული კრიპტოვალუტების განვითარებისთვის - დარწმუნებული არიან Deutsche Bank-ის ფინანსურ კონგლომერატში. მისი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ, COVID-19-ის გავრცელებამ და კერძო სტაბილკოინების გაჩენის საფრთხემ, როგორიცაა Facebook-ის კრიპტოვალუტა Libra, შეიძლება დაანგრიოს აშშ დოლარის ჰეგემონია. ფინანსური სისტემა ექსპონენციალური ცვლილებების პირას აღმოჩნდა.

ევროკავშირში ციფრული ეკონომიკისა და კანონმდებლობის განვითარება მიმდინარეობს ჩინეთში მნიშვნელოვანი მოვლენების ფონზე, რომლებსაც პირდაპირი გავლენა აქვს მთელ მსოფლიოზე. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება იმ ფაქტს, რომ ჩინეთმა უკვე დაიწყო ციფრულ იუანზე დაფუძნებული გადახდის სისტემის (DCEP- Digital Currency Electronic Payment) ფართო მასშტაბური ტესტირების ჩატარება, ეს ჩინეთის სახალხო ბანკის ციფრული ვალუტაა, რაც საშუალებას აძლევს იუანს, საერთაშორისო სარეზერვო ვალუტა გახდეს მომავალში. [53]

დასკვნა

ზოგადად, უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელ რთულ პირობებში ძალიან დიდია საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მიღების რისკები და მათი გავლენა ციფრული ეკონომიკის განვითარებაზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ პროცესში სწორი ხედვის, სწორი და ეფექტური სტრატეგიის განსაზღვრას. ამ ეტაპზე საქართველო კვლავ ჩამორჩება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს ციფრული ეკონომიკის შესახებ კანონმდებლობის, ციფრული საზოგადოების ფორმირების დონისა და სათანადო ეკოსისტემის არსებობის მხრივ. საქართველომ

[53] https://news.cgtn.com/news/2020-10-17/Explainer-How-China-s-digital-currency-different-from-e-payments--UFrMHEDYsw/index.html

აუცილებლად უნდა შეისწავლოს ამ სფეროში ლიდერების გამოცდილება. აქ ყველაზე ოპტიმალურია ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის საფუძველზე დამყარებული პოლიტიკა. საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის, შესაბამისი არაპროფილური ან პორტფელური სამინისტროების შექმნა და ციფრული სფეროს კანონმდებლობისა და ინვესტიციის გარემოს სწრაფი ადაპტირება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის გამოწვევებთან.

ამ მიზნით აუცილებელია:

1. ევროკავშირთან საქართველოს ციფრული ეკონომიკის ნორმატიული რეგულირების სინქრონიზაციის გაგრძელება EU4Digital პროექტის ფარგლებში, პირველ რიგში კონფიდენციალურობისა და მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებში;

2. ინფრასტრუქტურის მომზადება ციფრული ვალუტის ამოქმედებისათვის;

3. ევროკავშირის სტრატეგიის შესაბამისად, აუცილებელია ელექტრონული კომერციის უფრო საიმედოდ და ეფექტურად გადაქცევა, მისი მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესება, აგრეთვე ციფრული ეკონომიკისთვის გადასახადებისა და ტარიფების დაწესება.

საბოლოოდ, საერთო სამართლებრივი ბაზა საშუალებას მისცემს საქართველოს, ისარგებლოს ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრით, ასევე განახორციელოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ახალი ინოვაციური იდეების ურთიერთ გაცვლა და განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/eastern-partnership_en
2. https://on.ge/story/51260-eu4digital
3. https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/tenders/twinning_en; https://eufordigital.eu/discover-eu/supporting-the-georgian-national-communications-commission-gncc-in-development-of-its-electronic-communications-regulatory-framework-and-operational-capacities-in-line-with-eu-regulatory-framework
4. http://solability.com/solability/sustainability-publications/the-global-sustainable-competitiveness-index-2

5. https://news.cgtn.com/news/2020-10-17/Explainer-How-China-s-digital-currency-different-from-e-payments--UFrMHEDYsw/index.html
6. https://www.echr.coe.int/Documents/Handbook_data_protection_KAT.pdf

Nata Davlasheridze

CURRENT STATE OF THE DIGITAL ECONOMY AND PROSPECTS OF CONVERGENCE OF GEORGIAN ECONOMIC LEGISLATION WITH EU LEGISLATION

Summary

The article addresses the development of the digital economy in Georgia and its regulatory framework, as well as a comparative analysis with similar indicators of the EU countries. It is emphasized that the three main issues of normative regulation of IT in the European Union, on which Georgia needs to form its position, in recent years are: the protection of privacy and data security (based on the results of this work, amendments to the Law of Georgia "On Information Security" were adopted in June 2020); a long-term government strategy; digital currency. The basic programs of cooperation between Georgia and the EU are presented: the current EaP Connect program, which connects the research and educational communities of the whole region and their European partners through a high-performance broadband Internet; a new EU4Digital program that focuses on roaming harmonization, promoting high-speed broadband Internet to stimulate the economy and expand electronic services, and creating more jobs in the digital industry; the future EU CYBER program (focused on General Data Protection Regulation) is aimed at strengthening cybersecurity in partner countries and building confidence in the use of digital services for the benefit of citizens and businesses. It is noted that Georgia made significant progress in the development of digital services for business development and in 2020 ranked 37th among 180 countries in the global index of sustainable competitiveness, ahead of leading economies such as China, Singapore, Australia, Israel, Greece, Malta, Chile, Cyprus, etc. According to this indicator, the country ranks first in the world in terms of seven-year improvement in rating.

გიორგი ბრეგვაძე

ინოვაციების გავრცელების პრობლემები საქართველოს მშენებლობაში

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია საქართველოში სამშენებლო სექტორის მდგომარეობა უკანასკნელ წლებში. გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები და საქართველოში მშენებლობაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის პრობლემები. განხილულია მსოფლიოსა და საქართველოში მშენებლობაში და სამშენებლო მასალების წარმოებაში ინოვაციური მეთოდების და ტექნოლოგიების დანერგვის საკითხები.*

საკვანძო სიტყვები: *ინოვაცია, მშენებლობა, ტექნოლოგია, სამშენებლო მასალები, ტექნიკა, აღჭურვილობა.*

შესავალი

მშენებლობა ერთერთი მთავარი დარგია საქართველოს ეკონომიკაში. მისი წილი მშპ-ში 7.5%. მას წინ უსწრებს მომსახურება, წმინდა გადასახადები და მრეწველობა. ამ სფეროში 2019 წელს დასაქმებული იყო 70 ათასი კაცი, 2020 წლის მესამე კვარტალში 62 ათასი.

უკანაკნელ წლებში მშენებლობის სექტორი სწრაფი ტემპებით ვითარდება.

* * *

2012-2020 წელს განხორციელდა 3300 კმ-ზე მეტი გზის რეაბილიტაცია, აშენდა და კაპიტალურად შეკეთდა 500 -ზე მეტი ხიდი, დამატებით აშენდება 200 კილომეტრი ავტობანი და ეტაპობრივად დასრულდება რიკოთის ჩქაროსნული მაგისტრალი, ასევე აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის სხვა მონაკვეთების მშენებლობა და თბილისიდან ბათუმში უსაფრთხოდ ჩასვლა 3.5 საათში იქნება შესაძლებელი.

2024 წლისთვის ქვეყანაში საერთაშორისო მნიშვნელობის გზების 95% და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების 85% იქნება სრულად მოწესრიგებული.

საქართველო თავისი ჩქაროსნული მაგისტრალლებით შეძლებს გახდეს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სავაჭრო და ლოჯისტიკური ცენტრი.

2012 წლის ბოლოსთვის საქართველოში სულ 68 კმ ავტობანი იყო დაგებული, 2012-20 წლებში კი სამჯერ მეტი, 198 კმ ჩქაროსნული მაგისტრალი აშენდა; მხოლოდ 2020 წელს იმდენი მაგისტრალი აშენდა რამდენიც 2012 წლამდე ერთად აღებული.

2018 წელს დასრულდა სამტრედია-გრიგოლეთის მეორე მონაკვეთის ჯაპანა-ლანჩხუთის 14კმ-იანი გზის მშენებლობა.

სამტრედია-გრიგოლეთის მეორე მონაკვეთის მშენებლობის პროექტი ჯამში 18.5 კმ-იანი 4 ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის 16 სახიდე გადასასვლელის, მათ შორის 3 სატრანსპორტო კვანძის (გზაგამტარი), წყალგამტარი მილების და მიწისქვეშა გადასასვლელების მშენებლობას ითვალისწინებს. სამტრედია-გრიგოლეთის გზა სულ 51.5 კმ-ია.

2018 წლის ივლისში გაიხსნა მოძრაობა აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ქუთაისის შემოვლითი – სამტრედიის გზის 19-კმ-იან მონაკვეთზე.

ექსპლუატაციაში შევიდა ავტომაგისტრალის 2 ახალი ზოლი, საერთო ჯამში ქუთაისის შემოვლით - სამტრედიის 41.3 კმ-იანი გზაზე დამატებით 2 ახალი ზოლი შენდება.

გზა, რომელიც ადრე 2 ზოლიანი იყო, 4 ზოლიანი გახდება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგზაო უსაფრთხოებას და მოძრაობას ორივე მიიმართულებით ცალმხრივი გახდება.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა საუკუნის მეგაპროექტია, რომლის მსგავსი, შესრულებისა და მნიშვნელობის მაშტაბით საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა.

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობა ამ დროისთვის ევროპაში ერთ-ერთი ურთულესი პროექტია საინჟინრო თვალსაზრისით.

საუღელტეხილო გზის მოდერნიზების შემდეგ სიჩქარე გაორმაგდება. ამ პროექტის შედეგად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში უკვე აშენებული ჩქაროსნული მონაკვეთები ერთმანეთს დაუკავშირდება. რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობა ეპატობრივად 2024 წლამდე დასრულდება.

E60 ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესებული, ახალი სტანდარტის გზით საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის, პოზიცია მსოფლიო რუკაზე გაძლიერდება.

რიკოთზე სამუშაოები 50 ხიდზე და 37 გვირაბზე პარალელურად მიმდინარეობს. აქედან 4 გვირარბი უკვე გაჭრილია. საერთო ჯამში დაგეგმილია 51.6 კმ-მდე სიგრძის გზის მშენებლობა, რომელიც 96 ხიდსა და 53 გვირაბს მოიცავს.

2020 წლის აგვისტოში დასრულდა ხაშურის 13 კმ-იანი შემოვლითი გზის მშენებლობა. შემოვლითმა გზამ მნიშვნელოვნად განტვირთა საცობებისგან, ტრანზიტული მოძრაობა სრულად ხორციელდება ახალ გზაზე.

ხაშურის შემოვლითმა გზამ მგზავრობის დრო ამ მონაკვეთზე გაანახევრა. ხაშურის შემოვლითი გზა ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის ნაწილია. მომდევნო 6.4 კმ-ანი მონაკვეთი იქნება ჩუმათელეთის შემოვლითი გზა, რომლის დასრულების შემდეგ გზა რიკოთის საუღელტეხილო გვირაბამდე მივა. ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზით ტრანზიტული მოძრაობა გვერდს აუვლის ხაშურს, სურამს და ჩუმათელეთს.

აშენდა 420 მეტრიანი ხიდი, რომელიც საქართველოში ყველაზე მაღალი ბურჯებით გამოირჩევა. სულ აშენდება 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა, 21 ხიდი, 5 გვირაბი, რკინა-ბეტონის მიწისქვეშა გასასვლელები, წყალგამტარი მილები და სადრენაჟე სისტემები.

2021 წელს დასრულდება ბათუმის შემოვლითი 13-კილომეტრიანი გზის მშენებლობა. აშენდება 2 ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზა, 19 სახიდე გადასასვლელი, 4 სატრანსპორტო კვანძი, 5 გვირაბი და 57 წყალგამტარი მილი.

ბათუმის შემოვლითი გზა, ქობულეთის შემოვლით გზასთან ერთად, სრულად განტვირთავს მოძრაობას აჭარის საკურორტო ზონაში.

2018 წელს დასრულდა ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა. გზის საერთო სიგრძე 33.6 კმ-ია.

აშენდა 29 ხიდი და 2 გვირაბი. ახალმა გზამ თბილისიდან ბათუმამდე მგზავრობის დრო 20-30 წუთით შეამცირა.

ქვეშეთი-კობის გზისა და გვირაბის მშენებლობით, არსებული გზის სიგრძე 11 კმ-ით შემცირდება შესაბამისად 1

საათით შემცირდება თბილისი-ლარსის მიმართულებით გადაადგილების დროც.

ახალი გზა და 9 კმიანი გვირაბი სრულად მოაგვარებს არსებულ პრობლემებს, შენარჩუნდება მოძრაობის უწყვეტობა ზამთრის პერიოდში, გაუმჯობესდება საგზაო უსაფრთხოება და გამტარუნარიანობა, შემცირდება ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი.

ქვეშეთი-კობის გზა და გვირაბი შენდება ურთულეს გეოგრაფიულ მარშუტზე და ურთულესი საინჟინრო კონსტრუქციებით. აშენდება რეგიონში უპრეცედენტო 9 კმიანი გვირაბი.

აქტიურად მიმდინარეობს ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი 51 კმ გზის მშენებლობა-რეკონსსტრუქცია. გზის დიდი ნაწილი ფაქტობრივად დაუსახლებელ ტყიან ზონაში, მდინარე ხეურის ხეობაში გადის და ზღვის დონიდან 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

სამუშაოები დასრულებულია გზის 3.5 კმ-იან მონაკვეთზე, დარჩენილი მონაკვეთი 2021 წლისთვის დასრულდება.

საჩხერე-ონის მარშუტის სიგრძე 111 კმ-ია. ახალი საავტომობილო გზით მგზავრობის დრო 1 საათით შემცირდება.

ბაღდათი-აბასთუმნის გზის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია შეამცირებს მგზარობის დროს საქართველოს ცენტრალური ნაწილიდან თურქეთის საზღვრამდე და ქუთაისის აეროპორტიდან აბასთუმნამდე.

პროექტის დასრულების შემდეგ ბაღდათი-აბასთუმნის გზაზე გადაადგილება უწყვეტი იქნება მთელი წლის განმავლობაში, ადრე შემოდგომა-ზამთრის სეზონზე ამ მონაკვეთზე გადაადგილება შეუძლებელი ხდებოდა.

ბაღდათი-აბასთუმნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის საერთო სიგრძე 77 კმ-ია. პროექტი 2018 წელს დაიწყო და ეტაპობრივად 2024 წელს დასრულდება.

სნო-ჯუთა-როშკა-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის საავტომობილო გზის საერთო სიგრძე 236.7 კმ-ია. გზა სულ 24 მონაკვეთადაა დაყოფილი. ამჟამად სამუშაოები 7 მონაკვეთზე, სულ 54 კმ გზაზე მიმდინარეობს. უკვე დასრულდა 2 მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. ჯამში 10.9 კმ.

შატილის მიმართულებით გზის რეაბილიტაცის სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

არსებული გზა არის გრუნტის, ხშირად ვითარდება მეწყერული პროცესები და 2 ავტომანქანისთვის გვერდის ავლა, პრაქტიკულად შეუძლებელია. შატილამდე მისასვლელი ახალ გზაზე ავტოტრანსპორტის გადაადგილება უსაფრთხო გახდება.

შატილის მიმართულების მიმდინარე 12 პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდება 86 კმ გზა და აშენდება 17 ხიდი და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 5 ხიდს.

დასრულდა ბაკურიანის შემოვლითი 3 კილომეტრიანი გზის მშენებლობა.

რეაბილიტაცა ჩაუტარდა სოფელ ანდეზიტის 7.5 კმ-იან გზას, გაიწმინდა არსებული წყალგამტარი მილები.

დასრულდა მიტარბისა და კოხტას საბაგირომდე მისასვლელი 3 კილომეტრიანი გზისა და დიდველზე პარკინგის გაფართოების სამუშაოებიც. ბაკურიანში მოეწყო 2-2.5 მეტრის სიგანის ცენტრალური საფეხმავლო გზა.

საქართველოს ბალნეოლოგიური, სამედიცინო-სამკურნალო ტურიზმის მომავალი წყალტუბოსთან იქნება დაკავშირებული.

წყალტუბოს განახლების პროექტი უახლოეს პერიოდში დაიწყება და ის ახალ სიცოცხლეს შესძენს წყალტუბოს, მთლიანად იმერეთის რეგიონს და საქართველოს. საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა წყალტუბოსთვის კურორტის სტატუსის შენარჩუნება და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე ტერიტორიის გეგმაზომიერი განვითარებაა.

წყალტუბოს განახლების პროექტის ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კურორტის განვითარებისათვის გენგეგმის შემუშავება დაიწყო.

მეწყერსაშიშ ზონებში დამონტაჟდა ადრეული შეტყობინების სისტემა. მდინარე ვერეს კალაპოტში აშენდა ორი ნატანდამჭერი ნაგებობა. მზიურის პარკის მიმდებარედ მოწყო ვერეს ნაპირსამაგრი ბეტონის 118 მეტრიანი საყრდენი კედელი. გაიწმინდა მდინარის 4 კმ-იანი კალაპოტი და მისი ნაწილი რკინაბეტონის კონსტრუქციის კედლებსა და არხებში მოექცა.

წყნეთში მოეწყო 100 მეტრიანი რკინაბეტონის სანიაღვრე კოლექტორი. თბილისში კი, ჭავჭავაძის #83-ის მიმდებარედ კლდოვანი ქანების ჩამოშლის პროცესების აღსაკვეთად გაკეთდა ბეტონის 205 მეტრიანი საყრდენი კედელი, საყრდენი კედლები მოეწყო სოფელ ახალდაბაშიც.

დასრულდა მზიურის პარკის რეაბილიტაცია, სადაც სრულად განახლდა წყალდიდობის შედეგად დაზიანებული გამწვანება და პარკი. აღდგა პარკში არსებული მოზაიკები, ხიდები, კიბეები, გამოიცვალა ყველა სახის კომუნიკაცია. პარკის ტერიტორიაზე მოეწყო ველობილიკები, სკამები, ფანჩატურები, სასმელი წყლის სოკოები, დასასვენებელი ადგილები.

გაკეთდა ხელოვნური ტბა, სკეიტბორდის და საბავშვო გასართობი მოედნები.

პარკში შეიქმნა ისეთი ტიპის სპორტული, კულტურული და რეკრეაციული სივრცეები, რომლებიც ბევრად უფრო კომფორტულს ხდის მზიურს ყველა ასაკის ადამიანისთვის.

საქართველოს მაშტაბით 200 მლნ ლარის სამელიორაციო ინფრასტუქტურის 304 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2089 კმ საირიგაციო და 1110 სადრენაჟე არხს, შეკეთდა 35 სათაო ნაგებობა და 25 სატუბი სადგური.

წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი 3 ჯერ, 45 ათასი ჰა-დან (2012) 132.7 ათას ჰა-მდე (2019), ხოლო დრენირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 14 ათასი ჰა-დან (2012) 39,5 ათას ჰა-მდე გაიზარდა.

2021 წელს 23 226 423 ლარის ღირებულების სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო 13 ახალი პროექტი დაიწყება, გაგრძელდება 32 გარდამავალი პროექტის განხორციელება.

2021 წელს დასრულებული პროექტების შედეგად წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გაიზრდება 12.8 ათასი ჰექტრით.

40 წლიანი უწყლობის შემდეგ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს 24-საათიანი წყალმომარაგება აქვს. უდაბნოს ცენტრალიზეული წყალმომარაგება არასდროს ჰქონია და

მოსახლეობაას კილომეტრების გავლა უწევდა სასმელი წყლის მოსამარაგებლად.

1000-ზე მეტი ადგილობრივი მაცხოვრებელი უწყვეტი, სტაბილური წყალმომარაგებით სარგებლობს.

აშენდა სასადენო მაგისტრალი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სატუმბ სადგურებსა და რეზერვუარებს, მოეწყო საქლორატორო და ახალი გამანაწილებელი ქსელი, გამრიცხველიანდა მოსახლეობა.

ჭიათურაში აშენდა საქლორატორო სადგური და რეზერვუარი, მოეწყო წყლის სათავე ნაგებობა. ჭიათურის არსებობის ისტორიაში პირველად ქალაქი 24 საათიანი წყალმომარაგებაზე გადავიდა.

10-ჯერ გაიზარდა ინვესტიციები წყალმომარაგების ინფრასტრუქტურაში. განხორციელდა 750- ზე მეტი პროექტი 48 მუნიციპალიტეტში. ქუთაისის, ზუგდუდუს, ჭიათურის მოსახლეობას პირველად აქვს უწყვეტი 24 საათიან წყალმომარაგება.

ქუთაისში აშენდა სამი რეზერვუარი, საქლორატორო და სამი სატუმბი სადგური, მოეწყო ახალი შიდა გამანაწილებელი და მაგისტრალური მილსადენები, გამრიცხველიანდა 22000 მდე აბონენტი.

ზუგდიდში აშენდა წყალმომარაგების სისტემა, წყალარინების ქსელები და გამწმენდი ნაგებობა, აშენდა სამი ახალი რეზერვუარი, მოეწყო 10 ჭაბურღილი და 220კმ ახალი ქსელი.

მოეწყო 180 კმ-ის სიგრძის წყალარინების ქსელი. ზუგდიდის მოსახლეობის 60% წყალარინების სისტემის არარსებობის გამო ვერ სარგებლობდა საკანალიზაციო სისტემით.

შენდება საერთაშორისო სტანდარტების წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, რომელიც ჩამდინარე წყლების სრული ბიოლოგიური ციკლის დაცვით გაწმენდს, რაც მნიშვნელოვანი პროვენციაა გარემოზე მავნე ზემოქმედებისაგან.

ინოვაციური ტექნოლოგიები მრეწველობის თითქმის ყველა სფეროში იკიდებს ფეხს. მათ შორის მშენებლობაშიც. ამ სფეროში დანერგილი ინოვაციები, როგორც უცხოეთის გამოცდილება გვიჩვენებს, შეიძლება დავყოთ 3 ჯგუფად.

პირველი - პროგრამული უზრუნველყოფა, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ BIM ტექნოლოგიები. ესაა ინფორმაციული მოდელირება მშენებლობაში და პროექტის ღრუბლოვანი მართვა.

მეორე - უშუალოდ სამშენებლო მოწყობილობები და აღჭურვილობები.

მესამე - ინოვაციური სამშენებლო მასალები.

მშენებლობა იწყება დაპროექტებით, სწორედ აქ იყენებენ უკვე არამხოლოდ 3D, არამედ 4D განზომმილებებს, პროექტის შედგენაში. ვირტუალურმა რეალობამ საბოლოოდ იპოვა გზა, სათამაშო ინდუსტრიიდან რეალურ სამყაროში. ზამთრის მშენებლობაში გამოიყენეს 4D ვირტუალური რეალობის მოდელები, რათა სრულიად ჩაერთოდ დაგეგმილი მშენებლობის პირობებში მფლობელები და სხვა დაინტერესებული პირები მსხვილი პროექტების დაგეგმვის და დაპროექტების ეტაპებზე.

კომპიუტერის საშუალებით უკვე შეიძლება შეიქმნას არა მარტო ობიექტის პროექტი, არამედ ოთახების დიზაინი და მოწყობა მყიდველის ან შემკვეთის სურვილისამებრ. მაგრამ მთავარი მაინც წარმოების მოდელირებაა. მშენებლობაში მთავარი პრობლემა ყოველთვის იყო ვადების დაცვა. სწორედ სწორი მოდელირების საშუალებით შესაძლებელია დაიგეგმოს მშენებლობა ისე, რომ არ იყოს შეფერხებები და წყვეტადობა. ეს მთავარია, რადგან მოცდენები აფერხებს მშენებლობას და არღვევს ვადებს, რისთვისაც ჯარიმებია დაწესებული. მეწარმისათვის მისი გადახდა კი არასასურველია.

მეორე მთავარი მიმართულება ინოვაციების დამკვიდრებაში არის ახალი სამშენებლო ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება. საქართველოში სამშენებლო დეველოპერულ კომპანიებს და გამყიდველებს შემოტანილი აქვთ ახალი ტექნიკა. ესაა ტრაქტორები, ამწეები, ბეტონშემრევები, მიქსერები და სხვა. ასევე უცხოურ ინვესტორებს, რომლებიც როგორც ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები, მუშაობენ საქართველოს გზების, ხიდების, გვირაბების, ჰესების და რკინიგზის მშენებლობაზე. მათ შემოაქვთ უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგიები, რაც ამაღლებს ხარისხს და აჩქარებს მშენებლობას. ამის მაგალითია ავტობანი და გვირაბების მშენებლობა.

მესამე ასევე მთავარი ინოვაციები ესაა სამშენებლო მასალებში. საქართველოში არა მარტო ხორციელდება იმპორტი ისეთი ინოვაციური სამშენებლო მასალებისა, როგორიცაა ეკოლოგიური, თბოიზოლაციური, ხმაურის საიზოლაციო,

ენერგოეფექტური, მოსაპირკეთებელი და ლაქ საღებავები, არამედ ჩვენთანაც წარმატებით მზადდება მაგალითად, პლასტმასების მილები, გადასახური მასალა, მეტალოპლასტიკის და ალუმინის კარ-ფანჯარა, გოფრირებული მილები, ელექტრო სადენები, პარკეტი, არმატურა, ლაქ საღებავები, შპალერი და რაც მთავარია მაღალი ხარისხის ცემენტი და რკინა ბეტონი, გაჯი. ბლოკის აგურის და კრამიტის წარმოებას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ბაზარი ასევე გაჯერებულია უცხოური ნოვატორული სამშენებლო მასალითა და ტექნიკით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხის შემცვლელი მეტალოპლასტიკის იატაკები, ხის შემცვლელი კარებები, თანამედროვე გამათბობელი სისტემები, სენსორული ონკანები და სხვა სააბაზანო მოწყობილობები. თანამედროვე ლიფტები და სხვა. ასევე ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი უახლესი სახელოსნო იარაღები, რომლებიც ზრდიან შრომის ნაყოფიერებას და მშენებლობის ხარისხს.

დასკვნა

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად ახალი ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვისა მშენებლობაში ჯერ კიდევ დიდია ხელით შრომის წილი. ეს თავისთავად ზრდის დასაქმებულთა რაოდენობას, ფასებს და ვადებს მშენებლობაში. თუმცა ამ სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიები ისე სწრაფად ვითარდება, რომ იმედია უახლოეს მომავალში ხელით შრომა უფრო შემცირდება და შემსუბუქდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები
2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემები
3. Инновации в строительстве - https://saint-gobain.ru/
4. Инновации в строительстве: обзор самых эффективных инструментов - Денис Купцов

5. Инновации в строительстве - https://arch-shop.ru/

George Bregvadze

THE PROBLEMS OF DISSEMINATION OF INNOVATIONS IN THE CONSTRUCTION SECTOR OF GEORGIA

Summary

The paper discusses the situation of the construction sector in Georgia in recent years. It is analyzed Statistical data and problems of introduction of innovative technologies in construction in Georgia

ლია თოთლაძე
თამარ თაფლაძე

პირდაპირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ინოვაციების გავრცელებაში საქართველოში

ანოტაცია. *ნაშრომი მიზნად ისახავს პირდაპირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის შესწავლას ინოვაციების გავრცელებაში საქართველოში.*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გლობალიზაციის, ეკონომიკური ზრდის და ინდუსტრიალიზაციის მთავარი მასტიმულირებელი ძალაა. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI) განსაკუთრებული გავლენა აქვს ტექნოლოგიურ განვითარებას, პროდუქტიულობის ზრდასა და ახალი ცოდნის თუ უნარების შეძენა-გაუმჯობესებაში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვეტიციების პოზიტიური და ნეგატიური გავლენა ქვეყნის განვითარებაზე, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პირდაპირი უცხოური ინვეტიციების როლს ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ტრანსფერზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმოხილულია ემპირიული კვლევები, რომლებიც ასახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

ნაშრომში შესწავლილია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა, მოცემულია ამ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის არსებული დინამიკის კრიტიკული ანალიზი. გადმოცემულია საქართველოს მთავრობის საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც უკავშირდება ეკონომიკის რეალურ სექტორში ხარისხობრივი ინვესტიციების მოზიდვას, ინვესტიციების მაღალტექნოლოგიურ დარგებში განხორციელებასა და ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერს. ასევე მოცემულია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შედეგები. საქართველოში ინოვაციების გავრცელების ტენდენციის შეფასებისათვის გამოყენებულია აგრეთვე გლობალური ინოვაციების ინდექსის (GII) დინამიკა.

ზემოთაღნიშნული მიმართულებით განხორციელებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე კი გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

1. შესავალი

საგარეო წყაროებზე ხელმისაწვდომობა და უცხოური კაპიტალის მოზიდვა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებისათვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გლობალიზაციის, ეკონომიკური ზრდის და ინდუსტრიალიზაციის მთავარი მასტიმულირებელი ძალაა. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI) განსაკუთრებული ეფექტი აქვს ტექნოლოგიურ განვითარებაში, პროდუქტიულობის ზრდასა და ახალი ცოდნის თუ უნარების შეძენა-გაუმჯობესებაში. ეს პოზიტიური ეფექტები კი რა თქმა უნდა დამოკიდებულია FDI-ს ხარისხზე და ადგილობრივი კომპანიების მხრიდან ახალი ცოდნისა და გამოცდილების მიღების მზაობაზე.

ზოგადად, განასხვავებენ საინვესტიციო პოლიტიკის ორ ძირითად მიდგომას. პირველი, სტანდარტული ლიბერალური მიდგომაა, დაფუძნებული ნეოკლასიკურ ეკონომიკურ სკოლაზე გულისხმობს სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციას, რაც წარმოადგენს გაბატონებულ ეკონომიკურ პოლიტიკას განვითარებადი ქვეყნებისთვის. მეორე კი უკავშირდება „მაღალი ხარისხის“ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის

პოლიტიკას. მეორე მიდგომა შედარებით იშვიათია განვითარებად ქვეყნებში, თუმცა გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ჩინეთი, რომელიც ინვესტიციების მოზიდვის მხრივ პირველ ადგილზეა განვითარებად ქვეყნებს შორის (ლ. თოთლაძე, მ. ხუსკივაძე, 2020).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ეფექტად განიხილება მისი პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლაინი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდის ხარჯზე. უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. იგი ასევე ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობით.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის დასაქმებას და მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის. მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშრად ასეთი ტიპის დასაქმება უფრო მაღალ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს. ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ და პროგრესული მენეჯმენტი გლობალურ ბაზრებზე ასეთი ტიპის წარმოების თავის დამკვიდრების საშუალებას იძლევა.

გადადინების ეფექტები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმთავრესი დადებითი ეფექტი მიმღებ ქვეყანაში სხვა სექტორებზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გადადინების ეფექტია. ადგილობრივ კომპანიებს შეუძლიათ პროდუქტიულობის ზრდა თანამედროვე, გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებზე წვდომის საშუალებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე ზრდის ადგილობრივი კომპაიების R&D ინიციატივებს.

კონკურენციის დონე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კონკურენციის დონეს ადგილობრივ ბაზარზე და ამ გზით ხელს უწყობს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, შედარებით დაბალ ფასებს და რესურების უფრო ეფექტიან გადანაწილებას.

საერთაშორისო კვლევებითა და პრაქტიკული გამოცდილებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად

დამოკიდებულია ქვეყნის კარგ საინვესტიციო კლიმატსა და სტაბილურ გარემოზე. ქვეყანაში მისი მოზიდვის ძირითადი მიზნები უკავშირდება:

- ნატურალური რესურსის მოძიებაზე ორიენტაციას: ასეთი ინვესტიციის მიზანია წვდომა მოიპოვოს ისეთ რესურსზე, რომელიც არ მოიპოვება კომპანიის საშინაო ბაზარზე.
- ბაზრის ძიებას: ასეთი ინვესტიცია ორიენტირებულია ახალი ბაზრების, ახალი კლიენტების და საექსპორტო ბაზრების მოძიებაზე. ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პუი მოიცავს უცხოური ბაზრის ათვისებას/მომსახურებას. მას სხვაგვარად მოთხოვნაზე ორიენტირებულსაც უწოდებენ.
- ეფექტურობის ზრდას: ასეთი ინვესტიციის ძირითადი მიზანია შეამციროს საკუთარი ხარჯები, სხვა ქვეყანაში შესვლით აითვისოს იმ ქვეყანაში არსებული ტექნოლოგიები, იაფი მუშახელი ან იაფი წარმოების საშუალებები. ეფექტიანობაზე ორიენტირებულ პუის რაციონალურსაც უწოდებენ, იგი ცდილობს არსებული რესურსებით უფრო მეტის მიღწევას, მაგალითად კვალიფიციური კადრებით.
- სტრატეგიულ აქტივებს: ამ ტიპის პირდაპირი ინვესტიციის მთავარი მოტივაცია ქვეყანაში შესვლისას ხელთ იგდოს იქ არსებული სტრატეგიული აქტივი, როგორიცაა ცნობილი ბრენდი, ახალი ტექნოლოგიები ან სადისტრიბუციო ქსელი. სტრატეგიული აქტივების მაძიებელი პუი ცდილობს დაიცვას ან გაზარდოს არსებული საკუთრების უპირატესობები ან შეუმციროს კონკურენტები.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია განისაზღვროს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლო სფეროები და პოტენციალი. ინვესტორის მიზნების გარდა, რა თქმა უნდა არსებით როლს თამაშობს ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში არსებული გარემო. როგორც მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, არსებობს მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებმიც ასევე გავლენას ახდენს ინვესტიციების შემოდინების დინამიკაზე.

განვითარებადი ქვეყნებისათვის ინვესტიციების მოზიდვისათვის დადებითი გავლენა შესაძლებელია ჰქონდეს ფაქტორებს:

1. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებული ეკონომიკური ზრდა. მაღალი ეკონომიკური ზრდა ქმნის შედარებით უკეთეს შესაძლებლობას, რომ იქ არსებული კომპანიები და საწარმოები მიიღებენ მაღალ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე ისეთ გარემოში სადაც ეკონომიკა მცირედით ან საერთოდ არ იზრდება.

2. გამართული ინფრასტრუქტურა. კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად ზრდის ეკონომიკურ პოტენციალს, საინვეტიციო შესაძლებლობას და მიმზიდველობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განუვითარებელი ინფრასტრუქტურაც შესაძლებელია დადებითი ფაქტორი აღმოჩნდეს ამ სფეროში განსახორციელებელ ინვესტიციების ნაკადებზე.

3. ეკონომიკის გახსნილობა. უმთავრესად ეკონომიკის გახსნილობის საზომად იყენებენ საგარეო ვაჭრობის წილს მშპ-თან მიმართებაში. ხოლო მისი გავლენა ინვისტიციებზე თვით ინვესტიციების ბუნებაზეა დამოკიდებული. თუ ეს ინვესტიცია ბაზრის ძიებაზეა ორიენტირებული და ადგილობრივი ბაზრის ათვისება აქვს განზრახული, სავაჭრო შეზღუდვებმა და შიდა სუბსიდიებმა შესაძლოა დადებითად იმოქმედოს მათზე, თუმცა ძირითადად განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციები მიედინება ე.წ. ვაჭრობად სექტორებში და კვლევების დიდი უმრავლესობა ასკვნის, რომ ღია ეკონომიკა ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციების მოძიებას.

4. მუშახელის ფასი და მწარმოებლურობა. ზოგადად, ეკონომიკური თეორიის მიხედვით იაფი მუშახელი ძალიან მიმზიდველია უცხოური ინვესტიციებისთვის, თუმცა ეს ძირითად დამაახასიათებელია იმ ინვესტიციებისათვის, რომლებიც ე.წ. სამუშაო ძალა – ინტენსიური სექტორისაკენ მიემართება. ამავდროულად, ძალიან იაფი მუშახელი ასევე დაბალი მწარმოებლურობით ხასიათდება, ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას ფასთან ერთად მუშახელის პროდუქტიულობასაც აქვს მნიშვნელობა.

5. ბაზრის სიდიდე. თითქმის ყველა თეორიული თუ ეკონომეტრიკული კვლევის მიხედვით ბაზრის სიდიდესა (რომელიც როგორც მშპ ან მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაიანგარიშება) და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შორის დადებითი კავშირი არსებობს. ინვესტორებს სტიმული აქვთ

შევიდნენ შედარებით დიდ ბაზრებზე, სადაც საკუთარი წარმოების გაფართოების საშუალება ექნებათ და რომელი ბაზრებიც შედარებით მაღალი მსყიდველობითი უნარით ხასიათდება.

ამავდროულად, აღსანიშნავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე უარყოფით გავლენის მქონე ფაქტორები: პოლიტიკური არასტაბილურობა; გადასახადები; ინფლაცია (უნდა აღინიშნოს ცალკეული ეკონომეტრიკული მოდელების მიხედვით, ინფლაციასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შორის მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი იკვეთება). მაღალი ინფლაცია ინვესტორებისათვის წარმოადგენს ქვეყნის მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს და დაბალი ინფლაციის მქონე ქვეყნებში ინვესტიციები უფრო თავისუფლად შემოედინება.

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ვინაიდან არ არსებობს ზუსტად და ცალსახად განსაზღვრული ინდიკატორების სია, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას განაპირობებს, აღნიშნულმა ფაქტორებმა შესაძლოა განსხვავებული გავლენა მოახდინონ.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

პოლ კრუგმანი თავის ცნობილ „გეოგრაფიული ეკონომიკის თეორიაში“ **FDI** ორ ძირითად კატეგორია განიხილება: ვერტიკალური და ჰორიზონტალური.

ჰორიზონტალურ FDI-ს განსაზღვრავს ხარისხი. ამ შემთხვევაში, უცხოული ინვესტორები ახორციელებენ რა ინვესტირებას, ქირაობენ ადგილობრივ კადრებს და ასწავლიან ახალ ტექნოლოგიებს, მარკეტინგულ ტექნიკას და ა.შ..ამას ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი ეწოდება (Horizontal Spillover Effects). უცხოური ჰორიზონტალური FDI ძირითადად განვითარებულ ქვეყნებს შორის ხდება. მაგალითად, ისეთი კომპანია როგორიცაა Boeing, ძრავის წარმოების აუთსორსინგს აკეთებს ისეთ კომპანიებში, როგორიცაა BMW ან Rolls-Royce გერმანიაში, არა დაბალი ხარჯების გამო, არამედ პროდუქტის ხარისხის და სპეციალიზაციის გამო.

ვერტიკალურ FDI-ს განსაზღვრავს დაბალი ხარჯები. ამ შემთხვევაში, ინვესტორი კომპანიები აკეთებენ შრომატევადი

სამეწარმეო სტადიების აუთსორსინგს იმ ქვეყნებში, სადაც დაბალი ხელფასები და გადასახადებია, ნაკლები დანახარჯების გამო. ვერტიკალური FDI ზუსტად ხსნის სამეწარმეო პროცესების გლობალური ჩრდილოეთიდან გლობალურ სამხრეთში გადინების ფაქტს.

მულტინაციონალური კომპანიები აკეთებენ ისეთი სამეწარმეო სტადიების აუთსორსინგს განვითარებად ქვეყნებში, რომელიც ტოვებს დაბალ დამატებით ღირებულებას და ამის საპირისპიროდ, ისინი აკეთებენ ისეთ ინვესტიციებს განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ტოვებენ მაღალ დამატებით ღირებულებას. დამატებითი ღირებულების (Value added) სწორედ ასეთი არათანაბარი გადანაწილება არის გლობალიზაციის „ახალი ტალღის“ მთავარი მახასიათებელი, რაც ქვეყნებს შორის უთანასწორობის ზრდას უწყობს ხელს. და ცხადია განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც სურთ ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება, დაბალი დამატებითი ღირებულების სამეწარმეო სტადიებში ჩარჩენის რისკების წინაშე დგანან.

1990 წლიდან ინვესტორებისათვის პოპულარული ხდება ვერტიკალური FDI, რომლებსაც სურთ წარმოების ხარჯების შემცირება და შესაბამისად მოგების ზრდა.

ვერტიკალურისგან განსხვავებით, ჰორიზონტალური FDI-ს შემთხვევაში, ტექნოლოგიების პოზიტიური განვრცობის ალბათობა გაცილებით დიდია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, სამეწარმეო სტადიებთან ერთად ხშირად კვლევასა და განვითარებაზე (R&D) დაფუძნებული კომპანიები შემოდის. აქედან გამომდინარე, მიმღებ ქვეყნებში შედარებით მაღალი დამატებითი ღირებულება რჩება, როგორიცაა R&D ან/და დიზაინი. ჰორიზონტალური FDI-ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში ხორციელდება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც განვითარებადი ქვეყნებიც სარგებლობენ ასეთი ინვესტიციებით, რა თქმა უნდა, შესაბამისი ინდუსტრიული და საინვესტიციო პოლიტიკით.

ტექნოლოგიურ სიახლეებს ამა თუ იმ ქვეყანაში - ტრანსნაციონალური კორპორაციები ნერგავენ, რომლებიც, ამავე დროს, განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვეს-

ტიციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან. მათ აქვთ უნარი და შესაძლებლობა, ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრებისა და საერთაშორისო ბაზრებზე გამყარებული პოზიციების ხარჯზე გაზარდონ მწარმოებლურობა და წაახალისონ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა, (და მათ შორის საქართველოც) ინვესტიციური შიმშილის მოსაკლავად, ცალკე აღებულ ტერიტორიებზე ბიზნესმენებისთვის დამატებითი შეღავათების დაწესებას ცდილობს (როგორიცაა თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსება), მაგრამ ეს ნაბიჯი მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ინვესტიციების აკუმულირებას, მთელ ქვეყანაში კი ინვესტიციური შიმშილის კიდევ უფრო გაიძლიერებას უწყობს ხელს (პაპავა ვ. 2007).

ზოგადადაც, ინვესტიციებიდან მიღებულ დადებით ეფექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანად სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანმდევი ისეთი დადებითი ეფექტები შეგვიძლია ჩავთვალოთ, როგორიცაა ტექნოლოგიური გადაიარაღება (მათ შორის ნოუჰაუ-ს გამოყენება); დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესება; ეკონომიკური ზრდა; საქონლისა და მომსახურების შედარებით ფართო არჩევანი და ა.შ.

3. ემპირიული კვლევა

3.1.

არაერთი კვლევით დასტურდება რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით ხორციელდება ტექნოლოგიების შემოდინება. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს თან სდევს ახალი მიდგომები ორგანიზაციისა და კადრების მართვაში, რაც ამაღლებს ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდით გამოწვეული (კორპორაციული) მოგების ზრდა ქვეყანაში იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდასაც.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდაა კვლევები, რომელთა მიზანს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში ტექნოლოგიების განვითარებაზე გავლენის შესწავლა წარ-

მოადგენს. ასევე, საინტერესოა კვლევები, რომლებიც ადასტურებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ეკონომიკურ ზრდას შორის დადებით ეფექტზე თავის კვლევებში ყურადღებას ამახვილებს ლ. კრკოსკა (Krkoska L., 2001), რომელიც 25 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნას 1989-2000 წლებში აკვირდებოდა. Mის მიერ განხორციელებული კვლევის შჭჯჭჯჩის მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა სტიმულს აძლევდა კაპიტალის დასაგროვებლად, აგრეთვე ეკონომიკური ვარდნის პერიოდში ხელს უწყობდა მათ ეკონომიკურ ზრდას. ანალოგიურ დამოკიდებულებაა ბენგოა და სანჩეს-რობლესის მიერ 1970-1999 წლებში ლათინური ამერიკის 18 ქვეყანაში ჩატარებული ემპირიული კვლევაში, რომლის თანახმადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა დადებითად აისახა ამ ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე (Bengoa M, Sanchez-Robles B, 2003).

ჰორიზონტალური ეფექტის მიღება, როგორც წესი, ბენეფიციარი ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, თუმცა ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი, შესაძლებელია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითიც იყოს (Konings, J, 1999). კონინგის მიერ ბულგარეთში, რუმინეთსა და პოლონეთში ჩატარებულ კვლევებში ნათლად ჩანს, რომ თუ პირველი ორი ქვეყნისათვის ინვესტიციების მოზიდვამ დადებითი ჰორიზონტალური ეფექტი მოიტანა, პოლონეთისთვის მას უკუშედეგიც კი ჰქონდა. კერძოდ, ადგილობრივი კომპანიების დახმარებისა და ტექნოლოგიური დიფუზიის ნაცვლად, წარმოიშვა უმკაცრესი კონკურენცია, რომლის საფუძველზეც, მხოლოდ უძლიერესები რჩებოდნენ ბაზარზე, როგორც წესი - დიდი კომპანიები.

ჰორიზონტალური გადადენისგან განსხავებით, ვერტიკალური გადადენის ეფექტი (Vertical Spillover Effects) უცხოელი ინვესტორების მხრიდან ადგილობრივებისათვის უპირატესობის გაზიარებას კი არ გულისხმობს, არამედ იგი ეკონომიკის ერთი დარგის განვითარებით სხვა დარგების განვითარების წახალისებას მოიაზრებს.

ჯავორჩიკის (Javorcik, B. S, 2004) მიერ ლიტვაში განხორციელებული კვლევის თანახმად, 1996-2000 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის მწარმოებლურობის 85 პროცენტს 20-ზე მეტ სექტორში ფარავდა. მისი დაკვირვებით, სამშენებლო სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 4%-იანი ზრდას მისი 15%-იანი ზრდა მოჰყვა მომარაგების სექტორში. იმავე კვლევის თანახმად, თუ უცხოური კომპანიები ადგილობრივ ბაზარზე შემოდიან არა ადგილობრივი კომპანიების გავლით, არამედ თავად ქმნიან კონკურენტუნარიან საწარმოებს, დიდი ალბათობით ვერტიკალური გადადენის ეფექტი ვეღარ მიიღწევა და, პირიქით, შედეგად მივიღებთ ნეგატიურ ეფექტს, რომლის გამოც ადგილობრივი კომპანიები არათუ იხეირებენ, არამედ იზარალებენ კიდეც.

ხშირად ტექნოლოგიურ სიახლეებს ამა თუ იმ ქვეყანაში - ტრანსნაციონალური კორპორაციები ნერგავენ, რომლებიც, ამავე დროს, განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან. მათ შესწევთ უნარი და შესაძლებლობა, ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრებისა და საერთაშორისო ბაზრებზე გამყარებული პოზიციების ხარჯზე გაზარდონ მწარმოებლურობა და წაახალისონ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ლ. კოლენი, მ. მარტენსი და ჯ. სვინერი აღნიშნავენ, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ადამიანურ განვითარებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია (De Schutter O., Swinnen J., Wouters J, 2012). ცნობილი შვედი ეკონომისტი მ. ბლომსტორმის (Blomstrom & Kokko, 1998) მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისათვის. მათ უჩნდებათ შესაძლებლობა, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარმოჩნდნენ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასა და მთლიან შიგა პროდუქტს შორის უკუკავშირის ახსნას ცდილობდნენ პრაკაშ ლუნგანი და ასაფ რაზინიც (Loungani P., Razin A, 2011).

გერიბის და ვოიტოვიჩის კვლევა რომელთაც შეისწავლეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ტექნოლოგიების

ტრანსფერზე განვითარებული, განვითარებადი და ტრანს-ფორმირებადი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით 2005-2016 წლებში. მათი კვლევის მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების *ტრანსფერს განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (*GHERIBI E., VOYTOVYCH N, 2018).

3.2.

თეორიულ ეკონომიკურ ლიტერატურასა და აგრეთვე ზემოთაღნიშნულ ემპირიული კვლევების განზოგადებად შეიძ-ლება ჩაითვალოს თურქი ეკონომისტების ფარუქ გუერსოისა და ჰუსინ ქალიონჩოუს მიერ განხორციელებული კვლევა, რომლის მიხედვითაც საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას შორის კავშირი ძლიერია. ("Foreign Direct investment and Growth Relationship in Georgia", International Journal of Economics and Financial Issues 2, 2012). მათი კვლევა ეყრდნობა 1997-2010 წლების მონაცემებს.

განვიხილოთ საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ინვესტიციების უდიდესი ნაწილი სააქციო კაპიტალზე მოდის და მისი წილი ყოველთვის ყველაზე დიდია საერთო მოცულობაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკის სექტორების მიხედვით

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020 წლის II კვარტალში, წინასწარი მონაცემებით



წყარო: *Geostat.ge*

რაც შეეხება დინამიკას უკანასკნელი წლების მიხედვით საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის მნიშვნელოვანი ზრდა 2006-2007 წლებში დაფიქსირდა და ასევე პერმანენტული ზრდა იყო 2014-2015 წლებში.

აღნიშნული ინდიკატორი საკმაოდ ცვალებადი და არაპროგნოზირებადი ცვლადია, რადგან მასზე ზემოაღწერილ ფუნდამენტურ ფაქტორებთან ერთად (რომლებიც გრძელვადიან გარემოს ქმნიან) სხვა, ქვეყნის გარეთ არსებული ფაქტორებმაც შეიძლება იმოქმედონ. ასევე რადგან პირდაპირი ინვესტიცია ფინანსური კატეგორიაა და არ წარმოადგენს ინვესტიციას განხორციელებულს მხოლოდ ფიქსირებულ აქტივებში, მისი დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობაც საერთაშორისო მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში და სტანდარტებში თავსდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა 2012-2020 წლებში

.

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020 წინასწარი მონაცემი
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მლნ. ლარი	1048,2	1039,2	1837,0	1728,8	1652,6	1978,3	1306,3	1310,8	719

წყარო: *Geostat.ge*

2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა დაფიქსირდა დამამუშაველი მრეწველობის, სამთომოპოვებითი მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების და სოფლის მეურნეობის სექტორებში.

2020 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 32,9 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე ენერგეტიკის სექტორია (12,5 პროცენტი), მესამეზე მშენებლობის სექტორი 157.2 მლნ. აშშ დოლარით (11,7 პროცენტი), ხოლო მეოთხე ადგილზე სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორი (11.6 პროცენტი).

თუ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით ვიმსჯელებთ სურათი ასეთია საფინანსო სექტორი - $94,89 მილიონი, ზრდა წინა წელთან 96%;. უძრავი ქონება - $34,01 მილიონი, კლება წინა წელთან -127%; ტრანსპორტი და კავშირ-გაბმულობა - $19,13 მილიონი, კლება წინა წელთან -51%; სასტუმროები და რესტორნები - $15,75 მილიონი, კლება წინა წელთან -76%; სამთომოპოვებითი მრეწველობა - $10,41 მილიონი, ზრდა წინა წელთან 22%; მშენებლობა - $7,70 მილიონი, კლება წინა წელთან 0%; დამამუშავებელი მრეწველობა -

$4,47 მილიონი, კლება წინა წელთან -76%; ჯანდაცვა და სოციალური დახმარება - $3,51 მილიონი, ზრდა წინა წელთან 354%; სოფლის მეურნეობა, თევზჭერა - $-1,02 მილიონი, კლება წინა წელთან -133%; ენერგეტიკა - $ -26,45 მილიონი, კლება წინა წელთან -154%;

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი დარგი როგორიცაა სატელეკომუკნიკაციო სფერო, სწორედ ტექნოლოგიურ სიახლეებზეა დაფუძნებული და საკმაოდ წარმატებულიც. თუმცა ყოველწლიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში ის მნიშვნელოვან ადგილს არ იკავებს (4,5 % 2020 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით.

საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი კომპანიებია: აიდიეს ბორჯომი საქართველო, შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი; შპს მაგთიკომი; სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური; სს RMG Copper; BP ჯგუფი; შპს ტოიოტა კავკასია; შპს აჭარ ენერჯი-2007; შპს სითი ლოფტი; შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი;; სს ნენსკრა ჰიდრო (შენიშვნა: სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ გასცემს ინფორმაციას თუ კონკრეტულად რა მოცულობის ინვესტიცია განახორციელეს აღნიშნულმა კომპანიებმა).

საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს ეკონომიკის რეალურ სექტორში ხარისხობრივი ინვესტიციების მოზიდვა, ინვესტიციების მაღალტექნოლოგიურ დარგებში განხორციელება და ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერი წარმოადგენს. მთავრობა გარკვეულ ნაბიჯებს დგამს ინვესტიციების მაღალი დამატებული ღირებულების მქონე სექტორებში მოსაზიდად, რაც ხელს შეუწყობს წმინდა ექსპორტით განპირობებული ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას და საგარეო მოწყვლადობის შემცირებას. „აწარმოე საქართველოში“ წარმოადგინა 2020-2021 წლის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განახლებული სტრატეგია. სტრატეგიის მიხედვით პრიორიტეტული სექტორებია სასტუმრო და უძრავი ქონება, ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ელექტრონული მოწყობილობების კომპონენტები და ავტო და თვითმფრინავების ნაწილების წარმოება. სახელმწიფო მომდევნო რამდენიმე წელში იმედოვნებს, რომ მოიზიდავს 225 მლნ. აშშ

დოლარის ინვესტიციას, 7-10- მსხვილი და 16-20 საშუალო ზომის პროექტის განხორციელებას. გარდა ამისა, სააგენტო აპირებს, საგრანტო პროგრამის ამოქმედებას, რომლის შედეგადაც კომპანიებს აუნაზღაურდებათ მუშა-ხელის გადამზადებაზე გაწეული ხარჯები.

პრიორიტეტების გამოყოფა და რესურსების მიმართვა წინასწარ შერჩეულ კომპანიებზე სწორი გადაწყვეტილებაა, რომლის შედეგიც შეიძლება იყოს ზოგიერთი წარმოების დაინტერესება საქართველოთი. ამასთან, ტრეინინგების ხარჯების სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება დაეხმარება ბიზნესს კადრების უნარების ამაღლებაზე მიმართოს ძალისხმევა. თუმცა სააგენტოს მიდგომა მოკლე-ვადიან შედეგებზეა გათვლილი და არასაკმარისია მაღალტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარებისთვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოკლევადიან სტრატეგიასთან ერთად აუცილებელია გრძელვადიანი ხედვა, რომლის საკვანძო ელემენტებია პრიორიტეტული სექტორის შერჩევა, განათლების პოლიტიკის მკაფიო ორიენტაცია ამ სექტორზე და საერთო სტრატეგიასთან თავსებადი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ამ გაგებით, სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს უფრო მეტად აქტიური და სინერგიული.

შექმნილია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA), რომლის მისიაა საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში, ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნა და ქვეყნის მასშტაბით მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სააგენტო ახორციელებს პროგრამებს, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- IT Hub ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ახალი პროგრამა, რომლის მიზანია: მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა, კვალიფიციური კადრების რაოდენობის გაზრდა, ტექნოლოგიური მეწარმეობის შესაძლებლობების გამლიერება და ადამიანური კაპიტალის განვითარება.

- ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის (TTPP) მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც პასუხობს საჭიროებებს.

- სტარტაპ მეგობრული, რომლის მიზანია ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინოვატორების და სტარტაპების სწრაფი განვითარების ხელშესაწყობად. რაც გულისხმობს, ისეთი კომპანიების მოძიებას, რომელთაც შეუძლია სტარტაპებისთვის სპეც პროდუქტის შეთავაზება, ხოლოდ მეორე მხრივ სტარტაპების გაფილტვრას და იმის უზრუნველყოფას რომ პროგრამას ყავდეს გამიზნული, სწორად შერჩეული ბენეფიციარები.

GITA-ს ინფორმაციით, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს <u>ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების</u> ფარგლებში *(სააგენტოს მიერ გაცემული მიზნობრივი გრანტი გამარჯვებული საპროექტო წინადადების ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, რაც შეადგენს არანაკლებ 150 000 ლარს და არაუმეტეს 650 000 ლარს)* სტარტაპების მიერ მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ინვესტორებთან გაფორმებული კონტრაქტების შესაბამისად, შეადგენს 5 190 000 ლარს. აგრეთვე, სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების (რომელიც მოიცავს როგორც <u>თანადაფინანსების გრანტებს სტარტაპებისთვის</u>, ისე <u>ინოვაციების თანადაფინანსების გრანტებს</u>) გამარჯვებული სტარტაპ კომპანიების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად, მათ მიერ დამატებით მოზიდული უცხოური ინვესტიციების ჯამური ოდენობა შეადგენს 3 039 000 ლარს.

საქსტატის მონაცემების მიხედვით 2019 წლის განმავლობაში, საწარმოთა 3.0 პროცენტმა ბაზარზე შემოიტანა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი, ხოლო იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში დანერგეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება, განისაზღვრა ასევე 3.2 პროცენტით. საქონლისა და მომსახურების ინოვაციები უმეტეს შემთხვევაში საწარმოების მიერ დამოუკიდებლად იყო შემუშავებული (შესაბამისად 58.2

პროცენტი და 41.7 პროცენტი). სხვა შემთხვევებში ამ კუთხით მათ მხარდაჭერა მიიღეს სხვა საწარმოებისგან ან დაწესებულებებისაგან. განხორციელებული ინოვაციების 51.9 პროცენტი ახალი იყო საწარმოებისთვის, ხოლო 48.1 პროცენტი - სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის (*Geostat.ge.*).

საწარმოთა ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში შედარებით მაღალი წილითაა გამოხატული ისეთ სფეროში, როგორიცაა მანქანა - დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა - 19.3 პროცენტი. საკმაოდ მაღალი წილი ჰქონდა დიზაინს (14.6 პროცენტი), ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებულ სწავლებას (13.1 პროცენტი), ინოვაციების შეტანას ბაზარზე (12.8 პროცენტი), აგრეთვე საკუთარ კვლევებსა და დამუშავებებს (12.5 პროცენტი):

საწარმოთა ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში 2019წ.



წყარო: *Geostat.ge*

ტექნოლოგიური და ინოვაციური სფეროს ზრდის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ *ინოვაციების გლობალური ინდექსის* მიხედვითაც. ინოვაციების გლობალური ინდექსი 2012 წლიდან

ყოველწლიურად ქვეყნდება. ინდექსი გამოხატავს ინოვაციების მიმართულებით მსოფლიო ტენდენციებს. იგი ამავდროულად ეხმარება და რჩევებს აძლევს ქვეყნებს, თუ რა არის საჭირო ინოვაციების განსავითარებლად აუცილებელი გარემოს შესაქმნელად, წარმოაჩინოს ის მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია გრძელვადიანი ზრდის, პროდუქტიულობისა და სამუშაო ადგილების ზრდის მიღწევა.

ინოვაციების ინდექსი ორ ქვეინდექსს მოიცავს: ინოვაციების დანახარჯები (innovation input) და ინოვაციური პროდუქცია, რითაც დგინდება ინოვაციური ეფექტურობის კოეფიციენტი (innovation output). ინოვაციების დანახარჯების ქვეინდექსი პირველი ხუთი ინდიკატორის (ინსტიტუტები, ადამიანური კაპიტალი/კვლევა, ინფრასტრუქტურა, ბაზრისა და ბიზნესის განვითარება) საშუალო ქულაა. ინოვაციური პროდუქცია კი ბოლო ორი ინდიკატორის (შემოქმედებითი პროდუქცია და ცოდნა და ტექნოლოგიის წარმოება) საშუალო მაჩვენებელია.

თითოეული ქვეყანა შვიდი კრიტერიუმის მიხედვით ფასდება:

1. ინსტიტუტები/ინსტიტუციური მოწყობა;

2. ადამიანური კაპიტალი და კვლევა;

3. ინფრასტრუქტურა (სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და ეკოლოგიური მდგრადობა);

4. ბაზრის განვითარება (market sophistication) (ბაზრის პირობები და სავაჭრო ოპერაციების ოდენობა);

5. ბიზნესის განვითარება (business sophistication) (რამდენად უწყობენ კომპანიები ხელს ინოვაციებს);

6. ცოდნა და ტექნოლოგიის წარმოება (knowledge and technology outputs) (ცოდნისა და ტექნოლოგიის როლი გამოგონებებისა და ინოვაციების შექმნაში);

7. შემოქმედებითი წარმოება (creative outputs) (აფასებს შემოქმედებითობის როლს ინოვაციებში).

ინოვაციების მაჩვენებლების მიხედვით 2020 წლის მონაცემებით ჩვენი ქვეყანა 63 - ე ადგილს იკავებს, 131 ქვეყანას შორის. 2019 წელს ეს ინდიკატორი საგრძნობლად გაიზარდა წინა წელთან შედარებით (2018 წელს 35.00, ხოლო 2019 წელს კი 37.00 იყო). სამწუხაროდ ინდექსი შემცირდა 2020 წელს და იგი

მიმდინარე წლისათვის 31.80-ია, ეს გარკვეულწილად უკავშირდება მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც კოვიდ-19 გავრცელებას.

გლობალური ინოვაციების ინდექსის მნიშვნელობა და რანგი საქართველოსთვის

	2012	*2013*	*2014*	*2015*	*2016*	*2017*	*2018*	*2019*	*2020*
ინდექსის მნიშვნელობა	34,3	35,6	34,5	33,8	33,9	34,4	35	37	31,8
ინდექსის რანგი	71	73	74	73	64	68	59	48	63

წყარო: https://www.globalinnovationindex.org

როგორც ამ მაჩვენებლის დინამიკის ანალიზიდან ჩანს ქვეყანაში ინოვაციურობის ზრდის თვალსაზრისით სერიოზული და არსებითი გარდატეხა არ მომხდარა. არსებული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ესაჭიროება კვლევებისა და ინოვაციების წახალისება, განათლებაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, კერძო სექტორის გააქტიურება ინოვაციების გამოყენებაში, დანერგვასა და შექმნაში, და ინოვაციური პროდუქტების შექმნის/წარმოების წახალისება.

საქართველოში ვერტიკალური ინვესტიციები ჭარბობს ჰორიზონტალურს, შესაბამისად, ჩვენი პრობლემა ინვესტიციების მხრივ, პირველ რიგში ხარისხშია და არსებული რაოდენობრივი მზარდი სტატისტიკა ნათლად არ ასახავს რეალურ ცვლილებებს. ტექნოლოგიების დანერგვა ქვეყანაში ფაქტიურად არ ხდება. ასევე ნაკლებად პოზიტიური ეფექტი აქვს FDI-ს მუშახელის კვალიფიკაციის დონის ზრდაზე. მაგალითად, ისეთ ტექნოლოგიურად განუვითარებელ ქვეყნებში, როგორიცაა კამბოჯა ან ბანგლადეში, ვერტიკალურ FDI-ს, ტექნოლოგიების მხრივ შესაძლებელია ჰქონდეს დადებითი შედეგი, რადგან, ეს ქვეყნები, ტექნოლოგიურად ბევრად ჩამორჩენილები არიან. თუმცა საქართველოში, სადაც ტექნოლოგიური დონე და ინდუსტრიული განვითარების გამოცდილება ზემოთხსენებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია, ვერტიკალური FDI-დან ამ კატეგორიებში, სარგებელი თითქმის არ რჩება, ვინაიდან ინვესტორებს არანაირი მიზეზი არ აქვთ, რომ განავითარონ ტექნოლოგიები და მუშახელის

კვალიფიკაციის დონე არსებულზე მეტად გააუმჯობესონ, რადგან ისინი, ხარჯების ოპტიმიზაციაზე არიან ორიენტირებულნი.

4. დასკვნა

თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. ქვეყნისათვის, მისი ეკონომიკის სხვადასხვა დარგისათვის მრავალი დადებითი ეფექტის მოტანა შეუძლია როგორც პირდაპირი (ვერტიკალური გადადენის ეფექტი), ასევე არაპირდაპირი (ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი) გზით. ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში საქართველოს ადგილი იმას ნიშნავს, რომ ინოვაციების განვითარების მიმართულებით გარდამტეხი ცვლილებები არ მომხდარა. ქვეყანას რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა აქვს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ინოვაციების განვითარებაში მნიშვნელოვანი პროგრესის მისაღწევად.

პროგრესის მისაღწევად საჭიროა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას განათლებისა და კვლევის განსავითარებლად. ასევე, სასურველია, კერძო ბიზნესის მეტი აქტიურობა ამ პროცესში, რაც ბიზნეს კონკურენციის ხელშეწყობითა და ინოვაციების დასანერგად წამახალისებელი ღონისძიებების გატარებითაა შესაძლებელი.

მაღალტექნოლოგიური კლასტერის განვითარება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, პრიორიტეტული სექტორისა და განათლების პოლიტიკის მეშვეობით საქართველოს კონტექსტში, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, უაღრესად საინტერესო სტრატეგიაა. მაღალტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიის შემთხვევაში ძირითადი გამოწვევაა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და პროდუქტიული ცოდნის გადადინება. ტექნოლოგია არ არის მხოლოდ ტექნიკა (მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები) ან კოდები (რეცეპტი, ფორმულა, ალგორითმი, გზამკვლევი) არამედ, უპირველესად, ეს არის პროდუქტიული ცოდნა, რომლის შეძენა რთულია და დიდ დროს მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) გაანგარიშების მოკლე მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში (საქსტატი 2019 წ)

2. L. Totladze. The Impact of Government Expenditure on Education and R&D as Factor of Homan Capital on Economic Growth. International cientific Analitical Journal "Ekonomiti" 2020, #2. ISSN 1987-6890 https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.02.TOTLADZE

3. ლ. თოთლაძე, მ. ხუსკივაძე. Covid-19 გავლენა პირდაპირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები". თბილისი 2020. http://ekonomisti.tsu.ge/doc/2020konf.saboloo.pdf

4. GHERIBI E., VOYTOVYCH N. Prospects of Foreign Direct Investments in Technology Transfer. *Economic and Environmental Studies. Vol. 18, No 2 (46/2018).* ISSN 2081-8319. *Available at: www.ees.uni.opole.pl*

5. Global Inovation Index 2020. Cornell University, INSEAD, and the World Intellectual Property Organization (WIPO), 2020. Avelable at: https://www.globalinnovationindex.org

6. Foreign direct investment, the transfer and diffusion of technology, and sustainable development. United Nations Conference on Trade and Development. UNCTAD, 2010;

7. www.Geostat.ge

Lia Totladze
Tamar Tapladze

THE ROLE OF DIRECT FOREIGN INVESTMENTS IN THE DISSEMINATION OF INNOVATIONS IN GEORGIA

Summary

In the work the role and significance of direct foreign investments in the dissemination of innovations in Georgia are considered.

ქეთევან ქველაძე

ინოვაციების გავრცელების პრობლემები საქართველოს ტურიზმში

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემას, როგორიცაა ინოვაციები და მათი გავრცელება საქართველოს ტურიზმში. განხილულია ტურისტული ინოვაციების გავრცელების სტრატეგია და გავრცელების გზების შერჩევის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები. შესწავლილია ტურიზმში ინოვაციების გავრცელების გზების ფორმირება, ფუნქციონირება და კონტროლი, რომელიც ითვალისწინებს არსებული ღონისძიებების სისტემურ შეფასებას, მისი ეფექტურობის გზების დასახვასა და კორექტირების ღონისძიებათა შემუშავებას. ნაშრომში განხილულია საქართველოში ინოვაციური ტურისტული პროექტების შექმნისა და განხორციელების ზოგადი ასპექტები; შესწავლილია რეგიონებში მათი დანერგვის გზები, რომელიც მოიცავს ასევე რეგიონული ინოვაციური ცენტრების, სტარტაპების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს როგორც ქალაქებში, ისე მუნიციპალიტეტებში არსებული უდიდესი ტურისტული რესურსების და მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას.*

გამახვილებულია ყურადღება კორონავირუსის პანდემიით წარმოშობილი ეკონომიკური კრიზისებისა და შოკების დაძლევის პირობებში ტურიზმის ინოვაციების გავრცელების მექანიზმების, ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების აუცილებლობაზე როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, ინოვაციების გავრცელება, რეგიონული განვითარება, ტუროპერატორი, ციფრული ტექნოლოგიები, კოვიდ-19, პროექტები.*

* * *

ინოვაციური საქმიანობა ტურიზმის სფეროში მიმართულია ახალი პროდუქციის შექმნაზე ან არსებულის გაუმჯობესებაზე, სატრანსპორტო, სასტუმრო და სხვა

მომსახურებების სრულყოფაზე, ახალი ბაზრების ათვისებაზე, მოწინავე საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საორგანიზაციო-მმართველობითი საქმიანობის თანამედროვე ფორმების დანერგვასა და გავრცელებაზე. ტურიზმის სფეროს ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია მომსახურებათა კონკურენტუნარიანობა, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ინოვაციური საქმიანობის დონესთან თითოეულ სერვისულ საწარმოში. ინოვაციური პროცესი მოიცავს ციკლს სამეცნიერო-ტექნიკური იდეის დამუშავებიდან მის რეალიზაციამდე, კომერციალიზაციაზე და გავრცელებაზე, რომელიც ხდება როგორც კომერციული ფორმით, ასევე საფასურის გარეშეც.

ტურიზმის სფეროში საქონლის და მომსახურებათა გავრცელების სისტემაში ერთ-ერთი ძნელი გადაწყვეტილებაა იმ შუამავლების შერჩევა, რომლებიც აკავშირებენ ტურისტული საქონლის და მომსახურებათა მომხმარებლებს მათ მწარმოებლებთან (ავიაკომპანიები, ოტელები, ავტომობილების არენდის ფორმები და სხვ.). ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება ზემოქმედებს მარკეტინგული კომპლექსის სხვა ელემენტებზე. ბაზრის ამერიკელმა მკვლევარებმა, რომლებიც შეისწავლიან ტურიზმში შუამავლებს, განსაზღვრეს საქონლის და მომსახურებათა გავრცელების გზების 3 კატეგორია: ტუროპერატორები, ტურაგენტები და გავრცელების სპეცარხები, ასევე მათი ძირითადი რგოლი – ტურისტები; ტურმომსახურების მწარმოებლები; საცალო ტურსააგენტოები. სპეცარხებში ითვლება წამახალისებელი ტურფირმები, პირები, რომლებიც გეგმავენ შეხვედრებს და კონფერენციებს, ოტელების წარმომადგენლები, კორპორაციული ტურბიუროები და სხვ..

შუამავლებმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ იმაზე, როდის, საით და როგორ მოგზაურობენ ადამიანები. გარკვეულწილად ისინი აკონტროლებენ ბიზნესის რა პროცენტს იღებენ ავიაკომპანიები, ოტელები, კრუიზული კომპანიები ან ავტომობილების საარენდო ფირმები. 3 ძირითადი კატეგორიის შუამავალთა შორის გვხვდება სხვადასხვა კომბინაციები, რომელთა შედეგს წარმოადგენს გავრცელების არხების ფართო კონფიგურაცია.

ტურისტული საწარმოს გავრცელების სტრატეგია შემუშავდება ამ საწარმოს მარკეტინგის საერთო სტრატეგიის საფუძველზე ყველა სხვა მისი კომპონენტის გათვალისწინებით (პროდუქტი, ფასი, კომუნიკაცია).

გავრცელების გზების (ითვალისწინებს გავრცელების როგორც შიდა და გარე არხების, ასევე მათ კომპლექსურ გამოყენებას) შერჩევის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს: ტურისტული პროდუქტის დანერგვის და რეალიზაციის პროცესის კონტროლი, ასევე მასთან დაკავშირებული ფინანსური და საინფორმაციო ნაკადების; არხის მოქნილობა, ადაპტირების შესაძლებლობა მომხმარებლის მოთხოვნილებასთან.

ტურიზმში გავრცელების გზების უმეტესობა იგება ვერტიკალური მარკეტინგული სისტემის პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს არხის მონაწილეთა შორის ისეთ ურთიერთობებს, როცა მწარმოებელი და შუამავლები მოქმედებენ როგორც ერთიანი სისტემა. ეს ქსელი აერთიანებს ფილიალებს, წარმომადგენლობებს სხვადასხვა რეგიონებში, რაც ხელს უწყობს ტურპროდუქტის უფრო სწრაფ და ეფექტურ მიყვანას საბოლოო მომხმარებლამდე. ასეთი სისტემის შექმნა შეუძლია მხოლოდ მსხვილ კომპანიას, რადგანაც მისი შენახვა ძალიან ძვირი ჯდება. მაგ., არსებობს ასეთი TEZ TOUR, რომლის შემადგენლობაში შედის 20-ზე მეტი საერთაშორისო კომპანია.

ქართულ ტურისტულ ბაზარზე გამოიყოფა ტურპროდუქტის რეალიზების 2 ძირითადი ფორმა: ტუროპერატორის და ტურაგენტების მეშვეობით.

ტუროპერატორის მოქმედების სპეციფიკა შედგება ძირითადი და დამატებითი ტურმომსახურებათა შექმნით და კომბინირებით, მათი წინასწარი დაგეგმვით და სტანდარტიზაციით. ბაზარზე ტუროპერატორის ფუნქციები შეიძლება შევადაროთ საბითუმო ვაჭრობის საწარმოს ფუნქციონირებას: იგი ბითუმად ყიდულობს მომსახურებას (სასტუმროების, ტრანსპორტის, საექსკურსიო ბიუროების, კვების ობიექტების და სხვ.) და მათი კომბინირების გზით ადგენს საკუთარი ტურების პროგრამებს.

ტურაგენტები თეორიულად განსხვავდებიან ტუროპერატორებისაგან იმით, რომ გამოდიან როგორც შუამავლები საბითუმო გაყიდვების პროგრამების პაკეტების გაყიდვების დროს როგორც ოპერატორების, ასევე მომწოდებლების მხრიდან. ტურისტული პროდუქციის გასაღებასთან ერთად, ტურსააგენტოების მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს კლიენტისათვის სრული და სანდო ინფორმაციის მიწოდება მის მიერ შეძენილი ტურპროდუქტის შესახებ, კონსულტაცია მომავალი მოგზაურობის მიზნის შესახებ.

პრაქტიკულად, საწარმო შეიძლება ერთდროულად იყოს ტურსააგენტოც და ტუროპერატორიც. ქართველი ტუროპერატორები, მაგ., ხშირად თვითონ უშუალოდ არ ქმნიან ტურპროდუქტს, არამედ უცხოელი პარტნიორის პროდუქტს ამატებენ სატრანსპორტო, სადაზღვეო მომსახურებას, ამის გამო ისინი წარმოადგენენ უცხოელი ტუროპერატორის ტურაგენტებს. მაგრამ არსებობს საშუალო და მცირე ფირმები, რომლებიც საკუთარ პროგრამებს ამუშავებენ. მათ ხელეწიფებათ მუშაობა როგორც ტუროპერატორს ბაზრის ცალკეულ, ვიწრო სეგმენტებში.

ბევრი მსხვილი ტუროპერატორის საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით იდება კონტრაქტები რეგიონალ ტურსააგენტოებთან. შექმნილ ვითარებაში ტუროპერატორს უძნელდება საკუთარი მარკეტინგული კონცეფციის რეალიზება, რადგანაც ტურსააგენტოს, რომელიც ყიდის ათეულობით ფირმის ტურებს, არ შეუძლია თითოეული მათგანის მარკეტინგული კონცეფციის რეალიზაცია. ამიტომ ტუროპერატორები მიმართავენ ე. წ. ფრანჩაიზინგს. ეს არის საბაზრო სუბიექტებს შორის ურთიერთობათა სახეობა, როცა ცნობილი კომპანიის ერთი მხარე (ფრანჩაიზერი) გადასცემს მეორე მხარეს (როგორც წესი საშუალო და მცირე საწარმო) ანაზღაურების ფასად უფლებას ბიზნესის რაღაც სახეზე, ნოუ-ჰაუს, სავაჭრო მარკის, საკონსულტაციო ხელშეწყობის, პერსონალის სწავლების ჩათვლით, და იყენებს მისი მართვის შემუშავებულ ბიზნესმოდელს. ამგვარი თანამშრომლობის ფორმა მინიმუმამდე ამცირებს რისკებს ბაზარზე გასვლის დროს. ბიზნესის წარმოების ამგვარი ფორმა დასავლეთში გახდა ბევრი ცნობილი

ტურსაწარმოს: «Hilton», «Sheraton», «Holiday Inn», «TUI», «Carlson», «Wagon Lit» ძირითად კონცეფციად. საერთაშორისო პრაქტიკაში სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციების გაცვლა-გამოცვლის და გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა ასევე ლიცენზიე-ბის გაყიდვა. ლიცენზიური ხელშეკრულება ითვალისწინებს ლიცენზიის სახეობას (საპატენტო, უპატენტო, მარტივი, განსაკუთრებული, სრული, სავალდებულო), ტექნოლოგიების გამოყენების მოცულობა და სახეობა (მარტივი, განსაკუთ-რებული, სრული), საწარმოო სფერო, ტერიტორიული საზღვრები, ლიცენზიის გამოყენების ვადა და საფასურის გადახდის ფორმები (სალიცენზიო გადასახადის ფორმებია: პაუშალური, მოგებაში მონაწილეობა, წილი საკუთრებაში).

ინოვაციების პროცესების დაჩქარების ერთ-ერთი მეთოდია ლიზინგი (ფინანსური არენდა). ლიზინგს შეიძლება დაექვემდებაროს ის საგნები, რომლებიც მათი გამოყენების პროცესში არ კარგავს თავის ნატურალურ სახეს. ლიზინგით გადახდა ხდება ნაწილობრივ, გარკველი პერიოდის განმავლობაში. ონლაინ ტრანსაქციების გამოყენება საშუალებას აძლევს ტურისტულ კომპანიას, მოიზიდოს ახალი აუდიტორია და მოიცვას ბევრად უფრო დიდი ტერიტორიები, ასევე დაზოგოს დრო კლიენტებთან მუშაობისას.

ტურიზმის სფერო იდეალურად არის მისადაგებული თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან. დღეს ევროპული ტუროპერატორების 36%, ტურსააგენტოების 40% გვთავაზობს ტურების ონლაინ ბრონირებას. ევროპაში სასტუმროების პირდაპირი დაბრონვისას ჩანს ტენდენცია შუამავლების გამოყენების გარეშე. ამასთან, ინტერნეტმა გარდა ინტერაქტივობისა, სიჩქარისა და უსაზღვრო ხელმისაწვ-დომობისა, შექმნა ისეთი ინოვაციური და პარადოქსული მოვლენის გაჩენის წინაპირობა ტურიზმში, როგორიცაა "ვირტუალური ტურიზმი", "ვირტუალური ექსკურსიები", 3D ექსკურსიები, 3D პანორამები, 3D ტურები. "ვირტუალური ტურიზმი" პარადოქსულია, რადგანაც არ შეესაბამება ტურიზმის კლასიკურ გაგებას, წარმოადგენს დასვენების პასიურ ფორმას მოგზაურობის ადგილმდებარეობის შეუცვლელად, ფეხისმოუცვლელად. თანაც იგი 24 საათი გრძელდება. რაც

მთავარია, 3D ექსკურსია არ ითხოვს დანახარჯებს, ასევე იძლევა საშუალებას, აქტიურად მიიღო მონაწილეობა პროცესში, იმოგზაუროს ინვალიდმა ადამიანმა, მიიღო მაქსიმალური ინფორმაცია ობიექტზე და დეტალურად გაეცნო მას (ერთადერთი მინუსი ალბათ არის ნაკლები ადამიანური ემოცია, გარშემომყოფ ადამიანთა აღტაცების გათავისება).

ტურიზმის მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება "თერმო-პლანის" ტიპის საფრენი აპარატები. საბერძნეთის სასტუმროთა ნომრები აღჭურვილია მომსახურების ავტომატიზებული სის-ტემით - ნომერში შესვლისთანავე კლიენტს ესალმება ხმა და ჩამოუთვლის ყველა შესაძლო მომსახურებათა სიას და ა.შ..

დღეს გაჩდნენ ვირტუალური შუამავლები - სასტუმროთა, ავიაკომპანიების, ტურისტული ფირმების საიტები. ეს საშუალებას აძლევს ტურისტს, უშუალოდ, ტურისტული ფირმის დახმარების გარეშე მიიღოს საჭირო ინფორმაცია და შეუკვეთოს სასურველი მომსახურებები. აშშ-ში ტურისტების 60%-ზე მეტი სარგებლობს ინტერნეტმომსახურებით.

თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უწყობს E-ტურიზ-მისა და E-მოგზაურობათა დანერგვას. E-ტურიზმი - ეს არის ონლაინმომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტულ მომსახურებათა პიდაპირ მიყიდვას მომხმარებლისათვის და აერთიანებს მწარმოებელს, ტურაგენტებს და შუამავლებს.

E-მოგზაურობა - ეს ონლაინ საინფორმაციო სამსახურია, რომელიც აწარმოებს იმ ყველა საკითხზე კონსულტაციას, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ტურისტული მოგზაურობის დაგეგმვისას. ტურისტული საინფორმაციო სისტემები ემსა-ხურებიან და უწევენ საინფორმაციო მხარდაჭერას ორგანი-ზაციებს, რომლებიც აწარმოებენ E-ტურიზმს და E-მოგზაურობებს. აქ მიღებული ინფორმაცია შეიძლება გახდეს ამომავალი წერტილი მოგზაურობის დაგეგმვისათვის, ფასების შედარების და ტურების დინამიკური კომპონოვკისათვის.

ტურის დინამიკური კომპონოვკა - (პეკიჯ-ტური) - იძლე-ვა საშუალებას, რეალური დროის მასშტაბით, მომხმარებლის ან აგენტის მოთხოვნით (ვინც ყიდის მომსახურებას) შედგეს მგზავრობის სხვადასხვა კომბინაცია ყველა იმ სერვისის ჩათვლით, რასაც ტური ითვალისწინებს. მოგზაურები თვითონ

ირჩევენ ტრანსპორტის სახეობებს, რეისებს, სასტუმროს ტიპებს, ექსკურსიის სახეობებს.

დღეისათვის მოქმედებს ალიანსი The Travel Industry's Leading Specifications Publication Organization (OTA), რომელშიც შედის ტურისტული სფეროს 150 ორგანიზაცია. ალიანსი კომერციული ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს ერთიანი ელექტრონული ენის შესაქმნელად ტურისტულ ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლისათვის. ცოტა ხნის წინ ალიანსმა ხელშეკრულება დაუდო მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციას.

ჩვენი ქვეყნისათვის, ისევე, როგორც სხვა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საქმიანობაში, ინოვაციური განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს. საქართველოში ტურისტული სუბიექტების არათანაბარი და არასაკმარისი განვითარების გამო ჩნდება რეგიონული ინოვაციური განვითარების პროექტების შექმნის ამოცანა. ამგვარი პროექტები იქმნება გარკვეულ ტერიტორიებზე ტურიზმის ტრადიციული დარგების ბაზაზე. ამასთან, საქართველოს ინოვაციური განვითარების დონე საერთაშორისო ორგანიზაცია The Global Innovation Index-ის მონაცემებით არცთუ ისე მაღალია. თუმცა 2019 წლის მონაცემებით, საქართველო 48-ე ადგილს იკავებდა და წინა წელთან შედარებით მაჩვენებელი 11 საფეხურით გაუმჯობესდა[54], რაც განაპირობა ინოვაციების განვითარებისა და გავრცელების მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ გარდამტეხი ღონისძიებების განხორციელებამ.

საქართველოში ბოლო ათწლეულში ყოველწლიურად მზარდია ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები. ტურიზმი საქართველოს მშპ-ს დაახლოებით 11,5%-ს აწარმოებს. 2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 9,4 მილიონს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 7.8%-ით მეტია. ტურიზმმა 2019 წელს თითქმის 3.5 მილიარდი აშშ დოლარის მოგება მოიტანა, რაც 1,4%-ით (46,6 მლნ დოლარით) აღემატება წინა წლის

[54] Глобальный индекс инноваций 2019
www.globalinnovationindex.org ›gii-full-report-2019

ანალოგიურ მაჩვენებელს და დარგში 170 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული და იგი მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. თუმცა 2020 წელს კორონავირუსის პანდემიამ განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ტურისტულ მეურნეობას. მიმდინარე წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი კლებაა მოსალოდნელი. ამ მოვლენასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების ძირითადი ნაწილი ქვეყანაში 2020 წლის მარტის მეორე ნახევრიდან ამოქმედდა, კერძოდ, 18 მარტიდან სრულიად შეწყდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უცხო ქვეყნების მოქალაქეთა შემოსვლა. 2020 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ, თებერვალში საერთაშორისო მოგზაურობის აკრძალვების შედეგად, ქვეყანაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 5,2%-ით, მარტში - 69,8%-ით, აპრილში _ 96,8%-ით და მაისში - 96,6%-ით შემცირდა, და მხოლოდ 9,1 მლნ დოლარი შეადგინა (ეს მაშინ, როცა წინა წლის მაისში აღნიშნული მაჩვენებელი 270 მლნ დოლარს აჭარბებდა) [22]. 2020 წლის ბიუჯეტი ტურიზმის განვითარებაში 20 მლნ ლარით შეცირდა, მაშინ, როდესაც 2019 წელს თითქმის 51,9 მილიონი ლარი იხარჯებოდა ამ მიმართულებით [21].

თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საფუძვლის შექმნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება - ტურიზმის დარგში ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და მათი გავრცელების ხელშეწყობაა. ჯერ კიდევ 2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, რომლის მიზანია ქვეყანაში ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა; ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების, გავრცელების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში, მათ შორის ტურიზმში; ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების

ექსპორტის ზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნა და ქვეყნის მასშტაბით მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარება.

დღესაც, სააგენტო მისიის ეფექტური შესრულების მიზნით პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრავს ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრქტურის განვითარებაში ინვესტირებას, რაც გამოიხატება ტექნოპარკების, ინოვაციების ცენტრებისა და სამრეწველო ლაბორატორიების გახსნაში. ინოვაციების სააგენტო ახორციელებს სტარტაპების დაფინანსებისა და ბიზნესის განვითარებისკენ მიმართულ სხვადასხვა პროგრამებს, სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტებს სთავაზობს, დაინტერესებულ პირებს ასევე სთავაზობს სხვადასხვა უფასო მომსახურებასაც. სააგენტო ტექნოპარკთან ერთად მოიცავს როგორც საერთო სამუშაო სივრცეს, ასევე სამრეწველო ინოვაციების უნივერსალურ ლაბორატორიას FABLAB-ს, საკონფერენციო დარბაზს, შეხვედრების ოთახებსა და სარეკრეაციო ზონას.

თბილისის გარდა ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები შექმნილია ზუგდიდში, თელავში, ახმეტასა და რუხში, ბათუმში, კასპში, გურჯაანში, ხარაგაულში, ჭოპორტსა და ბაღდათში. რეგიონების ტექნოპარკები და ინოვაციების ცენტრები აღჭურვილია ყველა იმ სერვისითა და მომსახურებით, რომელსაც თბილისის ტექნოპარკი სთავაზობს მომხმარებელს.

რეგიონებში ინოვაციების ცენტრებისა და ტექნოპარკების გახსნის მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებსა და ადგილობრივ მთავრობას, მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციებისა და ტექნოლიგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით.

აღნიშნული სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ასევე ციფრული აბრეშუმის გზის პროექტში საქართველოს ჩართულობას და მონაწილე ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ტურიზმის მიმართულებით. ამჟამად გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) ოპერირებას უწევს აბრეშუმის გზის პროგრამას „ერთი სარტყელი - ერთი გზა“, რომელიც,

საქართველოს ჩათვლით, 33 სახელმწიფოს აერთიანებს და რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აბრეშუმის გზის პროგრამის განვითარებაში. საქართველომ, როგორც ციფრული აბრეშუმის გზის პროექტის განხორციელებაში მონაწილე ერთ-ერთმა ქვეყანამ, 2018 წელს მუშაობა დაიწყო უმნიშვნელოვანეს პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს აბრეშუმის გზის ერთიან ციფრულ ბაზართან ჰარმონიზებას. პროექტის მიზანია, საქართველომ, როგორც თანამედროვე აბრეშუმის გზის ეპიცენტრში მდებარე სახელმწიფომ, დააჩქაროს განვითარება ციფრული მიმართულებით, მოახდინოს ტურიზმის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ახალი იდეების გენერირება და აბრეშუმის გზის ქვეყნებში საქართველოს ისტორიული როლისა და აბრეშუმის გზის გლობალურ ტურისტულ რუკაზე ახლებურად წარმოჩენა.

თავისი მისიის ეფექტურად შესასრულებლად სააგენტო პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრავს ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრქტურის განვითარებაში ინვესტირებას და, ასევე, მუდმივად ზრუნავს ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მხარდამჭერი ინსტრუმენტების ფორმირებაზე, ქვეყნის მასშტაბით ინტერნეტიზაციის მაღალი მაჩვენებლის მიღწევაზე. ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ფინანსებზე წვდომის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებს როგორც დაფინანსების, ისე თანადაფინანსების, მცირე გრანტების პროგრამებს სტარტაპებისთვის როგორც კომერციალიზაციის, ასევე კვლევა-განვითარების ეტაპზე. საქართველოში თანადაფინანსების გრანტები წარმოადგენს დაფინანსების ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ ინსტრუმენტს, რომელიც ინოვაციის მხარდასაჭერად გამოიყენება როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. თანადაფინანსების გრანტების პროგრამის მიზანია საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შემუშავება-ათვისების და გავრცელება-კომერციალიზაციის გზით ინოვაციების და ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება. სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოში ინვესტორები მოკლევადიან შედეგებზეა ორიენტირებული და დაფინანსების სანაცვლოდ ცდილობენ

სტარტაპის 50-70% სასწრაფოდ წაიღონ. აშშ-ში კი, საწყის ეტაპზე, თითქმის გამორიცხულია ინვესტორმა სტარტაპიდან 10%-ზე მეტი წაიღოს, რითაც ხელს უწყობს კომპანიის გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარებას, რაც წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება. ასევე ინოვაციების დანერგვა-გავრცელებას ართულებს ქვეყანაში ინოვაციური პროექტების სიძვირე, აგრეთვე მეტად რთულია ინოვაციური პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო რესურსების მოძიება.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში გამარჯვებულ თითოეულ სტარტაპს ტურიზმის სფეროში 100 ათასი ლარის ოდენობის გრანტი გადაეცა: მაგ., 1. Travel Guide - ინოვაციური, ტურისტული პლატფორმა, რომლის მთავარი მიზანია ტურიზმის სექტორის განვითარება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით. Travel Guide-ი წარადგენს ტურიზმის ახალ მიმართულებას - "საავტორო ტურებს" და მის როლსა და სარგებელობას ტურიზმის სფეროში. იგი მოიცავს ისეთი შედევრების ფაბრიკა-შოურუმების მონახულებას, როგორებიცაა: ლამბორჯინი, ფერარი, მაზერატი და ა.შ.. 2. Cloud-based platform Ehotelspace -ღრუბლოვან სისტემაზე დაფუძნებული გამოგონებაა, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით სრულად შეცვალოს სასტუმრო ბიზნესის გაყიდვებისა და სერვისის არსებული პროცესი. კერძოდ, სასტუმროებისთვის (მცირე და საშუალო ზომის სასტუმროები) ისეთი ვებგვერდის შექმნა, სადაც პირდაპირი ჯავშნის სისტემა, სხვადასხვა ტიპის გადახდები და ნებისმიერი საკომუნიკაციო სისტემაა ინტეგრირებული, რითაც სასტუმროებს მიეცემათ საშუალება, რომ გაყიდვების პროცესი სრულად გააციფრულონ და მომხმარებლებს მათთან ონლაინ ჩატის საშუალება მისცენ. ამ პლატფორმის ინოვატურობა ჯვარედინი გაყიდვების მიმართულებაა: სასტუმროებს საშუალება ეძლევათ, რომ არა მხოლოდ შიდა სერვისები გაყიდონ, არამედ ნებისმიერი ტური, რესტორნის ჯავშანი და ა.შ. 3. OFOODO - პროექტი მიზნად ისახავს ერთ სივრცეში მოაქციოს კვების ობიექტები, რაზეც წვდომა ექნება ადგილობრივ ვიზიტორებსა და ტურისტებს. 4. უცხოელი ვიზიტორებისთვის ასევე მნიშვნელოვანი პროექტი

იქნება „HOLOSSEUM”-I, ანუ ჰოლოგრამული მუზეუმი თბილისის ტურისტულ ცენტრში, რომლის საშუალებითაც დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება, საქართველოს სხვადასხვა ღირსშესანიშნაობები ინტერაქტიული და ფოტორეალისტური ჰოლოგრამული მოდელების დახმარებით იხილოს და სხვადასხვა ტექნოლოგიური ინსტალაციებით ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში იმოგზაუროს.

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ Windfor's-თან ერთად შექმნა ხელოვნური ინტელექტი, რომელსაც სოციალურ მედიაში ჭეშმარიტად ადამიანური ემოციების აღმოჩენა შეუძლია. 6 თვის განმავლობაში ხელოვნური ინტელექტი მოგზაურების პოსტებს ახარისხებდა, რომელთა მიხედვითაც საბოლოოდ შეიქმნა ყველაზე ზუსტი გზამკვლევი, რომელიც 7 მილიონზე მეტი ტურისტის ემოციებს ეფუძნება.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ ინოვაციური პროექტი „იმუშავე საქართველოდან“ პანდემიის პირობებში ტურიზმის სექტორის მხარდასაჭერად შეიმუშავა, სადაც პროექტის მონაწილეთა ქვეყანაში შემოსვლის პროცედურა შემუშავდა უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვით, რაც ასევე თანხვედრაშია ქვეყნის საზღვრების ეტაპობრივი გახსნის პოლიტიკასთან. პროექტი „იმუშავე საქართველოდან“ ამავდროულად წარმოადგენს ქვეყნის ტურიზმის სტრატეგიის ნაწილს, რაც გულისხმობს საქართველოში მეტი მაღალმხარჯველუნარიანი საერთაშორისო ვიზიტორის მიღებას. პროექტი არსობრივად არ არის გათვლილი მასიური ტურიზმის გენერირებაზე (შესაბამისად მისი ეფექტიანობის შეფასება უნდა განხორციელდეს მისაღები ეკონომიკური სარგებელის განსაზღვრით და არა განაცხადების რაოდენობით) და კონკრეტულ იმ მიზნობრივ სეგმენტზეა მორგებული, რომელთა მინიმალური ყოველთვიური შემოსავალი 2 ათას აშშ დოლარს უდრის და ქვეყანაში დაყოვნების საშუალო პერიოდი კი უტოლდება 6 თვეს.

მოცემული ინდიკატორების შესრულებით ქვეყანა იღებს გრძელვადიან საერთაშორისო ვიზიტორებს, რომლებსაც ესაჭიროებათ სამომხმარებლო სერვისის, პროდუქციისა და ტურისტული მომსახურების მიღება და, ამავე დროს, მზად

არიან გაიღონ საკუთარი დანაზოგები და ყოველთვიური შემოსავლები, რაც, თავის მხრივ, დამატებით შესაძლებლობებს უქმნის კერძო სექტორის წარმომადგენლებს.

პროექტის ეფექტიანობაზე მეტყველებს 2 თვის მანძილზე მიღებული 1,100-მდე რეგისტრირებული ადამიანის განაცხადი. ამ დროისთვის უკვე დადასტურებულია 700 პირის მოთხოვნა, რომელთა საშუალო თვიური შემოსავალი არათუ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნას 2 ათას აშშ დოლარის სახით, არამედ აღემატება და შეადგენს 5,7 ათას აშშ დოლარს. მოცემული მაჩვენებლები 6 თვის ვადაში უტოლდება ქვეყანაში პოტენციურად დახარჯულ 23,9 მილიონ აშშ დოლარს, რაც გაწეული მინიმალური მარკეტინგული ხარჯების ფონზე საუკეთესო შედეგია (მარკეტინგული დანახარჯი 17 ათასი აშშ დოლარი, უკუგება 1 ინვესტირებულ აშშ დოლარზე - 1,408 აშშ დოლარი). პროექტის ფარგლებში ქვეყანას 197 პირი სტუმრობდა. მათ შორის, საერთაშორისო ვიზიტორები ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, უკრაინა, რუსეთი, ბელარუსი და სხვა. საერთო ჯამში, მიღებული აპლიკანტების 53% არის თვითდასაქმებული (Freelancer), 28% - სრული განაკვეთით დასაქმებული დისტანციურად მომუშავე (Full-Time Employee), ხოლო 19% - მეწარმე (Entrepreneur).

ქართულ ტურიზმში ინოვაციური პროექტი - ტურისტე-ბისთვის აუდიო გიდი შეიქმნა (Audio Guide Georgia), რომელიც არა მარტო ტურისტულ მარშრუტებს ადგენს, არამედ ვიზიტორებს აცნობს საქართველოს ისტორიასაც. სტარტაპი ამ ეტაპზე სამენოვანია და მოიცავს: რუსულ, ინგლისურ და ქართულ ენებს. აპლიკაცია ე.წ ანდროიდ და IOS-სისტემებზე მომუშავე მობილური ტელეფონებისთვის შეიქმნა, რომელიც როგორც უცხოელ ტურისტებზე, ისე ადგილობრივ მომხმარებელზეა გათვლილი. ამ დროისთვის აპლიკაციაში 5 მარშრუტია ჩატვირთული, უცხოელ ტურისტს შეუძლია Audio Guide Georgia-ს გამოყენებით ნახოს: თბილისის ცენტრალური ნაწილი, ბათუმში 2 ტური, ასევე იმოგზაუროს მესტიასა და უშგულში. უახლოეს პერიოდში კი ამ ჩამონათვალს კახეთის

და მცხეთის ტურები, ასევე ძველი თბილისის ტური დაემატება.

ასევე საყურადღებოა, რომ 2016 წელს ქვეყანაში, ეკონომიკური რეფორმის ფარგლებში, შეიქმნა ინოვაციური პროგრამა „სტარტაპ საქართველო“. იგი შედგება ორი კომპონენტისგან: ინოვაციური კომპონენტის და მაღალტექნოლოგიური კომპონენტისგან. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

პროგრამა უკვე 3 წელია დამწყებ ბიზნესმენებს (სტარტაპერებს) ინოვაციური კომპონ გჰენტის და მაღალტექნოლოგიური კომპონენტის განვითარებაში ეხმარება და ინოვაციური კომპონენტის ფარგლებში 2016-2018 წლებში 78 გამარჯვებული პროექტი გამოავლინა, მისი ჯამური საინვესტიციო მოცულობა 6 მილიონი ლარია, საიდანაც 2018 წლის მდგომარეობით სრულად ან ნაწილობრივ 47 პროექტში უკვე განხორციელდა ინვესტიცია, რომლის მოცულობა 3.1 მილიონ ლარს შეადგენს.

ყველაზე მასშტაბური პროექტებს შორისაა კომპანია „Wehost“-ი, რომელიც წარმოადგენს პირველ Airbnb მენეჯმენტ კომპანიას საქართველოში. ტურისტული ნაკადის სწრაფი ზრდის ფონზე პროექტი ორიენტირებულია მაღალი სტანდარტების მასპინძლობის სერვისის შექმნაზე და, ამავდროულად, მორგებულია იმ მოქალაქეების ინტერესებზე, რომლებსაც ტურისტების მომსახურებით სურთ მიიღონ შემოსავალი. კომპანიამ უმასპინძლა 4 900 სტუმარს, ხოლო მართვაში აღებული აქვს 70 ბინაზე მეტი. კომპანიამ დაასაქმა 40-ზე მეტი ადამიანი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტის საინვესტიციო ღირებულება 71 ათასი ლარია, საიდანაც "სტარტაპ საქართველოს" თანადაფინანსება 60 ათას ლარს შეადგენს.

კიდევ ერთი წარმატებული სტარტაპი, რომელიც „სტარტაპ საქართველოს“ გამარჯვებული პროექტია, არის ღვინის ჩაი - დღეს უკვე პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ტურისტულ ობიექტებში და პრემიუმ კლასის კაფე-ბარებში. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ქვეყნებთან,

მათ შორის, აშშ-თან. პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე სახელმწიფომ 11 მილიონი ლარი გამოყო, რომლითაც ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპები ფინანსდება, სამომავლოდ, პროგრამის ბიუჯეტი შესაძლოა 35 მილიონ ლარამდე გაიზარდოს.

საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში დაწყებული ინოვაციური პროექტი – "ახალგაზრდული იდეა ურბანული განვითარებისთვის", რომელიც, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერითა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით, ჩეხურმა ორგანიზაციამ – "აგორამ" განახორციელა და 5 საუკეთესო ახალგაზრდული პროექტიც გამოვლინდა: სპორტული მოედნები ტყიბულში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინოვაციური გაჩერებები გარდაბანში, გასართობ-სათავგადასავლო პარკი ცაგერში, ახალი ბულვარი სურამში და თანამედროვე ტურისტული ცენტრი ჭიათურაში.

ჭიათურის პროექტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანადაფინანსებით 2020 წლიდან დაიწყება და იქნება ძველ, მიტოვებულ საბაგიროს შენობაში განთავსებული საინფორმაციო სივრცე, რომელიც ტურიზმს გაუწევს ინფორმირებას, გააპიარებს ქალაქს. ასევე, იქნება ადგილობრივებისთვის სატრენინგო ცენტრი, რომელიც დაეხმარება ნებისმიერ ადგილობრივს, ჩაერთოს ტურიზმის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ქალაქში. ტურიზმის ცენტრი საწყისი იქნება იმისა, რომ ქალაქს შთაბეროს ახალი სიცოცხლე და ადგილობრივებს გაუჩნდეთ სურვილი, თვითონვე განახორციელონ გარკვეული პროექტები. ტურიზმი ჭიათურას როგორც ეკონომიკურად, ისე ურბანულად და მატერიალურად განავითარებს.

საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული ინოვაციური პროექტებისთვის შეიქმნა "საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი", რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში იმ ნაკლებად განვითარებულ რეგიონებზე ინვესტიციების კონცენტრაციის მიმართვას, სადაც მაღალია ტურისტული პოტენციალი, ხოლო დაბალია ტურისტული

ინფრასტრუქტურის განვითარების დონე (განსაკუთრებით სასტუმროების მართვის კომპანიის კომპონენტი) და საჭიროა გრძელვადიანი ინვესტიცია, რაც ხელს შეუყწყობს ასევე გრძელვადიანი ინოვაციური პროექტების მხარდაჭერას, მაღალ-მხარჯველი ტურისტების მოზიდვას და საქართველოს დამკვიდრებას მსოფლიო ტურიზმის რუკაზე.

“საქართველოს თანაინვესტირების ფონდი” ტურისტული ინფრასტუქტურის განსავითარებლად 680 მლნ ამერიკული დოლარის ინვესტიციას ახორციელებს 8 მასშტაბური პროექტის ფარგლებში. პროექტები, რომლებიც განხოციელდება, ქ. თბილისში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოში, განმუხურში, შეკვეთილში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზეა და დღეისთვის მათში ჯამურად ინვესტირებულია 259 მლნ ლარი. ამ პროექტებიდან სამ კომპლექსში (სასტუმრო თავისუფლების მოედანზე, სასტუმრო სოლოლაკი და შეკვეთილის სასტუმრო და სპა კომპლექსი) უკვე შემოსულია “მარიოტის” საერთაშორისო ქსელის უმაღლესი კატეგორიის ბრენდი “Autograph Collection”. კომპლექსების ამოქმედების შემდეგ მუდმივად დასაქმებულთა რიცხვი გაუტოლდება 2 500 ადამიანს.

2018 წელს ტურიზმის განვითარების ფონდის მიერ განხორციელებულია 28 მლნ-ზე მეტი აშშ დოლარის ინვესტიცია, ხოლო მიმდინარე წლის ცხრა თვეში განხორ-ციელებული ინვესტიციის ოდენობამ 62 705 000 აშშ დოლარი შეადგინა.

2019 წლის ბოლოსთვის ტურიზმის განვითარების ფონდის საინვესტიციო პორტფელში 11 პროექტი გაერთიანდა, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 734 მლნ აშშ დოლარს უტოლდება. საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი 2016 წლის ოქტომბერში დაარსდა და დაარსებიდან დღემდე 290 მლნ-ზე მეტი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ 2016 წლიდან დაემატა სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი - „უმასპინძლე საქართველოში“, რომელიც თითოეულ მეწარმეს შესაძლებლობას აძლევს განავითაროს

სასტუმრო ბიზნესი, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის განვითარებას. ასევე აქტიურად ხდება საქართველოში წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვის სტიმულირება, ე.წ „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების თანადაფინანსების გზით.

2017 წლის მონაცემებით, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" პროგრამის „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში მხარდაჭერილია 37 მეწარმე სუბიექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 108 მლნ ლარს, ხოლო აღნიშნული 37 სასტუმრო შექმნის 1133 დამატებით ოთახს და 1200-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს. ზემოთ ხსენებული სასტუმროები აშენებდება: ბორჯომში, ბაკურიანში, გუდაურში, ფოთში, ურეკში, ნიკორწმინდაში, ყაზბეგში, საგარეჯოში, გონიოში, შეკვეთილში, თელავში, წყალტუბოში, ქუთაისში, ზუგდიდში, მესტიაში, გურჯაანსა და გორში.

UNWTO-ს აღმასრულებელი საბჭოს ფორუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ, მსოფლიო ტურიზმის მომავალი ინოვაციები, დიჯიტალიზაცია და მეტი ახალი ტექნოლოგიების გავრცელებაა. საქართველოს ერთ-ერთი სუსტი მხარე, ტოპ ათ ქვეყანასთან და ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებთან შედარებით, სწორედ მაინც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებია. საქართველოში საკმაოდ დაბალია საწარმოების მიერ ინტერნეტის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწარმოების 94%-ს ინტერნეტთან წვდომა აქვს (2016-97,5%; 2017-98,4%), მათგან მხოლოდ 46%-ს ჰქონდა ვებსაიტი/ვებგვერდი (2016-44,3%, 2017-44,7%, 2018-40,3%), ხოლო ვებსაიტის მეშვეობით მიღებული შეკვეთები კი მხოლოდ 6%-მდეა (2015-9,5%, 2016-6,8%, 2017- 5,6%)[55].

ამასთან, 2019 წლის მონაცემებით, ინტერნეტთან კავშირის უზრუნველსაყოფად ყველაზე მეტად გამოიყენებოდა ფიქსი-

[55] geostat.ge 2019

რებული ფართოზოლოვანი საშუალებები (მაგ., ოპტიკურ-ბოჭკოვანი (FTTH) და საკაბელო ტექნოლოგიები) ჴ 35.5% და DSL კავშირი - 23.7%. ხოლო, იმ საწარმოთა პროცენტული წილი, რომლებიც იყენებდნენ ვებგვერდს ან ვებსაიტს, განისაზღვრა 18.4%-ით. საწარმოები ძირითადად იყენებდნენ სოციალური მედიის ისეთ სახეებს, როგორიცაა სოციალური ქსელი (Facebook, Linkedin და ა.შ.) - 26.8%, ხოლო საწარმოთა 63.6 % საერთოდ არ იყენებდა სოციალური მედიის არანაირ საშუალებას. სოციალური მედიის გამოყენების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა როგორც საწარმოს იმიჯის შექმნა ან თავისი ბაზრის განვითარება (25.1%), ისე რეაგირება კლიენტის შეკითხვებზე, შეხედულებებსა და გამოხმაურებებზე (22.9 %).

საწარმოების დიჯიტალიზაციის დაბალ დონეზე მიუთითებს ისიც, რომ საწარმოთა უმეტესობა არ იყენებს სოციალურ ქსელებს და ინფორმაციის გასაზიარებელ პლატფორმებს, ხოლო საწარმოთა მხოლოდ 33% იყენებს სოციალურ ქსელებს კომერციული მიზნებით.

საქართველოს ტურიზმის სტრატეგიაში[56] 8 პრიორიტეტულ ამოცანათა შორის ერთ-ერთ მეოთხე ქვეამოცანას, ისიც ნაწილობრივ, წარმოადგენს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, რომელიც ასეა ფორმულირებული: „ტურიზმის სფეროში ციფრული და ჯავშნისა და ანგარიშსწორების სისტემებზე გადასვლის ხელშეწყობა“ სტრატეგიაზე ქვეყანამ 2025 წლამდე პერიოდის მანძილზე უნდა იმუშაოს. ხოლო, მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების სტრატეგიაში გაწერილია სტრატეგიული მიმართულებები, რომელთაგან ერთ-ერთი ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობაა, კერძოდ: მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება; ინოვაციების და R&D-ის დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება; ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭერა; მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება; ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება (FabLabs; iLabs; TechPark; BroadBand;

[56] საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025

კომერციალიზაცია). ქვეყანაში სწორედ კოვიდპანდემიის დროს დაიწყო ახალი ელექტრონული პლატფორმების დანერგვა, მათ შორის - „იმუშავე საქართველოდან," LinkedIn-ი არის ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მარკეტინგისთვის, სადაც შეგიძლიათ აჩვენოთ უნარები და გამოცდილება, ასევე გააძლიეროს ბრენდი ინტერნეტში, რომელიც მოუწოდებს „ფრილანსერებს", დისტანციურად დასაქმებულებს მთელი მსოფლიოდან, რომ ჩამოვიდნენ და თავიანთი საქმიანობა საქართველოდან წარმართონ.

იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ტურიზმი ყოველწლიურად ორნიშნა რიცხვით იზრდებოდა, ხოლო ტურიზმის მომხმარებლების უმეტესობა, მით უფრო X და მილენიალების თაობა (2019 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საქსტატის მონაცემებით, მილენიალები საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 27.1%-ს შეადგენენ) სწორედ რომ ციფრულ ტექნოლოგიებს მოიხმარდა მოგზაურობის დაგეგმვის და თავად მოგზაურობის დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე და საშუალო მეწარმეების ჩართვას ამ პროცესში. ეს კი, დიჯიტალიზაციის სწრაფი ტემპის გათვალისწინებით, მათი საინფორმაციო-ტექნოლოგიური უნარების განვითარების გარეშე რთული იქნება.

დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს, რომ პანდემიის პირობებში და შემდეგაც ვირუსთან ერთად მოგვიწევს ცხოვრება, შესაბამისად ჯ ტურისტულმა კერძო სექტორმა და სახელმწიფომ ურთიერთმხარდაჭერით უნდა შექმნას ისეთი ახალი მექანიზმები, რომელიც სტუმარმასპინძლობის ობიექტებს ტურისტებისთვის ერთმნიშვნელოვნად გადააქცევს უსაფრთხოდ. შესაბამისად, უნდა შეიქმნას პლატფორმა, რომლითაც ყველა ობიექტი დაემორჩილება ერთ სტანდარტს, რაც, თავის მხრივ, გახდება სტუმრების უსაფრთხოებაზე ზრუნვისა და ვირუსის პრევენციის წინაპირობა. ამის კარგი მაგალითია სინგაპური, რომელმაც შექმნა "სისუფთავის სერტიფიკატი" (SG Clean). იმისთვის, რომ ტურისტულმა ბიზნესებმა მოიპოვონ ეს სერტიფიკატი, აუცილებელია შეასრულონ 7 სხვადასხვა სტანდარტი: "სისუფთავის სერტიფიკატის" მენეჯერის ყოლა

ადგილზე, მკაცრი და დეტალური სადეზინფექციო სამუშაოები ყოველდღიურად, სკრინინგის პროცესის (ვიზიტორების შესაძლო სიმპტომების დადგენა) იმპლემენტაცია და სხვა.

ამ მიმართულებით საინტერესოა აჭარის გამოცდილება, რომელმაც დანერგა - „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ - ხარისხის ნიშანი. ეს არის ინოვაციური პროექტი, რომელიც დეპარტამენტმა 2016 წელს დაიწყო. პროექტში ჩართვა არის ნებაყოფლობითი და ხარისხის ნიშნის მიღების 30 მსურველიდან პირველ ეტაპზე 18-მა რესტორანმა და სასტუმრომ დააკმაყოფილა კრიტერიუმები, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ HotRec, Hot Star union 21 პრინციპს ემყარება. პროექტმა უკვე მეოთხე ეტაპი მოიცვა და ტურიზმის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფი პროექტში ჩართული ობიექტების უსაფრთხოების, სანდასუფთავების, მომსახურების და სურსათუვნებლობის და სხვ. სტანდარტებს ამოწმებს [7].

ტურიზმის ყველა არსებული სახეობიდან საქართველო მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობს განავითაროს თითქმის ყველა ტრადიციული თუ ინოვაციური სახეობა, იქნება ეს აგრო, ეკო, ენო, კულტურულჯსანახაობითი, ისტორიული, გასართობი, სამთოჯსათხილამურო, ექსტრემალური, სათავგადასავლო და სხვ. ტურიზმი. პანდემიის პირობებში აქცენტები უნდა გაკეთდეს შიდა ტურიზმის განვითარებაზე (განსაკუთრებით აგრო და ეკო ტურიზმი), მის პოპულარიზაციასა და წახალისებაზე. ასევე, რეგიონულ ტურიზმზე (სამანქანო მგზავრობის რადიუსის ქვეყნებიდან) და რიგი ქვეყნებიდან ორგანიზებულ ტურიზმზე.

ინოვაციების გავრცელებით აგრარული ტურიზმის (რომელსაც წინ აუცილებლად სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა უსწრებდეს) განვითარების სტიმულირება გამოიწვევს შიდა ტურიზმის ბაზრის გააქტიურებას. ამ მიმართულებით საინტერესოა ის ინოვაციური პროგრამები, რომლებსაც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია - UNWTO აანონსებს და მათ შორის საქართველოშიც აამოქმედებს - ეს არის აგროტურიზმის, ასევე სხვადასხვა მცირე სოფლის მხარდაჭერა, რაც მომავალში ძალიან საინტერესო იქნება უცხოელი ვიზიტორებისთვის, რომლებსაც ახალი, უნიკალური

ადგილების მონახულება ენდომებათ. ამავე ორგანიზაციამ 2020 წელი სოფლის მეურნეობის ტურიზმის განვითარების წლად გამოაცხადა. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია სოფლის ტურიზმის განვითარებისთვის ახალ გზამკვლევზე მუშაობს, რომელიც ქვეყანაში ისეთი 100-ზე მეტი ახალი ტურისტული დანიშნულების ლოკაციის შექმნას გულისხმობს, რომლებიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ინფორმაცია ახალი ლოკაციების შესახებ იქნება გაციფრულებული. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ტურისტული ლოკაციების 95% ასახულია ციფრულ ტექნოლოგიებში და საჭიროა მეტი პროფესიონალი, რომ ეს სოფლები უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ დიჯიტალ სივრცეშიც. ამისთვის ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია ქმნის აკადემიას, რომელიც დაინტე-რესებულ ადამიანებს ასწავლის სოფლად ტურისტული ცენტრების შექმნისთვის საჭირო უნარებს და ცოდნას. UNWTO-ს გენერალური მდივნის აზრით - "ეს გახდება ერთ-ერთი უძლიერესი ინოვაციური საგანმანათლებლო პლატფორმა მსოფლიოში“.

საქართველოში 2020 წლის 5 მაისს, კორონავირუსის კრიზისულ და პოსტ კრიზისულ პერიოდში ტურიზმის სექტორში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესებზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების მიზნით, ტურიზმის სექტორში მომუშავე ასოციაციების გაერთიანებით დაფუძნდა ტურიზმის ეროვნული ორგანიზაცია „საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსი“ (GTIA). ალიანსის პრიორიტეტული მიმართულებები ეხმიანება აგრო, ეკო და სოფლის ტურიზმის ახალ ტენდენციებს, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთებულია ადგილობრივ პროდუქტზე და მის უსაფრთხო წარმოება-მიწოდებაზე. დოკუმენტი ითვალისწინებს მთიან რეგიონებში სათავგადასავლო კლუბებისთვის, ასევე აგროტურისტული ობიექტებისა და სხვა განთავსების და კვების ობიექტებისთვის წამახალისებელი პროგრამების დაგეგმვას, local to local პრინციპით ადგილობრივი თანამშრომლების წახალისებას და სხვ.. სტუმრის მისაღებად საქართველოში საოჯახო სასტუმროებისა და აგროტურისტული მეურნეობების მასპინძელები ცდილობენ სასოფლო-სამეურნეო აქტივობების

ბაზაზე შექმნან ინოვაციური ტურისტული მომსახურება განსხვავებული ხერხებითა და აქტივობებით. მაგალითად, ასეთია სტუმრებისთვის საკოლექციო ვენახის ჩვენება, სადაც ადგილობრივი და იშვიათი ყურძნის ჯიშებია წარმოდგენილი, და ყოველდღიური საქმიანობის გაცნობა. ვიზუალური ეფექტის მიდგომის პრინციპით მათი კვების ობიექტი და ბოსტანი ერთ სივრცეში მდებარეობს. ღია სამზარეულოში მუშაობის პრინციპი კი ამყარებს მათ საქმიანობაში ადგილობრივი პროდუქტების გამოყენებას, რაც თვალსაჩინოს, სახალისოს და სანდოდ წარმოაჩენს მეურნეობის საქმიანობას.

დასკვნა

ამრიგად, ინოვაციები ისევე მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისთვის, როგორც მეცნიერებისა და ტექნოლოგიებისთვის, რადგან ეს ორი უკანასკნელი, თავის მხრივ, შეიძლება ტურიზმის ინდუსტრიის მოტივატორადაც ჩაითვალოს, ხოლო თავად ინოვაციები კი სახელმწიფოს რეგულაციების ინსტრუმენტად. საქართველოში ტურიზმი ბევრი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება, რაც ძალიან დიდ რესურსებს და ძალისხმევას მოითხოვს როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან. საქართველოს მთავრობა ახორციელებს სხვადასხვა ინოვაციურ პროექტებს, მათ შორის, ტურიზმის სექტორში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის, ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. ასევე, ინოვაციების დანერგვისა და გავრცელების ხელშეწყობის გზით ახდენს მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარებას. წარმოდგენილი ინოვაციური ტურისტული პროექტების, სტარტაპების, გრანტების არსებობა ნათელყოფს, რომ საქართველოს ტურიზმს გააჩნია განვითარების უდიდესი პოტენციალი. დღეს უმრავლესობა ამ პროექტებისა მიმდინარე პროექტებია, უახლესი პროექტები კი დანერგვისა და გავრცელების საწყის სტადიაზეა. გრძელვადიანი პროექტები მოითხოვს გადახედვას და ინოვაციური მექანიზმების გზით დღევანდელ რეალობასთან თანხვედრას. ზოგიერთ პროექტებს

კი კოვიდ 19-ით გამოწვეულმა კრიზისმა საერთოდ განხორციელების საფრთხე შეუქმნა. საქართველოში ზოგიერთი ეკონომიკური და სტატისტიკური მაჩვენებლების მიუწვდომლობა (არა საჯაროობა) ართულებს ტურიზმში ინოვაციების გავრცელების სრული ეფექტიანობის შეფასებას. მოკლევადიანი პროექტების, გრანტების და ყველა დანარჩენი პროექტის სრული რეალიზება ვერ ხერხდება ბევრი ხელშემშლელი ფაქტორის გამო: არასწორი სამეცნიერო-სამეწარმეო პოლიტიკის ფორმირება (განსაკუთრებით რეგიონებში), ცოდნისა და პერსონალის კვალიფიკაციის დაბალი დონე, დაბალი კონკურენტუნარიანობა ტურისტულ ბაზარზე, რეგიონებში დარგის სპეციფიკურობისა და კომპლექსურობის გაუთვალისწინებლობა, გაუმართავი საგადასახადო და ფინანსური პოლიტიკა, მომსახურების ხარისხისა და ფასების შეუსაბამობა, ფასწარმოქმნის შეუსაბამო პრაქტიკა, გიდების მომსახურების დაბალი ხარისხი, კოვიდ 19-ით გამოწვეული კრიზისი და სხვ.. პრობლემების აღმოფხვრის პროცესში კი მნიშვნელოვანია ინოვაციური მექანიზმების აქტიური გამოყენება და გავრცელება; ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა (ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის ცოდნის გაღრმავება) და ბიზნესში მათი ინტეგრირების ფინანსური დახმარება, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარება ინვესტიციების მოზიდვაში; ხელფასების სუბსიდირება; რეგულაციების შემცირება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობა გრანტებისა და შეღავათიანი სესხების საშუალებით; ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება; ინოვაციების და მეწარმეობის ტექნიკური მხარდაჭერა; სარეკლამო და ცნობადობის ასამაღლებელი ღონისძიების გატარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1.studwood.ru›…rasprostraneniya_innovatsionnyh…Способы распространения инновационных продуктов.

2. Система распространения товаров и услуг в туризме studfile.net›preview/6367682/page:17/

3.Каналы распространения - Туризм ozlib.com›829329/turizm/kanaly_rasprostraneniya

4. Каналы сбыта туристского продукта — Студопедия studopedia.ru›2_7089_vopros--kanali-sbita…

5. интеграция инновационных технологий в основные ... www.vestnik.vsu.ru › geograph › 2019/04 › 2019-04-03

6. www.economy.ge › ...
ტურიზმი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი ...

7. https://sputnik-georgia.com/economy/20160605/232003039.html

8. интеграция инновационных технологий в основные ... www.vestnik.vsu.ru › geograph › 2019/04 › 2019-04-03

9.https://www.geostat.ge/ka/single-news/1967/sainformatsio-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi gamokvlevis-dziritadi-shedegebi-2019-tseli

10. https://report.ge/economics/msoflio-turizmis-momavali-inovatsiebi-dijitalizatsia/

11. https://report.ge/economics/agroturizmis-ganvitarebistvis-spetsialuri-akademia-ikmneba/
აგროტურიზმის განვითარებისთვის სპეციალური აკადემია იქმნება

12. ტურიზმის ეროვნული ... - Commersant.ge commersant.ge › post › turizmis-ero...

13. „სტარტაპ საქართველომ“ სამ წელიწადში ინოვაციური...
commersant.ge › post › startap-saqartvelom-inovaci...

14. StartUp startup.gov.ge › geo › details

15. ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში... www.economy.ge › ...

16. fablab.gov.ge › geo › static › GITA

17. საქართველოს ტურიზმის განვითარების... - Commersant.ge commersant.ge › post › saqartvelos-turizmis-ganvit...

18. ქართული ტურიზმის ... - ტურისტერი tourister.ge › blog › georgian-touris...

19. ინოვაციური პროექტი ქართულ... – GBC gbc.ge › ...
20. https://on.ge/story/43981 ტურიზმის-განვითარებისთვის-დაფინანსება-20-მილიონი-ლარით-მცირდება
21. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წლიური ანგარიშგებითი მასალები www.economy.ge

Ketevan Kveladze

PROBLEMS OF DISSEMINATION OF INNOVATIONS IN TOURISM IN GEORGIA

Summary

One of the most difficult decisions in the system of distribution of innovative goods and services in the field of tourism is the selection of intermediaries that connect the users of tourism goods and services with their producers (airlines, hotels, car rental forms, etc.). Innovative decision making affects other elements of the marketing complex as well. The paper is dedicated to one of the most important economic problems, such as innovations and their spread in tourism in Georgia. The strategy for the dissemination of tourism innovations and the important criteria for the selection of ways of dissemination were discussed. The formation, functioning and control of the ways of dissemination of innovations in tourism are studied, which includes the systematic evaluation of the existing measures, the design of ways of its effectiveness and the development of correction measures. Due to the unequal and insufficient development of tourism entities in Georgia, the task to create such regional innovative development projects arose that will promote the spread of innovation in tourism. The paper discusses the general aspects of project implementation. Ways to implement them in the regions were also studied, which includes the creation of regional innovation centers, startups, as well all of which will help to maximize the use of the largest tourism resources and its potential in both cities and municipalities.

The economic damage caused by the coronavirus pandemic both in the world and in Georgia is also mentioned. The focus is also on the need to develop and implement mechanisms for the dissemination of tourism innovations, innovative technologies in the face of economic crises and shocks caused by the Corona virus pandemic.

ინოვაციების დასანერგად უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის არსებული გარემო და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემას, როგორიცაა უცხოური ინვესტიციები და მათი მოზიდვა ინოვაციების დასანერგად. განხილულია ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების ფორმები, რომელთა შორის მეტად მნიშვნელოვანია ფინანსური შეღავათების სისტემა, ამ კუთხით ქვეყნის კანონმდებლობის სრულყოფა; კვალიფიცური კადრების მომზადება და არსებულის შესაბამისი გადამზადება; ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და სხვ., ნაჩვენებია უცხოური ინვესტიციების არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი შედეგებიც მიმღები ქვეყნისათვის,*

ნაშრომში გაანალიზებულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და საინოვაციო პოლიტიკის მდგომარეობა საქართველოში, ხაზგასმითაა მითითებული, რომ დღეს ქვეყანაში ადგილი აქვს ინოვაციურ კრიზისს და ახსნილია მისი გამომწვევი მიზეზები.

ნაშრომში ასევე მოტანილია საერთაშორისო უცხოური ანალიტიკური ორგანიზაციების მონაცემები საქართველოს შესახებ, დახასიათებულია კორონავირუსის პანდემიის მიერ გამოწვეული ეკონომიკური ზიანი როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში.

* * *

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ამ პროცესის აქტიური და გლობალური ხასიათი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი თავისებურებაა. საქონელთან შედარებით საზღვარგარეთ კაპიტალის უპირატესად გატანამ ქვეყნებს შორის თვისებრივად ახალი ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთო-

ბები ჩამოაყალიბა და მსოფლიო მეურნეობა უფრო მრავალფეროვანი და რთული გახადა. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ძირითადი მიზეზია ეროვნულ ქვეყანაში მისი სიჭარბე და ნაკლებმომგებიანობა, რის გამოც მეტი მოგების მისაღებად იგი უცხოეთში გაედინება.

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების დაბანდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესია, რა დროსაც უცხო სახელმწიფოები, კომპანიები და საწარმოები ნერგავენ ინოვაციებს და ტექნოლოგიებს სხვადასხვა ქვეყნების საწარმოებში. როგორც წესი, განვითარებული ქვეყნები სახსრებს აბანდებენ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. ამით აძლიერებენ მასპინძელი ქვეყნების ინდუსტრიას, რადგან კაპიტალის მიღებით რეციპიენტი ქვეყანა იძენს შესაძლებლობას, განაახლოს და განავითაროს ინდუსტრიის დარგები, გაზარდოს მწარმოებლურობა, აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია და მომსახურება.

ბოლო ათწლეულში განვითარებადმა ქვეყნებმა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოსა და საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად მოახდინეს საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაცია, რადგან ის განიხილება, როგორც ეკონომიკური განვითარების, მოდერნიზაციის, შემოსავლის ზრდისა და დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორი.

ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის ფართო სისტემაა, რომელთა შემადგენელი ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: პოლიტიკური, რაც ინვესტირების პოლიტიკურ რისკებთან არის დაკავშირებული; სამართლებრივი, რომელშიც ასახულია საკუთრებითი ურთიერთობები და ეკონომიკური, რომელიც მოიცავს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით საინვესტიციო გარემოს შეფასების პირველი გამოკვლევა ეკუთვნით ჰარვარდის ბიზნესის სკოლის თანამშრომლებს. კვლევის მეთოდიკა ითვალისწინებდა საექსპერტო სკალის გამოყენებას. ცალკეული ქვეყნის მიხედვით იგი მოიცავდა შემდეგ მახასიათებლებს:

უცხოური და საკუთარი ინვესტორებისათვის საკანონმდებლო პირობები; კაპიტალის გატანის შესაძლებლობები; ეროვნული ვალუტის სიმყარე; ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია; ინფლაციის დონე; ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობა.

გაეროს მიერ შემუშავებული ინვესტიციების სტიმულირების საშუალებათა კლასიფიკაცია მოიცავს სამი ჯგუფის სტიმულებს: ფისკალურ, ფინანსურ და სხვა შეღავათებს.

განვითარებულ ქვეყნებში უპირატესად იყენებენ უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ფინანსური შეღავათების ფორმას. ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულ საგადასახადო შეღავათებს მიეკუთვნება: საგადასახადო არდადეგები; საინვესტიციო ფასდაკლება; საგადასახადო კრედიტი; დაჩქარებული ამორტიზაცია; ინვესტიციური სუბსიდიები; ირიბი დაბეგვრის შეღავათები, კერძოდ, საბაჟო გადასახადის განაკვეთის დაწევა.

საგადასახადო სტიმულირების ინსტრუმენტების არაეფექტური გამოყენების მიზეზებში გარკვევა აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან, არ შეიძლება სტიმულირების ერთი და იმავე მეთოდის ყველა შემთხვევაში გამოყენება. ინვესტიციების დარგობრივი თუ ტერიტორიული სპეციფიკიდან გამომდინარე, სტიმულირების ამა თუ იმ ფორმის გამოყენების ეფექტიანობა უნდა განისაზღვროს არსებული პირობების გათვალისწინებით, გადასახადის გადამხდელის მზადყოფნით, მიმართოს დამატებით მიღებული ფინანსური რესურსები ინოვაციური მიზნებისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება მიზნობრივი საგადასახადო შეღავათები დიფერენცირებული პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სტადიებიდან გამომდინარე და რეკომენდებულია, ეს შეღავათები მინიჭებულ იქნეს ძირითადად ინოვაციური პროდუქტების შემუშავებისა და დანერგვის ეტაპზე. ეს გამართლებულად მიგვაჩნია, რადგან ინოვაციური პროდუქტის შემუშავებისა და დანერგვის სტადიები კომერციული, ფინანსური თუ ტექნოლოგიური რისკების შემცველია და წარმოების დაწყების ეტაპისთვის დამახასითებელია აგრეთვე დაბალი რენტაბელობა. ამდენად, მეწარმე სუბიექტებს ამ ეტაპზე განსაკუთრებით სჭირდებათ საგადასახადო შეღავათები. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო შეღავათები არ არის უმთავრესი ფაქტორი.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი რესურსების არსებობას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ადმინისტაციული და სამართლებრივი სისტემის ტრანსპა-რენტულობას, მხარდაჭერის ინსტიტუტების - საბანკო, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურის სხვა სფეროების ადეკვატურობას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონეს. საერთოდ უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და ა.შ.

ზოგადად, მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები ხასიათდებიან კაპიტალის დეფიციტით, არასაკმარისი შიდა დანაზოგი ვერ აფინანსებს შიდა საინვესტიციო მოთხოვნას, რაც უარყოფითად აისახება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებზე. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და ა.შ.

დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი დიდი პრობლემა – სამუშაო ადგილების შექმნა – შეუძლებელია გადაიჭრას უცხოური ინვესტიციების გარეშე. ეს დაკავშირებულია მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან: თუ არ მოხდა ინვესტიციების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა, შეუძლებელია შევაჩეროთ ისეთი ნეგატიური პროცესები, როგორიცაა ემიგრაციის ზრდ, ან დემოგრაფიული პროცესები, რომელიც ფაქტობრივად საქართველოს დეპოპულაციისკენ მიაქანებს.

საქართველო დღეს ცდილობს რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას იაფი მუშახელის შეთავაზებით, თუმცა, შეთავაზებულ იაფ მუშახელს არ შეუძლია ხარისხიანი მომსახურების გაწევა. პრობლემურია თანამედროვე ტექნო-ლოგიების სათანადო დონეზე ფლობა და ახალი ტექნოლოგიების შექმნა. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ირგვლივ ყველა ქვეყანა ცდილობს უცხოური კაპიტალის

მოზიდვას, ამიტომ ინვესტორს დიდი არჩევანი აქვს, შესაბამისად ამ მიმართულებით მაღალია კონკურენციაც. ინვესტიციების მოზიდვის საქმეში დიდ როლს ასრულებს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობაც.

საქართველოში მოქმედებს კანონი ,,ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ (2006), რომლის მიზნებია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა, ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით.

საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, 2002 წელს შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“, რომლის ძირითადი მიზნები იყო საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა და ინვესტიციების მხარდაჭერა. იგი გაუქმდა 2017 წელს. მაგრამ მანამდე, 2015 წელს, ინვესტიციების მხარდაჭერისა და მოზიდვის მიზნით, შეიქმნა საინვესტიციო პოლიტიკისა და ინვესტიციების ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციები დიდად არ განსხვავდება საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ფუნქციებისგან.

ასევე, უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდისათვის საქართველოს მთავრობამ მიიღო სპეციალური კანონი ,,თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ (2007), რომლის მიზანია ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, მრეწველობის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა და ტექნოლოგიების შემოსვლა საქართველოში. თავისუფალი ინდუსტრიული ზონები შეიქმნა თითქმის ყველა დიდ ქალაქში: ფოთში, ქუთაისსა და თბილისში. საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ხასიათდება შემდეგი უპირატესობებით: საგადასახადო შეღავათები, გამარტივებული პროცედურები, გადახდების განხორციელების შესაძლებლობა ნებისმიერ ვალუტაში და ა.შ.

2016 წელს მიღებული „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსის-

ტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, ქვეყანაში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის. წლევანდელი მონაცემებით ამ კუთხით საერთაშორისო რეიტინგებში საქართველო წამყვან პოზიციებს იკავებს. კერძოდ, საქართველო უსაფრთხო ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილზეა (Numbeo's Crime Index 2018).

ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით Heritage Foundation-ის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით, 180 ქვეყნიდან საქართველო მე-12 ადგილზეა, ხოლო ევროპის მასშტაბით მე-9 ადგილს იკავებს. ამასთანავე, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი არის 82.04, ანუ მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის იგი მე-7 პოზიციაზეა, ხოლო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის პირველ ადგილს იკავებს.

საქართველოს გააჩნია სტრატეგიული მდებარეობა და საბაჟო გადასახადების გარეშე 2.3 მილიარდიან ბაზარზე წვდომა. საქართველო 2014 წლის 1 სექტემბრიდან სარგებლობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA)

შესახებ შეთანხმებით ევროკავშირთან; ქვეყანას აგრეთვე გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები EFTA (ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი) წევრ ქვეყნებთან, თურქეთთან და დსთ-ან; 2017 წლიდან ამოქმედდა აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან; GSP ტიპის შეთანხმება მოქმედებს აშშ-ს, კანადას, იაპონიასთან. ამასთანავე, საქართველო თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების რეჟიმშია ჰონკონგთან.

2017 წელს შექმნილი სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი პირველი სახელწიფო უწყებაა ქვეყანაში, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნ-ველსაყოფად სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ქვეყანაში ვაჭრობის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციისთვის აქტიურად უჭერს მხარს ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო სავაჭრო გამოფენებში. მხარდაჭერა კი გამოიხატება საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების 75%-დან 80%-მდე თანადაფინანსებაში.

საქართველოში ინვესტიციების განხორციელებისთვის კიდევ ერთი მიმზიდველი მხარდაჭერის მექანიზმს წარმოადგენს "საპარტნიორო ფონდი" (2011). აღნიშნული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ფონდი მეწარმეს სთავაზობს დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას (equity financing), რათა უცხოელი ინვესტორისთვის მოხდეს დამატებითი რისკების შემცირება.

ინოვაციებისადმი საინვესტიციო მხარდამჭერი პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია გადარჩენა და წარმატების მიღწევა კონკურენტულ ბრძოლაში. ამას უკავშირდება ქვეყანაში ტექნოლოგიური ინკუბატორების, ინოვაციური ცენტრების, ვენჩურული ფონდების დაფუძნება, ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და სრულყოფა.

სპეციალისტები თვლიან, რომ ამჟამად საქართველოში ადგილი აქვს ინოვაციურ კრიზისს და გამოყოფენ მის რამდენიმე ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზს:

1. საქართველოს ეკონომიკაში, ჭარბობდა და დღესაც ჭარბობს მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ტექნოლოგიები, რომლებიც უნდა შეიცვალოს, რადგან ვერ პასუხობს კვლავწარმოების თანამედროვე მოთხოვნებს;

2. ტრადიციული საწარმოო-ტექნოლოგიური კავშირების მოშლამ, ბაზრის მასშტაბების შემცირებამ, წარმოებისა და ინვესტიციების მკვეთრმა დაცემამ, ინფლაციის მაღალმა ტემპებმა და სხვა ფაქტორებმა განაპირობა ინოვაციური შესაძლებლობების შეზღუდვა;

3. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის არაჯეროვან დონეზე არსებობა. სათანადო მხარდაჭერით არ სარგებლობს ახალი ტექნიკის შემმუშავებელი და ამთვისებელი საწარმოები. კერძო სექტორის რესურსები არ მიიმართება ინვესტიციებსა და ინოვაციებზე საგადასახადო სისტემის მოუქნელობისა და სხვა ნაკლებ ეფექტური ღონისძიებების გამო;

4. საზღვარგარეთული მონოპოლიები და ტრანსნაციონალური კორპორაციები გაბატონებულნი არიან სამრეწველო საქონლისა და მნიშვნელოვანწილად სურსათის ბაზარზე, რაც ქვეყნის ეკონომიკას ხდის მათზე დამოკიდებულს, გადააქცევს მზა პროდუქციის გასაღებისა და იაფი ნედლეულის ბაზრად;

5. იმყოფება რა ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე, საბიუჯეტო დეფიციტისა და მზარდი შიდა და საგარეო ვალის პირობებში სახელმწიფო ძალაუნებურად ემიჯნება პერსპექტიულ ინვესტიციურ-ინოვაციურ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაზეც არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი;

6. კვალიფიციური კადრების დეფიციტი ინოვაციურ-ინვესტიციურ ბაზარზე. ქვეყანაში პრაქტიკულად არ წარმოებს მოცემული სფეროს მენეჯერთა მომზადება, რომლის გარეშეც შეუძლებელია წარმატების მიღწევა ბაზრის ამ ურთულეს სეგმენტზე.

კვალიფიციური კადრების დეფიციტი ზოგადად უარყოფითად მოქმედებს საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობაზე. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს 2019 წლის მსოფლიო

კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგი, რომლის თანახმად, საქართველო საშუალო განათლების დონის მიხედვით მსოფლიოს 141 ქვეყანას შორის მე-13 პოზიციაზეა, თუმცა კვალიფიციური სამუშაო ძალის, პროფესიული სწავლების, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ცოდნის, სამუშაო ძალაზე ხელმისაწვდომობის კუთხით 125-ე პოზიციას იკავებს. განსხვავება ამ ორ მონაცემს შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ ის ძალიან დიდ უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის თვალსაზრისითაც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოსვლას მასპინძელი ქვეყნისათვის აქვს ბევრი შედეგი, მათ შორის უარყოფითიც.

რეციპიენტი ქვეყნებისათვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებითი ზეგავლენა ეკონომიკის ზრდაზე შემდეგ მაჩვენებლებში აისახება: მწარმოებლურობის ზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა, თანამედროვე მენეჯერული უნარების ტრანსფერი, „ნოუ-ჰაუს“ ხელმისაწვდომობა, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა. შ.

თუმცა, განსაკუთრებით ყურადსაღებია უცხოელ ინვეს-ტორთა საქმიანობასთან დაკავშირებული შესაძლო უარყოფითი შედეგები, მათ შორის ე.წ. ,,განდევნის ეფექტი”. მას ორი ფორმა აქვს. ჯერ ერთი, კონკურენტული უპირატესობების მქონე უცხოურ კორპორაციებს შეუძლიათ ეროვნული კომპანიების შევიწროება საქონლის ბაზრებზე. მეორე, ეს კორპორაციები თვითონ ,,ითრევენ” ეროვნულ ბაზრებზე არსებული რესურსების, მათ შორის - ფინანსების, საგრძნობ ნაწილს და შესაბამისად ამოსავალი ყოველთვის უნდა იყოს ეროვნული ინტერესების დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ახორციელებენ განვითარებადი ქვეყნების დახმარებას, ხშირად აქვს ადგილი აღნიშნულ ქვეყნების ბიუჯეტის შემცირებას სოციალურ სექტორში, იზრდება სიღარიბე, ვალუტის კურსის კრიზისი, ადგილობრივი ვალუტის მასშტაბური დევალვაცია და ვაჭრობის პირობების დეტერმინაცია. შიდა დანაზოგები ვერ აფინანსებს ინფრასტრუქტურას, ჩნდება უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების

საჭიროება, მათი ისეთი უპირატესობების გამო, როგორიცაა რეციპიენტ ქვეყანაში მყარი ვალუტის და ფინანსური რესურსების შემოდინება, მენეჯერული უნარები, მარკეტინგული კავშირები, ტექნოლოგიური ცოდნა და ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება-დატრენინგება.

2017 წელს მსოფლიოში გლობალური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 23%-ით შემცირდა და 1.43 ტრლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, მაშინ, როცა 2016 წელს ეს მაჩვენებელი 1.84 ტრლნ-ს უდრიდა. 2016 წელს დაანონსებული ინვესტიციების მოცულობა ახალ პროექტებში, რაც მომავალი ტენდენციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, 14%-ით შემცირდა. განვითარებად ქვეყნებში პუი-ს ნაკადები თითქმის უცვლელი იყო - 671 აშშ დოლარი, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში იგი მკვეთრად დაეცა - თითქმის 37%-ით და 712 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შემცირდა 27%-ით და 47 მლრდ-მდე დაეცა. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 2005 წლიდან მოყოლებული.

2018 წელს პუი-ს ნაკადები აგრძელებდა შემცირებას და მსოფლიო მაჩვენებელი 1.3 ტრლნ აშშ დოლარამდე დაეცა, რამაც 13% შეადგინა. განვითარებულ ქვეყნებში იგი 27%-ით შემცირდა. განვითარებად ქვეყნებში უმნიშვნელო ზრდა -2% - დაფიქსირდა, ანუ 706 მლრდ აშშ დოლარი. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 34 მლრდ დოლარამდე შემცირდა, რამაც 28% შეადგინა.

რაც შეეხება 2020 წელს, პირველ ნახევარში პუი-ს საერთო მოცულობა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 49%-ით შემცირდა და 399 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ახალი ინვესტპროექტების რაოდენობა 37%-ით შემცირდა. განვითარებულ ქვეყნებში იმავე პერიოდში შემცირება უფრო თვალში საცემია და 75%-ს შეადგენს (397 მლრდ დოლარიდან 98 მლრდ დოლარამდე); განვითარებად ქვეყნებში ვარდნამ 16% შეადგინა და 352 მლრდ აშშ დოლარიდან 296 მლრდ დოლარამდე დაეცა.

UNCTAD-ის მონაცემებით წელს მსოფლიო ეკონომიკა 1.5-3%-ით შემცირდება და დაახლოებით 6.3 ტრლნ აშშ დოლარით ნაკლები იქნება წინა წელთან შედარებით. დაახლოებით იმავეს

პროგნოზირებენ სხვა საერთაშორისი ორგანიზაციები, მაგ., მსოფლიო სავალუტო ფონდი აჩვენებს 4.9%-ით, მსოფლიო ბანკი - 5.2%-ით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 6.6%-ით კლებას. ამის ძირითად მიზეზად ყველა ერთხმად იმ შეზღუდვებს ასახელებს, რისი შემოღებაც კორონავირუსის გამო გახდა აუცილებელი. გაეროს ბოლოდროინდლი მონაცემებით, პანდემია გამოიწვევს პუი-ს შემცირებას მსოფლიოში 30-40%-ით, მაშინ, როცა წინა პროგნოზებით ეს მაჩვენებელი 5-15%-ს არ აღემატებოდა. UNCTAD-ის მონაცემებით, ეს პროგნოზები მოყვანილია გაეროს „ვაჭრობისა და განვითარების“ კონფერენციის მასალებში (ჟენევა, 26 მარტი). UNCTAD-ის ექსპერტების დასკვნების შესაბამისად მსოფლიოში თითქმის 5 ათასი მრავალნაციონალური კომპანიის შემოსავლები Covid-19-ის მიზეზით 2020 წელს საშუალოდ 30%-ით შემცირდება [11].

2020 წლის პირველი ნახევრის ვარდნის შემდეგ, ყველაზე პოზიტიური პროგნოზის შემთხვევაშიც კი, 2021 წლამდე არსებული საინვესტიციო მოცულობა ვერ აღდგება. კიდევ უფრო მძიმე შედეგებს ვარაუდობს გაერო, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 30-40%-ით შემცირებას ელოდება. სექტორების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 208%-ით შემცირდება ენერგო და ნედლეულის მწარმოებელ სექტორში, 116%-ით ავიაციის სექტორში და 47%-ით ავტო ინდუსტრიაში.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ბოლო წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში არასტა-ბილური დინამიკით ხასიათდება, რაც ნათლად ჩანს პირველი ცხრილიდან.

ცხრილი 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2020 წლებში, მლნ აშშ დოლარი [10]

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*
სულ	1 039.2	1 837.0	1 728.8	1 652.6	1 978.3	1 306.3	1 310.8	409.6
I კვ	291.8	331.9	343.4	392.6	413.2	328.6	313.7	171.8

II კვ	224.1	217.6	493.2	452.4	395.7	406.1	236.6	237.8
III კვ	271.6	749.5	531.1	507.4	634.8	365.4	396.0	-
IV კვ	251.6	538.0	361.0	300.2	534.6	203.5	364.5	-

* წინასწარი მონაცემები

მონაცემებით დასტურდება, რომ 2017 წელს ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, თუმცა, შემდგომი წლების მაჩვენებლები სტაბილური კლებით ხასიათდება. განსაკუთრებული ვარდნით გამოირჩევა 2018 და 2019 წლები, როცა დაახლოებით 1/3-ით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა 2014 წელთან შედარებით. შესაბამისად, საინვესტიციო შემოდინების კლება ჯერ კიდევ კორონავირუსის გამოჩენამდე დაიწყო, 2020 წელი და პანდემია კი მთელი მსოფლიოსთვის და, შესაბამისად საქართველოსთვისაც, დამატებითი საინვესტიციო გამოწვევებით აღინიშნა. კერძოდ, 2020 წლის პირველ კვარტალში მისი 42%-იანი კლება დაფიქსირდა. ამასთან საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ უცხოური ინვესტიციების 63% თბილისშია თავმოყრილი.

Galt & Taggart-ის პროგნოზის თანახმად, 2020 წელს საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების შედეგად მიღებული მოსალოდნელი დანაკლისი ოპტიმისტური სცენარის მიხედვით 0.1 მილიარდი აშშ დოლარი იქნება, შუალედური სცენარის მიხედვითაც, 0.2 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო პესიმისტური სცენარის კი 0.4 მილიარდი აშშ დოლარი.

2020 წელი მსოფლიოსთვის ახალი საყოველთაო გამოწვევით დაიწყო, რომელიც კორონავირუსის პანდემიას უკავშირდება და მთელი სამყარო მოიცვა. ქვეყნების მიერ საზღვრების ჩაკეტვა, ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება და მნიშვნელოვანი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ღონისძიებების ჩაშლა ამცირებს ეკონომიკის ზრდის ტემპს. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი და პანდემიით გამოწვეული პირველადი უარყოფითი ეკონომიკური შედეგები უკვე სახეზეა.

საქართველოს ხელისუფლებას დიდი ძალისხმევის გაწევა მოუწევს, რომ საინვესტიციო გარდატეხა მოახდინოს და ისედაც შეზღუდული უცხოური საინვესტიციო რესურსების ქვეყანაში მოზიდვა შეძლოს და ამისათვის ხელსაყრელი გარემო შექმნას, რაშიც, პირველ რიგში, იგულისხმება სტაბილური პოლიტიკური

სიტუაცია, კერძო საკუთრების დაცულობა, ხელსაყრელი საგადასახადო რეგულაციები, იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, კორუფციის დაბალი დონე და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1981090?publication=5 საქართველოს კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ
2. http://www.economy.ge/?page=ecoleg&s=19 საქართველოს კანონი ,,ინოვაციების შესახებ"
3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=15 საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ
4. https://matsne.gov.ge/ka/document/view/24076?publication=8 საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ
5. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_2018.p საგადასახდელო ბალანსი 2014-2018 წლებში (მლნ აშშ დოლარი)14
6. http://dodiplom.ru/ready/54450 Сущность расходов федерального бюджета. Основные направления повышения эффективности использования средств
7. http://www.nplg.gov.ge/gsdl//cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების აუცილებლობა და მიმართულებები
8. https://www.kommersant.ru/doc/4549629 Глобальные иноинвестиции упали вдвое Мониторинг мировой экономики Газета "Коммерсантъ" №198 от 28.10.2020, стр. 2
9. https://sprintinvest.ru/koronavirus-dengi-investicii-stoit-li-panikovat-investoru Коронавирус, деньги, инвестиции: стоит ли паниковать инвестору?
10. geostat.ge 2019
11. Доклад ЮНКТАД о мировых инвестициях instituteofeurope.ru›nauchnaya…novosti…17062020-2

Nunu Kistauri

EXISTING ENVIRONMENT FOR ATTRACTING INNOVATIONS AND THE MAIN DIRECTIONS OF ITS IMPROVEMENT IN GEORGIA

Summary

The international movement of capital is one of the hallmarks of the development of the modern world economy.

Typically, developed countries invest in the economies of developing countries. This develops the industry of the host countries, because by receiving capital the recipient country gains the opportunity to renew and develop industries, increase productivity, produce competitive products and services.

However, the possible negative consequences related to the activities of foreign investors, including the so-called "Eviction effect" showed be underlined.

Foreign corporations can harass national companies in commodity markets. Therefore, the starting point should always be the protection of national interests.

At the present stage, attracting foreign investment to the Georgian economy is an important priority, which will contribute to sustainable economic development in the country, solve problems such as employment and income growth, the introduction of new technologies, growth of export potential and foreign exchange earnings integration of the country in the international economic space etc.

Legislation in the country plays a big role in attracting investments. For this purpose, the Department of Investment Policy and Investment Promotion has been established in Georgia, the agency "Produce in Georgia", the "Partnership Fund", the Law on Free Industrial Zones, the Law on Innovation, etc. have been adopted.

The year 2020 began with a new global challenge related to the coronavirus pandemic that swept the globe. The scale of the pandemic and the rapid spread of the infection at the beginning of the year led to a change in the usual rhythm of life, which caused unprecedented damage to the world economy. Although the exact economic damage caused by the pandemic has not yet been calculated, nor has the epidemic itself been defeated, there is no doubt that by 2020 the rate of economic growth in the world will be significantly reduced. This will be especially painful for developing and less developed countries including Georgia.

მარინე ცუცქირიძე

შიგა ინვესტიციების მოზიდვის არსებული გარემო და მისი სრულყოფის გზები საქართველოში

ანოტაცია. *ნაშრომში გადმოცემულია ბიზნესის განვითარების თანამედროვე ასპექტები. მათ შორის ძირითადს წარმოადგენს მსხვილი ბიზნესის ინოვაციური განვითარების მიზნით და მისი საბაზრო საქმიანობის გაფართოებისათვის აუცილებელი ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების გზით მსხვილ წარმოებათა ფინანსური უზრუნველყოფის მთავარი მიმართულებები. კერძოდ გამოკვლეულია მსხვილი სამრეწველო ბიზნესის საქართველოს ეკონომიკაში ფუნქციონირების პროცესების გაუმჯობესებისა და ამისთვის სხვა დარგების საწარმოთა ფინანსური სახსრების მოზიდვისა და ინოვაციური განვითარების ინვესტირების გზები. ინვესტორი საწარმოს ფინანსების მსხვილი საწარმოო ობიექტების შექმნისთვის გამოყენების მიმართულებები, რაც აუცილებელია დასაქმების პროცესის დაფინანსებისა და ახალი საბაზრო ურთიერთკავშირების დასამყარებლად.*

ნაშრომის ძირითად მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ბიზნესის საწარმოო და მომსახურების სისტემაში ფუნქციონირებადი მსხვილი სამრეწველო ობიექტების დაფინანსების ზრდის საფუძვლად, ინვესტიციების გამოყენების პროცესების წარმართვის უახლესი მეთოდებით ბიზნესის შემოსავლების გადიდების ღონისძიებათა შემუშავება საქართველოს მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიცია, ინოვაცია, ბიზნესი, გარემო , წარმოება, მომსახურება, სისტემა.*

შესავალი

ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის გატარება საქართველოში ძირითადად უკავშირდება მსხვილი ბიზნესის განვითარებას და ინოვაციური პროდუქციის წარმოების გაფართოებას, ასევე ინოვაციური ტექნიკის გამოყენების აუცილებლობას. მსხვილი ბიზნესის ინოვაციური განვითარების

ძირითად და საჭირო საფუძველს ინვესტორების მოზიდვა და გამოყენება წარმოადგენს. კერძოდ მათ შორის მთავარია ინოვაციური პროდუქტების წარმოების გაფართოება ტექნიკისა და ტექნოლოგიების საშუალებით, ფინანსური სახსრების მოზიდვისა და გამოყენების პროცესების რაციონალურად წარმართვა, რაც შიგა ინვესტიციების მოზიდვის გზით შეიძლება განხორციელდეს. ასეთი ინვესტიციები ბიზნესში არსებული შიგა სისტემური ურთიერთკავშირების დასამყარებლად აუცილებელ საშუალებას მიეკუთვნება, რაც საფუძვლად უდევს შიგა ინვესტიციების, ანუ ფინანსური სახსრების მოზიდვას ინოვაციების წარმოებისათვის მსხვილ საწარმოებში. ინოვაციების წარმოებისა და გამოყენებისათვის შიგა ინვესტიციების და ფინანსური სახსრების მოზიდვა ბიზნესის საწარმოო და მომსახურების სისტემებში ხორციელდება. მმართველობითი და ფინანსური სახსრების გამოყენება მსხვილი ბიზნესის ობიექტებზე შეიძლება შემდეგი გზით:

1) ბიზნესის შემოსავლების საფუძველზე, რომელიც მიიღება ინვესტიციების საშუალებით;

2) შიგა ინვესტიციების მოზიდვის გზით, მსხვილ საწარმოებს მიეწოდება ინვესტიციები ბიზნეს სისტემის სხვა საწარმოდან - ინვესტორებიდან, რომელიც გამოიყენება ინოვაციური ტექნიკის და ტექნოლოგიის შემოზიდვისა და ახალი საბაზრო პროდუქციის საწარმოებლად;

3) სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და მის შესაბამის ფინანსურ ღონისძიებათა საფუძველზე ინოვაციური განვითარების სხვადასხვა ფორმით გაცემული ფინანსური სახსრების ბიზნესის სისტემებში დაფინანსებით.

ამ მიმართულებით ფუნქციონირებადი მსხვილი ბიზნესის შემოსავლები დამოკიდებულია საწარმოთა ფინანსური რეზერვებისა და შემოსავლების სიდიდეზე, ინვესტიციების მოცულობაზე მისი დაბრუნების ვადებსა და დაცვაზე.

* * *

თანამედროვე ვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსხვილი ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას წარმოებისა და მომსახურების ისეთი დარგებისათვის რომლებიც ცხოვრების

დონის ამაღლებას, ჯანმრთელობის დაცვისა და გლობალური საბაზრო მიზნების შესრულებას განაპირობებენ. საქართველოს ბიზნესის სისტემის სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა და მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

1. მსხვილი ბიზნესის ინოვაციური განვითარება საქართველოში. საქართველოში ბიზნესის განვითარების საფუძვლის წარმოქმნა ძირითადად უკავშირდება საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას და ევროინტეგრაციული პროცესების გააქტიურებას. ამან განაპირობა მსხვილი ბიზნესის წარმოშობა და ინოვაციების გამოყენების გაფართოება საქართველოში, აგრეთვე წარმოებისა და მომსახურების პროცესების გაერთიანება და მსხვილი კორპორაციების, კომპანიებისა და საერთაშორისო გაერთიანებათა წარმოშობა და არსებული საბაზრო ურთიერთკავშირების გადიდება. რამაც გამოიწვია აღნიშნული დარგების საწარმოო შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება და ბიზნესის შემოსავლების ზრდის საშუალებათა წარმოქმნა.

2. მსხვილი ბიზნესის ჩამოყალიბება თანამედროვე ევროურთიერთობების დროს, რაც მოითხოვს ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების, ასევე ინოვაციური პროდუქტების წარმოების, ათვისებისა და ინოვაციების გავრცელებისათვის საჭირო საბაზრო ურთიერთობების გაფართოებას. მსხვილ საწარმოთა და მომსახურების ობიექტების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ძირითად პირობას წარმოადგენს ინოვაციური პროდუქტების წარმოების ათვისება და მათი მომსახურების პროცესის წარმართვა ინოვაციური ტექნიკის საფუძველზე, რაც ინოვაციური მსხვილი ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს.

მსხვილი ბიზნესის განვითარების პროცესის დაფინანსებისა და ამით მისი ინოვაციურობის საფუძველის შექმნის აუცილებლობაზე მიანიშნებს საქართველოში არსებული დარგობრივი და რეგიონული საწარმოების, სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების გზით ბიზნესის სისტემის შემოსავლების გადიდების და დასაქმების სფეროს მოწესრიგების შესაძლებლობა, რაც ინოვაციური ბიზნესის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს.

ინოვაციური მსხვილი ბიზნესის განვითარება საქართველოში ძირითადად დაკავშირებულია გლობალური საბაზრო ურთიერთობების გაფართოებასთან, რაც ცოდნისა და ტექნოლოგიების ურთიერთგაცვლის გზითა და ევროსაბაზრო ურთიერთობებში მონაწილეობის საფუძველზე ხორციელდება:

1) მმართველობითი ინოვაციების გამოყენება მსხვილი კომპანიების საბაზრო საქმიანობის წარმართვისათვის;

2) ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება მსხვილი საწარმოებისა და მომსახურების სისტემების საქმიანობის ორგანიზაციის მიზნით;

3) ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება მსხვილ სამრეწველო ბიზნესში, მათ შორის მძიმე მრეწველობის, მწვანე ბიზნესისა და სოციალური მომსახურების დარგებში მომუშავე საწარმოებში;

4) ინოვაციური მეთოდების გამოყენება კადრებისა და დასაქმების მოწესრიგებისა და უმუშევრობის დაძლევისათვის, მსხვილი ბიზნესის ობიექტების საშუალებით და სხვა.

ამრიგად, ინოვაციური მსხვილი ბიზნესის ფუნქციონირება საქართველოში შესაძლებელია ევროსაბაზრო და საერთაშორისო ურთიერთკავშირებთან ინტეგრაციის საფუძველზე, ასევე ინვესტიციების გამოყენებით რაც აუცილებელია ინოვაციური პროდუქციის წარმოებისა და ინოვაციური ტექნიკის ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების და ტექნიკის საშუალებით. ამისათვის განისაზღვრება შრომითი რესურსების მსხვილ ბიზნესში გამოყენებისა და ბიზნესის კაპიტალის არსებული მდგომარეობა; მეწარმეობის ევროინტეგრაციისა და შიგა საბაზრო ურთიერთკავშირების მოწესრიგებისათვის შიგა ინვესტიციების გამოყენების შესაძლებლობები, ასევე მსხვილი ბიზნესის ობიექტებზე ინოვაციების დანერგვისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების სხვა საშუალებათა მოზიდვის გზები.

შიგა ინვესტირების პროცესი ძირითადად დამოკიდებულია: მსხვილი ბიზნესის შემოსავლებზე და ფინანსური რესურსების მოზიდვასა და მისი გამოყენების ეფექტიანობაზე. იგი დაკავშირებულია აგრეთვე მსხვილი ბიზნესის შემოსავლების განაწილებაზე, ინვესტორი საწარმოების ფუნქციონირების

შედეგებზე და მისი ფინანსური სახსრების ზრდაზე; ინოვაციური ტექნოლოგიების წარმოებისა და საბაზრო პროცესებში მისი მონაწილეობის მიზნით შიგა ინვესტიციების მოზიდვის არსებულ მექანიზმზე; შიგა ინვესტირების ობიექტების - ბიზნესის საწარმოო და მომსახურების, ასევე საბაზრო სისტემების შემოსავლებზე; მსხვილი კომპანიებისა და კორპორაციების საწარმოო და შრომითი კაპიტალის სიდიდეზე.

აღნიშნული ინვესტიციების მსხვილ ბიზნესში მოზიდვის აუცილებლობას განაპირობებს:

1) ინოვაციური განვითარების დროს წარმოქმნილი ფინანსური სიძნელეები და ბიზნესის ტექნოლოგიური განვითარების აუცილებლობა;

2) შიგა ინვესტიციების მოზიდვისა და მისი გარემოს გაუმჯობესება საქართველოში.

ინოვაციური ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ევროინტეგრაციის ვითარებაში წარმოადგენს ფინანსური საფუძვლების გაუმჯობესება საწარმოებში, რომელთა შორის მთავარს შიგა ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს. შიგა ინვესტიციების მოზიდვა კი - ბიზნესის სისტემაში შიგა ფინანსური რესურსების გამოყენების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ამასთან ერთად გაითვალისწინება, რომ შიგა ინვესტიციების მოზიდვის დროს მსხვილ საწარმოებისათვის ძირითადია:

1) ინვესტიციის საწარმოთა არსებობა და მასთან ფინანსური ინტეგრირების შესაძლებლობა;

2) ინვესტიციების მოცულობისა და ვადების შესახებ ურთიერთშეთანხმებისა და პირობების ურთიერთ შესაბამისობა;

3) შიგა ინვესტიციების მოზიდვისათვის აუცილებელი გარემოს არსებობა მისი რაციონალურად წარმართვის შესაძლებლობა და სხვა.

შიგა ინვესტიციების მოზიდვა მიმართულია მსხვილი ბიზნესისათვის დამახასიათებელი შიგა სისტემური ინტეგრაციისა და საწარმოო ურთიერთკავშირების დამყარებისათვის საჭირო პროცესისათვის. მათგან მთავარს ინოვაციების გავრცელებისა და წარმოების პროცესი წარმოადგენს, რაც ბიზნესის სისტემაში ფუნქციონირებადი მსხვილი ფირმების შიგა საწარმოო

ინტეგრაციის საფუძველია და ინვესტიციების მოზიდვისათვის აუცილებელი გარემოს შექმნისთვისაა გამიზნული.

შიგა ინვესტიციების მოზიდვის პროცესი ძირითადად დამოკიდებულია მსხვილი ბიზნესის შემოსავლებზე და მისი ზრდის ფაქტორებზე, რომელიც განაპირობებს ინვესტიციების გაცემის - ინვესტორი საწარმოსა და ინვესტიციების მომხმარებელ წარმოებათა საშუალებით ფინანსური სახსრების მოზიდვისათვის აუცილებელი გარემოს წარმოქმნას, რაც მსხვილ წარმოებათა ინოვაციური განვითარების ძირითად გზასა და მიმართულებაზე მიანიშნებს. იგი დაკავშირებულია აგრეთვე მსხვილი ბიზნესის შემოსავლების განაწილებაზე, ინვესტორი საწარმოების ფუნქციონირების პირობებზე, შედეგებზე, მისი ფინანსური სახსრების სიდიდეზე და სხვა.

წარმოებისა და საბაზრო პროცესებში მონაწილეობის მიზნით შიგა ინვესტიციების მოზიდვის არსებული მექანიზმი ინვესტირების ობიექტების შემოსავლების გადიდებისა და მმართველობითი კაპიტალის ასევე შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების მისაღწევ საშუალებებსაც წარმოადგენს. ამ ინვესტიციების მსხვილი ბიზნესის ინოვაციური განვითარების მიზნით მოზიდვის აუცილებლობას განაპირობებს:

1) ინოვაციების გამოყენების პროცესში წარმოქმნილი ფინანსური სიძნელეები და ტექნოლოგიური განვითარების დაფინანსების დაბალი დონის არსებობა;

2) მსხვილ საწარმოებში ინოვაციებზე მოთხოვნასა და მიწოდების პროცესების ურთიერთშეუსაბამობა;

3) სამეცნიერო და ტექნიკური პროდუქციისათვის საბაზრო სივრცის ნაკლოვანებები, რომლითაც გამოწვეულია კომერციალიზაციის პროცესის გართულება და ინოვაციების შექმნისა და წარმოების პროცესების ურთიერთდამოკიდებულებაში დარღვევების წარმოქმნა.

ამისათვის საჭირო ეკონომიკური სტიმულების მოქმედების შესუსტების შედეგად, აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაძლევის მიზნით მსხვილი ბიზნესის განვითარების პროცესში გამოიყენება წარმოებებში ინვესტიციების მოზიდვის არსებული მექანიზმი. მის საფუძველზე წარმოიქმნება და ვითარდება სამრეწველო ბიზნესის სხვადასხვა დარგები, ბიზნესის ახალი სექტორები. მწვანე

ბიზნესის განვითარება შესაძლებელი ხდება და მსხვილ წარმოებათა ინტეგრაციის გზით წარმოიქმნება საერთაშორისო ბიზნესი, რაც საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის აუცილებელ და ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას წარმოადგენს.

მსხვილი ბიზნესის ინოვაციურობის საფუძველს შიგა ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს. იგი ხორციელდება ისეთი სისტემური ღონისძიებების გატარების შედეგად, რომელიც შემდეგ მიმართულებებს აერთიანებს:

1) შიგა ინვესტიციების საშუალებით ტექნიკისა და ტექნოლოგიების წარმოების ათვისება, ბიზნესის საწარმოო ობიექტებზე ფინანსური სახსრების მობილიზება ინოვაციური პროდუქტების შექმნის მიზნით და ამ გზით მსხვილ წარმოებათა კონცენტრაცია. ამით კი ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესის დაჩქარება;

2) მსხვილ საწარმოთა ინოვაციურობის ზრდა შიგა ინვესტიციების მოზიდვის გარემოს გაუმჯობესების შედეგად, წარმოების ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური ბაზის განვითარების საფუძველზე, რაც საბიუჯეტო დაფინანსების შეზღუდვას განაპირობებს;

3) სახელმწიფოს ღონისძიებათა კონცენტრაციის პირობებში, რომელიც ახალი ტექნოლოგიების წარმოქმნასა და არსებულის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება, გამოიყენება სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინდუსტრიული პარკები, როგორც ბიზნესის ინოვაციური განვითარებისათვის ძირითადი საშუალებანი;

4) საბიუჯეტო დაფინანსების, ინტელექტუალური და სხვა რესურსების მობილიზება მსხვილი ბიზნესის საწარმოო და მომსახურების ობიექტების საქმიანობის გაფართოებისა და ინოვაციურობის ასამაღლებლად ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ამით მსხვილ საწარმოთა ფინანსური საფუძვლების გაუმჯობესება.

საქართველოს ბიზნესის სისტემებში შიგა ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების პროცესი აქტიურად უკავშირდება საწარმოო და მომსახურების დიდ ობიექტებზე ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მმართველობითი ინოვაციების დანერგვას. იგი მსხვილი ბიზნესის ინოვაციური და ტექნოლოგიური

განვითარებისათვის აუცილებელ წანამძღვარს და ინვესტიციური გარემოს გაუმჯობესების გზას წარმოადგენს.

შიგა ინვესტიციების მოზიდვისათვის ბიზნესის სისტემაში არსებული გარემო საქართველოში მოითხოვს თანამედროვე ევროსაბაზრო ურთიერთობებთან შესაბამისობას, რაც მისი სრულყოფის გზით შეიძლება განხორციელდეს. მსხვილი საწარმოები, რომლებიც ფუნქციონირებენ ბიზნესის საწარმოო და მომსახურების თანამედროვე სისტემებში, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მისაღწევად მიმართავენ საწარმოო ობიექტების კონცენტრაციისა და ფინანსურ ალიანსებში მონაწილეობის მეთოდების გამოყენებას, რასაც საფუძვლად უდევს ცოდნისა და ინოვაციების, პროდუქტების წარმოებაში სიახლეების საშუალებით ევროინტეგრაციაში საქართველოს მსხვილ წარმოებათა მონაწილეობა. ამასთან დაკავშირებით მსხვილი ბიზნესის, კერძოდ დიდი კომპანიების მიერ შიგა ინვესტიციების მოზიდვა ან გაცემა მოითხოვს ინვესტირების გარემოს სრულყოფას, იგი შემდეგი გზებითაა შესაძლებელი:

1) ფინანსური სახსრების კონცენტრაცია რომელიც მიღებულია შიგა ინვესტიციების, ბიზნესის საქმიანობიდან შემოსავლების ზრდის და სხვა რეზერვებისა და საბაზრო შემოსავლების გზით, რადგან შიგა ინვესტიციებისა და სხვა ფინანსური საშუალებების რაციონალურად გამოყენება ინოვაციური ბიზნესის განვითარებისათვის მთავარ შესაძლებლობას წარმოადგენს;

2) შიგა ინვესტიციების მოცულობის გადიდება მისი მოზიდვისათვის საჭირო გარემოს გაუმჯობესებისათვის მატერიალური და ტექნიკური ბაზის გაფართოება და ბიზნესისათვის სახელმწიფოს ფინანსური დახმარების გამოყენება;

3) ბიზნესისა და სახელმწიფო პოლიტიკის კონცენტრაცია ტექნოლოგიური და ინდუსტრიული პარკებისა და საწარმოო ფართობების გამოყენების მიზნით, რომელიც მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური ბიზნესის განვითარებისთვისაა აუცილებელი;

4) ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორის დახმარებით და მსხვილი ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის გაუმჯობესება შიგა

ინვესტიციების მოზიდვის რაციონალურობის ამაღლების საფუძველზე.

5) ინვესტორ-საწარმოებთან ურთიერთკავშირის და ინვესტირების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებათა განხორციელება, რაც შიგა ინვესტიციების მოზიდვის გაუმჯობესებისთვისაა აუცილებელი, ასეთს წარმოადგენს საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობების გაცემა იჯარით, მაღალი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე, რომელიც აუცილებელია შიგა ინვესტიციების მოზიდვის პროცესების წარმართვისათვის და მსხვილი ბიზნესის შემოსავლების ზრდის წინაპირობას წარმოადგენს.

აღნიშნულის განხორციელება წარმადგენს შიგა ინვესტიციების მოზიდვის გარემოს სრულყოფის მთავარ მიმართულებას. იგი მსხვილი ბიზნესის ინოვაციურობის ამაღლების და ამით ევრო ინტეგრაციულ და საბაზრო პროცესებში მონაწილეობისათვის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ბიზნესის ინოვაციური განვითარების თანამედროვე პროცესების განხორციელება ძირითადად უკავშირდება შიგა სისტემური ურთიერთკავშირების გაფართოებას, რომელთა შორის მთავარს შიგა ინვესტიციების მოზიდვა და წარმოების ტექნოლოგიურობის, ტექნიკური პროგრესისა და ინოვაციურ მეთოდებზე დამყარებული მმართველობითი პოტენციალის ათვისება წარმოადგენს.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ფინანსურ საფუძველს წარმოადგენს შიგა ინვესტიციების მოზიდვისა და მისი გარემოს სრულყოფის ღონისძიებები. მათი განხორციელება დამოკიდებულია ბიზნესის სისტემაში არსებულ მსხვილ წარმოებათა კონცენტრაციისა და მმართველობითი კაპიტალის არსებობაზე.

შიგა ინვესტიციების მოზიდვის პროცესის ძირითადი ელემენტები მოიცავს: ინვესტორი საწარმოების ფინანსებსა და ინვესტირების ობიექტებს, საწარმოო და მომსახურების ობიექტებს, ინოვაციური ტექნიკის და ტექნოლოგიის მოზიდვას, ასევე

ინოვაციური პროდუქტისა და მომსახურების დაფინანსების სისტემებს და მათი ფუნქციონირების პროცესებს.

მსხვილი ბიზნესის ინვესტირების შიგა სისტემური პროგრესისთვის ძირითადი მისი გარემოა, რომლის სრულყოფის გზებიდან მნიშვნელოვანია ბიზნესის საქმიანობის დაფინანსების გაუმჯობესება მისი ობიექტების კონცენტრაციის გზით, რომელიც შიგა ინვესტირების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რამაზ აბესაძე. მწვანე ეკონომიკის არსი და გამოწვევები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2019 .

2. ვლადიმერ პაპავა. მაღალტექნოლოგიური ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XI, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი , 2018.

3. გიორგი ბერულავა, მარინე ცუცქირიძე, თეიმურაზ გოგოხია. თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლო-გიების გამოყენება ეკონომიკაში. სამეცნიერო შრომითი კრებული ტომი XI, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილის, 2018 .

4. მარინე ცუცქირიძე. ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის ძირითადი მიმართულებები. სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XII, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.6.

5. მარინე ცუცქირიძე. ბიზნესის ინოვაციური განვითარების პროცესში ინოვაციების გამოყენება საქართველოში. საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2020, გვ. 501.

Marine Tsutskiridze

EXISTING ENVIRONMENT FOR ATTRACTING DOMESTIC INVESTMENTS AND WAYS TO IMPROVE IT IN GEORGIA

Summary

The paper discusses ways to attract domestic investment for the innovative development of large businesses and improve the environment required for this, analyzes the key elements of this environment and the main issues of using the investment necessary for its operation. The possibilities of applying the financial policy of the developed state to the business are presented, which is the basis for the expansion of Euro-integration relations and the development of market relations.

The issues of improving the existing environment for attracting internal investment are discussed in the paper in relation to the problem of investment and internal systemic processes in business development, as it is a necessary prerequisite for the rational management of the investment process.

The paper mainly discusses the main financial elements of business development processes, which lead to the development of large industrial businesses, green businesses, as well as innovative businesses and social services. Ways to use investments for the functioning of the business system, which are necessary for the production of innovative products and services, are a key precondition for establishing financial relationships.

თეიმურაზ გოგოხია

ინოვაციების კომერციალიზაციისათვის საინვესტიციო გარემოს ფორმირების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოს ბიზნესში

ანოტაცია. *ნაშრომში საქართველოს ბიზნესის მაგალითზე განხილულია ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესისათვის ხელშემწყობი საინვესტიციო გარემოს ჩამოსაყალიბებლად შესაბამისი პოლიტიკის მიმართულებები, განსაზღვრულია აღნიშნული საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიმდინარე პრობლემები და, შემოთავაზებულია მათი გადაჭრის გზები.*

ნაშრომში შესწავლილია ცოდნის კომერციალიზაციის პროცესის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები და პროექტები,

განსაკუთრებით, ფინანსური მხარდაჭერის სახით, რომელიც ეხება ახალი ტექნოლოგიური კომპანიების შექმნას, ინოვაციებზე ორიენტირებულ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების მხარდაჭერას, საინოვაციო საქმიანობისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირებასა და სამეცნიერო- და ტექნოპარკების, ბიზნესის აქსელერატორის, ინკუბატორის და ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა კომპონენტების შექმნას.

ამასთან ერთად, მიმოხილულია ამ პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციისთვის ხელშემწყობი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უკავშირდება სამეცნიერო კვლევების შედეგებზე საკუთრების უფლებების განსაზღვრას, სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციაზე ორიენტირებული ე.წ. სტარტაპების საქმიანობას, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წყაროებსა და სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებულ საგადასახადო შეღავათებს.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციები, ცოდნის კომერციალიზაცია, ინვესტიციები.*

1. შესავალი

ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან მამოძრავებელ ფაქტორად საყოველთაოდ აღიარებულია ინოვაციური პროცესი.

ვეყრდნობით რა ცნობილი ქართველი ეკონომისტის *ლეო ჩიქავას* მიერ თავის მონოგრაფიაში მოცემული „ინოვაციის“ განმარტებას, რომლის მიხედვით ინოვაცია წარმოადგენს ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, მეწარმეობის ფორმებსა და მართვაში ისეთ სიახლეებს, რომელიც მეცნიერულ ცოდნასა და მოწინავე მიღწევებზე არის დამყარებული და, ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვნად ზრდის მოქმედი სისტემის ეფექტიანობას [*ჩიქავა ლ.*, 2006], ინოვაციურ პროცესში ვგულისხმობთ „მეცნიერული ცოდნის ინოვაციებად გარდაქმნის პროცესს“ [*თვალჭრელიძე ა. და სხვ.*, 2011].

აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება და კომერციალიზაციის პროცესს უკავშირდება. შესაბამის აკადემიურ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა შეხედულება

ინოვაციურ პროცესსა და კომერციალიზაციას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ზოგიერთი ავტორის მიხედვით კომერციალიზაციის გაგება ჩართულია თვით ინოვაციის განმარტებაში, ხოლო სხვები განიხილავენ კომერციალიზაციის პროცესს როგორც აქტივობას, რომელიც გულისხმობს ინოვაციების წარდგენას ბაზარზე. ამასთან ერთად, როდესაც კომერციალიზაცია განიხილება ინოვაციის ცნების ფარგლებში, მაშინ ინოვაციის შექმნის პროცესი განისაზღვრება როგორც გამოგონება ან აღმოჩენა [*Datta, A. et al.,* 2014].

ჩვენს ნაშრომში ტერმინს „ინოვაციების კომერციალიზაცია“ რამდენიმე ეტაპის მომცველ პროცესად მოვიაზრებთ. ჩვენ ვეყრდნობით იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით ინოვაციური პროცესი კომერციალიზაციასთან ერთად პირობითად მოიცვას ისეთ ეტაპებს, როგორიცაა: პროდუქტის/სერვისის იდეის გენერირება, კონცეპტის (მიზნისა და მიმართულების) ფორმულირება, პროდუქტის პროტოტიპის შემუშავება, ვალიდაციის ტესტირება (პროდუქტის ბაზარზე მორგება), ზრდა (გაზომვადი აუდიენცია), გაყიდვები (ბაზარზე შესვლა)[57].

ამასთან ერთად, ზემოთ აღნიშნულ ტერმინში ვგულისხმობთ, რომ ინოვაციების კომერციალიზაციის, როგორც პროცესის, ყოველ ეტაპზე ჩართულია სხვადასხვა მონაწილე სუბიექტი და, შესაბამისად, მასში მოვიაზრებთ თანამშრომლობის პროცესს ბიზნესსა და მეცნიერებას შორის, კომპანიებსა და სახელმწიფო და/ან კერძო აკადემიურ (საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით) დაწესებულებებს შორის [*Trzmielak, D.M.,* 2013; *Tomaszewski, M.,* 2013; *Baaken Th. et al.,* 2015; *Han, J.,* 2017], რომლის კოორდინაციას, ხელშეწყობასა და რეგულირებას სახელმწიფო სექტორი ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ ეს სამმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმას ღებულობს [*Leydesdorff, L.* 2012; *Abbas A. et al,* 2018; *Galvao, A. et al.,* 2019].

ამ თვალსაზრისით, ისტორიულ ჭრილში ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის წარმოშობა უკავშირდება კოოპერაციას, თანამშრომლობას ისეთ სუბიექტებს შორის,

[57] https://gita.gov.ge/geo/ecosystem

როგორიცაა: აკადემიური დაწესებულება და სამეწარმეო ფირმა (ბიზნესკომპანია). ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე ამ პროცესის ხელშესაწყობად, გასაძლერებლად და დასარეგულირებლად მიზანშეწონილი და აუცილებელი გახდა სახელმწიფო სექტოროს ჩართულობაც [*Etzkowitz, H., Leydesdorff, L.,* 1998; *Etzkowitz, H., Leydesdorff, L.,* 2000].

განვითარებული ქვეყნების მაგალითზე შესაძლებელია ხაზი გავუსვათ იმას, რომ სახელმწიფოს პირდაპირი და ირიბი დახმარებით ამ პროცესმა უფრო დიდი მასშტაბები მიიღო, გამრავალფეროვნდა, გაძლიერდა და, შესაბამისად, ამ ქვეყნებმა ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ დონეს მიაღწიეს.

გაეროს მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში სახელმწიფო სახსრებით დაფინანსებული სკსსს-ი[58] სრულდება საჯარო კვლევით ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში. განვითარებადი ქვეყნისთვის, სადაც კერძო სექტორის მიერ განხორციელებული სკსსს-ი ძალიან დაბალ დონეზეა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სკსსს-ი შესრულდეს საჯარო სექტორის მიერ. მსგავსი ტიპის დაფინანსება არ წარმოადგენს საწარმოების დაფინანსების პირდაპირ წყაროს. საჯარო სახსრებით დაფინანსებული სკსსს-ის შედეგად, ხშირ შემთვევაში, ფირმები ღებულობენ ცოდნას, რომელიც ეხმარება მათ ან გარკვეული ტიპის პრობლემების გადაჭრაში, ან ადგილობრივ გარემოში ეფექტიანი გამოყენებისთვის უცხოური ტექნოლოგიების ადაპტირებაში. ამასთან ერთად, ამ ტიპის სკსსს-ის რეალიზაციის შედეგად შესაძლებელი ხდება ფირმების უზრუნველყოფა ახალი ცოდნითა და ტექნოლოგიებით, როგორც მათი ინოვაციური საქმიანობის წინაპირობა. სხვადასხვა ქვეყანაში მთავრობები ხელს უწყობენ სკსსს-ის განხორციელებას საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და საჯარო კვლევით ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც ე.წ. კლასიკურ იარაღად არის მიჩნეული ეროვნული ან სექტორული ინოვაციური სისტემების საკვანძო კავშირების განმტკიცებისთვის, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური

[58] **სკსსს** - სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები (**R&D** – Research & Development; НИОКР – научно-исследовательские и опытно-конструкторские разработки).

საქმიანობის სხვადასხვა დარგში ინოვაციების დანერგვას განაპირობებს და ხელს უწყობს [*UNCTAD,* 2013].

გარდა ამისა, სხვადასხვა ქვეყანაში მთავრობები ხშირად მიმართავენ დახმარების არაფინანსური ხასიათის ზომებსაც, რომლის მეშვეობით შესაძლებელი ხდება საწარმოების სტიმულირება ინოვაციების განხორციელებაში, კერძოდ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის, ცოდნის ან მათი პროდუქციის გარანტირებული ბაზრის უზრუნველყოფით. ეს ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს საჯარო ინვესტიციებს ისეთი მიმართულებით, როგორიცაა სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკები და ბიზნესინკუბატორები; მეცნიერება და ტექნოლოგიები; ინფორმაციული, საკომუნიკაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა; სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში, ინკუბატორებს და სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პარკებს, თავის მხრივ, შეუძლიათ განაპირობონ როგორც დაფინანსება, ისე ინფრასტრუქტურის ფორმირება და სხვა არაპირდაპირი მხარდაჭერის უზრუნველყოფა [*UNCTAD,* 2013].

აქედან გამომდინარე, ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს აკადემიური წრეების, ბიზნესისა და სახელმწიფო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობას, ძალზე აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის ისეთი ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო.

ჩვენი ნაშრომის მიზანია გავაშუქოთ საქართველოში ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის ხელშემწყობი საინვესტიციო გარემოს პრობლემები, რომელიც მოიცავს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ და მომავალში დაგეგმილ საჯარო პროექტებსა და პროგრამებს, ხოლო მეორე მხრივ - შესაბამისი კანონმდებლობის არსებობას და, შესაბამისად, დავსახოთ ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

* * *

საქართველოში ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით ფინანსების ხელმისაწვდომობის პრობლემა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, ერთი მხრივ, საერთოდ მისი

განვითარებისთვის, ხოლო მეორე მხრივ - მისი ინოვაციური აქტივობებისთვის.

2015 წლის მონაცემების მიხედვით, ცნობილია, რომ კომპანიების „მხოლოდ 12%-ს აქვს სესხი და 14%-ს აქვს წვდომა კრედიტზე, დანარჩენი შიდა ინვესტიციებით სარგებლობენ. მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული კრედიტის 94%-ი კერძო კომერციული ბანკების მიერ გაიცემა, ძალიან რთული საგარანტიო პირობებით (ჩვეულებრივ უძრავი ქონების სახით, რომლის საერთო ღირებულება სესხის ოდენობის 220%-ს შეადგენს)". ამასთან ერთად, „სესხები გაიცემა მაღალი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც 3-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ესტონეთში, და 20%-ით მაღალია, ვიდრე სომხეთში. ამ პირობებითაც კი საქართველოში მოქმედი ბანკები თავს იკავებენ ინოვაციურ პროექტებში ფულის ჩადებისაგან, მაღალი რისკის და ინოვაციური ციკლის თავისებურებებში გაუცნობიერებლობის გამო. ალტერნატიული დაფინანსების წყაროები - ე.წ. „ბიზნესანგელოზები", ვენჩურული კაპიტალი და სხვა ფორმები ძირითადად ხელმიუწვდომელია განუვითარებელი ბიზნესის ინფრასტრუქტურისა და სათანადო პრაქტიკის/გამოცდილების არარსებობის გამო" [*ბრეგვაძე თ., დალაქიშვილი მ.,* 2015].

2017 წლის მონაცემების მიხედვითაც ფინანსების ხელმისაწვდომობის პრობლემა ძალზე აქტუალური რჩება. ცნობილია, რომ მცირე და საშუალო ზომის კომპანიების ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება საკუთარ ფინანსურ რესურსებზე დაყრდნობით - 76%, საბანკო სესხი აქვს ამ კომპანიების მხოლოდ 30%-ს [*USAID Georgia,* 2017].

ზოგადად გამოყოფენ როგორც პირდაპირი (მათ შორის კერძო და საჯარო), ისე არაპირდაპირი დაფინანსების ინსტრუმენტებს. **პირდაპირი კერძო დაფინანსების ინსტრუმენტებს** განეკუთვნება პირადი დანაზოგები, ოჯახი და მეგობრები; პარტნიორების (ან თანამშრომლების) პირადი დანაზოგები; გაუნაწილებელი მოგება; „ბიზნესანგელოზების" დაფინანსება; ვენჩურული კაპიტალი; კომერციული ბანკის სესხები; საფონდო ბირჟები; ობლიგაციები; ფასეულობის ჯაჭვის დაფინანსება; მიკროკრედიტი; კრაუდფანდინგი; ხოლო **პირდაპირი საჯარო დაფინანსების ინსტრუმენტებს** - სასტარტო დაფინანსება;

თანაინვესტირების ფონდები; ინოვაციური ან ტექნოლოგიური ფონდები; განვითარების ბანკები; საინოვაციო პრემიები; საერთა-შორისო დახმარება განვითარებისთვის). ამასთან, **არაპირდაპირი დაფინანსება** წარმოდგენილია **ისეთი ინსტრუმენტებით,** როგორიცაა: საგადასახადო სტიმულები, მათ შორის საგადასახადო კრედიტები, საგადასახადო შეღავათები, გადასახადიდან გამოქვითვები; სახელმწიფო სესხის გარანტიები; სკსსს-ზე სახელმწიფო ხარჯები და სკსსს-ის სფეროში ბიზნესს, აკადემიურ წრეებსა და სახემწიფოს შორის თანამშრომლობა [*UNCTAD,* 2013].

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პრობლემისა ფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია როგორც საქართველოს მთავრობის, ისე კერძო სექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, პროგრამები და პროექტები, რომელიც მიზნად ისახავს სკსსს-ის, ტექნოლოგიური და ინოვაციური პროცესებისა და განვითარების ხელშეწყობას და, შესაბამისად, აყალიბებს ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარებისთვის, მათ შორის ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესისთვის ქვეყნის მასშტაბით.

2. სახელმწიფო პროგრამები და პროექტები

პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წელს შემუშავდა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარე-ბის სტრატეგია - საქართველო 2020“. ამ დოკუმენტში დიდი ყურადღება ექცევა ისეთ საკითხს, როგორიცაა სკსსს-ის შესასრულებლად ფინანსების ხელმისაწვდომობის პრობლემის მოგვარება და მისი შედეგების კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და მხარდაჭერა [*„საქართველოს...,* 2020].

2014 წელს საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეიქმნა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მისიაა საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბება, ცოდნისა და ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესების მხარდაჭერა და ხელშეწყობა, ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირება, ინოვაციებისა და მაღალტექნოლოგიური

პროდუქტების შესაქმნელად და მათი ექსპორტის გასაზრდელად შესაბამისი ხელსაყრელი გარემოს ფორმირება და განვითარება, ქვეყნის მასშტაბით მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის დანერგვა და განვითარება[59].

როგორც აღვნიშნეთ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მთავარი მიზანია ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბება. ამისათვის უკვე 2016 წელს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ქ. თბილისში გაიხსნა და დაიწყო ფუნქციონირება პირველმა ტექნოპარკმა, რომელიც ორიენტირებულია ქვეყანაში ინოვაციური წარმოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ტექნოპარკის სივრცე წარმოადგენს გარკვეული სახის პლატფორმას, სადაც თავს იყრის სხვადასხვა როგორც ტექნოლოგიური, ისე ადამიანისეული (საგანმანათლებლო და პროფესიონალური) რესურსი და რომელიც ბიზნესისთვის ინოვაციური აქტივობებისა და მაღალ ტექნოლოგიების გამოყენების ერთგვარ ხელისშემწყობ და სტიმულის მიმცემ ადგილად გვევლინება.

ამასთან ერთად, დღეისთვის ინოვაციებისა და ტექნო-ლოგიების სააგენტოს ძალისხმევით ქვეყნის მასშტაბით 8 სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაა **(ე.წ. „ფაბლაბია“)** გახსნილი, რომლებიც ორიენტირებული არიან ახალი წამოწყებების სრულყოფასა და ახალგაზრდა ინოვატორების იდეების რეალიზებაზე.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან დაიწყო რეგიონებში ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოების გახსნა.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ შეიქმნა ინოვაციების ლაბორატორიების ქსელი, რომელიც მოქმედებს სამ ლოკაციაზე, როგორიცაა: ჯეოლაბი, გეიმლებ ილიაუნი და სიჯი მულტილებ ჯიპა და წარმოადგენს მყარ ტექნოლოგიურ ბაზას ახალგაზრდებში ციფრული უნარების შექმნისა და გამდიდრების მიზნის მისაღწევად. აღნიშნული ქსელი მიზნად ისახავს ისეთი აქტივობების რეალიზაციას, როგორიცაა:

[59] ***წყარო:*** https://gita.gov.ge/geo/static/3 - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი.

სპეციალისტების მომზადება, ინოვაციური იდეების გენერირებისთვის კომფორტული გარემოს ფორმირება, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სტარტაპების შესაქმნელად ხელისშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო 2016 წლიდან უძღვება ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტს, რომელიც 40 მლნ აშშ დოლარის მოცულობით დაფინანსდა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) მიერ ამ უკანასკნელსა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული 5 წლიანი (2016-2021 წწ) სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე. ამ პროექტის მთავარი მიზანია საქართველოში როგორც კომპანიების, ისე ფიზიკური პირების, ერთი მხრივ, ინოვაციური აქტივობების გაზრდა, ხოლო მეორე მხრივ - ციფრულ ეკონომიკაში მათი ჩართულობის ხელშეწყობა და უზრუნველყოფა. ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი 4 ძირითად კომპონენტს მოიცავს: 1. ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა (ინოვაციებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც უკვე არსებული ტექნოპარკების მსგავსად ინოვაციების ცენტრების გახსნას გულისხმობს; ციფრული წიგნიერების განვითარება და ფართოზოლოვან ინტერნეტში ჩართვა, რომელიც, ამავე დროს, მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს); 2. ინოვაციების ხელშემწყობი სერვისების უზრუნველყოფა (საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ცხოვრებაში დანერგვა, რომელიც პოტენციური ინოვატორებისა და მეწარმეების გამოვლენას და ამ უკანასკნელთა თეორიული ცოდნით აღჭურვასა და მათ ქცევებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას გულისხმობს); 3. ინოვაციების დაფინანსება (სხვადასხვა ტიპის საგრანტო კონკურსების მეშვეობით ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ხელშეწყობა, რომელიც ორი ტიპის დაფინანსებას გულისხმობს: სტარტაპებისა და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები); 4. პროექტის განხორციელებისათვის ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა.

ზოგადად, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ თავისი დაარსებიდან დღემდე განახორციელა

მნიშვნელოვანი ტიპის აქტივობები შემდეგი ძირითადი მიმართულებებით, როგორიცაა:

- სამართლებრივი რეფორმის განხორციელება ინოვაციების სფეროში;
- ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება;
- ინოვაციების და მეწარმეობის მხარდასაჭერი საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება;
- ინოვაციების და მეწარმეობის ტექნიკური მხარდაჭერა;
- ფინანსებთან წვდომის მხარდაჭერა;
- კვლევები და განვითარების (R&D) სექტორის გაძლიერების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარება ინოვაციების, ტექნოლოგიების და კვლევების განვითარებისათვის[60].

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ბოლო წლებში განხორციელდა ბევრი წარმატებული სახელმწიფო პროგრამა და პროექტი, როგორცაა: "ბიზნეს ინკუბატორი"; "სტარტაპ მეგობრული"; "სტარტაპ ბითსი"; "IT ტრენინგები"; "IT სპეციალისტები"; "ინოვაციური ბანაკი"; "სტარტაპ საქართველო" და სხვ. ამასთან ერთად, სააგენტო დღესაც აგრძელებს ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციას, როგორიცაა „ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა"; "სტაჟირების პროგრამა"; "IT Hub"; "ICT ტრენინგები" და სხვ.[61].

- **„ბიზნეს ინკუბატორი"**

პროგრამა ამოქმედდა 2016 წლის თებერვალში. პროგრამის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ე.წ. სტარტაპების, ანუ დამწყები მეწარმეების სტიმულირება და ხელშემწყობა, ხოლო მეორე მხრივ - ინვესტორების მოძიება და მოზიდვა. ამ პროგრამის ფარგლებში მეწარმეებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ ინოვაციური იდეები,

[60] ***წყარო:*** https://gita.gov.ge/geo/ecosystem - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი.

[61] ***წყარო:*** საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი.

იქმნებოდა შესაბამისი შეღავათიანი პირობები, რომ 6 თვის განმავლობაში გაევლოთ საკუთარი ინოვაციური ბიზნესიდეის ფორმულირებისა და შემუშავების პროცესი. პროგრამა მოიცავდა რამდენიმე ეტაპს, გარკვეული გუნდის ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა საკითხებში შესაბამისი ტრენინგებისა და კონსულტაციების გავლით დაწყებული და ბიზნესგეგმის შექმნითა და ინვესტორების მოძიებით დამთავრებული. პროგრამის ფარგლებში შექმნილი გუნდები უზრუნველყოფილი იყვნენ ტექნოპარკში შესაბამისი სამუშაო სივრცით და მიიღეს როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ისე ინტელექტუალური დახმარება, რომელიც გულისხმობს უფასოდ 30.000 ლარამდე ღირებულების პროდუქტებისა და სერვისების მიღებას. ამასთან, გუნდებისთვის გამოყოფილი იყო 5.000 ლარამდე ფულადი გრანტები.

- **„სტარტაპ მეგობრული“**

პროექტი „სტარტაპ მეგობრული“-ს დანიშნულება იყო ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე დაჩქარებული წესით ინოვატორებისა და სტარტაპების ჩამოყალიბებისა და განვითარების წახალისება და ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში ფოკუსი კეთდებოდა შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე შერჩევასა და მოძიებაზე ორი მიმართულებით. ერთი მხრივ, საჭირო იყო სტარტაპების გაცხრილვა და საბოლოო ბენეფიციარად შერჩევა, ხოლო მეორე მხრივ - დასახული იყო მიზანი ისეთი კომპანიების მოძიება, რომლებსაც შეუძლიათ შესთავაზონ საბოლოო შერჩეულ სტარტაპებს სპეციალური პროდუქტები.

ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა შესაბამისი ინტერნეტპორტალი[62], სადაც ერთმანეთთან მაქსიმალურად ეფექტიან კომუნიკაციას შეძლებდნენ შერჩეული სტარტაპები და მოძიებული კომპანიები.

„სტარტაპ მეგობრული“-ს სტატუსის ქონა ანიჭებს უპირატესობას შესაბამის კომპანიებს. გარდა იმისა, რომ სტატუსი დადებითად აისახება მათ იმიჯზე, მათ აქვთ უფლება ისარგებლონ გარკვეული ფასდაკლებებით ტექნოპარკის სერვისებსა და მომსახურეობაზე.

[62] www.startupfriendly.gov.ge.

- **„სტარტაპ ბითსი“**

პროგრამა „სტარტაპ ბითსი“ წარმოადგენს ერთგვარ მოედანს, სადაც რეგულარულად ხორციელდება შეხვედრები სადაც, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, მეწარმეები, ბიზნესმენები, ინოვატორები, მათ შორის სტარტაპის შემქმნელები ერთმანეთსა და დამსწრე საზოგადოებას უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ამ პროგრამის მიზანი იყო ქართული სტარტაპ საზოგადოების შექმნა და განვითარება, მის წევრებს შორის საქმიანი ურთიერთობების ხელშეწყობა და გაძლიერება.

- **IT ტრენინგები**

ცალკე აღსანიშნავია სააგენტოს საქმიანობა ინოფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობის მიმართულებით. კერძოდ, მისი ეგიდით ტარდებოდა შესაბამისი ტრენინგები, რომელიც რეგულარულ ხასიათს ატარებდა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სააგენტომ შექმნა შესაბამისი ინტერნეტპორტალი, სადაც ხელმისაწვდომია სხვადასხვა ვებინარი და ონლაინტრენინგი.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ტრენინგების მონაწილეებს სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ ეძლეოდათ კონკრეტული მიმართულებით დასაქმების ან კონკრეტული პროექტის რეალიზაციის შესაძლებლობა.

- **IT სპეციალისტები**

სააგენტოს მიერ შექმნილია ინტერნეტპორტალი, სადაც ერთიან ბაზაში გაერთიანებულია საქართველოში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები. ამ პორტალის მეშვეობით შესაძლებელი ხდება აღნიშნული სპეციალისტების დასაქმების ხელშეწყობა და კომერციალიზაცია: სააგენტო მომხმარებელს სთავაზობს ფასიან სერვისს, რომლის სანაცვლოდაც ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებს ექნებათ დასაქმების, ხოლო დაინტერესებულ კომპანიებს - ახალი მაღალკვალიფიციური თანამშრომლის მარტივად შერჩევის შესაძლებლობა.

- **ინოვაციური ბანაკი**

პროგრამა „ინოვაციური ბანაკი“ გულისხმობს შესაბამისი განათლების მიღების ინტენსიურ სესიას, რომლის ფარგლებში,

ერთი მხრივ, შესაძლებელი ხდება თანამოაზრეებთან შეხვედრები, კომუნიკაცია და, შესაბამისად, საკუთარი სტარტაპგუნდის შექმნა, ხოლო მეორე მხრივ - მაღალკვალიფიციური ტრენერებისა და პრაქტიკოსი მენტორებისგან მიღებული ცოდნისა და მათ მიერ გაზიარებული გამოცდილების საფუძველზე ინოვატორებსა და მეწარმეებს ეძლევათ შესაძლებლობა, უპასუხონ მათი ბიზნესის წინაშე მდგარ კონკრეტულ გამოწვევებს, გადაჭრან შესაბამისი პრობლემები და გახდნენ ზრდაზე ორიენტირებული კომპანიების ხელმძღვანელები.

- **სტარტაპ საქართველო**

ამასთან ერთად, 2016 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და საპარტნიორო ფონდის მიერ შემუშავდა და განხორციელდა ძალზე მნიშვნელოვანი პროგრამა **„სტარტაპ საქართველო“**. პროგრამის მთავარი მიზანია ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა, რომელიც, საბოლოო ჯამში, შეძლებს გავიდეს საერთაშორისო ასპარესზე.

პროგრამა ორ კომპონენტს მოიცავს:

1. ინოვაციური კომპონენტი;
2. მაღალტექნოლოგიური კომპონენტი.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ამოქმედებულია პროგრამის მაღალტექნოლოგიური მიმართულება, რომელიც გულისხმობს შემდეგი ტიპის პროექტების დაფინანსებას, როგორიცაა: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები.

პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებიდან შეიძლება გამოიყოს ის, რომ წარმოდგენილი პროექტები ფასდება Silicon Valley-დან საერთაშორისო ექსპერტების მიერ, საინვესტიციო დაფინანსება აღწევს 100,000 ლარამდე, შესაძლებელია წარმატებული პროექტების წარდგენა საერთაშორისო ინვესტორებისთვის დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად Silicon

Valley-ში, სააგენტო ერთობლივ საწარმოში 5%-იანი წილის პარტნიორად რჩება არაუმეტეს 7 წლის ვადით და არ ერევა სტარტაპის მმართველობაში და სხვ.

- **„ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა“**

ძალზე საინტერესოა „ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა“, რომლის მიზანია ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციის ხელშეწყობა, რომელიც პასუხობს მიმდინარე საბაზრო მოთხოვნებსა და საჭიროებებს. პროგრამა მოიცავს, ერთი მხრივ, სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში შექმნილი გამოგონებების კომერციალიზაციის პოტენციალის შემოწმებას, ხოლო მეორე მხრივ - კერძო ან საჯარო მომხმარებლებსა და სამეცნიერო წრეებს შორის ხელშეკრულებების გაფორმების ხელშეწყობას.

ბაზარზე რეალიზაციისთვის პერსპექტიული იდეების შერჩევის მიზნით ამ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია შესაბამის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან კონტაქტების დამყარება, კომუნიკაცია და თანამშრომლობა. აღსანიშნავია, რომ ამასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს შერჩეული პროექტების კომერციალიზაციის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას მეცნიერებისა და კომერციალიზაციის რეალიზაციაში ჩართული გუნდის კომპეტენციების გაზრდისა და განვითარების მიზნით. შეფასებისთვის მიიღება მხოლოდ ის კვლევითი პროექტები, რომლებიც ტექნოლოგიების მზაობის ე.წ. TRL4-სა და უფრო მაღალ დონეს ასახავენ.

პროგრამა გულისხმობს, რომ შერჩეული პროექტების ფარგლებში ხელმისაწვდომი გახდეს როგორც ფინანსური, ისე შესაბამისი ტექნიკური რესურსები, სანამ არ მოხდება ამ პროექტების წარდგენა პოტენციური მომხმარებლებისთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ამასთან ერთად, პროგრამა, გარდა იმისა, რომ ითვალისწინებს ტექნოლოგიების გადაცემის სისტემის სიცოცხლისუნარიანობის ჩვენებას წარმატებით დასრულებული ტექნოლოგიების გადაცემით (მაგალითად, მოლაპარაკებებიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე) და კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობით (მაგალითად, კვლევითი კონტრაქტები, ინტელექტუალური

საკუთრების კვლევები და დაცვა, ბაზრის ანალიზი და ა.შ.), გულისხმობს ევროკავშირის წევრ-ქვეყნების ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და განვითარებას საერთაშორისო ურთიერთობების გასაძლიერებლად და ევროპულ ბაზარზე შესასვლელად.

- **სტაჟირების პროგრამა**

სააგენტოს მიერ ინიცირებულია სტაჟირების პროგრამა, ერთი მხრივ, სტუდენტებისა და, მეორე მხრივ, სააგენტოს ბენეფიციარ-სტარტაპებისთვის. პროგრამის მთავარი მიზანია ერთმანეთს დააკავშიროს ახალგაზრდა ინოვატორები არსებულ სტარტაპ-კომპანიებთან, ხელი შეუქწყოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარ-ჩვევების ფორმირება-განვითარებას სტუდენტებში და მათ მომზადებას შრომით ბაზარზე ინტეგრაციისთვის.

- **IT Hub**

EPAM-თან და StrategEast-თან ერთად სააგენტომ წამოიწყო ახალი პროგრამა - "IT Hub", რომლის მიზანია მაღალტექნოლოგიური მეწარმეობის სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების რაოდენობის გაზრდა და, შესაბამისად, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

- **ICT ტრენინგები**

ამასთან ერთად, სააგენტომ დაიწყო IT სპეციალისტების გადამზადების პროცესი მსოფლიოში აღიარებული IT ტრენინგცენტრის - New Horizons-ის - ჩართულობით.

- **საგრანტო პროგრამები**

ცალკე გამოსაყოფია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამები, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსებზე წვდომის მხარდაჭერას, ერთი მხრივ, სტარტაპებისთვის, როგორც კვლევა-განვითარების, ისე უშუალოდ კომერციალიზაციის ეტაპზე, ხოლო მეორე მხრივ - კომპანიების ინოვაციური საქმიანობისთვის. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სხვადასხვა კატეგორიის გრანტები, როგორიცაა: მცირე გრანტები - 5000-ლარამდე საგრანტო პროგრამა; 5 000-ლარიანი გრანტები; თანადაფინანსების 100 000-ლარიანი გრანტები სტარტაპებისთვის; თანადაფინანსების 650 000-ლარიანი გრანტები ინოვაციების მიმართულებით.

3. კერძო სექტორის მიერ ინიცირებული პროექტები და პროგრამები

სააგენტოს მიერ მიმდინარე და სამომავლო პროგრამებსა და პროექტებთან ერთად, აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორსაც გაუჩნდა სტარტაპებისა და ინოვაციური საქმიანობის ინიცირების მიმართულებით პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციის ინტერესი და სურვილი.

საინტერესოა როგორც სტარტაპების, ისე ინოვაციური ბიზნესისთვის ხელშემწყობი საბანკო სექტორის მიერ რეალიზებული პროგრამები, რომელიც მათ და მათი პროდუქტების პოპულარიზაციას ემსახურება და წარსდგება გარკვეული ტიპის სესხებისა და კრედიტების შეთავაზებისა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარების სახით:

- „თიბისი ბანკი“-ს პროგრამა „Startuper“;
- „საქართველოს ბანკი“-ს პროგრამა „Female Start Upper”;
- „პროკრედიტ ბანკი“-ს პროგრამა „EU Finance for Innovators“ („ევროკავშირის ფინანსები ინოვატორებისთვის“);
- „ლიბერთი ბანკი“-ს პროგრამა „Smartex“;
- „უნისონი“-ს პროგრამა „სტარტაპ დაზღვევა“;
- „კრისტალი“-ს პროგრამა „სტარტაპ პროდუქტი“ (USAID Georgia, 2017).

➢ *კერძო ბიზნესინკუბატორები და ბიზნესაქსელერატორები*

სააგენტოს საქმიანობის ფონზე სტარტაპების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს კერძო სექტორში სხვადასხვა ტიპის სტარტაპინკუბატორი და აქსელერატორი აღმოცენდა, მათ შორის: „Startup მარანი“; „Smart-up Georgia“, „Vega start-up Lab“.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში ბევრ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში დანერგილია ბიზნესინკუბატორისა და აქსელერატორის ტიპის პროგრამები და გახსნილია ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრები, ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ოფისები და ა.შ.

გარდა იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფო აქტივობებთან ერთად ინტერესი გაუჩნდა კერძო სექტორსაც, აღსანიშნავია საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების ჩართულობა (მაგალითად, „გლობალური სტარტაპ ფონდი“, „Future Laboratory“, „Start-up

Grind“ და სხვ.) და მათ მიერ ინიცირებული პროექტები და პროგრამები (მაგალითად, ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამა „Horizon 2020“ და სხვ.)

4. საინვესტიციო გარემოს ხელშემწყობი კანონმდებლობა

საქართველოში ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის ხელშემწყობი საინვესტიციო გარემოს ფორმირებისა და განვითარების მიმართ პირდაპირი და არაპირდაპირი საკანონმდებლო რეგულაციები მოიცავს საკმაოდ ბევრ კანონს, დადგენილებასა და ნორამტიულ აქტს, როგორიცაა, მაგალითად: კანონი „ინოვაციების შესახებ“, კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“, კანონი „გრანტების შესახებ“, „საპატენტო კანონი“, კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, „საგადასახადო კოდექსი“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №379 – „სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად ინტელექტუალური საკუთრების უფლების კომერციალიზაციიდან გამომგონებლის გარანტირებული წილის დადგენისა და გაცემის წესის, ასევე სახელმწიფოს წილის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ და სხვ.

ცალკე გვინდა გამოვყოთ, ერთი მხრივ, **„ინოვაციების შესახებ“** საქართველოს კანონისა და **„საქართველოს მთავრობის დადგენილების №379“** ძალზე მნიშვნელოვანი რეგულაციები, ხოლო მეორე მხრივ - ფისკალური მიმართულების საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო შეღავათებს მოიცავს და სტიმულირებას ახდენს.

- **საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“**

ამ კანონის თავი II-ის, მე-6 მუხლის მიხედვით, რომელიც ეხება ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობ ინფრასტრუქტურას, უკანასკნელი მოიცავს სამეცნიერო/ტექნოლოგიურ პარკს, ბიზნესინკუბატორს, ბიზნესამაჩქარებელს, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრს, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიას

(FabLab) და ინოვაციების ლაბორატორიას (ILab), ინოვაციების ცენტრს და სხვ.

ამავე კანონში თავი IV-ის მე-19 მუხლის მიხედვით, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ (მათ შორის, სააგენტოს მიერ) დაფინანსებული ინოვაციური პროექტის კომერციალიზაციისას ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, გამოყოფილია შემდეგი პრინციპები: „1. სააგენტოს მიერ დაფინანსებული ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად სამსახურებრივი მოვალეობის ან ხელშეკრულებით დადგენილი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ გამოგონებაზე, ან სასარგებლო მოდელზე ინტელექტუალური საკუთრება ეკუთვნის დამსაქმებელს ან შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; 2. პირი, რომელსაც ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ეკუთვნის ინტელექტუალური საკუთრება, ვალდებულია საპატენტო განაცხადის წარდგენისას გამომგონებლის ან სასარგებლო მოდელის შემქმნელის სახელი მიუთითოს; 3. სააგენტოს მიერ დაფინანსებული ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად ინტელექტუალური საკუთრების უფლების კომერციალიზაციიდან გამომგონებლის გარანტირებული წილის დადგენისა და გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“[63].

ხოლო ამავე კანონის იგივე თავის 21-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ეხება ინოვაციური პროექტის დაფინანსებით მიღებულ შემოსავალს, ხაზგასმულია, რომ: „1. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო უწყება ან უფლებამოსილი იურიდიული პირი უფლებამოსილია ინოვაციური პროექტის დაფინანსების მომდევნო 7 წლის განმავლობაში მოითხოვოს ამ პროექტის შემოსავლიდან წილი, წლიურად არაუმეტეს 5%-ის ოდენობით; 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წილის დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“[64].

[63] საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“.
[64] საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“.

- **საქართველოს მთავრობის დადგენილება №379**

აღნიშნული დადგენილების მიხედვით ყურადსაღებია პირველი მუხლი გამომგონებლის გარანტირებულ წილთან დაკავშირებით, რომლის თანახმად: „1. „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ დაფინანსებულ ინოვაციურ პროექტზე ორგანიზაციის მიერ (შემდგომში – პატენტმფლობელი) პატენტის მოპოვების შემდეგ გამომგონებელს უნდა მიეცეს წილი პატენტიდან მიღებული ყოველწლიური შემოსავლის არანაკლებ 30%-ის ოდენობით, პატენტის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში; 2. პატენტმფლობელის ვალდებულება, გასცეს წილი, წარმოიშობა პატენტიდან პირველი შემოსავლის მიღების მომენტიდან 12 თვის შემდეგ“[65].

ხოლო ამ დადგენილების მე-3 მუხლის სახელმწიფო წილის მოთხოვნაზე უფლებამოსილი ორგანოსა და წილის ოდენობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ: „„ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, ინოვაციური პროექტის არასაგრანტო დაფინანსების ფარგლებში დაფინანსებული ინოვაციური პროექტის განმახორციელებლისგან (დაფინანსების მიმღებისგან) დაფინანსების მომდევნო 7 წლის განმავლობაში მოითხოვოს ამ პროექტის შემოსავლიდან წილი, ყოველწლიურად 5%-ის ოდენობით“[66].

ამავე დროს, საქართველოში ინოვაციური საქმიანობის ფორმირება-განვითარების ფისკალური სტიმულირებისა და ხელშეწყობის მიზნით გამოიყენება სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა ტიპის ირიბი საშუალებები და ინსტრუმენტები. მათ შორის აღსანიშნავია „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“ კანონში ასახული გადასახადების სპეციალური საშეღავათო სქემა, რომლის თანახმად ვირტუალური ზონის

[65] საქართველოს მთავრობის დადგენილება №379.
[66] საქართველოს მთავრობის დადგენილება №379.

პირები[67] გათავისუფლებული არიან ისეთი გადასახადებისგან, როგორიცაა: საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება; საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადით; საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ექსპორტის გადასახდელით. ამასთან ერთად, ვირტუალური ზონის პირი გათავისუფლებულია ყოველგვარი სპეციალური რეგულირებისაგან და მას თავისი საქმიანობის განსახორციელებლად არ ესაჭიროება ლიცენზიები, ნებართვები და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები[68].

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის რეგულაცია, რომლის მიხედვით, როგორც წესი, საექსპორტო საქმიანობაზე გადასახადების (მათ შორის დღგ-ს, აქციზების და სხვ. გადასახადების) გადახდა შესაბამის კომპანიებს არ უწევთ.

5. დასკვნა

საქართველოში ბოლო წლებში სხვადასხვა ტიპის როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის ინიციატივით განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების მიუხედავად, რომელიც ემსახურებოდა ქვეყნის მასშტაბით ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებას, დღესაც ძალზე აქტუალურია ამ სფეროში შიდა და გარე ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა, განსაკუთრებით ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიმართულებით.

ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესის უფრო მაღალ დონეზე აყვანის თვალსაზრისით ძალზე პრობლემურია მჭიდრო და ურთიერთსასარგებლო კავშირების დამყარება ისეთ სუბიექტებს შორის, როგორიცაა: სამეცნიერო წრეები, ბიზნესწარმომადგენლები და სახელმწიფო სექტორი.

---

[67] ვირტუალური ზონის პირი – „იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას და მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი“; საინფორმაციო ტექნოლოგიები – „კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების შესწავლა, მხარდაჭერა, განვითარება, დიზაინი, წარმოება და დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები“ (იხ. საქართველოს კანონი „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“).

[68] საქართველოს კანონი „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვეუბნება, რომ ყველა ქვეყანას აქვს შესაძლებლობა, შეიმუშაოს განსხვავებული და ორიგინალური მოდელი, რომლის მიხედვით ქვეყანა დადგებოდა ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების შექმნა-გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება-განვითარების გზაზე.

ჩვენი აზრით, ქვეყანაში უნდა გაგრძელდეს სტარტაპებისა და ინოვაციურ საქმიანობაზე ორიენტირებული კომპანიების ხელშეწყობისა და ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, მაგრამ ეს პროცესი უნდა გაძლიერდეს ისეთი პრინციპული საკითხების გადაჭრის ფონზე, როგორიცაა, ერთი მხრივ, სათანადო კონკურენციული გარემოპირობების დანერგვა და დაცვა, ხოლო მეორე მხრივ - როგორც სასამართლო ინსტიტუტების, ისე საკანონმდებლო ბაზის გაძლიერება, მათ შორის აკადემიური სფეროს წარმომადგენლების კომერციული ინტერესების სტიმულირებისა და მათ მიერ შექმნილ სამეცნიერო პროდუქტზე, როგორც ინტელექტუალურ საკუთრებაზე, საავტორო უფლებების დაცვის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბრეგვაძე თ., დალაქიშვილი მ. (2015). *კვლევის კომერციალიზაციის შესაძლებლობები საქართველოში ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების მიმართულებით.* საჭიროებათა კვლევა. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ. (2011). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა.* „მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდი - საქართველო“, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“. თბილისი, „ნეკერი“.

3. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020“. // http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf.

4. ჩიქავა ლ. (2006). *ინოვაციური ეკონომიკა.* თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“.

5. Бузник В.М., В.В. Иванов, Н.И. Иванова, С. Клесова, П. Линдхольм, Л. Виехофф, О.П. Лукша, Е.В. Попова, Й. Розебум, П.В.

Сушков, А.Э. Яновский. *Коммерциализация результатов научно-технической деятельности: европейский опыт, возможные уроки для России. //* Под общей редакцией: В. Иванова (Россия), С. Клесовой (Франция), П. Линдхольма (Германия), О. Лукши (Россия), Москва, ЦИПРАН РАН, 2006.

6. Изюмов Д.Б., Кондратюк Е.Л. (2017). Зарубежный опыт коммерциализации инновационных технологий. // *Инноватика и экспертиза*, Выпуск 1 (19).

7. Марков К.А. (2009). Коммерциализация научных исследований в университетах США. // *Инновации в образовании*. Вестник Нижегородского университета им. Н.И. Лобачевского, № 5, с. 22–30.

8. Циренщиков В.С. (2015). *Евросоюз: тенденции инновационного обновления. //* Под ред. В.П. Фёдорова. Москва, Институт Европы РАН.

9. Abbas A., Avdic A., Xiaobao P., Hasan, M.M. and Ming W. (2018). University-Government Collaboration for the Generation and Commercialization of New Knowledge for Use in Industry. // *Journal of Innovation & Knowledge*. 4, 23–31.

10. Baaken, Th., Sue Rossano, Friederike Von Hagen, Todd Davey, Arno Meerman. (2015). University-Business Cooperation and Entrepreneurship at Universities – An Empirical Based Comparison Of Poland And Germany. // In *Optimum. Studia Ekonomiczne*, nr 5(77);

11. Bakhtadze L. and S. Danelia (2020). The Major Determinants of Innovative Environment Formation in Georgia. // *Economic Alternatives*, 2, pp.243-249

12. Berulava, G., & Gogokhia, T. (2016). On the role of in-house R&D and external knowledge acquisition in firm's choice for innovation strategy: Evidence from transition economies. *// Moambe, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*,10 (3), 150-158.

13. Berulava, G., & Gogokhia, T. (2018). Complementarities of Innovation Strategies: Evidence from Transition Economies. // In: Bilgin M., Danis H., Demir E., Can U. (eds) *Eurasian Economic Perspectives. Eurasian Studies in Business and Economics*, vol 8/2. Springer, Cham, 169-192, https://*doi*.org/10.1007/978-3-319-67916-7_11

14. Chiu, Sh., Chang, K. (2009). Organizational Structure, Support Mechanism, and Commercialization Performance: A Governance Perspective. // *International Journal of Commerce and Management*, vol. 19: pp. 183-194.

15. Datta, A., Mukherjee D. and Jessup L. (2014). Understanding Commercialization of Technological Innovation: Taking Stock and Moving

Forward. // *R&D Management* 45(3), May. // www.researchgate.net/publication/261719373.

16. Etzkowitz, H., Leydesdorff, L. (1998). The Endless Transition: A "Triple Helix" of University-Industry-Government Relations, Introduction to a Theme Issue. // *Minerva*, 36, pp. 203-208.

17. Etzkowitz, H., Leydesdorff, L. (2000). The Dynamics of Innovation: From National Systems and "Mode 2" to a Triple Helix of University-Industry-Government Relations. // *Research Policy*, 29(2), pp. 109-123.

18. Gogokhia, T. & Berulava, G. (2020). Business environment reforms, innovation and firm productivity in transition economies. //*Eurasian Bus Rev*. https://doi.org/10.1007/s40821-020-00167-5

19. Han, Junghee. (2017). Technology Commercialization through Sustainable Knowledge Sharing from University-Industry Collaborations, with a Focus on Patent Propensity. **//** *Sustainability*, 9, 1808.

20. Leydesdorff, L. (2012). *The Knowledge-Based Economy and the Triple Helix Model.* University of Amsterdam, Amsterdam School of Communications Research.

21. Mehrabi J., Soltani I., Nilipour A., Kiarasi P. (2013). Studying Knowledge Commercialization. // *International Journal of Academic Research in Business and Social Sciences*, July, Vol. 3, No. 7, ISSN: 2222-6990, pp. 267-278.

22. Spilling, Olav R. (2004). Commercialization of Knowledge – a Conceptual Framework. // *13th Nordic Conference on Small Business Research*, May.

23. *The Role of Public Support in the Commercialisation of Innovations* (Report). (2014). Flash Eurobarometer

24. Tomaszewski, Marek. (2013). Factors Shaping Innovation Cooperation Between Companies and Research and Development Institutions Exemplified by The Case of South-Western Poland. **//** In *Innovations and Knowledge Commercialization Cooperative Resources, Integrated Science and Business.* Center for Technology Transfer UŁ, Łódź.

25. Trzmielak, Dariusz M. (2013). Commercialisation of Research Results – Cooperation Between Science and Business. **//** In *Innovations and Knowledge Commercialization Cooperative Resources, Integrated Science and Business***.** Center for Technology Transfer UŁ, Łódź.

26. *UNCTAD* (2013). "Investing in Innovation for Development." Trade and Development Board Investment, Enterprise and Development Commission, Fifth session, Geneva, 29 April–3 May 2013. // https://unctad.org/system/files/official-document/ciid21_en.pdf.

27. *USAID Georgia* (2017). „Innovation and Technology in Georgia". Annual Report, USAID Governing for Growth (G4G) in Georgia. //

https://www.pmo-bc.com/storage/app/uploads/public/5ce/795/dba/5ce795dba596c190438918.pdf

28. Galvao, A., Mascarenhas, C., Marques, C., Ferreira, J., Ratten, V. (2019). Triple Helix and its Evolution: A Systematic Literature Review. // *Journal of Science and Technology Policy Management*. **10** (3).

Teimuraz Gogokhia

THE PROBLEMS OF INVESTMENT ENVIRONMENT FOR THE COMMERCIALIZATION OF INNOVATIONS AND THE WAYS OF THEIR SOLUTION IN GEORGIAN BUSINESS

Summary

In the article the directions of the corresponding policies creating the investment environment for the commercialization of innovations in the Georgian business are considered.

The current problems of this investment environment are determined and the ways of their solution are suggested on the basis of the experience of developed countries.

ხათუნა გერიშვილი

პუი-ის ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე.*

შესავალი

საქართველოს მდგრადი და ინოვაციური განვითარებისათვის პირობების შექმნა დაკავშირებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვასა და მათ სწორ გამოყენებასთან. ინოვაციური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების საფუძველი არის კაპიტალისა და ეკონომიკური რესურსების სწორი მოზიდვა, სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდე-

ბულების განვითარება, ქვეყნის ტექნოლოგიური წინსვლის უზრუნველყოფა. ეკონომიკური რესურსები მოცემულ შემთხვევაში თავის თავში მოიცავს როგორც მატერიალურ რესურსებს, ასევე ადამიანისეულ კაპიტალს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების უმნიშვნელოვანესი საფუძვლები მოიცავს ორ ძირითად სექტორს: სამეცნიერო-კვლევით და კომერციულს, რომლებიც თავის მხვრივ ბაზირებენ უპი-ების სწორი მიმართულებით გამოყენების შესაძლებლობებზე. ამდენად, საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარება დიდწილად არის დამოკიდებული უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე, რომელთა ზრდის დინამიკა და მოზიდვის შესაძლებლობანი არასაკმარისია იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ ქვეყნის განვითარების ის „ეკონომიკური ბიძგი“, რომელიც გახდება ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის წყარო, აუცილებელია შეიცვალოს ქვეყანაში უპის მოზიდვის სახელმწიფო სტრატეგია.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს ანალიზი

ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც ტარდება ჩვენს ქვეყანაში, ითხოვს სერიოზული ინვესტიციების მოზიდვას, რაც თავის მხრივ გულისხმობს შესაბამისი საინვესტიციო გარემოს შექმნას, საინვესტიციო პროცესის განხორციელებას და მასზე მონიტორინგს, თანამედროვე საინვესტიციო ტექნოლოგიების და მექანიზმების დანერგვას. საინვესტიციო გარემო კომპლექსური ცნებაა და გულისხმობს ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური პირობების შექმნას. გატარებული რეფორმების მიუხედავად საქართველოში საინვესტიციო გარემო, უცხოელი ინვესტორებისთვის ნაკლებად მიმზიდველია. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, რომელთა ანალიზს, შესწავლას, დაძლევის გზებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საინვესტიციო გარემო მოიცავს ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა: საინვესტიციო აქტივობა და მიმზიდველობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა საინვესტიციო აქტივობისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა. მეცნიერი ტ. კოპელანდი მის ქვეშ გულისხმობს იდეის დამუშავებას და

საინვესტიციო პროექტის დასაბუთებას, ამ დროს შექმნილი ობიექტის საქმიანობის მართვას (მისი ლიკვიდაციის ან პროფილის შეცვლის ჩათვლით) ცვალებადი გარე პირობებისა და დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობების შესაბამისად [18, გვ 46].

ზოგადად, საინვესტიციო აქტივობა განისაზღვრება მოცემულ პერიოდში ინვესტიციების მოცულობის შეფარდებით წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებელთან. ხოლო „საინვესტიციო მიმზიდველობა არის ეკონომიკური სისტემის იმ მრავალგვარი ობიექტური ნიშან-თვისებების, სახსრებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ პოტენციურ გადახდისუნარიან მოთხოვნას ინვესტიციებზე. საინვესტიციო მიმზიდველობა მოიცავს საინვესტიციო პოტენციალსა და საინვესტიციო რისკებს“ [11, გვ 11-13].

საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო აქტივობის ერთობლიობა ქმნის ქვეყნის საინვესტიციო გარემოს, რომლის მიმზიდველობის შესაფასებლად ხშირად იყენებენ მსოფლიოში ცნობილი ჟურნალების: “Fortune”, “The Ekonomist”, “Euromoney” მონაცემებს, რომლებიც აქვეყნებენ სხვადასხვა ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის რეიტინგებს.

ყველაზე ხშირად გამოიყენებენ ჟურნალ „Euromoney“ მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგს, სადაც წარმოდგენილია ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: ეკონომიკის ეფექტიანობა, პოლიტიკური რისკის დონე, დავალიანების მდგომარეობა, ქვეყნის ვალის მომსახურების უნარი, კრედიტუნარიანობა, საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა, მოკლევადიანი დაფინანსების ხელმისაწვდომობა, მოკლევადიანი სასესხო კაპიტალის ხელმისაწვდომობა და სხვა. ამდენად, საინვესტიციო გარემო იმ ფაქტორების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებსა და სტიმულებს. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოზე, რადგანაც მისი პირდაპირი ვალდებულებაა საკუთრების უფლებების დაცვა, საინვესტიციო პროცესის სამართლებრივი რეგულირება და ბიზნესის დაბეგვრის შეღავათიანი პირობების შექმნა, ფინანსური, შრომის ბაზრის ფუნქციონირების პირობების

და საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც აისახება ინვესტიციური ნაკადების ინტენსივობაზე. უკანასკნელზე კი ნეგატიურად ზემოქმედებს: კორუფცია, დამნაშავეობა, პოლიტიკური არასტაბილურობა და სხვა.

საქართველოში ხელსაყრელი ინვესტიციური გარემოს ფორმირება წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის და ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ქვეყნის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასება ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. როგორც წესი პოტენციური ინვესტორი აანალიზებს ინვესტიციების ეფექტიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს და განსაზღვრავს ინვესტიციურ რისკს. აქედან გამომდინარე, ქვეყნისათვის რომელიც ახდენს ინვესტიციების იმპორტს, ინვესტიციური გარემოს მდგომარეობა არ წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას. ის აისახება მოზიდული ინვესტიციების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებში [11, გვ. 72] მსოფლიო ბანკის კვლევები გვიჩვენებს, რომ მთავარ ფაქტორებს, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ საინვესტიციო გარემოზე განეკუთვნებიან: პოლიტიკური განუსაზღვრელობა (28%), მაკროეკონომიკური არასტაბილურობა (23%), გადასახადები (19%), სამართლებრივი რეგულირება (10%), კორუფცია (10%) [26].

საინვესტიციო გარემოს შეფასებისათვის გამოიყენება სამი მიდგომა: ვიწრო; ფაქტორული ანუ გაფართოებული; რისკზე დაფუძნებული.

ვიწრო მიდგომა ეფუძნება შემდეგი მაჩვენებლების ანალიზს: მშპ-ის დინამიკა, ეროვნული შემოსავლის და წარმოებული პროდუქციის მოცულობა; ეროვნული შემოსავლის განაწილების დინამიკა; დაგროვებისა და მოხმარების პროპორციები; პრივატიზაციის პროცესის მსვლელობა; საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი კანონების მდგომარეობა; საინვესტიციო ბაზრების, მათ შორის საფონდო და ფულადი ბაზრის განვითარების დონე. ანუ ის გამოიყენება ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გლობალური შეფასებისთვის.

ფაქტორული ანუ გაფართოებული მიდგომა ეფუძნება იმ ფაქტორების შეფასებას, რომლებიც გავლენას ახდენენ საინ-

ვესტიციო გარემოზე. ესეთი ფაქტორებია: ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი; საქმიანობის პირობები; საბაზრო პირობები (კონკურენცია, საბაზრო ინფრასტრუქტურა, ინფლაცია და მისი გავლენის შედეგები საინვესტიციო საქმიანობაზე, ადგილობრივი ბაზრის მოცულობა, საექსპორტო საქონელი, უცხოური კაპიტალის არსებობა); პოლიტიკური ფაქტორები (მოსახლეობის ნდობა ხელისუფლებისადმი, ქვეყნის სტაბილურობა და სხვ.); სოციალური და სოციალურ-კულტურული ფაქტორები (მოსახლეობის ცხოვრების დონე, საყოფაცხოვრებო პირობები, დამნაშავეობის დონე, რეალური ხელფასის სიდიდე, მიგრაცია, მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეებისადმი); ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფაქტორები (ხელისუფლების დამოკიდებულება უცხოელი ინვესტორების მიმართ, კანონმდებლობა, ადგილობრივი ადმინისტრაციის პროფესიონალიზმის დონე, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა და სხვა). ფინანსური ფაქტორები (ბიუჯეტის შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე, ფინანსური სახსრების და საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა, საბანკო პროცენტის განაკვეთი, ბანკის კრედიტები 1000 სულ მოსახლეზე, გრძელვადიანი კრედიტების ხვედრითი წილი, ანაბრების თანხა ერთ სულ მოსახლეზე და სხვა).

საინვესტიციო გარემოს შეფასების რისკზე დაფუძნებული მიდგომა საშუალებას იძლევა შეფასდეს ინვესტირების მიზანშეწონილობა და მოსალოდნელი რისკი. ამ მიდგომის დროს უნდა გავაანალიზოთ ორი მაჩვენებელი – საინვესტიციო პოტენციალი და საინვესტიციო რისკები.

სელექციური ინვესტიციური პოლიტიკა საქართველოში

საქართველოში საჭიროა გატარდეს სელექციური ინვესტიციური პოლიტიკა, „საჭიროა ინვესტიციების გამოყენება იმ დარგებში, რომლებიც ჩვენი ეკონომიკისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს. ისინი პირველ რიგში უნდა მივმართოთ სურსათისა და ყოველდღიური მოხმარების აუცილებელი საქონლის, ექსპორტის წარმოებაზე“ [12, გვ. 21]. დღეისათვის საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გულისხმობს ქვეყნის

ეკონომიკის რეანიმაციას და დაგროვილი სოციალური პრობლემების გადაწყვეტის უზრუნველყოფას. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2020 წლის I კვარტალში 165.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტალის მონაცემებზე 41.7 პროცენტით ნაკლებია [27]. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში, ინვესტიციური აქტივობის ესოდენ მნიშვნელოვან ვარდნაზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა გლობალური პროექტების შეჩერებამ და პოსტპანდემიურმა პროცესებმა.

ქვემოთ (იხ: ცხრილი 1) მოცემულია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა 2006-2020 წლებში. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ინვესტიციური აქტივობა საქართველოში არამდგრადი დინამიკით ხასიათდება და ბოლო წლებში ინვესტიციური ნაკადების შემცირებაზე მიუთითებს, რამაც თავის მხრივ არსებითი ზეგავლენა მოახდინა დოლარის მასის შემცირებასა და ლარის კურსის ნეგატიურ ცვლაზე, გაიზარდა ქვეყანაში უმუშევრობა და სიღარიბის დონე. ამიტომ მსოფლიოში მიმდინარე პოსტპანდემიური ინვესტიციური ნაკადების გადაჯგუფების ფონზე საქართველოს ხელისუფლების წინაშე მდგარი აქტუალური ამოცანების ნუსხაში უმთავრესია უცხოელი ინვესტორების მოზიდვა.

ცხრილი 1

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა 2006-2020 წლებში

წლები	I	II	III	IV	სულ
2006	145.2	318.0	332.4	375.5	**1 171.2**
2007	330.8	375.3	470.6	588.0	**1 764.7**
2008	540.1	607.7	136.1	291.3	**1 575.2**
2009	114.5	178.3	179.1	194.9	**666.8**

2010	176.1	211.5	236.8	241.2	**865.6**
2011	222.6	273.1	309.1	329.2	**1 134.0**
2012	312.4	248.0	220.5	267.3	**1 048.2**
2013	291.8	224.1	271.6	251.6	**1 039.2**
2014	331.9	217.6	749.5	538.0	**1 837.0**
2015	343.4	493.2	531.1	361.3	**1 729.1**
2016	392.2	452.1	506.5	299.5	**1 650.3**
2017	411.7	394.0	627.9	529.0	**1 962.6**
2018	323.5	403.6	367.0	171.0	**1 265.2**
2019*	283.6	209.8	427.4	347.0	**1 267.7**
2020*	165.4				

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები https://www.geostat.ge/

ნიშანდობლივია ისიც, რომ ძირითადი ინვესტორი ქვეყნების რიცხვში, კვლავინდებურად ლიდერობენ დიდი ბრიტანეთი და აშშ-ი (იხ: ცხრილი 2), ხოლო ამ თვალსაზრისით პანამის დაწინაურება მოტივირებულია ოზშორული კაპიტალის გადაადგილებით ჩვენს ქვეყანაში.

ცხადია ისიც, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018-2020 წლებში არათანაბრადაა გადანაწილებული. აქ კვლავინდებურად ლიდერობენ საფინანსო და სამშენებლო სექტორები, მაშინ როდესაც ჯანდაცვაში და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციური აქტივობა საკმაოდ დაბალია, რაც მიუთითებს ინვესტიციების დაბალ სოციალურ ორიენტაციაზე (იხ: ცხრილი 3).

ცხრილი 2

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში
2020 წლის I კვარტალში (მლნ. აშშ დოლარი), 2019 წელი - 2020 წელი

სულ	I	II	III	IV	ჯამი	I	II	III	IV	ჯამი
სულ	**323.5**	**403.6**	**367.0**	**171.0**	**1 265.2**	**283.6**	**209.8**	**427.4**	**347.0**	**1 267.7**
მათ შორის:										
დიდი ბრიტანეთი გაერთიანებული სამეფო	77.9	39.3	0.4	61.2	**178.8**	61.5	-17.5	78.4	125.3	**247.8**
აშშ	23.7	27.9	26.1	24.8	**102.6**	21.0	27.4	24.9	25.8	**99.0**
პანამა	17.2	16.9	27.6	13.0	**74.6**	45.4	16.4	15.6	0.7	**78.1**
დანია	12.8	-3.6	7.6	-1.5	**15.2**	11.0	4.0	14.7	1.0	**30.6**
ნიდერლანდი	28.4	75.8	58.3	45.8	**208.4**	-91.8	56.1	40.4	48.1	**52.9**
თურქეთი	-41.3	39.5	55.7	-4.3	**49.6**	68.1	47.4	43.8	77.2	**236.5**
რუსეთი	15.4	22.0	22.6	9.8	**69.7**	6.3	7.3	23.2	13.7	**50.5**
დანარჩენი ქვეყნები	189.4	186.0	168.7	22.2	**566.3**	162.0	68.7	186.3	55.2	**472.2**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები https://www.geostat.ge/

ცხრილი 3

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2018-2020 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

სულ	I	II	III	IV	ჯამი	I	II	III	IV	ჯამი
	323.5	**403.6**	**367.0**	**171.0**	**1 265.2**	**283.6**	**209.8**	**427.4**	**347.0**	**1 267.7**
საფინანსო სექტორი	110.2	62.8	16.8	80.9	**270.7**	48.3	-26.5	101.7	138.1	**261.8**
უძრავი ქონება	-6.2	63.0	48.7	26.0	**131.4**	-126.6	22.9	29.8	41.6	**-32.4**
მშენებლობა	102.5	46.	26.3	-2.0	**173.0**	7.7	16.8	44.4	49.6	**118.5**
ტრანსპორტი	63.8	64.	64.5	11.0	**203.3**	28.3	26.6	11.2	5.4	**71.5**
დამამუშავებელი მრეწველობა	41.0	19.5	57.3	22.2	**140.0**	19.0	36.3	50.4	-3.5	**102.2**
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	8.3	1.5	0.9	1.7	**12.4**	0.8	-0.8	11.2	2.6	**13.8**
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	5.0	0.8	-0.9	1.7	**-3.3**	3.1	3.0	5.4	2.1	**13.7**
ენერგეტიკა	16.9	102.0	39.8	-4.1	**120.8**	48.8	63.9	39.7	41.4	**193.9**
დანარჩენი სექტორები	42.6	25.0	48.5	1.1	**117.2**	168.1	26.2	60.6	-1.7	**253.1**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები https://www.geostat.ge/

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2020 წლის I კვარტალში 87.5 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 94.9 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 57.4 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება უძრავი ქონების სექტორი - 34.0 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - სასტუმროების და რესტორნების სექტორი 15.8 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020 წლის I კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 4

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020 წლის I კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით

სექტორები	პროცენტები
საფინანსო სექტორი	57
დანარჩენი სექტორები	48
კავშირგაბმულობა	77
სასტუმროები და რესტორნები	9,5
უძრავი ქონება	20,6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები https://www.geostat.ge/

ინვესტიციური კლიმატის გაჯანსაღების ძირითადი მიმართულებანი საქართველოში

საქართველომ აუცილებელია გადადგას ქმედითი ნაბიჯები საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღების და უცხოელი ინვესტორების მოზიდვის თვალსაზრისით. ამ მიზნით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, რომელიც ინვესტორებს

შეუქმნის გარკვეულ გარანტიებს და სტიმულებს. მიზანშეწონილია საინვესტიციო ფონდების, სატრასტო და სალიზინგო კომპანიების ქსელის, უცხოელ პარტნიორებთან ერთად ვენჩურული ფირმების შექმნა.

უცხოელი ინვესტორებისათვის საქართველო მიმზიდველია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, სამუშაო ძალის სიიაფით, პროდუქციის ხარისხის მიმართ მომხმარებელთა დაბალი მოთხოვნით. ამასთან მათ მოზიდვაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს: ქვეყანაში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა, საგარეო ვალის ზრდა, ინფლაცია, ლარის კურსი, გამეფებული კორუფცია და გაზრდილი ბიუროკრატია. ამასთან საქართველოს ბაზარი მცირე ტევადობისაა, ამიტომ ინვესტიციები ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელ დარგებზე.

ინვესტიციების მოზიდვის მიზნით მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესში ინვესტიციური აქტივობის თვალსაზრისით პრიორიტეტული დარგების დადგენა;
- ინვესტორთა დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის დაწესება;
- დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენების უფლების მიცემა;
- საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, საქართველოში ბიზნესის კლიმატის გაუმჯობესება მთლიანობაში სტაბილურ მაკროეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად შედეგად იძლევა იმას, რომ ქვეყანა ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველი ხდება. სავალუტო ფონდის რეკომენდაციაა, რომ საქართველოს მთავრობა უნდა ეცადოს შეინარჩუნოს მშპ–ის ზრდის ტემპი 7–8% და ინფლაცია 6%–ის ფარგლებში, სამწუხაროდ ეს რეკომენდაცია დღეისათვის არარეალისტურია. საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუარესება უარყოფითად აისახა საქართველოს საერთაშორისო ექსპერტების მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგზე. გეოპოლიტიკური რისკის

ზრდის გამო ეკონომიკური ზრდის ტემპები შენელდა და ინვესტორების განწყობაზეც უარყოფითად აისახა. თუმცა ეს რისკები ნაწილობრივ დაბალანსებულია ჯერ კიდევ მაღალი ეკონომიკური პერსპექტივებით, რაც ეკონომიკის სფეროში გატარებული რეფორმების შედეგია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს დოლარში გამოსახული მშპ ერთ სულზე 4 260 დოლარს შეადგენდა, ხოლო 2020 წლის პროგნოზით 4 410 დოლარი იქნება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კლება უკავშირდება ლარის კურსის გაუფასურებას დოლართან მიმართებით. 2020 წლის მეორე ნახევარში ლარმა გაუფასურების ისტორიულ ნიშნულს მიაღწია, ეროვნული ვალუტის კურსის შემცირებას რიგი უარყოფითი შედეგები აქვს. მათ შორის იმატებს სესხის მომსახურების წნეხი იმ პირთათვის ვისაც შემოსავლი ლარში, ხოლო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში აქვს, აძვირებს უცხოეთში მოგზაურობასა და იმპორტს. კურსის ცვლილებით გამოწვეულ ხარჯების ზრდას ინფლაციის მაჩვენებელი ასახავს. შესაბამისად, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დროით ჭრილში ანალიზისათვის მიღებულ და საუკეთესო მაჩვენებელს რეალური მშპ წარმოადგენს, რომელიც ფასების ცვლილების გავლენისგან თავისუფალია და რეალურად შექმნილ ღირებულებას ასახავს [32].

2020 წლის Heritage Foundation-ის კვლევის თანახმად ქვეყანაში გაუმჯობესდა „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“. საქართველოს სარეიტინგო ქულამ 77.1 ქულა შეადგინა, წინა წელთან შედარებით საქართველო ევროპის რეგიონში 2 პოზიციით დაწინაურდა - ამ შედეგით საქართველო ევროპის რეგიონის 45 ქვეყანას შორის მე-6 ადგილზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით. საქართველოს საერთო ქულა აღემატება როგორც რეგიონის (69.8 ქულა), ისე მსოფლიოს საშუალო ქულას (61.6 ქულა).

2020 წლის რეიტინგი შეფასებას აკეთებს შემდეგი 4 მიმართულებით: კანონის უზენაესობა, მთავრობის მოცულობა, რეგულაციების ეფექტიანობა და ღია ბაზარი. აღნიშნული მიმართულებები, თავის მხრივ, მოიცავს 12 კომპონენტს. აღსანიშნავია, რომ რეიტინგის 12 კომპონენტიდან საქართველომ მდგომარეობა გაიუმჯობესა 5 ისეთი მნიშვნელოვანი მიმარ-

თულებით, როგორიცაა: საკუთრების უფლება (68.6 ქულა), მთავრობის სამართლიანობა (64.8 ქულა), სასამართლოს ეფექტიანობა (57.9 ქულა), მონეტარული თავისუფლება (78.3 ქულა) და ფისკალური თავისუფლება (94.4 ქულა). კომპონენტის შეფასება ეფუძნება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს“, მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსს (WJP), საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსს“ და „Trace Matrix” რეიტინგს[33].

COVID-19-ის პირობებში აზიის განვითარების ბანკი (ADB) 2020 წლისთვის ქვეყანაში 0%-იან ზრდას პროგნოზირებს. საქართველოს ეკონომიკა 2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიითა და ნავთობზე შემცირებული ფასებით გამოწვეულ საგრძნობ შენელებას განიცდის. ამავე ბანკის პროგნოზით ეკონომიკურ გაჯანსაღებას საქართველო 2021 წელს გაზრდილი შიდა მოთხოვნითა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, ასევე საზღვარგარეთიდან აღდგენილი გადმორიცხვებით შეძლებს. „საქართველომ უკვე გაატარა ზომები პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკის შესასუსტებლად, რაც სხვა ნაბიჯებთან ერთად, მოიცავს ტურიზმის სექტორში ქონებისა და საშემოსავლო გადასახადების შეჩერებას, საბანკო-სასესხო რეგულაციების შემსუბუქებას. ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებას ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარების მეტი მხარდაჭერა და ინვესტიციები თანამედროვე ტექნოლოგიებში, მეცნიერებასა და ციფრულ განათლებაში“ - მიაჩნია აზიის განვითარების ბანკს. 2020 წელს ნავარაუდევია მრეწველობის 3.1%-იან ნიშნულზე შეჩერება, მშენებლობისა და წარმოების ტემპის კლების ფონზე, თუმცა 2021 წელს 2.1%-ით ზრდაა ნავარაუდევი მაღალი შედეგებით სამთო-მოპოვებით სექტორში.

ექსპორტის ზრდა 2020 წელს 3.6%, ხოლო 2021 წელს 11.9%-ითაა ნავარაუდევი, ხოლო მოკრძალებული შიდა ექსპანსია და შედარებით მაღალი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია იმპორტს 2020 წელს 1.1%-ით, ხოლო 2021 წელს 7.0%-ით გაზრდის. ეკონომიკური ზრდის რისკებს წარმოადგენს სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკების მოსალოდნელზე მეტად შენელება, სუსტი შიდა მოთხოვნა, ტურიზმის სფეროს ზრდის შეფერხება და

გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე გამკაცრებული ლიკვიდურობა, რაც ნაწილობრივ კოვიდ-19-ის გავლენის შედეგია. ADB-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს ბიზნესის განვითარებაში ტექნოლოგიური ინოვაციების წახალისება სჭირდება. ქვეყანამ ინოვაციური ციფრული სერვისების განვითარებაში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, თუმცა მთავრობას შეუძლია მეტად სანდო და ეფექტიანი გახადოს ელექტრონული კომერცია შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეფორმების გატარებითა და გადასახადებისა და მოსაკრებლების მეტად ქმედითი მექანიზმების შემუშავებით. მთავრობამ ასევე უნდა განაგრძოს განათლების რეფორმა და გააუმჯობესოს ციფრული ტექნოლოგიების+

სწავლება, განსაკუთრებით სოფლად, ეკონომიკის განვითარებაში მეტი ჩართულობის გასაძლიერებლად [34].

2020 წლის შემოდგომაზე საქართველოში გამოიკვეთა პოლიტიკური კრიზისის ნიშნები, რამაც გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის სტაბილურობაზე და შესაბამისად საინვესტიციო კლიმატზეც. საყოველთაოდ ცნობილია, რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებობდეს სტაბილური სიტუაცია, რათა ინვესტიციების შემოდინება არ შემცირდეს. გარდა ამისა, საქართველოში არსებული საინვესტიციო კლიმატის დამახასიათებელი უარყოფითი მხარეებია:

- პოლიტიკური დაძაბულობა და არცთუ იშვიათად აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ბიზნესის თვითნებური მიუღებელი ფორმებით ლობირება, რაც ჯანსაღ კონკურენციას აცლის საფუძველს როგორც ზოგადად, ისე ინვესტორთა შორის;
- ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს იურისდიქციის გაუვრცელებლობა, რაც გარკვეულწილად ქმნის მიმდებარე რეგიონებში დაძაბულობის კერებს;
- მოსახლეობის რთული სოციალური მდგომარეობა (მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარსა და ზღვარს ქვემოთ იმყოფება), რაც იწვევს სოციალურ დაძაბულობას და რყევებს [17 გვ. 41].

ჩამოთვლილი სირთულეების მიუხედავად, ქვეყანას გარკვეული დადებითი პოტენციალი გააჩნია, რათა დააინტერესოს უცხოელი ინვესტორები, კერძოდ: მდიდარი და შედარებით იაფი საკურორტო და ტურისტული რესურსები; ცნობილი მინერალური და სამკურნალო წყლების უმდიდრესი მარაგი; შედარებით იაფი კვალიფიციური მუშახელი; მაღალი ინტელექტუალური დონის სპეციალისტები; ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში უცხოელი ინვესტორების მონაწილეობის შესაძლებლობის ფაქტორი; მაღალი მოგების სწრაფად მიღების შესაძლებლობა.

ინვესტიციური აქტივობის ზრდის ფაქტორები

ჩამოთვლილი ფაქტორები საშუალებას გვაძლევს მიზანშეწონილად მივიჩნიოთ იმის აუცილებლობა, რომ შემუშავდეს მყარი საინვესტიციო კანონმდებლობა, დაცული იქნეს კანონის უზენაესობა ამ სფეროში. საქართველოში დღეისათვის მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ; 1996 წელს მიღებული კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, 2002 წლის კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ და 2006 წლის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. ჩვენი აზრით, აღნიშნული კანონები საჭიროა გადაისინჯოს და მკაცრ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სათანადო საერთაშორისო კანონებთან და კონვენციებთან ინვესტიციების შესახებ.

ნებისმიერი ინვესტიციის შემოდინება დამოკიდებულია ინვესტორების რწმენაზე საქართველოში ეკონომიკურ მდგრადობასთან დაკავშირებით. საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის პირველ რიგში აუცილებელია კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება, რადგან მიუხედავად ამ სფეროში მომხდარი დადებითი ძვრებისა, საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით საქართველო კვლავაც რჩება ქვეყნად, სადაც საკმაოდ მაღალ დონეზეა შენარჩუნებული კორუფცია და ბიუროკრატიული აპარატი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ (TI) მიერ 2020 წლის 12

აპრილს გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში კორუფცია კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. რესპონდენტების 91% (მათგან ვინც, ფიქრობს, რომ საჯარო მოხელეები საკუთარ თანამდებობებს ბოროტად იყენებენ) მიიჩნევს, საჯარო მოხელეები საკუთარ თანამდებობებს ოჯახის წევრების, ნათესავებისა და ახლობლების დასაქმების მიზნით იყენებენ; 86%-ის აზრით, საკუთარი ახლობლების ბიზნესის მფარველობისთვის; 79%-ის შეფასებით, ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივი ხარჯვისთვის; 58%-ის მოსაზრებით კი, სხვადასხვა საქმის „მოგვარების“ სანაცვლოდ ქრთამის აღებისთვის. კვლევა სახელმწიფო ტენდერების შესახებ კითხვასაც მოიცავდა. რესპონდენტების **52%** მიიჩნევს, რომ სახელმწიფო შესყიდვების დროს თანამდებობის პირებთან დაკავშირებული კომპანიებისთვის უპირატესობის მინიჭება გავრცელებულია [36].

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია საგადასახადო კოდექსის დახვეწა. მიუხედავად ბოლო პერიოდში კოდექსში შეტანილი მრავალი ცვლილებისა და გადასახადების საერთო რიცხვის შემცირებისა, კოდექსი კვლავაც რჩება ძნელად აღსაქმელად და ბუნდოვნად, განსაკუთრებით ადმინისტრირების ნაწილში. ასევე ინვესტორებისათვის მიუღებელია საგადასახადო კოდექსში და საერთოდ საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების სიხშირე. საჭიროა გამარტივდეს საქმიანობის, ლიცენზირებისა და ნებართვების აღების პროცედურები, თუმცა აღსანიშნავია გაუმჯობესების ტენდენციებიც. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია შეღავათიანი კრედიტის არსებობის აუცილებლობა, არ შეიძლება ქვეყანა მთლიანად ორიენტირებული იყოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლაზე, ასევე საჭიროა ადგილობრივი ინვესტორების ხელშეწყობა. ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია დერეგულირების სფეროში. თუმცა დერეგულირების ღონისძიებები საკმარისი არ იქნება ეკონომიკური ზრდის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, თუ მათ არ ახლავს საბაზრო ინსტიტუტების გაძლიერება. კერძოდ, უფრო მეტად უნდა იყოს დაცული საკუთრების უფლება; აუცილებელია სასამართლო სისტემის რეფორმირება,

რომელიც ჩამორჩება ბიზნესგარემოს ლიბერალიზაციის ტემპს და ხელისუფლების მხრიდან გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს.

ჩვენი აზრით, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის აუცილებელია ისეთი საინვესტიციო გარემოს შექმნა, რომელიც მოიზიდავს როგორც უცხოელ, ისე ქართველ ბიზნესმენებსაც, რათა მათ დააბანდონ თავიანთი კაპიტალი საქართველოში და არა სხვა ქვეყნებში. მაგალითად, თუ ინვესტორი აზერბაიჯანში კაპიტალს დააბანდებს და თუ შემდეგ ამ ქვეყნის კანონმდებლობაში რაიმე ცვლილება მოხდება, ინვესტორი გარანტირებულია, რომ უახლოესი 10 წლის მანძილზე ეს მას არ შეეხება [8, გვ. 64].

საქართველოში უცხოური ინვესტიციების განხორციელების პირველი ეტაპი დაკავშირებული იყო სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესთან. პრივატიზების საწყის ეტაპზე თვით სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმები არ იყო ჩამოყალიბებული, ანუ პრივატიზების პროცესი ხშირ შემთხვევაში ირღვეოდა და გაურკვეველი, გაუგებარი მეთოდებით ხორციელდებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი ერთ პირზე ან ერთ ჯგუფზე იყო მორგებული და წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების პირდაპირ გადაცემას, "მიყიდვის" ან იშვიათად ნულოვანი აუქციონით ხელში ჩაგდებას.

საინვესტიციო პოლიტიკის შეფასებისა და მეტი კაპიტალის მოსაზიდად ადეკვატური პოლიტიკის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია იმ კომპანიების მოტივაციის გაანალიზება, რომლებიც საქართველოში აბანდებენ კაპიტალს, ანუ პირდაპირი უცხოური ინვესტირების მიკროსაფუძვლები, მთლიანი და აგრეგირებული ციფრები ხშირად არასწორ შთაბეჭდილებას გვიქმნიან და მცდარ სტრატეგიულ გადაწყვეტილებამდე მივყავართ. მაგალითად, 2003 წლიდან მოყოლებული ინვესტიციების უდიდესი ნაწილი ჯერ ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენს, მოგვიანებით კი სამხრეთ–კავკასიური (შაჰ–დენიზის) გაზსადენის მშენებლობას უკავშირდება. საერთაშორისო კონსორციუმების წილმა 2005

წელს საინვესტიციო ნაკადების 75 პროცენტი შეადგინა, 2009 წელს – 60 პროცენტი, ხოლო 2012 წელს 50 პროცენტია.

უდაოა, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ნამდვილად არსებობს კორელაცია, მაგრამ მისი ქმედების მიმართულება არ არის ნათელი: ხშირად შეინიშნება ორმხრივი მიზეზ–შედეგობრივი ურთიერთქმედება ბრუნვის სასარგებლო ეფექტით. ქვეყანა მიმზიდველი უნდა იყოს ("საინვესტიციო კლიმატი") პირდაპირი უცხოური ინვესტირებისათვის და ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების დაბანდებას, რათა საგადამხდელო ბალანსის ნეგატიური ეფექტი შესუსტდეს. როგორც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული თეორიული და ემპირიული ლიტერატურის ბოლოდროინდელი საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა გვიჩვენებს, ადგილობრივ ინსტიტუციურ გარემოს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პოზიტიურ როლს ავტომატურად არ ასრულებს. მათ შეიძლება დაბალი ტექნოლოგიური გადაცემა მოჰყვეს, თუ უცხოელების საკუთრებაში მყოფი სექტორი იზოლირებული იქნება დანარჩენი ეკონომიკისაგან, როგორც ეს ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შემთხვევაში იყო. ეს ტენდენცია უფრო ძლიერია მაშინ, როდესაც მიმღებ ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების უფლებები არ არის სათანადოდ დაცული. ამჟამად საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ არის მრეწველობაზე ორიენტირებული, იგი ინფრასტრუქტურაში ან მომსახურებაში (საცალო ვაჭრობა, დაზღვევა, საბანკო საქმე) იდება. იგივე ტენდენციებია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნახევარზე მეტი არასაწარმოო სექტორშია თავმოყრილი.

ქვეყანაში შემომავალი ინვესტიციების დონე ძალზე ბევრ კითხვაზე სცემს პასუხს - რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპექტივა და ასე შემდეგ.

ინვესტიციები ყოველთვის იყო და არის მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ერთ-ერთი ბერკეტი. ახალი საწარმოების, კომპანიების გახსნა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარება, მოქმედი საწარმოების მუშაობის სრულყოფა დაკავშირებულია კაპიტალდაბანდებასთან. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვა, მათ შორის უცხოურისაც.

საქართველოს წინაშე მდგარი სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებაზე ორიენტირება, ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე პრიორიტეტების განსაზღვრა. საინვესტიციო პროცესების აქტივიზაცია თავის მხრივ შესაძლებელია მხოლოდ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებით, რომელიც მიმართული იქნება დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნისაკენ. ფირმათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შესაბამისად, საინვესტიციო რესურსების ზრდისაკენ.

საქართველოს ეკონომიკაში, უცხოური ინვესტიციების სტიმულირების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს უცხოელ ინვესტორთათვის გარკვეული გარანტიების უზრუნველყოფა, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს უცხოელი ინვესტორების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. აღნიშნული გარანტიები, როგორც წესი, ასახულია რეციპიენტი ქვეყნის ნორმატიულ აქტებში.

საქართველოს ეკონომიკაში, უცხოური ინვესტიციების სტიმულირების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს უცხოელ ინვესტორთათვის გარკვეული გარანტიების უზრუნველყოფა, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს უცხოელი ინვესტორების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. აღნიშნული გარანტიები, როგორც წესი, ასახულია რეციპიენტი ქვეყნის ნორმატიულ აქტებში. პრაქტიკაში განასხვავებენ სახელმწიფო გარანტიების შემდეგ ფორმებს:

1) უცხოელ ინვესტორთათვის არადისკრიმინაციული, როგორც წესი, ეროვნული რეჟიმის უზრუნველყოფა;

2) უცხოელ ინვესტორთა დაცვა შესაძლო ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციისაგან;

3) მოგებისა და სხვა შემოსავლების შეუფერხებელი გადაგზავნის შესაძლებლობა საზღვარგარეთ;

4) უცხოელი ინვესტორისათვის გარანტიების უზრუნველყოფა, მოქმედი კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს უცხოელ ინვესტორს;

5) საინვესტიციო პროექტში უცხოელი ინვესტორის მონაწილეობის შემთხვევაში, დავის განხილვის წესის განსაზღვრა.

უცხოელი ინვესტორების სახელმწიფო გარანტიის სისტემის ცენტრალურ კომპონენტად შეიძლება ჩაითვალოს მათი დაცვა ქონების შესაძლო ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციისაგან. აღნიშნული ნორმა, როგორც წესი, ასახულია ეროვნულ კონსტიტუციებში ან უცხოური ინვესტიციების შესახებ სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ საინვესტიციო პროექტების შექმნისა და დაფინანსების პროცესში სახელმწიფო არ შეიძლება დარჩეს მხოლოდ დამკვირვებლის როლში. რამდენადაც მეტია ეკონომიკური პრობლემების სიმწვავე, მით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. მისი ჩარევა აუცილებელია თუნდაც გარანტიის სახით.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება უნდა იყოს ნებისმიერი სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანა. პოლიტიკა და პოლიტიკური ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საინვესტიციო კლიმატის ფორმირებაში. საინვესტიციო კლიმატი მოიცავს ყველაფერ იმას, რასაც ინვესტორი ითვალისწინებს, როდესაც აფასებს, თუ რამდენად ხელსაყრელია ამა თუ იმ ქვეყანაში პირობები ინვესტიციების განხორციელებისათვის. მათ შორის ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ქვეყანაში არსებული იდეოლოგია და პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა. რაც უფრო ნაკლებად ხელსაყრელია საინვესტიციო კლიმატი, მით უფრო ძვირად აფასებს ინვესტორი თავის სამეწარმეო რისკს, ხოლო მიმღები

(რეციპიენტი) ქვეყნისათვის ხარჯები ინვესტიციების მოსაზიდად უფრო დიდია.

საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობა იხვეწება და ორიენტირებულია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე. უცხოელ ინვესტორად ითვლება უცხოეთის სახელმწიფო მოქალაქე. აგრეთვე საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საწარმო, რომელშიც უცხოელი ინვესტორის წილი შეადგენს არანაკლებ 25%-ს, სარგებლობს იმავე უფლებით, როგორც უცხოელი ინვესტორი.

საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და შესრულებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო შესაბამის უწყებებთან ერთად. „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" პარლამენტის დადგენილების მიხედვით, ინვესტორს უცხოელის სამუშაოზე მიღების უფლება აქვს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. უცხოელს, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოში, გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ აქვს მის მიერ მიღებული შემოსავლების საზღვარგარეთ დაუყოვნებლივი და შეუფერხებელი გადატანის უფლება. ასევე არ შეიძლება დაწესდეს საწარმოს ხელმძღვანელ ორგანოებში სავალდებულოდ ასარჩევ ან დასანიშნ საქართველოს მოქალაქეთა მინიმალური რიცხვი. ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც აუარესებს ამ კანონით დადგენილ ინვესტიციის პირობებს, მისი ძალაში შესვლიდან 10 წლის განმავლობაში არ ვრცელდება უკვე განხორციელებულ ინვესტიციაზე. ინვესტორების მოზიდვის კუთხით, ვფიქრობ, ეს დადებითი მოვლენაა. საქართველოს კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესია კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ". მოცემული კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებზე, რომლებიც დაბან-

დებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე.

ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. სააგენტო არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ინვესტორებთან ურთიერთობაში. სააგენტოს საქმიანობის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში, ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. ზემოთხსენებული მომსახურება ფასიანია (გამონაკლისს წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიცია) და მომსახურების საფასურს განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის - საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, ამიტომ ინვესტიციების მოზიდვა პოზიტიურ როლს თამაშობს ამ ბალანსის დადებითი სალდოს ფორმირებაში.

პუი საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას გულისხმობს.

პირდაპირია ინვესტორი, რომელიც საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ეკვივალენტს ფლობს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რომლებიც ქვეყანას აქვს კანონმდებლობის, ლიცენზირებისა თუ ნებართვების სფეროში, სხვა დარგებში არსებული მდგომარეობა ოპტიმიზმის საუძველს არ გვაძლევს. ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს არსებული ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებაზე. გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ფორმალური ინსტიტუტების (მაგალითად, საგადასახადო სისტემა, კანონმდებლობა) სრულყოფა

იმ შედეგს არ იძლევა, რაც ქვეყანაში არაფორმალური ინსტიტუტების მინიმიზაციით შეიძლება მიღწეულიყო.

უცხოური კაპიტალის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის იმ სფეროებში, რომელთა აქტივიზაციას შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს აღნიშნულ სფეროებში ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევაში, არსებული სოციალური დაძაბულობის შემცირებაში და დასაქმების ზრდაში. ასეთ დარგებად, პირველ რიგში, ტურიზმი და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება გვესახება. უცხოური კაპიტალის გამოყენებით რეკონსტრუქციასა და ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას საჭიროებენ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები. ამასთან უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია მსგავსი საწარმოებისათვის დაწყებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებიდან, დამთავრებული საბოლოო პროდუქციის წარმოებით.

აღნიშნული მიმართულებით საინვესტიციო პოლიტიკის მიმართვა მნიშვნელოვანწილად გაზრდის ტექნოლოგიურ მახასიათებლებს, შეამცირებს არსებულ დანაკარგებს და საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად გაზრდის აგროსამრეწველო სექტორის დარგებში შრომის ნაყოფიერებას, დასაქმების დონეს, პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

დასკვნა

ქვეყანაში დაგროვილი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ფონზე, უმნიშვნელოვანესია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა და მათი ეფექტიანი გამოყენება. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმები ვერ პასუხობენ ამ უმნიშვნელოვანესი გამოწვევის მოთხოვნებს. ამ პროცესზე არსებით ზეგავლენას ახდენს ის საინვესტიციო კლიმატი, რომელიც ქვეყანაში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუარესდა. ინვესტიციური აქტივობის ზრდის მიმართულებით ცვლილებებს მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა. საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებისათვის აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უცხოელ

ინვესტორებს შეუქმნის გარკვეულ გარანტიებს და სტიმულებს. უცხოური კაპიტალის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის იმ სფეროებში, რომელთა აქტივიზაციას შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევაში, არსებული სოციალური დაძაბულობის შემცირებასა და უმუშევრობის პრობლემის დაძლევაში. ასეთ დარგებად, პირველ რიგში, ტურიზმი და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება გვესახება. თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ საინვესტიციო პროექტების შექმნისა და დაფინანსების პროცესში სახელმწიფო არ შეიძლება დარჩეს მხოლოდ დამკვირვებლის როლში, აუცილებელია გააქტიურდეს მისი როლი საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფის სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიშვილი ხ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ბიზნესის განვითარებაში. კრებულში: ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია, თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ტომი 2, გვ. 81–86 2012

2. ბერიშვილი ხ. საინვესტიციო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი, გლობალიზაცია და ბიზნესი. ევროპის უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია, თბილისი, 19 ივნისი 2016.

3. ბერიშვილი ხ. ტრანსეროვნული კორპორაციები და საქართველოს ინტეგრაცია გლობალურ ბიზნესში. ჟურნალი მეცნიერება და ცხოვრება, თბილისი 2014.

4. ბერიშვილი ხ. გლობალიზაცია და საინვესტიციო აქტივობის ზრდის პრობლემები საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომების კრებულში: გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები. 6–7 აპრილი. 2012.

5. სიჭინავა ა., ინვესტიციები: თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა : ლექციების კურსი. თბ., 2009

6. საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ 13.07.2006. ცვლილებები 31.07.2006. საკანონმდებლო მაცნე, #32.სიდამონიძე ნ., ინვესტიციების არსი, მიზანი და ხელისშემწყობი პირობები ჟ. „სოციალური ეკონომიკა“ 2010 წ. #2

7. პაპავა ვ., ეკონომიკური რეფორმის ძირითადი თავისებურებანი საქართველოში. ჟ. `ეკონომიკა~. #4-6. 2012

8. შენგელია თ., ბერიშვილი ხ. ინოვაციური პროცესები ეკონომიკასა და ბიზნესში. თბ., „უნივერსალი“ 2017.

9. შენგელია თ., საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში. კრებულში: „ინოვაციები ბიზნესში“, გამ. „უნივერსალი“. გვ . 34-39ч 2017

10. ქოქიაური ლ., ინვესტიციის ბაზარი: არსი. ფორმირება. თბ., 2009

11. ქოქიაური ლ. ინვესტიციების თეორიული გენეზისი. თბ., „უნივერსალი“, 2007. გვ.71;

12. ჭიკაიძე ნ., საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოში ჟ. „ეკონომიკა“ 2011 წ. #5–6, გვ. 21

13. Большой Экономический словарь В.Н. Азрилян (ред. М. «Правовая литература» 1994

14. Лоренс Дж. Гитман Д. Джонки. Основы инвестиции Мю «Дело» 2000

15. Шенгелия Т;Козак Ю; Х. Беришвили; Глобализационные и интеграционные проблемы развития экономики Грузий. Киев, ЦУЛ, 2018. 255 с.

16. Шарп К. Александер Г. Бэйли Дж. Инвестиции: Пер. с англ. М. ИНФРВ-М, 1997

17. Berishvili Kh. Role Of Tekhnological Transfer In Economic Development Of The Recipient Country. California Business Review-volume 3, Number 2, 2015. ISSN 2330-9156.

18. Copeland T. E., Weston J. F. Financial Theory and Corporate policy, 3-rd ed. – Addison-Wesley, 1988

19. Shengelia T, Berishvili Kh. Globalization and Place of Georgia in International Business. GIJST, (Georgian International Journal of Science and Technology) Volume 5 Issue 3-4 . Nova Science Publishers 2013, NY.USA.

20. The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic sys-

tem.International Collection of the Scintific Works Edited by: T. Shengelia (Georgia), A. Ferguene (France) A. Gribincea (moldova); I, Kozak(Ukraine), M. Gerodes (Czech Republic) – Tbilisi: Universal – 2017. 185 p. 2017

21. Shengelia T. Problems of investment in Georgia. World economi end international Economic Relations. International scintific colections. Volume 2. 2019

22. Shengelia T., Kirkitadze Z. FDI MOTIVATION EFFECTS ON HOST COUNTRIES World economi end international Economic Relations. International scintific colections. Volume III . 2020

23. Shengelia T. PROBLEMS OF INVESTMENT ACTIVITY IN GEORGIA. WORLD ECONOMY and INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS International Scientific Collection. Editors: Dr., Prof.T.Sporek (Poland), Dr., Prof. T. Shengelia (Georgia)Dr., Prof. Y. Kozak (Ukraine). Volume 2. 2019

24. Shengelia T. Kozak Y.,berishvili Kh. International Trade. Edited By: Tbilisi, 2016, 258 p

25. S.Erochin, Y. Kozak. Kh. berishvili Essential of International Finanse. end ets. Tbilisi, „Universal“, 2017, 288 p.

26. https://www.worldbank.org/

27. https://www.geostat.ge/

28. http://www.exports.ge/?4/

29. http://24saati.ge/index.php/category/business/2012-02-28/25923.html

30. www.infeconomy.ru

31. http://www.infeconomy.ru/ininv/949-2011-03-24-12-38-36.html 27.04.2010

32. https://factcheck.ge/ka/story/38242.

33. http://www.economy.ge/?page=news&nw=1450

34. https://bm.ge/ka/article/adb-2020-wels-saqartvelos-ekonomikuri-zrda---0-2021-wels-ki-45-iqneba/52995
https://civil.ge/ka/archives/3019

35. http://24saati.ge/index.php/category/business/2012-02-28/25923.html

Khatuna Berishvili

THE IMPACT OF DFI ON THE INNOVATION DEVELOPMENT OF A RECIPIENT COUNTRY'S ECONOMY

Summary

Against the background of the accumulated economic and social problems in the country, it is important to attract foreign direct investment and use it effectively. Nevertheless, the reforms undertaken by the Georgian government does not meet the requirements of this important task. The investment climate, which has significantly deteriorated in the country in recent years, has a significant impact on this process. Georgian legislation requires changes to increase investment activity. Improving the investment environment requires a legal framework that meets international standards, which will create certain guarantees and incentives for foreign investors. The use of foreign capital is particularly important in areas of the economy where revitalization can make a significant contribution to overcoming the transformational crisis, reducing existing social tensions, and solving the problem of unemployment. These areas primarily include tourism and agri-cultural production. Current world practice proves that in the process of creating and financing investment projects, the state cannot remain only an observer and its role in improving investment activity must be strengthened.

მედეა მელაშვილი

საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციების დანერგვაზე ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ხარჯები და მისი სრულყოფის მიმართულებები

ანოტაცია. *ნაშრომი ეძღვნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემას, როგორიცაა ინოვაციები და მათ დანერგვაზე ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები. ყურადღება გამახვილებულია ქვეყანაში საინოვაციო სისტემის შექმნის მნიშვნელობაზე და აღნიშნულია, რომ ქვეყნის და კერძოდ რეგიონების განვითარების ახალი მოდელია რეგიონული საინოვაციო სისტემა (რსს) და ასევე რეგიონული საინოვაციო ცენტრების (რსც) შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებში არსებული უდიდესი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას.*

განხილულია ინოვაციური პოლიტიკის შექმნის პროცესში, განსაკუთრებით რეგიონებში, არსებულ პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები.

* * *

ეკონომიკის დინამიური ზრდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წარმოების ტრადიციული ფაქტორების კვალდაკვალ, ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციებსა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ორიენტირებული ეკონომიკური ინიციატივების წახალისება და ამისათვის ქვეყნის შედარებითი უპირატესობების ოპტიმალური გამოყენება. ასეთმა მიდგომამ შესაძლებლობა უნდა მისცეს ქვეყანას, გამოიყენოს საკუთარი უპირატესობები, გააუმჯობესოს პრიორიტეტული დარგები და ხელი შეუწყოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების სათანადო პოლიტიკის განხორციელებას. მაგალითისათვის, რეგიონების განვითარებაზე ევროკომისიის ბიუჯეტის 36% იხარჯება – დაახლოებით 50 მილიარდი ევრო წლიურად. ამ დახმარების დიდი ნაწილი იხარჯება საინოვაციო ღონისძიებებზე.

დღეს საბიუჯეტო ურთიერთობების რეფორმირებისას სულ უფრო დიდი ყურადღება ექცევა მუნიციპალური ბიუჯეტების მდგომარეობას, რადგანაც სწორედ ისინი ასრულებენ საბიუჯეტო სისტემის ფუნდამენტის როლს. მათი გაძლიერების გარეშე შეუძლებელია საერთოდ საბიუჯეტო ურთიერთობების სრულყოფა.

აღნიშნული ამოცანების განხორციელების საშუალებად განიხილება ქვეყანაში რეგიონული საინოვაციო სისტემის (რსს) და მისი შემადგენელი კომპონენტების შემდგომი განვითარება.

რეგიონული საინოვაციო სისტემა რეგიონული განვითარების ახალი მოდელია, რომელიც შესაძლოა იქცეს ქვეყნის დაბალანსებული და დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ახალ ინსტრუმენტად. განსხვავებით ეროვნული საინოვაციო სისტემისაგან, რეგიონული საინოვაციო სისტემა წარმოადგენს რეგიონის უპირატესობების გათვალისწინებით სამეწარმეო სუბიექტების, სხვადასხვა ინსტიტუციების თანამშრომლობის

მოდელს, რომლის უმთავრესი მიზანია მოცემულ რეგიონში არსებული ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი და სხვა მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება-განვითარება და ამის საფუძველზე ინოვაციების სტიმულირება რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის.

ამ მიზნის განსახორციელებლად ქმედითი ინსტრუმენტია რეგიონული საინოვაციო ცენტრების (რსც) ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფენ: კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კვლევით ცენტრებსა და მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის შუამავლობას; ქსელური კავშირების შექმნას; რეგიონში მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების ტექნოლოგიური შესაძლებლობების შეფასებას და მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებათა შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებას; ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის შესაძლებლობათა შესწავლას; კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზებას ახალი ტექნოლოგიების სფეროში.

ჩვენთან ათწლეულების განმავლობაში ადგილობრივ დონეებზე არ ხდებოდა მუნიციპალიტეტებში არსებული უდიდესი რეზერვების გამოყენება. კერძოდ, აღსანიშნავია წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკურ და ინფორმაციულ სფეროში დაგროვილი გამოცდილების გაზიარება. მუნიციპალიტეტებს არ გააჩნდათ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პროგრამები.

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, საფრან-გეთში, შვეიცარიაში, იაპონიაში, კანადაში, აშშ-ში არსებულ პროვინციებს, დეპარტამენტებს, რაიონებს, პრეფექტურებს, მერიებს და მუნიციპალიტეტებს აქვთ უფლება, გამოსცენ ადგილობრივი დონის საკანონმდებლო აქტები, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილებზე მიიღება ისეთი კანონები, რომლებიც ცენტრალურ დონეზე მიღებული კანონების შემზღუდავ აქტებს წარმოადგენს.

საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონონმდებლობა სრულად გამორიცხავს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ინიციატივის გამოჩენას. თითქმის შეუძლებელია ადგილობრივი

მუნიციპალიტეტების მიერ მათ ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების მისამართით სხვადასხვა საინფორმაციო მომსახურების (იურიდიული, საკონსულტაციო, საფინანსო და სხვ.) გაწევა. აღნიშნული მიდგომების არარსებობით კი ადგილობრივი ხელისუფლება ფაქტობრივად ვერ ეხმარება მათ ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებს და, საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2000 წლის საბიუჯეტო კოდექსით გაიმიჯნა შემოსავლები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. 2005 წელს მიღებულია ადგილობრივი ბიუჯეტის კანონი და ე.წ. გათანაბრების ფორმულა, თუმცა 2006 წელს თვითმმართველობის შემოსავლებიდან ამოირიცხა მოგების, ხოლო 2007 წელს - საშემოსავლო გადასახადი, რის გამოც ყველა თვითმმართველობა (თბილისის ჩათვლით) ცენტრალურ ბიუჯეტზე დამოკიდებული გახდა.

ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების წილი ადგილობრივ ბიუჯეტებში საშუალოდ 75%-ს აღწევს, ხოლო მთლიან სახელმწიფო ხარჯებში ადგილობრივი თვითმმართველობის წილი (თბილისის გამოკლებით) 7%-ს არ აღემატება, რაც ყველაზე დაბალია ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის.

საქართველოში 2007 წლიდან დაიწყო გარკვეული რეფორმების განხორციელება, რამაც მაქსიმალურად შეუწყო ხელი საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებას.

საქართველო 2007 წელს წლის პირველ რეფორმატორად იქნა დასახელებული მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში „Doing Business Survey“ და გადაინაცვლა 112-დან 37-ე ადგილზე. ასევე გაუმჯობესდა საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, ქვეყანამ 52-დან 35-ე ადგილზე აიწია. 2017 წელს მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით ბიზნესის კეთების სიმარტივის შესახებ (World Bank – Doing Business 2017), საქართველო ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ და მე-16 ადგილს იკავებს შეფასებულ 190 ქვეყანას შორის (წინა წელთან შედარებით 8 პოზიციით დაწინაურდა). ბოლო 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ უპრეცედენტოდ დიდ წარმატებას მიაღწია და მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა. რეიტინგში

წინა წელთან შედარებით ქვეყნის პოზიცია 3 ადგილით გაუმჯობესდა, ხოლო სარეიტინგო ქულა - 0.48 პუნქტით და, შედეგად, ქვეყანას 2019 წელს ისტორიული მაქსიმუმი - 83.28 ქულა აქვს. საქართველომ პირველად გადაასწრო რეიტინგით ისეთ ლიდერ ქვეყნებს, როგორიცაა ნორვეგია (მე-7 ადგილი), აშშ (მე-8 ადგილი) და დიდი ბრიტანეთი (მე-9 ადგილი). ასეთი მიღწევების მიზეზად უცხოელი ექსპერტები ასახელებენ იმას, რომ საქართველოს სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია და ბოლო პერიოდში გამოირჩეოდა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოთი, ლიბერალური სავაჭრო და საგადასახადო კანონმდებლობით, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოთი, ლიცენზირებისა და ნებართვების გამარტივებული პროცედურებით, კორუფციის დაბალი დონით.

ადგილობრივი თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, თუმცა უპირველეს მნიშვნელობას ინვესტიციების ხარჯზე ინოვაციური წარმოების განხორციელება და განვითარება ინარჩუნებს. საქართველოში რეგიონული საინოვაციო სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს რეგიონული საინოვაციო სისტემის თანმიმდევრული განვითარების, რეგიონების უპირატესობების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე ქვეყნის რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ზოგადად ინოვაციურ პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების ფორმირების ერთ-ერთი პრობლემაა საინფორმაციო გამჭვირვალობა. ჩვენთან ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დგას. მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს არავითარი სტატისტიკური ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიერ ინოვაციური საქმიანობის შესახებ, თუმცა ეს ინფორმაცია სახელმწიფო დონეზეც მეტად მწირია. მუნიციპალიტეტების დანახარჯების ანალიზისას ირკვევა, რომ არ არსებობს მონაცემები მათ მიერ ინოვაციებზე გაწეული დანახარჯების შესახებ - კვლევით-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, ინოვაციური პროდუქციის წარმოებაზე.

აღსანიშნავია, რომ საინოვაციო პოლიტიკა განვითარებად ქვეყანაში არსებითად განსხვავებულია ანალოგიური პოლიტიკისგან განვითარებულ ქვეყანაში.

უმთავრესი ისაა, რომ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში წინ გამოდის იმპორტირებულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაცია; ასევე მიზანშეწონილი ინოვაცია, ანუ ინოვაცია, რომელიც არ არის დაფუძნებული უახლეს ტექნოლოგიაზე, მაგრამ სასარგებლოა კონკრეტულ შემთხვევაში; აგრეთვე ადგილობრივი ინოვაცია - ინოვაცია, რომელიც არ წარმოადგენს მსოფლიო სიახლეს და, კიდევ, ტრადიციულ ცოდნაზე დაფუძნებული ინოვაცია - ინოვაცია, რომელიც ხალხურ გამოცდილებას იყენებს, მაგრამ მას ახალ განზომილებას ანიჭებს (მაგალითად, ჩვენთან ღვინის დაყენება ქვევრში, რაც ძალიან დიდ ინტერესს იწვევს).

ზემოთ ჩამოთვლილი ინოვაციის სახეობების რეალი-ზაციისთვის აუცილებელია შესაბამისი პირობების არსებობა და ადგილობრივი ღონისძიებების ჩატარება და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, შესაბამისი კადრების მომზადება. უცხოური კომპანიები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამაბრკოლებელ ფაქტორად საქართველოში ინვესტირების დროს სწორედ არაკვალიფიციურ კადრებს მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრია უმაღლესი განათლების მქონე პირი, უმრავლეს შემთხვევაში მათ არ აქვთ ვიწრო დარგის შესაბამისი განათლება, ხოლო უცხოური კომპანიებისთვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ინოვაციებზე, მაღალი ტექნოლოგიების წარმოებაზე შესაბამისი განათლებისა და სპეციალობის მქონე კადრების გადამზადება საკმაოდ ძვირი ჯდება.

საქართველოში ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯები იდგმება, რაზეც წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ჯერ კიდევ არასათანადოდ ეფექტურია (იხ. ცხრ.1).

ცხრილი 1

განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება საქართველოში (მლნ ლარი)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წელი	2019 წელი
მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	61.4	65.6	65.5
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და	55.7	39.0	35.2

სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა			
სულ განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	1,215.2	1,227.8	1,301.4
საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD)	1.0	10.0	10.0

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით ფუნქციონირებს ინოვაციების 3 ლაბორატორია, რომელიც ხელს უწყობს სპეციალისტების მომზადებას, ქმნის კომფორტულ გარემოს ნოვატორული იდეების გენერირებისთვის, პროექტული მართვის უნარების განვითარებისა და ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სტარტაპების შექმნისთვის.

ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 1.8 მლრდ ლარზე მეტი იყო გათვალისწინებული. საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება მუდმივად მზარდია. 2018 წელთან შედარებით, 2019 წელს მათი დაფინანსება გაზრდილია 180.0 მლნ ლარზე მეტით. სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში განათლების პროგრამების დაფინანსება 1,194.6 მლნ ლარამდე იზრდება. ზოგადი განათლების დაფინანსება - 750.5 მლნ ლარამდე იზრდება და 2018 წლის მაჩვენებელს 48.0 მლნ ლარით აღემატება. ბოლო წლებში ამ მხრივ შემდეგი მდგომარეობაა (იხ. ცხრ.2)

ცხრილი 2

განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება (მლნ ლარი)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	61.4	65.6	65.5

სულ განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	1,215.2	1,227.8	1,301.4
საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	6.1	5.0	4.8

მართალია, საქართველოს მთავრობამ რეგიონული საინოვაციო სტრატეგია მიიღო უფრო ადრე, ვიდრე ქვეყნის საინოვაციო სტრატეგია: 2010 წელს მიღებულ იქნა დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2011-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ“, რომელშიც არის „თავი IV ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“, მაგრამ ფაქტია, რომ სტრატეგიის რეალიზაციის მიმართულებით ჯერჯერობით ბევრი არაფერი გაკეთებულა.

2013 წელს საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება საინოვაციო გარემოს მიმართ სწრაფად შეიცვალა უკეთესობისკენ: ხელისუფლებამ დაიწყო ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა. 2014 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020-ის“ პროექტი, სადაც ხაზგასმულია, რომ შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსების გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებების სწორი არჩევა. ამ მიმართულებების ეკონომიკურად გამართლებული არჩევა ზრდის ეკონომიკური პროცესების ოპერატიული რეგულირების საშუალებათა გამოყენების ეფექტურობას.

მეცნიერ-მკვლევართა აზრით, საქართველოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს აქვთ განვითარების დიდი პერსპექტივა, რომლის რეალიზაცია მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იქნება პოლიტიკური ნება მუნიციპალიტეტების განვითარებისათვის.

სპეციალისტები ასევე თვლიან, რომ კარდინალურად უნდა შეიცვალოს კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი და შედეგზე ორიენტირებული ეკონომიკურ-სამართლებრივი პოლიტიკის გატარებას. კანონით მნიშვნელოვნად უნდა იყოს გამიჯნული ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კომპეტენციები, რათა ადგილი არ ჰქონდეს ვალდებულებების გაორებას.

ჩვენ ვიზიარებთ მათ აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოს თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით აუცილებელია მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ქვეყანაში არსებული დიდი სამეცნიერო პოტენციალი, კვლევით ინსტიტუტებში არსებული ის მიდგომები, რომლებშიც ფართოდ არის წარმოდგენილი ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ ეს გამოცდილება ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარებისათვის უპირველესად უნდა განისაზღვროს სხვადასხვა ადგილობრივი მიმართულებების პრიორიტეტულობა. საკითხები არ გადაწყდეს სპონტანურად, ყოველგვარი განხილვის და მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე.

2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, რომლის მიზანია ქვეყანაში აღნიშნული სფეროს ხელშეწყობა და ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა. 2016 წელს სააგენტომ შეიმუშავა საქართველოს ინოვაციების სტრატეგია“ ინოვაციური საქართველო 2020”. სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, ტექნოპარკების, ინოვაციური ცენტრების სამრეწველო ლაბორატორიების შექმნა რეგიონებში. მაგალითად, 2019 წლისათვის უკვე გახსნილია ტექნოპარკი ზუგდიდში, ინოვაციების სამი ცენტრი ხარაგაულში, ასევე ჭოპორტში, ბაღდადში, ახმეტასა და რუხში. ასევე რვა სამრეწველო ლაბორატორიაა გახსნილი და ფორმირებული

განათლების სამინისტროს მიერ პროფესიული კოლეჯების ბაზაზე.

იგეგმება სამი ტექნოპარკის, იგივე რეგიონული ჰაბის ფორმირება თელავში, გორსა და ქუთაისში და ინოვაციების 10 ცენტრის შექმნა, 2019 წელს დასრულდა ბათუმის ინოვაციების ჰაბის მშენებლობა და აღიჭურვა ოპერირებისთვის საჭირო ინვენტარით.

2016 წელს ინოვაციების ცენტრების მშენებლობისა და ეკოსისტემის შექმნისათვის შეიქმნა მსოფლიო ბანკის პროექტი GENIE, რომლის ფარგლებში გამოიყო 40 მლნ დოლარი, საიდანაც ნაწილი თანხა ინოვაციების ცენტრებს და რეგიონების განვითარებას მოხმარდება.

ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით საქართველოს მუნიციპალიტეტებში თავდაპირველად შეირჩა 13 საპილოტე მუნიციპალიტეტი. პროექტის დასასრულისთვის რიცხვმა უნდა მიაღწიოს 50-ს.

2017-2018 წლებში 137 ქვეყნიდან, რომელიც შეფასდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტ-უნარიანობის ინდექსით“ (GCI), საქართველომ 112-ე ადგილი დაიკავა ინოვაციისა და განვითარების ინდექსის ფაქტორში, თავის მხრივ, 118-ე ადგილი - ინოვაციებში, ხოლო 99-ე ადგილი - საინოვაციო პოტენციალში, ასევე 70-ე ადგილი დაიკავა ტექნოლოგიურ მზაობაში.

ბოლო წლების მონაცემები სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგნაირადაა აღრიცხული (იხ. ცხრ.3):

ცხრილი 3

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებანი (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			
			სულ ჯამი	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
სულ ჯამი	12,590,181.7	13,469,689.0	15,923,792.9	14,842,873.4	48,349.0	1,032,570.5
მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	63,800.1	64,100.1	57,320.0	57,320.0	0.0	0.0
მომუშავეთა რიცხოვნობა	453.0	444.0	568.0	568.0	0.0	0.0
ხარჯები	60,632.9	60,143.5	57,153.0	57,153.0	0.0	0.0
სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	31,787.6	32,661.6	28,050.0	28,050.0	0.0	0.0
მომუშავეთა რიცხოვნობა	40.0	35.0	35.0	35.0	0.0	0.0
ხარჯები	30,902.5	31,707.9	28,038.0	28,038.0	0.0	0.0
სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები	4,433.6	4,623.9	5,810.0	5,810.0	0.0	0.0
მომუშავეთა რიცხოვნობა	377.0	373.0	497.0	497.0	0.0	0.0
ხარჯები	4,342.7	4,533.8	5,680.0	5,680.0	0.0	0.0

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტების მონაცემებს, მათ მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტი აქვეყნებს (იხ. ცხრ.4).

ცხრილი 4

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები (ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
04 10	ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	7,2	50,0
2	ხარჯები	7,2	50,0
22	საქონელი და მომსახურება	7,2	50,0

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტებში გამოყენებული უნდა იქნეს უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული მიდგომები ადგილობრივ საწარმოებთან ურთიერთობის კუთხით (თვითმმართველობებში ერთობლივი შერეული კომპანიების დაფუძნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კაპიტალის მეშვეობით და სხვა). საინოვაციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს: ა) რეგიონული საინოვაციო სისტემის (რსს), როგორც რეგიონის ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელის დანერგვა; ბ) იმ საჯარო და კერძო ინიციატივების მომზადება, დაკავშირება და წახალისება, რომლებიც ხელს შეუწყობს საინოვაციო პროცესსა და მეწარმეობას და წარმოქმნის კონკურენტუნარიან პროდუქტებსა და მომსახურებას საქართველოს რეგიონებში; გ) კვლევა-განვითარების ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება; კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის დაფინანსების გაზრდა (ე.წ. „კლასტერული“ განვითარება რეგიონის შედარებით უპირატესობებზე დაყრდნობით); დ) ცოდნის შემომტანი ინსტიტუტების (უნივერსიტეტები, ტრენინგცენტრები, ორგანიზაციები და ა.შ.) მხარდაჭერა, განსაკუთრებით რეგიონებში.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს, ჩამოვაყალიბოთ ინოვაციების დანერგვის დარგში არსებული პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები. ჩვენი აზრით, ძირითადი პრობლემები შემდეგია: არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რაც ართულებს ინტელექტუალური საკუთრების

სათანადოდ დაცვას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაცვეთა; ტექნოლოგიური ინოვაციების რეალიზაციის მცირე უკუგება; საწარმოების სამეცნიერო დამუშავებების კომერციალიზაციის სირთულე, არასათანადო კვალიფიკაციის კადრების არსებობა. ყველა ეს ფაქტორი ზღუდავს ინვესტიციების მოცულობას ინოვაციებზე და ნეგატიურ გავლენას ახდენს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის შედეგიანობაზე, განსაკუთრებით რეგიონებში; სკ სსს-ზე გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების გამოყენების არასაკმარისი ეფექტიანობა; საბიუჯეტო სახსრების გაფანტულობა მრავალ მომხმარებელზე; კვლევებსა და დამუშავებებზე საწარმოებში არსებული სახსრების სიმცირე და ხანგრძლივი კრედიტის მიღების სირთულე; სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სისტემის არადამაკმაყოფილებელი განვითარება; სახელმწიფოს მხრიდან მცირე ინოვაციური ბიზნესის არასაკმარისი ხელშეწყობა; უცხოელი მწარმოებლების მხრიდან მკაცრი კონკურენცია და ა.შ.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი პრობლემა, რა თქმა უნდა, ურთულესი და მრავალმხრივია, მაგრამ ეკონომიკური წარმატების მიღწევა ამ პრობლემების აღმოფხვრის გარეშე შეუძლებელია. ამ მხრივ კი პრეროგატივა სახელმწიფოს ხელშია და საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, წარმატებით გადაჭრას ის მოკლე ხანში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/media_internet_telecommunications/LSGINDEX_Report_GEO.pdf საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება

2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328?publication=0 საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ

3. http://dodiplom.ru/ready/54450 Сущность расходов федерального бюджета. Основные направления повышения эффективности использования средств

4. https://www.iep.ru/ru/publikatcii/publication/2236.html ОСНОВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ ПОВЫШЕНИЯ ЭФФЕКТИВНОСТИ БЮДЖЕТНЫХ РАСХОДОВ С. Баткибеков Серия Международная конференция «Экономический рост: после коммунизма» 20-21 марта 2002 г., Москва

5. http://bujet.ru/article/196973.php Повышение эффективности бюджетных расходов: проблемы и достижения на муниципальном уровне

6. https://studref.com/382730/menedzhment/byudzhetnoe_finansirovanie_innovatsionnoy_deyatelnosti БЮДЖЕТНОЕ ФИНАНСИРОВАНИЕ ИННОВАЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

7. https://gita.gov.ge/res/docs/newsletter1.pdf 2016 საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

8. https://mrdi.gov.ge/pdf/5d148e85571f3.pdf/2018-2021 საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021

9. https://www.mof.ge/5261 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4757863?publication=0 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

11. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/me_strategy_annual_report_2019_1_geo.pdf ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (ტექნოპარკები, ინოვაციების ცენტრები, FabLab-ები; iLab-ები)

12. https://rdfg.ge/ka/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A1-ინოვაცია – მიმდინარე პროექტები

13. https://mrdi.gov.ge/pdf/5d148e85571f3.pdf/2018-2021 საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021

Medea Melashvili

EXPENDITURES FROM THE CENTRAL AND LOCAL BUDGETS ON THE INTRODUCTION OF INNOVATIONS IN THE GEORGIAN ECONOMY AND DIRECTIONS FOR ITS IMPROVEMENT

Summary

Today, when reforming budget relations, more and more attention is paid to the state of municipal budgets, because they play the role of the foundation of the budget system. Without their strengthening it is impossible to perfect budget relations at all. Further development of the Regional Innovation System (RIS) in the country and its components is considered as a means of accomplishing these tasks.

Establishment of Regional Innovation Centers (RICs) is also an effective tool.

The largest reserves in municipalities have not been used The current legislation in Georgia completely excludes the initiative of the local government.at the local level for decades.

The Law on Local Self-Government should be drastically changed.

Improving the investment climate is of great importance for increasing the competitiveness of local self-governments, although the implementation and development of innovative production at the expense of primary investments remains paramount. The goal of the regional innovation strategy in Georgia is to promote the consistent development of the regional innovation system, the effective use of the regions' advantages, the competitiveness of the country's regions and accelerated economic growth.

In order to solve the existing problems in Georgia, the "Innovation and Technology Agency" has been established, which aims to promote this field in the country and create an innovative ecosystem, which in 2016 developed the Georgian Innovation Strategy "Innovative Georgia 2020".One of the priorities of the strategy of which is the creation and development of innovation infrastructure, the establishment of industrial parks, industrial laboratories of innovation centers in the regions.

ციცინო თეთრაული

ინოვაციები მიწის რესურსების დაცვის სფეროში საქართველოში, თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები

***ანოტაცია**: ნაშრომში განხილულია მიწის, როგორც უნიკალური ბუნებრივი რესურსის არსი და მნიშვნელობა ჩვენი ცივილიზაციის არსებობის შენარჩუნებისათვის, მზარდი მოსახლეობის და ბუნებრივი რესურსების მილევადობის პირობებში. დახასიათებულია ნიადაგის ტიპები, მისი სტრუქტურა და საქართველოს მიწის რესურსების თანამედროვე მდგომარეობა ნიადაგების თავისებურებების გათვალისწინებით. გაშუქებულია ის ღონისძიებები რომელსაც ატარებს ჩვენი მთავრობა მიწის რესურსების დაცვის სფეროში და ის ღონისძიებები რომელიც პერსპექტივაშია გასატარებელი. გაანალიზებულია ბიოლოგიურად სუფთა სასუქების გამოყენებისა და სურსათის უსაფრთხოების საკითხები, აგრეთვე ისრაელის გამოცდილება*

კიბუცების ფენომენთან დაკავშირებით.

მითითებულია ჩვენი ნიადაგების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ სრული ინფორმაციის მოგროვება და რუკების შედგენის აუცილებლობა რათა დავიცვათ ჩვენი ნიადაგი ეროზიისა და დეგრადაციისგან.

***საკვანძო სიტყვები**: ნიადაგის ეროზია, ნავიგაცია პესტიციდები, კიბუცები, პანდემია, სურსათის უსაფრთხოება ნიადაგის კონსერვაცია და ანთროპოგენური ზემოქმედება.*

გლობალიზაციის პირობებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების არსია, ისეთი მოდელი რომლის მიხედვითაც უნდა დაკმაყოფილდეს როგორც ახლანდელი, ისე მომდევნო თაობების ძირითადი მოთხოვნილებები და ახლანდელმა თაობამ არ უნდა იცხოვროს მომავალი თაობების ხარჯზე. მდგრადი განვითარების შენარჩუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნიადაგის დეგრადაციისაგან დაცვა, რაც პირდაპირ კავშირშია სასურსათო უსაფრთხოებასთან. მოსახლეობის ზრდასა და სასურსათო უზრუნველყოფას შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, როდესაც ვეხებით მიწის რესურსების გამოყენების საკითხს. ყოველწლიურად ბრუნვიდან გამოდის 7-8 მილიონი ჰექტარი სავარგული მიწა, რომლის მიზეზია; ეროზია, დამლაშება, დაჭაობება, ურბანიზაცია და ა.შ.

სიცოცხლის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ნიადაგის ისტორიასთან. მსოფლიოს უძველესი წიაღისეული ნიადაგი 3 მილიარდ წელზე მეტისაა, თითქმის ისეთივე ძველი როგორც უძველესი დანალექი ქანი და თავისთავად მიწა. რადგანაც ნიადაგი ორგანული ნივთიერებების დაშლისა და გადამუშავებით, და მათი აღდგენის უნარის წყალობით ასრულებს სასიცოცხლო ციკლს, ის მოქმედებს როგორც ფილტრი, რომელიც ასუფთავებს და გარდაქმნის უსიცოცხლო სხეულებს ნუტრიენტად (ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ელემენტი), რომელიც კვებავს ახალი სიცოცხლეს.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და ამოწურვადი რესურსი. მოსახლეობის გამრავლებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად

მცირდება დაუმუშავებელი სოფლის-მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე იწურება, ეს უნიკალური ბუნებრივი რესურსი.

გუთნის გამოგონებამ ადამიანთა ცივილიზაციებში რევოლუცია მოახდინა და გარდაქმნა დედამიწის ზედაპირი. პირველი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები ევროპის ტერიტორიაზე სამხრეთ ბულგარეთში გავრცელდა ძვ.წ. აღრიცხვის 5 300 წელს, ადამიანისთვის მიწა ერთდროულად არის შრომის საგანიც და წარმოების ძირითადი საშუალებაც, რომელსაც კაცობრიობა უხსოვარი დროიდან იყენებს, თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. მიწა ქვეყნის მთავარი ეროვნული სიმდიდრეა და სახელმწიფოს არსებობის საფუძველი, რომელსაც განსაკუთრებული გაფრთხილება და დაცვა სჭირდება.

მიწის რესურსების გამოყენების საშუალებით კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე თითქმის მთლიანად (95%) იკმაყოფილებს სურსათზე მოთხოვნილებას, მისგან გვეძლევა "პური, ჩვენი არსობისა". ამრიგად მიწა ეკონომიკურ ურთიერთობათა საფუძველთა საფუძველია, კაცობრიობის არსებობისთვის ერთადერთი უალტერნატივო საშუალება.

ნიადაგის მეცნიერულად შესწავლას არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. ტერმინი "მიწა" და "ნიადაგი" სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია, ნიადაგი არის დედამიწის ქერქის ზედა ფხვიერი ნაწილი, რაც შექმნილია ქანების ბიოსფეროს, ჰავის, რელიეფისა და ხნოვანების ერთობლივი მოქმედების შედეგად. წარმოდგენა ნიადაგზე როგორც დამოუკიდებელ ბუნებრივ სხეულზე, რომელიც განსხვავდება ნიადაგთწარმომქმნელი დედაქანისაგან, შეიქმნა XIX საუკუნეში, ნიადაგთმცოდნეობის ფუძემდებლის ვ. დოკუჩაევის მიერ, მანამდე ნიადაგი განიხილებოდა, როგორც გეოლოგიური წარმონაქმნი. ნიადაგის არსებითი თვისება არსი მისი ნაყოფიერება, რაც გულისხმობს მცენარის უზრუნველყოფას წყლით, სითბოთი, საკვები ნივთიერებებით. დედამიწის ზედაპირზე ნიადაგების დიდი მრავალფეროვნებაა და კანონზომიერი გავრცელება ახასიათებთ. თავდაპირველად ვ. დოკუჩაევმა გამოყო 10 ნიადაგის ტიპი, ხოლო შემდეგ

ნიადაგების კლასიფიკაციაში გამოყვეს 100-ზე მეტი ტიპი. ნიადაგის ტიპი თავის მხრივ იყოფა ქვეტიპებად, სახეებად, სახესხვაობებად და ვარიანტებად. ესენია: ეწერი ნიადაგები, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები, ჭაობისა და ალევიური ნიადაგები, ტყის ყომრალი ნიადაგები, მთა-მდელოთა კორდიანი და კორდიან-ტორფიანი ნიადაგები, რუხი მურა, წაბლა, შავმიწა, რუხი-ყავისფერი, მდელოს-ყავისფერი, ტყის ყავისფერი ნიადაგები, დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგები და ა.შ. დედამიწის ზედაპირზე ნიადაგების გავრცელება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზონალობის კანონზომიერებებას ემორჩილება.

ვ. დოკუჩაევის მოძღვრების საფუძველზე დამუშავდა გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიებები. XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ნიადაგთმცოდნეობის ახალი მიმართულება, რომლის ფუძემდებლად ითვლება კ. გედროიცი. ამრიგად, ნიადაგთმცოდნეობა არის მეცნიერება ნიადაგების, მისი წარმოშობის, განვითარების, გეოგრაფიული გავრცელების, რაციონალურად გამოყენებისა და შედგენილობა – თავისებების შესახებ, ნიადაგთმცოდნეობა შეისწავლის ნიადაგს, როგორც ბუნებრივ სხეულს, წარმოების საშუალებას და შრომის საგანს, ნიადაგთმცოდნეობის ძირითადი დარგებია: ნიადაგების გეოგრაფია, ნიადაგის გენეზისი, ნიადაგის ფიზიკა, ნიადაგის ქიმია, ნიადაგის ჰიდროლოგია, ნიადაგის ბიოლოგია და ა.შ.

ყოველწლიურად მსოფლიოს მასშტაბათ დაახლოებით 24 მილიარდი ტონა ნიადაგი იკარგება, მაგრამ მიუხედავად ასევი გლობალური დანაკარგისა ნიადაგის გამოფიტვა მეტწილად შეუმჩნეველი რჩება. ნიადაგის ეროზია გლობალური პრობლემაა, რომელმაც ბოლო ასწლეულის მანძილზე სამეურნეო სავარგულებს 1/4-ზე მეტი ფართობი მოიცვა, ნიადაგის ჩამოყალიბების მსგავსად, ნიადაგის ეროზიის ტემპები დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებზე, რომელსაც მემკვიდრეობით იღებს საწყისი მასალისაგან, დედაქანისაგან, ასევე ადგილობრივ კლიმატზე ორგანიზმებსა და ტოპოგრაფიაზე. სტრუქტურული თვისებების კომბინაცია განსაზღვრავს ნიადაგის შესაძლებლობას, წინააღმდეგობა გაუწიოს ეროზიას, ორგანული ნივთიერებების მაღალი შემცველობა ნიადაგში,

აფერხებს მის ეროზიას. "ეროზია" ლათინური წარმოშობის სიტყვაა და "გამოჭმავს" ნიშნავს. მიწის რესურსებთან დაკავშირებით ეროზია ყველაზე უფრო საჭირბოროტო პრობლემაა. იგი იწვევს ნიადაგის დეგრადაციას, რის შედეგადაც ნიადაგი იფიტება, ხდება უნაყოფო და გამოუსადეგარი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის.

მსოფლიოს მასშტაბით ნიადაგის უმეტესი ნაწილი ღარიბია, რთულია დასამუშავებლად, ან დაუცველია სწრაფი ეროზიისაგან. გლობალურად სოფლის მეურნეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ზომიერი ნიადაგი, რადგან ის ძალიან ნაყოფიერია, არის სქელი და აქვს ორგანულად მდიდარი ჰორიზონტი. ეს ნიადაგები წარმოადგენენ უდიდესი მარცვლეული კულტურების გაშენების ტერიტორიებს, ეროზია ძირითადად დაკავშირებულია ადამიანის არასწორ სამეურნეო საქმიანობასთან. ეროზია ფარული პროცესია, ეროზია თვალთახედვისაგან შეუმჩნევლად, თანდათანობით, დროთა განმავლობაში ნელ-ნელა არღვევს ნიადაგის მთლიანობას.

ეროზირებული ნიადაგების აღდგენა ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია. ნიადაგის 10-12 სმ-იანი ფენის აღდგენას ათეულობით წლები და ზოგჯერ საუკუნეები სჭირდება. ეროზია შეიძლება შევადაროთ შენელებული მოქმედების ნაღმს. ეროზია არის როგორც წყლისმიერი ასევე ქარისმიერი. დამრეცი ფერდობები უფრო სწრაფად განიცდიან ეროზიას, უხვი ნალექი იწვევს ეროზიას, რადგან წყლის ნაკადს შეუძლია ნიადაგის გადაადგილება და მეწყერული პროცესების გამოწვევა. ქარი იწვევს მეჩხერული მცენარეული საფარით დაფარული მშრალი ნიადაგის ეროზიას. ანთროპოგენური მიწის ეროზიას კი იწვევს არასწორი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა. უწყვეტი კულ-ტივაციის პირობებში, ნიადაგის ორგანული ნივთიერებები განიცდიან შემცირებას, ამიტომ ნიადაგი მით უფრო მეტად განიცდის ეროზიას რაც უფრო დიდხანს ხდება მისი დამუშავება, კონსერვაციის გარეშეა, აგრეთვე ტყეების გაჩეხვა, ურბანიზაცია და ა.შ. მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 60%-ს დეგრადაცია ემუქრება.

ნიადაგის ეროზიული მდგომარეობის კვალიფიციურ შეფასებას და საჭირო ღონისძიებების დროულად გატარების

უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის, საჭიროა მოხდეს ნიადაგზე ეროზიული პროცესების მონიტორინგი, მისი გაღრმავების და შემლებისდაგვარად აღმოფხვრის მიზნით.

საქართველო ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს და ოდითგან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა. შავიზღვისპირა მდებარეობა კი მას დიდ უპირატესობას ანიჭებს სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. საქართველო იმ უძველეს გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც აკავშირებდა და აკავშირებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს. სწორედ საქართველოზე გადიოდა ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალი – ძველი აბრეშუმის გზა.

საქართველო მდებარეობს ჩრდილო განედის $41^0 07^1$ და $43^0 35^1$ და აღმოსავლეთ განედის $40^0 04^1$ და $46^0 44^1$-ს შორის. საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი აფხაზეთში, მდინარე ფსოუს ნაპირზე, სოფელი აიბგასთანაა, სამხრეთი – მთა ოკუზდაღთან (სომხეთის საზღვართან), დასავლეთი – დაბა ლესელიძესთან (მდინარე ფსოუს შესართავი), აღმოსავლეთი – მდინარეების აგრიჩაისა და ალაზნის შეერთების ადგილზეა. საქართველოს ტერიტორია ისტორიული დროის განმავლობაში იცვლებოდა. ამჟამად კი 69700 კვ. კმ-ია. იგი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ – შავი ზღვის ნაპირებიდან თითქმის მინგეჩაურის წყალსაცავამდეა გადაჭიმული, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ კი შედარებით ვიწროა. ტერიტორიის მაქსიმალური განფენილობა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 613 კმ-ია. მერიდიანის გასწვრივ, ჩრდილოეთ და სამხრეთ წერტილებს შორის მანძილი კი 275 კმ-ს შეადგენს, საქართველოს საზღვრების საერთო სიგრძე 1970 კმ-ია, აქედან, სახმელეთოა 1660 კმ საზღვაო კი – 310 კმ. საქართველოს ესაზღვრება რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი.

საქართველოს ტერიტორია მისი გეოგრაფიული პირობების გამო იყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. საქართველო უდიდესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა. ძვ. წ. VI საუკუნეში საქართველოს

ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ორი გაერთიანება: აღმოსავლეთ საქართველოში – ქართლის, იგივე იბერიის სამეფო და დასავლეთ საქართველოში – ეგრისი, იგივე კოლხეთის სამეფო. საქართველოს სამეფოები X-XI სს-ის მიჯნაზე გაერთიანდა ხოლო XI-XII სს-ში, დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის ხანაში, ეს პროცესი ძლიერი, ერთიანი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა. იმდროინდელი საქართველოს ტერიტორია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე (დერბენდი) იყო გადაჭიმული. საქართველო ისეთ ძლიერ და განვითარებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა რომ, იმ დროს კავკასიის თითქმის მთლიანი ტერიტორია საქართველოს მეფის მორჩილებისა და მფარველობის ქვეშ მოიაზრებოდა. საქართველო (თავისი ისტორიის მანძილზე) ურიცხვი მტრების წინააღმდეგ ბრძოლების ფონზე, მიუხედავად ტერიტორიული დანაკარგებისა, ძირითადად მაინც ინარჩუნებდა, საცხოვრებელ მიწებსა და ტერიტორიებს. ჩვენი ქართული მიწა მართლაც სისხლით არის მორწყული. ქართველისთვის მიწას საკრალური მნიშვნელობა ქონდა ყოველთვის. ქართულ ენაში, რომელსაც იოანე ზოსიმე ღმერთების ენას უწოდებდა გვაქვს ამის გამომხატველი სიტყვები – "დედამიწა", "დედაბუნება". მიწა – ჩვენი არსებობისა და სიცოცხლის წყარო.

საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ისტორია ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იწყება. საქართველოს შესახებ ერთერთ პირველ გეოგრაფიულ შრომად ითვლება ბერძენი ისტორიკოსის და გეოგრაფის, ჰეკატე მილეტელის (ძვ.წ.VI-V სს) ნაშრომი "მიწის აღწერა", სადაც იგი მოიხსენიებს, კავკასიონს, შავ ზღვას, კოლხებს. საქართველოს შესახებ ასევე მინიშვნელოვანი გეოგრაფიული ინფორმაცია გვხვდება ძველი ბერძენი მეცნიერების შრომებში, როგორებიც იყვნენ: ჰიპოკრატე, (ძვ.წ. V-IV სს, "ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ) ქსენოფონტე, ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს, "ისტორია"), აპოლონ როდოსელი (ძვ.წ. III ს, "არგონავტიკა"), სტრაბონი (ძვ.წ. II - ახ.წ. III სს, "გეოგრაფია") და სხვა შუა საუკუნეების მეცნიერთა და მოგზაურთა შორის, საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა, იტალიელი მოგზური მარკო პოლო.

საქართველოს რელიეფი მრავალფეროვანია, რელიეფის ჩამოყალიბება, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალი მილიონი წლის განმავლობაში ხდებოდა და ახლაც გრძელდება. საქართველო მთიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის საშ. სიმაღლე ზღვის დონედან 1230 მეტრია. საქართველოს ტერიტორიაზე მთებს უჭირავს მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი – 54%, გორაკ-ბორცვებსა და მთისწინებს – 33%, ხოლო დაბლობები 13%-ია. საქართველოს მთიანი რელიეფი აგრარული სფეროს განვითარებისთვის, სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს.

საქართველოს მთიანი რელიეფი, ფერდობების დახრილობის გამო, გრავიტაციული პროცესების მნიშვნელოვანი აქტივობით ხასიათდება, ამ მხრივ დიდ ხიფათს ქმნის თოვლის ზვავები, მეწყურები, ღვარცოფები და სხვა. მათი რეგულირების მიზნით საჭიროა საპროგნოზო ღონისძიებები.

საქართველოს მთელი სივრცე 3 ტიპის ფართობისაგან შედგება: 1) ბუნებრივ-სამეურნეო ფართობს უკავია – 64,9%; 2) სამიწათმოქმედო ფართობს – 18,1%; 3) გამოუსადეგარი ფართობია – 17%.

საქართველოში ხშირია ბუნებრივი სტიქიური მოვლენები. აქ ვლინდება მეწყერები, ღვარცოფები, ზვავები, კლდეზვავები, ეროზიის სხვადასხვა სახეები და სხვა ჩვენი ქვეყნის ტერიტორია 7-9 ბალიანი მიწისძვრების რისკის ზონაშია მოქცეული. 1991 წლის რაჭა-იმერეთისა და შიდა ქართლის მიწისძვრების შედეგად დაინგრა საცხოვრებელი სახლები, სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობები. საქართველოში აქტიური სეისმური ადგილებია – ახალქალაქის მარტვილის, ყაზბეგის, ახმეტის მუნიციპალიტეტების მიდამოები, ენგურის ხეობა და სხვ.

საქართველოში მეწყერსაშიში რეგიონებია: რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, სვანეთი, იმერეთი, მთიულეთი და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული მეწყრული ტერიტორიების საერთო ფართობი 1,5 მლნ ჰა-ს აღემატება. დამეწყვრასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა, მთის კალთების გატყიანება, აგრეთვე მიწისქვეშა წყლების დრენაჟის მოწყობა და სხვა. საქართველოში ეროზიის შედეგად ყოველწლიურად ნადგურდება ათასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ირეცხება

ასეულობით ტონა ნიადაგი. წყალუხვ მდინარეებს – რაიონის, კოდორს, ბზავს, ჭოროხს, ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ტონა მაღალნაყოფიერი ნიადაგი ზღვაში შეაქვთ. ქვეყნის მცირემიწიანობის პირობებში კი ნიადაგის დაცვას, ეროზიასთან ბრძოლას და მიწის თითოეული გოჯის გაფრთხილებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრარული სფეროს განვითარებისათვის, ვინაიდან საქართველო მთიანი ქვეყანაა, მისი რელიეფი დანაწევრებულია რის გამოც მისი სასოფლო-სამეურნეო გამოყენება შეზღუდულია. მაღალ მთიანეთში 2000-3000 მ-ზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები თითქმის არსად გვხვდება, საქართველოს მთათაშორისი ბარის რელიეფი სამეურნეო საქმიანობისათვის ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება. აქ დამუშავებისათვის ვარგისი მიწები მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევა, ბარის ზონაში ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 85%.

საქართველოს მიწის რესურსების ტერიტორიული განაწილება ექვემდებარება ვერტიკალური ზონალობის კანონს (პრინციპი), ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით გამოიყოფა 6 ზონა.

I. ზონა (ზდ 200 მ-მდე) – უმნიშვნელო დახრილობა (5^0 – 10^0-მდე); სუპტროპიკული ზონა ინტენსიური სოფლის მეურნეობა; მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე.

II ზონა (ზდ 500 მ-მდე) – ფერდობების სუსტი დახრილობა (15^0-მდე); ინტენსიური სოფლის მეურნეობა მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე.

III ზონა (ზდ 1000 მეტრამდე) – ფერდობების დახრილობა (20^0-მდე); სასოფლო სამეურნეო წარმოება, სამეურნეო ობიექტი.

IV ზონა (ზდ 2000 მეტრამდე) – ფერდობების დახრილობა (20^0 – 30^0-მდე); მიწის მცირე სავარგულები ტყის რესურსები სათიბ-საძოვრები, მემინდვრეობა, მეხილეობა.

V ზონა (ზდ 3000 მეტრამდე) – ფერდობების დახრილობა (30^0 – 40^0-მდე) მთის საძოვრები და სათიბები.

VI ზონა (ზდ 3000 მეტრზე მაღლა) – ფერდობების დახრილობა (40^0 მეტი); მიწათმოქმედებისთვის გამოუყენებელი ფართობები.

საქართველოს ტერიტორიაზე ნაირგვარი ბუნებრივი ლანდშაფტია: მთელის მწვერვალები, ღრმა ხეობები, გაუვალი ტყის მასივები, ნახევარუდაბნო, გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტები და სხვ. ჩვენს ქვეყანაში ლანდშაფტების მთელი მოზაიკაა წარმოდგენილი, ამიტომაცაა საქართველო ასეთი წარმტაცი და მიმზიდველი ქვეყანა, რამაც ტურიზმის აყვავებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ჩვენს ქვეყანაში სულ 11 ძირითადი ბუნებრივი ლანდშაფტია. ბუნებრივი ლანდშაფტების გვერდით არსებობს ბუნებრივ-ანთროპოგენური და ანთროპოგენური ლანდშაფტები. რთულ და მეტად დანაწევრებული რელიეფის გამო, საქართველო ლანდშაფტური მრავალფეროვნების მიხედვით ერთ-ერთი პირველია ევროპაში (10 000 კვ. კმ-ზე გაანგარიშებით).

საქართველოს მიწის რესურსები ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერებით, ბუნებრივად ნაყოფიერი მიწა კი ყველა ქვეყნისთვის ნამდვილად ბუნების საჩუქარია. კარგად ვიცით ქვეყნები (ისრაელი, ჰოლანდია და ა.შ.) რომელთა მიწაც არაა ბუნებრივად ნაყოფიერი და რამდენ ძალისხმევას ხარჯავენ მისი პროდუქტიულობის მისაღწევად. მთიანი რელიეფის გამო საქართველოში სავარგულების ათვისების მდგომარეობა ვერტიკალური ზონალობის პრინციპს (კანონს) ექვემდებარება რის გამოც ბარში ათვისებული ტერიტორიების მასშტაბები უფრო დიდია ვიდრე მთიანეთში. მთიან რეგიონებში გართულებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება და ხშირად იძულებულნი არიან ისარგებლონ მხოლოდ ცოცხალი გამწევი ძალით (ხარი, კამეჩი). რელიეფის გამო სავარგულები წვრილკონტურებიანია, მთაში ცოტაა 1 ჰა ფართობის ნაკვეთები, "სავარგული" ეწოდება, ყველა იმ ფართობს, რომელიც ამა თუ იმ სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება, სავარგული შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო და საერთოდ სამეურნეო მიწა. ამრიგად სავარგული ნიშნავს დამუშავება-გამოყენებისთვის ვარგის და სარგებლობის მომტან მიწას, მიწის სავარგულები მუდმივ ცვლილებებს განიცდის, სავარგულების კლასიფიკაცია შემდეგია: 1. სახნავი მიწები (მინდვრის სახნავი, კორდი, ყარისი); 2. სათიბი ფართობები (მშრალი, დაჭე-

სებული); 3. საძოვარი მიწები (ველის, მთის); 4. მიწები სპეციალური სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისთვის; 5. ტყეები და ბუჩქნარები; 6. მიწები შენობა-ნაგებობების ქვეშ; 7. მიწები, რომლებიც არ არიან გამოყენებული სოფლის მეურნეობაში (მდინარეები, ტბები, ჭაობები, სილნარები, ქვიშიანი და სალკლდოვანი ადგილები, ბიცობი, ქუჩები).

საქართველოში ფუნქციონირებდა სახელმწიფო მიწის მართვის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის მიწის ფონდის აღრიცხვისა და მიწის ბალანსის შედგენას, ეს დეპარტამენტი რატომღაც გაუქმდა 2004 წელს. ამჟამად არ გაგვაჩნია ზუსტი აღრიცხვა სავარგულების ტრანსფორმაციის შესახებ, აგრეთვე რამდენია სახნავი, სათიბი, საძოვარი, ეროზირებული, დაჭაობებული, დამლაშებული მიწის ფართობები. წინა მთავრობის დროს აგრარული სექტორი, სოფლის-მეურნეობა არამომგებიან სფეროდ იყო მიჩნეული მთელი აქცენტი კეთდებოდა ტურიზმზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ გაიარა ბნელი 90-იანი წლები. სამოქალაქო ომი, უგაზობა, უშუქობა, სურსათის დეფიციტი. ინტენსიურად იჩეხებოდა ხეები, რომელსაც ადამიანები შეშად იყენებდნენ. დაზარალდა საქართველოს ტყის ფონდი. ტყეები ძვირფასი და შეუცვლელი ბუნებრივი რესურსია, იგი პირდაპირ კავშირშია ნიადაგთწარმომქმნელ პროცესებთან. ერთ ხეს შეუძლია 3 ადამიანის ჟანგბადით უზრუნველყოფა. ტყე ნიშნავს მეტ ჟანგბადს, მეტ სიცოცხლეს, ფლორასა და ფაუნის გადარჩენასა და ნაყოფიერი ნიადაგის შენარჩუნებას, ნაკლებ მეწყერებს, ღვარცოფებს, ზვავებს, ნაკლებად დაბინძურებულ გრუნტის წლებს და ა.შ. საქართველოს ტყის ფონდი 2 მლნ 980 ათას ჰა-ს შეადგენს, რაც ჩვენი ქვეყნის საერთო ტერიტორიის თითქმის 43%-ია, ტყიანობის კოეფიციენტი კი 39,5%-იმა, 1999 წელს მიღებული იქნა "საქართველოს ტყის კოდექსი", რომელიც არეგულირებს ტყის რესურსების გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ამ კოდექსით დაშვებული იყო მოკლევადიანი (1 წლამდე) და ხანგრძლივადიანი (20 წლამდე) ტყითსარგებლობა. საქართველოს ტყის კოდექსის გარდა ტყითსარგებლობის კერძოდ ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა მოიცავდა

რამდენიმე კანონს, პრეზიდენტის ბრძანებებს, მთავრობის დადგენილებებს, მინისტრის ბრძანებებს და სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გაცემულ ბრძანებებს. პრაქტიკამ აჩვენა მთელი რიგი ხარვეზები და ნაკლოვანებები ტყით სარგებლობის სფეროში, ახლანდელი ხელისუფლების მოსვლამდე წინა მთავრობის დროს საქართველოს უნიკალური ტყის ეკოსისტემა აღიქმებოდა, როგორც მხოლოდ მერქნული რესურსების მიღების წყარო და აქცენტი მისი გრძელვადიანი (49 წლიანი) არენდით გაცემაზე კეთდებოდა, შემდგომში მისი ყოველგვარი დაცვისა და შენარჩუნების ინსტიტუციური გარანტიების გარეშე, რაც სრული განადგურების ტოლფასი და დაუშვებელი იყო. ტყის მასივები უკონტროლოდ ნადგურდებოდა და საზღვარგარეთ მორებად იყიდებოდა. ამჟამად მერქანის გადამამუშავებელი მრეწველობა თითქმის გაჩერებულია.

წელს საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ტყის კოდექსში. კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უფლება მიეცა, რომ მის ირგვლივ მდებარე 20 ჰექტარი ტყის ფართობი საკუთრებაში დაარეგისტრიროს, მოუაროს და გაუფრთხილდეს ამ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს.

ნიადაგს დიდ ზიანს აყენებს მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების არაგეგმაზომიერი გამოყენება, სამრეწველო, მყარი ნარჩენები, გადამეტებული ძოვება (გადაძოვება), დატკეპნა და სხვა. მაგრამ შხამქიმიკატების ინტენსიური გამოყენება ყველაზე მეტად ფიტავს ნიადაგს, ახდენს მის სწრაფ დეგრადაციასა და ეროზიას. ნიადაგის დაცვის ღონისძიებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ფერდობების დატერასება, გატყიანება, ბიოსასუქების გამოყენება, მიწის კონსერვაცია. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ვაკე ტერიტორიები წარმოუდგენელი ნიადაგები თვისობრივად მეტად განსხვავებულია. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ზომიერად მშრალი და მშრალი ჰავის პირობებში ჩამოყალიბებულია მშრალი ვალებისა და ნახევარუდაბნოებისათვის დამახასიათებელი ყავისფერი, შავმიწა, რუხი და დამლაშებული ნიადაგები. დასავლეთ საქართველოს ვაკე-

დაბლობებისა და გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთის ზონაში წარმოდგენილია ჭაობის, სუბტროპიკული, ეწერი, ალუვიური, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები. საქართველოში გავრცელებული ნიადაგებიდან გამოვყოფთ ძირითად ტიპებს: 1) მთა-მდელოსკორდიანი, კორდიან-ტორფიანი და პრიმიტიული ნიადაგები; 2) სამხრეთ მთიანეთის შავმიწისებრი და კორდიანი მთა-მდელოს ნიადაგები; 3) ყომრალი ნიადაგები; 4) ტყის ყავისფერი ნიადაგები; 5) სხვადასხვა ქანებზე განვითარებული კორდიან-კარბონატული ნიადაგები; 6) გამოფიტული და კარბონატული მთის შავმიწები; 7) მცირე და საშუალო სისქის შავმიწები; 8) რუხი ყავისფერი ნიადაგები, დამლაშებული ნიადაგები კომპლექსით; 9) წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები; 10) ეწერი და ეწერ-ლებიანი ნიადაგები; 12) ნეშომპალა-სულფატური (გაჯიანი) ბიცობიანი და დამლაშებული ნიადაგები; 12) ჭაობის ნიადაგები; 13) ალუვიური კარბონატული და უკარბონატო ნიადაგები; 14) აღმოსავლეთ საქართველოს მდელოს კარბონატული ნიადაგები; 15) სუსტად განვითარებული მცირე სისქის სხვადასხვა ტიპის პრიმიტიული ნიადაგი.

ახლანდელმა მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა. 2012 წლიდან მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტით გლეხებმა 306 მლნ ლარის დახმარება მიიღეს. კერძოდ: დამუშავდა 600 ათას ჰექტარზე მეტი მიწა; გლეხების უსასყიდლოდ დაურიგდათ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და მცენარეთა მოვლის საშუალებები; ამოქმედდა აგროდაზღვევის პროგრამა; პროგრამის "დანერგე მომავალი" ფარგლებში უკვე გაშენებულია 610 ჰა მრავალწლიანი ინტენსიური ტიპის თანამედროვე ბაღები. შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი პროგრამები, მეფუტკრეობის მხარდაჭერა, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, ვაშლისა და მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობა, თხილის წარმოების განვითარება, დასავლეთ საქართველოში მიუხედავად პანდემიისა, წელს ზაფხულში აღინიშნა ახალი დღესასწაული "თხილობა". სახელმწიფოს დახმარებით შეიქმნა 1225 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, დაზღვეულია 190 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სხვადასხვა კულტურა

და 23132 ჰა-მდე მიწის ფართობი; სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაფინანსდა 139 ახალი საწარმო; აქედან: შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი – 123 საწარმო, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამმუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი – 11 საწარმო; პროგრამა "აწარმოე საქართველოში" – 5 საწარმო. სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაფართოვდა და გადაიარაღდა 665 საწარმო, სადაც დასაქმებულია 10 000-მდე ადამიანი. განხორციელდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 107 სარეაბილიტაციო პროექტი, რაც სოფლის მეურნეობისთვის მეტად საჭირბოროტო საკითხია მთავრობამ მიიღო აგრეთვე ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი და მამულიშვილური კანონი, როგორიცაა კანონი "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ". კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს. ამ კანონის თანახმად მაღალმთიანი მოსახლეობა სარგებლობს დამატებითი სოციალური და საგადასახადო შეღავათებით, კერძოდ: დაბადებული პირველ და მეორე ბავშვზე 1 წლის განმავლობაში ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარი, მესამე და შემდგომ ბავშვზე 2 წლის განმავლობაში 200 ლარი; მასწავლებლებს დაუწესდათ სახელფასო დანამატი არანაკლებ 35%-ის ოდენობით, სპეციალური რეგიონალური პროგრამების მონაწილე მასწავლებლებს დაუწესდათ დამატებითი ანაზღაურება ხელფასის არანაკლებ 50-ის ოდენობით; სახელმწიფო პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებ პირებს დაუწესდათ 20%-იანი დანამატი; დაწესდა ყოველთვიური დანამატი ექიმებისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ხოლო ექთნებისთვის – პენსიის ოდენობით; მოსახლეობა ზამთრის პერიოდში უზრუნველყოფილია გათბობით; ანაზღაურდება ელექტროენერგიის ხარჯების 50%; მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები, რომელთა შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდებიან; მეწარმე ფიზიკური პირები და საწარმოები თავისუფლდებიან საშემოსავლო, ქონებისა და მოგების გადასახადებისაგან 10 წლის ვადით; მიწის გადასახადი თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან.

კანონი "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ"

ხელს უწყობს აღნიშნულ რეგიონებში მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას და ამ რეგიონებიდან წასული მოსახლეობის დაბრუნების მამაპაპისეულ კარმიდამოში, სამწუხაროდ გვაქვს მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლები. თითო და 2-3 კომლიანი სოფლები. მიტოვებული სოფელი კი ნიშნავს მიტოვებული კარ-მიდამოს, მიტოვებულ მიწას, მიტოვებულ სოფლის-მეურნეობას., მთიან რეგიონებში რელიეფიდან გამომდინარე ისედაც ჭირს მიწის დამუშავება და მთავრობის მიერ ამოქმედებული ეს კანონი პირდაპირ ბმაშია სოფლის-მეურნეობისა და აგრარული სფეროს განვითარებასთან, საჭიროა კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობა და დახმარება მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მეურნეებისთვის, მათი წახალისება და საჭიროებების გათვალისწინება.

ტერმინი "სასურსათო უსაფრთხოება" საერთაშორისო პრაქტიკაში შემოღებულია XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მარცვლეულის ღრმა კრიზისის შემდეგ. მსოფლიო სასურსათო ორგანიზაცია (FAO) წინა საუკუნის 80-იან წლებში თვლიდა, რომ თუკი არ მოხდა სურსათის წარმოებასა და ნიადაგის ნაყოფიერებაში ტექნოლოგიური გარღვევა, XXI საუკუნის პირველივე ნახევარში უკვე შეიძლება დაიწყოს უმწვავესი სასურსათო კრიზისი FAO-ს მონაცემებით მოსახლეობა 2030 წლისთვის მიაღწევს 10 მილიარდს, მარცვლეულის დეფიციტი კი 2030 წლისთვის იქნება 526 მლნ ტონა, სამწუხაროდ ჩვენი ქვეყანა, თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ხორბლის იმპორტზე, მაშინ როდესაც საქართველო ოდითგან ხორბლისა და ღვინის ქვეყნად იყო აღიარებული და გვაქვს მსოფლიოში უნიკალური ხორბლის ჯიშები. საქართველო საჭირო ხორბლის თითქმის 92% იღებს რუსეთისგან. ამ გლობალური პანდემიის დროს რუსეთმა ხორბლისა და სხვა მარცვლეულის ექსპორტი სრულიად შეაჩერა 1 ივლისამდე. პანდემიიდან გამოწვეული პირველი ჩაკეტვის (ლიფდაუნის) დროს კი ქონდა ქვეყანას მარაგები, მაგრამ მაინც დაიწყო ალტერნატიული ბაზრის ძიება. თუ რუსეთმა ხორბალი არ მოგვაწოდა აღარ გვექნება "პური ჩვენი არსობისა". პანდემიის დასაწყისშივე ნავთობ-პროდუქტებზე ფასები შემცირდა, მაგრამ მოთხოვნა და ფასები გაიზარდა სასურსათო პროდუქტებზე. ჩვენი ბაზარი გაჯერე-

ბულია იმპორტული გენმოდიფიცირებული პროდუქტებით. დღეს მოხმარებული სასურსათო პროდუქციის 70%-ზე მეტი იმპორტულია, რაც დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. საქართველოს ძალიან ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები აქვს, ბუნებრივად ნაყოფიერია ჩვენი მიწა, უხმოსავლიანი, მაგრამ ქვეყანა სათანადოდ ვერ იყენებს იმ ბუნებაზე რესურსს რომელიც გააჩნია. სამი, ათეული წლის მანძილზე ქვეყანას შეეძლო სოფლის-მეურნეობის ისე განვითარება და აღორძინება, რომ აგრარული ქვეყანა გამხდარიყო, ისე როგორც ეს მოახერხა ისრაელმა, ქვეყანამ რომელმაც მწირი და ნახევრად უდაბნო მიწა წალკოტად გადააქცია. მიუხედავად იმისა რომ ჩვენ პატარა, განვითარებადი "პოსტსაბჭოთა" ქვეყანა ვართ, ქვეყანამ მაინც შეძლო ტურისტული ინდუსტრიის განვითარება. მაქსიმალურად გამოიყენა ის ბუნებრივი რესურსები, (როგორიცაა გეოგრაფიული მდებარეობა, მრავალფესვიანი ლანდშაფტი, უძველესი ისტორია, კულტურა, და ა.შ.) რომელიც გააჩნია, რასაც ვერ ვიტყოდით აგრარულ სფეროს აღორძინება-განვითარებაზე. ამჟამად გლობალური პანდემიის პირობებში მსოფლიო ტურისტული ინდუსტრია ჩამოიშალა. ტურიზმი ჯერ-ჯერობით განადგურებულია, ტურიზმის პარალელურად ქვეყანას წლების მანძილზე აგრარული სფეროს განვითარებისთვისაც იმდენივე ბერკეტები და ძალისხმევა რომ გამოეყენებინა რაც ტურიზმს მოახმარა, ახლა ეს სფერო მაინც დაგვრჩებოდა ჩვენი ეკონომიკის წამყვან დარგად. მიწის რესურსები, სოფლის - მეურნეობა, სურსათით უზრუნველყოფა ყველა, განვითარებული და განუვითარებელი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ქვეყანამ რატომღაც მიივიწყა ეს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფერო სოფლის-მეურნეობა, მიწა. თავისუფლება, დემოკრატია, უცხოეთის განვითარებული ქვეყნების ცხოვრების ნახვამ ადამიანები რაღაც ეიფორიაში ჩააგდო. მიწაზე მუშაობა "მიწის ჩიჩქნა" უკვე რაღაც არაპრესტიჟული, სათაკილო საქმიანობად აღიქმებოდა. ბევრმა დატოვა სოფელი და ქალაქს მიაშურა სამუშაოს საძებნელად. ბევრმა კი ქვეყანაც დატოვა და სამუშაოდ უცხოეთში გადაიხვეწა. ფასეულობები და

ღირებულებები დროსთან ერთად იცვლება, პანდემიამ ბევრი პრობლემა ამოიტანა ზედაპირზე. ხდება ბევრი შეხედულების და ღირებულების გადაფასება. ამ მძიმე პანდემიური კრიზის დროს 10000-ზე მეტი ჩვენი ემიგრანტი დაუბრუნდა სამშობლოს, ჩვენი ადამიანური რესურსი, ჩვენვე გვიბრუნდება. სოფლიდან ჩამოსულებიც დაუბრუნდნენ სოფელს და ქალაქში მცხოვრები ბევრი ადამიანიც ვისაც აქვს სოფელში კარ-მიდამო, გადავიდა იქ საცხოვრებლად. ზოგმა მივიწყებული ნაკვეთი გაიხსენა. ზოგიერთმა კი ახლა შეიძინა მიწის ნაკვეთი, ან კარ-მიდამო. ამ ადამიანებმა თავისი ინიციატივით დაიწყეს მიწაზე მუშაობა, ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა თვითუზრუნველყოფილი "გაიხსენეს" რომ ბუნების შვილები არიან. ასეთი ფრთიანი გამონათქვამიც კი გაჩნდა ერთ-ერთ რეგიონში "ისეთი ადამიანები ჩამოვიდნენ სოფელში, მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულები რომ გვეგონაო". ადამიანებმა დააფასეს მიწა და სოფელი. თავიდან სწავლობენ მიწის სიყვარულს. მიწა ცოცხალი სხეულია, რასაც დასთესს იმასვე მოიმკი. ამ მთავრობის მიერ (ხელისუფლებაში მოსვლისთანავე) სოფლის-მეურნეობის მხარდასაჭერად გატარებულ ღონისძიებებს, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ინდიფერენტულად შეხვდა. წინა მთავრობების დროს ამ სფეროს მიმართ უყურადღებო დამოკიდებულებამ სოფლის-მეურნეობის არა-მომგებიან სფეროდ გამოაცხადებამ, ადამიანებს ჩაუხშო ენთუზიაზმი. ყველას კარგად ახსოვდა როდესაც გლეხებს მოუწოდებდნენ ვენახის აჩეხვას და მის მაგივრად საზამთროს მოყვანას, იჩეხებოდა ტყეები და იყიდებოდა საზღვარგარეთ მერქანი, მიწის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვი-დაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამიწათმოქმედო ინსტიტუტი და ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევის და სხვა მიმდინარე სამუშაოები. შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება. დღემდე არაა ზუსტად აღრიცხული რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარ-გული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში და რამდენი სახელმწიფო საკუთრებაში, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების, აგრეთვე სარგებლიანობის მიხედვით რამდენია, მთელი ქვეყნის

მასშტაბით.

წინა მთავრობის დროს უცხოელებზე დიდი რაოდენობით მიწის ფართობების გასხვისება უკვე შეჩერებულია. ჩვენისთანა პატარა ქვეყნები არამცთუ უცხოელებზე, საკუთარ მოქალაქეებზეც კი არ ყიდიან მიწას (მაგ.: ისრაელი ეს სფერო სახელმწიფოს მხრიდან უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა, FAO-ს განცხადებით იაფი საკუთრების ეპოქა დასრულდა. ამიტომ მიწის რესურსების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა რომ ჩვენი ქვეყანა ჰიდრორესურსებით მდიდარია, ირიგაციის საკითხი დღემდე პრობლემად რჩება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიშალა საირიგაციო სისტემა. დღემდე გვაქვს სოფლები სადაც არამცთუ სარწყავი, სასმელი წყალიც კი პრობლემაა. ადამიანები ხელით ეზიდებიან სასმელ წყალს, ან გრაფიკით მიეწოდებათ. გასარწყავიანება განსაკუთრებით დიდ პრობლემას წარმოადგენს მთიან რეგიონებში, რელიეფის გამო. სოფლის-მეურნეობის განვითარება კი მოუგვარებელი სარწყავი სისტემის გარეშე შეუძლებელია. სარწყავი მიწათმოქმედების ისტორია 7000 წელს ითვლის, თუმცა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე სარწყავი ფართობები მსოფლიოში 25-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით დიდია სარწყავი მიწის ხვედრითი წილი ისეთ დიდ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, აშშ, ინდოეთი. ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი რელიეფისა და ლანდშაფტიდან გამომდინარე ზოგი ფართობები გასარწყავიანებას საჭიროებს, ტენიანი ნიადაგებს კი დაშრობა ესაჭიროება, რაც დრენაჟით ან გრუნტის წყლის დაწევით მიიღწევა. უნდა გავითვალისწინოთ რომ როგორც რწყვისას, ისე დაშრობისას მნიშვნელოვნად იცვლება ნიადაგის როგორც სინოტივის, ისე სითბოს მახასიათებლები. გარდა ამისა ნიადაგში თავს იყრის დიდი რაოდენობით მარილები, რაც მის გამკვრივებას და ფიზიკური თვისებების გაუარესებას განაპირობებს. მსოფლიოში სარწყავი მიწის თითქმის ნახევარი უკვე დამლაშებულია, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. ხელისუფლება ზრუნავს მელიორაციული პრობლემების მოგვარებას ა/წ გაზაფხულზე გლეხებს ჩამოეწერათ მელიორაციის ძველი დავალიანება – 1 ჰა-ზე მელიორაციისთვის გადაიხადეს შეღავათიანი ფასი – 75 ლარი

ჩამოიწერა აგრეთვე დრენაჟის საფასური. ირიგაციის პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის დახმარებით, წყლის გარეშე სოფლის-მეურნეობის განვითარება შეუძლებელია.

საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნობილი სარწყავი არხების მშენებლობა და საირიგაციო ტექნიკური საშუალებები, საქართველოში 1921 წლამდე გასარწყავებული იყო 95 000 ჰექტარი მიწის ფართობი, 1950 წელს – 247 000 ჰექტარი, ხოლო 1976 წელს – 370 000 ჰექტარი მიწის ფართობი. საქართველოში მელიორაციის განვითარებას დიდად შეუწყვეს ხელი პროფესორებმა: ი. ჩხენკელმა, ც. მირცხულავამ, მ. გაგოშიძემ და ა. მოწერელიამ. მელიორაციაზე მთავრობამ მნიშვნელოვანი ფინანსები გაიღო. 2012 წლიდან დღემდე 146 000 ჰექტარი მიწის გასარწყავება მოხდა, იყენებენ აგრეთვე წვეთოვან და პოლიტურ სარწყავ სისტემებს. თუმცა გასაკეთებელი ისევ ბევრია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე, ნიადაგის ნაყოფიერებაზე, სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შპს "საქართველოს მელიორაცია" ახორციელებს სარწყავი სისტემების მართვის და სახელმწიფო კონტროლს, აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ღონისძიებები რომელიც მთავრობამ გაატარა პანდემიის პერიოდში ანტიკრიზული გეგმის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად. რეგისტრირებული ნაკვეთების მიხედვით ფერმერთა რაოდენობა 4500-ია. პანდემიის მიუხედავად სასოფლო-სამეურენო სამუშაოები არ შეჩერებულა, თითოეულმა ფერმერმა ვისაც აქვს დარეგისტრირებული მიწა, 1 ჰა-ზე მიიღო სუბსიდირება 200 ლარის ოდენობით, დიზელის საწვავი მიიღეს 1 ლარით ნაკლებ ფასად. ფერმერებს დაურიგდათ აგრობარათები, ლიბერთი ბანკის დახმარებით 1 თვის განმავლობაში მიიღეს სათესლე მასალა, ქიმიკატები, მოეწყობა წვეთოვანი სარწყავი სისტემები, და სადაც არ არის ყოველგან უნდა მოეწყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სარწყავი სისტემა, რაზეც მთავრობა უკვე მუშაობს, მოთხოვნადია ერთწლიანი კულტურები: ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, ფერმერებს შეუძლიათ 5000-დან 10000 ლარამდე უპროცენტო

კრედიტის გამოტანა. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის, აგროდაზღვევა ყველგან რთული პროცესია. 2014 წლიდან დაიწყო აღნიშნული პროექტის განხორციელება და ფერმერებს აქვთ უკვე გამოცდილება აგროდაზღვევასთან დაკავშირებით და აღარ უყურებენ სკეპტიკურად. დაზღვევა 3 წლიანია (სეტყვა, ყინვა, წყალდიდობა და ა.შ.) სოფლის მეურნეობაში გრანტები 50 მილიონი ლარის ოდენობით გაიცა, ამოქმედდა სექტორალური დაფინანსება, კახეთის რეგიონში 320 000 ადამიანია დასაქმებული ისეთ დარგებში როგორიცაა მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა "მართე შენი ქვეყანა" პროექტი წარმატებით მუშაობს. უმნიშვნელოვანესია სასოფლო-სამეურნეო იარაღებით ფერმერთა ხელშეწყობა და სადაც შესაძლებელია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური ტექნიკის გამოყენება.

ბოლო პერიოდში მრავალი განვითარებული ქვეყანა სოფლის მეურნეობაში წარმატებით იყენებს ისეთ ინოვაციას, როგორიცაა ნავიგაციური სისტემებით აღჭურვილი ტექნიკა. ნავიგაცია წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან – navigation (ლათ. navigo – "მივცურავ გემით") საუკუნეების მანძილზე ტერმინი ნავიგაცია ნიშნავდა ზღვაოსნობას, ნაოსნობას, გემის მოძრაობას. XX საუკუნეში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, ნავიგაციის ახალი ობიექტების, საჰაერო და კოსმოსური სიმაღლეების გამოჩენამ, ტერმინს ახალი დატვირთვა შესძინა. ამჟამად ნავიგაცია ზოგიერთი ობიექტით მართვის პროცესია, გადაადგილება განსაზღვრულ სივრცეში, აღნიშნული ტექნოლოგიით აღჭურვილ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (ტრაქტორი, კომბაინი, ნიადაგში სასუქების შესატანი მოწყობილობა და სხვა) სოფლად სამუშაოს შესასრულებლად იყენებს GPS თანამგზავრის სიგნალს, რაც ხელს უწყობს ტექნიკის გამოყენების ეფექტურობის ამაღლებას, აღნიშნული მეთოდით მიწათმოქმედებამ "ზუსტი მიწათმოქმედების" სახელწოდება მიიღო.

სანავიგაციო ტექნოლოგია ეხმარება ფერმერს რომ შესაბამისობაში მოიყვანოს საველე დაგეგმარება, ტრაქტორის მიერ სამუშაოს შესრულების კონტროლი, მოსავლის შეწამვლა. ტექნოლოგია საშუალებას იძლევა პესტიციდებისა და სასუქების

უფრო ზუსტ გამოყენებაზე და აწესებს კონტროლს ქიმიკატების გამოფრქვევაზე. ამგვარად ფერმერებს შეუძლიათ შეამცირონ დანახარჯები და გაზარდონ შემოსავლები. ნავიგაციური სისტემა – ეს არის ალგორითმებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მოვახდინოთ სივრცეში ობიექტის ორიენტაცია.

მექანიზაციის საშუალებებისათვის ტრაექტორიის ზუსტად მიცემის წყალობით, მექანიზატორი უფრო იოლად ასრულებს სამუშაოებს მინდორში და დაუმუშავებელს არ ტოვებს არცერთ მონაკვეთს. ტრაქტორზე სანავიგაციო სისტემის გამოყენებით სრულად შესაძლებელია მექანიზატორმა სანტიმეტრი სიზუსტით მართოს ტექნიკა. დღეისათვის სოფლის მეურნეობამ ნავიგაციური ტექნოლოგიის გამოყენებით დიდ წარმატებას მიაღწია. ბაზარზე სარეალიზაციოდ ფართოდ არის წარმოდგენილი გეზის მაჩვენებლები, მცირე გამწევი ძალის მოწყობილობა, ავტოპოლიტის სისტემები, აგრონავიგატორები და კომპლექსური ნავიგაციური დანადგარები, რომელთა საშუალებით შეიძლება აღვჭურვოთ ტრაქტორი, კომბაინი, მოსასხურებლები, სათესი კომპლექსები და სხვა.

მექანიზაციის აღნიშნული საშუალებები ისეთი ოპერაციების განსახორციელებლად გამოყენება როგორიცაა: თესვა, კულტივირება, დასხურება, სასუქის შეტანა და მოსავლის აღება. ნავიგაციური სისტემის გამოყენებით სამუშაოების შესრულება ღამით და ცუდი ხილვადობის პირობებშიც არის შესაძლებელი. ისრაელმა სანავიგაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სამაგალითო სოფლის მეურნეობის განვითარება შეძლო. სანავიგაციო ტექნოლოგია ძალიან ძვირია, ჩვენში ქვეყანამაც უნდა აუწყოს ფეხი ახალ ტექნოლოგიებს. შეიქმნას ფერმერთა სანავიგაციო საკონსულტაციო ცენტრები, რათა პერსპექტივაში, როცა აგრარული სფერო გაძლიერდება უფრო ადვილად შევძლოთ ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა. საქართველოს ტრადიციული სოფლის მეურნეობის დიდი გამოცდილება გააჩნია. ერთ-ორ დღეში ვერ მოხერხდა აგრარული სფეროს მოდერნიზაცია. "ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია". გენურმა ინჟინერიამ რომელიც ლამის

სენსაციად გადაიქცა მსოფლიოში და მისგან შექმნილმა გენმოდიფიცირებულმა საკვებმა პროდუქტებმა ვერ გადაჭრა სურსათის უსაფრთხოების საკითხი, პირიქით, გენმოდიფიცირებული პროდუქტები დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას და ბევრ მძიმე დაავადებებს იწვევს ორგანიზმში. ამიტომ ადამიანები დაუბრუნდნენ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტებს და მათი ფასიც მსოფლიო ბაზარზე გაძვირდა. სამწუხაროდ ჩვენი ბაზარი გაჯერებულია გენმოდიფიცირებული პროდუქტებით. თანამედროვე მსოფლიოს რატომღაც ჰგონია რომ ტექნოლოგიებით ყველა პრობლემის გადაჭრის და მოაგვარებს, იგი უხეშად ერევა ბუნების კანონზომიერებაში და დიდი ხანია გადაკვეთა წითელი ხაზები. ვეშაპის გენის შეყვანა პომიდორში, ან კენგურუსი საზამთროში არის საშიში ბიოლოგიური მანიპულაციები და ისეთი სახიფათო სიმბიოზი, რომელიც ბუმერანგის პრინციპით ძალიან ცუდად უბრუნდება უკან ადამიანს. ჩვენი საუკუნე ხომ ტექნოლოგიების საუკუნეა. კაცობრიობა ტექნოლოგიების გოდოლს აგებს, გაუცნობიერებლად და დიდი ტემპებით, თუმცა ერთმა პატარა თვალთუხილავმა ვირუსმა რომელიც ბუნების ისეთივე ნაწილია როგორც სხვა ყველაფერი თავდაყირა დააყენა მსოფლიო, თითქმის წელიწადია რაც მთელი პლანეტა კორონას დღის წესრიგით ცხოვრობს. გლობალიზაციის "ახალი მსოფლიო წესრიგი" შეიცვალა "ახალი კორონა წესრიგით", ბუნებამ რევანში აიღო, ომი გამოგვიცხადა, ჩვენგან გაძარცვულმა, ექსპლუატირებულმა და შელახულმა ბუნებამ. ადამიანებმა დიდი ხანია დაივიწყეს მიწის გასანაყორიებელი ბუნებრივი სასუქები. აღარავინ იწუხებს თავს ძროხის ნაკელის შეგროვებით, საყოფაცხოვრებო ნარჩენების (კომპოსტოს) მიწაში შეტანით. უფრო ადვილია მაღაზიაში ქიმიური სასუქების ყიდვა და მათი უკონტროლოდ დიდი რაოდენობით ნიადაგში შეტანა. მოწამლული ნიადაგი კი, მოწამლულ პროდუქტს გვიბრუნებს უკან. "რასაც დასთეს იმას მოიმკი". ცნობილი მეცნიერები ნიადაგთმცოდნეები, გეომორფოლოგები დიდი ხანია ლაპარაკობენ მიწების კონსერვაციაზე, ბიოსასუქების გამოყენებაზე, მიწაზე ანთროპოგენური ზემოქმედების შენე-

ლებაზე, გლობალური დათბობა და გაუდაბნოება გლობალურ პრობლემად არის აღიარებული, მიწა ბუნებრივადაც განიცდის ეროზიას ნასვენ მდგომარეობაში. მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იგი ბუნებრივად თვითონვე აღდგენს ნაყოფიერებას. ცნობილი ამერიკელი პროფესორი გეომორფოლოგი დევიდ მონტგომერი თავის სამეცნიერო ნაშრომში წერს: "ტექნოლოგია უბრალოდ ვერ მოაგვარებს პრობლემას რომელიც გულისხმობს ბუნებრივი რესურსების წარმოქმნასთან შედარებით, მის უფრო სწრაფ მოხმარებას, ერთ დღეს ჩვენ ამოვწურავთ მას, უფრო მეტიც გლობალიზაციის პირობებში ურთიერთდაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკა და მზარდი მოსახლეობა, ნიადაგის მართვას უფრო მნიშვნელოვანს ხდის ახლა, ვიდრე კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ დროს. ძირითადი ბუნებრივი რესურსებისთვის ეკონომიკური, პოლიტიკური, ან სამხედრო ხასიათის ბრძოლები ერთმანეთთან დააპირისპირებს ჩვენს შთამომავლებს, თუ ჩვენ უფრო გონივრულად არ ვმართავთ ნიადაგს, საზოგადოებები რომლებიც უახლოვდებიან მათ ეკოლოგიურ ლიმიტს ძალიან ხშირად იმყოფებიან ზეწოლას ქვეშ, რომ დაუყოვნებლივ მაქსიმალურად გაზარდონ მოსავლიანობა მოსახლეობის გამოსაკვებად და ამის გამო უგულებელყოფენ ნიადაგის კონსერვაციას". როგორც წესი 3 ელემენტის აზოტის, კალიუმისა და ფოსფორის ნაკლებობა იწვევს მცენარეთა ზრდის შეფერხებას და გავლენას ახდენს მთლიანად ეკოსისტემის ნაყოფიერებაზე, ნიადაგი არეგულირებს ელემენტების გადაცემას, დედამიწის სიღრმიდან გარემომცველ ატმოსფეროში. მდიდარი ნიადაგი არსი მრავალი მიკროორგანიზმის თავშესაფარი, ნიადაგში მცხოვრები ორგანიზმები უზრუნველყოფენ ხმელეთის ეკოსისტემების მრავალფეროვნებას. ნიადაგის წარმოქმნას ხელს უწყობს ფიზიკური და ქიმიური პროცესების შთამბეჭდავი მრავალფეროვნება. ტერმიტებისა და ჭიანჭველების მსგავსი მთხრელი, მღრღნელი ცხოველები ნიადაგში ურევენ დაშლილ ქანებს. ის თუ რამდენად სწრაფად მიმდინარეობს ნიადაგის წარმოქმნა, დამოკიდებულია გარემო პირობებზე. აშშ-ს ბერკლის პროფესორმა ჰ. ჯენიმ განსაზღვრა 5 ძირითადი ფაქტორი, რაც წარმართავს ნიადაგის ჩამო-

ყალიბებას ესენია: 1) ძირითადი ქანები, 2) კლიმატი, 3) ორგანიზმები, 4) ტოპოგრაფია, და 5) დრო. იგივეს ფიქრობდა ... დოკუჩაევი, ადამიანს ჯერ კიდევ არ აქვს აღწერილი ბუნებრივი ნიადაგის მკვიდრი, ყველა სახეობა. ნიადაგის ხვნამ შესაძლოა მოკლას დიდი ზომის ორგანიზმები და შეამციროს ჭიაყელების რაოდენობა, პესტიციდებმა გაანადგუროს მიკრო-ბები და მიკროფაუნა, დიდმა ინგლისელმა მეცნიერმა ჩარლზ დარვინმა რომელიც წლების განმავლობაში სწავლობდა ამ საკითხს, თავისი საბოლოო ნაშრომით საფუძველი ჩაუყარა ნიადაგზე თანამედროვე წარმოდგენის ჩამოყალიბებას რომლის მიხედვითაც ნიადაგი დედამიწის კანია. დარვინი ჭიაყელებს ბუნებრივ მებოსტნეებად მიიჩნევდა. ასევე ტყეების არსებობა ხელს უწყობს ორგანულად მდიდარი ნიადაგის წარმოქმნას, ფოთლების ლპობის შედეგი, ბუნებრივი ნაკელი, პარკოსნები, სამყურა ყოველთვის გამოიყენებოდა მიწის გასანოყიერებლად. სამყურა გამოიყენებოდა მინდვრის განახლებისათვის და მაღალი მოსავლიანობის აღდგენის მიზნით, სამყურა ზრდის ნიადაგში აზოტის შემცველობას. ამიტომ ორგანულ სასუქებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კულ-ტურების მოსავლიანობის გადიდებაში. ორგანული სასუქების დადებითი მოქმედება ნიადაგის ნაყოფიერებაზე აიხსნება მასში აზოტის, ფოსფორის, კალიუმისა და ორგანული ნივთიერებების შემცველებად, აგრეთვე მიწათმოქმედებისათვის სასარგებლო მრავალრიცხოვანი მიკროორგანიზმების არსებობით. ასევე ორგანულ სასუქებს მიეკუთვნება: ნაკელი, წუნწუხი, ფრინ-ველის ექსკრამენტები, ტორფი, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, მწვანე სასუქები, კომპოსტი, ჩამოცვენილი ფოთლები. შესაძლებელია ნებისმიერი ორგანული მასალის კომპოსტირება, სახლისა თუ ბაღის ორგანული ნარჩენების, რომლებიც ძალიან ხშირად ნაგვის ურნაში იყრება ან იწვება. გარდა ამისა ბუმბულის ბეწვი, მატყლის ნარჩენები, სამზარეულოს ნარჩენები – კარტოფილის, ვაშლის, კიტრის ნაფცქვენი, ნაცარი, ჩალა, ნამჯა, ხის ქერქი, კვერცხის ნაჭუჭი, ამოძირკვული სარეველების კომპოსტირება. იონჯასა და სამყურას, პარკოსნების ნიადაგში ჩახვნა, ორგანული სასუქებით ნიადაგის კულტივაციას ალტერნატივა არ გააჩნია. ნიადაგის

ორგანული ნივთიერებების შემცირებას განიცდიან უწყვეტი კულტივაციის პირობებში, ამიტომ ნიადაგი მით უფრო მეტად განიცდის ეროზიას რაც უფრო დიდხანს ხდება მისი დამუშავება, აქედან გამომდინარე ორგანული სასუქებით ნიადაგის კულტივაციას ალტერნატივა არ გააჩნია. აქვე გავიხსენებთ ამერიკელი ფერმერის ერთ მაგალითს რომელსაც სიკვდილის წინ დაწერილ ანდერძში სადაც თავის ვაჟიშვილებს უტოვებდა ქონებას, ერთ-ერთ ვაჟიშვილს დაუწერა შემდეგი სიტყვები "შენ გიტოვებ ყველაზე ძვირფასს რაც კი გამაჩნია, ესაა ჩემს მიერ წლობით ნაგროვები ტონობით ძროხის ნაკელი", მიუხედავად იმისა რომ საქართველოში მეცხოველეობა საკმაოდ განვითარებული იყო ყოველთვის და არის, ახლაც, თანამედროვე პირობებში ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ადამიანები, რომლებიც ძროხის ნაკელს აგროვებდნენ და უძვირფასეს ორგანულ სასუქს იყენებდნენ მიწის გასანოყიერებლად, როგორც ზემოთ მოყვანილი ამერიკელი ფერმერი. უფრო ადვილია იყიდო გამზადებული ქიმიური სასუქი, და ის შეიტანო ნიადაგში, თანაც დიდი რაოდენობით და უკონტროლოდ, რათა ჩქარა მიიღო უხვი მოსავალი, შემდგომში ნიადაგის გამოფიტვის, დეგრადირებისა და ეროზიის ხარჯზე, ამიტომ ბიოლოგიურ სასუქებზე გადასვლას, ნიადაგის ანალიზს, ნიადაგის მონიტორინგს ეროზიის თავიდან აცილების მიზნით და მიწების კონსერვაციას, მიწის რესურსების დაცვის სფეროში ალტერნატივა არ გააჩნია.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფო უწყებაა ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში. სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია აგროქიმიკატების და პესტიციდების რეგისტრაციისა და რეგისტრირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის წარმოებაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროში შედის პესტიკიდებისა და აგროქიმიკატების იმპორტის, ეტიკეტირების, შენახვის წარმოების (დაფასოების), ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და უსაფრთხო გამოყენების წესების დაცვის კონტროლი, სარეალიზაციოდ გამიზნული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი, ქიმიკატებითა და პესტიცი-

დებით ვაჭრობის დარღვევების გამოვლენა და კონტროლი.

სამინისტრო აგრეთვე პასუხისმგებელია წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის განხორციელებაზე, როტერდამის კონვენციის რეგულირების სფეროში შემავალი ქიმიური ნივთიერებების (პესტიციდების) იმპორტის შემთხვევაში. საქართველოში გამოსაყენებელი ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაციის სისტემის სრულყოფა, ქვეყანაში ამჟამად მოხმარებაში არსებული პესტიციდების ჩამონათვალის განახლება ადამიანისა და გარემოსათვის ნაკლებტოქსიკური პესტიციდების შერჩევის მიზნით, საქართველოს მთავრობას 2015 წლის 11 თებერვლის 167 განკარგულებით დამტკიცებული "საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების" 2015-2020 წლების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ სრულყოფილი მონაცემების ნაკლებობის გამო, საქართველოში არ არსებობს რუკები, რომლებზეც ასახული იქნება დამლაშებული, მძიმე ლითონებით დაბინძურებული, დატკეპნილი, დეგრადირებული ტერიტორიები, არსებობს მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წელს მომზადებული ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის მიმართ მგრძნობიარე ტერიტორიების, გამჟავებული ნიადაგებისა და ნიადაგში საკვები ელემენტების შემცველობის ამსახველი თემატური რუკები, ამავე წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტში შეიქმნა ნიადაგის რესურსების მართვის სამმართველო. სამინისტროს სტრუქტურაში შედის სსი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიები, რომლებიც ახორციელებენ ნიადაგის დეგრადაციის სამეცნიერო კვლევას, ლაბორატორია ფერმერული მეურნეობებისათვის ატარებს ნიადაგის ანალიზს. საქართველოში ნიადაგის კვლევას ახორციელებს რამდენიმე სხვა ლაბორატორიაც. მათ შორის აგრარულ უნივერსიტეტში არსებული აგრარული უნივერსიტეტის "ფერის" სახელობის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის და ბუნების დაცვის ლაბორატორია. კერძო ლაბორატორია "მულტი ტესტი", სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია, განსაზღვრავს ნიადაგებში მძიმე ლითონების

შემცველობას.

ნიადაგის დაცვის კიდევ ერთ ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის 167-ე განკარგულებით დამტკიცებული, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია. ამ სტრატეგიის თანახმად მიწის რესურსების დეგრადაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მართვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა. პესტიციდებისა და სასუქების არასწორი მოხმარება, სამელიორაციო სისტემების გაუმჯობესება და ნარჩენების არასწორი მართვა, აგრეთვე კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფები, მიწის რესურსების ნაყოფიერების შემცირების ძირითად მიზეზებად სახელდება, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია მდგომარეობის გამოსწორებისაკენ მიმართული შემდეგი ღონისძიებები: პესტიციდებისა და სასუქების სათანადო მართვა, ნარჩენების მონიტორინგი სამელიორაციო სისტემების გაუმჯობესება და ბუნებრივი კატასტროფების მართვაში ადრეული შეტყობინების სისტემების გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება "საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წ.წ. სტრატეგიის" ერთ-ერთი პრიორიტეტული მდგომარეობაა, ძლიერი სოფელი ნამდვილად ნიშნავს ძლიერ ქვეყანას.

აგრარული სფეროს განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური გამოცდილების შესწავლა-გამოყენებას. ისრაელი ლიდერი ქვეყანაა აგრარული "მწვანე ენერგიის", გარემოს დაბინძურებისა და გლობალური პრობლემების გადაჭრის სფეროში, ამ პატარა ახლად შექმნილმა სახელმწიფომ ნახევრად უდაბნო, მწირი მიწა, ძალიან მოკლად დროში ლამის წალკოტად გადააქცია. ისრაელის სოფლის მეურნეობის საფუძველს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები წარმოადგენენ, ქვეყანაში მოქმედებს კოოპერატივის ძირითადად ორი ტიპი: კიბუცები ("კომუნალური მეურნეობა") და მოშავები ("მუშათა დასახლებები"). ესაა უნიკალური კოლექტიური ფორმატები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა და ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ (1947 წ.) ინტენსიურად დაიწყო განვითარება.

კიბუცები და მოშავები დომინირებენ ისრაელის სოფლის მეურნეობაში რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები: 1) მათ წილად მოდის ქვეყანაში წარმოებული აგრარული პროდუქტის 80%; 2) ისინი ამუშავებენ სახნავი მიწების 70%-ს; 3) ფლობენ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ფონდების 75%-ს. კიბუცები კოოპერატიულ ფორმას წარმოადგენენ, სადაც წარმოების საშუალებებზე საერთო საკუთრება ხორციელდება, ადგილი აქვს ასევე ცენტრალიზებულ განაწილებას. კაბუცის წევრები არ ღებულობენ გასამრჯელოს, მაგრამ უზრუნველყოფილნი არიან ყველა საჭირო ნივთით. აქ მოქმედებს ცენტრალიზებული საზოგადოებრივი კვება (საერთო სამზარეულო, საერთო სასადილო), საერთო სამრეცხაო და ა.შ. სადაც სამუშაოს მორიგეობით ახორციელებენ. კიბუცებში ცხოვრობს ისრაელის მოსახლეობის 3%, მთლიანად კაბუცების რაოდენობა 300 აღწევს. კიბუცები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გარდა ეწევიან ასევე სამრეწველო საქმიანობას და ემსახურებიან ტურისტებს, რაც მათ მოქნილობას ადასტურებს.

ძირითადი იდეები, რომლებსაც ეყრდნობა კიბუცის ფენომენი, გამოკვლეული და ჩამოყალიბებულია XX საუკუნის 20-იან წლებში ო. ლებლის ნაშრომში: "კვუცის კანონი", ესენია: 1) შრომის საერთო მოვალეობა; 2) კოლექტიური შრომა და თვითმმართველობა, სამუშაო დროის განაწილებით; 3) კომუნალური ტიპის ცხოვრება კიბუცში ცხოვრების თანაბარ პირობებში; 4) უფლებების თანასწორობა საზოგადოებასა და მეურნეობაში; 5) დამოუკიდებელი არჩევანი, სამუშაო ორგანიზაციის დამტკიცებისას; 6) თითოეულის პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ; 7) დისციპლინა მეურნეობის ყველა სფეროში და თემის ცხოვრებაში; 8) თითოეულის თავისუფლება ისეთი როგორიცაა პოლიტიკა, რელიგია, პარტიები და სხვა; 9) დაქირავებული შრომის უარყოფა კიბუცის მეურნეობაში; 10) შრომისუნარიანობის ასაკის მიღწევამდე ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდა და კვება; 11) მოხუცებულთა და შრომისუუნაროთა უზრუნველყოფა; 12) ქალებისათვის ეკონომიკური შრომითი საქმიანობის ახალი სფეროების გამოვლენა; 13) კიბუცის ყველა წესების (ქალების და კაცების) თანაბარი მოვალეობა – იმუშაონ შინამეურნეობაში

(სამზარეულო, რეცხვა და ა.შ.); 14) კიბუცის წევრთა შეღწევადობა სამეურნეო პრობლემების განხილვა-მოგვარებაში, (მეურნეობის მოცულობა, დარგები, განათლება და კვალიფიკაცია); 15) მუდმივი მისწრაფება წარმოების ზრდისადმი; 16) კიბუცის გაფართოება მისი სამეურნეო შესაძლებლობების ფარგლებში; 17) კიბუცის წევრების მაქსიმალური ურთიერთდახმარება.

კიბუცების მენეჯმენტის ცნობილი მკვლევარი ნ. გოლომბი თავის ნაშრომში "კიბუცის მენეჯმენტი – პირდაპირი დემოკრატია პრაქტიკაში", აყალიბებს კიბუცში პირდაპირი მმართველობითი დემოკრატიის ინსტიტუტების: საერთო კრება; სოციალური ქვესისტემა (აღმასრულებელი კომისია). ცენტრალური მართვებია: 1) მდივანი; 2) მართვის კოორდინატები; 3) ხაზინადარი; 4) შრომის კოორდინატორი. მართვისა და მომსახურების კომისიები: სოციალურ საკითხთა კომისია; კულტურის საკითხთა კომისია; მოხმარების საკითხთა კომისია; ჯანდაცვის საკითხთა კომისია.

ცალკეული სამუშაო და დარგობრივი ჯგუფები სადაც შედის: 1) მიწათმოქმედება; 2) სურსათ-სანოვაგის მოსავალი (შემოსავალი); 3) სარძევე ფერმა; 4) საფრინველე ფერმა; 5) მრეწველობა (სხვადასხვა); 6) მოვლა და რემონტი; 7) სასადილო და სამზარეულო; 8) სამოსელი; 9) აღზრდა. ისრაელის სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი. განვითარებულია მეფრინველეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა.

მოშავები კიბუცებისაგან იმით განსხვავდებიან რომ აქ თითოეულ ოჯახს თვითონ მიჰყავთ მეურნეობა, ხოლო რეალიზაცია კოლექტიურ საწყისებზე ხორციელდება. მუშაკები სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ნაწილია, სადაც თითქმის 60 ოჯახია გაერთიანებული. თითოეულ მათგანს საკუთარი სახელი და მიწის ნაკვეთი გააჩნია, ებრაელი მოსახლეობის 3,5% მოშავებში ცხოვრობს, რომელთა რიცხვი ქვეყანაში 450-მდეა. ჩვენი ტრადიციულად ძლიერი აგრარული ქვეყნის ბაზრები გაჯერებულია იმპორტული, ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტებით. ეს მაშინ როდესაც გვაქვს დაუმუშავებელი მიწის ფართობები, ნაყოფიერი ნიადაგი,

მდიდარი ჰიდრორესურსები, ხორბლის უნიკალური ჯიშები. ზემოთაც აღვნიშნეთ რომ ხორბალზე ჩვენი იმპორტ-დამოკიდებულება მეტად საჭირბოროტო პრობლემაა, იმ გლობალური გამოწვევების ფონზე რაც დღეს მსოფლიოშია. პანდემიის შემდგომ მსოფლიო აღარ იქნება ისეთი როგორიც პანდემიამდე. გაეროს პრეზიდენტმა განაცხადა რომ მსოფლიო ეკონომიკამ მიიღო ისეთი ზარალი როგორც ბოლო 80 წლის მანძილზე არ ყოფილა. მიწოდების ჯაჭვი აღარ იქნება ისეთი როგორიც იყო, ამ მძიმე გლობალური გამოწვევების ფონზე ეს ჯაჭვი შეიძლება ყოველ წუთს გაწყდეს. ამჟამად მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა ხორბლისა და ფქვილის ფასი, რის გამოც ჩვენი სახელმწიფო უკვე ახორციელებს ხორბლის სუბსიდირებას, რათა არ გაძვირდეს პური.

ყოველივე ამის ფონზე ზემოთ განხილული კიბუცების ქართულ სინამდვილეში დანერგვა ჩვენის აზრით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აგრარულ სფეროში. ამ ინიციატივას მხარს უჭერენ ჩვენი ქართველი ეკონომისტები, რომლებმაც კარგად შეისწავლეს ეს საკითხი, პროფესორები: გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი, თ. ჩხეიძე და სხვანი. კიბუცების ქართულ სინამდვილეში დანერგვას დიდი ხანია მხარს უჭერს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი ილია მეორე. მან ბევრჯერ გამოხატა სხვადასხვა ეპისტოლეებში თავისი პოზიტიური დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. სრულიად შესაძლებელია ქართველის დაუსახლებელ, აუთვისებელ რეგიონებში (აგრეთვე მოსახლეობისაგან დაცლილ სოფლებში) კიბუცების ტიპის საზოგადოებრივი მეურნეობების მოწყობა და განვითარება. ასეთ სოფელს შეიძლება ჩვენი ქვეყნისთვის შესაბამისი ქართული სახელი ვუწოდოთ. მაგალითად ქრისტიანული თემი. სადაც სამეურნეო საქმიანობა ქართული სარწმუნოებისთვის – სამეურნეო ცხოვრებას დაეყრდნობა. თემი შეიძლება განლაგდეს სათანადო რეგიონებში არსებული ეკლესია-მონასტრების ირგვლივ, რითაც საფუძველი ჩაეყრება ეკლესიისა და ქვეყნის გაძლიერებას. აქვე აღსანიშნავია (რასაც ზემოთაც ვწერდით) ისიც რომ ტყეები გადაეცა საპატრიარქოს და კიბუცების მსგავსი გაერთიანებები მათ სიახლოვეს შეიქმნება ეს კიდევ უფრო მეტად ააღორძინებს ჩვენი ქვეყნის

სოფლის მეურნეობას, ჩვენი მიწის რესურსები იქნება რაციონალურად გამოყენებული და დაცული, აღნიშნული კიბუცების ქართული ვარიანტი რომ განხორციელდეს საჭიროა ინფრასტრუქტურების შექმნა და განვითარება. მეურნეობის მოწყობა, ბაღის, სკოლის, სხვადასხვა სახელსაქმო საამქროების დაფუძნება, აგროეკოლოგიური და კულტურული ტურიზმის დაარსება და განვითარება. ასევი თემის პირველი პრეცედენტის შექმნის შემდეგ, საქართველოში მრავალი ასეთი თემი დაარსდება, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობს: "საზოგადოებრივი კეთილდღეობა სულიერი და ხორციელი საზრდოს ერთიანობით არის განპირობებული და ერთ-ერთი მათგანის დაშრეტა ერის დაღუპვის მომასწავებელია.

გაუდაბნოება ერთ-ერთ გლობალურ პრობლემადაა აღიარებული გაუდაბნოება არის პროცესი, როდესაც ნოყიერი მიწა, გადაიქცევა უდაბნოდ, ამის შედეგია გვალვა, გაუტყევება, ნიადაგის გამოფიტვა, დეგრადაცია, ღრმა ეროზია, ანთროპოგენური პერმანენტური ზემოქმედება. უდაბნოს დედამიწაზე უკავია უზარმაზარი მიწის რესურსები, გლობალური დათბობა ხელს უწყობს გაუდაბნოებას. უდაბნოს დედამიწის 25% უკავია. საქართველო მართალია არ იმყოფება უდაბნოს ზონის უშუალო სიახლოვეში, მაგრამ გლობალური დათბობის ფონზე მისი აღმოსავლეთ ნაწილის ზოგიერთ რეგიონს: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, გარე კახეთი, სამხრეთ საქართველოს ნაწილს შეიძლება საფრთხე დაემუქროს. გაუდაბნოება საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა ჭარბი ძოვების, ნალექების შემცირების, კლიმატის ცვლადობისა და ანთროპოგენური ზემოქმედების გამო. დაახლოებით 3000 ჰა იყო ეროდირებული, მათ შორისაა შირაქი, ელდარი, იორი, ტარიბანა, ნაომარი, ოლე და ჯეირანშელის მინდვრები, ხეობები, ვაკეები და კახეთის სამხრეთ ფერდობის ნაწილი მიწის დიდი ფართობების დამლაშებული 59200 ჰა. 1999 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP/UNSO) დახმარებით შეიქმნა საქართველოში გაუდაბნოებასთან ბრძოლის საკითხებით დაინტერესებული ორგანიზაციების ქსელი. ვინაიდან მცირე მიწიანი ქვეყანა ვართ, ყოველი ჰა მიწის დაკარგვა, მნიშვნელოვან საფრთხეს

წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობაში ქიმიური საშუალებების საწინააღმდეგოდ უკვე შემუშავებულია ისეთი უნიკალური მახასიათებლების მქონე ბიოპრეპარატები როგორიცაა: ნიადაგის შემადგენლობის უნიფიკატორები და მოსავლიანობის სტაბილიზატორები. ნიადაგის შემადგენლობის უნიფიკატორი ზრდის მიკრო ორგანიზმების სტანდარტულ ნაკრებს ნიადაგის შემადგენლობაში, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებას, მოსავლიანობის სტარლიზატორები კონკრეტული კლიმატური პირობების მიუხედავად, ახდენდნენ მოსავლიანობის სტაბილიზირებას, რაც გამოიხატება, იმაში რომ გვალვის პირობებში ხელს უწყობს ნიადაგში ტენის შენარჩუნებას, ატმოსფეროდან მისი შთანთქმის გზით, ხოლო გადაჭარბებული ნალექიანობის დროს შთანთქავს ზედმეტ ნალექს ნიადაგიდან. ქიმიურ სასუქებზე ბოლომდე უარს ვერ იტყვის თანამედროვე საზოგადოება, მაგრამ დროა "ქიმიური" მიწათსარგებლობიდან მაქსიმალურად სწრაფად გადავიდეთ "ბიოლოგიურ" მიწათსარგებლობაზე, რათა შევინარჩუნოთ ნაყოფიერი ნიადაგი, ჯანმრთელობა და მაქსიმალურად დავიცვათ მიწის რესურსები დეგრადირებისაგან, გამოფიტვისაგან, ეროზიისგან და გაუდაბნოებისაგან. მიწის რესურსების დაცვის ყველაზე სამაგალითო სისტემა აქვს ევროკავშირს. იგი მრავალ ქმედით ღონისძიებებს ახორციელებს ამ სფეროში, ნიადაგების უწყვეტი მონიტორინგი, მიწის ანალიზი, ფერმერების სუბსიდირება, მიწების კონსერვაცია და ა.შ. თუმცა მასობრივი მასშტაბით მიწის რესურსების მიმართ მაინც არ არის ისეთი სტრატეგიული მიდგომა როგორც მაგალითად ჰაერის დაბინძურების, ან ჰიდრორესურსების მიმართ, მიწას ბევრი უყურებს როგორც ტალახს. რა არის მიწა? ყველაფერი მოდის მისგან და ყველაფერი უბრუნდება მას.

და ბოლოს აღნიშნულ სტატიას დავამთავრებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ერთ-ერთი სააღდგომო ეპისტოლედან შემდეგი სიტყვებით: "მიხედეთ მიწას, მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ, ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და

სხეულს".

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

– აუცილებელია ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ სრულყოფილი რუკების შედგენა, სადაც ზუსტად იქნება ასახული ყველა ეროზირებული და დეგრადირებული ტერიტორია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამჟამად არსებული თემატური რუკები არასრულყოფილია.

– უნდა გვქონდეს ზუსტი მონაცემები სავარგულების ტრანსფორმაციის შესახებ.

– მოსაწესრიგებელია სამელიორაციო ინფრასტრუქტურა. ამ სფეროში მიუხედავად მთავრობის მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯებისა გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

– პანდემიის დროს ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში აგრარული სფეროს ქმედითი მხარდაჭერა არ უნდა ატარებდეს ეპიზოდურ ხასიათს და უნდა გაგრძელდეს გრძელვადიან პერსპექტივაში რათა ჩვენი სასურსათო ბაზრები აღარ იყოს იმპორტული გენმოდიფიცირებული პროდუქტებით გაჯერებული, მაშინ როდესაც შეგვიძლია ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება. ხორბლის იმპორტზე დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი სტრატეგიული მნიშვნელობის საჭირბოროტო პრობლემაა, რომელიც ისეთი გლობალური გამოწვევის ფონზე როგორიც პანდემიაა კიდევ უფრო აქტუალური ხდება და ახლო მომავალში მოითხოვს გადაჭრას.

– ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღების კუთხით მთავრობამ დედაქალაქში მაშტაბური მნიშვნელობის ნაბიჯები გადადგა: მოხდა "მზიურისა" და "კიკვიძის პარკის" რეაბილიტაცია. ფონდ "ქართუსგან" დაიგეგმა ოთხ წლიანი პროექტი რომელიც ითვალისწინებს მთაწმინდის ტყის ფერდის განახლებას აგრეთვე ახლდება კუს ტბის მიმდინარე ტერიტორია, ვაკის პარკის რეაბილიტაცია, დაიგეგმა იპოდრომის ტერიტორიის რეკრეაციულ ზონად გადაქცევა.

მაგრამ ყოველივე ამის ფონზე მოუგვარებელი რჩება ისეთი გლობალური ეკოლოგიური პრობლემა როგორიცაა

ნარჩენების მართვა საქართველოს მაშტაბით 70-ზე მეტი ღია ნაგავსაყრელია. ნარჩენების რეციკლირება რაც ყველაზე უფრო ოპტიმალური მეთოდია მსოფლიოში ნარჩენების მართვის კუთხით ჩვენთან ჯერ-ჯეროვნად არ მოიაზრება. ფერადი ურნების პროექტიც ვერ განხორციელდა, მაგრამ ნაგვის დამარხვის მეთოდი მაინც შეგვიძლია განვახორციელოთ მსოფლიოში მიღებული სტანდარტების დაცვით (ქვესადებები, მონიტორინგი და ა.შ.) აღნიშნული მეთოდით მაქსიმუმ 50 წლის განმავლობაში მოხდება ნარჩენების შეკავება. ნარჩენების დაწვა და წყალში ჩაყრა დიდი ხანია საერთაშორისო სტანდარტებით დაუშვებელია, ღია ნაგავსაყრელები კი მხოლოდ მესამე მსოფლიოს ქვეყნებშია შემორჩენილი. 21-ე საუკუნეში ნაგვის ინდუსტრიას ნამდვილად ოქროს ხანა უდგას. "ნულოვანი ნაგვის" კონცეფციაზე ჯერ-ჯეროვნად არ ფიქრობს მსოფლიო (თუმცა ზოგან ეს მეთოდი დანერგილია, მაგალითად ტორონტოში). ჩვენს ქვეყანაში თუ იქნება ამ საკითხის მიმართ სწორი მიდგომა და ნება ის საყოფაცხოვრებო ბიოლოგიური ნარჩენები რაც ურნაში იყრება ან იწვება (ჩამონათვალი ზემოთ არის მოყვანილი შეგვიძლია ნიადაგისათვის ძვირფას სასუქად გამოვიყენოთ კომპოსტის სახით).

– ნაშრომში მოყვანილია ისრაელის გამოცდილება კიბუცებთან დაკავშირებით რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ქვეყნის აგრარული ინდუსტრიის განვითარებაში. თუ ხელისუფლების ნება იქნება კიბუცების მსგავსი ქართული მოდელის განხორციელება ნამდვილად შესაძლებელია საქართველოში რაც ჩვენის აზრით ჩვენი ქვეყნის აგრარულ სფეროს ნამდვილად პოზიტიურ შედეგს მოუტანს.

– აუცილებელია აგრარულ სფეროში იმ სამეცნიერო პოტენციალის აღდგენა, გამოყენება და ხელშეწყობა რომელიც გაგვაჩნია და რომელიც წინა ხელისუფლებების დროს ლიკვიდირდა, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო და აგრარულ სფეროში სასწავლო ცენტრების საგანმანათლებლო პროფილის სასწავლებლების ფუნქციონირება და ახალი კადრების მომზადება. გლეხებთან, ფერმერებთან, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებთან უფასო კონსულტაციების ჩატარება,

მათთან რეალური შეხვედრები, მათი აზრის მოსმენა, გაზიარება და რეკომენდაციების მიცემა და არა მარტო ინტერნეტ საიტებზე მითითება და მონიტორებს მიჩერებული ონლაინ დამოძღვრილი "ინტერნეტ გლეხის" შექმნა. ნუ დაგვავიწყდება რომ ყველა პრობლემას რეალურად უნდა შევხედოთ. ცოცხალი სიტყვით ძალას სხვა მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს ("პირველი იყო სიტყვა") სოფლის მეურნეობის სფეროში ბევრ განვითარებულ ქვეყანაში დანერგილია პრინციპი "სახლიდან სახლში" ამ კონსულტაციებს შეიძლება ყველა ოჯახის წარმომადგენელი ვერ დაესწროს მაგრამ ვინც დაესწრება ისინი უზიარებენ დანარჩენებს. გლეხებისთვის უნდა დარიგდეს ბუკლეტები სადაც მითითებული იქნება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის რეკომენდაციები, ასევე მობილურზე შეიძლება ხმოვანი შეტყობინებების გაგზავნა, ნუ დაგვავიწყდება რომ გაეროს მონაცემებით ჩვენი ქვეყანა მომაკვდავი ერების სიაშია შეტანილი. სოფლის მეურნეობაში ძირითადად საშუალო ასაკის ადამიანები და პენსიონრები არიან დასაქმებული. ნუ მოვთხოვთ მათ თავიანთი ნაჯაფარი დაკოჟრილი ხელებით კომპიუტერის კლავიატურაზე აკაკუნონ, ამით მიიღონ საჭირო ინფორმაცია რაიონებში და ქალაქშიც ბევრი მოსწავლე და სტუდენტიც კი ინტერნეტის უქონლობის გამო ამ პანდემიის პერიოდში ვერ ერთვება ონლაინ სწავლებაში არამც თუ გლეხები დავტოვოთ მონიტორის ამარა. ქართველი გლეხი ბრძენია მთაზე ღრუბელიც რომ არ ჩანდეს, როცა ჩიტები დაბლა დაფრინავენ იცის რომ წვიმა მოვა და კიდევ სხვა ბევრი ბუნების საიდუმლოებებიც იცის. როგორც გენური ინჟინერიით შექმნილმა გენმოდიფიცირებულმა პროდუქტმა განიცადა კრახი და უფრო დაფასდა ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტები, ასევე ქიმიური სასუქების გაზრდილი წარმოება და ნიადაგში მათი გამოყენება უნდა შეიზღუდოს და სოფლის მეურნეობა გადავიდეს ბიოსასუქების გამოყენებაზე თუ გვინდა შევინარჩუნოთ ნიადაგი, მიწა, რომელიც გვაძლევს "პურს ჩვენი არსობისას".

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ორგანული ქიმიის როგორც მაღალი ტექნოლოგიის გამოყენების თავისებურებები ეკონომიკაში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული ტ. XI. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2019.

2. თეთრაული ც. პანდემია და მისგან გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თანამედროვე ეკონომიკა ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინს ტიტუტის გამომცემლობა თბ., 2020.

3. თეთრეული ც. მიწის რესურსების დაცვის ეკონომიკური პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული ტ. XII თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა თბ., 2020.

4. მღვდელი ბასილ ახვლედიანი, გიორგი შიხაშვილი, ნიკოლოზ ბაკაშვილი. მართლმადიდებლურ თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბ., 2009.

5. პავლიაშვილი ს., გარაყანიძე ზ. სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების შიდა უწყებრივი კოორდინაციის მექანიზმი. აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის მასალების კრებული. მდგრადი განვითარების თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა თბ., 2017.

6. D. Montgomtvi, divt The Evosion of Givilizations. 2017.

Tsitsino Tetrauli

INNOVATIONS IN THE FIELD OF LAND RESOURCES PROTECTION IN GEORGIA, CURRENT SITUATION AND PERSPECTIVES

Summary

Most people realize how dependent we are on the small cadre of the modern farmer but few if any perceive the fundamental importance of how we treat the land to protect the future of our civilization. Georgia due to its naturally favorable conditions such as fertile lands, rich hydro resources, natural deforestation, temperate climate, etc. It really has the potential to be an agrarian country. Our population should not be dependent on foreign denominated products, which saturate our market, by obtaining accurate information about the quality of our soil (which we do not have yet) we can prevent soil erosion, its depletion and degradation. If we take the right measures in this regard, we will preserve a strategic resource of state importance such as land, our Georgian land.

ზურაბ წერეთელი

ბიზნეს სტარტაპების განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია სტარტაპის სხვადასხვა ცნება (ზოგიერთი მოსაზრების შეუსაბამოებაზე სტარტაპის რეალურ მიზანთან), მისი ეტაპები და თავისებურებები, ასევე, საუბარია ინვესტირებასა და დაფინანსების საშუალებებზე, ვენჩურულ კაპიტალზე, ვენჩურულ ინვესტირებაზე, ინოვაციურ ბიზნეს სტატაპებზე, იმ საკანონმდებლო და საგადასახადო რეგულაციებზე, რომლებიც საქართველოს ბაზარზე არსებობს.*

განხილულია აგრეთვე სახელმწიფოს მხარდამჭერი ორგანიზაციების პროგრამები და მიმართულებები. საუბარია უცხოური სტრატაპ ბიზნესების გამოცდილებაზე, ბიზნეს სტარტაპების განვითარების პრობლემებზე და პერსპექტივებზე საქართველოში. ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომლებიც უნდა გამოიყენოს ბიზნეს სექტორმა, რომ გახდეს წარმატებული.

საკვანძო სიტყვები: *სტარტაპი, ბიზნეს სტრტაპები (სტარტაპ ბიზნესები), ინოვაციური სტარტაპი, სტარტაპის ეტაპები, ვენჩურული კაპიტალი, ვენჩურული ინვესტირება, ტექნოლოგიური პარკი, ბიზნესინკუბატორები.*

შესავალი

ბიზნეს სტარტაპების არსებობა და შემდგომ მათი ზრდა-განვითარება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკისთვის. კვლევის მიზანია ნათლად წარმოვაჩინოთ საქართველოში არსებული სტარტაპ გარემოს დღევანდელი მდგომარეობა, მისი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტერმინი „სტარტაპი“ ხშირად გამოიყენება ახალგაზრდა, დამწყები კომპანიების დასახასიათებლად. ქვეყნის ეკონომიკისათვის ბიზნეს სექტორის განვითარება განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია. საფინანსო-საკრედიტო დარგის გამჭვირვალობა და საკრედიტო რესურსებზე წვდომა ბიზნეს სექტორის განვითარების კატალიზატორის ფუნქციასაც კი ითავსებს. განსაკუთრებით აქტუალურია დღესდღეობით ინოვაციური მეწარმეობის და სტარტაპების განვითარების პროგრამები საქართველოში.

მსოფლიო თანხმდება, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია სტარტაპებს ეკისრებათ. ხშირად ამბობენ, რომ ისინი დღევანდელ ეკონომიკასაც კი ქმნიან, სწორედ აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ განსახილველი თემის აქტუალობად.

სტარტაპ ბიზნესების ხელშეწყობა და ბაზარზე მათი პოზიციონირება ზრდის ქვეყანაში სტარტაპ ეკოსისტემის წინსვლისა და ფორმირების არეალს. მსგავსი წამოწყებები ქვეყანაში არის მაგალითი, თუ როგორ უნდა აქციოს დამწყებმა ბიზნესმენმა იდეა რეალობად. სტარტაპერებს აქვთ შანსი სრულიად უფასოდ მიიღონ ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი მომსახურება და სერვისები, რაც მათ სწორი კურსით განვითარებას უზრუნველყოფს. ქვეყნისთვის მნიშვნე-

ლოვანია სტარტაპებს მიეცეთ მეტი სტიმული, რისთვისაც საჭიროა ინვესტორების მაქსიმალური ჩართულობა. დამწყებ ბიზნესმენებს ჭირდებათ შანსი, იდეა აქციონ რეალურ პროდუქტად, გავიდნენ ბაზარზე და შექმნან კონკურენტ-უნარიანი ბიზნეს გარემო.

სტარტაპი, ეს არის ახლადშექმნილი კომპანია, რომელიც ოპერირების პირველ ეტაპზეა. ხშირად მას ინოვაციურ და მაღალტექნოლოგიურ ბიზნესს უწოდებენ, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით შეუძლია ზრდა.

სტარტაპი მხოლოდ ტექნოლოგიურ ინდუსტრიას არ მოიცავს. ეს არის მზარდი კომპანია, რომელსაც ყოველ-დღიურობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვს. თუ სტარტაპმა გაამართლა და შედგა როგორც ბიზნესი, ის შემოსავლის მიღების წყარო გახდება იმ ადამიანებისთვის, ვინც ამაში ფული ჩადო.

დღესდღეობით, საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული პროგრამაა „სტარტაპ საქართველო“, რომლის მიზანია დაეხმაროს მოქალაქეებს, რომლებსაც არ აქვთ საჭირო ფინანსური რესურსი და ამის გამო არ შეუძლიათ ბიზნესის დაწყება, თავიანთი ბიზნეს იდეების განხორციელებაში. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც აქვს ბიზნეს იდეა და მისი განხორციელებისთვის ესაჭიროება დაფინანსება.

დაფინანსების და კაპიტალის გარეშე სტარტაპები ვერ შეძლებენ კომპანიის დაფუძნებასა და განვითარებას. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსურ მხარდაჭერას. დამწყები მეწარმეების ან ბიზნესისთვის რთულია ფულადი რესურსის მოძიება, რადგან ხშირად მათ არ ენდობიან და მკაცრად აფასებენ თანხის დაბრუნების შესაძლებლობას.

ერთ დროს სტარტაპის დაფინანსებისგან ყველა თავს იკავებდა, თუმცა დღეისთვის გაცილებით მარტივად შეიძლება საჭირო თანხის მოძიება. ბოლო პერიოდში საფინანსო სექტორი აქტიურად ჩაერთო სტარტაპის დაფინანსებაში. რიგ ბანკებში შესაძლებელი გახდა სესხის აღება, რაც ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად მოიცავს გარკვეულ შეღავათებს საბანკო პროდუქტებზე და ტრენინგებში ჩართვის შესაძლებლობას.

პირველ რიგში, აუცილებელია გაუმჯობესდეს ზოგადად ბიზნეს გარემო, რათა მეწარმეებს ჰქონდეთ მეტი სტიმული დაიწყონ ახალ-ახალი საქმიანობები, უნდა გაიზარდოს ბაზრებზე წვდომა, აუცილებელია ინოვაციის ხელშემწყობი ინსტრუმენტების და ინსტიტუტების შექმნა, ტექნოლოგიებისა და ცოდნის გაცვლის შესაძლებლობა, საკანონმდებლო გარემოს მოწესრიგება. ასევე აუცილებელია მეწარმეობის განვითარება რეგიონებში, რადგან დღეს არსებული მონაცემებით საწარმოთა პროდუქციის მთლიან გამოშვებაში კვლავ ქალაქი თბილისი დომინირებს 60%-იანი წილით.

საქართველოში სტარტაპერების ძირითად პრობლემას წარმოადგენს დაფინასების უკმარისობა, რადგან საქართველოს ბაზარი გამოირჩევა დაფინანსების წყაროების სიმცირით. ასევე, მცირეა სახელმწიფო პროგრამების რაოდენობაც. ამიტომ, საჭიროა სახელმწიფოს როლის გაზრდა და უფრო მეტი ჩართულობა, რათა განხორციელდეს მეტი მხარდაჭერა სტარტაპერებისთვის და მოხდეს ინვესტიციების მოზიდვა.

* * *

სტარტაპის არსი, ბიზნესისგან გასხვავება და განვითარების ეტაპები

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში სტარტაპების ბუმია. სტარტაპები ცვლიან მომხმარებლისა და ბიზნესის ურთიერთობას და ათანამედროვებენ ისეთ ბიზნესებსაც კი, რომლებიც მათი არსებობის განმავლობაში მუდმივად მოსაწყენ და არაინოვაციურ ბიზნესებად ითვლებოდნენ. მაგალითად ფინანსური სექტორი, განსაკუთრებით კი კომერციული ბანკები და ბუღალტერია. ინტერნეტის ეპოქამ შექმნა ბიზნესის კეთების სრულიად ახალი მიდგომა, რომელიც ორიენტი-რებულია ინოვაციური გადაწყვეტილებებით პრობლემების მოგვარებაზე და მომხმარებლებისათვის ყოველდღიური ცხოვრებისა თუ სამსახურეობრივი ოპერაციების გამარ-ტივებაზე.

სტარტაპები იმდენად მიმზიდველია, რომ ადამიანები ირჩევენ მიატოვონ მუშაობის ძველი, ტრადიციული მეთოდი

და იმის ნაცვლად, რომ სამსახურში კომფორტულად მოეწყონ, ირჩევენ თავად გახდნენ ბიზნესის მფლობელები. ამასთანავე, სტარტაპები საშუალებას აძლევენ სხვადასხვა განათლებისა თუ პროფესიის მქონე ადამიანებს დაიწყონ იმის კეთება, რაც მათ ყოველთვის აინტერესებდათ. შესაბამისად, დღეისთვის სტარტაპეროზა ძალიან ბევრი ახალგაზრდისათვის საინტერესო და მიმზიდველია, მათ შორის საქართველოში.

საქართველოში ძალიან ბევრი ახალგაზრდაა ჩართულია სტარტაპებში და ცდილობს თავიანთი იდეა და კონცეპტი რეალობად აქციოს. ეს მიმართულება, თანდათან ვითარდება რაშიც დიდი წვლილი ბიზნეს ინკუბატორებს, აქსელერატორებს, კონკურსებს, გრანტებს და დამოუკიდებელ ინვესტორებს მიუძღვით. ზოგიერთი ახალი სტარტაპი ახერხებს მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას, ზოგიერთი კი ვერა.

სტარტაპი ადამიანებს ხშირ შემთხვევაში სხვადასხვანაირად ესმით, რადგან სტარტი დაწყებას ნიშნავს და სტარტაპი ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ახლად დაფუძნებული კომპანია ჰგონიათ. სინამდვილეში კი სტარტაპის კლასიკურ განმარტებას დაწყებასთან ნაკლები კავშირი აქვს. არის არც თუ ისე ცოტა სტარტაპი, რომელიც 10 და მეტი წლის გახლავთ. Google წლების განმავლობაში სტარტაპი იყო, ასევე Instagram და ა.შ.[16]

მსოფლიო ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა „სტარტაპის“ ტერმინის ზუსტ განმარტებაზე. სტარტაპი განიმარტება როგორც კომპანია მისი ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე. სახელიდან გამომდინარე, (Start up) – სტარტაპად ზოგჯერ მოიხსენებენ ყველა ისეთ კომპანიას, რომელიც ეს ესაა ჩამოყალიბდა, მცირე მასშტაბის კომპანიაა, და რეალურად ახლა იკვლევს გზას ბაზარზე. თუმცა ეს მაინცდამაინც სიმართლეს არ შეესაბამება.

ზოგადად ბიზნესის ციკლის მიხედვით, ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფი იწყებს მცირე ბიზნესს, რომელიც შემდეგ გარდაიქმნება საშუალო ბიზნესად და შემდეგ მსხვილ ბიზნესად. რა თქმა უნდა, ყველა მცირე ბიზნესი დროთა განმავლობაში მსხვილ ბიზნესად არ გადაიქცევა, უფრო მეტიც,

მათი უმეტესობა რჩება მცირე ან საშუალო ბიზნესად ან საერთოდაც კოტრდება.

სტარტაპი ბიზნესის განვითარების ამ მოდელში არ ზის. სტარტაპ კომპანიები არ მუშაობენ იმისთვის, რომ მცირე ბიზნესიდან საშუალო ან დიდ ბიზნესად გადაიქცნენ. მათი უმეტესობა ცდილობს შექმნას პროდუქტი და გახადოს ის იმდენად მიმზიდველი რომ ან გაყიდოს დიდი ფულის სანაცვლოდ, ან იქცეს პირდაპირ მსხვილ ბიზნესად, რომელიც ინდუსტრიის ლიდერი იქნება.

სტარტაპები განსხვავებულები არიან იმ პროდუქტითაც, რასაც ისინი ქმნიან. მაგალითად, თუ ვინმე ისეთივე ნივთებს ამზადებს, როგორსაც ყველა და ამასთანავე არ ჭრის რაიმე სახის პრობლემას, მაშინ მას მცირე ბიზნესი აქვს. სტარტაპები კი ქმნიან პროდუქტს, რომელიც ახლებურად, ინოვაციური მეთოდით ჭრიან მომხმარებლის კონკრეტულ პრობლემას. ანუ ეს გულისხმობს იმას, რომ პროდუქტი – პრობლემის გადაჭრის მეთოდი იყოს უფრო სწრაფი, უფრო მოსახერხებელი, უფრო კომფორტული და თანაც ნაკლებხარჯიანი.

სტარტაპებს ასევე აქვთ განსხვავებული ბიზნეს მოდელი და სტრუქტურა. მაგალითად, არც ერთი სტარტაპი არ მუშაობს მოგებაზე მისი არსებობის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ისინი აბრუნებენ მოგებას კომპანიაში პროდუქტის დახვეწისა და ბიზნესის გაფართოებისათვის. მაგალითად ამერიკული კომპანია UBER-ი. კომპანია 2009 წელს დაფუძნდა და ერთ ერთი წარმატებული სტარტაპია მსოფლიოში, მიუხედავად ამისა, კომპანია ჯერ კიდევ არ მუშაობს მოგებაზე. მისი დაფუძნებიდან 10 წლზე მეტი გავიდა, მოიცვა ბევრი ქვეყანა სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა ჯერ კიდევ არ გაუკეთებია IPO (Initial Public Offering.) სტარტაპების მოლოდინია, რომ პროდუქტი რომელიმე გიგანტი კომპანიის ყურადღებას მიიქცევს და გაიყიდება ან მისი აქციები ან კიდევ მთლიანად კომპანია.

ზემოდთქმულიდან გამომდინარე, არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი რაც ბიზნესმა უნდა დააკმაყოფილოს, რომ სტარტაპად ჩაითვალოს:

• აქვს პროდუქტი რომელიც ინოვაციური მიდგომით ჭრის პრობლემას;

• კომპანიის დამფუძნებლები არ იღებენ კომპანიიდან მოგებას, პირიქით, ინდივიდუალურად დებენ თავიანთ დანაზოგებს და სხვა შემოსავალს სტარტაპში;

• კომპანია არ არის ფოკუსირებული მოგების მიღებაზე, არამედ ორიენტირებულია პროდუქტის დახვეწასა და ბაზრის გაფართოებაზე.

მსოფლიოს გარშემო სტარტაპების წარუმატებლობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია. უხეშად რომ ვთქვათ, 10 დან 9 სტარტაპი წარუმატებელია, შესაბამისად მხოლოდ ერთი აღწევს წარმატებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა სტატისტიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ 2014 წელს დაფუძნებული სტარტაპებიდან, 20 პროცენტი იმ წელსვე დაიხურა და მხოლოდ 80 პროცენტი არსებობდა კვლავ 2015 წელს. 2014 წლის სტარტაპებიდან მხოლოდ 70 პროცენტი არსებობდა 2016 წელს, 62 პროცენტი 2017 წელს და 56 პროცენტი 2018 წელს. მათ შორის წარმატებული სტარტაპი მხოლოდ რამდენიმე აღმოჩნდა.

სტარტაპი არის დროებითი ორგანიზაცია, რომელიც ეძებს მაღალი მოგების პოტენციალის მქონე ბიზნეს მოდელს და აქვს ექსპონენტური ზრდის პოტენციალი. არსებობს სხვა განმარტებებიც, მაგალითად: სტარტაპი არის დროებითი ორგანიზაცია, რომელიც ეძებს უშრეტ და მასშტაბირებად ბიზნეს მოდელს.

სტარტაპი ბიზნეს მოდელის ძებნის პროცესშია და მისი ძალისხმევა კვლევას და ექსპერიმენტებს ხმარდება, **ბიზნესს** კი – ნაპოვნი აქვს ბიზნეს მოდელი და ძირითადი მისი ძალისხმევა ამ ბიზნეს მოდელის ეფექტიან აღსრულებაზეა მომართული.

სტარტაპის განვითარების ეტაპებია:

პირველი ეტაპი სტარტაპის წამოწყებაა. ჩნდება უნიკალური და ინოვაციური იდეა. იდეის არსია ცხოვრების გაუმჯობესება, არსებული პროდუქტის შეცვლა, კოსმეტიკური საშუალებების მოქმედების გარკვეული ეფექტის გაძლიერება. ინდუსტრიისა და მასშტაბის მიუხედავად, ეს არის ახალი, რაც არ გამოუყენებიათ და

არც წარმოებულა არსად. ამ ეტაპზე, გუნდი იქმნება იდეის მფლობელის მახლობლად და მზად არის იმუშაოს მის დიზაინზე და განხორციელებაზე.[18]

უმეტეს შემთხვევაში, ამ ეტაპზე დაფინანსებაც კი საჭიროა, თუნდაც უმნიშვნელო. როგორც ვარიანტი, მინიმუმ საოფისე ტექნიკისთვის და იურისტების, ბუღალტრების, ეკონომისტებისგან რჩევების მიღება.

ეს ეტაპი ხასიათდება ინვესტორების მოძიებაში სირთულეებით. მაშინაც კი, თუ არსებობს მზა ბიზნეს გეგმა, ორგანიზაციამ ან პირმა უნდა დაიჯეროს მომგებიანობა და პერსპექტივები. თუმცა ისინი არც თუ ისე ადვილად რწმუნდებიან სამუშაოს პირველი შედეგების გარეშე.

მეორე ეტაპია სტარტაპის შექმნა. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ პროექტის იდეის პოპულარობაში გათვალისწინებული უნდა იქნას სტარტაპის კონცეფცია - რა არის ის, როგორ უნდა დაიწყოს კომპანიის განვითარება, რაზე უნდა ფოკუსირება და გაიგოთ რაზეა დაფუძნებული:

1.**იდეებზე ფიქრი.** პროექტის მთავარ მახასიათებელს არ უნდა ჰქონდეს ქვეყანაში ან რეგიონში ანალოგები, რომლებიც პრომოუშენში ჩაერთვებიან;.

2.**გუნდის ძებნა.** პროექტში მონაწილე ხალხს არ უნდა ჰქონდეს ყველაფერი იმის შესახებ, თუ რა ინდუსტრიაა, რომელიც გაშვებულია;

3.**ბიზნეს გეგმის შედგენა.** გეგმა არის ნებისმიერი პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის გარეშეც შემთხვევითი მარცხი შეიძლება მთელი იდეისთვის საბედისწერო გახდეს;

4.**ინვესტორების ან დამწყები კაპიტალის მოძიება.** ყველაზე პერსპექტიული იდეებიც კი საკმაოდ დიდი თანხაა, განხორციელების ეტაპზე. ფინანსების პოვნა ადვილი არ არის, მაგრამ შესაძლებელია.

ამ ეტაპზე უკვე შექმნილია სამუშაო მოდელი და მასზე მუშაობს გუნდი. გუნდის მახასიათებელია მკაფიოდ განაწილებული უფლებამოსილება და ინოვაციური იდეების განვითარების სტრატეგია. სარეკლამო რგოლის პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმული უნდა იყოს.

იმისათვის, რომ კანონის ფარგლებში განხორციელდეს საქმიანობა, ახალბედა მეწარმე უნდა დარეგისტრირდეს, როგორც საქმიანი ერთეული. ეს შეიძლება იყოს იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი. მენეჯმენტის ფორმის არჩევანი ემყარება საქონლის ან მომსახურების გამომუშავების დაგეგმილ მოცულობებს და სხვა პარამეტრებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ქმედება, მათ შორის მასალების შეძენა, ქირა, კონტრაქტი, უნდა განხორციელდეს იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის სახელით.

ამ ეტაპზე მთავარი ამოცანაა ახალი პროდუქტისა თუ მომსახურების პოპულარიზაციის სისტემის შექმნა და გამართვა. ამასთან, დაფინანსების წყაროების უფრო აქტიურად გახსნა.[1]

ინვესტორების მოსაძებნად ერთ-ერთი ვარიანტია გულშემატკივრობა, რაც გულისხმობს იდეის გასაჯაროებას და სახსრების მიღებას ყველასგან, ვისაც სურს ისარგებლოს მისგან. ამისათვის გამოყენებულ იქნას სპეციალური პლატფორმები, სადაც ახალბედა ბიზნესმენები და დამწყები კომპანიები განათავსებენ თავიანთ წინადადებებს.

მესამე ეტაპია პროექტის ეგრეთ წოდებული ადრეული განვითარება, რაც გულისხმობს უკვე მოქმედი კომპანიის არსებობა, რომელიც პროდუქტს აწარმოებს.

შესაბამისად, არსებობს მომსახურების ან პროდუქტის საბოლოო ფორმირების მომენტი, გამოვლენილი დეფექტების გათვალისწინებით. ყველაზე ხშირად, ამ ეტაპზე, დამატებითი ინვესტორები ერთვებიან პროცესში, პროდუქციის მოთხოვნილების და მისი პოპულარობის დანახვისას, მათ შეუძლიათ ფინანსური ინექციებიც კი შესთავაზონ.

მეოთხე ეტაპია გაფართოება. ასეთ ინტერვალში ხდება მარკეტინგული სისტემის შემუშავება მცირე დეტალამდე და კომპანია მზად არის წარმოების გაფართოებისთვის. ასევე შეიძლება ახალი წერტილები გაიხსნას, გაიზარდოს რეკლამირების მაშტაბები და სხვა.

საგულისხმოა, რომ ყველა სტარტაპისთვის ჩამოთვლილი ეტაპები აბსოლუტურად ტიპიური ვერ იქნება. ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს ბიზნესის მიზნის, პროდუქტის, მდებარეობიდან გამომდინარე. ტიპიურად შეიძლება დარჩეს

კომპანიის ჩამოყალიბებისა და ინვესტიციის საჭიროება (ინდივიდუალური ან ინვესტორები).

ვენჩურული კაპიტალი, ვენჩურული ინვესტიციები

საქართველოს განვითარების მოცემულ ეტაპზე სწორედ განვითარებული ვენჩურული კაპიტალი შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ პრიორიტეტულ დარგად, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს სტრატეგიულად პოზიტიური ძვრები ეკონომიკაში. რასაც მოჰყვება ეკონომიკის მდგრადი განვითარება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, მნიშვნელოვან საერთაშორისო რეიტინგებში დაწინაურება, გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდა, მოსახლეობის დასაქმება, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და ა.შ.

ვენჩურული ინგლისური სიტყვიდან (Venture) მომდინარეობს, რომელიც ერთი მხრივ საწარმოს, მეორე მხრივ კი, რისკს აღნიშნავს.

ვენჩურული კაპიტალის ცნება ამერიკის შეერთებულ შტატებში გასული საუკუნის 40-იან წლებში გაჩნდა, ევროპაში კი 1970-იან წლებში დაიწყო განვითარება. ვენჩურულ ინვესტორთა მიზანი დამწყები, პერსპექტიული ახალგაზრდების აღმოჩენაა, მათ სტარტაპკომპანიებში ფინანსების დაბანდება და გრძელვადიანი მოგების (საშუალოდ, 10 წელიწადი) გათვლაა. რეალურად, ვენჩურული კაპიტალი პარტნიორობისგან უმნიშვნელოვანესი ფაქტორით განსხვავდება – ვენჩურული კაპიტალის კომპანიისთვის პრიორიტეტი სტარტაპის იდეების, პროდუქტებისა და სერვისების საჭიროებაა. შესაძლებელია განვითარება არა მოცემულ ეტაპზე, არამედ სამომავლოდ, პერსპექტივაში. ინვესტირებული კომპანიის მიღწევებმა ინვესტორის საქმიანობა უნდა გაამარტივოს, გახადოს მოდერნიზებული, ხელი შეუწყოს ხარჯების შემცირებას, ან წარმოების პროცესს. რამდენ სფეროში მომუშავე ვენჩურული კაპიტალის კომპანიაც არსებობს, იმდენივე და მეტ სტარტაპს აქვს შანსი დაფინანსდეს და იდეები რეალობად აქციოს.

პირველი ვენჩურული კაპიტალის კომპანია American Research and Development Corporation ჯორჯ დორიოტმა (George

Doriot) 1946 წელს ჩამოაყალიბა. შეერთებული შტატები ტრადიციულად ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას მსოფლიოში ვენჩურული კაპიტალის სფეროში. აშშ-ს აქვს მეწარმეობის პოლიტიკის უნიკალური ნაზავი და გამოცდილი კვლევები, რომელთაც ანალოგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით არ გააჩნიათ. ბოლო კვლევის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატები ვენჩურული კაპიტალის კომპანიათა 72%-ის სამშობლოა.

ბოლო დროის სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ვენჩურული კაპიტალის კომპანიების წვლილი ეკონომიკის განვითარებაში უდიდესია.

ვენჩურული კაპიტალის კომპანიები ფუნქციონირებენ ნებისმიერ დარგში − დაწყებული საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით და ფარმაკოლოგიითა და ბიოტექნიკით დასრულებული.

ვენჩურული კაპიტალის განვითარება ევროპაში ამერიკულსა და აზიურს საგრძნობლად ჩამორჩება, თუმცა დადებითი დინამიკა ამ შემთხვევაშიც შესამჩნევია.

2013-დან 2018 წლამდე ვენჩურულ კაპიტალში ინვესტირების მოცულობა 4-ჯერ გაიზარდა ევროპის ბაზარზე და 23 მილიარდი ევრო შეადგინა. ეს მაჩვენებელი აშშ-სა და აზიაში 130 მილიარდი დოლარია. ამასთან, ევროპული ქვეყნების მთავრობები მიიჩნევენ, რომ ვენჩურული კაპიტალი არის მთავარი შესაძლებლობა, შექმნან ევროპული გლობალური კორპორაციული ლიდერები.

2018 წელს ევროსაბჭომ და ევროპის საინვესტიციო ფონდმა 410 მილიონი ევროს ინვესტიცია განახორციელეს ახალ ინიციატივაში VentureEU, რომლის მეშვეობითაც დაარსდა 6 ევროპული ვენჩურული კაპიტალის ფონდი.

1985 წელს ისრაელში პირველი ვენჩურული ფონდი − Athena Venture Partners შეიქმნა, რომლის დამფუძნებლებიც იყვნენ Dan Tolkowsky, Dr. Gideon Tolkowsky და ამერიკელი ვენჩურული კაპიტალისტი Frederick R. Adler. სწორედ ამ უკანასკნელის იდეა იყო, ისრაელის მაღალტექნოლოგიური კომპანიების აქციები NASDAQ-ზე ყოფილიყო წარმოდგენილი.

დღესდღეობით ისრაელში 70 აქტიური ვენჩურული კაპიტალის და 220 საერთაშორისო ფონდი საქმიანობს და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

2019 წლის მონაცემებით, ისრაელში მოქმედი კომპანიები ამერიკულ კომპანიებზე მეტად პოპულარულები არიან.

2014-2018 წლებში ისრაელში სტარტაპები 140%-ით, ხოლო აშშ-ში ინვესტიციები ტექნოლოგიურ სტარტაპებში 64%-ით გაიზარდა. მეტიც – ბევრი ამერიკული კომპანია იმდენად დაინტერესებულია ისრაელის სტარტაპებით, რომ ხშირ შემთხვევაში ახორციელებს ამ კომპანიების შესყიდვას. საბოლოო ჯამში, სტარტაპების ზრდამ და ვენჩურული კაპიტალის განვითარებამ, ისრაელი აქცია „საუკეთესო გამყიდველად.“

ევროპულმა სტარტაპებმა, ევროპულმა ბიოტექნოლოგიურმა კომპანიებმა და ისრაელის სტარტაპებმა ერთობლივად 2018 წელს საერთო ჯამში 28 მილიარდი ევრო მიიღეს. ვენჩურული კაპიტალის ინვესტირების კუთხით, ევროპული ქვეყნების შემდეგ, რომლებიც პირველ სამეულს შეადგენენ, ისრაელი მე-4 ადგილს იკავებს მსოფლიოში.

დღეისათვის, სახელწოდება „სილიკონის ველი“ ამერიკის მაღალტექნოლოგიური სექტორის სინონიმად აღიქმება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-სა და ზოგადად, მთელ მსოფლიოში, უამრავი მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკური ცენტრი წარმოიშვა, „სილიკონის ველი“ მუდამ რჩება ტექნოლოგიური ინოვაციების მთავარ ჰაბად.

„სილიკონის ველი“ (Silicon Valley კალიფორნიაში მდებარეობს და ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიური სტარტაპების ნამდვილი მექაა. ტერმინი ამ რეგიონში სილიკონისგან დამზადებული ჩიპების გამომგონებელთა და მწარმოებელთა დიდმა რაოდენობამ წარმოშვა) არის ბაზა, სადაც წარმოიშვა და განვითარდა ვენჩურული კაპიტალი აშშ-ში.

სწორედ პირველი ვენჩურული ინვესტიციების დამსახურებაა მსოფლიოში ისეთი დიდი კომპანიის გაჩენა, როგორიცაა Google.

„სილიკონის ველზე“ განთავსება სტრატეგიულ მიზნად იქცა მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კომპანიებისთვის. აქ თავს

იყრის ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Facebook, Cisco, Yahoo!, Oracle, Apple, Adobe Systems, eBay, Intel, Twitter და ა.შ.

ვენჩურული კაპიტალის კომპანიების არსებობა ქვეყნის განვითარებას არათუ ხელს უწყობს, არამედ ხშირად ეკონომიკური წინსვლის ლოკომოტივია.

2017 წელს საქართველოშიც შეიქმნა ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია (GVCA). ასოციაციის მთავარ მიზანს ვენჩურული კაპიტალის კომპანიების საქართველოში მოზიდვა წარმოადგენს.

საქართველო ვენჩურული კაპიტალისტებისთვის სასურველი ბაზარია. აქ გადასახადები დაბალია, ცხოვრების დონე – საშუალო. ამ ყველაფერს კი ის ფაქტორი ემატება, რომ მაგალითად, Silicon Valley-ზე სტარტაპკომპანიის განვითარება, ბიზნესის მართვა მეტ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. კომპანიას 4-ჯერ ძვირი უჯდება ბიზნესისა და გუნდის შენახვა, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპაში. შესაბამისად, საქართველოსთვის უნიკალური შანსი იქმნება. კომპანიებს, რომლებიც საქართველოში ისურვებენ ბიზნესის გადმოტანას, ოპერირება გაუმარტივდებათ.

იყო დრო, როცა მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან ბევრი საწარმოს გადატანა ჩინეთში მოხდა, რათა მათი კონკურენტუნარიანობა დაბალი თვითღირებულებით გაზრდილიყო.

ახლა მსგავსი ტრენდი მეორდება უფრო მაღალტექნოლოგიურ დარგში და საქართველოს აქვს უნიკალური შანსი გამოიყენოს.

საქართველოს, როგორც ვენჩურული კაპიტალის კომპანიებისთვის საინტერესო ბაზრის მიმზიდველობას, ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს: ბიზნესის კეთების იოლი და იაფი გზა, დაბალი გადასახადები, იაფი მუშახელი, გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა.

ვენჩურული კაპიტალის კომპანიების განვითარება, თავის მხრივ, უამრავი სფეროს წინსვლას გამოიწვევს – აუდიტორული, იურიდიული კომპანიები, საბანკო თუ მომსახურების სფერო პროექტების დაწყებისთანავე ბევრად სწრაფად გაიზრდება, ასევე გაიზრდება მოთხოვნა, კონკურენცია და.ა.შ.

„ვენჩურული კაპიტალით პროექტების დაფინანსება არაერთი საწარმოს გაფართოებას გამოიწვევს, რაც დასაქმებულთა

მაჩვენებელზე აისახება. შედეგად, მივიღებთ მომწოდებლებისა თუ საშუამავლო მომსახურე რგოლის შემოსავლების ზრდას. გაიზრდება მოთხოვნა და შემოსავლები საბროკერო-საშუამავლო, აუდიტორული, იურიდიული, კვლევითი თუ სხვა დამხმარე კომპანიებისთვის. საბოლოო ჯამში კი განვითარებული კაპიტალის ბაზრები ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანობის წარმოქმნას, ბიზნესის გამჭვირვალობას, სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

საქართველოში ვენჩურული კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია ქვეყანაში შემდეგი მიმართულებების განვითარება:

- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- მაღალტექნოლოგიური პროექტების განვითარება და დარგების აღმოჩენა;
- კომპანიების/ბიზნესის ადგილობრივი და საერთაშორისო შემოსავლების ზრდა;
- სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა;
- კადრებზე მოთხოვნის ზრდა;
- პროგრესის ხელშეწყობა;
- მწარმოებლურობის ზრდა
- ხელფასების მაჩვენებლის ზრდა.

ვენჩურული ინვესტიციები წარმოიშვა მეოცე საუკუნის შუაში და ახლა ფართოდ გავრცელებულია მთელ მსოფლიოში.

ინგლისურ ენაში სიტყვა «venture» ნიშნავს «რისკს», სრულად ასახავს ვენჩურული კაპიტალის ინვესტიციების არსს. ვენჩურული ინვესტიციები ეს არის ფულის ინვესტირების ახალი რისკები პროექტებში.

ვენჩურული ბიზნესი გულისხმობს ახალი იდეების, პროგრესული სამეცნიერო ტექნიკური დამუშავებების დაფინანსებასა და მათ დაყვანას გაყიდვისთვის მიზანშეწონილ დონემდე, ანუ კომერციალიზაციას. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს დიდ ცოდნას, დიდ ფულსა და დიდ გარჯას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი უზარმაზარი მოგების მომტანია.

პირველად ვენჩურული ინვესტიციები განხორციელებული იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში - ზოგიერთ პერსპექტიულ

მაღალტექნოლოგიურ პროექტში, ამ პროექტების ოფისები მდებარეობს სილიკონის ველის ტერიტორიაზე. შედეგად ეს ინვესტიციები ისეთი მომგებიანი აღმჩნდა, რომ მათ ძალიან დიდი მოგება მოუტანეს ვენჩერულ ინვესტორებს. პირველი ვენჩერული ინვესტიციების დამსახურებაა მსოფლიოში ისეთი დიდი კომპანიის გაჩენა როგორიცაა Google.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ დღესდღეობით ვენჩურული ინვესტიციების ძირითადი ობიექტები მაღალტექნოლოგიური პროექტებია.

ვენჩურული დაფინანსების მოცულობები განვითარებულ ქვეყნებში სერიოზულ მოცულობებს აღწევს.

ვენჩურული ბიზნესისათვის დამახასიათებელია შემდეგი სპეციფიკური თავისებურებები: კაპიტალდაბანდებათა ობიექტების როლში სარისკო პროექტების წარმოდგენა; კაპიტალის პორტფელური მართვა; სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბანდება ინოვაციური ფირმის საწესდებო კაპიტალში; ვენჩურული კაპიტალისტის აქტიური მონაწილეობა პროექტის მართვაში ან მის მიერ საიმედო კონტროლის უზრუნველყოფა; პროექტის სიმწიფის ფაზაში ბიზნესიდან ვენჩურული კაპიტალისტის წინასწარ განსაზღვრული გამოსვლა და სხვა.[10]

ვენჩურული კაპიტალის ძირითადი წყაროებია: დამოუკიდებელი ფონდები, რომლებიც ორგანიზებულია პარტნიორობის (ამხანაგობის) პრინციპით; კორპორაციათა ფონდები, რომლებიც გამიზნულია მშობელი კომპანიის სტრუქტურული ქვედანაყოფების სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად; სახელმწიფო სახსრებით შექმნილი ფონდები და პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას; მცირე ინოვაციური კომპანიები; კერძო ინვესტორები და ა.შ.

ყველაზე მსხვილი ვენჩერული ინვესტიცია არის კომპანია Google, რომლის საშუალებითაც ზოგიერთმა ინვესტორმა მილიარდობით დოლარი იშოვა. მაღალტექნოლოგიური პროექტების გარდა ყველაზე პერსპექტიულ სფეროდ ითვლება სხვადასხვა "მწვანე" ტექნოლოგიებში ინვესტირება, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან.

სრულიად სხვადასხვა ფირმები ხდებიან მცირე საწარმოთა მფლობელების პარტნიორები. ჩვეულებრივ, მათ უწოდებენ ხოლმე

ვენჩურულ ფირმებს. გადაიზრდება თუ არა მცირე საწარმო მსხვილ კომპანიად, ეს დიდად არის დამოკიდებული იმაზე, ეწყობიან თუ არა ერთმანეთს მცირე საწარმო და ვენჩურული ფირმა.

განსხვავება ვენჩურულ და სხვა სახის ინვესტიციებს შორის

ვენჩურული ინვესტიციების თავისებურებანია:

• ინვესტიციები ხორციელდება ფინანსური კაპიტალის კომპანიის აქციებზე გაცვლით, საინვესტიციო პროექტის განვითარების საწყის ეტაპებზე;

• ვენჩურული ინვესტირება ხორციელდება პირდაპირ წარმოებაში და მთელი ინვესტირებადი სახსრები მიმართულია წარმოების განვითარებისკენ და ზრდისკენ.

• ვენჩურული ინვესტიციით მაღალი სარგებლის მიღება დაკავშირებულია ორგანიზაციის ღირებულების სწრაფ ზრდასთან ანუ მის კაპიტალიზაციასთან.

• ვენჩურული ინვესტირება არის საშუალო ან გრძელვადიანი. საშუალო ვადა მერყეობს 3 დან 5 წლამდე. ვენჩურულ ინვესტორს არ აინტერესებს მოკლევადიანი მოგება, ის უპირატესობას ანიჭებს რეინვესტირებას და ბიზნესის განვითარებას.

• ინვესტორი ინვესტირებულ თანხას და მოგებას მხოლოდ საინვესტიციო პერიოდის ბოლოს იღებს. მოგება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გაიზარდა კომპანიაში ინვესტორის წილის ფასი მის საწყის ღირებულებასთან შედარებით.

ვენჩურული კაპიტალის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია აგრეთვე დიდი რისკი.

მაღალტექნოლოგიური (ინოვაციური) სტარტაპების განვითარების პრობლემები საქართველოში

უკვე ოთხ წელზე მეტია, რაც ეკონომიკის განვითარების ქვაკუთხედად ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროს განვითარება სახელდება. ამას ადასტურებს საქართველოს მთავრობის ცნობილი 4 პუნქტიანი გეგმა, რომელშიც ასახულია

ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროს განვითარებაც. სწორედ ამ დარგის განსავითარებლად 2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ "ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო", რომლის მიზანია ქვეყანაში ამ სფეროს ხელშეწყობა და ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა.

სწორედ ამ მიზნით სააგენტომ 2016 წელს, მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა, როგორიც იყო სამართლებრივი რეფორმის განხორციელება, ინოვაციების სფეროში ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, ინოვაციების და მეწარმეობის მხარდასაჭერი საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, ინოვაციების და მეწარმეობის ტექნიკური მხარდაჭერა და სხვა.

2016 წელსვე შეიქმნა პროგრამა "სტარტაპ საქართველო", რომელიც თავის მხრივ, ზემოთ ნახსენები მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. პროგრამა ერთობლივად შემუშავდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და საპარტნიორო ფონდის მიერ. "სტარტაპ საქართველოში" მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს ვისაც აქვს ეკონომიკურად მომგებიანი ახალი ან კარგად გაუმჯობესებული იდეა, რომელიც საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველი და მომგებიანი უნდა იყოს.

სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას [1].

პროექტის კოორდინატორები არიან "საპარტნიორო ფონდი" და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო". სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდი ინოვაციურ პროექტებზე. მთლიანად პროგრამისთვის პირველ ეტაპზე გამოიყო 11 მილიონი ლარი, რაც შემდეგ 35 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

პროექტში 51 ფინალისტიდან 20-მა სტარტაპმა გაიმარჯვა და შესაბამისად მიიღო დაფინანსება. ბენეფიციარს არ მოეთხოვებოდა

პროექტის თანადაფინანსება და მისი წილი კომპანიაში არის 95%. პროექტი კი დაფინანსდა 15 ათასიდან 100 ათას ლარამდე. მაღალტექნოლოგიური პროექტების შემთხვევაში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ერთობლივ საწარმოში პარტნიორად რჩება არაუმეტეს 7 წლის ვადით და არ ერევა სტარტაპის მმართველობაში. ინოვაციურმა და ტექნოლოგიურმა გამარჯვებულმა სტარტაპებმა მიიღეს დაფინანსება პირადი ქონებით უზრუნველყოფისა და გირაოს გარეშე. უზრუნველყოფა შემოიფარგლა მხოლოდ პროექტის ფარგლებში შექმნილი აქტივებით.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ტრენინგებს, ქოაჩინგს, მენტორინგს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა ბენეფიცია-რისთვის.

სტარტაპების ეკოსისტემა ძალიან რთული სისტემაა, რომელიც ერთიანობაში ძალიან ბევრ კომპონენტს მოიცავს. პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი მთავარი პირველი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა იყო სტარტაპსაზოგადოების შექმნა. ამისთვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები.

პირველ წელს, როდესაც ინოვაციების სააგენტო შეიქმნა, 150-ზე მეტი წვრილ-წვრილი პატარა ღონისძიება ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით, რათა ხალხში ეს ინფორმაცია გასულიყო და ხალხი ჩართულიყო. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა სტარტაპებისთვის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა და აშენდა ტექნოლოგიური პარკი, რომელიც არის სტარტაპების მხარდასაჭერი სივრცე, სადაც ყველა ადამიანს და სტარტაპს შეუძლია თავისი იდეა რეალურად განახორციელოს. ტექნოლოგიურ პარკში არის ყველა საჭირო მაღალ-ტექნოლოგიური აპარატურა, რომლითაც შესაძლებელია პროდუქტის პირველადი პროტოტიპის შექმნა და სწორედ მისი წარადგენა ინვესტორების წინაშე. აქვეა უფასო საკონსულტაციო სივრცეები საგადასახადო, იურიდიული, საბუღალტრო მიმართულებებით, ასევე, მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების მიმართულებით. ტექნოლოგიური პარკი სთავაზობს იმ უნარებს, რომელიც სტარტაპს საწყის ეტაპზე შეიძლება აკლდეს.

ტექნოლოგიურ პარკში არის საერთო სამუშაო სივრცე და ოფისები სტარტაპებისთვის. ეს ყველაფერი მათთვის არის აბსოლუტურად უფასო. თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, რათა სხვა სტარტაპებსაც ჰქონდეთ საშუალება, რომ გამოიყენონ ის სიკეთეები, რომლებსაც სახელმწიფო მათ სთავაზობს.

რაც შეეხება პრობლემებს, ჯერ კიდევ კერძო საინვესტიციო ფონდების ნაკლებობა აღინიშნება საქართველოში. ამ მიმართულებით კერძო სექტორის გააქტიურება არის საჭირო, რაც სახელმწიფოს შემდგომი წლების უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს. კერძოდ, ინკუბატორი, აქსელერატორი, რომელიც ინოვაციების სააგენტოს აქვს შექმნილი სტარტაპებისთვის, უნდა გადავიდეს კერძო სექტორის მენეჯმენტში და კერძო სექტორის ოპერირების ქვეშ.

აღნიშნულისთვის შეიძლება, რომ სახელმწიფომ გარკვეული სუბსიდიები განახორციელოს და წაახალისოს კერძო სექტორი. თუმცა საგულისხმოა, რომ როდესაც კერძო სექტორი უწევს ოპერირებას და დაინტერესებულია კონკრეტული მოგებით, უფრო მეტი შესაძლებლობაა, ამ სტარტაპმა მიაღწიოს წარმატებას.

ვენჩერული საინვესტიციო პროექტი განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებისთვის, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები და ტელეკომუნიკაცია.

მაღალტექნოლოგიური პროექტები შეაფასეს ვენჩურულმა ინვესტორებმა სილიკონ ველიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროექტის ინოვაციურობას, ბიზნეს-მდგრადობას და პერსპექტიულობას. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლო-გიების სააგენტო ასევე უზრუნველყოფს წარმატებული პროექტების წარდგენას საერთაშორისო ინვესტორებისთვის, დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველში.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, მთავრობის

მიერ გატარებული ყველა მსგავსი სახის ღონისძიების საბოლოო მიზანი ქვეყანაში საერთო სამეწარმეო გარემოს შექმნა და ახალგაზრდა, დამწყები ბიზნესმენების წახალისებაა, რათა მიღწეულ იქნას ქვეყნის სწრაფი განვითარება.

პროექტი ხელს უწყობს დამწყებ ბიზნესმენებს, რომელთა ბიზნესის ჩამოსაყალიბებლად მსგავსი ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია, რაც საბოლოოდ საზოგადოებრივ წინსვლას განაპირობებს. ინოვაციური პროდუქტის სრულყოფა მნიშვნელოვანია ბაზარზე თავის დამკვიდრებისთვის. პროგრამის არსებობა უნიკალური შანსია სრულიად ნულიდან განახორციელოს ინოვატორმა თავისი იდეა და შექმნას პროდუქტი, რომელიც ახალ სიტყვას იტყვის, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ბაზარზე.

"სტარტაპ საქართველოს“ მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვატორების იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

მაღალტექნოლოგიური პროექტებისა და სტარტაპების დაფინანსების დასავლური მოდელი

საქართველოსგან განსხვავებით, დასავლურ ქვეყნებში სტარტაპების დაფინანსებაში სახელმწიფო თითქმის არ მონაწილეობას. თუმცა, სტარტაპერების მომზადებას სახელმწიფო თითქმის სკოლის ასაკიდანვე იწყებს. კერძოდ, სტარტაპერების მომზადება სკოლის ასაკიდანვე იწყება და პირველ რიგში სტარტაპერების ჩამოყალიბება ხდება პროფესიულ სასწავლებლებში, რომლებშიც სტარტაპერებს როგორც ტექნიკურად, ისე მორალურად საკმაოდ კარგად ამზადებენ, შემდგომი ბიზნესის წარმოებისთვის. შემდეგ მოდის “ენჯელ ინვესტორები” ადამიანები, რომლებიც პირველ დაფინანსებას აძლევენ სტარტაპს. შემდეგი ეტაპია აქსელერატორის გარემო. აქსლერატორში გამართული მოკლე პრეზენტაციის შემდეგ კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს, წამოიღოს დამატებითი სახსრები, კომპანიის თანამშრომლებისთვის, რეგულარული ერთგვარი, ხელფასის გადასახდელად, რათა ახალგაზრდა კომპანიამ მეტი დრო

დაუთმოს პროდუქტზე მუშაობას. ამას მოსდევს, კომპანიის მხრიდან ვენჩურული კაპიტალის მოზიდვა.

ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპების განვითარებისთვის საქართველო ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებასა და, რა თქმა უნდა, სილიკონის ველის გამოცდილებას ეყრდნობა. ასევე, ისრაელის გამოცდილება არის მნიშვნელოვანი, რადგან მას როგორც საქართველოს არ აქვს მდიდარი ბუნებრივი რესურსები და ზუსტად ინტელექტუალური შესაძლებლობების კომერციალიზაციით მათ შეძლეს ძალიან ძლიერი და მდგრადი ეკონომიკის განვითარება. სწორედ ინოვაციების განვითარებით, ისრაელში ძალიან სერიოზულად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ევროპის გამოცდილება, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანიისა და ბალტიის ქვეყნების გამოცდილება. ეს არიან ის სახელმწიფოები, რომლებთანაც მუდმივი პარტნიორობა არსებობს სტარტაპების დონეზე. ამან უზრუნველყო ისიც, რომ სტარტაპებიც საერთაშორისო გახდა.

მაგალითად, საქართველოში ახალდაფინანსებულ სტარტაპებში გვხვდება ქართულ-ესტონურ-კანადური, ქართულ-იტალიური სტარტაპები, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთობლიობაში არსებობს შესაძლებლობა, რომ კონკურენტუნარიანი პროდუქტი იქნას შეთავაზებული მსოფლიო საზოგადოებისათვის.

ვენჩურული ინვესტიციის მოზიდვა არის ერთ-ერთი ბოლო საფეხური "ექსითიმდე". ვენჩურულ ინვესტიციას ჩვეულებრივი ინვესტიციისგან, გაცილებით მაღალი რისკი განასხვავებს. ასევე, ინვესტორი ინვესტიციის სანაცვლოდ კომპანიის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ხდება. სწორედ ეს არის ვენჩურული ინვესტიციის მთავარი ხიბლი. ასეთ შემთხვევაში კომპანიის წარმატებით გაყიდვის შემთხვევაში, ინვესტორი მნიშვნელოვან ბენეფიტებს იღებს. კომპანიის გაყიდვის შემდეგ კომპანია სტარტაპად აღარ ითვლება და მიიჩნევა, რომ ასეთ შემთხვევაში სტარტაპი შედგა.

2017 წელს, გლობალური პოტენციალის მქონე ტექნო-ლოგიური სტარტაპების დაფინანსების მიზნით, საქართველოში შეიქმნა კიდევ ერთი (ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესი)

პროექტი ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია (GVCA), როგორც „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“.

„ალიანს ჯგუფი ჰოლდინგი“ დაარსების დღიდან ინვესტირებას ახორციელებს და ქმნის კომპანიებს იმ დარგებში, რომელთა განვითარებაც ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. კომპანიისთვის მთავარი პრიორიტეტია მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე და ტექნოლოგიური დარგების განვითარების ხელშეწყობა, რომელიც განვითარებულ კაპიტალურ ბაზართან ერთად ქვეყნის რეგიონულ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

პრობლემები და გამოწვევები

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც დღეს როგორც ინოვაციურ, ისე სტარტაპ ბიზნესს უდგას არის საწყისი კაპიტალის არქონა. სწორედ ის საწყისი კაპიტალი, რომელიც საჭიროა მუშაობის დასაწყებად. ასეთი ტიპის ტვირთს როგორც წესი, კერძო სექტორი იღებს და აღნიშნული პრობლემა, სხვა უკვე კარგად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებსაც ედგათ თავის დროზე და მათ ეს პრობლემა ვენჩურული ფონდების საშუალებით გადაჭრეს.

ვენჩურული ფონდი ეს არის ერთგვარად სტარტაპებზე ორიენტირებული საინვესტიციო ფონდი, რომელსაც ჰყავს საკუთარი ექსპერტები, სწორედ ამ ექსპერტების მოვალეობაში შედის სტარტაპის შეფასება. ისინი დეტალურად სწავლობენ სტარტაპ იდეას და თუ იდეა ეკონომიკურად მართლაც, პერსპექტიულია მხოლოდ ამის შემდეგ აბანდებენ ფულს სტარტაპში. თუმცა, ჩვენს რეალობაში ძნელია კერძო სექტორი დაარწმუნო სტარტაპ ბიზნესის დაფინანსებაში, რომელსაც როგორც წაგებისთვის განწირულ ბიზნესს ისე განიხილავენ, რაც, ცხადია, არასწორი მიდგომაა, ამიტომაც აღნიშნული პრობლემის მოგვარება, ისევ სახელმწიფომ სცადა, კერძოდ, ამოქმედდა საგრანტო კაპიტალის რეფორმა. რომლის მთავარი ამოცანაც, მცირე და მიკრო ბიზნესის დაფინანსება იყო. რეფორმის ფარგლებში სახელმწიფო ბანკის მიერ გაცემული სესხის 70-%-ის გარანტორია

და 2019 წლის ბიუჯეტში ამისთვის 20 მლნ ლარი იყო გამოყოფილი.

იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული ინიციატივა ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად უმცირებს ბანკებს რისკებს, ხოლო, მეორე მხრივ, უზრდის მცირე ბიზნესს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, პროგრამას მაინც მრავალი ხარვეზი აქვს და მან არსებითად ვერ შეცვალა სტარტაპ ბიზნესის განვითარების დონე ქვეყანაში.

მთავარი პრობლემა, რომელიც აღნიშნულ რეფორმას გააჩნია, არის 30%-ნი თანამონაწილეობა. პროგრამის მიხედვით სახელმწიფო აფინანსებს მაქსიმუმ 70% -ს, რაც საკმაოდ კარგი პირობაა მცირე ან საშუალო ბიზნესისთვის, მაგრამ არა სტარტაპ ბიზნესისთვის. რომელიც ხშირ შემთვევაში მხოლოდ იდეასა და ბიზნეს გეგმას მოიცავს და 100%-ით დამოკიდებულია ინვესტორის დაფინანსებაზე. მეორე პრობლემა, რომელიც გააჩნია პროგრამას, არის შეზღუდული ბიუჯეტი, რომელსაც პრაქტიკულად არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს დაკრედიტების საერთო სურათზე.

“სტარტაპ საქართველო”-ს პროგრამის მაღალტექნოლო-გიური კომპონენტის ფარგლებში წარდგენილი 149 განაცხადიდან, კონკურსის წესით, შეირჩა და დაფინანსდა 20 სტარტაპი. სულ კი “სტარტაპ საქართველო”-ს პროექტზე წარდგენილი იყო 726 განაცხადი, აქედან 149 მაღალტექნოლოგიურ კომპონენტზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კორონა ვირუსის პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა, 2020 წლის კონკურსში მონაწილეობა მიიღო 94-მა ახალგაზრდულმა გუნდმა თბილისიდან, გურიიდან, სამეგრელო-ზემო სვანეთიდან და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთიდან. ათმა ფინალისტმა გაიარა ბიზნეს-კონსულტაციის სრული კურსი, იდეის ჩამოყალიბე-ბიდან ბიზნეს გეგმის დაწერამდე, რომელსაც პროფესიული კონსულტანტები და გამოცდილი მეწარმეები უძღვებოდნენ. კონკურსის დასკვნით ეტაპზე, ხუთი გამარჯვებული გუნდი გამოავლინა სპეციალურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ UNDP-ის, საქართველოს ბანკის, კერძო სექტორისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდულ კონკურს-ში (Social Impact Award 2020) გამარჯვებულები გამოვლინდა.

წელს საუკეთესო იდეებს შორისაა სოციალური კაფე ლანჩხუთში, მეფუტკრეობა მაღალმთიან ლეჩხუმში, მობილური აპი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (UnLimited) და ონლაინ პლატფორმები განათლებისა და სოფლის მეურნეობისთვის, (QANDLE.GE და AGROSERV.GE).

სოციალური მეწარმეობის გლობალური ინიციატივა (Social Impact Award) წელს თბილისის ფარგლებს გასცდა და საქართველოს რეგიონებიც მოიცვა, რამაც შესაძლებლობა მისცა სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდა მეწარმეებს მიეღოთ 2 ათასი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური მხარდაჭერა და პროფესიული საკონსულტაციო დახმარება თავისი იდეების განსახორციელებლად.

ახალგაზრდული იდეების კონკურსი ჩატარდა ორგანიზაცია Impact Hub Tbilisi-ის ორგანიზებით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), საქართველოს ბანკის და შვეიცარიის, ავსტრიისა და საქართველოს მთავრობების მხარდაჭერით.[16]

დასკვნა

წლიურ თემაში განხილულია საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო და მისი ნაკლოვანებები, რომელთა გაუმჯობესება და სრულყოფა აუცილებელია წარმოების და ეკონომიკური ზრდისთვის, ასევე დამწყები საწარმოებისა და ინოვაციური მეწარმეობის განვითარებისთვის. დღევანდელ საქართველოში ნამდვილად საჭიროა სწორი პოლიტიკის გატარება, რომელიც გააუმჯობესებს სტარტაპების მხარდაჭერის და დაფინანსების პროგრამებს.

პირველ რიგში, აუცილებელია გაუმჯობესდეს ზოგადად ბიზნეს გარემო, რათა მეწარმეებს ჰქონდეთ მეტი სტიმული დაიწყონ ახალ-ახალი საქმიანობები;

1) უნდა გაიზარდოს ბაზრებზე წვდომა;

2) აუცილებელია ინოვაციის ხელშემწყობი ინსტრუმენტების და ინსტიტუტების შექმნა;

3) ტექნოლოგიებისა და ცოდნის გაცვლის შესაძლებლობა;

4) საკანონმდებლო გარემოს მოწესრიგება;

5) მეწარმეობის კიდევ უფრო განვითარება.

სტარტაპის სფერო ახალია საქართველოსთვის, პროცესები ვითარდება დინამიურად, მაგრამ, რადგან ჯერ ძალიან ახალია აქედან გამომდინარე, ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. სტარტაპები ძირითადად ლოკალურია. მაგალითად ისრაელში სტარტაპები გათვლებს აკეთებენ მსოფლიო ბაზრისთვის. ასევე, წარმატებული სტარტაპების წილი ჩვენთან საკმაოდ დაბალია, განსაკუთრებით ინოვაციური სტარტაპების მიმართულებით. სულ რამდენიმე სტარტაპია ბოლო წლებში შექმნილი, რომლებზეც შეიძლება ითქვას, რომ წარმატებულია. სახელმწიფომ კატალიზატორის როლი უნდა ითამაშოს, რაღაც პროცესები უნდა დაძრას და შემდეგ ამას კერძო სექტორი გაჰყვება. სახელმწიფომ უნდა ასტიმულიროს ინოვაციური აქტივობები, ისე როგორც მაგალითად, ტექნოპარკის შექმნამ სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება დააჩქარა.

სტარტაპების ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისთვის საჭიროა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა:

1. სამართლებრივი რეფორმა ინოვაციების სფეროში;
2. ინოვაციების ეკოსისტემისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება;
3. საქართველოს განათლების სისტემის გაძლიერება და ადამიანური კაპიტალის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
4. კვლევები და განვითარების (R&D) სექტორის გაძლიერების ხელშეწყობა და წახალისება;
5. საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და მასზე

დამყარებული სერვისების განვითარების ხელშეწყობა და ა.შ.

სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, ტექნოპარკების, ინოვაციური ცენტრების სამრეწველო ლაბორატორიების შექმნა უმეტესად რეგიონებში (დედაქალაქში უკვე არის რვა სამრეწველო ლაბორატორია და სამი ინოვაციების ლაბორატორია). მეორე მიმართულება - ჩვენი ქვეყნისათვის ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის პოლიტიკის შემუშავებაა საერთაშორისო პრაქტიკის, უპირველესად გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების, გათვალისწინებით. აუცილებელია განისაზღვროს

ბიზნეს-ინკუბატორების სტატუსი, მართვის სტრუქტურა და ფუნქციები, რაც დღეისათვის ცოტა ბუნდოვანია საქართველოში არსებული ბიზნეს ინკუბატორების შემთხვევაში.

ინოვაციური ინფრასტრუქტურა უნდა ითვალისწინებდეს, ერთი მხრივ - სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას და მისი შესაბამისი სუბიექტების ქმედების კოორდინაციას, მეორე მხრივ კი - ყველა დაინტერესებული სტრუქტურის ინტეგრაციას სიახლის რეალიზაციაში, ინვესტორების მოზიდვისა და ისეთი პირობების შექმნის საქმეში, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკაში ინოვაციური პროცესის გააქტიურებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტარტაპ ბიზნესის განვითარების და ინოვაციური მეწარმეობის დახმარების პროგრამა უნდა მოიცავდეს ისეთ პუნქტებს, როგორებიცაა:

1. სტაბილური ეკონომიკური გარემოს შექმნა;
2. ბაზრის გამოკვლევა და ინფორმაციის საჯაროობა;
3. სტარტაპების საექსპორტო პოტენციალის წახალისება;
4. ფინანსსებზე ხელმისაწვდომობა;
5. სახელმწიფომ და კერძო სექტორმა ერთად უნდა განავითარონ ინოვაციების ეკოსისტემა, კერძო სექტორის როლი გაცილებით მზარდი უნდა იყოს, ვიდრე სახელმწიფოსი;
6. კერძო სექტორის სრული ჩართულობა სტარტაპის დაფინანსებაში;
7. შეღავათიანი კრედიტი;
8. მენტორობის ინსტიტუტის შექმნა
9. სტარტაპების განვითარების პროცესში უნივერსიტეტების ჩართულობა, რისთვისაც უნივერსიტეტებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა არამარტო ფიზიკური, არამედ ადამიანურიც;
10. სამეცნიერო ინოვაციების განვითარება. სწორედ ამ მიმართულებით, უნდა შეიქმნას ტექნოლოგიური გადაცემის ერთიანი სისტემა, რომელიც გულისხმობს აბსოლუტურად ყველა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების დახმარებას;
11. უნდა მოხდეს იმ ტექნოლოგიების იდენტიფიცირება და შეფასება, რომელიც იქმნება დღეს საქართველოში;

12. ტექნოლოგიები, რომელთაც აქვთ კომერციალიზაციის პოტენციალი, უნდა დაპატენტდეს მთელ მსოფლიოში და მოხდეს ფოკუსირებული ლიცენზირება უკვე დიდ წამყვან ინდუსტრიულ კომპანიებზე, რაც იქნება რეალურად ქართული უნივერსიტეტებისა და ქართული განათლების სისტემის განვითარების ყველაზე დიდი ფინანსური წყარო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. მახარაძე. ინოვაციური ბიზნესი - „სტარტაპ საქართველო“ თანამედროვე ეტაპზე. ჟურნალი. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა / N 4 , თბ., 2017;

2. საქართველოს კანონი “დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2016;

3. საქართველოს კანონი „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2016;

4. საქართველოს კანონი „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

5. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის;

6. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 230, სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ, თბილისი 2011;

7. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულება“, თბილისი 2014;

8. აწარმოე საქართველოში ოფიციალური გვერდი - http://www.enterprisegeorgia.gov.ge;

9. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - http://www.economy.ge/;

10. პირდაპირი ინვესტირების და ვენჩურული კაპიტალის ევროპული ასოციაცია -www.evca.com;

11. საქართველოს თანაინვესტირების ფონდი - www.gcfund.ge;

12. საქართველოს ეროვნული ბანკი - www.nbg.gov.ge;

13. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო-https://gita.gov.ge/geo/static/139

14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://geostat.ge/;

15. სს „საპარტნიორო ფონდი" - www.fund.ge;

16. სტარტაპ საქართველოს ოფიციალური გვერდი - http://startup.ge;

17. Райгородский Д. Я. Психология предпринимательства. Хрестоматия: Учебное пособие. – М: БахрахМ, 2007.–786 с.;

18. Мурыгина Л. С., Тангина Д. Ю. Основные проблемы стартапа на ранних стадиях его развития. - ЕМЕННАЯ НАУКА: АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ, ДОСТИЖЕНИЯ И ИННОВАЦИИ. Сборник статей II народной научно-практической конференции. Часть 3. 2018. С. 77-79 ;

19. Лиоба Верт. Экономическая психология. Теоретические основы и практическое применение. – М:итарный центр, 2013. – 432 с.

20. 20. Безрукова Т.Л., Степанова Ю.Н., Шанин И.И., Дуракова Ю.В. СОВРЕМЕННОЕ СОСТОЯНИЕ И РАЗВИТИЕ СТАРТАПОВ // Успехи современного естествознания. – 2015. – № 1-1. – С. 95-97; URL: http://www.natural-sciences.ru/ru/article/view?id=34786 (дата обращения: 02.12.2020).

Zurab Tsereteli

THE PROBLEMS AND PERSPECTIVES OF BUSINESS STARTUP DEVELOPMENT IN GEORGIA

Summary

In the paper is discussed the various concepts of startup organizations (some of views are inconsistent with a real goal of the startup), about its concrete stages and features as well as about investment and financing, venture capital, venture capital investment, innovative business startups, the existing legal and regulatory framework which are presented in Georgian current startup market.

It's also discussed about programs and directions in the organizations which are supported by state. We are talking about experience of the foreign startup businesses, their problems and prospects for development these startups in Georgia. In the paper are also given the formulated rec-

ommendations that should be used by business sector for making a successful work.

Keywords: *Startup, Business Startups, Innovative Startup, Startup Stages, Venture Capital, Venture Investments, Techno Park, Business Incubators.*

ლია დვალიშვილი

ინოვაციები ჰაერის დაცვის სფეროში საქართველოში: არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები

ანოტაცია. *ნაშრომში გაანალიზებულია ქვეყანაში ჰაერის დაცვის მიმართულებით არსებული პრევენციული ღონისძიებები. შეფასებულია ჰაერის დაბინძურების გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მსხვილ ქალაქებში, სადაც სამრეწველო ობიექტების და ტრანსპორტის გამონაბოლქვი აბინძურებს ჰაერს, გამოკვეთილია ძირითადი ინოვაციები ჰაერის დაცვის სფეროში.*

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის არსებული სისტემის ფუნქციონირებაზე. ევროკავშირი წარმატებით ახორციელებს ჰაერის ხარისხის სტანდარტის შენარჩუნებას გარემოს დაცვის მართვის საუკეთესო უნარების წყალობით, რაც ჩვენს ქვეყანაში ძალიან ნაკლებად არის.

აღნიშნულია, რომ ატმოსფერული ჰაერის დაცვის კუთხით საქართველოში, მიუხედავად ბოლო პერიოდში განხორციელებული მრავალი სახის პოზიტიური ცვლილებისა, არასახარბიელო მდგომარეობაა. კანონმდებლობა სათანადოდ ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს, შედეგად, ვერ ხერხდება დაბინძურების მიზეზებისა და მისი შედეგების სიღრმისეული ანალიზი და შესაბამისად ჰაერის დაბინძურების შემცირებისთვის ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

საკვანძო სიტყვები: *ეკოინოვაცია, ინდიკატორული გაზომვა, ავტომატური მონიტორინგის ქსელი, მწვანე ეკონომიკა, ემისია, ბიოტექნოლოგიური ინოვაციები, გარემოსდაცვითი კონცეფცია, ჰაერის ხარისხის მონიტორინგი.*

* * *

საქართველო, ისევე, როგორც მთლიანად თანამედროვე სამყარო, განვითარებისა და ტექნოლოგიური წინსვლის ფონზე უამრავი გარემოსდაცვითი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ბოლო ათწლეულში კლიმატის ცვლილებამ, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ის ეკოლოგიური გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მსოფლიოს წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. იგი დაკავშირებულია მნიშვნელოვან გარემოსდაცვით და სოციალურ პრობლემებთან. ჰაერის დაბინძურება მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი რისკფაქტორია სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით.

დაბინძურებული ჰაერისგან ყველა საფრთხეში ვართ, რადგან დედამიწაზე ყოველი 10 ადამიანიდან 9 დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს – აცხადებს გაერო. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გარემოს დაბინძურება ჯანდაცვის მზარდ, გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს და წელიწადში 7 მილიონამდე ადამიანის დაღუპვას იწვევს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ჰაერის დაბინძურებას მთელი მსოფლიოსთვის წელიწადში 225 მილიარდი დოლარის ზარალი მოაქვს. თუ სიკვდილიანობით გამოწვეულ ზარალს ცხოვრების ხარისხის გაუარესებით მიყენებულ ზიანსაც დავუმატებთ, საერთო ზარალი 1 ტრილიონ დოლარს აღწევს. ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამო ყოველწლიურად კარგავს მშპ-ის 7,5%-ს[9].

წიაღისეული საწვავის მოხმარება, სატრანსპორტო საშუალებები და საწარმოები არა მარტო ჰაერს აბინძურებს, არამედ პლანეტის დათბობის და ნახშირორჟანგის გამოყოფის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამ პრობლემების მოგვარება საყოველთაო ჯანდაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი უნდა იყოს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური განყოფილების მიერ შემუშავებული ჩარჩო-რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრულ 12 ძირითად მიმართულებას შორის, რომელიც გარემოსდაცვითი

სტატისტიკის მთავარ სფეროებს ასახავს, ერთ-ერთ მიმართულებად ჰაერის ხარისხი განისაზღვრა.

ჰაერის დაბინძურება ევროპაში ერთ-ერთ დიდ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს. ევროპის ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის 95% მტვრის შეწონილი ნაწილაკების და მიწისპირა ოზონის მავნე ზემოქმედებას განიცდის. ევროკავშირში ჰაერის დაბინძურება ადრეული სიკვდილიანობის მთავარი გარემოსდაცვითი ფაქტორია. EC-ის 2008 წლის დირექტივა ,,ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ“ განსაზღვრავს სტანდარტებს ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე იმ დამაბინძურებლების კონცენტრაციასთან მიმართებაში, რომლებსაც ყველაზე დიდი გავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტები თითქმის ოცი წლის წინ განისაზღვრა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული, ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენის მქონე ნაწილაკების რეკომენდებული ლიმიტები ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ლიმიტების ნახევარს შეადგენს.

საქართველოში ჰაერის ხარისხი ევროკავშირის მიერ დაწესებულ ნორმებთან შეუსაბამოა. ჩვენს ქვეყანაში ჰაერის დაბინძურება საკმაოდ მაღალია, ხოლო კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებსაც კი ვერ უახლოვდება.

ქვეყნის მასშტაბით ჰაერის ხარისხის სტანდარტები ეფუძნება მაქსიმალურად აღიარებულ მაჩვენებლებს და შეუძლებელია მისი პირდაპირ შედარება იმ სტანდარტებთან, რომელიც მიღებულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და EC-ის მიერ.

2017 წლის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშში – ,,ჯანმრთელობის მონიტორინგი მდგრადი განვითარების მიზნებისთვის“ – საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ საქართველო ევროპაში მესამე ადგილზეა შენობაში და შენობის გარეთ არსებული დაბინძურებული ჰაერით გამოწვეული სიკვდილიანობით (ყოველ 100000 ადამიანზე).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2018 წლის მონაცემებით, ჰაერის დაბინძურებასთან ასოცირებული სიკვდილიანობის მიხედვით საქართველო 70-ე ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ ჰაერის დაბინძურებასთან დაკავში-რებული გულ-სისხლძარღვთა, რესპირატორული დაავადებები და სიმსივნეები ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

ქვეყანაში არ მიმდინარეობს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული პარამეტრების მიხედვით ჰაერის დაბინძურების ზუსტი გავლენის შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, რის უმთავრეს მიზეზადაც ჰაერის ხარისხის მონიტორინგის არსებული სისტემა სახელდება, რომელიც ჰაერის დაბინძურების სრულფასოვან სურათს არ იძლევა. შესაბამისად რთულია დანამდვილებით ითქვას, თუ კონკრეტულად რომელი დამაბინძურებლები ქმნიან ქვეყანაში მომეტებულ საფრთხეს ჯანმრთელობისთვის და რა სახის დაავადებების წარმოქმნას განაპირობებენ ისინი მეტწილად.

ევროკავშირის მიერ დადგენილი ჰაერის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით 15 ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ეფექტიანობის აუდიტი ჩატარდა. ანგარიში ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების ინდივიდუალურ კვლევებს ეფუძნება. ერთობლივი ანგარიში ევროპის უმაღლესი აუდიტორული გაერთიანების (EUROSAL) ეგიდით მომზადდა.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოში ჰაერის დაბინძურების მთავარი მიზეზები სამშენებლო და სატრანსპორტო სექტორშია. ორივე სექტორში წარმოიქმნება CO (ნახშირორჟანგი), SO_2 (გოგირდის დიოქსიდი), NO (აზოტის მონოოქსიდი), NO_2 (აზოტის დიოქსიდი) და მყარი ნაწილაკები. კვლევამ აჩვენა, რომ ჰაერის დაბინძურების მთავარი, გამოკვეთილი წყარო არის ავტომობილების გამონაბოლქვი, ამავე დროს, მასთან დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალებების ხანდაზმული ასაკი, რადგან ქვეყნის ავტოპარკის 91% ათ წელზე მეტი ხნისაა და წვის ძრავა მოძველებული.

უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს კანონზე ,,ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, რომელშიც უნდა ასახულიყო ჰაერის ხარისხის დაცვის სფეროში ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ღონისძიება. 2015 წლის 15 დეკემბერს

საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა საკანონმდებლო პაკეტი ,,ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული კანონი მიღებული და დამტკიცებული იქნა 2016 წლის 26 აპრილს.

კანონპროექტში წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად შეეხო ,,ოზონის შრის“ დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებას.

აღნიშნული კანონპროექტით, ერთ-ერთი ცვლილება შეეხო ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები განისაზღვრება 5 წელიწადში ერთხელ, დებულებით ,,გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვას სამინისტრო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. კანონპროექტის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები წოდებულია როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი სტანდარტი და წარმოდგება გარემოს ხარისხობრივი ნორმების (სტანდარტების) შემადგენელ ნაწილად. მას ამტკიცებს მთავრობა ტექნიკური რეგლამენტის − ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი სტანდარტის სახით.

ამავე კანონპროექტით განსაზღვრულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენა ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით.

უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №383 დადგენილებით ტექნიკური რეგლამენტის − ,,ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტები“ − დამტკიცება, რომელიც ასახავს 2008/50/EC და

2004/107/EC დირექტივებით გათვალისწინებული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრულ მნიშვნელობებს.

საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება წარმოადგენს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების რისკის შემცირების მთავარ ინსტრუმენტს, ვინაიდან იგი საქართველოსგან 2023 წლის ბოლოსთვის ითხოვს ქვეყნის კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის ექვს მთავარ დირექტივასთან ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის შესახებ.

ევროკავშირი საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმება ავალდებულებს საქართველოს, ,,გააქტიუროს დაახლოება ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან გარემოს დაცვის მართვის საქმეში“ და ასევე ,,მოახდინოს გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრირება პოლიტიკის სხვა სფეროებში“. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირმა გარემოს დაცვის პოლიტიკაში ქვეყნის მასშტაბით უფრო მეტი კრეატიულობა და სიცხადე შეიტანა.

გარემოს დაცვის 2017-2020 წლების მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად (მუხლი 304), განსაზღვრავს სამ მთავარ მიზანს: ემისიების ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესებისა და მოდელირების სისტემის დანერგვა; ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში გამონაბოლქვის შემცირება; ჰაერის ხარისხის მონიტორინგის და შეფასების ქსელის შექმნა.

ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და პროგნოზირების ერთობლიობაა. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგზე ქვეყნის მასშტაბით პასუხისმგებელ ორგანოს გარემოს ეროვნული სააგენტო წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბით გარემოსდაცვითი სექტორის ღრმა რეორგანიზაცია დაიწყო 2011 წელს. შესაბამისად, ინოვაციებიც ჰაერის დაცვის სფეროში სათავეს ამ პერიოდიდან იღებს. 2012 წლიდან სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაიწყო დაკვირვების ქსელის მოდერნიზაცია. საქართველოში ამოქმედდა პირველი ავტომატური სადგური. 2016 წლიდან როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში დაიწყო ავტომატური სადგურების შეცვლა თანამედროვე ავტომატური სადგურებით, და ახალი სადგურების მონტაჟი.

2012-2016 წლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებდა მხოლოდ ხუთ ქალაქში: თბილისში, რუსთავში, ზესტაფონში, ქუთაისსა და ბათუმში. დღეისათვის ქვეყანაში ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებს ექვს ქალაქში 10 სადამკვირვებლო სადგურის მეშვეობით. ამასთანავე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მიზნით, საქართველოს 25 ქალაქში ხორციელდება ინდიკატორული გაზომვები. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაცვის მიზნით ის საქართველოს ტერიტორიაზე 2015 წლიდან ტარდება. მეთოდოლოგიის შესაბამისად, გარკვეული პერიოდის (ორი კვირა) განმავლობაში სხვადასხვა დასახლებული პუნქტების წინასწარ შერჩეულ წერტილებში ხდება ინდიკატორული მილაკების განთავსება, სხვადასხვა დამაბინძურებლებზე სინჯების აღება. მილაკების ანალიზი ტარდება დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს აკრედიტებულ ლაბორატორიში. მიღებული კონცენტრაციების მნიშვნელობა კი ფასდება ევროკავშირის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდექსებთან ჰარმონიზებული სისტემით. ინდიკატორული გაზომვები ტარდება წელიწადში 4-ჯერ.

საქართველოში ჰაერის ხარისხის მონიტორინგი ეფუძნება 2 არაავტომატური და 8 ავტომატური სადგურის მონაცემებს, რომლებიც მართულია NEA-ს მიერ. სადგურები უფრო მეტად იმ ადგილებშია განლაგებული, სადაც არის მაღალი დაბინძურების დონე, სამრეწველო საწარმოებთან სიახლოვე ან გადატვირთული მოძრაობა.

სააგენტოს მიერ ახალი სადგურების ქსელის დამონტაჟების მიზანი მისი ევროკავშირის დირექტივასთან EC 2008/50/EC შესაბამისობაა.

ავტომატურ სადგურებზე 24 საათის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძუ-

რებლების შემცველობის მონიტორინგი. ავტომატური სადგურებიდან ინფორმაციის მოწოდება უწყვეტად მიმდინარეობს, ხოლო არაავტომატური სადგურებიდან კი − თვეში ერთხელ.

მობილური ავტომატური სადგურის საშუალებით ადგილზე ატმოსფერული ჰაერის რვა დამაბინძურებელი ნივთიერების (PM_{10}, $PM_{2,5}$, ნახშირორჟანგი, გოგირდის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდი, აზოტის დიოქსიდი და ოზონი) კონცენტრაციები განისაზღვრება. შემოსული მონაცემების ანალიზის შემდეგ მათი განთავსება ხდება მონაცემთა ბაზებში. ავტომატური სადგურებიდან მიღებული ყოველდღიური მონაცემები კი ქვეყნდება სააგენტოს ვებგვერდზე : www.meteo.gov.ge.

მონაცემების დამუშავების შემდეგ მზადდება და ამავე ვებგვერდზე ქვეყნდება ყოველთვიური ბიულეტენი, ჰაერის დაბინძურების წელიწდეული და ინდიკატორული გაზომვის შედეგები. გარდა ამისა, აღნიშნული ინფორმაცია ელექტრონულად მიეწოდება შესაბამის სამსახურებსა და უწყებებს.

2019 წელს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს ორი ახალი თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი სადგური დაემატა, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვების ქსელი. ამავდროულად, 2019 წელს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი ,,Air.gov.ge“ შეიქმნა. ამ ინოვაციის საშუალებით, პორტალზე, ერთ სივრცეში თავი მოიყარა სხვადასხვა სტაციონარული სადგურებიდან ავტომატური კავშირისა და ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებულმა მონაცემებმა ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ. 2020 წლისთვის დაგეგმილია ახალი მობილური ავტომატური სადგურის შეძენა დასავლეთ საქართველოსთვის, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ჰაერის ხარისხის დადგენა სხვადასხვა ლოკაციებზე.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთან (EEA) მუშაობის შედეგად, საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონაცემების ნახვა უკვე ევროპულ პორტალზეც უწყვეტ რეჟიმშია შესაძლებელი.

მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში ჰაერის მონიტორინგის ქსელის განვითარების მიმართულებით განხორ-

ციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, არსებული სისტემა ქვეყნის მასშტაბით ჰაერის დაბინძურების ობიექტურ, სრულფასოვან სურათს არ იძლევა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სადგურების მცირე რაოდენობა, რომელიც ქვეყნის ტერიტორიას სრულად არ ფარავს, მათ შორის იმ ტერიტორიებს, სადაც არსებობს დაბინძურების მაღალი რისკები.

ევროკავშირის ფარგლებში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი უნდა შეფასდეს დაბინძურების დონეების მიხედვით, იმგვარი მეთოდების გამოყენებით, როგორებიცაა: სტაციონარულრი გაზომვა, მოდელირება, ინდიკატორული გაზომვა ან მათი კომბინაცია. საქართველოში, დღეის მდგომარეობით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა მსგავს მიდგომას არ ეფუძნება.

ქვეყნის მასშტაბით ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სრულყოფილი ქსელის ჩამოყალიბება პირდაპირ უკავშირდება როგორც ადამიანის ჯანმრთელობაზე კონკრეტული დამაბინძურებლების და მათი წყაროების გავლენის შეფასების, ასევე, არსებული და მოსალოდნელი გაფრქვევების შემთხვევებზე სათანადო რეაგირების და ქმედითი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ზემოთ აღნიშნული პროცესები წარიმართოს დროულად და ასოცირების შეთანხმებით დადგენილი მოთხოვნების მაქსიმალურად დაცვით.

2008 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების ემისიების საერთო ტენდენცია ნეგატიურია. თითქმის ყველა ემისია გაიზარდა. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების წილი 2013-2018 წლების მონაცემების საფუძველზე შემდეგნაირად გამოიყურება: 1) გოგირდის დიოქსიდი (SO_2); 2) აზოტის ოქსიდები (NO_X); 3) არამეთანური აქროლადი ორგანული ნაერთები (NMVOC); 4) ამიაკი (NH_3); 5) ნახშირბადის მონოოქსიდი (CO); 6) მტვრის ნაწილაკები (TSP); 7) მყარი ნაწილაკები (PM_{10}); 8) მყარი ნაწილაკები ($PM_{2,5}$).

ქვეყნის მასშტაბით ემისიებში პირველობა სატრანსპორტო სექტორს მიეწერება. კერძოდ ნახშირორჟანგის გაფრქვევათა 87%; აზოტის ჟანგეულების 70%; გოგირდის დიოქსიდი 50%; აქროლადი ორგანული ნაერთების 40% სწორედ სატრანსპორტო

საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში. საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული ანგარიშის თანახმად, ჰაერის დაბინძურების სულ მცირე 75% (NO_X, გოგირდის ოქსიდები, O_3) მოდის ტრანსპორტის სექტორზე.

სპეციალისტთა აზრით, სათანადო რეგულაციებისა და ყოველწლიური სავალდებულო უსაფრთხოების ტესტის გარეშე შეუძლებელი იქნება მიმოსვლის საშუალებების მიერ გზებზე მაღალი დაბინძურების აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

2004-2014 წლამდე მონაკვეთში საქართველოში მიმოსვლის საშუალებების რაოდენობა სამჯერ 319,461-დან 1,021,261-მდე გაიზარდა [5].

2018 წელს ავტოპარკის ზრდის მაჩვენებელმა 2016 წელთან შედარებით 9,3% შეადგინა.

2019 წლის მონაცემების საფუძველზე ქვეყნის საავტომობილო პარკის განაწილება კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: მსუბუქი ავტომობილები – 84,5% ; სატვირთო ავტომობილები – 7,6%; ავტობუსები და მიკროავტობუსები – 4%; სპეციალური დანიშნულების ავტომობილები – 3,9% [10].

საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულია 1,2 მლნ ავტოსატრანსპორტო საშუალება, მათ შორის, 0,9 მლნ მსუბუქი ავტომანქანა. ოფიციალურად რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა წლიურად დაახლოებით 8%-ით იზრდება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 20% 17 წლამდე ასაკისაა, გამოდის, რომ საშუალოდ ქვეყანაში ყოველი მესამე ზრდასული მოსახლე ერთზე მეტ ავტომობილს ფლობს.

აღსანიშნავია, რომ ავტოტრანსპორტიდან გაფრქვევების დიდი მოცულობა განპირობებულია არა მხოლოდ ავტომობილების რაოდენობით და მოძრაობის ინტენსივობით, არამედ საავტომობილო პარკის თავისებურებებით.

2016 წლის მონაცემების საფუძველზე ქვეყნის ავტოპარკის 48%-ს შეადგენდა 20 წელზე მეტი ხნის ავტომობილები, 43%-ს 9-დან 20 წლამდე ავტომობილები, 7%-ს ავტომობილები 9 წლამდე, 2%-ს 1-დან 3 წლამდე ავტომობილები. გამონაბოლქვის გაზრდილი ოდენობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სატრანსპორტო

საშუალებების მხოლოდ 9% არის 1-დან 9 წლამდე. მავნე გამონაბოლქვის მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია საწვავის ხარისხიც [18].

2014 წლის პირველი იანვრიდან საწვავის ხარისხის სტანდარტი და რეგულაციები EC-ის მოთხოვნათა შესაბამისად გამკაცრდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საწვავის გამანაწილებელ სადგურებზე არ არსებობს მისი ხარისხის მაკონტროლებელი საინსპექციო სისტემა.

საქართველოში ბენზინში გოგირდის მაქსიმალური კონცენტრაცია 15-ჯერ მაღალია EC-ის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, დიზელში კი 20-ჯერ მაღალი, ვიდრე ევროკავშირში. სატრანსპორტო საშუალებების სულ მცირე 30% მოიხმარს დიზელს.

2016 წლის მონაცემებით, იმპორტირებული მანქანების 75% ბენზინის ძრავიანი იყო, 18% - დიზელის ძრავიანი, 0,8% აირზე მომუშავე, ხოლო 5,7% ჰიბრიდი[11].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ბენზინსა და დიზელში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნორმა დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტს. ევროპული ქვეყნების მსგავსად, კარგი იქნებოდა ქვეყანამ უპირატესობა მიანიჭოს ეკოლოგიურ ტრანსპორტს. ამასთან ერთად საჭიროა ქვეყანაში არსებული საავტომობილო საშუალებების საშუალო ასაკის შემცირება, მკაცრი ნორმების დაწესება სატრანსპორტო საშუალებებიდან მავნე გამონაბოლქვზე და ამ ნორმების პრაქტიკაში განხილვა, რაც არ იყო გათვალისწინებული გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნულ პროგრამაში.

სატრანსპორტო სექტორიდან გაფრქვევების რეგულირებასთან მიმართებით, მაღალი მოლოდინები არსებობს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შემოღებასთან დაკავშირებით. 2019 წლის პირველი იანვრიდან პერიოდულ ტექნიკურ ინპექტირებას დაექვემდებარა საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილი წესით რეგისტრირებული ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ინოვაცია, როგორიცაა ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად საქართველოს

მთავრობის მიერ ელექტრონული მანქანების გამოყენების წახალისება. ატმოსფეროში არსებული დამაბინძურებელი ნახშირორჟანგის დაახლოებით 75%-ის წყარო მანქანებია. მიუხედავად იმისა, რომ ჰიბრიდების უმეტესობა ჰაერში მავნე ნივთიერებების გარკვეულ რაოდენობას მაინც გამოყოფს, კვლევები ამტკიცებს, რომ ჰიბრიდები სრულიად საწვავზე მომუშავე მანქანებთან შედარებით გარემოს 50%-ით ნაკლებად აბინძურებენ. ეს საკითხი კი განსაკუთრებით ყურადსაღები დიდი, მანქანებით სავსე ქალაქებისთვისაა გასათვალისწინებელი.

აუცილებელია აღინიშნოს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მსოფლიო მასშტაბით კორონავირუსის ჰაერის ხარისხზე გავლენის შესახებ. მიმოსვლის საშუალებების მკაცრმა შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა ემისიების მოცულობაზე, შესაბამისად გამონაბოლქვზე, შედეგად, ჰაერის ხარისხზე. ორმაგად შესამჩვნევი გახდა ჰაერის გაჯანსაღება მსოფლიო მასშტაბით, დაბინძურებული ჰაერი ქვეყნიდან თითქმის გაქრა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ სატრანსპორტო სექტორი არის გარემოს პირველი დამაბინძურებელი წყარო.

როგორც აღინიშნა, სატრანსპორტო სექტორი ლიდერია ემისიებში. საინტერესოა ამ მხრივ რომელია ლიდერი რეგიონი საქართველოში.

ატმოსფერულ ჰაერში ემისიები მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სამრეწველო და სამთო მრეწველობა არის განვითარებული.

შეფასებულია, რომ სამრეწველო სექტორი გამოაფრქვევს შეწონილი ნაწილაკების 65%-ს. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ რუსთავში, კასპში, ზესტაფონში, ჭიათურასა და ტყიბულში ჰაერი სერიოზულად ბინძურდება სამრეწველო ობიექტებიდან. მაგ., ზესტაფონში ფეროშენადნობთა ძველი ქარხნის მიზეზით MNO_2-ის კონცენტრაცია 5-ჯერ აღემატება მაქსიმალურად დასაშვებ კონცენტრაციებს.

რეგიონებს შორის ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით ყველაზე მეტად დაბინძურებულ რეგიონად ითვლება იმერეთი თავისი მარგანეცით, ქვანახშირით, მეტალურგიული და ფეროშენადნობი ინდუსტრიით; შემდეგ ქვემო ქართლი, მისი

სპილენძისა და ოქროს სამთო-მოპოვებითი მრეწველობით, მეტალურგიული, ქიმიური და ცემენტის წარმოებით.

2018 წლის მონაცემების საფუძველზე სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების გაფრქვევით ლიდერი რეგიონი იმერეთია -41,1%; ქვემო ქართლი - 22,5%; შიდა ქართლი - 14,6%; ქ. თბილისი - 8,9%; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 3,1%; დანარჩენი რეგიონები - 9,8%.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, უმნიშვნელოვანესი ინოვაციაა სამრეწველო ემისიების შესაბამისად და მათი რეგულირების ევროპულ პრინციპებსა და სტანდარტებზე გადასასვლელად 2010/75/EC დირექტივის საფუძველზე შემუშავებული ,,სამრეწველო გაფრქვევების კონტროლის შესახებ“ კანონის პროექტი. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კანონის მიღების ვადა, ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, 2018 წელი იყო. თუმცა მისი რიგი უმნიშვნელოვანესი დებულებების ამოქმედების ვადად გათვალისწინებულია 2020-2026 წლები.

ჰაერის დაბინძურების კუთხით ყველაზე მეტად საქართველოს მსხვილი ქალაქები გამოირჩევა, ამის ძირითადი მიზეზი ავტოტრანსპორტისა და მსხვილი სამრეწველო ობიექტების გამონაბოლქვის გარდა, მათ ტერიტორიებზე ე.წ ,,მშენებლობის ბუმია“, რომლის დროსაც ჰაერში დიდი რაოდენობით მტვერი გაიფრქვევა.

მშენებლობა მყარი ნაწილაკების გაფრქვევის მნიშვნელოვანი წყაროა და იმდენად, რამდენადაც მსგავსი ტიპის საქმიანობის უმეტესი ნაწილი ურბანულ და მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე ხორციელდება, მოსახლეობის დიდ რაოდენობაზე ახდენს გავლენას. მტვრის გავრცელების მინიმიზაციის მიზნით საჭიროა განხორციელდეს გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. მშენებლობის პროცესში ჰაერის დამტვერიანების საკითხი დღეის მდგომარეობით რეგულირებულ სფეროს არ წარმოადგენს.

ზოგადად, ეკოლოგიური საფრთხეების ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევი ფაქტორი არის გამონაბოლქვი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სეგმენტში წარმოიქმნება იგი. ამ პრობლემის მართვა მოითხოვს გარემოს დაცვის მართვის

საუკეთესო უნარებს (უმთავრესად გარემოს დაცვის ეკონომიკა, ეკოინოვაცია, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები), რაც ჩვენს ქვეყანაში ძალიან ნაკლებადაა, ისევე, როგორც ინიციატივები მისი მიღწევის თუ გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ბევრი ქვეყანა უპირატესობას ანიჭებს განვითარების ე.წ ეკოინოვაციების მიმართულებას, რაც ეკონომიკის განვითარების ახალ გზას წარმოადგენს. ეკოინოვაცია შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ ინოვაციას, რომელიც მიმართულია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისკენ. ეკოინოვაციების კარგად გათვლილი და ჭკვიანური გამოყენების შემთხვევაში ის შეიძლება გახდეს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის დონის ამაღლების ახალი, მეტად ეფექტური და უსაფრთხო ინსტრუმენტი.

სპეციალისტთა აზრით, ეკოლოგიური ბიოტექნოლოგიური ინოვაციები საფუძვლად დაედება ეკონომიკურ ზრდას, მდგრად განვითარებაზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენება – ,,ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას“.

აშშ-სა და ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების განვითარებისა და გამოყენების შესაძლებლობებმა დიდი გავლენა მოახდინა გარემოში დამაბინძურებლების გაფრქვევის, გარემოს დეგრადაციისა და რესურსების უარყოფითად გამოყენების შესამცირებლად.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც დიდი ყურადღება ექცევა ეკოლოგიურად მისაღები ტექნოლოგიური წარმოების განვითარებასა და ეკოლოგიურად დასაშვები წარმოებრივი ტექნოლოგიების დანერგვას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბევრ ევროპულ ქვეყანაში მიმდინარეობს გაფართოებული ეკოლოგიზაცია, იქმნება კვლევითი ცენტრები, მზადდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები, რომლებიც გამიზნულია ეკოლოგიური ინოვაციური ტექნოლოგიების მხარდასაჭერად.

სასურველია, ჩვენმა ქვეყანამ გაიზიაროს ამ ქვეყნების გამოცდილება გარემოს დაცვისა და მდგრადი მომავლის აშენების მიმართულებით. გასათვალისწინებელია ცალკეული ქვეყნის სტრატეგიული გეგმა გარემოს დაცვის, კონკრეტულად, ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიმართულებით.

მდგრადი განვითარების საკითხი თანდათან მოიცავს მსოფლიო საზოგადოებას. მაგ., რამდენიმე ევროპული ქვეყანა ცდილობს, 2030 წლისთვის გახდეს CO_2-ის ნულოვანი გამონაბოლქვის სამრეწველო ქვეყანა. სწორედ დაბინძურების დონის შემცირების ხელმშეწყობი ტექნოლოგიების შექმნასა და ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებას მოიაზრებს მდგრადი განვითარების ინსტრუმენტი - მწვანე ეკონომიკის კონცეფცია.

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მწვანე ეკონომიკური ინიციატივის შესაბამისად, მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკონომიკურ პრობლემებს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. ამ პროცესში თითქმის ყველა ქვეყანაა ჩართული, მათ შორის საქართველოც.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა პროგრამამ "მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EAP GREEN)" და მისმა რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) სადემონსტრაციო კომპონენტმა საქართველოს აღმოუჩინა მნიშვნელოვანი მხარდამჭერა მწვანე ეკონომიკური განვითარებისაკენ სვლაში. RECP პროექტმა ქართულ სამრეწველო საწარმოებში მოახდინა იმ პრაქტიკული გზების დემონსტრირება, რომლებიც აუმჯობესებს წარმოებაში რესურსების გამოყენების პროდუქტიულობას, ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას და მოაქვს ეკონომიკური სარგებელი. რესურსეფექტური და სუფთ წარმოების ფართო დანერგვის მიზნით შემუშავებულმა პროექტმა ხელი შეუწყო ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებას, რესურსეფექტური ტექნოლოგიების გადაცემას და შესაბამისი ინვესტიციების მხარდაჭერას, რაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მწვანე და კონკურენტუნარიანი წარმოების მისაღწევად.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვა და მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა გარემოს დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით სამინისტრო გეგმავს შესაბამისი რეგულაციების შემოღებას და წამახალისებელი ღონისძიებების გატარებას. ჰიბრიდული და

ელექტრომანქანების გამოყენებით მტკიცდება ამ ინოვაციის მოწინავე როლი მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის საქმეში.

,,მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობს თბილისის მერია, რომელმაც შეიმუშავა გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020 და მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა 2017-2030.

,,ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი დებულებების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებად განისაზღვრა ისეთი ინოვაციის განხორციელება, როგორიცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია, ავტობუსების ,,პარკის განახლება და ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტექნიკაზე გადასვლა“.

თბილისის – ,,მწვანე ქალაქის“ სამოქმედო გეგმა შემუშავებულია დედაქალაქის რეკრეაციული სივრცეების მდგრადი განვითარებისთვის. ამ ინოვაციით ხელი ეწყობა მშენებლობის თუ ქალაქისთვის დამახასიათებელი სხვადასხვაგვარი დამაბინძურებელი წყაროებიდან მომდინარე რისკების შემცირებას, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ბიომრავალფეროვნებაზე. რეკრეაციული სივრცეები, ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად ერთნაირად სჭირდება საქართველოს დანარჩენ ქალაქებსაც. სპეციალისტთა აზრით, ერთ სრულ მოსახლეზე 15 კვ.მ და მეტი გამწვანება უნდა მოდიოდეს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ცალკე აღებული თითოეული ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, სუფთა ჰაერის ხარისხის შესახებ მოპაზრებულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის მასშტაბით ტყის რესურსების მარაგს, რადგან იგი უზრუნველყოფს მაღალი დონით ჰაერის ხარისხის შენარჩუნებას. ტყე ნატურალური ჰაერის ფილტრის როლში გვევლინება. 1 ჰა ტყე 10-15-ჯერ მეტ ჟანგბადს გამოყოფს, ვიდრე ნებისმიერი ფოტოსინთეზი. საჰაერო აუზების ხარისხზე უშუალო გავლენას ახდენს მცენარეული საფარის, განსაკუთრებით ტყის დაცვის მდგომარეობა .

თანამედროვე მსოფლიოში არსებული კლიმატური ცვლილებების ფონზე კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში ტყის რესურსების მოვლის თვალსაზრისით. ბევრი

რეგიონი ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზრეა. ტყე არის საქართველოს სიმდიდრე და მას განსაკუთრებული მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

სახელმწიფო ტყის ფონდი არის ქვეყნის ტერიტორიის 40%, თავის უჩვეული განლაგებით რეგიონის გარემოში. დაახლოებით 97% თავმოყრილია კავკასიონის მცირე და დიდ ქედებზე, დანარჩენი კი აღმოსავლეთ საქართველოსა და კოლხეთის დაბლობზე. საქართველოს ტყის მზარდი ფონდი არის 455 მ^3. აქედან 124 მ^3-წიწვოვანი, 312 მ^{3}კი - ფართოფოთლოვანი. საშუალოდ მზარდი ფონდი არის 170 მ^3, ევროკავშირში-150 მ^3 [5].

ქვეყნის მასშტაბით ტყის ეკოსისტემის მკაცრი დაზიანების მიზეზი ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად მისი უკანონო და უკონტროლო მოპოვებაა. მაგრამ დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, როცა ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სიღარიბის ზღვარზეა, ძალიან ძნელია სხვადასხვა მიმართულებით ტყის გამოყენებაზე რადიკალური უარის თქმა. საოჯახო მეუნეობების დაახლოებით 87,1% ქალაქად, ხოლო 17,4% სოფლად მას იყენებს გასათბობად და საკვების მოსამზადებლად.

მიგვაჩნია, რომ ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები ხელს შეუწყობს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებასა და განვითარებას.

ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ბუნებრივი გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს ახალ მიდგომებს გარემოსდაცვით პოლიტიკასა კანონმდებლობაში.

მიუხედავად ბოლო პერიოდში განხორციელებული მრავალი სახის პოზიტიური ცვლილებისა, ატმოსფერული ჰაერის დაცვის კუთხით საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა. ქვეყნის კანონმდებლობა სათანადოდ ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს, შედეგად, ვერ ხერხდება დაბინძურების მიზეზებისა და მისი შედეგების სიღრმისეული ანალიზი და შესაბამისად ჰაერის დაბინძურების შემცირებისთვის ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

ატმოსფერული ჰაერი დაცვის საყოველთაო და მრავალ-სპექტრიანი ობიექტია. ევროკავშირისკენ სწრაფვა გვავალდე-

ბულებს, მივუახლოვდეთ ევროპულ სტანდარტებს. საჭიროა კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი კონცეფციის განხორციელებას, უფრო კონკრეტულად, ჰაერის დაბინძურების შემცირებას. ამ მიმართულებით, როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მსხვილ ქალაქებში, სადაც სამრეწველო ობიექტების და ტრანსპორტის გამონაბოლქვი აბინძურებს ჰაერს. საჭიროა შეიქმნას ატმოსფერული ჰაერის დაცვის ეფექტიანი პროგრამები მსხვილი ქალაქებისთვის. ქვეყანაში უკვე არსებული თანამედროვე ავტომატური მონიტორინგის ქსელი საშუალებას იძლევა სწორედ ევროპული სტანდარტით მოხდეს ჰაერის ხარისხის შეფასება. კარგი იქნებოდა ევროპული ქვეყნების გამოცდილების – ჰაერის დაცვისადმი განსხვავებული – ინტეგრირებული მიდგომის გამოყენების გაზიარებაც. ეს მიდგომა ემყარება კონკრეტულ რეგიონში ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების იმგვარად გატარებას, რომ ის არ იწვევდეს ჰაერის დაბინძურების ზრდას სხვა რეგიონში.

მთლიანობაში, საჭიროა ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში, ევროპულ ქვეყნებშის მსგავსად მიმართული იყოს მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილებისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ,,მწვანე“ ეკონომიკა: არსი და გამოწვევები, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის 75 და ჟურნალ ,,ეკონომისტის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენციის კრებული. თბილისი, 2019.

2. დვალიშვილი ლ., ატმოსფეროს დაბინძურების შემცირების პრობლემები საქართველოში, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ტ.VII. თბილისი, 2014.

3. შენგელია ფ., მწვანე ეკონომიკა და სიღარიბე, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ინსტიტუტის 75 და ჟურნალ ,,ეკონომისტის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი

საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენციის კრებული. თბილისი, 2019.
4. https://www.greenalt.org
5. https://www.unece.org
6. https://mepa.gov.ge
7. https://report.ge
8. https://ka.wikipedia.org
9. https://radiotavisupleba.ge
10. https://www.geostat.ge
11. https://ombudsman.ge
12.www.air.gov.ge
13. https://matsne.gov.ge
14. www.ttimes.ge
15. www.on.ge
16. www.amerikiskhma.com
17. https://sao.ge
18. commersant.ge
19. umertivesad.ge
20. www.tbilisi.gov.ge

Lia Dvalishvili

INNOVATIONS IN THE FIELD OF AIR PROTECTION IN GEORGIA: CURRENT SITUATION AND PROSPECTS

Summary

Georgia, as well as the modern world as a whole, has faced many environmental problems or challenges against a background of development and technological advancement. In the last decade, climate change and air pollution have significantly changed the ecological environment in which we live.

Atmospheric pollution in Georgia is quite high, and the legislation does not even come close to EU standards. The country does not have an accurate assessment of the impact of air pollution on the health of the population according to the parameters recommended by the World Health Organization, the main reason being the existing system of air quality monitoring, which does not provide a complete picture of air pollution. Consequently, it is difficult to say for sure exactly which pollutants pose the greatest threat to health in the country and what kind of diseases they cause to a large extent.

The EU-Georgia Association Agreement obliges Georgia to "intensify its approximation to EU environmental legislation in the field of envi-

ronmental management" and also to "integrate environmental issues into other policy areas".

It is important that as a result of working with the European Environment Agency (EEA), Georgia's ambient air quality data is now available on the European portal in a continuous mode.

Despite significant measures taken in recent years to develop the air monitoring network, the current system does not provide an objective, comprehensive picture of air pollution across the country. In this regard, it should be noted the small number of stations that do not cover the entire territory of the country, including those areas where there is a high risk of pollution.

Atmospheric air is a universal and multifaceted object of protection. Striving for the EU obliges us to approach European standards. It is necessary to make changes in the legislation that will facilitate the implementation of the environmental concept, more specifically to reduce air pollution. The situation is particularly difficult in large cities, where the emissions of industrial facilities and transport pollute the air. It is necessary to create effective air protection programs for large cities.

The ecological legislation of our country in the field of ambient air protection should be aimed at avoiding the expected damage, as it is adopted in European countries. The strategic plan of a particular country in the field of environmental protection, in particular, protection of ambient air, should also be considered.

In terms of ambient air protection in Georgia, despite many recent innovative changes, the situation is unfavorable. The legislation does not adequately addresses the existing challenges, and as a result, it is not possible to in-depth analyze the causes of pollution and its consequences and, accordingly, plan and implement effective measures to reduce air pollution.

ზურაბ ნოზაძე

ინოვაციები წყლის რესურსების დაცვის სფეროში საქართველოში: არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები

ანოტაცია. *ნაშრომში გაანალიზებულია წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის არსებული მდგომარეობა. მოცემულია სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტული ღონის-*

ძიებები. ინფრასტრუქტურის გაძლიერებისათვის ინვესტიციების გაზრდის აუცილებლობის დასაბუთება.

განხილულია წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ძირითადი პრინციპები და უზრუნველყოფის ღონისძიებები. აგრეთვე წყლის რესურსების საუზო მართვის მოდელი.

მოცემულია წყლის ჩარჩო დირექტივის შექმნისა და მისი ფუნქციების მექანიზმი. გაანალიზებულია საქართველოში წყლის რესურსების დაცვის გაუმჯობესების საკითხები წყლის ჩარჩო დირექტივების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: *წყლის რესურსები, წყლის რესურსების გამოყენება, წყლის რესურსების დაცვა, ინოვაციური ღონისძიებები, წყლის რესურსების საუზო მართვა, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა, მდგრადი განვითარება, წყლის რესურსის ჩარჩო დირექტივა, წყლის რესურსის საუზო მართვის მოდელები.*

როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, დღესდღეობით, წყლის რესურსების მართვისა და დაცვის საკითხები საქართველოშიც ძალზე აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წყლის რესურსებით მდიდარ ქვეყნად ითვლება, წყლის რესურსები არათანაბრად არის გადანაწილებული და უმეტესად დასავლეთ საქართველოშია თავმოყრილი. ამდენად წყლის რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რესურსების სწორი გადანაწილება და რესურსებით ღარიბი აღმოსავლეთ საქართველოს წყლით მომარაგება რჩება.

გარდა ამისა, საქართველოში კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ზედაპირული წყლების დაბინძურება, მათ შორის ტრანსსასაზღვარო დაბინძურებაც.

2016 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს წყლის რესურსების კარგი მარაგი აქვს. წლიურად დაახლოებით 3,144მ^3 ერთ სულ მოსახლეზე. ქვეყანა ზოგადად არ განიცდის წყლის რესურსების ნაკლებობას. ლიხის ქედი საქართველოს ჰყოფს მდინარეთა ორ აუზად. ლიხის ქედის დასავლეთით მდებარე მდინარეები ეკუთვნის შავი ზღვის აუზს, ქედის აღმოსავლეთი მდებარე მდინარეები კი კასპიის ზღვის აუზს. შავი ზღვის

აუზი ბევრად უფრო მდიდარია წყლის რესურსებით, ვიდრე კასპიის ზღვის აუზი. შავი ზღვის აუზზე მოდის განახლებადი ზედაპირული წყლების თითქმის 75%, რაც 42,6 მილიარდი მ^3-ია, კასპიის ზღვის აუზის 14,4 მილიარდი მ^3-თან შედარებით. ყოველწლიურად საქართველო გამოიმუშავებს 820,000მ^3 წყალს 1კმ^2. ეს მაჩვენებელი დასავლეთ საქართველოსთვის 1,340 ათასი მ^3-ია 1კმ^2-ზე, აღმოსავლეთ საქართველოსთვის კი 370 ათასი კმ^3 1კმ^2-ზე.

ამჟამად წყალსარგებლობა ბევრად ჩამოუვარდება ქვეყნის წყლის რესურსების თეორიულ ხელმისაწვდომობას, ზოგადად წყლის მოპოვება წელიწადში საშუალოდ 1,6%-ით იზრდება (29,2-დან 30,6 მილიარდი მ^3) საანგარიშო 4 წლიან პერიოდში, სადაც ჰესები ,,იყენებენ" მოპოვებული წლის 90%-ს. მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან წყლის მოპოვება იზრდება. 2012-2015 წლებში მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან მოპოვებული წყლის ზრდის საშუალო მაჩვენებლები 10%-ით მაღალი იყო. თუ ტენდენცია გაგრძელდება ამან შეიძლება გამოიწვიოს მიწისქვეშა წყლის ობიექტების ექსპლუატაცია და უარყოფითად იმოქმედებს მიწისქვეშა წყლის ხარისხზე. მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან წყლის აღების დაბალი მოსაკრებელი არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რაც იწვევს ჭარბ წყალაღებას. მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან წყალაღების მოსაკრებლის გაზრდამ და წყალსარგებლობის ზედმიწევნითმა აღრიცხვამ შეიძლება ხელი შეუწყოს პრობლემის გადაჭრას. კიდევ ერთი სფერო, რომელიც მონიტორინგს საჭიროებს, არის სოფლის მეურნეობის სექტორის მოთხოვნა წყალზე, რადგან ირიგაციაზე გამოყენებული წყლის რაოდენობა თითქმის გასამმაგდა, ვინაიდან ირიგაციის წყალობით სასოფლო-სამერნეო ფართობი იზრდება, მოსალოდნელია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის მოთხოვნა წყალზე გაიზრდება, ამჟამად ფერმერების მიერ საქართველოს მელიორაციისათვის გადახდილი ირიგაციის საფასური წყლის მიწოდებისა და სისტემის შენახვის ხარჯებსაც კი ვერ ფარავს (რამაც თავის მხრივ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მომავალი მომსახურების ხარისხსა და წყლის დანაკარგებზე). ირიგაციის მაღალი მოსაკრებლის დაწესება (რაც აანაზღაურებს ხარჯებს) გაზრდის როგორც წყალსარგებლობის

ეფექტიანობას სოფლის მეურნეობის სექტორში, ისე თავიდან აგვაცილებს ირიგაციის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ უფრო გრძელვადიან პრობლემებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა წყლის რესურსების ტრანსპორტირებისას წყლის დანაკარგის ზრდა, რომელიც თითქმის იმდენივე იყო, რამდენიც შინამეურნეობებისა და მრეწველობის სექტორის მოთხოვნა ერთად. ვინაიდან არსებული ინფრასტრუქტურა (რომელიც ძირითადად დიდი ხნის წინათ აშენდა) ინგრევა, ტრანსპორტირების დანაკარგები გაიზრდება, რაც კიდევ უფრო გაართულებს არსებული წყლის რესურსებით წყალზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ამიტომ არსებული ინფრასტრუქტურის განახლება (ნაწილობრივ მაინც რომ განახლდეს, წყალსარგებლობის ტარიფების ზრდასთან ერთად) უნდა გახდეს წყლის რესურსების მართვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი.

მართალია წყლის რესურსების ხელმწისაწვდომობა ამ ეტაპზე პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ეს მთელ ქვეყანას მაინც ეხება. ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში წყლის დეფიციტია და მთელ რიგ ადგილებში ხდება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან არამდგრადი წყალაღება.

საქართველოში სასმელ წყალზე წვდომა გარანტირებული არ არის. შინამეურნეობების მხოლოდ ნახევარს აქვს წყალმომარაგების სისტემა საცხოვრებელში, როგორც სასმელი და სანიტარულ-ჰიგიენური მიზნებისათვის, რაოდენობა მცირედით იზრდება იმ შინამეურნეობების წყალობით, რომელთაც წყლის ონკანი აქვთ ეზოში ან ახლომახლო. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობა წლითიწლობით იზრდება, ეს რიცხვები სახარბიელო ნამდვილად არ არის. ურბანულ ნაწილში შინამეურნეობების 5%-ზე ნაკლები იყენებდა ჭიდან და სხვა წყაროებიდან მიღებულ სასმელ და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების წყალს. შინამეურნეობების წყალზე გაზრდილი წვდომისა და მზარდი ეკონომიკური საქმიანობის გამო წყალსარგებლობის პოტენციური ზრდის გათვალისწინებით, აშკარა ხდება წყალმომარაგებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა და ურბანულ და სოფლის დასახლებებში სანიტარული მომსახურების საჭიროება (მათ შორის ჩამდინარე

წყლის გამწმენდი ნაგებობების რეალიზაცია და ამუშავება) თუმცა ასეთი გაფართოება საკმაოდ ძვირი ჯდება.

წყლის რესურსების მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია წყლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს პოტენციურად პრობლემური ტენდენციების გამოვლენა, ამისათვის საჭიროა ადამიანური, ფიზიკური და ფინანსური რესურსები, მონიტორინგის სადგურების საკმარისად მსხვილი ქსელი და ხარისხის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორების რეგულარული შეფასება. შავი და კასპიის ზღვების აუზებში ბოლო სამი წლის განმავლობაში ამონიუმის აზოტისა და ფოსფორის კონცენტრაცია ხშირად აჭარბებდა დასაშვებ ნორმას.

2015-2016 წლებში კი პირიქით, ნიტრატებისა და ნიტრიტების რაოდენობა იშვიათად აჭარბებდა დასაშვებ ნორმას, თუმცა როგორც ჩანს, ბოლო წელს ნიტრატებთან დაკავშირებული ვითარება გაუარესდა კასპიის ზღვის აუზში. დამატებით დამაბინძურებელ ნივთიერებებზე (ისეთ განსაკუთრებით საშიშ ნივთიერებებზე, როგორიცაა პესტიციდები და პოლიარომატული ნივთიერებები) ხელმისაწვდომი ინფორმაცია სისტემურად არ გროვდება. ეს დასანანია, რადგან არ გვაძლევს საშუალებას შევამოწმოთ ამ ნივთიერებების (რომლებიც სავარაუდოდ, სერიოზულ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე) კონცენტრაცია საქართველოს წყლის ობიექტებში.

იმისათვის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს წვდომა სუფთა წყალზე, საჭიროა, მივყვეთ წყალსარგებლობის მდგრად გზას. მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩავდოთ სისტემის განახლებაში. შევცვალოთ და გავზარდოთ არსებული ინფრასტრუქტურა, თანხვედრაში მოვიყვანოთ კერძო და საზოგადოებრივი სტიმულები, მართალია დონორებისაგან შეიძლება მივიღოთ გარკვეული მხარდაჭერა, თუმცა წყლის რესურსების ინფრასტრუქტურის შექმნისა და შენარჩუნებისათვის საჭირო იქნება შიდა რესურსების გამოძებნა, წყალსარგებლობის აღრიცხვის დაწესება, წყალაღების ტარიფის გაზრდა შესაძლებელს გახდის ხარჯების ამოღებას (მათ უფრო ეფექტურ აღსრულებას), ეს დაეხმარება როგორც დამატებით

რესურსების შემქნასა და წყალზე მოთხოვნისა და დანაკარგების შემცირებას, ისე წყლის უკმარისობის რისკის შემცირებასაც.

მზარდი წვდომა სასმელ წყალსა და სანიტარულ მომსახურებაზე და მეტი მკაცრი ეკოლოგიური რეგულაციის დაკმაყოფილება მოითხოვს ფინანსურ რესურსებს. წყლის რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციებისათვის ამჟამად გამოყოფილი ფინანსური რესურსები ისევ არ არის საკმარისი, ეფექტურად შეასრულონ საკუთარი მოვალეობა. დამატებითი ფინანსები შეიძლება მოდიოდეს როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ისე წყალსარგებლობასთან დაკავშირებით ახალი ინსტრუმენტების შემოღებისაგან მიღებული შემოსავლებიდან. ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობისა და ინდუსტრიალიზაციის ზრდასთან ერთად, სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პრობლემა იზრდება და საჭირო იქნება წმენდის უფრო მკაცრი ინოვაციური რეგულაციის შემოღება. სოფლის მეურნეობა წყლის დაბინძურების გამომწვევი კიდევ ერთი სფეროა (რომლის წვლილიც დიდი ალბათობით მომავალშიც გაიზრდება). მიწის სასოფლო-სამეურნეო გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემებია გამოფიტვა, ქიმიური ნივთიერებების ჩადინება და დამლაშება (როგორც ნიადაგის ისე წყლის), რაც უკვე ახდენს გავლენას წყლის ხარისხზე. იმისათვის რომმ გაიზარდოს (და დღევანდელზე მეტი იყოს) მოსავლის რაოდენობა ახლო მომავალში უნდა გაიზარდოს ირიგაციისა და სასუქების გამოყენება, კიდევ უფრო მეტი მიწა უნდა დამუშავდეს, რაც დიდი ალბათობით ხელს შეუწყობს ნიადაგს ეროზიას. ამ ტენდეციების გავრცელება გაზრდის წყლის რესურსებზე, განსაკუთრებით წყლის ხარისხზე ზეწოლას, ძალიან ცოტა მექანიზმი არსებობს იმისათვის, რომ კერძო სტიმული თანხვედრაში იყოს საზოგადოების სტიმულთან. დაბინძურების რეგულაციის დამრღვევები შეიძლება დაჯარიმდნენ კანონზე დაუმორჩილებლობის გამო, როცა საქმე წყლის რესურსებს ეხება, თუმცა როგორც წესი, ჯარიმები ძალიან მცირეა და არ იძლევა საკმარის მოტივაციას. შემაკავებელი ეფექტი შეიძლება გაძლიერდეს ვალდებულებათა გადახდის სისტემის შექმნით, რომელიც იქნება გარემოსთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუმცა ის ფორმა, რითაც

ამჟამად გარემოსთვის მიყენებული ზიანის შეფასება ხდება, ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს, რომ დაკისრებული თანხა ასახავდეს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის რეალურ ხარჯებს და შესაბამისად ზღუდავს ამ ინსტრუმენტის პოტენციურად ,,ეფექტიანობის ხელშემწყობ ეფექტს". მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ გარემოსთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციას ადგენს სასამართლო.

ასეთ შემთხვევაში, გაზრდილი ტარიფებისა (წყლის გამწმენდი მომსახურებების მომხმარებლებისათვის, რომლებიც ქმნიან მუნიციპალურ ჩამდინარე წყლებს) და დაბინძურებაზე უფრო ძლიერი (ეფექტიანობის უზრუნველმყოფი) ჯარიმების შემოღება შეიძლება სასარგებლო იყოს როგორც მეტი შემოსავლის მიღებისათვის, რაც ესოდენ საჭირო ინვესტიციის სახით ჩაიდება, ისე ეკოლოგიურად სუფთა წარმოების პრაქტიკის წახალისებისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს წყლის დაბინძურების და უფრო ზოგადად, წყლის ობიექტებზე ადამიანების სხვადასხვა საქმიანობით მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შემცირება და წყლის რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და მართვის ხელის შეწყობა.

საქართველოში წყლის მართვისა და დაცვის საკითხები გარემოს დაცვით სფეროში ერთ-ერთი პრიორიტეტულია. ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის საკითხები, საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის ნაწილია. წყლის რესურსების დაცვის საკითხები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ნაწილია და ასევე შედის 2007-2012 წლების გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნულ პროგრამაში.

საქართველოს აქვს არაერთი კანონი და რეგულაცია, რომელიც წყლის რესურსების მართვას არეგულირებს. ძირითადი კანონი ამჟამად განსაზღვრავს წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის უმთავრეს მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის წყლის რესურსების დაცვასა და რაციონალურ გამოყენებას, სადაც პრიორიტეტი ენიჭება სასმელი წყლის მიწოდებას, მავნე ზემოქმედების პრევენციასა და კონტროლს, მიწისქვეშა წყლების რეგულირებას.

დაიწყო წყლის რესურსების მართვის კანონმდებლობის კორექტირება, რათა დააკმაყოფილოს 2014 წლის ივნისში ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირებული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები. ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის პრინციპების განხორციელება საქართველოს წყალმომარაგების სექტორში ხელს შეუწყობს წყლის რესურსების დაცვისა და წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენების უმთავრესი პრობლემების გადაწყვეტას, ამიტომ ყოვლისმომცველი, მოქნილი და სტიმულირების მიმცემი წყლის რესურსების მართვის რეგულაციის შემუშავება და ამოქმედება უაღრესად მნიშვნელოვანია. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წყლის მართვა, რაც წყლის რესურსებით სარგებლობის რეგულაციას გულისხმობს, ხორციელდება აღრიცხვის, ლიცენზირების, ფასიანი წყალსარგებლობის, ზედამხედველობის და კონტროლის სისტემის საშუალებით და კონტროლის სისტემის საშუალებით, გარდა ამისა, გარემოში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს წყლის მდგომარეობის ხარისხობრივ ნორმებს, წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა ემისიის (ჩაშვების) ზღვრულად დასაშვებ ნორმებს და წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმებს (წყლის ამოღების კვოტებს). წყლის რესურსების დაცვის რეჟიმის დარღვევა – წყლის სხვადასხვა სახის დაბინძურება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით შესაბამისი ჯარიმით და გადასახადით ისჯება.

არსებული კანონმდებლობით წყლის რესურსების მართვა ჯერ-ჯერობით ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში ხორციელდება. წყლის რესურსების მართვის არსებული ადმინისტრაციული მოდელი ნაკლებადეფექტურია და საჭიროება მოითხოვს უფრო ეფექტური მოდელის შემუშავებას.

ასეთ, ინოვაციურ მოდელად მიგვაჩნია წყლის რესურსების მართვის საუზო მოდელის დანერგვა და წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის კონცეფციის დამუშავება.

თუ გადავხედავთ საერთაშორისო გამოცდილებას, წყლის რესურსების მართვისადმი მიდგომა, რადიკალურად შეიცვალა

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე. ნათელი გახდა, რომ აუცილებელია წყლის მომხმარებელ სექტორებს შორის ინტეგრაცია და კოორდინაცია. წყლის რესურსების ამგვარი მრავალფუნქციური მოხმარების პრინციპები აისახება წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვაში.

მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის პრინციპები, რასაც ეფუძნება ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივა, მიგვაჩნია საქართველოს წყლის მართვის პრობლემების მოგვარების ინოვაციურ ეფექტურ საშუალებად. ევროკავშირის წყლის რესურსების ჩარჩო დირექტივის უმთავრესი მიზნებია:

1. წყლის სხვადასხვა ობიექტების ეკოსისტემის გაუარესების პრევენცია და არსებული სტატუსის შენარჩუნება;

2. წყალსარგებლობაში მდგრადობის ხელშეწყობა;

3. ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის ობიექტებში პრიორიტეტული დამაბინძურებელი ნივთიერებების მოხვედრის, ჩაშვების, ემისიის და დანაკარგების ეტაპობრივი შემცირება;

4. წყალდიდობებისა და გვალვების შემცირება და ამით წყლის რესურსების მდგრადი მოხმარების ხელშეწყობა.

იოჰანესბურგის მსოფლიო სამიტზე 2002 წელს საბოლოოდ დამკვიდრდა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე ტერმინი ,,წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა". აქვე იყო მოწოდებული მისი პირველი განმარტებაც.

,,წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა" – ეს არის პროცესი, რომელიც გულისხმობს წყლის, მიწის და სხვა მონათესავე რესურსების ისეთ ერთობლივ მართვას, რომელიც არ ვნებს რა ეკოსისტემის მდგრადობას, უზრუნველყოფს მაქსიმალურ სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობას.

წყლის რესურსების სააუზო მართვა კი წარმოადგენს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ნაწილს და განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტს. წყლის სააუზო მართვას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევროკავშირის წყლის პოლიტიკაში. ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის წყლის პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად, საბაზისო დოკუმენტს ევროკავშირის შესაბამისი დირექტივები წარმოადგენს. ამ ევროდირექტივებში განსაზღვრულია წყლის

მართვისა და დაცვის ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები და მათი განხორციელების კონკრეტული ვადები. ამ დირექტივებზე დაყრდნობით და მათთან შესაბამისობაში ყალიბდება წევრი და კადიდატი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობა წყლის რესურსების სფეროში.

წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივის მიხედვით წევრი ქვეყანა ვალდდებულია 3 წლის ვადაში მოახდინოს მის ტერიტორიაზე არსებული მდინარეთა აუზების იდენტიფიცირება და მოაგვარონ შესაბამისი ადმინისტრაციული საკითხები, ხოლო 4 წლის ვადაში უნდა დაასრულონ მდინარეთა აუზების მახასიათებლების ანალიზი, წყლის ობიექტებზე ადამიანის საქმიანობის გავლენის შეფასების მიმოხილვა და წყლის მოხმარების ეკონომიკური ანალიზი. ამ კვლევების გადასინჯვა და საჭიროების შემთხვევაში განახლება უნდა მოხდეს დირექტივის ძალაში შესვლიდან 13 წლის შემდეგ და შემდგომში ყოველ წელიწადში. კვლევების ანალიზზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს აუზების მართვის გეგმები და განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამები, რისთვისაც ეძლევათ 9 წლის ვადა. აღნიშნული პროგრამები უნდა ამოქმედდეს არაუგვიანეს 12 წლის ვადაში, ხოლო დირექტივის ძალაში შესვლიდან 15 წლის შემდეგ და ყოველ მომდევნო 6 წელიწადში აუცილებელია სამოქმედო პროგრამების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განახლება.

გარდა ამისა ჩარჩო დირექტივა მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას იმისათვის რათა მოხდეს წყლის კარგი ხარისხის მიღწევა. უნდა შეიმუშაონ მდინარეთა მონიტორინგის პროგრამა თითოეული აუზის ფარგლებში, ხოლო ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე და პრინციპის ,,დამაბინძურებელი იხდის" გათვალისწინებით უნდა უზრუნველყონ წყალმომარაგების ხარჯების ამოღება, გარემოს დაცვითი რესურსის ფასის ჩათვლით. წყლის რაციონალურად მოხმარების უზრუნველსაყოფად უნდა შეიმუშაონ ადექვატური წამახალისებელი მექანიზმები წყლის მომხმარებლებისათვის. საქართველო აქტიურად უჭერს მხარს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის აუცილებლობას, საქართველოში წყლის რესურსების ინტეგრი-

რებული მართვის მეთოდების დანერგვის აუცილებლობას, საარჯო მართვის მოდელების განხორციელებას და მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში მათ მნიშვნელობას.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ძირითადი პრინციპებია:

- წყლის რესურსების მართვა მდინარეთა წყალშემკრებ აუზების დონეზე და არა ადმინისტრაციული საზღვრებით;

- წყლის რესურსები და მიწები, სადაც ფორმირდება მდინარის აუზი უნდა იყოს ინტეგრირებული და მათი გამოყენების დაგეგმვა და მართვა უნდა იყოს კომპლექსური;

- სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორები უნდა განიხილებოდეს ერთიანად, ინტეგრირებული წყლის რესურსების მართვის ჩარჩოებში;

- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ასევე ეკოსისტემები განხილული უნდა იქნას ერთობლივად ინტეგრირებული წყლის რესურსების მართვის ჩარჩოებში;

- წყლის რესურსებზე ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

- წყლის რესურსების მდგრად მართვაზე გადაწყვეტილების მიღებისას გამჭვირვალობა და ანგარიშგება აუცილებელი პირობაა.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა უზრუნველყოფს:

- სხვადასხვა წყალმოსარგებელთა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ენერგეტიკა, კომუნალური მეურნეობა და სხვა) საქმიანობის კოორდინაციას და ინტერესების გათვალისწინებას;

- მდინარის ზედა და ქვედა დინებაში განლაგებული წყალმოსარგებლეთა ინტერესების გათვალისწინებას;

- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ზღვის სანაპირო წყლების, აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიების მართვის ერთიანი სისტემების ჩამოყალიბებას;

- დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარეების და მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობას.

წყლის ჩარჩო დირექტივა 2000/60/EC

მიღებულია 2000 წელს.

მიზანი: წყლის კარგი სტატუსის მიღწევა 2015 წლისათვის

ქმედებები:

ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს;

- ზედაპირული წყლების ხარისხის დეგრადაციის აღკვეთა; ზედაპირული წყლის ობიექტების დაცვა; გაუმჯობესება და აღდგენა. წყლის სათანადო მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და ჩამდინარე წყლებით გამოწვეული დაბინძურების და სახიფათო ნივთიერებათა ჩაშვების შემცირება;

- მიწისქვეშა გრუნტის წყლების დაცვა, ხარისხის გაუმჯობესება და აღდგენა. მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისა და დეგრადაციის აღკვეთა. მიწისქვეშა წყლების მოხმარებასა და თვითაღდგენას შორის ბალანსის უზრუნველყოფა.

- წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის მეთოდების დანერგვა მდინარეთა წყალშემკრები აუზების დონეზე;

- ერთგვაროვანი მონიტორინგის სისტემის ფორმირება და წყლის სფეროში მონაცემთა ინტეგრირებული ინფორმაციული სისტემის შექმნა;

- წყლის ობიექტების დამცავი ზოლების / ზონების აღრიცხვა და ამ ტერიტორიაზე საქმიანობათა ზუსტი რეგლამენტაცია;

- სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება და სასმელი წყლის ხარისხისადმი ერთიან ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობა;

- წყალმომარაგების, წყალარინებისა და წყლის გამწმენდი საწარმოების მიერ გაწეულ მომსახურებაზე ეკონომიკური და ასევე სოციალური თვალსაზრისით ოპტიმალური ტარიფების დაწესება.

წყლის რესურსების საავზე მართვის მოდელი

- აუზებში შექმნილია წყლის კომიტეტები და სააგენტოები, რომლის ფუნქციებია: აუზის პოლიტიკის განსაზღვრა,

წყალზე ტარიფების დადგენა (შემადგენლობაში შედიან წყალმოსარგებლეთა, მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლები).

აუზის განვითარების პოლიტიკის რეალიზაცია თვითდაფინანსების გაცემაზე, წყლის მონიტორინგზე, თევზჭერისა და სანაოსნოს საკითხების რეგულირებაზე, შეიმუშავებს წყლის ეროვნულ პოლიტიკას და ეროვნულ პროგრამებს, შეიმუშავებს წყლის ეროვნულ გეგმას, ამტკიცებს მდინარეების მართვის აუზურ გეგმებს.

გასცემს ნებართვებს წყალაღებაზე და ჩამდინარე წყლების ჩაშვებაზე, აკონტროლებს ნებართვების პირობების შესრულებას, აგროვებს გადასახადებს წყალაღებაზე და წყალჩაშვებაზე, (გადასახადები გროვდება სპეციალურ ფონდში და გამოიყენება პრიორიტეტული პროექტების განხორციელებაზე), ახორციელებს წყლის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მონიტორინგს, ახორციელებს წყლის რაოდენობისა და ხარისხის ნორმების კონტროლს. იხილავს კონფლიქტებს სხვადასხვა წყალმოსარგებლეთა შორის, ახორციელებს მიზნობრივ პროგრამებს წყლის რესურსების მართვისა და დაცვის სფეროში. დაფინანსების წყაროა გადასახადები წყლის აღებაზე და ჩამდინარე წყლების ჩაშვებაზე სახელმწიფო გრანტები, ადგილობრივი მთავრობის ფინანსური დახმარება, შემოსავალი მომსახურეობიდან (საკონსულტაციო და საპროექტო სამუშაოები, ტექნიკური ექსპერტიზა), სახელმწიფო ბიუჯეტი.

ცხრილი 1

საქართველოში წყლის მოპოვება, წყალსარგებლობა და წყალჩაშვება (მლნ, კუბური მეტრი)

მაჩვენებლები	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.
წყლის მოპოვება ბუნებრივი წყლის ობიექტებიდან მთლიანი	29209.5	28632,1	32080,8	30615,9
მიწისქვეშა წყლებიდან მოპოვებული	367,8	403,2	399,0	498,5

წყალსარგებლობა მთლიანი	28570,9	27436,8	30407,8	29831,5
რომელსაც საჭიროებენ:				
შინამეურნეობები	330,2	448,2	434,4	381,5
მრეწველობები	362,5	324,6	1924	354,8
ირიგაცია, სასოფლო-სამეურნეო და სხვა	27878,2	26664,0	28049,5	29095,2
საიდანაც მხოლოდ ირიგაცია		155,642	226,047	425,18
ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩადინება მთლიანი	27235,1	27144,0	30090,6	29202,4
წყლის ტრანსპორტირების დანაკარგები	445,1	395,5	486,9	725,9
ციკლური და მეორადი წყალმომარაგება	224,0	309,0	316,0	226,8

მდინარეთა სააუზო მართვის მიზნებისათვის უნდა შიქმნას შემდეგი ტერიტორიული ერთეულები:

- ალაზანი – იორის აუზი
- მტკვრის აუზი
- ხრამი – დებედას აუზი
- ენგური – რიონის აუზი
- ჭოროხი – აჭარისწყალის აუზი
- ბზიფი – კოდორის აუზი.

- ალაზანი – იორის აუზის აღნიშნული საზღვრები მოიცავს კახეთის რეგიონის თელავის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, ყვარლის და მცხეთა მთიანეთის მუნიციპალიტეტებს.

- ალაზანი – იორის აუზის ძირითადი მდინარეებია: ალაზანი, იორი, ილტი, სტორი, ჩელთი, ლოპტა, დურუჯი, თურდო, ხოდაშნის ხევი, კაბალი, ადედი, ვაშლიანი, გომბორი, ოლე.

- ამ აუზში საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძე 680 კილომეტრია (საქართველოს ტერიტორიაზე), ამ

სააუზო უბანში მთავარი ტბებისა და წყალსაცავების (ძირითადად სიონის წყალსაცავის) ზედაპირის საერთო ფართობი 12კმ^2-ია.

რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებს, იგი მოიცავს ალგეთის ეროვნულ პარკს, ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიას, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას, თუშეთის დაცულ ტერიტორიას, მარიამი ჯვარის სახელმწიფო ნაკრძალს, ყაზბეგის ეროვნულ პარკს და ჭაჭურას აღკვეთილს.

- მტკვრის აუზის საზღვრები მოიცავს: ქ. თბილისს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის: ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ბორჯომის, შიდა ქართლის რეგიონის; ხაშური, გარდაბანის, თიანეთიოს, თეთრიწყაროს, მცხეთა მთიანეთის რეგიონის; დუშეთის, სტეფანწმინდის და მცხეთის მუნიციპალიტეტებს. (ამ აუზში მდებარეობს ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიაც).

- მტკვრის აუზის ძირითადი მდინარეებია: მტკვარი, ფარავანი, ფოცხოვი, ქვაბლიანი, ბორჯომულა, დიდი ლიახვი, პატარა ლიახვი, მეჯუდა, ლეხურა, აღმოსავლეთ ფრონე, კავთურა, ქსანი, არაგვი, ალგეთი, თერგი, ბაიდარა, სნოსწყალი, ჩიხური, ბროლისწყალი.

- საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძე მტკვრის აუზში შეადგენს 930 კილომეტრს (საქართველოს ტერიტორიაზე). ამ სააუზო უბანში მთავარი ტბებისა და (ბაზალეთის ტბა, ლისის ტბა) და წყალსაცავების (ჟინვალის, სამგორის, სარამოს ტბის, ფარავნის ტბის, ხოზაფინის ტბის და ჯანდარას ტბის) ზედაპირის საერთო ფართობი 106კმ^2 ჰია

- რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებს მტკვრის აუზში ბორჯომი-ხარაგაულის პარკი, თბილისის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, ჯავახეთის დაცული ტერიტორია და ლიახვის ნაკრძალი.

ხრამი-დებედას აუზის საზღვრები მოიცავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის: ბორჯომის და ქვემო ქართლის, წალკის, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის და თეთრიწყაროს მუნიციპა-ლიტეტებს.

- ხრამი-დებელას აუზის ძირითადი მდინარეებია: ქცია-ხრამი, კორსუ ჩაი, შავწყალა, ასლამოს წყალი, შულავერი, მაშავერა, მოშევანი, ბოლნისი და დებედა. საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძეა 266კმ^2 (საქართველოს ტერიტორიაზე).

- სააუზო ტერიტორიაზე მთავარი ტბებისა და წყალსაცავების (ტაბაწყურის ტერიტორიაზე და წალკის წყალსაცავი) ზედაპირის საერთო ფართობია 47,9კმ^2, რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებს ხრამი-დებედას აუზში შედის ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი.

ენგური-რიონის აუზის საზღვრები მოიცავს სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონის: მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ზუგდიდის, ხობის, სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტებს და ქ. ფოთს, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის: ონის, ამბროლაურის, ლენტეხის და ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქ. ქუთაისს; გურიის რეგიონის: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის: ქობულეთის მუნიციპალიტეტებს.

- ენგური-რიონის აუზის ძირითადი მდინარეებია: ენგური, მულხრა, მაგანა, ნენსკრა, თხეიში, ჯუმი, რიონი, ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა, ხანის წყალი, ტეხური, წაბლისწყალი, გუბის წყალი, ცხენის წყალი, ჯონოულა, ნოღელა, ცივი, ხობი, ჭანისწყალი, ფიჩორი, სუფსა, გუბაზეული, ნატანები, ჩოლოქი, ბაკუჟი. აუზის საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძეა 1481 კმ^2 (საქართველოს ტერიტორიაზე). მთავარი ტბებისა და წყალსაცავების (ენგურის წყალსაცავი და პალიასტომის ტბა) ზედაპირის საერთო ფართობის 56,4კმ^2 .

ენგური-რიონის აუზის ტერიტორიულ ერთეულში შედის ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი, იმერეთის გამოქვა-ბულის დაცული ტერიტორია, კოლხეთის ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერიტორია, სამეგრელოსა და ოკაცეს ნაკრძალები.

ჭოროხი-აჭარის წყალის აუზის საზღვრები მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ხელვაჩაურის, ქობულე-თის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებსა და ქ.

ბათუმს. ჭოროხი-აჭარის წყალის აუზის ძირითადი მდინარეებია: ჭოროხი, აჭარისწყალი, სხალთა, მაჭახელა, ჩირუხის წყალი, ყოროლის წყალი, კინტრიში, ჩაქვის წყალი, აჭყვა.

- ჭოროხი-აჭარის წყალის აუზის საშუალო და დიდი მდინარეების საერთო სიგრძე არის 116კმ^2 (საქართველოს ტერიტორიაზე).

- რაც შეეხება დაცული ტერიტორიებს ჭოროხი-აჭარის სააუზო უბნის ტერიტორიულ ერთეულში მოქცეულია კინტრიშის დაცული ტერიტორია, მაჭახელს ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერიტორია.

- ბზიფი-კოდორის აუზი მდებარეობს საქართველოში, ულამაზეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, საქართველოს განუყოფელ ტერიტორიაზე.

მთავარი მდინარეებია; ბზიფი, კოდორი, ფსოუ და უნიკალური ტბა რიცა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბროველი და სხვები – წყლის ჩარჩო დირექტივაში ეკოლოგიისა და რესურსების ხარჯ-სარგებლიანობის ეკონომიკური შეფასება.

2. საქართველოში წყლის რესურსების მართვის ეკონომიკური ინსტრუმენტების რეფორმის ხელშეწყობა 2016წლის ანგარიში.

3. კ. გუტიერეს-მარტინი ჴ წყლის ჩარჩო დირექტივაში წყალსარგებლობის ეკონომიკური ანალიზი წყლის ეკოლოგიურ-ეკონომიკური აღრიცხვის სისტემის საფუძველზე 2017წ.

4. ა. მოქსეი ჴ სოფლის მეურნეობა და წყლის ხარისხი 2012 წ.

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა სტატისტიკური ინფორმაცია 2016 წ.

Zurab Nozadze

INNOVATIONS IN THE FIELD OF WATER RESOURCES PROTECTION IN GEORGIA: EXISTING STATUS AND PROSPECTS

Summary

The report analyzes the current state of use and protection of water resources. There are given the specific measures to improve the quality of drinking water; Substantiate the need to increase investment to strengthen infrastructure.

There are discussed some main principles and measures of integrated water resources management.

There is discussed the water management Pool model.

There is given the mechanism for creating a water frame directive and its functions.

There are also considered the issues of improving water resources protection in Georgia, taking into account water framework directives.

ნინო ჟორჟიკაშვილი

ინოვაციების გავრცელების პრობლემები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არსებული მდგომარეობა და ტენდენციები ინოვაციების კუთხით, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო პროდუქტებისა და სერვისების განვითარების მიმართულებები, გაანალიზებულია ინოვაციების გავრცელების პრობლემები და ხელშემშლელი ფაქტორები, როგორებიცაა ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების ხარჯ-ეფექტურობა, მედიკამენტების მაღალი ფასები და დაბალი ხელმისაწვდომობა, პრობლემები პირველადი ჯანდაცვის სფეროში, ოლიგოპოლიის ნიშნები აღნიშნულ დარგში, სადაზღვევო სისტემის არაეფექტურობა, სამედიცინო მომსახურების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი, ჯანდაცვის სექტორის მწირი დაფინანსება და ა.შ.*

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციები ჯანდაცვის სისტემაში, ციფრული მედიცინა, ხელოვნური ინტელექტი.*

შესავალი

გლობალიზაციის პროცესის სწრაფი ტემპები განაპირობებს ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის, ეკონომიკური და პოლიტიკური ლიბერალიზაციის, სოციალური და ეკოლოგიური გარდაქმნების გლობალურ მასშტაბებს, რაც პოპულაციისთვის სარგებლის მიღებასთან არის დაკავშირებული, თუმცა აღნიშნული პროცესი უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რაც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასთან, კლიმატის ცვლილებასთან, ბიო-ტერო-რიზმთან, სამხედრო კონფლიქტებთან, ჰუმანიტარულ კატასტ-როფებთან და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი ქვეყნისათვის მწვავედ დგას ჯანდაცვის სფეროზე გაწეული ხარჯების მზარდი ხასიათი. ჯანმრთელობის დაცვა მომსახურების განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ფორმირებაში. სამედიცინო მომსახურება განაპირობებს შრომითი რეზერვების ხარისხს და კვლავწარმოებას, ქმნის სოციალური და ეკონომიკური ზრდის ბაზას. ჯანმრთელობის დაცვის ეფექტური სისტემა ეროვნული უსაფრთხოების გარანტიაა. ამდენად, ჯანდაცვის სისტემის გამართული და წარმატებული მუშაობა უმნიშვნელოვანესია ქვეყნის კეთილდღეობის მაჩვენებლების გაზრდისათვის და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ინოვაციების მიმართულებით არსებული ბოლოდროინდელი ტენდენციებისა და მიღწევების შეფასება. კერძოდ, განხილულია მოცემულ სექტორში არსებული ისეთი დადებითი ძვრები, რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციური პლატფორმების, მაღალტექნოლოგიური პროდუქტების და სერვისების, საინფორმაციო-ტექნოლოგიური, სამედიცინო-ფარმაცევტული და სხვა ტიპის ინოვაციების დანერგვა-გავრცელებასთან. უფრო კონკრეტულად კი, ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიე-ბიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური

დაცვის სამინისტროს მიერ 2019 წლის 3 იანვარს ,,ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების განსაზღვრის წესის შესახებ“ მიღებული ინოვაციური პროექტი, რომელსაც თან ახლავს როგორც სამედიცინო, ისე ეკონომიკური და ეკოლოგიური სარგებელი. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელოვან მიღწევა- ხელოვნური ინტელექტის მქონე ციფრული დიაგნოსტიკური ცენტრი ე.წ. ექიმი-რობოტი, ასევე ბოლო პერიოდში დანერგილი რამდენიმე მნიშვნელოვანი პლატფორმა, როგორიცაა MyDoc, IOGH Ltd(Institute of Global Health), MEDSOFT/MEDWORK და ა.შ.

საკვლევი თემის მიზანს წარმოადგენს ასევე იმ პრობლემებისა და ხელშემშლელი ფაქტორების გაანალიზება, რაც ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების/სერვისების, პროექტების დანერგვისა და გავრცელების მიმართულებით და აქედან გამომდინარე, აფერხებს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ინოვაციები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ჯანდაცვის სისტემა არის ყველა ორგანიზაციის, დაწესებულების ერთობლივი ძალისხმევა, რისი მიზანიცაა ადამიანთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა და გაუმჯობესება (WHR-2000) [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, 2017:5]. ჯანდაცვის სექტორი, როგორც ეკონომიკის დარგი, თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება. ეს სპეციფიკა ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებულ ფორმებს განაპირობებს. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის უილიამ ჰსიაოს მიხედვით, ჯანდაცვა „პათოლოგიური ეკონომიკაა, სადაც საბაზრო ძალების გავლენა სერვისების მოცულობაზე, მათ ფასსა და ხარისხზე არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი ბაზრებისგან” [Hsiao,W.C.,1995:1047-1055]. სამედიცინო ბაზრის ასეთი განსხვავება ჩვეულებრივი

ბაზრისაგან განპირობებულია სამედიცინო მომსახურების სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით და სამედიცინო მომსახურების მიწოდების სპეციფიკურობით, კერძოდ, მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე ხშირად ატარებს არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ სოციალურ ხასიათსაც („საზოგადოებრივი სიკეთეები" სამედიცინო ბაზარზე) და მოითხოვს ცალკეულ მომხმარებელთა სახსრების გაერთიანებას.სამედიცინო მომსახურების როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება არაპროგნოზირებადია, რადგან არავინ იცის თუ როდის დადგება მისი საჭიროება [ვერულავა თ., 2017:1]. ჯანდაცვის სისტემა გამოირჩევა კომპლექსურობითა და პრობლემების მრავალფეროვნებით, თუმცა მთავარ პრობლემას მაინც სამი ფაქტორის - ხელმისაწვდომობის, ფასისა და ხარისხის დაბალანსება წარმოადგენს. ამ დილემას „რკინის სამკუთხედი" ეწოდება და იგი პირველად ცნობილმა ამერიკელმა მედიცინის დოქტორმა, უილიამ კისიკმა აღწერა 1994 წელს. „რკინის სამკუთხედის" პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ, შეზღუდული მატერიალური და ფიზიკური რესურსების პირობებში, ერთ-ერთი კომპონენტის (ხელმისაწვდომობა, ფასი და ხარისხი) გაუმჯობესება აუცილებლად გულისხმობს სხვა კომპონენტების გაუარესებას და სწორედ აქ იწყება დილემა: როგორ გავანაწილოთ არსებული რესურსი ისე, რომ ყველა პაციენტს ჰქონდეს წვდომა ხარისხიან და დაბალფასიან სერვისზე? [Delaronde S., William K., 2019:1-2]. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოს ჯანდაცვის სექტორის წინაშე, რომლის გადაჭრის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს უცხოური გამოცდილების გაზიარება, ინოვაციების შემოღება, დანერგვა და მათი შემდგომი განვითარება.

სანამ უშუალოდ ჯანდაცვის სფეროში არსებულ ინოვაციებს შევეხებით, მანამდე განვმარტოთ ინოვაციის არსი. ინოვაცია – ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება, რომელიც შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის, მათ შორის: ინოვაციური პროდუქტი, ინოვაციური პროცესი, ორგანიზაციული ინოვაცია, ინოვაციური მარკეტინგი (საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ 5501-IIს, 2016 წლის 22 ივნისი). ინოვაციური ეკონომიკა დაფუძნებულია

ცონაზე, ტექნოლოგიებზე, ადამიანურ კაპიტალსა და ინფორმაციაზე. საზოგადოების განვითარების დონე და პროგრესი სრულად არის დამოკიდებული ინოვაციებზე, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე [Abesadze R., Burduli V.,2018:13].

ჯანდაცვის სფეროში ინოვაცია ტექნოლოგიურად ითვლება, თუ სამედიცინო მომსახურების გაწევის მეთოდები პრინციპულად ახალი და ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაუმჯობესებულია. სპეციალისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ეფექტურობას. სწორედ მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფს ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას [კიწმარიშვილი ქ., 2019:432]. ჯანდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევები მიმართულია სამედიცინო დაწესებულებების პრაქტიკაში ახალი სამედიცინო პრეპარატების, საინფორმაციო და სხვა ახალი სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვისკენ. ქვეყანაში ფართოვდება დაწესებულებათა ქსელი, რომელშიც მაღალტექნოლოგიურ, ძალიან ძვირადღირებულ დახმარებას უწევენ პაციენტებს. ჯანდაცვის ქართული მოდელის მიზანია შეიქმნას ინოვაციებზე და მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მაქსიმალურად ხარჯთეფექტური ჯანდაცვის სისტემა, რომელიც მიაწოდებს პაციენტებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას, უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის მიწოდებულ სერვისებზე ფინანსურ ხელმისაწვდომობას, პაციენტების და სამედიცინო პერსონალის მაქსიმალური დაცულობასა და კმაყოფილებას. ჯანდაცვაში ტექნოლოგიური ინოვაცია წარმოადგენს დიაგნოსტიკის, საინფორმაციო, მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური ბიოლოგიური მეთოდებისა და ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის ხერხების ერთობლიობას.

ტექნოლოგიური ინოვაციები ჯანდაცვის სფეროში შეიძლება დავყოთ შემდეგ ქვეჯგუფებად:

- სამედიცინო ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლებიც უკავშირდება პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის კუთხით ახალი მეთოდების წარმოშობას, უკვე არსებული დანადგარებისა და პრეპარატების ბაზაზე ან მათი ახალი კომბინაციების გამოყენებით;

-ორგანიზაციული ინოვაციები, რომლებიც ჯანდაცვის სისტემის საქმიანობის ეფექტურ რესტრუქტურიზაციას ახდენენ, სრულყოფენ პერსონალის შრომის ორგანიზაციისა და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების მუშაობას;

- ეკონომიკური ინოვაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანდაცვის დაწესებულებების საქმიანობის ანალიზის, დაგეგმვის, დაფინანსების, სტიმულირების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;

- საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლებიც მიმართულია მოცემულ დარგში ინფორმაციის ნაკადების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის პროცესების ავტომატიზაციაზე;

- სამედიცინო-ფარმაცევტული, სამედიცინო-ტექნიკური ინოვაციები, რომლებიც გულისხმობს ახალი მედიკამენტების (ტექნიკური სისტემების) გამოყენებას, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება ფასისა და სამედიცინო ეფექტურობის ძირითადი პარამეტრების ხაზით.

ელექტრონული მედიცინა ანუ ტელემატიკა (Health Telematics) ჯანდაცვის სფეროს ბიზნეს სექტორში ფარმაცევტიკისა და სამედიცინო მონაცემების ვიზუალიზაციის საშუალებების წარმოების შემდეგ ეკონომიკური პარამეტრებით მესამე ადგილს იკავებს[Adilova F.T., 2019::5-7]. დღესდღეობით მტკიცებითი მედიცინა მოითხოვს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც ეფუძნება ავადმყოფის მონაცემების და მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტების კომბინაციას. უფრო მეტიც, დღეს გაჩნდა ავადმყოფობის ისტორიის ციფრული ვერსიის არსებობის აუცილებელი მოთხოვნილება. ისტორიისა, რომელსაც შეუძლია „გადაადგილდეს“ სხვადასხვა კლინიკაში, სხვადასხვა ადგილას – იქ, სადაც იმყოფება მოცემულ მომენტში ამ ავადმყოფობის ისტორიის პატრონი. სამედიცინო ინფორმაციას უზარმაზარი მოცულობა და მრავალმხრივობა ახასიათებს, რომელიც მოითხოვს დიდ საორგანიზაციო, გამოთვლით, საკომუნიკაციო რესურსებს.

სამედიცინო დარგის დიგიტალიზაცია სწრაფი ტემპებით ვითარდება და კიდევ უფრო შეცვლის ჯანდაცვის სფეროს შემდგომ წლებში. ტექნოლოგიური ინოვაციები, ელექტრონული ჯანდაცვის მზარდი განვითარება და მისი პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლება მედიცინა გახდეს კიდევ უფრო

პერსონალიზირებული, პერსონიფიცირებული და ხარჯთეფექტური. იმისთვის, რომ საქართველომ ინოვაციების მიმართულებით წინ გადადგას ნაბიჯები, საჭიროა ქვეყანას ჰყავდეს სათანადო განათლების და გამოცდილების კადრები, რომლებიც თანაბრად ერკვევიან როგორც მედიცინაში, ისე ციფრულ ტექნოლოგიებში [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, 2017:17]. ელექტრონული ჯანდაცვა მოიაზრებს შემდეგ ელემენტებს: ელექტრონული ჩანაწერები (EHRs), პერსონალური ჩანაწერები (PHRs), ტელემედიცინა (telehealth), კლინიკური მენეჯმენტი, წამლების ელექტრონული სერვისები, მობილური ჯანდაცვა (mHealth), გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი სისტემები,ქრონიკული დაავადებების მართვის სერვისები, დისტანციური სწავლება (eLearning), ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები

ელ. ჯანდაცვის ელემენტების სრული ინტეგრაცია ჯანდაცვის ყველა დონეზე საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს: პაციენტის და ექიმის დროს დაზოგვა, მოცდის პერიოდის შემცირება, პაციენტის ჯანმრთელობაზე სრული და დროული ინფორმაციის ფლობა,ზედმეტი და არასაჭირო გამოკვლევების პრევენცია, ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება, ხარჯების კონტროლი და გამჭვირვალობა, წამლების ბრუნვაზე ზედამხედველობა, სანდო სტატისტიკის და მონაცემთა ბაზის შექმნა, პროგრამების მართვისა და დაგეგმვის გაადვილება, სახელმწიფო და კერძო დანახარჯების შემცირება/ოპტიმიზაცია.

ელექტრონული მედიცინის საბოლოო მიზანია შეიქმნას Grid[69]-მედიცინა, რომელიც მოიცავს ბიოსამედიცინო მონაცემების დამუშავების პრობლემის გადაწყვეტის სპეციფიურ სერვისს. Grid-მედიცინის რესურსებია: მონაცემთა ბაზები, კომპიუტერული რესურსები, სამედიცინო ცოდნა, სამედიცინო აპარატურა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელექტრონული მედიცინის საბოლოო მიზანი Grid-მედიცინის შექმნაა, რომელიც მოიცავს ელექტრონული მედიცინის ყველა რესურსს, უსაფრთხოებისა და ავტორიზაციის

[69] Grid-მმართველობითი ბადე, ინფრასტრუქტურა რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებას, გადაცემას და შენახვას.

ჩათვლით, რათა შესაძლებელი გახდეს Grid-მედიცინის დამოუკიდებელი სეგმენტების ერთიანი მართვა [Wolfgang L., Åsmund S.,2018:1-2]. Grid-ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სისტემებს ძალუძთ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ გაბნეული და დანაწევრებული სამედიცინო მონაცემების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, კომპიუტერული პროგრამების გამოყენების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. Grid-მედიცინა არის ის სივრცე, სადაც თავს მოიყრის, დამუშავდება და მომხმარებელს (მეცნიერს, ექიმს, სამედიცინო ცენტრებს, მართვის აპარატს, მომავალში კი მოქალაქეებს) მიეწოდება სამედიცინო ხასიათის მონაცემები. თუკი ასეთი ინფრასტრუქტურა შესაბამისობაში იქნება უსაფრთხოების, ეთიკისა და ნორმატიულ-სამართლებლივი ინსტრუქციების მოთხოვნებთან, შესაძლებელი იქნება მთელი პოსტგენომური და სამედიცინო ინფორმაციის თავმოყრა, რაც მკურნალობის ინდივიდუალურად დაგეგმვის უსასრულო შესაძლებლობებს მოგვცემს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ელექტრონული მედიცინის წინაშე არსებული ის ძირითადი გამოწვევები: ინფორმაციული უსაფრთხოება და მონაცემების კონფიდენციალურობა და დიდი რესურსი მონაცემების შენახვისათვის [Sheshabalaya T.,2010:5].

Grid-ტექნოლოგიები შეიძლება დავყოთ შემდეგგვარად: გამოთვლითი Grid-ტექნოლოგიები, რომელთა დანიშნულებაა ვირტუალური სუპერკომპიუტერის შექმნა, რომელიც ახდენს ინდივიდუალური კომპიუტერების ძალზე დიდი რაოდენობის დინამიურ აგრეგაციას და DataGird-ტექნოლოგიები, რომლებიც ფოკუსირებულია გაფანტულ (დანაწევრებულ) დიდი მასშტაბის მონაცემთა ბაზებზე, ინფორმაციისა და ცოდნაზე.

ევროკომისიის ელექტორნული მედიცინის განყოფილებამ განსაზღვრა Grid ტექნოლოგიების ამონაგები შემდეგი სამი პოზიციის მიხედვით:

- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება სწრაფი დიაგნოსტიკის, დროული მკურნალობის, სამედიცინო შეცდომების შემცირების ხარჯზე.

- სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება: ხელმისაწვდომობა პაციენტთა დიდი რაოდენობისათვის,

და ორგანიზმის უფრო ფართომასშტაბიანი კვლევის შესაძლებლობა.

- მომსახურების ღირებულების შემცირება დაავადების უფრო ადრეულ სტადიებზე აღმოჩენის, მრავალმხრივი კვლევის, მკურნალობის ოპტიმალური სტრატეგიის არჩევის ხარჯზე, დაავადების მოსალოდნელი გამოსავლის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს რომ, 2008 წლის 1 ივნისს დიდმა შვიდეულმა და ლათინური ამერიკის რამოდენიმე ქვეყანამ მიიღო სამოქმედო გეგმა "Action –Grid", რომელიც მოიცავდა 3 სფეროს: ბიოსამედიცინო ინფორმატიკა, Grid ტექნოლოგიები და ნანოინფორმატიკა. პროექტის მიზანი იყო აღიშნულ სფეროებში მოპოვებული ინფორმაციის გაცვლა და ეფექტიანი კოლაბორაცია ლათინური ამერიკის, დასავლეთ ბალკანეთის, ჩრდილოეთ აფრიკის და ევროპის ქვეყნებს შორის. პროექტის ბიუჯეტმა შეადგინა 1 მილიონი ევრო, რომელიც სრულად დაფინანსდა ევროკავშირის მიერ [University of Madrid,2008:1].

პირველად ჯანდაცვაში ელექტრომედიცინის გამოყენება, დადებითი შედეგის მომტანია სხვადასხვა მიმართულებით. მისი დანერგვა იძლევა სასწრაფო დახმარების საჭიროების შემცირების საშუალებას, რაც საერთაშორისო მონაცემების თანახმად, 30%-ით ამცირებს ჰოსპიტალური შემთხვევების რაოდენობას და მათზე დანახარჯებს. ციფრული ჯანდაცვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პერსონალურად პაციენტისთვის, არამედ სახელმწიფოსთვისაც, რომელსაც ეძლევა მეტი შესაძლებლობა, მუდმივად განახლებადი მონაცემებისა და სტატისტიკის საფუძველზე განსაზღვროს ჯანდაცვის პოლიტიკა და სტრატეგია.

საქართველოს ჯანდაცვის სფეროში ინოვაციების რეგულირების და ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წელს მიღებული კანონი ინოვაციების შესახებ (საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ 5501-IIს, 2016 წლის 22 ივნისი). აღნიშნული კანონის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი

ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სახელმწიფო ხელს უწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (სამეცნიერო/ტექნოლოგიურ პარკი, ბიზნეს-ინკუბატორი,ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორია (ILab)) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და აუცილებელია ინოვაციების დანერგვა საქართველოს ჯანდაცვის სექტორში, ვინაიდან დღესდღეობითაც პირველად ჯანდაცვასა და მედიკამენტებზე დანახარჯები საკმაოდ მზარდია, კვლავ მაღალია ექიმთან მიმართვიანობის რიცხვი(იხ. გრაფ.1), დაავადებულ პაციენტთა რიცხოვნობაც მზარდი ტენდენციით ხასიათდება (იხ. გრაფ. 2), რაც განაპირობებს სამედიცინო მომსახურების ფასის ზრდას და საბოლოო ჯამში შინამეურნის დანახარჯებს. თუმცა უნდა აღინიშნოს დადებითი ტენდენციები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, განსაკუთრებით კი ეს ეხება ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინოვაციების ეტაპობრივად დანერგვას, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ყველანაირი კომუნიკაცია გაამარტივა და კომპანიები, რომლებიც ინფორმაციულ ტექნოლოგიებს იყენებენ, სხვებთან შედარებით კონკურენტულ უპირატესობაში არიან და მომხმარებლები მათთან ურთიერთობას ამჯობინებენ. ბუნებრივია, ინფორმაციული ტექნოლოგიები ჯანმრთელობის დაცვის სფეროსაც შეეხო, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ურთიერთობას ექიმებთან, აფთიაქებთან, კლინიკებთან და საავადმყოფოებთან. ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებითაც კლინიკები ციფრულად მართავენ პროცესებს, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემა (HIS) ეწოდება. HIS-ი პაციენტის მკურნალობის პროცესს მთლიანად აციფრულებს, როგორც კლინიკურ ისე ადმინისტრაციულ ნაწილში, საავადმყოფოებისა და კლინიკების გამართულად მუშაობის პროცესში ძალიან დიდ როლს თამაშობს. ბოლო პერიოდში

საქართველოშიც სამედიცინო ინდუსტრია ძალიან აქტიურად ვითარდება და ტექნოლოგიებიც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციების დანერგვისა და განვითარების მიუხედავად საქართველოს ჯანდაცვის სისტემის წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევები დგას, რაც აღნიშნული თემის განხილვის საგანია.

გრაფ.1. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ექიმთან მიმართვიანობის რიცხვი(პროფილაქტიკის ჩათვლით), ათასი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები, 2019წ.

ექიმთან მიმართვიანობის რიცხვი, ათასი

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018
მაჩვენებელი	10 974.5	11 881.1	13 243.9	13 079.0	11 493.4	12 260.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები, 2019წ.

გრაფ.2. რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა პირველად დადგენილი დიაგნოზით,ათასი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები, 2019წ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ ოფისს, რომელიც ეხმარება ქვეყანას ისეთი ძირითადი პროგრამებით, როგორიცაა სტრატეგიისა და ჯანდაცვის პოლიტიკის განვითარება, პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირების პოტენციალის გაძლიერება, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარება, ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება (HSPA), ჯანდაცვის სისტემის მართვის შეფასება და ჯანდაცვის პოლიტიკის მიმოხილვა, ასევე უზრუნველყოფს ქვეყნების დახმარებას გლობალური ჯანმრთელობის ინიციატივების ფარგლებში [საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სააგენტო, 2018:130]. საქართველოში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად წლების მანძილზე მოღვაწეობენ საერთაშორისო ორგანიზაციები: აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს მოსახლეობის ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა, მსოფლიო ბანკი, ევროკომისია, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო,

საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი, მერლინი (Medical Emergency Relief International–Merlin), ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო კავშირი, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო, კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვებისა და შეფასების ინსტიტუტი, ინგლისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სააგენტო და სხვა. აღნიშულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად საქართველოს ჯანდაცვის სექტორში მნიშვნელოვანი წინსვლა შეიმჩნევა, განსაკუთრებით უცხოური გამოცდილების გაზიარების, ახალი ტექნოლოგიური მიდგომებისა და ინოვაციების დანერგვა-განვითარების მიმართულებით.

1) ელექტრონული ჩანაწერების სისტემა (EHR) საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში

საყურადღებოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2019 წლის 3 იანვარს ,,ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების განსაზღვრის წესის შესახებ“ მიღებული ინოვაციური პროექტი (ბრძანება ,,ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის“ შესახებ №01-1/ნ, 2019 წლის 3 იანვარი). აღნიშნული წარმოადგენს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ციფრულ საცავს. EHR სისტმა მოიცავს ნებისმიერი პაციენტის ჰოსპიტალიზაციის ეპიზოდისა და ამბულატორიული ვიზიტის დროს შეგროვილ სამედიცინო ხასიათის ინფორმაციას. სისტემის მიზანია, ავტორიზებული პირებისგან შეაგროვოს, შეინახოს, გაზიარებადი გახადოს და დაამუშაოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერები, რაც უწყვეტი, ეფექტიანი, პაციენტზე ორიენტირებული და ხარისხიანი, ინტეგრირებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს. სისტემის ამოქმედება უფრო მოქნილს ხდის

პაციენტების მომსახურებას, რადგან ექიმს აქვს მყისიერი წვდომა ყველა საჭირო ინფორმაციაზე პაციენტის მიერ გადატანილი ავადმყოფობების, ინფექციებისა და სხვადასხვა რისკის შესახებ. თუმცა ვინაიდან სისტემა მოითხოვს სხვადასხვა სახის სამედიცინო ინფორმაციის შეგროვებას თითოეულ პაციენტზე ეს პროცესი საკმაოდ შრომატევადია. ამასთან, 2020 წლის პირველი იანვრიდან ყველა სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია EHR სისტემაში შეიყვანოს ინფორმაცია ყველა იდენტიფიცირებული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. EHR სისტემის შემადგენელი ნაწილია პაციენტის გვერდი, სადაც პაციენტს შეუძლია საკუთარი თავის შესახებ არსებული ინფორმაცია მოიძიოს. EHR სისტემაში სამედიცინო ჩანაწერები ინახება პაციენტის სიცოცხლის ბოლომდე და გარდაცვალებიდან 15 წლის განმავლობაში. პაციენტის გარდაცვალების შემდეგ პაციენტის სამედიცინო ჩანაწერებს ენიჭება დაფარულის სტატუსი, ხოლო პაციენტის როლი უქმდება (ბრძანება ,,ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის“ შესახებ №01-1/ნ, 2019 წლის 3 იანვარი). პაციენტის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი უსაფრთხოებისათვის, აღნიშნულიდან გამომდინარე EHR სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების საკითხები წესრიგდება საქართველოს კანონების: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ შესაბამისად. სამედიცინო მომსახურების ხარისხის კუთხით პაციენტის უფლებების დაცვას, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“ [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი , 2017:18].

ელექტრონული ჩანაწრების სისტემას უპირატესობები სამედიცინო პერსონალისთვის:

- HIS-ის დანერგვის შემდეგ, აღარ არსებობს ხელით წერასთან დაკავშირებული პრობლემები. შესაბამისად, ექიმებისა

და ექთნების სამუშაო პროცესში მცირდება უზუსტობები, დროითი დანაკარგი და ნაწერი არის კითხვადი;

• ანკეტების დაკარგვის ალბათობა მინუმუმამდეა შემცირებული,აღარ არის საჭირო ახალი ანკეტის გახნა და მკურნალობის პროცესი უფრო ეფექტურია;

• სამედიცინო დაწესებულების ქსელში წარმოდგენილია ერთიანი ინფორმაცია. მაგალითად, თუ პაციენტმა კვლევა ქსელის ერთ კლინიკაში გაიკეთა, ექიმთან კი მეორე კლინიკაში ჩაეწერა, ორივე კლინიკის პერსონალს აქვს ინფორმაცია;

• ინფორმაციის არქონის გამო, არასაჭირო მკურნალობაში ექიმები დროს აღარ ხარჯავენ. მაგალითად, ხშირად ექიმებმა არ იციან რა შედეგი გამოიღო სხვა ექიმის მიერ გაწეულმა მკურნალობამ და ისინიც არაეფექტურ მკურნალობას იმეორებენ;

• ექიმებს HIS-ში შეუძლიათ პაციენტის მკურნალობაზე დინამიკაში დაკვირვება. მაგალითად, როცა ის კვლევაზე დაუწერს პაციენტს მიმართვას, HIS-ის გარეშე ვერ ამოწმებს პაციენტმა მართლა ჩაიტარა თუ არა ის;

• იურიდიულ შემთხვევებში სამედიცინო პერსონალი აღარ არის დაუცველი, რადგან ყოველ სერვისზე არსებობს შესაბამისი დოკუმენტი და დავების დროს, ექიმებსა და ექთნებს სიმართლის დამტკიცების საშუალებას აძლევს.

ელექტრონული ჩანაწერების სისტემას უპირატესობები HIS ადმინისტრაციული პერსონალისთვის:

• მედიკამენტების აღრიცხვის პრობლემების მოგვარება;

• მოწესრიგებული რეგისტრატურა;

• შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის დალაგება;

• პერსონალის ხელფასების სწორად გამოანგარიშება და ჩარიცხვა;

• ფინანსური დანაკარგების შემცირება;

• მეტი პაციენტის მომსახურება, პროცესების სისწრაფიდან გამომდინარე;

• სახელმწიფო რეგულაციების უფრო მარტივად დაცვა;

• ნაკლები საკანცელარიო ხარჯი.

ელექტრონული ჩანაწერების სისტემის უპირატესობები პაციენტებისათვის:

• ექიმთან ჩაწერის სიმარტივე;

• ელექტრონული ბარათები, რაც ნიშნავს იმას, რომ ინფორმაცია არის ერთიანი, ექიმები პაციენტის სამედიცინო ვიზიტების ინფორმაციას სრულად ხედავენ და აღმოიფხვრება ნებისმიერი ხარვეზი, რაც ინფორმაციის არარსებობის გამო ხდებოდა, მაგალითად, ასეთია ერთი და იმავე ლაბორატორიული ტესტის ორჯერ ჩატარება;

• არ იკარგება პაციენტების ისტორიები, რაც პაციენტებს აღარ უჩენს უნდობლობის გრძნობას სამედიცინო დაწესებულების მიმართ;

• დროითი დანახარჯების შემცირება-მაგალითად, კვლევის შედეგების მოგროვება, მედპერსონალთან ყოველი ახალი შეხების დროს იმის ახლიდან ახსნა, თუ ვინ არიან, რას უჩივიან, რა სერვისი მიიღეს უკვე და ა.შ.

• პაციენტი უფრო დაცულია, რადგან HIS-ს პოტენციური შეცდომები მინიმუმამდე დაჰყავს და იურიდიული დავების დროს შესაძლებელი ხდება სიმართლის დამტკიცება.

გარდა ზემოაღნიშნული სარგებლებისა, ძალიან მნიშვნელოვანია ელექტრონული ჩანაწერების სისტემის გარემოზე დადებითი ზემოქმედება, კერძოდ ის ფაქტი, რომ დოკუმენტების ელექტრონული წარმოება ზოგავს ქაღალდს და მნიშვნელოვნად ამცირებს როგორც ეკონომიკურ დანახარჯებს, ისე დროით დანახარჯებს, რომ არაფერი ვთქვათ ეკოლოგიური დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებაზე. სპეციალისტების შეფასებით, ელექტრონული ჩანაწერების სისტემის დანეგვა ექიმებს კვირაში დაახლოებით 10-20 საათს აზოგვინებს, რაც შეუძლიათ პაციენტებს დაახარჯონ. ასევე, ხაზი უნდა გაესვას ადამიანური უსაფრთხოების საკითხებს, რაც მწვავედ დგას დღევანდელ რეალობაში- ელექტრონული დოკუმენტები დაცულია ყაჩაღობისგან, ადამიანური შეცდომების შედეგად დაკარგვისგან და ბუნებრივი კატასტროფებისგან. Kaiser Permanente[70]-ის ჯანდაცვის ელექტრონული ჩანაწერების პლატფორმის შეფასებით, აშშ-ში 2004-2007 პერიოდში ელექტრონული ჩანაწერების სისტემის დანერგვამ შეამცირა პაციენტთა მიმართვიანობა 26.2%-

[70]Kaiser Permanente-ჯანდაცვის სექტორში არსებული კონსორციუმი, დაარსებული 1945 წელს, აშშ-ში.

ით(გამოკითხულთა ოდენობა-225 ათასი), რაც მნიშვნელოვანია დანახარჯების ეკონომიის თვალსაზრისით [Kaiser Permanente., 2009:3]. დღესდღეობით, როდესაც ინფორმაციული ტექნოლოგიები უფრო გაუმჯობესებული და ხელმისაწვდომია, რა თქმა უნდა ბევრად მნიშვნელოვანი იქნება ის სარგებელი, რაც ინოვაციური პროექტების დანერგვას სდევს თან. Samuel Wang-მა და Jan Walker-მა 2005 წელს მონტე-კარლოს მეთოდით შეაფასეს ელექტრონული ჩანაწერების სისტემის დანერგვასთან დაკავშირეული სარგებელი და დანახარჯები აშშ-ს სამედიცინო სექტორისათვის 15 წლიანი პერიოდისათვის იმ დაშვებით, რომ საავადმყოფოების 20% სრულად იყენებდა ელექტრონული ჩანაწერების სისტემას. შედეგად მიიღეს 98 მლრდ. დოლარის კუმულაციური დანახარჯები, რაც ყოველწლიურად საშუალოდ 6.5 მლრდ. დოლარს შეადგენს, ხოლო სისტემის დანერგასთან დაკავშირებული ყოველწლიური დანაზოგი 5-ჯერ აღემატება დანახარჯს [Hsiao, W.C.,1995:5-6].

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ არ მოგვეპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ოდენობის თანხები იქნა მიმართული ელექტრონული ჩანაწერების სისტემის ამოქმედებაზე, როგორია ინოვაციური პროგრამის დანერგვის შედეგად მიღებული ხარჯების ეკონომია, მოსახლეობის დროითი დანაზოგები, დაწესებულებათა წილი, რომლებიც იყენებენ აღნიშნულ ინოვაციურ პროექტს. ყოველივე ეს კი ართულებს ინოვაციური პროექტის გავლენის შეფასებას და მის ეფექტიანობის ანალიზს. მაგალითად, აშშ-მ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის ამოქმედებაზე განახორციელა დაახლოებით 30 მლრდ. დოლარის ინვესტიცია Hitech Act[71]-ის მიხედვით, რომელიც გულისხმობს სერთიფიცირებული პროგრამის გამოყენებას, მონაცემების უსაფრთხოებას და მაქსიმალურ დაცვას, პროგრამის ეფექტურობის მუდმივ შეფასებასა და მონიტორინგს [Payne T., Bates D.,2013:4-5].საქართველოს შემთხვევაში მსგავსი სახის ინფორმაცია არ არის საჯაროდ ხალმისაწვდომი, რაც კიდევ უფრო

[71] Hitech Act-აქტი შეიქმნა 2009 წლის 17 თებერვალს და არეგულირებს ელექტრონული ჩანაწერების სისტემასა და ჯანდაცვის სექტორში არსებულ ტექნოლოგიებს.

ართულებს სისტემის ეფექტიანობის შეფასებას, თუმცა უნდა აღინიშნოს ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნული მიმართულებით.

2) MEDWORK პლატფორმა

კომპანია MEDSOFT-მა 2009 წელს შექმნა კლინიკის მართვის სისტემა-MEDWORK, რომელიც ჩაერთო EHR სისტემასთან ინტეგრაციაში და განახორციელა ელეტრონული სამედიცინო ისტორიის და ლაბორატორიის მოდულის ინეტეგრაცია. MEDSOFT ელ-ისტორიაში სხვადასხვა ექიმის მიერ ყოველდღიური მუშაობისას შეგროვილი ინფორმაცია შესაძლებელია პაციენტის გაწერის შემდეგ გადაეცეს/აიტვირთოს ჯანდაცვის სამინისტროს EHR სისტემაში. შედეგად ინფორმაციის გადაცემას გაცილებით ნაკლები დრო სჭირდება ვიდრე თვითონ სისტემაში შევსებას. 2018 წელს MEDSOFT გახდა შვეიცარული კომპანია CLINERION-ის ერთადერთი წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც არის ლიდერი კომპანია სამედიცინო ინფორმატიკის დარგში. მისი საშუალებით MEDSOFT-ის მომხმარებელი კლინიკები შეძლებენ შეუერთდნენ კლინიკური კვლევების საერთაშორისო ქსელს. 2018 წელს განხორციელდა ინტეგრაცია ბუღალტრულ სისტემებთან და ლაბორატორიის ანალიზატორებთან - ლაბორატორიის მართვის სისტემასთან და არსებული ვერსია განკუთვნილია ხუთივე ტიპის სამედიცინო დაწესებულებისთვის: ამბულატორია, ჰოსპიტალი, ლაბორატორია, ესთეტიკური მედიცინის ცენტრი, სტომატოლოგიური კლინიკა. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფუნქციური შესაძლებლობები ყოველწლიურად 20-25% ით იზრდება. დღევანდელი მდგომარეობით სისტემაში ჩართულია 50 კლინიკა, 27 ამბულატორია, 23 სტაციონარი და 2992 მომხმარებელი.

სისტემის უპირატესობებს წარმოადგენს: ელ-ისტორიის კარნახით შევსება, აფთიაქი/საწყობის ინტეგრაცია RS.GE-სთან, ხელფასების დარიცხვის სხვადასხვა სისტემა, სკანირების ფუნქცია, შტრიხკოდის წამკითხველის ინტეგრაცია, ელექტრონული რეცეპტი, EHR-სისტემასთან ინტეგრაცია და ა.შ. რაც შეეხება EHR-სისტემასთან ინტეგრაციას, უნდა აღინიშნოს სისტემის შემდეგი

უპირატესობები: EHR ეპიზოდის ავტომატური შევსების მექანიზმები, ჩანაწერების ხარისხის კონტროლის სისტემა, მონაცემების პორტალზე ატვირთვა და კონტროლი, დროის დანაზოგი ინფორმაციის შევსების მხრივ.

სისტემა მოიცავს შემდეგ მოდულებს: პაციენტის ძიება, რეგისტრაცია; HR პერსონალის მართვის მოდული; ფინანსური მოდული, აფთიაქი/საწყობის მოდული, კლინიკის მართვის მოდული, ელექტრონული სამედიცინო ისტორია, ლაბორატორიის მოდული, ექიმის გვერდი, ჩაწერის სია, ზარების მონიტორინგი, დოკუმენტაციის მართვის მოდული, სტომატოლოგიის მოდული.

ფინანსური მოდული: სერვისები - Price List, აქცია/ფასდაკლებები, ხელფასების დარიცხვის სხვადასხვა სისტემა, ხარჯები; ფინანსური სტატისტიკა განყოფილების/პროფილის მიხედვით; კალკულაცია – გეგმიური ხარჯით, ფაქტიური ხარჯით.

აფთიაქი/საწყობის მოდული: RS.GE ინტეგრაცია - ფაქტურის ჩამოტვირთვა;საქონლის შესყიდვა განყოფილებაზე, გადატანა, ხარჯის გატარება, ჩამოწერა, დაბრუნება;საქონლის კლასიფიკაცია, მარაგები, საწყობის ფინანსური რეპორტები; ელექტრონული შეკვეთები; მარაგების მართვის კონტროლი; რეპორტები მედიკამენტებისა და სახარჯი მასალების მართვის კონტროლი.

კლინიკის მართვის მოდული: ფორმა IV-100/ა კონტროლი, EHR ეპიზოდების კონტროლი, მიმართვების და რეცეპტების კონტროლი, განყოფილებების დატვირთვა საწოლდღეების მიხედვით; პაციენტის მოძრაობა კლინიკაში, დიაგნოზების სტატისტიკა; შემოსული პაციენტების კონტროლი და შეფასება გრაფიკული რეპორტებით; ოპერაციების და ანესთეზიის სამედიცინო ფინანსური სტატისტიკა.

ელექტრონული სამედიცინო ისტორია: HL7 სტანდარტის მიხედვით შედგენილი ისტორიის ყველა ფორმა და დანართი; ახალი ავტომატურად შევსებადი ფორმა N IV/100ა (HL7); ელ-ისტორიის ჩანაწერის ბლოკირება ავტორის მიერ და ხანდაზმულობის მიხედვით; პაციენტის მოდული - ერთი პაციენტის შესახებ არსებული ჩანაწერები ერთ სივრცეში - ფ100, ისტორიის ჩანაწერები, ლაბორატორიული ანალიზები.

3) ექიმი რობოტი-ინოვაცია ქართულ ჯანდაცვაში

საქართველოს ჯანაცვის სექტორში მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის მქონე აღჭურვილობა-ექიმი-რობოტი, პირველადი ჯანდაცვის ციფრული დიაგნოსტიკური ცენტრი. მისი გამოყენებით შესაძლებელია სამედიცინო კვლევის ჩატარება, პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების მიღება, შენახვა და დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა. ინიციატივა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკუთვნის. ტელემედიცინის მოწყობილობების დანერგვა 2020 წლიდან წლიდან დაიწყება და თავდაპირველად 25 გეოგრაფიულად დაშორებულ ლოკაციაზე განთავსდება.

,,ექიმი-რობოტი'' მსოფლიო პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება და დიდი პოპულარობით სარგებლობს დასავლეთ ევროპაში, თუმცა ის საქართველოში პირველად ჩამოიტანეს და თანაც ქართულ ენაზე დააპროგრამეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტელემედიცინის სახელით ცნობილი დანადგარი შედეგებს ხმოვანი სიგნალის დახმარებით ქართულად გაგვაცნობს. ტელემედიცინის მოწყობილობას აქვს შესაძლებლობა გაზომოს ადამიანის სხეულის მასის ინდექსი, წონა, სიმაღლე, ჟანგბადის კონცენტრაცია, გლუკოზის, შარდმჟავას, ქოლესტერინის შემცველობა სისხლში, შეუძლია ორგანიზმში ცხიმიანობის ხარისხის დადგენა, სხეულის ტემპერატურის, სისხლის წნევის გაზომვა, ელექტროკარდიოგრაფიული კვლევის ჩატარება, ლიპიდური სპექტრის განსაზღვრა. არსებობს როგორც დიდი ზომის ასევე პორტატული აპარატები, რომელთაც საკმაოდ მძლავრი ფუნქციები აქვთ და შეუძლიათ გამოიკვლიონ სხვადასხვა ორგანო, მათ შორის შესაძლებელია თვალის ფსკერის, ყელის, ყურის, პირის ღრუს დიაგნოსტირება, ასევე ელექტროკარდიოგრაფიული და ულტრასონოგრაფიული კვლევის ჩატარება, გულსისხლძარღვთა და სასუნთქი პათოლოგიის დიაგნოსტირება. კვლევის შედეგები მონაცემთა ერთიან ბაზაში იგზავნება.

4) MyDoc-ახალი სამედიცინო პლატფორმა

MyDoc ჯანდაცვის პირველ ქართულ ციფრულ ფლატფორმას და ინოვაციურ პროექტს წარმოადგენს. საინიციატივო ჯგუფმა (მამუკა მონავარდისაშვილი, ირაკლი სასანია და თორნიკე რაზმაძე) MyDoc პლატფორმაზე მუშაობა 2018 წელს დაიწყო, 2019 წელს კი, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის გამარჯვებული გახდა, გრანტის ოდენობა განისაზღვრა 100 000 ლარით, კომპანიაში ამჟამად დასაქმებულია 7 ადამიანი (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, 2019).

MyDoc წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც იძლევა სწრაფი, მოსახერხებელი, ეფექტური და იაფი მკურნალობის პროცესის წარმართვის შესაძლებლობას. პაციენტი ონლაინ გადის გასაუბრებას ე.წ. ვირტუალურ ასისტენტთან-ჩატბოტთან. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა პაციენტის მდგომარეობის შესახებ შეიქმნას წინასწარი სურათი მოცემულ სიმპტომებზე დაყრდნობით, მიიღოს ინფორმაცია შესაბამისი დაავადების ალბათობის შესახებ. სისტემა აცნობს პაციენტს, რამდენად აუცილებელია სამედიცინო დახმარება და ვის უნდა მიმართოს საჭიროების შემთხვევაში. სავარაუდო დიაგნოზის დადგენის შემდეგ საშუალება გეძლევათ აირჩიოთ თქვენი დაავადების მკურნალი ექიმი და საავადმყოფო. საიტზე ჩატარებული ტესტირების შემდეგ, ინფორმაცია იმ ექიმისთვისაც ხელმისაწვდომია, რომელთან კონსულტაციასაც გეგმავს პაციენტი აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მცირდება დროითი დანახარჯები, მცირდება რისკები და სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.

სპეციალური ალგორითმების მეშვეობით, პლატფორმა მომხმარებელს (პაციენტს) სთავაზობს უპასუხოს კითხვათა მიმდევრობას და შეავსოს ჩივილები დეტალურად. სისტემა ადგენს შესაძლო კავშირს წარმოდგენილ სიმპტომებსა და მონაცემთა ბაზაში არსებულ დიაგნოზებს შორის ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების საშუალებით და ახარისხებს დიაგნოზებს მათი ალბათობების სიდიდის მიხედვით. ამასთან ერთად, პლატფორმა იძლევა საშუალებას კომუნიკაცია ექიმსა და

პაციენტს შორის განხორციელდეს ონლაინ რეჟიმში და განისაზღვროს ჰოსპიტალიზაციისა თუ სხვა სამედიცინო მომსახურების სახე და აუცილებლობა. ექიმებს საშუალება ეძლევათ, მაღალი დონის ავტომატიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით, გაცილებით ეფექტურად და ხარისხიანად წარმართონ დიაგნოსტირების, მკურნალობისა და პაციენტზე შემდგომი მეთვალყურეობის პროცესი. პაციენტს ექიმთან ფიზიკური ვიზიტი უწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას ექიმი ჩათვლის საჭიროდ, მაგალითად, ლაბორატორიული კვლევების და სხვა სამედიცინო პროცედურების ჩასატარებლად. გამარტივებულია სხვადასხვა აუცილებელ სამედიცინო დოკუმენტაციასთან მუშაობა ავტომატიზაციის ხარჯზე. დღეს ექიმი ერთი პაციენტის მიღებაზე საშუალოდ ხარჯავს 30 წუთს, საიდანაც მინიმუმ 15 წუთი პაციენტის გამოკითხვაზე და ანამნეზის შეგროვებაზე იხარჯება. სისტემა საშუალებას იძლევა ეს დრო ავტომატიზაციის ხარჯზე შემცირდეს 50 პროცენტით(MyDoc.ge).

რაც შეეხება ე.წ. სიმპტომ-ჩეკერის სიზუსტეს, იგი მერყეობს 65-85% დიაპაზონში, თუმცა სისტემა ითვალისწინებს ლაბორატორიული კვლევების შედეგების დამატებას, რაც არსებითად ზრდის სიმპტომების პროცენტულ სიზუსტეს. დიაგნოზის დასა ექიმის პრეროგატივაა, სისტემა განსაზღვრავს მხოლოდ დაავადებათა არსებობის რისკების ალბათობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პლატფორმა ეყრდნობა მხოლოდ სანდო და კომპეტენტურ სამედიცინო-სამეცნერო საერთაშორისო წყაროებს. გარდა ამისა მონაცემები გროვდება მთელი მსოფლიოდან მილიონობით პაციენტის ავადმყოფობის სამედიცინო ჩანაწერებიდან, ასევე გამოიყენება და ანალიზდება მონაცემები გარე წყაროებიდანაც, როგორიცაა ანონიმური ელექტრონული სამედიცინო ისტორიები. პლატფორმის მოდრირება და მართვა ხორციელდება კომპეტენტური სამედიცინო საბჭოს მიერ, რომელშიც შედიან ევროპისა და აშშ-ს სპეციალისტები, როგორც სამედიცინო, ისე ხელოვნური ინტელექტის სფეროდან.

5) IOGH Ltd (Institute of Global Health)

IOGH Ltd წარმოადგენს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ კიდევ ერთ ინოვაციურ პროექტს სამედიცინო სისტემაში, რომლის გრანტის ოდენობაც 100 000 ლარით განისაზღვრა. კომპანია დაარსდა 2018 წელს დააარსა გიორგი შაქარიშვილმა, რომელშიც ამჟამად დასაქმებულია 3 ქართველი სპეციალისტი, თუმცა კომპანია აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადახვა ქვეყნის სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან.

კომპანია ფუნქციონირებს და ჰყავს პარტნიორთა ქსელი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონულ და გლობლურ დონეზე და მისი მიზანია პიონერული ინიციატივებით,ახალი მიდგომების გამოყენებით და გამოცდილებაზე დაფუძნებული მეთოდის ინტეგრაციის საშუალებით გააუმჯობესოს გლობალური ჯანდაცვის დარგში საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი. კომპანიამ შექმნა და გამოსცადა ებოლას ვირუსული დაავადების ეპიდემიური აფეთქების VR(virtual reality) სიმულაცია, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ საველე პირობებში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. კომპანია გეგმავს გლობალური ჯანდაცვის სრული სასწავლო პროგრამის შექმნას, რომლის გამოყენების საშუალება ექნებათ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს.

კომპანიამ გამოაქვეყნა გლობალური ჯანმრთელობის შესახებ პირველი ქართული სახელმძღვანელო და აქტიურად უწყობს ხელს სასწავლო კურსისა და სასწავლო პროგრამის შემუშავებას, რომელიც ინტეგრირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამებში, ასევე სეზონურ სკოლების ფორმირებას ჯანდაცვის სტუდენტებისა და პრაქტიკოსებისათვის და ტრენინგების ჩატარებას ძირითადად აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

6) კრიოაბლაცია-ინოვაციური მიდგომა კარდიოქირურგიაში

საქართველო იმ ქვეყნების სიაშია, სადაც გულ-სისხლ-ძარღვთა დაავადებები, მათ შორის არითმია, გარდაცვალების

ძირითადი მიზეზია. უახლესი კარდიოვასკულარული მეთოდოლოგიების ჩვენ ქვეყანაში ფართოდ შემოტანით, ქართველ ექიმებს ეძლევათ შესაძლებლობა პაციენტებს შესთავაზონ, კარდიოვასკულარული დაავადებების მართვის მოწინავე მეთოდები, გამოცდილებისა და მიღწევების გაფართოების ფონზე. წინაგულების ფიბრილაცია ე.წ.„მოციმციმე არითმია“ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გულის დაავადებაა, იგი მსოფლიო მასშტაბით 33.5 მილიონ ადამიანს აწუხებს, ხოლო საქართველოში ეს რიცხვი 35 000 ადამიანს აღემატება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უეცარი კარდიული სიკვდილით ყოველწლიურად 3700 ადამიანი იღუპება, რაც დღეში 10-11 ადამიანის სიკვდილს ნიშნავს, მსოფლიოს მასშტაბით კი ყოველწლიურად 7 მილიონი უეცარი კარდიული სიკვდილი ფიქსირდება. დღესდღეობით მსოფლიოში და უკვე საქართველოშიც წარმატებით გამოიყენება ინოვაციური მიდგომა კარდიოქირურგიაში-კრიოაბლაცია. კრიოაბლაცია წინაგულების ფიბრილაციის სამკურნალო პროცედურაა, რომლის დროსაც გამოიყენება ინოვაციური მოყინვის ტექნოლოგია. პროცედურის დროს Arctic Front Advance™ ტიპის ბალონ-კათეტერით ხდება ფილტვის ვენების წინასწარ განსაზღვრულ მიდამოებში ლოკალური მოყინვა (იგივე იზოლაცია) და იმ პათოლოგიური გამტარი გზების გათიშვა, რომლებიც ხელს უწყობს წინაგულების ფიბრილაციის წარმოქმნას, პროცედურის ხანგრძლივობა დაახლოებით 1-3 საათამდე მერყეობს და უმეტეს შემთხვევაში პაციენტი სახლში ბრუნდება აბლაციის შემდეგ დღეს. მაღალტექნოლოგიურ და უნიკალურ ოპერაციებს საქართველოს მასშტაბით ამ ეტაპზე 4 კლინიკაში ტარდება:ჯოენის კლინიკა, რესპუბლიკური საავადმყოფო, კლინიკა „ჰელსიკორი“ და ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო. პაციენტების 70%-ს, რომელთაც კრიოაბლაცია ჩაუტარდათ, მოციმციმე არითმია აღარ აწუხებთ, რაც საუკეთესო ევროპული ცენტრების მაჩვენებელს უტოლდება. ინოვაციური მიდგომა საკმაოდ ხარჯთეფექტურია, მნიშვნელოვნად მცირდება შემდგომი გართულებების ხარჯები. კრიოაბლაციის პროცედურის წარმატებით დანერგვიდან გამომდინარე, არსებობს გარკვეული პერსპექტივები, რომ საქართველო რეგიონში გადაიქცეს ერთგვარ სამედიცინო ჰაბად კრიოაბლაციის მიმართულებით, რადგანაც

ჩვენს ქვეყანას ჰყავს პაციენტები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ერაყიდან და აზიის სხვადასხვა ქვეყნებიდან. საქართველოში კრიოაბლაციის პროცედურა ჩართულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამაში და პროცედურის ღირებულების დაფარვა ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის დადგენილი წესების მიხედვით, თუმცა აღნიშნულით სარგებლობა ძირითადად პენსიონერებს(ფინანსდება ღირებულების 90%) და სოციალურად დაუცველ პაციენტებს (ფინანსდება 100%) შეუძლიათ, რაც პროგრამის ნაკლოვანებაზე მიუთითებს. კრიოაბლაციის პროცედურა საკმაოდ ძვირადღირებულია, დაახლოებით 15000 ლარი, რაც დაფინანსების მიღმა დარჩენილი შრომისუნარიანი ასაკის მოქალაქეებისთვის ფაქტობრივად ხელმიუწვდომელია. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები საკმაოდ მწირია და სახელმწიიფო ჯანდაცვის პროგრამა საჭიროებს გადახედვას.

7) ინოვაციური აპლიკაცია -STOP COVID

დღესდღეისობით კორონა ვირუსი (COVID-19) მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და სოციალურ მედიაში პოპულარული გამოცემები უკვე აქტიურად წერენ იმ პრობლემებზე, რომელიც ვირუსმა შეუქმნა მსოფლიოს ეკონომიკას. პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ დგება ადამიანის ისეთი უფლებები: როგორიცაა: შრომის, თანასწორობის, უსაფრთხოების, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის და სხვა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები. პანდემიის გავრცელების აღკვეთის მიზნით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება და მუშაობა დადებითად არის შეფასებული როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით ინოვაციური აპლიკაცია-STOPCOVID, რომელიც ავსტრიულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ NOVID20-მა პროგრამული უზრუნველყოფის მოწინავეკომპანიასთან Dolphin Technologies-თან ერთად შეიმუშავა, ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობისათვის 2020 წლის 16 აპრილიდან და იგი სრულ შესაბამისობაშია ქართულ რეალობასა და კანონმდებლობასთან. აპლიკაცია შესაძლებლობას აძლევს

მომხმარებლებს, გაიგოს თუ იმყოფებოდა კონტაქტში COVID 19-ით ინფიცირებულ პირთან. აპლიკაცია თითოეული მომხმარებლისთვის ქმნის უნიკალურ ID-ს, რომლის მეშვეობითაც განსაზღვრავს სოციალურ კონტაქტებს. ყველა მონაცემი ინახება მობილურ ტელეფონში, ლოკალურად, კოდირების მძლავრი სისტემის გამოყენებით და სისტემა განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს პერსონალური მონაცემთა დაცვის ევროპულ კანონმდებლობასთან თანხვედრას. იმის დასადგენად თუ რომელი სმარტფონები, იმყოფებოდნენ ერთმანეთთან სიახლოვეში გამოიყენება Bluetooth, GPS და სხვა ტექნოლოგიები. აპლიკაციის მომხმარებლებს შორის ინტერაქციის შესახებ ინფორმაცია - კონტაქტის თარიღი, გარკვეული ხანგრძლივობისა (15 წუთზე მეტი) და დისტანციის მქონე შემთხვევები (2 მეტრზე ნაკლები), დაშიფრული სახით ინახება ადგილობრივად, ორივე მომხმარებლის აპლიკაციაში. თუ რომელიმე ადამიანს დაუდასტურდება COVID-19, ის პირები, რომელთაც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში კონტაქტი ჰქონდათ აღნიშნულ დადასტურებულ შემთხვევასთან, აპლიკაციის საშუალებით მიიღებენ გაფრთხილებას, ინსტრუქციით-დარჩნენ თვითიზოლაციაში და დაუყოვნებლივ მიმართონ შესაბამის ორგანოებს. აღნიშნული ინოვაციური აპლიკაციის დანერგვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ჯანდაცვისა და ეკონომიკის სექტორებისათვის, რადგანაც COVID-19-ის ადრეულ სტადიაზე გამოვლენისა და პრევენციის ღონისძიებები საშუალებას მოგვცემს, დავიცვათ თითოეული მოქალაქის სიცოცხლე და დავზოგოთ ჯანდაცვის სექტორისათვის გამოყოფილი ისედაც მწირი ეკონომიკური რესურსები.

ინოვაციების გავრცელების პრობლემები და ხელშემშლელი ფაქტორები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში

ჯანდაცვაზე ხარჯების ზრდა არამარტო საქართველოს, არამედ ბევრი ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. იგი უმთავრესად დაკავშირებულია ჯანდაცვის სექტორისათვის დამახასიათებელ ტენდენციასთან. ბევრ ქვეყნებში ჯანდაცვის ხარჯების ზრდის ტემპი აღემატება მთლიანი

ეკონომიკის ზრდის ტემპებს, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, ჯანდაცვის სექტორში უფრო მეტად ინერგება ახალი ტექნოლოგიები, სამკურნალო-სადიაგნოსტიკო მოწყობილობა-დანადგარები, მედიკამენტები. შედეგად, ჯანდაცვის სექტორში სამედიცინო ფასები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ფასები მთლიანად ეკონომიკაში ვერულავა თ.,2016:5-7]. თუმცა, ჯანდაცვაზე დანახარჯებსა და ჯანმრთელობის გამოსავლებს (შედეგებს) შორის არ არის ასეთი მარტივი კავშირი, რადგან ჯანდაცვაზე დანახარჯებსაც აქვს ზღვრული სარგებელი-გარკვეული დონის ზევით დანახარჯების ზრდას არანაირი გავლენა არ აქვს ჯანმრთელობის გამოსავლებზე.

ქვემოთ განხილულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ინოვაციების დანერგვისა და გავრცელების ხელშემშლელი ფაქტორები, რის გამოც ვერ ხერხდება რესურსების გამოთავისუფლება და მიმართვა ინოვაციური პროექტების დანერგვა-განვითარებაზე:

- **ჯანდაცვის სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა** - ბოლო პერიოდში განხორციელებული დადებითი ძვრების მიუხედავად, ჯანდაცვის სექტორში დღეს არსებული მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძვლები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ხარისხს, უწყვეტობას, თანმიმდევრულობას და ეფექტიანობას. კერძოდ, შემუშავდა სამედიცინო დაწესებულებათა კლასიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა, ჯერ არ არის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების დონეებს შორის კავშირები და უკუკავშირები [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, 2017:8]. რიგი საქმიანობებისათვის (მაგალითად, პირველადი ჯანდაცვა) დასადგენია რეგულირების ინსტრუმენტები,გადასახედია სამედიცინო საქმიანობის უფლების (ლიცენზია/ნებართვა, ტექნიკური რეგლამენტი) მოპოვების მექანიზმები, უპირველეს ყოვლისა, ინფრასტრუქტურასა და ადამიანურ რესურსებთან მიმართებაში, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდეს სამედიცინო მომსახურების ინტეგრირებული მოდელის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ

კრიტერიუმებთან. ფარმაცევტული სექტორის კუთხით, პრობლემურია ამ სფეროს ლიბერალური რეგულირება, მათ შორის, ფარმაცევტული პროდუქტის მარტივი რეგისტრაციის წესი და სააფთიაქო დაწესებულებებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ასევე დასახვეწია ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევების სახელმწიფო რეგულირების საკითხი. მოქმედი კანონმდებლობა და ინსტიტუციური თუ ფინანსური რესურსების სიმწირე ვერ იძლევა ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხის სრულყოფილი კონტროლისა და მონიტორინგის საშუალებას [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, 2017:14]. საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ელექტრონული სისტემის სხვა მრავალი კომპონენტის-ტელემედიცინის, მობილური ჯანმრთელობის, ტელეპრევენციის, დისტანციური განათლების განვითარებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო და ტექნოლოგიური ცვლილებების გატარება და ევროკავშირის ანალოგიურ სისტემებთან ჰარმონიზებული სისტემის შექმნა. გარდა ამისა, აუცილებელია დისტანციური განათლების, სწავლებისა და თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმებისა და მობილური აპლიკაციების, ელექტრონული პორტფოლიოსა თუ სხვა ინოვაციური მიდგომების მხარდაჭერა და შესაბამისი ნორმატიული ბაზის ფორმირება, წარმატებული მოდელების დანერგვა და უწყვეტი განათლების პროცესის ეფექტიანი განხორციელება.

- ოლიგოპოლიის ნიშნები ჯანდაცვის სექტორში და მზარდი ფასები მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურების პროდუქტებზე - საქართველოს ჯანდაცვის ბაზრისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ოლიგოპოლიის ნიშნები, რაც კარტელური გარიგებების წარმოშობის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის. ფონდ „კურაციოს“ [72]მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში მედიკამენტების ფასები მნიშვნელოვნად აღემატება იმავე მედიკამენტებზე ევროპის ქვეყნებში არსებულ ფასებს. ასევე, მედიკამენტების ფასნამატმა იმპორტიდან

[72] საერთაშორისო ფონდი კურაციო-არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მისიაა ჯანდაცვის გაუმჯობესება ჯანდაცვის სისტემების გაძლიერების გზით.

(საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთიდან) საცალო ქსელის დახლამდე შეადგინა 102%. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ფასნამატის მარჟა სულ მცირე ორჯერ აღემატება ევროპის ქვეყნებში დაფიქსირებულ მარჟას. გოცაძე, თ., 2010:2]. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით, საქართველოში ოჯახები ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების 69%-ს მედიკამენტების შესაძენად ხარჯავენ [კონრად ადენაუერის ფონდი.,2020:5-7]. ჯანდაცის სექტორში არსებული ოლიგოპოლიური ვითარებიდან გამომდინარე, ბაზრისათვის ნაკლებად დამახასიათებელია ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების ხელშეწყობისა და დანერგვისადმი მზაობა, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვება თითოეულ მოქალაქეს, რომლისთვისაც ჯიბიდან გადახდის წილი სამედიცინო სექტორში დაახლოებით 57 %-ს წარმოადგენს. ჯანდაცვის სისტემის შეზღუდული კონკურენცია ნეგატიურად მოქმედებს ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახრების ეფექტურ ხარჯვაზე, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, სადაც ჯანდაცვაზე ისედაც მწირი რესურსები არის გამოყოფილი. აქედან გამომდინარე, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა კონკურენციის ხელშეწყობის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს, გაზრდის სამედიცინო მომსახურების ხარისხს და რაც მთავარია, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარებას მისცემს ბიძგს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ზოგიერთი შეთანხმება უშუალო გავლენას ახდენს მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. მათგან ყველაზე გამორჩეულია შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (Trade-Related Intellectual Property Rights, TRIPS), რომელიც, ინტელექტუალური საკუთრების სხვა ფორმებთან ერთად, დაპატენტებული ფარმაცევტული საშუალებების, პროცესების და სამედიცინო ტექნოლოგიების დასაცავად შეიქმნა 1995 წელს [შაქარიშვილი გ.,2017:76]. შეთანხმება ადგენს, რომ პატენტის დაცვის პერიოდის განმავლობაში (მინიმუმ 20 წელი) ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებელს დაპატენტებული

წამლის ან ტექნოლოგიის წარმოება შეუძლია მხოლოდ პატენტის მფლობელის სპეციალური ნებართვით, რაც, როგორც წესი, ძალიან ძვირი ჯდება. აღნიშნული რეგულიაცია ზიანს აყენებს ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებლებს განვითარებად ქვეყნებში და მილიონობით იმ ადამიანს, ვისაც არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა, შეიძინონ დაპატენტებული წამლები, რაც განსაკუთრებით რთულია ადგილობრივი ფარმაცევტული წარმოების არარსებობის პირობებში. კონკურენციისა და ადგილობრივი წარმოების შეზღუდვით იზრდება საფრთხე, რომ TRIPS კიდევ უფრო დაამძიმებს სამედიცინო კრიზისს განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა.

- **არასაჭირო სამედიცინო სერვისები** - ჯანდაცვაზე დანახარჯების ზრდას ხელს უწყობს არასაჭირო სამედიცინო სერვისები, დაუსაბუთებელი ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური ღონისძიებები, რომელთაც არანაირი სარგებელი არ მოაქვთ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მრავალი კვლევები ადასტურებენ, რომ ასეთ არასაჭირო სამედიცინო სერვისებზე გაწეული ხარჯები საკმაო წილს შეადგენენ ჯანდაცვის ხარჯებში, გასათვალისწინებელია ამ მხრივ საქართველოში არსებული არასახარბიელო სიტუაცია [Fisher ES.,2003:138,273].

- **ადმინისტრაციული და მენეჯერული ხარჯების მაღალი წილი მთლიან დანახარჯებში** - ჯანდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადმინისტრაციულ ხარჯებს. იგი საჭიროა ისეთი საორგანიზაციო ღონისძიებების უზრუნველ-საყოფად, როგორებიცაა: სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვა, ჯანდაცვის ფინანსების მართვა და ა.შ. ადმინისტრაციული ხარჯები განსაკუთრებით მაღალია ისეთი ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებში, სადაც სახელმწიფო ჯანდაცვით პროგრამებში (ან სოციალური დაზღვევის სისტემაში) მრავალი გადამხდელი (სადაზღვევო კომპანია) მონაწილეობს. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, აშშ-ში ყოველ 1$-ზე 31 ცენტი მოდის ისეთ ადმინისტრაციულ ხარჯებზე, როგორიცაა: დაზღვევის მარკეტინგი, ზარალების (პრეტენზიების) მართვა, მოთხოვნების დამუშავება. ამ მხრივ, აშშ-ში ჯანდაცვის ადმინისტრაციული ხარჯები გაცილებით აღემატება სხვა ქვეყნის მაჩვენებლებს[

Woolhandler S., Campbell T., Himmelstein D.,2003:349]. ექსპერტული შეფასებით, ბიზნესზე გაწეული დანახარჯების 50% მენეჯერულ ხარჯებზე მოდის, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია მეცნიერებატევადი მეწარმეობის დარგებში, მათ შორის ჯანდაცვაშიც [ლორთქიფანიძე რ.,2013:45]. მოცემულ ეტაპზე საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და ქვეყნისათვის დამახასიათებელია ადმინისტრაციული და მენეჯერული დანახარჯების დიდი წილი, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოში არც თუ შორეულ წარსულში დაიწყო ტექნოლოგიური პროდუქტებისა და სერვისების დანერგვა, აღნიშნული პროცესი კი საწყის ეტაპზე საჭიროებს მნიშვნელოვან საკადრო და მმართველობით დანახარჯებს, შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის მომზადებას და ა.შ. ჩვენი ქვეყნისათვის აღნიშნული დანახარჯების წილი მთლიან დანახარჯებში კიდევ უფრო მაღალია, რაც განპირობებულია ჯანდაცვის სექტორზე გამოყოფილი რესურსების სიმწირით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისადმი არც თუ ისე მაღალი მზაობით, კვალიფიციური კადრების დეფიციტით, რომლებიც ფლობენ როგორც სამედიცინო ისე მაღალტექნოლოგიურ უნარ-ჩვევებს. საქართველოს ჯანდაცვის სისტემისათვის ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული ხარჯების შემცირებისადმი ინტერესი, რაც საშუალებას მოგვცემს გამოთავისუფლებული რესურსები მივმართოთ ინოვაციური პროექტების დანერგვასა და სრულყოფაზე, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო შეამცირებს ადმინისტრაციული ხარჯების წილს მთლიან სამედიცინო დანახარჯებში.

- **სუსტად განვითარებული პირველადი ჯანდაცვა** - კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პირველადი ჯანდაცვის დეფინიცია, სისტემის ორგანიზაციული მოწყობის მოდელი და მარეგულირებელი გარემო, სუსტი უკუკავშირი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებსა და ჰოსპიტალურ დაწესებულებებს შორის, მომსახურების ფრაგმენტულობა, ნაკლები ყურადღება დაავადებათა პრევენციაზე, მათ ადრეულ გამოვლენასა და მართვაზე. გარდა ამისა, ქვეყნის დონეზე არაერთგვაროვანი და საკმაოდ განსხვავებულია პირველადი ჯანდაცვის ინფრა-

სტრუქტურისა და აღჭურვილობის ხარისხი. საქართველოში ჯანდაცვის ხარჯების შეკავების პრობლემა უფრო მძიმეა იმ თვალსაზრისით, რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემა ნაკლებადაა განვითარებული. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2.3-ს შეადგენს, იგივე მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში 7.5-მდე აღწევს. პაციენტები პირველადი ჯანდაცვის რგოლის გვერდის ავლით, ექიმის დანიშნულების გარეშე ყიდულობენ მედიკამენტებს და ეწევიან თვითმკურნალობას. შედეგად, კატასტროფულად მაღალია ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტების ხარჯების წილი, დაახლოებით 40%, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში იგი 10-15%-ს აღწევს. მოსახლეობის დიდი ნაწილი პირდაპირ სტაციონარს აკითხავს (2017 წელს-32%, ხოლო 2014 წელს-31%), ვიდრე პირველად ჯანდაცვას [კონრად ადენაუერის ფონდი, 2020:8]. პირველადი ჯანდაცვის სისტემის ეფექტინი ფუნქციონირების მიზანია, აღმოიფხვრას პაციენტთა თვით-მიმართვები სპეციალისტებთან, რაც თავიდან აგვარიდებს ძვირადღირებულ ჰოსპიტალურ მკურნალობასთან დაკავში-რებული ხარჯებს, რის შედეგადაც მცირდება არააუცილებელი სერვისების ჩატარების სტიმული და ჯანდაცვის ხარჯები [Macinko J.,2003:15]. დოკუმენტში ,,საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის'' ნათქვამია, რომ სახელმწიფო გეგმავს პირველად ჯანდაცვასა და პრევენციაზე გამოყოფილი დანახარჯების 19,3 პროცენტიდან 40 პროცენტამდე გაზრდას(იხ.გრაფ. 3.), დროული დიაგნოზისა და პრევენციული სერვისების წყალობით პაციენტები შეძლებენ უფრო სერიოზული და ძვირადღირებული სერვისების თავიდან აცილებას [საქართ-ველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, 2017:17].

გრაფ. 3 ჯანდაცვის სისტემის სამიზნე ინდიკატორები, 2030

ინდიკატორი	საბაზისო	სამიზნე 2030
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-დან	2.9% (2015)	>5%
ჯიბიდან გადახდების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში	57% (2015)	<30%
სტაციონარული შემთხვევების წილი, რომელიც ანაზღაურებულია DRG-ის მეთოდით	0%	100%
ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში პირველად ჯანდაცვასა და პრევენციაზე დანახარჯების წილი	19.3%	40%

წყარო:საქართველოს პარლამენტი, საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის, 2017 წ. გვ. 17

- **ჭარბი სამედიცინო ინფრასტრუქტურა** - სტატისტიკური ინფორმაციით, 2011-წლიდან 2018 წლის ჩათვლით კლინიკების რაოდენობა 229-დან 273-მდე გაიზარდა [კონრად ადენაუერის ფონდი,2013:5-7]. კლინიკების რაოდენობის ასეთი სწრაფი ზრდა თავიდანვე არასწორად დაგეგმილი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შედეგია. ჭარბი სამედიცინო ინფრასტრუქტურა, ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებების გათვალისწინების გარეშე იქმნება. ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს არა თავად კლინიკების რაოდენობის ზრდა, არამედ ის გარემოება, რომ ახლადშექმნილი პატარა კლინიკების უმრავლესობის დაფინანსების უმთავრესი წყაროა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა. საწოლთა არასათანადო დატვირთვა ზრდის მომსახურების ხარჯს, კომუნალურ, ცვეთის, ადმინისტრაციულ დანახარჯებს, რადგან თითოეულ საავად-მყოფოს სჭირდება საკუთარი მენეჯერები, დამხმარე პერსონალი, ძვირადღირებული აპარატურა, ასევე მცირდება მოსახურების ხარისხი, რადგან პატარა კლინიკებისათვის განვითარების და მაღალტექნოლოგიურ დანადგარებში ინვესტიციების შესაძლებ-ლობა დაბალია.

- **სერვისების შერჩევა ხარჯთ–ეფექტიანობის ანალიზის მიხედვით** - ხარჯების შესაკავებლად მსოფლიოში ფართოდ

გამოიყენება ჯანდაცვის სერვისების ეკონომიკური შეფასების მეთოდები. რესურსების შეზღუდულობის გათვალისწინებით იგი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი ჯანდაცვითი პროგრამის ან სერვისის დაფინანსებას, რომლითაც ნაკლები დანახარჯებით მიიღწევა უკეთესი შედეგები. ამგვარად, სახელმწიფო ახდენს ჯანდაცვით პროგრამებს (სერვისებს) შორის არჩევანის გაკეთებას, ანუ პრიორიტეტების განსაზღვრას. სასურველი სერვისების შესარჩევად გადაწყვეტილება მიიღება ხარჯთ-ეფექტიანობის ანალიზის მიხედვით. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში ჩატარდა გულის დაავადებების პრევენციის ხარჯთ-ეფექტურობის ანალიზი, რომელმაც აჩვენა, რომ ექიმთან ვიზიტის დროს ჩატრებული თამბაქოს საწინააღმდეგო კონსულტაციის შედეგად გადარჩენილი სიცოცხლის თითოეული წლის დანახარჯი შეადგენდა დაახლოებით $1000-ს, მსუბუქი სახის ჰიპერტენზიის მკურნალობის შედეგად – $24 000-ს, ხოლო ქოლესტერინის მომატებისას მედიკამენტებით მკურნალობის შედეგად – დაახლოებით $100 000 [შაქარიშვილი გ.,2017:78]. მოცემული მაგალითიდან გამომდინარე, გულის დაავადებების პრევენციის პროგრამაში მიზანშეწონილია პრიორიტეტი მიენიჭოს თამბაქოს საწინააღმდეგო ღონისძიებებს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში საკმაო გამოცდილება დაგროვდა აღნიშნული მიმართულებით, საქართველოში სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების შემუშავებისას ნაკლებად იყენებენ ხარჯთ-ეფექტურობის ანალიზს, მაშინ როცა ჯანდაცვის დანახარჯების მინიმიზაციის თვალსაზრისით აღნიშნული მეთოდის გამოყენება ძალიან სასარგებლოა და მიზანშეწონილია უცხოური პრაქტიკის გაზიარება.

- **ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების პრობლემები** - მიუხედავად ბოლო წლებში ჯანმრთელობაზე დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდისა, არსებული მონაცემებით, ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველო ჯერ კიდევ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სახელმწიფო ჯანდაცვაზე დანახარჯის წილით როგორც მთლიან ჯანდაცვაზე დანახარჯებში (2017-38%), ასევე მშპ-სა (2017 -2.9%, ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებელია-5.7%) და სახელმწიფო ბიუჯეტში (2017- 10%) [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომიტეტი, 2017:1]. 2012 წელს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების (მათ შორის ჯანმრთელობის დაზღვევა) ჯამური დაფინანსება 332 მლნ ლარს შეადგენდა, ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია და 2019 წელს მილიარდ ლარს აჭარბებს [კონრად ადენაუერის ფონდი, 2013:5-7], საიდანაც 70%-ზე მეტი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯებზე მოდის. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში ჯიბიდან გადახდების წილი შემცირდა, თუმცა 2017 წლის მონაცემებით, ჯანდაცვის დანახარჯების დაახლოებით 55%-ს მოსახლეობა კვლავ საკუთარი ჯიბიდან იხდის. გარდა ამისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 40%-ზე მეტს უნდა შეადგენდეს. ქვეყნებში, სადაც ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია, ჯანდაცვის სექტორში მდგარი პრობლემების გადასაჭრელად სახელმწიფოს შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნია. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დაფინანსების წილი მნიშვნელოვნად ნაკლებია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზღვარზე და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებსაც, როგორებიცაა: სომხეთი (41.7%), ყაზახეთი (53.1%), უკრაინა (54.5%), ყირგიზეთი (59%) [შაქარიშვილი გ.2017:78]. საქართველოში ჯანდაცვის ხარჯების მნიშვნელოვან წილს, დაახლოებით 65-70%-ს, მოსახლეობის მიერ გაღებული კერძო დანახარჯები შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ჯანდაცვა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტად არ ითვლება, თუმცა საქართველოს ,,სტრატეგია 2020-ში'' ჯანდაცვა პრიორიტეტულ მიმართულებად არის აღიარებული. ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში კერძო დანახარჯების ასეთი მაღალი წილის მიხედვით საქართველო მსოფლიოში მერვე ადგილზეა და ისეთ ქვეყნებს შორის დგას, როგორებიცაა სუდანი (75.8%), იემენი (74%), ავღანეთი (73.8%), აზერბაიჯანი (71.1%), ნიგერია (69.3%), ვენესუელა (65.8%) [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი,2017:18]. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გაწეული ხარჯების ზრდის არსებული ტენდენცია წარმოშობს საფრთხეს, რომ სახელმწიფო ვეღარ უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო

ფინანსური რესურსის მოძიებას და სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების საფასურის დროულ დაფარვას, რაც გამოიწვევს პროგრამის ფუნქციონირების შეფერხებას. ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშების თანახმად, აშკარაა ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების მკვეთრი ზრდა (იხ. გრაფ.4). აღნიშნულიდან გამომდინარე, დანახარჯების შემცირების თვალსაზრისით კრიტიკულად აუცილებელია მოცემულ სექტორში ინოვაციების დანერგვა. მართალია საწყის ეტაპზე აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვან ფინანსურ, მატერიალურ თუ ადამიანისეულ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა შევაფასოთ ინოვაციური პროექტების როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური სარგებლები, კერძოდ, ჯანდაცვის სისტემაზე გაწეული დანახარჯების შემცირება და მასშტაბის ეკონომია, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, დროითი დანააზოგები, ტექნოლოგიური პროცესების გარემოზე დადებითი ზემოქმედების შეფასება და ა.შ.

გრაფ.4. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ტენდენციები

წყარო: შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშების შედეგები, 2001-2017

- **არაადექვატური ტარიფები ჯანდაცვის პროდუქტებსა და სერვისებზე** - საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტი ,,საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის“ ითვალისწინებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიწოდებული სერვისების ტარიფების გათანაბრებას. ამ დადგენილების მიზანია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულმა სამედიცინო დაწესებულებებმა კონკრეტული სამედიცინო სერვისები ერთიანი დადგენილი ტარიფით მიაწოდონ [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, 2017:15]. აღნიშნული ღონისძიების შედეგად ხელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა საკმაოდ სოლიდური თანხები დაზოგოს, კერძოდ რეანიმაციის სერვისისთვის ის დანაზოგი, რომელიც ტარიფების გათანაბრებით შეიძლება მივიღოთ დაახლოებით 30 მლნ ლარს შეადგენს, რაც შეეხება კარდიოქირურგიის დარგს, აქ სახელმწიფოს მიერ ძალიან მცირეა დანაზოგი, დაახლოებით 3 მლნ ლარი, თუმცა აქ მოსალოდნელია 11 მლნ ლარის დაზოგვა პაციენტების მიერ, რომელიც მოდის ჯიბიდან გადახდის წილზე და სხვადასხვა დანამატის ხარჯზე [კონრად ადენაუერის ფონდი,2013:8]. აღნიშნული რეგულაციები ხელს შეუწყობს სხვადასხვა კლინიკებში ფასების გათანაბრებას და გაზრდის სამედიცინო სერვისებზე მოსახლეობის ფინანსურ ხელმისაწვდომობას. უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სისტემაში არსებული არაადეკვატური ტარიფები საფრთხეს უქმნის მაღალტექნოლოგიური სერვისების განვითარებას, რაც შეეხება ზემოაღნიშნული რეფორმების შედეგად გამოთავისუფლებულ დანაზოგებს, შესაძლებელი იქნება მისი ეფექტური გამოყენება ინოვაციებზე დაფუძნებული პროდუქტების/სერვისების და პროექტების დასაფინანსებლად.

- **ინოვაციური პროექტები საკმაოდ ძვირადღირებულია** - ინოვაციური პროექტების განხორციელება განსაკუთრებით რთულია სამედიცინო სფეროში, რაც გამოწვეულია აღნიშნული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკმაოდ დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო

რესურსების მოძიება და ინვესტირების განხორციელება ძალიან ჭირს ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების სიმწირის გამო. როცა ვსაუბრობთ ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე, საჭიროა გაანალიზდეს მათთან დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები და სარგებელი, ასევე სოციალურ და ეკონომიკური სფეროებზე ზეგავლენის გრძელვადიანი ეფექტი. ინოვაციური პროექტების დაფინანსების პრობლემების განხილვისას, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოში კარდიოლოგიის დარგში მიმდინარე ტენდენციები. კერძოდ, გულის იშემიური დაავადების მკურნალობის დროს დღეისთვის შეინიშნება ენდოვასკულური პროცედურების ზრდის ტენდენცია, რასაც ხშირ შემთხვევაში შეუძლია შეცვალოს მკურნალობის ქირურგიული და კონსერვატიული მეთოდები, თუმცა საკმაოდ ძვირადღირებულია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების მიუხედავად, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, შეინიშნება მნიშვნელოვანი ჩამორჩენა, პრობლემა კომპლექსური ხასიათისაა და დაკავშირებულია მწირ დაფინანსებასთან, სამედიცინო დაწესებულებების არასაკმარის მატერიალურ ბაზასთან, ადექვატური ადამიანური რესურსების დეფიციტთან და ა.შ.

როდესაც ვსაუბრობთ ინოვაციურ პროექტებზე, უნდა აღინიშნოს ნანომედიცინა და ნანოროზოტების გამოყენება, რომლებსაც აქვთ ადამიანის ორგანიზმში შეღწევის საშუალება უჯრედულ დონეზე. ნანოროზოტი დღესდღეობით წარმატებით გამოიყენება სიმსივნის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან იგი წარმოადგენს 0.5-3 მიკრომეტრის ზომის ნაწილაკს, რომელიც ათჯერ და ათასჯერ მცირეა ადამიანის უჯრედზე, შეუძლია კაპილარში შეღწევა და მოქმედება როგორც სიმსივნური უჯრედის ზედაპირზე, ასევე უჯრედის შიგნით. გარდა ამისა, საკმაოდ ეფექტურადაა შესაძლებელი ნანოტექნოლოგიური საშუალებების გამოიყენება ფარმაკოლოგიური პრეპარატების ორგანიზმში შესაყვანად, რადგანაც ნანონაწილაკებს წამლის მოლეკულები მიაქვთ უშუალოდ იმ ადგილამდე, სადაც ყველაზე მეტად არის მედიკამენტის მოქმედება საჭირო. ნანოროზოტები უზრუნველყოფენ დაავადებული უჯრედების განადგურებას და დაზიანებულის აღდგენას, ამოწურვადი რესურსების ჩანაცვლებას

ახალი ეფექტური ენერგიებით,რითაც მედიკამენტების 80%-ის დაზოგვა ხდება(ცდების შედეგები წარმოადგინა კომპანია (BIND Biosciences-მა) და მინიმალურ დროში მიიღწევა მაქსიმალური შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ცდილობს არ ჩამორჩეს და მაქსიმალურად აუწყოს ფეხი მსოფლიოს ჯანდაცვაში არსებულ ინოვაციებს, უნდა აღინიშნოს, რომ ნანოტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება ჩვენს ქვეყანაში შეზღუდულ ხასიათს ატარებს, მასთან დაკავშირებული დიდი ფინანსური დანახარჯებიდან და ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი მწირი დაფინანსებიდან გამომდინარე.

- **სადაზღვევო სისტემის არაეფექტურობა** - ჯანდაცვაზე დანახარჯების შეკავების ერთ-ერთ მექანიზმია ჯანდაცვის დაფინანსების კონკურენტული სისტემა, სადაც სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების მართვას ახორციელებს არა ერთი ორგანიზაცია (მაგ., სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდი, ან სოციალური მომსახურების სააგენტო საქართველოში), არამედ მრავალი კუნკურირებადი სადაზღვევო კომპანია. დასავლეთ ევროპის სოციალური დაზღვევის სისტემის ზოგიერთმა ქვეყანამ (გერმანია, ნიდერლანდები, ბელგია, ჩეხეთი, შვეიცარია, ირლანდია, ისრაელი) დიდი ხანია უარყო ერთი გადამხდელით დაფინანსების არაკონკურენტული სისტემა. მაგალითად აშშ-ში,სადაც ერთი გადამხდელის სისტემა მოქმედებს, სახელმწიფო სახსრების ეფექტურად ხარჯვის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები არსებობს, კერძოდ სამედიცინო დაწესებულებების მიერ ზედმეტად მოთხოვნილი თანხების გამო გამოძიების ფედერალური ბოიუროს სპეციალური სამსახურს მათგან ყოველწლიურად დაახლოებით 3-4 მლრდ. დოლარი ამოაქვს [ვერულავა თ.,2020:1]. საქართველოში 2013 წლიდან ერთი გადამხდელის ნაცვლად დაინერგა კონკურენტული სადაზღვევო სისტემის ნაკლოვანებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საავადმყოფოების გარკვეულ ნაწილს სადაზღვევო კომპანიები ფლობენ, რის გამოც ამ ორ სუბიექტს შორის ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს და ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი სახსრები მოსთხოვონ სახელმწიფოს, აქედან გამომდინარე მოცემული მოდელი არახარჯთეფექტურია. ბოლო წლების განმავლობაში გადაუდებელი ამბულატორიის შემთხვევათა

რაოდენობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რაც პირდაპირ მიუთითებს სისტემაში არსებულ ე.წ. ,,შავ ხვრელებზე“- საავადმყოფოები სახელმწიფოსგან მეტ დაფინანსებას იღებენ, ხოლო მონიტორინგი და კონტროლი თანხების ხარჯვაზე არაეფექტურია. ჯანდაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, 2013 წელს გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება 109 787 ადამიანმა მიიღო, (54 349 974 ლარი), 2014 წელს - 386 964 ადამიანმა (247 145 534 ლარი), ხოლო 2015 წელს კი - 444 708 ადამინმა (294 102 576 ლარი) [ვერულავა თ.,2020:3]. აქედან გამომდინარე, საჭიროა მუდმივი მონიტორინგი ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული ხარჯებისა, რათა აღიკვეთოს დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული ხარჯვა, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს თანხების გამოთავისუფლებას და ჯანდავცვის სექტორზე გამოყოფილი ისედაც მწირი რესურსების ეფექტიან განაწილებას .

დასკვნა

ჯანმრთელობის დაცვა მომსახურების განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ფორმირებაში. ჯანდაცვის სისტემა უნდა განვიხილოთ, როგორც ინოვაციების ინკუბატორი-ეს იმას ნიშნავს, რომ ინოვაციური მიდგომების გარეშე შეუძლებელი იქნება იმ საჭიროებების გათვალისწინება, რაც დღესდღეობით რეალურად დგას ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სექტორის წინაშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საკანონმდებლო, ტექნიკური თუ ინოვაციური პროექტების მიმართულებით, რომლებიც მაქსიმალურად არის მორგებული მომხმარებლის საჭიროებებზე. კერძოდ, საყურადღებოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2019 წელს ,,ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა

და წარმოების განსაზღვრის წესის შესახებ“ მიღებული ინოვაციური პროექტი, რომელიც წარმოადგენს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ციფრულ საცავს. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის მქონე აღჭურვილობა „ექიმი-რობოტი“-პირველადი ჯანდაცვის ციფრული დიაგნოსტიკური ცენტრი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია სამედიცინო კვლევის ჩატარება, პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების მიღება, შენახვა და დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა. აღსანიშნავია ასევე, MyDoc ონლაინ პლატფორმა, რომელიც იძლევა სწრაფი, მოსახერხებელი, ეფექტური და იაფი მკურნალობის პროცესის წარმართვის შესაძლებლობას და სპეციალური ალგორითმების მეშვეობით, სისტემა ადგენს შესაძლო კავშირს წარმოდგენილ სიმპტომებსა და მონაცემთა ბაზაში არსებულ დიაგნოზებს შორის და ახარისხებს მათ ალბათობების სიდიდის მიხედვით.

თუმცა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო დოკუმენტში დეკლარირებულია ჯანდაცვის პრიორიტეტულობა, ნაშრომში გამოკვეთილია ის გამოწვევები, რაც რეალურად არსებობს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის წინაშე. კერძოდ, ჯანდაცვის სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, რაც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ხარისხს, უწყვეტობას, თანმიმდევრულობას და ეფექტიანობას. რიგი საქმიანობებისათვის (მაგალითად, პირველადი ჯანდაცვა) დასადგენია რეგულირების ინსტრუმენტები, გადასახედია სამედიცინო საქმიანობის უფლების (ლიცენზია/ნებართვა, ტექნიკური რეგლამენტი) მოპოვების მექანიზმები, უპირველეს ყოვლისა, ინფრასტრუქტურასა და ადამიანურ რესურსებთან მიმართებაში, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდეს სამედიცინო მომსახურების ინტეგრირებული მოდელის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ კრიტერიუმებთან.

მნიშვნელოვან პრობელმას წარმოადგენს ოლიგოპოლიის ნიშნები ჯანდაცვის სექტორში, რის გამოც ბაზრისათვის ნაკლებად დამახასიათებელია ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების ხელშეწყობისა და დანერგვისადმი მზაობა, რაც თავის მხრივ

კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვება თითოეულ მოქალაქეს და ნეგატიურად მოქმედებს ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახრების ეფექტურ ხარჯვაზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია ადმინისტრაციული და მენეჯერული ხარჯების მაღალი წილი მთლიან დანახარჯებში, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოში არც თუ შორეულ წარსულში დაიწყო ტექნოლოგიური პროდუქტებისა და სერვისების დანერგვა, აღნიშნული პროცესი კი საწყის ეტაპზე საჭიროებს მნიშვნელოვან საკადრო და მმართველობით დანახარჯებს. ყურადღებას იმსახურებს სუსტად განვითარებული პირველადი ჯანდაცვა, სუსტი უკუკავშირი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებსა და ჰოსპიტალურ დაწესებულებებს შორის, მომსახურების ფრაგმენტულობა, ნაკლები ყურადღება დაავადებათა პრევენციაზე, მათ ადრეულ გამოვლენასა და მართვაზე. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების პრობლემები, საქართველო ჯერ კიდევ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სახელმწიფო ჯანდაცვაზე დანახარჯის წილით როგორც მთლიან ჯანდაცვაზე დანახარჯებში ასევე მშპ-სა და სახელმწიფო ბიუჯეტში. ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ასევე ინოვაციური პროექტების სიძვირე, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა, სადაც ინოვაციური პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო რესურსების მოძიება და ინვესტირების განხორციელება ძალიან ჭირს ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების სიმწირის გამო.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული პრობლემები მნიშვნელოვნად აფერხებენ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას და ზღუდავენ ქვეყანაში ინოვაციებისა და მაღალტექნოლოგიური პროექტების დანერგვა-გავრცელებას, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის მოსახლეობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გრძელვადიანი, დაბალანსებული, მერცნიერულად დასაბუთებული ჯანდაცვის სისტემის მართვის სტრატეგიის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება ინოვაციურ მიდგომებზე და გახდება ჯანდაცვის ეროვნული სისტემის რეალური პრიორიტეტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოცაძე, თ., რუხაძე, ნ., ტურძელაძე, თ. საქართველოში საქართველოში მედიკამენტების ფასები, ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა. საერთაშორისო ფონდი "კურაციო". 2010 წ, გვ.2

2. ვერულავა თ., ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით და საქართველოს ჯანდაცვისდაფინანსება. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2015, გვ.5-7

3. ვერულავა თ., "ჯანდაცვის ხარჯების შეკავების მექანიზმები და საქართველოს ჯანდაცვის სისტემა", 2016, გვ. 3-4

4. ვერულავა თ, რ. ჯორბენაძე. „მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების პრობლემები და პერსპექტივების საქართველოში", 2016

5. ვერულავა თ., სამედიცინო ბაზარი: არსი, სპეციფიკა, სტიმულები, ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი", 2017, გვ.1

6. ვერულავა თ., "კონკურენტული სადაზღვევო სისტემა და საყოველთაო ჯანდაცვის გამოწვევები", 2020, გვ. 1-3

7. კიწმარიშვილი ქ., "ტექნოლოგიური ინოვაციები ჯანდაცვაში", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „მწვანე ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები", 2019 წ, გვ. 432-433

8. კონრად ადენაუერის ფონდი (KAS) და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), „ჯანდაცვის ახალი რეფორმა,სწორი თუ მცდარი ნაბიჯები", 2020წ, გვ.5-7

9. ლორთქიფანიძე რ.,"მენეჯერული ხარჯები ჯანდაცვაში", 2013, გვ. 45

10. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი,,საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის'', 2017 წ. გვ.1,5,8,14,15-18

11. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სააგენტო, ,,ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და საქართველო: თანამშრომლობის მეოთხე საუკუნე“, 2018, გვ.130

12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები, 2019წ.

13. შაქარიშვილი გ.,“გლობალური ჯანდაცვა“, 2017, გვ. 76-78

14. Abesadze R., Burduli V., “Foreign Experience and Formation Innovation System in Georgia 2018 , pp. 13

15. Adilova F.T. , Mathematics and Information Technologies Institute of Academy of Sciences, Republic of Uzbekistan,,,Grid-technologies - Goal of e-Health’’, გვ. 5-7

16. Delaronde Steve, William kissick ,,Iron Triangle of Health Economics”, Concept of William kissick, 2019,pp.1-2

17. Fisher ES et al. The implications of regional variation in Medicare spending. Ann Intern Med. 2003; pp. 138:273

18. Hillestad R., Bower A., Taylor R., “Can Electronic Medical Record Systems Transform Heath Care? Potential Health Benefits,Savings and Costs”, 2005, pp. 5-6)

19. Hsiao, W.C. 1995. The Chinese Health Care System: Lessons for Other Nations. Social Science and Medicine, vol. 41, pp. 1047-1055

20. Kaiser Permanente, “Transforming and Steamlining Modalities of Care”, 2009, pp. 3

21. Macinko J et al. The contribution of primary care systems to health outcomes within Organization for Economic Cooperation and Development (OECD) countries, 1970-1998. Health Serv Res. 2003

22. Norsk Regnesentral-Norwegian Computing Center, Wolfgang Leister, Åsmund Skomedal, “Grid Systems in Healtcare”, pp.1-2

23. Sheshabalaya T.,“Grid Computing and E-Health”, HealthManagement.org.com, volume 5, 2010, pp. 5

24. Payne T., Bates D., “Heathcare Information Technology and Economics”, 2013, pp. 4-5

25. University of Madrid, “First European Iniciative on Grid Computing, Biomedical Informatics and nanoinformatics”, 2008, pp.1

26. Woolhandler S, Campbell T, Himmelstein D. Costs of health care administration in the United States and Canada. N Engl J Med. 2003, pp. 349:768

Nino Zhorzhikashvili

PROBLEMS WITH THE SPREAD OF INNOVATION IN THE GEORGIAN HEALTHCARE SYSTEM

Summary

Fast pace of the globalization process ensures changes of industrialization, urbanization, economic and political liberalization, social and environmental policies in the global scale, which is related to hight benefits for population, however, this process has a negative impact on public health, which causes the environment pollution, climate change, bioterrorism, military conflicts, humanitarian disasters, etc. As a result, the growth of healthcare expenditures is acute for any country. Healthcare is a special area of service that plays a major role in shaping quantitative and qualitative indicators of economic growth. Medical services determine the quality and reproduction of labor reserves, creates the basis for social and economic growth. An effective healthcare system is a guarantee of national security. Thus, the proper and successful operation of the healthcare system is essential for increasing the country's welfare and socio-economic development. To achieve this goal, it is necessary to use the so-called healthcare system, which is based on six "system blocks". These blocks are: medical services, human resources, technologies and innovations, health financing system, information systems, leadership and governance. At this stage, we will focus on the problems of spread of innovations in the Georgian healthcare sector, because modern technologies and innovations give the opportunity to solve the problems that actually exist in the Georgian healthcare sector: high prices and low availability of benefits, unsatisfactory quality of medical care, problems in primary health care, problems related to spread of innovations and etc.

***Keywords**: Innovations in Healthcare System, Digital Medicine, Artificial Intelligence.*

სხვა სამეცნიერო ნაშრომები

პაატა კოღუაშვილი
იოსებ არჩვაძე

სასურსათო უშიშროება ეფექტიან აგროსასურსათო პოლიტიკას ეფუძნება

ანოტაცია. *საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების ერთერთ აქტუალურ საკითხს საკუთარი მოსახლეობის სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოების) უზრუნველყოფა წარმოადგენს. ფაქტობრივად, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა სცილდება წმინდა ეკონომიკურ ამოცანას და სახელმწიფოს მდგრადობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. შესაბამისად, სასურსათო უსფრთხოება ობიექტურად ექცევა აგროსასურსათო პოლიტიკის და, უფრო ფართო მასშტაბით, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ეპიცენტრში.*

აღნიშნული პოლიტიკის წარმატებით რეალიზაციას სჭირდება საზოგადოებაში არსებული რესურსების (მიწა, წარმოების ტექნიკური საშუალებები, მმრთველობის წესი და კულტურა, etc.) რაციონალური გამოყენება, რაც აგრეთვე გულისხმობს აღნიშნული ფაქტორების ერთმანეთთან ისეთ დაკავშირებას, შეერთებას, რომლებიც მაქსიმალური შედეგის მომტანია. აღნიშნული მიზანის, თითქოსდა სიმარტივის მიუხედავად, გადაწყვეტა საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. - იგი უკავშირდება უშუალოდ აგროსასურსთო სექტორში ჩართულ პირთა საკმაოდ მაღალი მოტივაციის უზრუნველყოფას, მაღალეფექტიანი წარმოების საშუალებების, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად მოწინავე წარმოების საშუალებების გამოყენებას, რაც მხოლოდ შიდა რესურსების მოძიების პირობებში შეუძლებელია. - ეს პროცესი წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროებს ეგზოგენური ფაქტორების გამოყენებასა და ჩართულობას, რაც გულისხმობს აღნიშნულ სექტორში შესაბამისი დატვირთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ჩართულობას. ამ მიმართულებით სასურველი შედეგის დადგომა სახელმწიფოს აქტიური ჩართულობისა და მხარდაჭერის გარეშე

ფაქტობრივად შეუძლებელია.

საკვანძო სიტყვები: *სასურსათო უშიშროება; აგროსასურსათო პოლიტიკა; აგრარული სექტორის მხარდაჭერა; სუბსიდირება.*

აგროსასურსათო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი სასურსათო უშიშროებაა (უსაფრთხოებაა). ამ მხრივ არსებული ვითარება ქვეყნის არსებობისა და წარმატებული ფუქნციონირების უმნიშვნელოვანესი ბაზისია. სასურსათო უშიშროება მოიცავს ქვეყნის მოსახლეობის კვების პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის ანალიზს, როგორც ფიზიკური ასვე ეკონომიკური განხრით, ხოლო მისი საფუძველი კვების ფიზიოლოგიური ნორმებია. სასურსათო უსაფრთხოება ეროვნული ეკონომიკური მდგრადობის განმაპირობებელიცაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, იწვევს ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ კი, ეკონომიკურ ზრდას. ეკონომიკური უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია წარმატებით იქნას გადაწყვეტილი ნებისმიერი შიდა ეკონომიკური და სოციალური ამოცანა.

აგრარული პოლიტიკა მოწოდებულია შექმნას ქვეყნის აგროსასურსათო პოტენციალის თეორიული და ნორმატიული საფუძვლები. ეკონომიკური კონტექსტით გამოყენებული სიტყვა „პოტენციალი“ ახასიათებს წარმოების ფაქტობრივ მდგომარეობას და მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა სავარგულების პროდუქტიულობა, შრომის მწარმოებლურობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა, წარმოების რენტაბელობა, შრომის ანაზღაურება, სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა. სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა ხელფასისა და ქვეყანაში საშუალო ხელფასის დონეთა თანაფარდობა.[73]

აგროსასურსათო პოლიტიკის საგარეო-სავაჭრო ასპექტი

[73] აღნიშნული თანაფარდობა საქართველოში ბოლო წლებში ხასიათდება არა თუ უცვლელობით, არამედ ცალკეული წლების მიხედვით შემცირებითაც კი: 2015 წ. – 65.3%, 2016 წ. – 60.7%, 2018 წ. – 65.6%, 2019 წ. – 62.4%.

ასახავს მსოფლიო და შიდა სასურსათო ბაზრების ურთიერთკავშირს და ხასიათდება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით: იმპორტზე დამოკიდებულება თითოეული პროდუქტის მიხედვით; კვების პროდუქტების შემოტანისა და გატანის ბალანსი; სურსათის შიდა და მსოფლიო ფასების დონეთა თანაფარდობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციითა და სურსათით მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის გამო სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის ან სურსათის იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით საბოლოო მომხმარებლებისათვის მოსალოდნელი ზარალის შეფასება; სასურსათო საქონლით უზრუნველყოფა რეგიონების, ქვეყნების მიხედვით და მთელ მსოფლიოში; ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის სხვადასხვა სახეებზე.

ცხრილი

იმპორტის წილი საქართველოს სასურსათო რესურსების ფორმირებაში 2020 წელს (ათასი ტონა)

	იმპორტი	სულ რესურსები	იმპორტის წილი რესურსებში, %
ხორბალი	561	735	76.3
სიმინდი	121	529	22.9
კარტოფილი	24	266	9.0
ბოსტნეული	113	384	29.4
ხორცი	86.5	158.1	54.7
რძე და რძის პროდუქტები	159	745	21.3
კვერცხი	28	739	3.8

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2020. სტატისტიკური წელიწდეული. - თბილისი, 2021, გვ. 93-104.

საქართველომ 2020 წელს ცხრილში მოტანილი რესურსების იმპორტზე თითქმის 250 მლნ. აშშ დოლარი დახარჯა, ხოლო მთლიანად, აგრარული და სასურსათო პროდუქტის იმპორტზე - 1.2 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი.

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერისა და მაკროეკონომიკური რეგულირების აუცილებლობა ნაკარნახევია მთელი რიგი ფაქტორებით. საქმე იმაშია, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა სასოფლო-სამეურ-

ნეო (სასურსათო) პროდუქციაზე შედარებით დაბალელასტიკურია: აღნიშნულ პროდუქციაზე ფასების მომატებისას მოსახლეობა მაინც სტაბილურად შეიძენს და მოიხმარს კვების აუცილებელ პროდუქტებს, მათზე ფიზიოლოგიური მოთხოვნის გამო. ამასთან, მოსახლეობას კიდევაც რომ გაეზარდოს შემოსავლები ან სურსათზე ფასები დაეცეს, მოთხოვნა ადეკვატურად არ გაიზრდება, რადგან აქ, გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, მოქმედებს ბუნებრივ-ფიზიოლოგიური ფაქტორიც, რომელიც არსებითად ზღუდავს მოთხოვნას და შესაბამისად, მოხმარებას.

ამის საპირისპიროდ, სასოფლო-სამეურნეო (სასურსათო) პროდუქციის კვლავწარმოებისათვის საჭირო სამრეწველო პროდუქციაზე (საწვავი, კომბინირებული საკვები, მინერალური სასუქები და ა.შ.) და მომსახურებაზე მოთხოვნა ხასიათდება მაღალი ელასტიკურობით. ამ მდგომარეობას ობიექტურად მივყავართ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის გარდაუვალ დარღვევასთან. ასეთ ვითარებაში საჭიროა ეგზოგენური ფაქტორი სახელმწიფოს სახით, რომელმაც თავისი ჩარევით უნდა გამორიცხოს ფასების მერყეობა და დისპარიტეტი, ანუ არ დაუშვას არც მომხმარებლის და არც მწარმოებლის ინტერესების შელახვა [3. გვ. 198].

ზემოაღნიშნულ და სხვა თავისებურებათა გამო, აგრო-სასურსათო სექტორი პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერის ობიექტია. გასული საუკუნის 90-იან წლებში აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერა გადასახადის გადამხდელებს მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 350 მლრდ დოლარი უჯდებოდათ. ყველაზე მეტი ოდენობით მხარდაჭერა ჰქონდათ (და დღესაც აქვთ) ევროკავშირის ქვეყნებს, იაპონიას, არაბულ სამყაროს. არსებული მონაცემებით, სოფლის საქონელმწარმოებლებისადმი სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის ყველაზე დაბალი დონეა ახალ ზელანდიაში (3%), ავსტრალიაში (10%), აშშ-ში (21%) და კანადაში (27%), მით უფრო, რომ ეს ქვეყნები ხასიათდება მკვეთრად გამოხატული საექსპორტო ორიენტაციით. სოფლის საქონელმწარმოებლები ყველაზე მეტ ფინანსურ მხარდაჭერას ღებულობენ შვედეთში (82%), ნორვეგიაში (75%) და იაპონიაში (74%), ე.ი. ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლისათვის უცუდეს

ბუნებრივ კლიმატურ პირობებში და ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ საკუთარი წარმოების ხარჯზე [2. გვ. 65].

აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერისა და მაკროეკონომიკური რეგულირებისათვის გამოიყენება წარმოების მოცულობათა კვოტირების სისტემა (განსაკუთრებით, ევროკავშირის ქვეყნებში), მიწის სავარგულების დროებითი გამოყვანა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან (განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში), სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საქონელმწარმოებელთა პირდაპირი სუბსიდირება ფასების მეშვეობით, საგარეო ვაჭრობის რეგულირება (იმპორტზე ან ექსპორტზე ტარიფის აწევით/ან დაწევით), სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგების სუბსიდირება, სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელება, სასოფლო დასახლებებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.

აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, მიზნობრივი ნიშნის მიხედვით, შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

• საკომპენსაციო დანახარჯები, ანუ წარმოების ფაქტორების შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ხარჯების სრული ან ნაწილობრივი კომპენსირება;

• პრიორიტეტულ მიმართულებებზე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დამუშავება, დაფინანსება და განხორციელება;

• საექსპორტო და საიმპორტო ტარიფების რეგულირებით შიგა სასურსათო ბაზარზე ფასების სტაბილურობის შენარჩუნება;

• სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის, ასევე წარმოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსაცია;

• საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

• საქონელმწარმოებლები ძირითადად უნდა საქმიანობდნენ თვითდაფინანსების პრინციპით, მაკროეკონომიკური რეგულირება

და მხარდაჭერა კი უნდა გამოიყენებოდეს წარმოების დამატებითი ეკონომიკური პირობების უზრუნველსაყოფად;

- საქონელმწარმოებელთა მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერისათვის გამოყენებული დოტაციები, სუბსიდიები და სხვა მარეგულირებელი ბერკეტები უნდა ასტიმულირებდეს მეურნეობრიობის უფრო მაღალ ეფექტიანობას;

მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა გამოიყენებოდეს დიფერენცირებულად, თითოეული საწარმოს კონკრეტული საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით და უნდა ატარებდეს მკაცრად გამოკვეთილ მიზნობრივ-პროგრამულ ხასიათს [3. გვ. 201].

აგროსასურსათო პოლიტიკის განხორციელებაზე სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ძირითად მიმართულებას ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში წარმოადგენს საბაზრო ფასების მხარდაჭერა (75-80%). სოფლის საქონელმწარმოებლებისათვის პირდაპირი გადასახდელები შეადგენს სოფლის მეურნეობის დაფინანსების მთლიანი მოცულობის 18-20%-ს, ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმები კი - 15-20%-ს.

პროდუქციის სახეების მიხედვით, სახელმწიფოს დანახარჯების ძირითადი ნაწილი მოდის ფასების მხარდაჭერის სისტემაზე. იმავდროულად, მზესუმზირისა და მატყლის წარმოება საშუალოდ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) წევრ ქვეყნებში უპირატესად სტიმულირდება პირდაპირი სუბსიდირებისა და ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმების, და არა ფასების მეშვეობით.

იმის გამო, რომ მოტანილი მაჩვენებლები ასახავს ფინანსური მხარდაჭერის მხოლოდ ერთ მიმართულებას - პირდაპირ სუბსიდიებს და არ ითვალისწინებენ არაპირდაპირი მხარდაჭერის ფორმებს, ჯერჯერობით ძნელია მათი ჩვენი ქვეყნის მონაცემებთან შედარება. თუმცა, ისინი ნათლად მოწმობენ აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და მხარდაჭერის აუცილებლობას.

სახელმწიფოს მიერ აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერის რაოდენობრივი აღრიცხვისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭიროა არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობათა დადგენა, არამედ ყველა

სხვა ღონისძიების ეკონომიკური შეფასება, რაც ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის დაცვას უკავშირდება. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის ამა თუ იმ ღონისძიების შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, აანალიზებენ ქვეყნის შიდა და გარე ბაზრებზე არსებულ ფასებს.

ადგილობრივი ფასების სიდიდის ობიექტურობის დასადგენად მას, როგორც წესი, მსოფლიო ფასებს უდარებენ და იმის მიხედვით, თუ როგორია შეფარდება მათ შორის, აკეთებენ დასკვნას. კერძოდ, თუ ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფასისა და მსოფლიო ფასის შეფარდება ერთზე მეტია - მაშინ ადგილობრივი მწარმოებელი იღებს უფრო მაღალ შემოსავალს თავისი პროდუქციიდან, ანუ წარმოების სუბსიდირებას არ აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში მომხმარებელი იძულებულია გადაიხადოს მაღალი ფასი, ანუ ადგილი აქვს მის დაბეგვრას გადასახადით. საპირისპირო მდგომარეობის დროს (ანუ როცა ადგილობრივ და მსოფლიო ფასს შორის შეფარდება ერთზე ნაკლებია), თავად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელია დაბეგრილი, მომხმარებელი კი - სუბსიდირებული. რაც შეეხება მესამე შემთხვევას (ანუ, როცა ადგილობრივ და მსოფლიო ფასს შორის შეფარდება ერთის ტოლია), იგი უჩვენებს, რომ სახელმწიფო ახორციელებს ნეიტრალურ პოლიტიკას. რაც მეტადაა შეფარდების მაჩვენებელი გადახრილი ერთიდან, მით მაღალია სახელმწიფოს მონაწილეობა ცალკეული პროდუქტის თუ დარგის მხარდაჭერასა და რეგულირებაში. წარმოების ნომინალური სახელმწიფოებრივი ფინანსური მხარდაჭერის კოეფიციენტი (CNS) წარმოადგენს რაოდენობრივი შეფასების სპეციალურ ფორმას, რის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მსოფლიო სასურსათო ბაზრისაგან ამა თუ იმ ქვეყნის იზოლაციის ხარისხის შესახებ; რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით მეტია იზოლაციის ხარისხი.

მთლიანად ეთგო-ს წევრი ქვეყნების მიხედვით, 1990 წლიდან მოყოლებული, CNS შეესაბამება 1,7 მნიშვნელობას, რაც რამდენადმე აჭარბებს 1986-1988 წლების დონეს. ეს იმას ნიშნავს, რომ შიგა ფასების დონე საშუალოდ ეთგო-ს მიხედვით 1,7-ჯერ აჭარბებს მსოფლიო დონეს. პროდუქციის სახეებიდან ყველაზე მეტი ფინანსური მხარდაჭერა და მსოფლიო ბაზრისაგან დაცვის

ხარისხი გააჩნია ბრინჯს (6,9) და რძეს (2,5); ყველაზე ნაკლები - მატყლს (1,5), ფრინველის ხორცსა და კვერცხს (1,3) [5. გვ. 80].

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები მსოფლიო ბაზრის ფასების რყევებისაგან ყველაზე მეტად დაცულნი არიან ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა შვედეთი (4,8), ნორვეგია (4,5), ფინეთი (3,5) და იაპონია (3,3), ექსპორტზე ორიენტირებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი მიისწრაფის ერთისაკენ (ახალ ზელანდიაში - 1,0, ავსტრალიაში - 1,1, აშშ-ში - 1,2, კანადაში - 1,3). უნდა აღინიშნოს, რომ ეთგო-ს წევრ ქვეყნებში (ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნების ჩათვლით) სურსათის შიდა ფასები აჭარბებს მსოფლიო დონეს. ამიტომ აქ შიდა ფასებით მსოფლიო დონის მიღწევა სერიოზულ სირთულეს არ წარმოადგენს მათი შემდგომი ზრდისათვის.

აგროსასურსათო სექტორის მაკროეკონომიკური რეგულირება და მხარდაჭერა დღევანდელ მსოფლიოში ცალკე აღებული რომელიმე ქვეყნის პრობლემა და საზრუნავი არაა, რამდენადაც ის განსაზღვრავს სურსათის სიჭარბეს ან დეფიციტს მსოფლიოში, სურსათის ფასებს, ქვეყნებს შორის სუბსიდიების ირიბი გადანაწილების ზომას და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა შესაძლებელი იქნება ძირითადად იმ ქვეყნებში, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის აქვთ ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და არგენტინა. მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების უმრავლესობის სოფლის მეურნეობა ძირითადად დაზარალდება ფინანსური მხარდაჭერის შემცირებასთან დაკავშირებით.

მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებას ისიც შეუწყობს ხელს, რომ ტრადიციულად სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფა მაღალი იყო არაკეთილსასურველი ბუნებრივ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების მქონე ქვეყნებში და ზემოაღნიშნული პროცენტული შემცირება მათთვის უფრო მნიშვნელოვანი თანხებით აისახება. მაგალითად, 1990-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ყველა ფორმა ეთგო-ს წევრ ქვეყნებში ერთ სრულად დასაქმებულ ფერმერზე (არანაკლებ 2,2

ათასი საათი სეზონში) წელიწადში საშუალოდ შეფასებული იყო 11-14 ათასი დოლარით. ამასთან, ცალკეული ქვეყნების მიხედვით ეს მონაცემი ვარირებდა 2-3 ათასი დოლარიდან შვეიცარიაში, 33 ათას დოლარამდე ნორვეგიაში. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 8-10 ათას დოლარს შეადგენდა, ხოლო აშშ-ში - 20-27 ათას დოლარს. ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გადაანგარიშებით, სახელმწიფოს ფინანსური დახმარება ეთგო-ს წევრ ქვეყნებში აღნიშნულ პერიოდში საშუალოდ შეადგენდა 140-160 დოლარს [2. გვ. 67]. პრობლემის აღნიშნული თვალსაზრისით ანალიზის დროს მიზანშეწონილია ცალკეულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით გამოანგარიშებული ფინანსური დახმარების მაჩვენებელთა ურთიერთშედარება. მაგალითად, ავსტრალიაში, სადაც ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე დახმარების ოდენობა 3 დოლარს შეადგენს, სოფლის მეურნეობას ბევრი არაფერი დააკლდება, თუკი ეს თანხა, ურუგვაიში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 36%-ით შემცირდება. სამაგიეროდ, სახელმწიფო ფინანსური დახმარების ანალოგიური პროცენტული განაკვეთით შეკვეცა საკმაოდ სოლიდურ თანხას დააკლებს ზოგიერთი ქვეყნის სოფლის მეურნეობას. მაგალითად, ნორვეგიაში ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაწეული სახელმწიფო ფინანსური დახმარება შეიკვეცება 1080 დოლარით, ხოლო იაპონიაში კი - 3240 დოლარით.

FAO-ში სასაქონლო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირის - ჯეიმს გრინფილდის პროგნოზით, ურუგვაის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემთხვევაში, სასურსათო პროდუქციის ექსპორტის სფეროში, მსოფლიოში წამყვან პოზიციებს დაიკავებს ავსტრალია, არგენტინა, ახალი ზელანდია, აშშ და კანადა. ამ მხრივ ეს ქვეყნები მნიშვნელოვნად შეავიწროებენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს. აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა და აზიის ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნეტო-ექსპორტიორად გადაიქცევა [5. გვ. 14]. ამასთან, სასურსათო ბაზარზე, პროტექციონიზმის შესუსტების შესაბამისად, ეთგო-ს წევრი ქვეყნები გაზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტს, რომელიც 1992 წლის 7%-იანი დონიდან 20%-ს მიაღწევს 2020 წელს [4. გვ. 46].

მსოფლიო მასშტაბით სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შეზღუდვა უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოებაზე, რამდენადაც ასეთი პროცესების განვითარება, ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად შეამცირებს მსოფლიოს სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალს, დასცემს წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობებს; და მეორე, საგრძნობლად (საშუალოდ 8%-ით) გაზრდის ფასებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და შეამცირებს მასზე ხელმისაწვდომობას.

მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალურს გახდის ცალკეული ქვეყნების (უწინარეს ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების) საერთო ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას, რამდენადაც სასურსათო საფრთხის ძირითადი მიზეზები ძევს არა საკუთრივ აგროსასურსათო სექტორში, არამედ მის ფარგლებს გარეთ - მაკროეკონომიკური პროცესებისა და მაკროეკონომიკური რეგულირების სფეროში. მაშასადამე, განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებასთან.

წარმოების ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლებით კავშირი მიწის განაწილებასა და სურსათის მოხმარებას შორის სულ უფრო ნაკლებად შესამჩნევი ხდება. ეკონომიკის ინდუსტრიულ-აგრარული სტრუქტურის მქონე უფრო განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი შემდგომი ზრდისათვის საჭირო ხდება სულ უფრო მეტი არასასოფლო-სამეურნეო კაპიტალის ჩართვა წარმოებაში, რაც, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს მიწის უფრო სამართლიანი გადანაწილებიდან. ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ხდება წარმოების ეფექტიანი საშუალებები, განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო ინფრასტრუქტურა, უახლესი ტექნოლოგიების უნარიანად გამომყენებელი კადრები და ა.შ. სხვანაირად თუ ვიტყვით, საჭირო ხდება უფრო მაღალი მიჯნების მიღწევა მთელი ეკონომიკის მასშტაბით.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა სრულიად სხვადა-

სხვაგვარად დგას და წყდება განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკების პირობებში. 1940-იან წლებში FAO-ს მიერ ფორმულირებული სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია კარგად ესადაგებოდა, უწინარეს ყოვლისა, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის პირობებს. დღეისათვის კი მის გამოყენებას თითქმის უცვლელი ფორმით ცდილობენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის მიმართაც, რაც, ვფიქრობთ, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში ტრანზიტულ (გარდამავალ) პირობებში მყოფ პრაქტიკულად ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში მოხდა საბაზისო კვების პროდუქტების მოხმარებისა და კვების დღე-ღამური რაციონის კალორიულობის მკვეთრი დაცემა. ასე მაგალითად, ხორცისა და ხორცის პროდუქტების საშუალო სულადობრივი მოხმარება საქართველოში შემცირდა 1990 წლის 62 კგ-დან 2019 წლის 40 კგ-მდე. ამან ბიძგი მისცა დისკუსიებს აღნიშნული ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოების საზღვრებისა და წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტის გზების თაობაზე. იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა ასეთი დაცემა, ცნობილია, რომ ყოველ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში აგროსასურსათო სექტორის, ისევე როგორც მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანობა აშკარად ჩამორჩებოდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ანალოგებს. მაგრამ, ძალიან ხშირად, სულადობრივი მოხმარების მაჩვენებლები აქ იყო დასავლეთევროპული და ჩრდილოამერიკული ანალოგების დონეზე ან მათზე ზევით.

ეს ხდებოდა იმ ცნობილი მიზეზით, რომ სურსათის ფასების რეალურ (წონასწორობით) დონესთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ დონეზე დაფიქსირებისა და კვების პროდუქტების მოხმარების, განსაკუთრებით ე.წ. სოციალურად მნიშვნელოვანი (უფრო ზუსტად „პოლიტიკური“) პროდუქტების (ხორცისა და რძის) მოხმარების სუბსიდირების გზით შენარჩუნებული იყო მოსახლეობის ხელოვნურად აწეული მოთხოვნა. მაშინ, როდესაც ხორცისა და რძის პროდუქტების მოხმარება ფაქტობრივად არცერთ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში არ შეესაბამებოდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების რეალურ დონეს. საგულისხმოა, რომ აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ეკონომიკური გამოკვლევების სამსახურის ბოლოდროინდელი გაანგარიშებების თანახმად, მტკიცე კავშირი ფიქსირდება ხორცის პროდუქტების სულადობრივ მოხმარებასა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის დონეს შორის. გამონაკლისს შეადგენენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, რომლებშიც ხორცის პროდუქტების მოხმარების უკანასკნელ პერიოდამდე არსებული მაღალი დონე არ შეესაბამებოდა მათს საერთო ეკონომიკურ განვითარებას [2. გვ. 72].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ცნობილ რეფორმატორულ ღონისძიებათა გატარების შედეგად, სასურსათო პროდუქტებზე სუბსიდიების გაუქმებამ (ან შემცირებამ), სურსათის რეალურ (წონასწორობით) ფასებზე გადასვლამ გამოიწვია სულადობრივი მოხმარების დონის დაცემა (როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში - 1/3-ით და მეტად), ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა. ამიტომ, თუ სასურსათო უსაფრთხოების საკითხს მივაკუთვნებთ გარდამავალი (ტრანზიტული) პერიოდის ქვეყნებს, მაშინ უთუოდ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ აქ ეს პრობლემა წარმოიშვა არა ეკონომიკის ლიბერალიზაციის გამო, არამედ გაცილებით ადრე. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაცემის შესაბამისად დაიწყო ეკონომიკის აგროსასურსათო სექტორის დაქვეითებაც. ამდენად, აგროსასურსათო სექტორის დაცემა, რამაც აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში თითქმის 70 პროცენტს მიაღწია - მეორადი, წარმოებული მოვლენაა მოსახლეობის მოთხოვნის დაცემასთან მიმართებით.

ზოგადად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსოციალისტურ ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებში სურსათის მოხმარების უფრო დაბალი დონის ბუნება (მოსახლეობის დაქვეითებული მსყიდველობითუნარიანობა) მეტნაკლებად ერთნაირია (პრობლემის სიმწვავის აბსოლუტურად სხვადასხვა დონის პირობებში), თუმცა, ამ პრობლემის ფორმირების გზები პრინციპულად განსხვავებულია და, მაშასადამე, მიდგომებიც მისი გადაწყვეტისადმი არ შეიძლება იყოს დასესხებული უკვე გამომუშავებული არსენალიდან.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, განვითარებად ქვეყნებში

უღარიბესი გლეხობისათვის მიწის გამოყოფა რიგ შემთხვევებში იწვევს წარმოებისა და მოხმარების ზრდას. რეფორმის ასეთი ვარიანტი გარკვეულად შესაძლებელი გახდა ჩინეთსა და ალბანეთში. ორივე ქვეყანაში გლეხებისათვის მისაწვდომი გახდა თავისი შრომის ძირითადი საშუალება - მიწა (პირველ შემთხვევაში პრივატიზაციის გარეშე, ხოლო მეორეში - პრივატიზების გზით) და ეს "გადმოიღვარა" ამ ქვეყნებში სურსათის წარმოებისა და მოხმარების მკვეთრ ზრდაში.

ეს სავსებით კანონზომიერი შედეგია, რამდენადაც ორივე ქვეყნის ეკონომიკას ჰქონდა უპირატესად აგრარული მიმართულება, გლეხები სჭარბობდნენ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში და მიწა იკავებდა ძირითად ადგილს სასოფლო-სამეურნეო ფონდების სტრუქტურაში. ამასთან, მიწის მიღებით გლეხებმა გაადიდეს წარმოება, უწინარესად, საკუთარი მოხმარებისათვის. გარდა ამისა, სასურსათო ბაზრის მაღალგანვითარებულ ინფრასტრუქტურას მიუჩვეველი ქალაქის მოსახლეობის დაბალი ხვედრითი წილის წყალობით, სასურსათო მოხმარება ქალაქადაც რამდენადმე ამაღლდა.

სრულიად სხვაგვარი იყო ვითარება რეფორმების მომენტისათვის ინდუსტრიულ-აგრარული მიმართულების ეკონომიკის მქონე ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. აქ სოფლის მოსახლეობის ხელმისაწვდომობამ მიწისადმი და აგრარული ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, მართალია, შესაძლებელი გახადა სოფლის მცხოვრებთა სასურსათო მოხმარების დონის ამაღლება, მაგრამ, ამის პარალელურად შემცირდა ქალაქის მცხოვრებთა მიერ საბაზისო კვების პროდუქტების საშუალო მოხმარება.

ასეთ სიტუაციაში სასურსათო მოხმარების ზრდის საკითხის გადაწყვეტა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მათ შორის, საქართველოში არ შეიძლება დამოკიდებული იყოს არც მიწის შემდგომი გადანაწილებისა და არც აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი სუბსიდირების გაძლიერებისაგან. საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების განუხრელი ზრდის პირობებში. მაშასადამე, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და განვითარება არის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების

ზრდის ერთადერთი გზა, რამდენადაც ეკონომიკის ზრდა განაპირობებს მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და შესაბამისად, გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს აგროსასურსათო სექტორის განვითარებას.

ამრიგად, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო სასურსათო ბაზრის ლიბერალიზების ვითარებაში, უმთავრესია ქვეყნის საერთო მაკროეკონომიკური განვითარება და, როგორც ლოგიკური შედეგი - მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და, შესაბამისად, სურსათზე ხელმისაწვდომობის ზრდა. მაგალითად, დღეის მდგომარეობით, საქართველოში არსებული სამომხმარებლო ფასების პირობებში, „რეფორმადელ“ (1990 წლის) დონემდე მოსახლეობის ერთ სულზე ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარების დასაბრუნებლად საჭიროა დაახლოებით 1.0-1.1 მლრდ ლარი, რაც საქართველოს მოსახლეობის წლიური ხარჯების დაახლოებით 7-8 პროცენტის ეკვივალენტურია. სწორედ ხელმისაწვდომობის ზრდა მოსახლეობის შემოსავლების ამაღლებით უნდა გახდეს ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც მთავარ ფუნქციას იტვირთებს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველომ, როგორც მსო-ს წევრმა სახელმწიფომ, საჭიროა, სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მსგავსად, სრულად გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული ვითარება და რეკომენდაციები, ეროვნული აგრარული პოლიტიკის გადასინჯვისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისას. ამასთან, მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს საკვები პროდუქტების წარმოების ზრდისა და სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფის ამაღლების ყველა საკუთარი შესაძლებლობა და რეზერვი.

საქართველომ, სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად, უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში, რაც ორი მიმართულების შეიძლება იყოს: პირველი, სოფლის როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, შენარჩუნება (ამ ამოცანაში შედის კულტურული და ველური ლანდშაფტების დაცვაც); მეორე, სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება. საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა დიდადაა

დამოკიდებული მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. მიწის ეფექტიან მართვა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ქვეყნის აგროსასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

მსოფლიოში არსებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის (მ.შ. სასურსათო) ხასიათი, საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ამოცანები რეალურად მოითხოვს როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა, სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას), ასევე, თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია, კონკურენტული უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება მეტად საჭირო და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას. ასევე, აუცილებელია სახელმწიფო (ნახევრად ადმინისტრაციული, ნახევრად კომერციული) მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. საქართველომ უნდა შექმნას მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახური – ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში.

მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მხრივ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია

საკუთარი წარმოების სურსათის მოცულობის ზრდა, რაც უნდა მოხდეს აგრომწარმოებელთა საინვესტიციო აქტივების ზრდით, სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებითა და პროტექციონიზმის განხორციელებით. იმისათვის, რომ ქართულმა სოფელმა აწარმოოს საკმარისი პროდუქცია, აუცილებელია სოფლად აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის ანუ სპეციალიზებული აგროსაკრედიტო და სასურსათო უშიშროების ინფორმაციისა და ადრეული გაფრთხილების სისტემების შექმნა. ასევე, უნდა დაფუძნდეს წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი (კოოპერაციული) გაერთიანება, საგარანტიო ფონდი, რის მეშვეობითაც მოხდება აგრარული შრომის სტიმულირება და აგროსამრეწველო ინტეგრაცია.

დასკვნა

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მდგრადობის მრავალ პრობლემათაგან ერთერთი ცენტრალური მისი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, ანუ რამდენად შესწევს უნარი მას წარმოების და იმპორტის სათანადო ორგანიზებით უზრუნველყოს თავისი მოქალაქეები სურსათით, საბაზისო კვების პროდუქტებით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით დამოუკიდებლობა შედარებით ახლადმოპოვებული/აღდგენილი ქვეყნებისათვის, ეგზისტენციური პრობლემაა.

სამწუხაროდ, მიუხედავად პრობლემის სრულად გაცნობიერებისა, მისი საბოლოოდ და სრულად გადაჭრა აწყდება ტრივიალურ პრობლემას - შეზღუდულ რესურსებს, რის გამოც სუბსიდირების ისეთი მასშტაბები, რის შესაძლებლობა გააჩნიათ განვითარებულ ქვეყნებს (პროდუქციის წარმოების ერთეულზე, ერთ დასაქმებულზე თუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ერთეულზე), განვითარებად და გარდამავალი ტიპის ქვეყნებს (რომლებსაც საქართველოც მიეკუთვნება), უბრალოდ, არ შეუძლიათ. ასეთ ქვეყნებში ყალიბდება სტერეოტიპული სურათი: სურსათზე მოთხოვნილება რჩება დაბალელასტიკური, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილის დაბალი მყიდველობითი უნარიანობა, სუსტი ეკონომიკა და სუბსიდირების შეზღუდული მასშტაბი სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხელოვნურად დაბალ დონეზე ინარჩუნებს. პოსტ-სოციალისტურ,

გარდამავალი ტიპის ქვეყნებში მდგომარეობის დრამატიზმს აძლიერებს სოციალური (ფაქტობრივად კი - პოლიტიკური) სუბსიდირების სისტემის მოშლა, რითაც არსებითად შეიცვალა პროპორციები სამომხმარებლო პროდუქტებზე. საქართველოში მოსახლეობის მოხმარებული კალორიების საერთო რაოდენობის თითქმის 2/3 მცენარეული წარმომავლობის სასურსათო პროდუქტებზე მოდის, რაც რეკომენდირებულ პროპორციებზე 1.5-ჯერ უფრო მაღალია. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მოსახლეობის მოხმარებული ყოველი 1000 კილოკალორიის ღირებულება მცენარეული წარმომავლობის პროდუქტებიდან დაახლოებით 3-4-ჯერ უფრო იაფი ჯდება ცხოველური წრმომავლობის იმავე რაოდენობის კალორიების ღირებულებასთან შედარებით. შედეგად, ფორმალურად იაფდება სასურსათო კალათა, იქმნება ფორმალური საფუძველი საარსებო მინიმუმის შესამცირებლად, თუმცა იმავდროულად, ირღვევა პროპორციები საზოგადოების წევრების მიერ ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების მოხმარებაში.

ძალაში რჩება ზოგადი კანონზომიერება: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მაღალი კორელაცია სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონესთან, მაკროეკონომიკურ მდგომარეობასთან.

სასურსათო უსაფრთხოების შემაფერხებელ ობიექტურ გარემოებებთან (პირველ რიგში, ეკონომიკის სისუსტე) ერთად, აღნიშნულ პროცესზე ნეგატიურად მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მმართველი ძალის არასაკმარისი პოლიტიკური ნება და გადაწყვეტილებების მიმღებთა არასაკმარისი კომპეტენტურობა, უშუალოდ წარმოების პროცესში დასაქმებული პირების სამეწარმეო უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციის და, აქედან გამომდინარე, მათი შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ უკეთ შეძლოს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საჭირო მიზანმიმართული, ეფექტიანი საშინაო პოლიტიკის გატარება წარმოების ორგანიზების, მართვის, აგროსასურსათო სექტორში დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და სუბსიდირების სიტემის მეშვეობით. თუმცა, წარმატების მისაღწევად ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ქვეყნების გამოცდილებას, სურსათის და სოფლის მეურნეობის საერთა-

შორისო ორგანიზაცის (FAO) რეკომენდაციების გათვალისწინებას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოების) უზრუნველყოფაში სულ უფრო მზარდ როლს შეასრულებს ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის თანმიმდევრული სვლა რეგიონულ და გლობალურ ბაზრებზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოღუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილ ის ი. 2004, 280 გვ.

2. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი: საზოგადოება ცოდნა, 2003, 305 გვ.

3. კოღუაშვილი პ., ზიბზიბაძე გ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილის ი, 2010, 221 გვ.

4. კოღუაშვილი პ., გიორგაძე პ., რამიშვილი ბ. საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა სასურსათო პრობლემის მოგვარებაში. ჟურნალი. "მაკრო მიკრო ეკონომიკა". ÌÑ9-10. 43-46 გვ.

5. ბახტაძე დ., კოღუაშვილი პ., ქართველთა კვების კულტურა "ინოვაცია", თბ. 2009, 168 გვ.

6. კოღუაშვილი პ., არჩვაძე ი, საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2020, N3.

7. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2020. სტატისტიკური წელიწდეული. - თბილისი, 2021.

Paata Koguashvili
Joseph Archvadze

FOOD SECURITY IS BASED ON EFFICIENT AGRI-FOOD POLICY

Summary

One of the most pressing issues for countries in transition to a market economy is ensuring the food security of their own population. In fact, the solution of this problem goes beyond the purely economic task and is the most important condition for the sustainability of the state.

Agrarian policy is committed to establishing the theoretical and normative foundations of the country's agri-food potential. The need for state support and macroeconomic regulation of the agri-food sector is dictated by a number of factors: the solvent demand of the population for agricultural (food) products is relatively inelastic, and highly elastic for the reproduction of agricultural products, food, industrial (combined)) And services. This situation objectively leads to the inevitable violation of the price parity for agricultural and industrial products. In such a situation, an exogenous factor is needed in the form of the state, which by its intervention must exclude price fluctuations and disparities.

The main direction of state support for the implementation of agri-food policy in economically developed countries is the support of market prices (75-80%). Direct payments to rural producers account for 18-20% of the total volume of agricultural financing, while other forms of financial support account for 15-20%.

The solution to the problem of growing food consumption in countries with economies in transition is possible only in the conditions of macroeconomic stabilization and steady growth of real incomes of the population.

Georgia needs to set priorities in agriculture, which can be the maintenance of the rural as a territorial and social unit, and the establishment of an agricultural structure to ensure food security.

In order for a Georgian village to produce sufficient products, it is necessary to create a rural agribusiness infrastructure or specialized agro-credit and food security information and early warning systems. Also should be established, a voluntary (cooperative) union of small owners, a guarantee fund, which will stimulate agricultural labor and agro-industrial integration.

KEYWORDS: *Food security; Agri-food policy; Support for the agrarian sector; Subsidizing.*

ა ვ ტ ო რ ე ბ ი

1	**აბესაძე რამაზი**	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
2	**არჩვაძე იოსებ**	– ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი
3	**ბერიშვილი ხათუნა**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
4	**ბერულავა გიორგი**	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
5	**ბიბილაშვილი ნანა**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
6	**ბრეგვაძე გიორგი**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
7	**გურდული ვახტანგი**	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
8	**გოგოხია თეიმურაზი**	– ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
9	**დავლაშერიძე ნატა**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
10	**დათუნაშვილი ლინა**	– ეკონომიკის დოქტორი, დოცენტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

11	**დვალიშვილი ლია**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
12	**თაფლაძე თამარი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
13	**თეთრაული ციცინო**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
14	**თოთლაძე ლია**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
15	**კაკულია ეთერი**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
16	**კვარაცხელია მურმანი**	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
17	**კოღუაშვილი პაატა**	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
18	**კურატაშვილი ალფრედი**	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
19	**კურატაშვილი ქრისტინე (ქეთევან)**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
20	**ლაზარაშვილი თეა**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

21	**მელაშვილი მედეა**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
22	**ნოზაძე ზურაბი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
23	**პაპავა ვლადიმერი**	**–** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
24	**ქორქიკაშვილი ნინო**	– თსუ, დოქტორანტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
25	**ძავთარაძე თენგიზი**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
26	**ძველაძე ქეთევანი**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
27	**ქისტაური ნუნუ**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
28	**ცუცქირიძე მარინე**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
29	**წერეთელი ზურაბი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
30	**ხუსკივაძე მამუკა**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე

31	**ჯავახიშვილი რევაზი**	– ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე

A U T H O R S

1	**ABESADZE RAMAZ**	– Doctor of Economic Sciences, Professor, Director of P. Gugushvili Institute of Economics of TSU,
2	**ARCHVADZE JOSEPH**	– Doctor of Economics, Professor of Kutaisi University
3	**BERISHVILI KHATUNA**	– Doctor of Economics, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
4	**BERULAVA GEORGE**	– Doctor of Economic Sciencies, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
5	**BIBILASHVILI NANA**	– Doctor of Economics, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
6	**BREGVADZE GIORGI**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
7	**BURDULI VAKHTANG**	– Doctor of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
8	**DATUNASHVILI LINA**	– Doctor of Economics, Docent, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
9	**DAVLASHERIDZE NATA**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
10	**DVALISHVILI LIA**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
11	**GOGOKHIA TEIMURAZ**	– Doctor of Business Administration, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
12	**JAVAKHISHVILI REVAZ**	– Doctor of Economics, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
13	**KAKULIA ETER**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU

14	**KAVTARADZE TENGIZ**	Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
15	**KHUSKIVADZE MAMUKA**	– Doctor of Economics, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
16	**KISTAURI NUNU**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
17	**KOGUASHVILI PAATA**	– Doctor of Economic Sciences, Professor of Georgian Technical University
18	**KURATASHVILI ALFRED**	– Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
19	**KURATASHVILI QRISTINE (KETEVAN)**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
20	**KVARATSKHELIA MURMAN**	– Doctor of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
21	**KVELADZE KETEVAN**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
22	**LAZARASHVILI TEA**	– Doctor of Economics, Director Deputy of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
23	**MELASHVILI MEDEA**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
24	**NOZADZE ZURAB**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
25	**PAPAVA VLADIMER**	– Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Academician of National Academy of Georgia, Doctor of Economic Sciences, Professor
26	**TAPLADZE TAMAR**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU

27	**TETRAULI TSITSINO**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
28	**TOTLADZE LIA**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
29	**TSERETELI ZURAB**	– Director Deputy of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
30	**TSUTSKIRIDZE MARINE**	– Doctor of Economics, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
31	**ZHORZHIKASHVILI NINO**	– PhD Student of TSU, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	**5**
სამეცნიერო ნაშრომები	
რამაზ აბესაძე საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა და სისტემა	**10**
ვლადიმერ პაპავა საქართველოს გაკოტრების კანონმდებლობით გათვალისწინებული ეკონომიკური მექანიზმების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების პერსპექტივები	**48**
რამაზ აბესაძე, ნანა ბიბილაშვილი გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების არსებული მდგომარეობა	**70**
ალფრედ კურატაშვილი, ქრისტინე (ქეთევან) კურატაშვილი საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის მიზნობრივი მიმართულება და მისი ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პერსპექტივები	**89**
ვახტანგ ბურდული საქართველოში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემები	**98**
გიორგი ბერულავა ინოვაციურ ბიზნესში ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები საქართველოში	**180**
თეა ლაზარაშვილი საქართველოში ინოვაციების გავრცელების ფინანსური ინსტრუმენტები	**215**
მურმან კვარაცხელია განათლების სისტემის არსებული მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები საქართველოში	**239**
რევაზ ჯავახიშვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და გეოგრაფია საქართველოში	**250**

მამუკა ხუსკივაძე საქართველოს ეკონომიკის რესურსული უზრუნველყოფა თანამედროვე ეტაპზე	**271**
ლინა დათუნაშვილი ინოვაციების გავრცელების პრობლემები საქართველოს სოფლის მეურნეობაში (მემცენარეობა)	**293**
თენგიზ ქავთარაძე საქართველოს მეცხვარეობაში ინოვაციების გავრცელების პრობლემები	**319**
ეთერ კაკულია შიგა ინვესტიციების მოზიდვის არსებული გარემო და მისი სრულყოფის გზები საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესში ინოვაციების დასანერგად	**342**
ნატა დავლაშერიძე ციფრული ეკონომიკის არსებული მდგომარეობა და საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობის დაახლოების პერსპექტივები ევროკავშირის კანონმდებლობასთან	**377**
გიორგი ბრეგვაძე ინოვაციების გავრცელების პრობლემები საქართველოს მშენებლობაში	**395**
ლია თოთლაძე, თამარ თაფლაძე პირდაპირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ინოვაციების გავრცელებაში საქართველოში	**404**
ქეთევან ქველაძე ინოვაციების გავრცელების პრობლემები საქართველოს ტურიზმში	**425**
ნუნუ ქისტაური ინოვაციების დასანერგად უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის არსებული გარემო და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში	**450**
მარინე ცუცქირიძე შიგა ინვესტიციების მოზიდვის არსებული გარემო და მისი სრულყოფის გზები საქართველოში	**464**

თეიმურაზ გოგობია ინოვაციების კომერციალიზაციისათვის საინვესტიციო გარემოს ფორმირების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოს ბიზნესში	**474**
ხათუნა ბერიშვილი პუი-ის ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე	**497**
მედეა მელაშვილი საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციების დანერგვაზე ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ხარჯები და მისი სრულყოფის მიმართულებები	**523**
ციცინო თეთრაული ინოვაციები მიწის რესურსების დაცვის სფეროში საქართველოში, თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები	**537**
ზურაბ წერეთელი ბიზნეს სტარტაპების განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში	**573**
ლია დვალიშვილი ინოვაციები ჰაერის დაცვის სფეროში საქართველოში: არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები	**601**
ზურაბ ნოზაძე ინოვაციები წყლის რესურსების დაცვის სფეროში საქართველოში: არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები	**620**
ნინო ჟორჟიკაშვილი ინოვაციების გავრცელების პრობლემები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში	**637**
სხვა სამეცნიერო ნაშრომები	
პაატა კოღუაშვილი, იოსებ არჩვაძე სასურსათო უშიშროება ეფექტიან აგროსასურსათო პოლიტიკას ეფუძნება	**682**
ავტორები	**701**

C O N T E N T S

PREFACE	**5**
SCIENTIFIC WORKS	
Ramaz Abesadze INNOVATION POLICY AND SYSTEM OF GEORGIA	**10**
Vladimer Papava PROSPECTS FOR THE APPROXIMATION OF ECONOMIC MECHANISMS PROVIDED BY GEORGIAN BANKRUPTCY LEGISLATION TO EU STANDARDS	**48**
Ramaz Abesadze, Nana Bibilashvili THE EXISTING STATE OF APPROXIMATION OF ENVIRONMENTAL PROTECTION LEGISLATION OF GEORGIA TO THE LEGISLATION OF THE EU	**70**
Alfred Kuratashvili, Kristine (Ketevan) Kuratashvili TARGETING OF ECONOMIC LEGISLATION OF GEORGIA AND THE PERSPECTIVES OF ITS APPROXIMATION TO THE LEGISLATION OF THE EU	**89**
Vakhtang Burduli THE SECTORAL AND REGIONAL PROBLEMS OF THE DISSEMINATION OF INNOVATIONS IN GEORGIA	**98**
George Berulava ON THE ISSUES OF ATTRACTING INVESTMENTS IN INNOVATIVE BUSINESS	**180**
Tea Lazarashvili FINANCIAL INSTRUMENTS FOR DISSEMINATING INNOVATIONS IN GEORGIA	**215**
Murman Kvaratskhelia THE CURRENT STATE OF THE EDUCATION SYSTEM AND WAYS TO IMPROVE IT IN GEORGIA	**239**
Revaz Javakhishvili DYNAMICS AND GEOGRAPHY OF FOREIGN DIRECT INVESTMENT IN GEORGIA	**250**
Mamuka Khuskivadze RESOURCING OF AN ECONOMY OF GEORGIA AT THE MODERN STAGE	**271**

Lina Datunashvili PROBLEMS OF DISSEMINATION OF INNOVATIONS IN AGRICULTURE OF GEORGIA	**293**
Tengiz Kavtaradze PROBLEMS OF INNOVATION SPREADING IN GEORGIAN SHEEPBREADING	**319**
Eter Kakulia EXISTING ENVIRONMENT FOR ATTRACTING INTERNAL INVESTMENTS AND WAYS TO IMPROVE IT TO INTRODUCE INNOVATION IN SMALL AND MEDIUM BUSINESSES IN GEORGIA	**342**
Nata Davlasheridze CURRENT STATE OF THE DIGITAL ECONOMY AND PROSPECTS OF CONVERGENCE OF GEORGIAN ECONOMIC LEGISLATION WITH EU LEGISLATION	**377**
George Bregvadze THE PROBLEMS OF DISSEMINATION OF INNOVATIONS IN THE CONSTRUCTION SECTOR OF GEORGIA	**395**
Lia Totladze, Tamar Tapladze THE ROLE OF DIRECT FOREIGN INVESTMENTS IN THE DISSEMINATION OF INNOVATIONS IN GEORGIA	**404**
Ketevan Kveladze PROBLEMS OF DISSEMINATION OF INNOVATIONS IN TOURISM IN GEORGIA	**425**
Nunu Kistauri EXISTING ENVIRONMENT FOR ATTRACTING INNOVATIONS AND THE MAIN DIRECTIONS OF ITS IMPROVEMENT IN GEORGIA	**450**
Marine Tsutskiridze EXISTING ENVIRONMENT FOR ATTRACTING DOMESTIC INVESTMENTS AND WAYS TO IMPROVE IT IN GEORGIA	**464**
Teimuraz Gogokhia THE PROBLEMS OF INVESTMENT ENVIRONMENT FOR THE COMMERCIALIZATION OF INNOVATIONS AND THE WAYS OF THEIR SOLUTION IN GEORGIAN BUSINESS	**474**
Khatuna Berishvili THE IMPACT OF DFI ON THE INNOVATION DEVELOPMENT OF A RECIPIENT COUNTRY'S ECONOMY	**497**

Medea Melashvili EXPENDITURES FROM THE CENTRAL AND LOCAL BUDGETS ON THE INTRODUCTION OF INNOVATIONS IN THE GEORGIAN ECONOMY AND DIRECTIONS FOR ITS IMPROVEMENT	**523**
Tsitsino Tetrauli INNOVATIONS IN THE FIELD OF LAND RESOURCES PROTECTION IN GEORGIA, CURRENT SITUATION AND PERSPECTIVES	**537**
Zurab Tsereteli THE PROBLEMS AND PERSPECTIVES OF BUSINESS STARTUP DEVELOPMENT IN GEORGIA	**573**
Lia Dvalishvili INNOVATIONS IN THE FIELD OF AIR PROTECTION IN GEORGIA: CURRENT SITUATION AND PROSPECTS	**601**
Zurab Nozadze INNOVATIONS IN THE FIELD OF WATER RESOURCES PROTECTION IN GEORGIA:EXISTING STATUS AND PROSPECTS	**620**
Nino Zhorzhikashvili PROBLEMS WITH THE SPREAD OF INNOVATION IN THE GEORGIAN HEALTHCARE SYSTEM	**637**
OTHER SCIENTIFIC WORKS	
Paata Koguashvili, Joseph Archvadze FOOD SECURITY IS BASED ON EFFICIENT AGRI-FOOD POLICY	**682**
AUTHORS	**705**

დაიბეჭდა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-საგამომცემლო
საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი სესილი ხანჯალაძე

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი, გ. ქიქოძის № 14
99 68 53, 93 22 60
ელ-ფოსტა: economics_institute@yahoo.com

დაიბეჭდა 2021 წელს თსუ გამომცემლობის სტამბაში
0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0128
t. 995 (32) 2251432, 995 (32) 2252736
www.press.tsu.ge